გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული

№6

SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY

თბილისი-TBILISI
2016

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული

№6

გამოდის 2011 წლიდან

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2016

SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY

VOLUME

№6

Published since 2011

Publishing House **"UNIVERSAL"**

Tbilisi 2016

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ყოველწლიურ, მრავალდარგობრივ სამეცნიერო შრომათა კრებულში წარმოდგენილი ნაშრომები ეძღვნება სამართლის, ეკონომიკის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური საკითხების კვლევას.

გამოცემის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართველი და უცხოელი ავტორების, განსაკუთრებით, ახალგაზრდა სპეციალისტების, მეცნიერული ძიების გაღრმავებას, ორიგინალური კონცეფციების წარმოჩენას, აკადემიური კონტაქტების გაფართოებას და ერთობლივი სამეცნიერო — კვლევითი პროექტების შექმნას, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად შემოთავაზებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გაშუქებას.

The papers presented in annual, multi-branch journal – Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University – cover the acute problems of economic, social, humanitarian and law sciences.

The purpose of the journal is to foster the scientific research carried out by Georgian and foreign authors, especially those conducted by young specialists; reveal and encourage original conceptions; broaden academic contacts and create joint scientific and research projects; highlight the conclusions and recommendations offered by international organizations, as a consequence of their work carried out in Georgia.

ეძღვნება **გურამ თავართქილაძის** დაბადებიდან 70 წლისთავს

Dedicated to **Guram Tavartkiladze's** 70th Birthday Anniversary

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულის სარედაქციო საბჭო

გიორგი მათიაშვილი (თავმჯდომარე), გელა ალადაშვილი, ჩერეკ ბუსტრა (ნიდერლანდების სამეფო), ინგა დიაკონიძე, ვალერი ვაშაკიძე (მთავარი რედაქტორი), დიკ ვეინანდსი (ნიდერლანდების სამეფო), მარინა ვეკუა, ამირან თავართქილაძე (პასუხისმგებელი მდივანი), სერგეი იაკუბოვსკი (უკრაინა), გივი ლობჟანიძე, ამიდ ნიზჰადი (აშშ), რაინჰარდ პაულინგი (გერმანია), თალიკო ჟვანია, ჟილ რუე (საფრანგეთი), მაია უკლება, შენგელი ფიცხელაური, ლია შენგელია (ტექნიკური რედაქტორი), რომან შენგელია, ლალი ჩაგელიშვილი, ბარბარა ჰაინესი (აშშ).

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული რეფერირდება ტექინფორმის ქართულ რეფერატულ ჟურნალში (ქრჟ).

ქრჟ ელექტრონული ფორმით გამოდის ქართულ და ინგლისურ ენებზე და განთავსებულია ინტერნეტში ტექინფორმის ინსტიტუტის საიტზე www.tech.caucasus.net

Scientific Proceeding of Guram Tavartkiladze Teaching University

Giorgi Matiashvili (Heard of the Editorial Boards), Gela Aladashvili, Tjerk Busstra (Netherlands), Lali Chagelishvili, Inga Diakonidze, Barbara Hines (USA), Nezhad Hameed (USA), Sergei Yakubovskyi (Ukrain), Givi Lobjanidze, Reinhard Pauling (Germany), Shengeli Pitskelauri, Gilles Rouet (France), Lia Shengelia (Technical Editor), Roman Shengelia, Amiran Tavartkiladze (Secretary Editor), Maia Ukleba, Valeri Vashakidze (Chief Editor), Dik Veinands (Netherlands), Marina Vekua, Taliko Zhvania, Dik Weijnands (Netherlands).

Collection of scientific works of Guram Tavartkiladze Teaching University is reviewed in Georgian reviewed journal of Techinform (GRJ).

Electronic version of GRJ is issued in Georgian and English Languages and is set on the following site: www.tech.caucasus.net

© გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, 2016

გამომცემლობა „უნივერსალი", 2016

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, w: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-22-794-3

შ ი ნ ა ა რ ს ი
C O N T E N T S

გიორგი მათიაშვილი – გურამ თავართქილაძე 11
Giorgi Matiashvili – Guram Tavartkiladze

ს ა მ ა რ თ ლ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი
S C I E N C E S O F L A W

გ. ამირანაშვილი – სამოქალაქო სამართლის საზოგადოება გერმანულ სამართალში (ღია სავაჭრო საზოგადოების მომწესრიგებელ ნორმებთან შედარების ჭრილში) 14
G. Amiranashvili – A Civil Law Partnership in German Law (in Comparison with the Regulations of a General Commercial Partnership)

გ. ლობჟანიძე – საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში მომხდარი ტერაქტების საერთაშორისო სამართლებრივი შეფასება 23
G. Lobzhanidze – International Legal Evaluation of the Terroristic Acts in Paris, the Capital of France

დ. სუხიტაშვილი თ. სუხიტაშვილი – პასუხისმგებლობა ფულადი ვალდებულების დარღვევისათვის 29
D. Sukhitashvili, T. Sukhitashvili – Responsibility for violation of monetary liabilities

შ. ფიცხელაური – საგამოძიებო ტაქტიკური კომბინაციის საინფორმაციო-ლოგიკური სტრუქტურა 37
Sh.Pitskhelauri – Information and Logical Structure of Investigation Tactics Combination

შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი – საქართველოს სამოქალაქო სააღსრულებლო სამართლის პრინციპები 40
Sh.Kurdadze, N.Khunashvili – Civil Executive Court Principles of Georgia

რ. შენგელია, ე. შენგელია – კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალი და აქციონერთა უფლება-მოვალეობანი 50
R. Shengelia, E. Shengelia – Capital of Commercial Bank and shareholder’s rights and obligations

ე კ ო ნ ო მ ი კ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი
S C I E N C E O F E C O N O M I C S

ბ. ალადაშვილი – ენერგეტიკული უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფის საკითხები 57
B. Aladashvili – Institutional Support Issue of Energetic Safety

გ. ალადაშვილი – ახალგაზრდული მეწარმეობის სტიმულირების პოლიტიკა 61
G. Aladashvili – Policy of stimulating young entrepreneurs

დ. დავითულიანი – საქართველოს სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის საკითხისათვის 67
D. Davituliani – For Industrialization issue of drinking water of Georgia

დ. ვეკუა, ა. ცერცვაძე – დაზღვევის ისტორიული წანამძღვრები საქართველოში და მისი განვითარების ეტაპები.....71
D. Vekua, A. Tsertsvadze – Insurance History in Georgia and its Development Stages

ა. თავართქილაძე – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის ტრანსატლანტიკური თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების პერსპექტივები და საქართველო 77
A. Tavartkiladze – The Prospects of Trans-Atlantic Free Trade Agreement between USA and EU, and Georgia

ს. თევდორაძე – ბრენდინგი და მისი როლი ტურისტული ორგანიზაციების გასაძლიერებლად.....84
S. Tevdoradze – Branding and its Role in Strengthening of Tourism Organizations

მ. თორია – მოსახლეობის დასაქმების ტენდენციები საქართველოს სამეწარმეო სექტორში.....88
M. Toria – Population Employment Tendencies in Enterprise Sector in Georgia

დ. კბილაძე – ცხოვრების ხარისხის თანამედროვე გაგება და მისი შეფასების ინდიკატორები.....94
D. Kbiladze – Modern understanding of the quality of life and its indicators

ნ. კოპალეიშვილი – კინოინდუსტრია, როგორც ეკონომიკის ნაწილი (ფრაგმენტი გერმანული კინოს ისტორიიდან) 100
N. Kopaleishvili – Film Industry, as the Part of the Economics (Fragment from German Film History)

ზ. ლაოშვილი – გეოინფორმაციული სისტემები საქართველოში..... 104
Z. Laoshvili – Geographical Information Systems in Georgia

ნ. ლაცაბიძე – სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების ფორმირების ზოგიერთი ასპექტი 110
N. Latsabidze – Several aspects of demand and supply formation for labor force

მ. მარიდაშვილი – ქალაქის მენეჯმენტი საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ჭრილში 116
M. Maridasvili – City Management in the Context of International Tourism Development

მ. მარიდაშვილი – ადამიანური რესურსების მართვის ინოვაციური ასპექტები ჯანდაცვის ინდუსტრიაში 122
M. Maridashvili – Human Resources Management Innovation Aspects in Healthcare industry

მ. მიქელაძე – მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის ტექნოლოგიები და მათი გამოყენების შესაძლებლობები ეკონომიკაში 126
M. Mikeladze – Intelligent Data Analysis technologies and their potential application in economy

თ. ჟვანია, ა. კობიაშვილი – ექსპერტული სისტემის მოდელი ენერგოსისტემაში ოპერატიული დაგეგმვისათვის 132
T. Zhvania, A. Kobiashvili – A Model of an Expert System for Operational Planning of Power System

ლ. ტაბატაძე – საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის დევალვაციის საფრთხეები 138
L. Tabatadze – The Competitiveness Devaluation Threats of Georgian Higher Education Service Market

ლ. ჩაგელიშვილი-აგლაძე – საინოვაციო მეწარმეობა და კონკურენცია..... 144
L. Chagelishvili- Agladze – Innovative entrepreneurship and competition

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები
HUMANITY AND SOCIAL SCIENCES

ნ. ახალაშვილი – ლიდერობის გენდერული ასპექტები 151
N. Akhalashvili – Gender aspects of leadership

ნ. ახალაშვილი, ლ. შენგელია – აგრესია და თვითშეფასება 160
N. Akhalashvili, L. Shengelia – Aggression and self-esteem

რ. ბალანჩივაძე – ესმა ონიანის ფილოსოფიური ლირიკა..... 167
R. Balanchivadze – Esma Oniani's Philosophical Lyrics

ნ. ბოჭორიშვილი – სწავლების მეთოდების გამოყენება 172
N. Bochorishvili – The Use of Teaching Approaches

ლ. გალდავა – ადამიანის ინფორმაციული უფლებები და თავისუფლებები – სამართლებრივი რეგულირების განსაკუთრებული ობიექტი..... 175
L. Galdava – Human Informational Rights and Freedoms -The Special Object of Legal Regulation

ალ. დაუშვილი – ექვთიმე თაყაიშვილი და საბჭოთა ხელისუფლება 182
Al. Daushvili – Ekvtime Takasivhili and the Soviet Authority

მ. კალანდარიშვილი – დაუსრულებელი გზის პრიზმაში 189
M. Kalandarishvili – Through the Prism of an Endless Road

მ. კალანდარიშვილი – სამღვდელოებისა და მიწიერი სიყვარულის პრობლემის საკითხისთვის 193
M. Kalandarishvili – To the Question of Spiritual Dignity and Worldly Love

ხ. კაჭარავა – პროფესიული ეთიკის სტანდარტები და თანამედროვე ქართული მედია 196
Kh. Kacharava – Standards of Professional Ethics and Modern Georgian Media

მ. კოღუაშვილი – ,,საკითხავი დრამის" რეცეფციის საკითხისათვის მე-19 საუკუნის დასავლეთევროპული დრამის თეორიაში. 201
M. Koguashvili – On the Reception of ,,Closet Drama~(,,Leserdrama~) in Nineteenth Century Western European Drama

გ. კუტალაძე – ჰიპოთეზა გურგენისძეთა გვარის წარმომავლობის თაობაზე..... 206
G. Kutaladze – The Hypothesis of the Origin of the Genus Gurgenisdze

ნ. ლომსაძე – ინგლისური ენის სწავლება მრავალდონიან ჯგუფებში და მრავალრიცხოვანი კლასების გავლენა ენის შესწავლისას..... 211
N. Lomsadze – Different levels of proficiency and the influence of large classes in the English Language teaching Process

თ. მერაბიშვილი – აგრესია, სოციალური განწყობა და ტიპოლოგია..... 214
T. Merabishvili – Aggression, Social Attitude and Typology

თ. მერაბიშვილი – ენა და მეტყველება თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიათა ჭრილში..... 219
T. Merabishvili – Language and Speech in the Light of Contemporary Linguistics

თ. ტუხაშვილი – თირკმლის დონორთა ფსიქოლოგიური ასპექტები: მოტივაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესი 224
T. Tukhashvili – The Psychological Aspects of Kidney's Living Donor: Motivation and Decision-making Process

თ. ფანცულაია – ბიზნესის ეთიკური პრობლემები ბიზნესისა და მორალის თანაფარდობა 229
T. Pantsulaia – Business Ethical Problems Correlation of Business and Moral

ნ. ყუფარაძე – თანამედროვე ლიბერალური საზოგადოებისა და ქრისტიანული რელიგიის დამოკიდებულება არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირებისადმი 234
N. Kuparadze – The Relationship of Modern Liberal Society & Christian Chursh to the Persons with Untraditional Sexual Orientation

მ. ცუხიშვილი – კალისტრატე ცინცაძე – 150 239
M. Tsukhishvili – Kalistrate Tsintsadze 150

დ. ჩიკვილაძე – „პუბლიცისტი თავისი დროის შვილია“ 246
D. Chikviladze – „Publicist is a son of his time“

გურამ თავართქილაძე

ბატონ გურამ თავართქილაძის გარდაცვალებიდან შვიდი წელი გავიდა. ამ შვიდმა წელიწადმა კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა დიდი ადამიანური დანაკლისი და ის წარუშლელი კვალი, რომელიც მან ამ-ქვეყნად დატოვა.

პროფესორი გურამ თავართქილაძე ქართულ საზოგადოებაში, სამეცნიერო-პედაგოგიურ წრეებში კარგად ცნობილი გახლავთ. აღიარება მან თავისი პიროვნული ღირსებების, მოქალაქეობრივი პოზიციისა და პრინციპების ერთგულებით, ყოველდღიური დაუღალავი საქმიანობის შედეგად მოიპოვა. დაუშრეტელი ენერგიით აღსავსე, მუდამ საქმით დაკავებული, მუდამ ახლის ძიებაში, მუდამ აქტუალურ პრობლემებს შეჭიდებული ყოველთვის ახერხებდა სერიოზული სასიკეთო საქმეების კეთებას როგორც თავისი უშუალო საქმიანობის სფეროში – განათლებაში, ისე ადამიანური ურთიერთობების მრავალმხრივ და მრავალფეროვან ასპარეზზე.

ლიდერის გამოკვეთილი თვისებებით დაჯილდოებულს თანამოაზრეების შეკრების, გაერთიანების და საერთო საქმისთვის მათი წარმართვის საოცარი უნარი ჰქონდა. იყო მიზანდასახული, სირთულეებს არ უშინდებოდა, მტკიცედ მიიწევდა დასახული მიზნისკენ და ყოველთვის აღწევდა საწადელს.

მთელი მისი ცხოვრება განათლებასთან იყო დაკავშირებული. ამ სისტემის ყველა საფეხურზე მოუწია მოღვაწეობა, ამიტომ სიღრმისეულად იცნობდა განათლების დარგს. ჯერ კიდევ სტუდენტმა საშუალო სკოლაში მათემეტიკის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. თავისი ენერგიული, მიზანმიმართული საქმიანობის, პედაგოგიური და ორგანიზატორული ალღოს წყალობით განათლების სფეროში დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა, რაც მის კარიერულ წინსვლაზეც აისახა, იყო სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებისა და განათლების მართვის ადგილობრივი სტრუქტურების ხელმძღვანელი. მდიდარი გამოცდილება, საქმის ერთგულება და კომპეტენცია გახდა ბატონი გურამის განათლების სამინისტროში გადაყვანის საფუძველი, მაგრამ სამინისტროს აპარატში მაღალ თანამდებობებზე მუშაობას, უშუალოდ სასწავლო დაწესებულებაში ყოველდღიური ცოცხალი სამუშაო ერჩივნა და ტექნიკუმის დირექტორად დაინიშნა. მან დაიწყო ევროპული გამოცდილებისა და საგანმანათლებლო იდეების დანერგვა. უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები, დაინერგა სწავლების ინოვაციური მეთოდები და შედეგად ვაჭრობის ტექნიკუმის ბაზაზე შეიქმნა საქართველოში ერთ-ერთი პირველი კოლეჯი — კომერციის კოლეჯი, რომელიც შემდგომ უმაღლეს სასწავლებლად გარდაიქმნა (ჯერ კომერციის სახელმწიფო ინსტიტუტად, ხოლო შემდეგ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტად).

ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი, შემდგომში უნივერსიტეტი, ერთ-ერთი პირველი სასწავლებელი იყო საქართველოში, რომელიც აქტიურად ჩაება უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმაში. სწავლების ტრადიციული სტრუქტურის პარალელურად, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიღებამდე ბევრად ადრე, დაინერგა ორსაფეხურიანი სწავლება –ბაკალავრიატი და მაგისტრატურა, შემოღებულ იქნა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისი ახალი სპეციალობები, შესაბამისად, გარდაიქმნა სასწავლო გეგმები, კურიკულუმები, დაინერგა სილაბუსები, სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა მაქსიმალურად მიუახლოვდა საერთაშორისო სტანდარტებს.

ბატონი გურამი, ძირითადად, უნივერსიტეტის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული თუ სასწავლო-სამეცნიერო საკითხებით იყო დაკავებული, მაგრამ არც საკუთარი სამეცნიერო საქმიანობა რჩებოდა უყურადღებოდ. მეცნიერულ წრეებში საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების ეკონომიკაში გამოყენებამ იმდენად შეცვალა ეკონომიკური აზროვნება, რომ თანამედროვე ეკონომიკურ თეორიათა სათანადოდ შესწავლა „მათემატიკური აპარატით“ ხელმძღვანელობის გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია. შესაბამისად, ეკონომიკის მართვის სფეროში წარმატებული სამეცნიერო საქმიანობა თანამედროვე ეკონომიკურ-მათემატიკური თეორიების პრაქტიკაში მოქნილად გამოყენების უნარს ეფუძნება. განათლებით მათემატიკოსმა მეცნიერული მოღვაწეობის არეალად ეკონომიკის სფერო შეარჩია. იგი არაერთი გამოკვლევის, სახელმძღვანელოსა თუ სტატიის ავტორი იყო. ძალზე მნიშვნელოვანია მისი შრომები: „მათემატიკა ეკონომისტებისათვის“, „კომერციული სწავლების მოდელი

უმაღლეს სასწავლებლებში“, „კომერციული პროფილის მენეჯერთა მომზადების პერსპექტივები საქართველოში“, „ჩემი მომავალი პროფესია“, „უმაღლესი მათემატიკა“ – ნაწ.: I – III, „პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა“, „თანამედროვე კომპიუტერებზე მუშაობის საფუძვლები“ და მრავალი სხვა.

ბატონი გურამი კონტაქტური, გულთბილი პიროვნება იყო, რაც მას უადვილებდა ურთიერთობებს როგორც თანამშრომლებთან, ასევე სტუდენტებთან და მათ მშობლებთან. იგი ყველას თანაბრად უნაწილებდა თავის ყოველდღიურ ყურადღებას, ზრუნვასა და თანადგომას.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონი გურამისა და სტუდენტების ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც არამც და არამც არ იყო ფორმალური და მკაცრად იერარქიული, თუმცა არც უფროს-უმცროსობის ზღვარსა და ზრდილობის ფარგლებს სცილდებოდა. ბატონი გურამი ახალგაზრდების განათლებასთან ერთად უდიდეს ყურადღებას უთმობდა მათ პიროვნულ განვითარებას, ზნეობრივ აღზრდას, ჯანსაღი პატრიოტიზმის ჩამოყალიბებას. განათლებული ადამიანი საზოგადოების ღირსეული წევრი უნდა იყოს. თითქმის ყველა სტუდენტს, ვინც მის ხელში გაიარა, ბატონი გურამი პირადად იცნობდა, იცოდა მათი საზრუნავი, პრობლემები, მისწრაფებები. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იცოდა „ვინ რითი სუნთქავს.“ ყველას მამაშვილური სითბოთი მიმართავდა და ეპყრობოდა. საპასუხოდ სტუდენტების სიყვარული, პატივისცემა უბრუნდებოდა. დღესაც, წლების შემდეგ, მის ყოფილ სტუდენტებს სამაგალითოდ მიაჩნიათ ბატონი გურამი. სტუდენტურ გამოსვლებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ განცხადებაში პარტია „რეფორმატორების“ თავმჯდომარე ირაკლი ღლონტი აღნიშნავს: „ვუყურებ ორ ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკად ჩამოყალიბებულ სტუდენტებს, ეს უკვე ტრაგედიაა. ვფიქრობ, ამაში დამნაშავეა ყველა ის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომელიც ვალდებული იყო უნივერსიტეტის ეფექტური მენეჯმენტის წარმართვაზე.

მე თვითონ ვსწავლობდი უნივერსიტეტში, რომლის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ სტუდენტებისთვის შექმნილიყო ჯანსაღი გარემო სწავლა-განათლების მისაღებად და სტუდენტების პოლიტიკური ზეგავლენისგან დასაცავად. ეს იყო თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი (თეუსუ), რომლის რექტორის, ბატონ გურამ თავართქილაძის უშუალო დამსახურებით, უნივერსიტეტი და მისი არცერთი სტუდენტი, არასდროს მოვქცეულვართ არც ერთი სახელისუფლებო დაწესებულებისა თუ პოლიტიკური ძალის გავლენის ქვეშ. . . . არასდროს ჩავრთულვართ პოლიტიკურად მართულ პროცესებში, არასდროს დაგვჭირვებია საპროტესტო აქციების გამართვა. ეს არ იყო მარტივი, ამის გამო რექტორს მწვავე დაპირისპირებაც ჰქონდა ხელისუფლებასთან, თუმცა, ჩვენ სტუდენტები ვიყავით აბსოლუტურად დაცული“. ბატონი გურამი, მისთვის პირადი საფრთხის მიუხედავად, უშიშრად იცავდა სტუდენტების ღირსებას. ამაზე ბუტა რობაქიძის ხსოვნისადმი მისი დამოკიდებულებაც მეტყველებს. ბუტას დედა, ქალბატონი ია მეტრეველი, თავის ინტერვიუში აღნიშნავს: „ბუტა გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტში სწავლობდა. ბუტას რექტორს ძალიან დიდ პატივს ვცემდი, რომელმაც გაბედა და ერთი წლის განმავლობაში აუდიტორიაში, სადაც ბუტას ლექციები უტარდებოდა, მისი სურათი დადო და ყვავილებს უცვლიდნენ.“

ბატონ გურამს უამრავი მადლიერი ადამიანი ჰყავდა. ის დააკლდა ყველას, ვისაც უანგაროდ დასდგომია მხარში, დახმარებია, ხელი გაუმართავს. სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენის, დონის, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელს პატივად მიაჩნდა მისი მეგობრობა, ახლობლობა იმიტომ, რომ გურამ თავართქილაძემ თავისი ცხოვრების წესით კაცის სახელი დაიმკვიდრა. საკუთარი ღირსებისათვის, სამართლიანობისთვის არასოდეს უღალატია, კაცური-მამულიშვილური მოვალეობისათვის არასოდეს აურიდებია თავი, იქნებოდა ეს მეგობრების თანადგომა მშფოთვარე ახალგაზრდულ წლებში თუ პატრიოტული მოვალეობის აღსრულება ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში წარმოებულ ბრძოლებში.

იშვიათია მოღვაწე, რომელსაც თავისი ცხოვრების მანძილზე ორი წარმატებული უნივერსიტეტი დაეარსებინოს. ასეთ უნიკალურ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდა ბატონი გურამ თავართქილაძე. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როგორც უკვე აღინიშნა, მან შექმნა ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი. თავიდანვე იმდენად გამოკვეთილი და თვალსაჩინო იყო ბატონი გურამის გადამწყვეტი როლი უნივერსიტეტის საქმიანობაში, იმდენად ორგანულად იყვნენ შერწყმული ერთმანეთთან რექტორი და მისი უმაღლესი სასწავლებელი, რომ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტს, თავისი ოფიციალური სახელის პარალელურად, უფრო ხშირადაც კი, თა-

ვართქილაძის უნივერსიტეტად მოიხსენიებდნენ. დამფუძნებელი და პირველი რექტორი უნივერსიტეტთან იყო იდენტიფიცირებული და ეს ნიშანდობლივია – პიროვნება თავის საქმესთანა იყო გაიგივებული — „საქმემან მისმან“ გამოაჩინა იგი.

2008 წელს გურამ თავართქილაძემ დააარსა არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი „გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტი“, რომელმაც დაარსებისთანავე მოიპოვა ავტორიტეტი, რაც, უდავოდ, გურამ თავართქილაძის სახელსა და ავტორიტეტთანაა დაკავშირებული. ეს სახელი და გვარი მაღალი ხარისხის განათლების გარანტიაა და მართლაც, უნივერსიტეტი, იქ მოღვაწე პროფესორები, ყოველი თანამშრომელი გურამ თავართქილაძის თანამოაზრეებად დარჩნენ. ბატონი გურამის დაწყებული საქმე მყარი და სიცოცხლისუნარიანია. გარდაცვალების შემდეგაც მისი საგანმანათლებლო და ზოგადადამიანური პრინციპები, შეხედულებები, იდეები სიცოცხლეს განაგრძობენ და ქმედითად წარმართავენ იმ საქმეს, რომელსაც გურამ თავართქილაძემ მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა. ამიტომ, მიუხედავად თავისი „ახალგაზრდული“ ასაკისა, გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტს მტკიცე საფუძვლები და, შეიძლება ითქვას, დიდი ტრადიციები აქვს.

ბატონ გურამს მრავალი რეგალია ჰქონდა – დოქტორი, პროფესორი, რექტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი, განათლების წარჩინებული მუშაკი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლის კავალერი . . . მაგრამ მათ გარეშეც მხოლოდ მისი სახელი და გვარი განაპირობებს უზარმაზარ პატივისცემასა და ავტორიტეტს, რომელიც ამქვეყნიდან უდროოდ წასულმა კაცმა გურამ თავართქილაძემ დაიმკვიდრა.

გიორგი მათიაშვილი

სამართლის მეცნიერებები

გ. ამირანაშვილი

სამოქალაქო სამართლის საზოგადოება გერმანულ სამართალში (ღია სავაჭრო საზოგადოების მომწესრიგებელ ნორმებთან შედარების ჭრილში)

მსოფლიო ქვეყნების ყველა განვითარებული სამართლებრივი სისტემა ანიჭებს სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის უფლებას არა მარტო ცალკეულ ფიზიკურ პირებს, არამედ, ასევე, მათ გაერთიანებებს. მათი უმრავლესობა ითვლება იურიდიულ პირად და მონაწილეობს ურთიერთობებში, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი. ბევრი გაერთიანება, მართალია, არ ითვლება იურიდიულ პირად, თუმცა, აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა სამართალურთიერთობებში თავისი სახელით (გახსნას საბანკო ანგარიში, დადოს ხელშეკრულებები და ა.შ.). ამგვარად, სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობისათვის, არ არის აუცილებელი იურიდიული პირის სტატუსის ქონა (*Чантурия*, 180).

ადამიანთა გაერთიანების ფორმა მრავალგვარია. ასევე, მრავალგვარია ქონების გაერთიანების ფორმები. თუკი პირთა და ქონების გაერთიანების ყველა ამ ფორმას მიენიჭება სამართლის სუბიექტის სტატუსი, ეს გამოიწვევს სამართლებრივ ქაოსს, რასაც, სამწუხაროდ, ადგილი აქვს ბევრ პოსტსაბჭოურ სახელმწიფოში. სწორედ ამიტომ, პოზიტიური სამართალი იძულებულია, გააკეთოს არჩევანი და აღიაროს იურიდიულ პირად, ე.ი., სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილედ, გაერთიანების ესა თუ ის ფორმა. ამგვარი არჩევანი განპირობებულია ბევრი გარემოებით: ისტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და ა.შ. (*Чантурия*, 181).

ნათელია, რომ სამართალი იურიდიული პირის სტატუსს უკავშირებს განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს. სწორედ ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა ითვლება იურიდიულ პირად და რა კრიტერიუმებია მისთვის დადგენილი. შესაბამისად, იურიდიული პირი არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული უნივერსალური ცნება. ამავე დროს, საკანონმდებლო აღიარება ამა თუ იმ ორგანიზაციისა იურიდიულ პირად ემყარება განსაზღვრულ წინაპირობებს. ერთ შემთხვევაში, იურიდიულ პირად აღიარებულია პირთა გაერთიანება (კორპორაციები), მეორე შემთხვევაში – ქონება (ფონდი).ზოგი გაერთიანება ერთ ქვეყანაში ითვლება იურიდიულ პირად (მაგ., სრული ამხანაგობა რუსეთში), სხვა ქვეყნებში _ არა (მაგ., ღია სავაჭრო საზოგადოება გერმანიაში). ასე რომ, საჭიროა საკითხისადმი გულმოდგინე მიდგომა, თუ რა იქნეს აღიარებული იურიდიულად პირად და რა – არა (*Чантурия*, 181).

დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში, სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობენ პირთა გაერთიანებები, რომლებიც თუმცა არ არიან იურიდიული პირები, მაგრამ, იძენენ უფლებებს და ასრულებენ მოვალეობებს თავისი სახელით და მოქმედებენ, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტები. მაგალითად, როგორც ღია, ისე კომანდიტური საზოგადოება გერმანიაში, არ არის იურიდიული პირი, თუმცა, სამართალსუბიექტობა მათ აქვთ (*Чантурия*, 181-182).

ასევე, არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს გერმანული კანონმდებლობით განსაზღვრული სამოქალაქო სამართლის საზოგადოება და არარეგისტრირებული კავშირი, რომლებიც, აგრეთვე, თავისუფლად მონაწილეობენ სამოქალაქო ბრუნვაში. ის გარემოება, რომ მათ არ აქვთ იურიდიული პირის სტატუსი, ხელს არ უშლის მათ სრულფასოვან მონაწილეობას სამოქალაქო ბრუნვაში (*Чантурия*, 182).

წინამდებარე ნაშრომში საუბარი იქნება პირთა გაერთიანების ისეთ ფორმაზე, როგორიცაა სამოქალაქო სამართლის საზოგადოება (*Gesellschaft bürgerlichen Rechts (GbR)*), რომელიც 1896 წლის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის საუკუნეზე მეტი ხნის დებულებების მოწესრიგების საგანს წარმოადგენს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი გამოჰყოფს სამოქალაქო სამართლით რეგულირებულ საზოგადოებებს (გაერთიანებებს). ასეთი, მაგალითად, შესაძლებელია, იყოს ჩვეულებრივი „გაერთიანებები“, რომელნიც რაიმე ერთიან ქონებას საკუთრების უფლებით ფლობენ, ან, მაგალითად, რამდენიმე პირის საერთო საკუთრება მიწის ნაკვეთზე და სხვ. (*ბურდული*, 75).

არსებობს მოსაზრება, რომ სამოქალაქო სამართლის საზოგადოების მოხსენიება პირთა გაერთიანებად არცთუ ისე მართებულია. ამხანაგობის წევრთა ზოგიერთი განსაკუთრებული პიროვნული გაერთიანება, მართალია, ხშირად გვხვდება, თუმცა, სრულებითაც არ არის ამის იურიდიული აუცილებლობა, მითუმეტეს, რომ ამხანაგობების მონაწილეები, ასევე, შეიძლება იყვნენ იურიდიული პირები. უფრო ზუსტი იქნებოდა ტერმინის – „გაერთიანება საერთო საზიარო საკუთრების საფუძველზე" გამოყენება, რომელიც უფრო ხშირად გვხვდება, მათ შორის, იურიდიულ ლიტერატურაშიც. საქმე ისაა, რომ უბრალო ამხანაგობა თავის სამართალსუბიექტობის სტრუქტურაში გაჟღენთილია სწორედ ასეთი საზიარო საკუთრების პრინციპით, რომელიც გამოხატავს სრულ განსხვავებულობას იურიდიული ინდივიდუალურობის პრინციპისაგან, რაც მოქმედებს, კერძოდ, რეესტრში შეტანილ სააქციო საზოგადოებებთან, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან, კოოპერატივებთან და ა.შ. მიმართებით (*Шюнеманн*, 59).

გერმანიის მსგავსად, სამოქალაქო საზოგადოებებს (გაერთიანებებს) გამოჰყოფს, აგრეთვე, ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი. ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 1175-ე პარაგრაფის თანახმად, „სამოქალაქო სამართლის საზოგადოება არის ხელშეკრულების საფუძველზე დაფუძნებული საზოგადოება, სადაც ორი ან რამდენიმე პირი შეთანხმების საფუძველზე თავიანთ შრომას ან/და ნივთებს ერთიანი სარგებლობისათვის წარმართავენ". ასეთი საზოგადოება ჩამოყალიბებულია ხელშეკრულების დასრულების მომენტიდან. საზოგადოება, გაერთიანება, შესაძლოა, არც იყოს რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში (*ბურდული*, 75).

პირთა გაერთიანების ამ სამართლებრივი ფორმის განხილვა მნიშვნელოვანი და აქტუალურია იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მომწესრიგებელ ნორმებს, რომლებიც დიდ მსგავსებას ავლენენ სწორედ გერმანიის სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებული სამოქალაქო სამართლის საზოგადოების მარეგულირებელ დებულებებთან. (*ამირანაშვილი*, 183-184). უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორი GbR-ს მოიხსენიებს სწორედ სამოქალაქო სამართლის ერთობლივ საქმიანობად (ამხანაგობად) (*ბეთანელი, მასბაუმი,* 300). სამოქალაქო სამართლის საზოგადოებისა და ღია სავაჭრო საზოგადოების შედარებითი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, გაანალიზდეს სამოქალაქო სამართლის საზოგადოება, როგორც ამხანაგური (პერსონალური) ტიპის საზოგადოებათა ძირითადი ფორმა, რაც, ხელს შეუწყობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემული ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) არსისა და დანიშნულების უკეთ გარკვევას.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პირები, როგორც პირთა გაერთიანების ყველაზე პოპულარული ფორმა, სამოქალაქო სამართლის უმთავრეს სუბიექტებს წარმოადგენენ, სამოქალაქო სამართალი სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის შესაძლებლობას არაიურიდიულ პირებსაც ანიჭებს. იმის გათვალისწინებით, რომ პირთა ასეთი გაერთიანებები, სავაჭრო ამხანაგობების სახით, იურიდიული პირის ცნების წარმოშობამდე გაცილებით ადრე არსებობდა, მათი მონაწილეობა სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ მოვლენად არც უნდა იქნეს მიჩნეული (*ჯანტურია*, 277).

მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშნად საზოგადოებათა (ამხანაგობათა) კლასიფიკაციაში გვევლინება მათი კუთვნილება პირთა გაერთიანების ან კაპიტალის გაერთიანებისადმი. პირთა გაერთიანება (ამხანაგობა) ორიენტირებულია ცალკეული მონაწილეების პიროვნებაზე. ჩვეულებრივ, ისინი არამხოლოდ პირადად მონაწილეობენ ყოველდღიურ საქმიანობაში, არამედ, ასევე, ატარებენ პირად პასუხისმგებლობას. სწორედ გაერთიანებათა ამ კატეგორიას მიეკუთვნება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (§§ 705-740) წესების მიხედვით შექმნილი ამხანაგობა (*Бергманн*, XV).

მთავარი შეკითხვა მდგომარეობს იმაში, ითვლება თუ არა სამოქალაქო სამართლის საზოგადოება იურიდიულ პირად, სხვა სიტყვებით, აქვს თუ არა მას უფლებაუნარიანობა, არის თუ არა იგი უფლებამოსილი, საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები და მოვალეობები. აღნიშნული საკითხების გარკვევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც არსებითი განსხვავება მდგომარეობს უფლებაუნარიან და არაუფლებაუნარიან საზოგადობებს შორის, იმ თვალსაზრისით, რომ უფლებაუნარიან საზოგადოებებში (ამხანაგობებში) მხოლოდ საზოგადოება ატარებს პასუხისმგებლობას თავისი საქმიანობისათვის, იმ დროს, როდესაც, არაუფლებაუნარიანში – თავისი საქმიანობისათვის პასუხს აგებს თითოეული მონაწილე. ერთი სიტყვით, თუ არაუფლებაუნარიანი გაერთიანებების (ამხანაგობების) განმასხვავებელი თვისება არის მათი მონაწილეების პირადი პასუხისმგებლობა, უფლებაუნარიან გაერთიანებათა (საზოგადოებათა) ერთ-ერთ უმთავრეს თვისებად ითვლება მათი მონაწილეების პირადი პასუხისმგებლობის შეზღუდვა. სწორედ ამი-

ტომ, პასუხისმგებლობის სისტემაში პირველ პოზიციაზე დგება კრედიტორებისა და საზოგადოების მონაწილეების ინტერესების დაცვა (*Бергманн*, XV-XVI).

სამოქალაქო სამართლის საზოგადოება არის ორგანიზებული სოციალური სტრუქტურა, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. იგი მოკლებულია თვითშემადგენელ სამართალსუბიექტობას იმდენად, რამდენადაც საზოგადოება ორგანიზებულია ერთი ნივთის ფლობაში რამდენიმე პირის მონაწილეობის პრინციპზე (*Шюнеманн*, 58-59). იმასთან დაკავშირებით, რომ კანონი ერთმნიშვნელოვნად ანიჭებს სამართალსუბიექტობას მხოლოდ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, არსებობდა მოსაზრება, რომ საერთო საზიარო საკუთრების საფუძველზე შექმნილი გაერთიანება მოკლებულია სამართალსუბიექტობას, რადგან, უდავოდ, არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსების ავტორები, როგორც ჩანს, მხარს უჭერდნენ ამავე მოსაზრებას. თუმცა საბოლოოდ, მათ შორის სასამართლო პრაქტიკაშიც, დადგინდა, რომ უფლებაუნარიანობა, სამართალსუბიექტობა არ შემოიფარგლება ფიზიკური და იურიდიული პირებით. ასეთი ერთმნიშვნელოვანი მოსაზრება ეფუძნება, კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 14-ს (*Шюнеманн*, 60).

გარდამტეხ ცვლილებას სამოქალაქო სამართლის საზოგადოების სამართლებრივი გაგებასთან მიმართებით ადგილი ჰქონდა 2002 წელს, როდესაც გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო სამართლის საზოგადოებას აქვს სამართალსუბიექტობა (*Leyens*, 1407-1408). ეს იყო ტრადიციული საზღვრების რღვევა, რითაც მოხდა სამოქალაქო სამართლის საზოგადოების სამართალსუბიექტობის მქონე საზოგადოებად აღიარება. მივიღეთ არსებითი მსგავსება სამოქალაქო სამართლისა და კომერციულ საზოგადოებათა პასუხისმგებლობის რეჟიმებს შორის. გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიხედვით, ახალი პარტნიორები ატარებენ პასუხისმგებლობას იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც არსებობდნენ იქამდე, სანამ ისინი შევიდოდნენ საზოგადოებაში. კრედიტორის გადმოსახედიდან, დოქტრინაში ამ ცვლილების უპირატესობა მნიშვნელოვანი შემსუბუქებაა სასამართლო დავის წარმოების თვალსაზრისით. დღესდღეობით, სარჩელის შეტანა შესაძლებელია უშუალოდ საზოგადოების წინააღმდეგ. წარსულში, პროცედურულ მოთხოვნად არსებული თითოეული პარტნიორის დასახელება სასამართლო დავისას სერიოზულ დაბრკოლებად იყო ქცეული. კონკრეტულად, უცხოელი პარტნიორების წინააღმდეგ სარჩელის აღძვრასთან დაკავშირებით (*Leyens*, 1408).

ზოგიერთი ავტორი არაიურიდიული პირების სამართალსუბიექტობის აღიარების აუცილებლობას ასაბუთებს საგადასახადო სამართლის კუთხითაც. კერძოდ, ამ მოსაზრების თანახმად, საგადასახადო სამართლის პრაქტიკას, რა თქმა უნდა, მთელი რიგი გარემოების გამო არ შეუძლია დაემყაროს დოგმატურად მოძველებულ და ობიექტურად არასწორ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, საერთო საზიარო საკუთრების საფუძველზე შექმნილ გაერთიანებებს, განსაკუთრებით, პირთა გაერთიანებებს, არ აქვთ უფლებაუნარიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგალითად, ვის უნდა მიეკუთვნებოდეს „საზოგადოების ქონება“ (იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 718), თუკი თავად საზოგადოება მოკლებულია შესაძლებლობას, ჰქონდეს უფლებები და მოვალეობები, მათ შორის, ქონებასთან დაკავშირებითაც, თუკი სახეზე არ გვაქვს სამართლის სუბიექტი? როგორ შეიძლება „გაერთიანების ვალდებულებათა“ საკანონმდებლო დადგენა (იხ. გერმანიის სავაჭრო კოდექსის §§ 128 და შემდგომი), თუკი გაერთიანება არ უნდა განიხილებოდეს როგორც მოვალე; ამ შემთხვევაში მან ხომ უნდა იქონიოს ლოგიკურად წინასწარ განსაზღვრული შესაძლებლობა, გამოდიოდეს, როგორც უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი, როგორც სამართლის სუბიექტი? (*Шюнеманн*, 60).

მიუხედავად იმისა, რომ საერთო საზიარო საკუთრების საფუძველზე შექმნილ გაერთიანებებს აქვთ უფლებაუნარიანობა, საჭიროა, ასე თუ ისე, თვალყური მივადევნოთ მის სტრუქტურულ განსხვავებას იურიდიული პირების სამართალსუბიექტობისაგან, რადგან იურიდიული პირების პრინციპი უნდა განსხვავდებოდეს საერთო საზიარო საკუთრების საფუძველზე შექმნილ გაერთიანებათა პრინციპისაგან, სამართლებრივი და ეკონომიკური შედეგების თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, წაიშლებოდა კანონმდებლობით განსაზღვრული მათი განსხვავება. აუცილებელია, აღინიშნოს, რომ იურიდიული პირისათვის, მაგალითად, სააქციო საზოგადოების, ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი საზოგადოების ქონებისა, ერთი მხრივ, და საზოგადოების მონაწილეთა ქონების განცალკევება, მეორე მხრივ, არ მოქმედებს საერთო საზიარო საკუთრების საფუძველზე შექმნილ საზოგადოებებთან მიმართებით, მათი წევრების ქონების თვალსაზრისით (*Шюнеманн*, 60).

გერმანული სამართალი იცნობს საზოგადოებათა რამდენიმე დამოუკიდებელ ტიპს, რომელიც შესაძლებელია დაიყოს ორ ძირითად კატეგორიად: 1. კომერციული საზოგადოებები, რომლებიც ეწევიან კომერციულ საქმიანობას, რომელიც განსაზღვრულია სავაჭრო კოდექსის §§ 1 და შემდგომი პარაგრაფებით და 2. არაკომერციული საზოგადოებები (მაგ. სამოქალაქო სამართლის საზოგადოება), რომლებიც ემსახურებიან ყველა სხვა დანარჩენ მიზანს (*Ebke, Finkin*. 165).

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 705-ე და შემდგომი პარაგრაფები გამოიყენება არაკომერციული საზოგადოებებისათვის, მაშინ, როდესაც, კომერციული საზოგადოებების მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია სავაჭრო კოდექსის 105-ე და შემდგომ პარაგრაფებში. ნორმები, რომლებიც, ზოგადად, გამოიყენება საზოგადოებებთან მიმართებით (ძირითადად, სამოქალაქო კოდექსის §§ 705 და შემდგომი) არეგულირებენ კონკრეტულ საკითხებს, რომლებზეც სავაჭრო კოდექსი არ იძლევა სპეციალურ დებულებებს (*Ebke, Finkin*, 165).

სამოქალაქო სამართლის საზოგადოება, ღია სავაჭრო საზოგადოების (*Offene Handelsgesellschaft – oHG*) მსგავსად, იქმნება მონაწილეთა შორის ხელშეკრულების დადებით (§ 705 BGB / § 105 II HGB, § 705 BGB). მისი მონაწილეები შეიძლება იყვნენ ფიზიკური, ან იურიდიული პირები. მსგავსება არის, იმაშიც, რომ ორივე შემთხვევაში, ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება მაშინ არის აუცილებელი, თუკი შენატანს წარმოადგენს უძრავი ქონება (§§ 313, 925 BGB) (*Ebke, Finkin*, 167). მონაწილეები უნდა შეთანხმდნენ საერთო მიზანზე, რომელსაც უნდა ისახავდეს საზოგადოება. ამ მხრივ სხვა სიტუაციაა ღია სავაჭრო საზოგადოებასთან მიმართებით, პარტნიორები უნდა შეთანხმდნენ კომერციული საქმიანობის განხორციელებაზე ერთიანი საფირმო სახელწოდების ქვეშ (§ 105 I HGB). ღია სავაჭრო საზოგადოების საფირმო სახელწოდება, საზოგადოების არსებობის შესახებ მითითების გვერდით, უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, ერთი, ან ყველა პარტნიორის გვარს (§ 19 I HGB) (*Ebke, Finkin*, 167). ღია სავაჭრო საზოგადოება არის უმნიშვნელოვანესი ფორმა პირთა გაერთიანებისა. სავაჭრო კოდექსის განსაზღვრების შესაბამისად, „საზოგადოება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს კომერციული საქმიანობის განხორციელება საერთო საფირმო სახელწოდების ქვეშ, ითვლება ღია სავაჭრო საზოგადოებად, თუკი მისი თითოეული მონაწილის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე არ არის შეზღუდული“ (§ 105). იურიდიული თვალსაზრისით, ხაზი უნდა გაესვას, რომ, ჯერ ერთი, საზოგადოების საქმიანობა უნდა იყოს კომერციული და, მეორე, მისი ყველა პარტნიორი ატარებს სრულ პასუხისმგებლობას. ზემოთქმული განასხვავებს ღია სავაჭრო საზოგადოებას სავაჭრო კოდექსით გათვალისწინებული სხვა საზოგადოებებისაგან (*Бергманн*, XVII).

სამოქალაქო სამართლის საზოგადოების მონაწილეთათვის ნებადართულია ნებისმიერ კანონიერ საერთო მიზანზე შეთანხმება, გარდა კომერციული საქმიანობის წარმოებისა. თუკი რამდენიმე მონაწილე შეუდგება კომერციულ საქმიანობას, ისინი ავტომატურად გარდაიქმნებიან ღია სავაჭრო საზოგადოებად (*oHG*) (*Ebke, Finkin*, 165).

მონაწილეებს თავისუფლად შეუძლიათ გადაწყვიტონ, თუ რომელი საკითხები იქნება დარეგულირებული საზოგადოების ხელშეკრულებით (ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი). ხელშეკრულებაში შესაძლებელია დამატებების შეტანა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, თუკი მონაწილეებმა წინასწარ არ გაითვალისწინეს უმრავლესობის მიერ საზოგადოების მართვის წესი. მაგრამ, ეს წესი გამოიყენება მხოლოდ ჩვეულებრივი საქმიანი ოპერაციებისათვის, ან იმ გადაწყვეტილებათა მისაღებად, რომლებიც პირდაპირ არის მითითებული საზოგადოების ხელშეკრულებაში. „ღია სავაჭრო საზოგადოების“ ცნების იურიდიული განსჯისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში შიდა და გარე ურთიერთობებს: საზოგადოების პარტნიორებს შორის ურთიერთობებს – ერთი მხრივ, და საზოგადოებისა და მისი პარტნიორების ურთიერთობებს მესამე პირებთან – მეორე მხრივ. შიდა ურთიერთობებში პარტნიორები საკმაოდ თავისუფლები არიან, საზოგადოების ხელშეკრულების დადებისა და მისი შინაარსის გაფორმების თვალსაზრისით (თითოეული პარტნიორის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა, საქმეთა გაძღოლა, მოგებისა და ზარალის განაწილება). ამაში ვლინდება, პრაქტიკულად, სრული სახელშეკრულებო თავისუფლება (*Бергманн*, XVII). კომერციული საქმიანობის განმახორციელებელი საზოგადოებებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო სამართლის საზოგადოება, შესაძლებელია, ჩამოყალიბებულ იქნეს და იმართებოდეს, როგორც წმინდა შიდა საზოგადოება (*Ebke, Finkin*, 165).

ის, რომ იურიდიული პირი უნდა ფლობდეს სათანადო ორგანოებს იმისათვის, რომ იყოს უფლებაუნარიანი – გასაგები და უდავოა. ამხანაგობებთან დაკავშირებით, მოქმედებს საზოგადოების ორგანოე-

ბის ფუნქციის თავად მონაწილეების მიერ განხორციელების პრინციპი, ანუ, მონაწილეები თავად უძღვებიან საზოგადოების საქმეებს და, ასევე, თავად წარმოადგენენ მის ინტერესებს. ამასთან ერთად, გერმანიის კანონმდებლობა ადგენს, რომ ისინი ამას ახორციელებენ ერთობლივად, თუმცა, დამფუძნებელ დოკუმენტში შესაძლოა გათვალისწინებული იყოს განსხვავებული წესები (*Книпер*, 204).

საზოგადოების ხელშეკრულებაში უნდა მოხდეს განსაზღვრა, მონაწილეებს შეუძლიათ შენატანების განხორციელება ფულის სახით, თუ პირადი მომსახურებით (§§ 705, 706 III BGB). თუკი საპირისპიროზე არ მომხდარა შეთანხმება, კანონი ითვალისწინებს თანაბარ შენატანებს (§ 706 BGB). თავდაპირველი შენატანების შემდგომი გაზრდა მხოლოდ ყველა მონაწილის თანხმობის შემთხვევაშია დასაშვები (§ 707 BGB) (*Ebke, Finkin*, 165-166). შედარებისათვის, ღია სავაჭრო საზოგადოებასთან მიმართებით, საზოგადოების ხელშეკრულებასა და შენატანებთან დაკავშირებით § 105 II HGB უთითებს სამოქალაქო სამართლის საზოგადოების მარეგულირებელ ნორმებზე (*Ebke, Finkin*, 167). სამოქალაქო სამართლის საზოგადოება, შესაძლოა, არც იყოს რეგისტრირებული რეესტრში, განსხვავებით ღია სავაჭრო საზოგადოებისაგან, რომლის პარტნიორებმაც რეგისტრაციისათვის უნდა მიმართონ ადგილობრივ სამეწარმეო რეესტრს (§§ 106, 107 HGB). თუ საზოგადოება დაიწყებს ბიზნეს საქმიანობის განხორციელებას რეგისტრაციამდე, საზოგადოება მაშინვე განიხილება წარმოშობილად მესამე პირებთან ურთიერთობაში (§ 123 II HGB) (*Ebke, Finkin*, 167). სამოქალაქო სამართლის საზოგადოების მსგავსად, ღია სავაჭრო საზოგადოების პარტნიორებს აქვთ ერთგულების მოვალეობა როგორც საზოგადოების, ისე მათი პარტნიორების წინაშე. ერთგულების მოვალეობას ემატება თითოეული პარტნიორის უფლება თანაბარ მოპყრობაზე (*Ebke, Finkin*, 167).

სამოქალაქო სამართლის საზოგადოება არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და, შესაბამისად, არ არის კორპორაციულად ორგანიზებული. მონაწილეები არიან პერსონალურად, ერთობლივად და ინდივიდუალურად პასუხისმგებელი საზოგადოების კრედიტორების წინაშე. მონაწილეთა პერსონალური პასუხისმგებლობა შეიძლება გამოირიცხოს ან კრედიტორთან შეთანხმებით, ან საზოგადოების ხელშეკრულებაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვით (*Ebke, Finkin*, 166). აღნიშნულის მსგავსად, ღია სავაჭრო საზოგადოებასთან მიმართებით, დადგენილია, რომ იგი, სამოქალაქო სამართლის საზოგადოების მსგავსად, არ არის იურიდიული პირი, მაგრამ მას შეუძლია უფლებებისა და მოვალეობების შეძენა, უძრავ ქონებაზე საკუთრებისა და სხვა უფლებების მოპოვება და საკუთარი სახელით გამოსვლა მოსარჩელედ და მოპასუხედ (§ 124 I HGB) (*Ebke, Finkin*, 168; *Бергманн*, XVII).

ქონება წარმოადგენს მონაწილეთა ერთობლივ საკუთრებას (*Gesamthandsgemeinschaft*, § 719 BGB). ერთობლივი საკუთრების პრინციპი ნიშნავს ქონების ფლობას ორი ან მეტი პირის მიერ არა განსხვავებული წილით, არამედ, ერთობლივად, რა დროსაც თითოეულ მათგანს გააჩნია იდენტური ინტერესი განუყოფელ ერთიანობაში. ქონების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ ყველა მონაწილის თანხმობით, რომელიც შესაძლებელია გამოიხატოს ან საზოგადოების ხელშეკრულებაში (მაგ. ქონების მართვის უფლებამოსილების გაცემა), ან მონაწილეთა საერთო კრებაზე (*Ebke, Finkin*, 166).

ღია სავაჭრო საზოგადოების კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ, პარტნიორების პასუხისმგებლობასა და ერთობლივ საკუთრებასთან დაკავშირებით, გამოიყენება სამოქალაქო სამართლის საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები. თუმცა, აქ არის რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება კრედიტორების წინაშე პარტნიორების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. რადგან პარტნიორის პასუხისმგებლობა წარმოადგენს დამატებით პასუხისმგებლობას საზოგადოების პასუხისმგებლობის გვერდით, შესაძლებელია სარჩელის შეტანა უშუალოდ თითეული პარტნიორის წინააღმდეგ სრული მოცულობით (§ 128 HGB). მართალია, შესაძლებელია პერსონალური პასუხისმგებლობისაგან პარტნიორების გამორიცხვა კრედიტორთან შეთანხმებით, მაგრამ იგი არ შეიძლება გამოირიცხოს არც პარტნიორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის გზით (§ 126 II HGB) და არც საზოგადოების ხელშეკრულებით (*Ebke, Finkin*, 166; *Бергманн*, XVIII).

საზოგადოების მონაწილეთა პირად და სოლიდარულ პასუხისმგებლობასა და მათ უფლებებთან მიმართებით იგივე წესი მოქმედებს, როგორიც ღია სავაჭრო საზოგადოების შემთხვევაში; შესაბამისად, აღნიშნული საკითხი განხილული იქნება სწორედ ამ უკანასკნელის მაგალითზე დაყრდნობით.

ღია სავაჭრო საზოგადოების პარტნიორს, რომელიც პასუხს აგებს კრედიტორის წინაშე, შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება საზოგადოებისაგან (§ 110 HGB). თუ საზოგადოება ვერ შეასრულებს ამ ვალდებულებას, პარტნიორს უფლება აქვს, რომ მიიღოს კომპენსაცია სხვა პარტნიორებისაგან (§ 426 I HGB).

მესამე მხარის წინაშე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს საზოგადოებაში ახალ გაწევრიანებულ პარტნიორსაც. პასუხისმგებლობა ვრცელდება საზოგადოების იმ ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიშვა ახალი პარტნიორის შესვლამდე (§ 130 HGB). საზოგადოებიდან გასულ პარტნიორებს შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშვა მათ გასვლამდე, თუკი სარჩელი აღიძვრება მათი გასვლიდან ხუთი წლის განმავლობაში (§ 160 HGB) (*Ebke, Finkin*,168).

გამოდის რა როგორც საერთო საზიარო საკუთრების საფუძველზე შექმნილი საზოგადოება, ღია სავაჭრო საზოგადოებაში საზოგადოების ვალებისათვის პარტნიორები ატარებენ პირად პასუხისმგებლობას, ე.ი., პასუხს აგებენ, უპირველეს ყოვლისა, თავისი (ინდივიდუალური) ქონებით (*Шюнеманн*, 61).

იურიდიულ პირთან შედარების დროს, საერთო საზიარო საკუთრების საფუძველზე შექმნილი ერთობის სამართალსუბიექტობის სტრუქტურიდან გამოყვანილი ეს მოსაზრება ღია სავაჭრო საზოგადოებისათვის პოულობს საკანონმდებლო დადასტურებას სავაჭრო კოდექსის § 128-ში. კანონის ტექსტის მიხედვით, პარტნიორები სრული მოცულობით ატარებენ პასუხისმგებლობას საზოგადოების ყოველი ვალისათვის; ე.ი., უპირველეს ყოვლისა, თავისი პირადი ქონებით, ისევე, როგორც „სოლიდარული მოვალე". ამასთან ერთად, § 128 უთითებს სამოქალაქო კოდექსის § 421 და შემდგომ დებულებებზე: სოლიდარული მოვალეები ატარებენ პასუხისმგებლობას კრედიტორის სრული და, შესაძლოა, კიდეც დაუსაბუთებელი მიხედულების შესაბამისად, იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ მათგანს და რა მოცულობით უყენებს თავის მოთხოვნას, მოცემული მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებისათვის. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, კრედიტორს შეუძლია თავისი მოთხოვნის რეალიზაცია მხოლოდ ერთხელ. პასუხისმგებლობაში საზოგადოების პარტნიორთა პირადი ჩაბმის ასეთი შესაძლებლობა არსებობს დასაწყისშივე; ე.ი., არა მხოლოდ მაშინ, როდესაც სრული ამხანაგობისათვის წაყენებული მოთხოვნის რეალიზაცია რთულია, მაგალითად, არასაკმარისი ლიკვიდურობის გამო (*Шюнеманн*, 61).

მაგ., თუ ა., ბ. და გ. წარმოადგენენ ღია სავაჭრო საზოგადოების მონაწილეებს, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, დ.-საგან საქონლის მიღების შემთხვევაში, დ.-ს მიმართ გადახდის ვალდებულებაში, 9.000 ევროს მოცულობით, გამოდის ოთხი მოვალე: რა თქმა უნდა, საზოგადოება ვალდებულია, შეასრულოს მოცემული ვალდებულება, როგორც მყიდველმა, თუმცა დ.-ს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია, მაგალითად, ეჭვიანობის ნიადაგზე, წარუდგინოს სრული მოცულობით 9.000 ევროს გადახდის მოთხოვნა ა.-ს, თუ ამ უკანასკნელმა, ამას წინათ, არ დაიკავა დისტანცია დ.-ს მეუღლესთან ცეკვისას, თუმცა, ამ დროს, საზოგადოების სალარო, შესაძლოა, სრულიადაც სავსეა (*Шюнеманн*, 61).

იმდენად, რამდენადაც საერთო საზიარო საკუთრების საფუძველზე შექმნილი გაერთიანების მონაწილეთა პირადი და სოლიდარული პასუხისმგებლობა მოწოდებულია მხოლოდ კრედიტორის მოთხოვნის რეალიზაციის შანსების გასაზრდელად, არ არის არც ეკონომიკური და არც სამართლებრივი მიზეზი იმისა, რომ საზოგადოების პარტნიორზე, რომელმაც დაფარა ვალდებულება თავად საზოგადოებისა და მისი დანარჩენი პარტნიორების ნაცვლად, გადატანილ იქნეს ტვირთი, წარმოადგენდეს, ფაქტობრივად, პირს, რომელიც ფარავს ხარჯებს. რადგან ამგვარი სიტუაციის წარმოშობის საფუძველი იყო საზოგადოების ვალი, ყველაზე სწორ და იაფ საშუალებას წარმოადგენს ანაზღაურებაზე უკუმოთხოვნის წაყენება საზოგადოების ქონების ხარჯზე (ე.წ. ანაზღაურების რეგრესული მოთხოვნა საზოგადოების წინააღმდეგ). ამგვარ შესაძლებლობას ანიჭებს კანონი ღია სავაჭრო საზოგადოების პირადი პასუხისმგებლობის მატარებელ მონაწილეს, სავაჭრო კოდექსის § 110-ით, რაც არცთუ ისე ნათლად გამომდინარეობს კანონიდან (*Шюнеманн*, 61-62).

გარდა ამისა, წმინდა შემთხვევითობის საგანია, თუ სოლიდარული მოვალეებიდან რომელი და რა მოცულობით იქნება ჩაბმული პასუხისმგებლობაში, კრედიტორის მხრიდან. ზუსტად ისევე, ზემოთ მოყვანილ მაგალითში, ა.-ს ადგილას, რომელსაც დ.-მ დააკისრა თანხის გადახდა, შესაძლოა, ყოფილიყო ბ. ან გ. სწორედ ამიტომ, სოლიდარულმა მოვალეებმა – იმისგან მიუხედავად, არიან თუ არა ისინი საზოგადოების პარტნიორები, _ შესაბამისი ზომით უნდა აანაზღაურონ ხარჯები სამოქალაქო კოდექსის § 426 I და II-ის მიხედვით, თუ კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მხრიდან. ამგვარი რეგრესული მოთხოვნის (ანაზღაურების) ზომა განისაზღვრება, როგორც წესი, თანაბარი წილით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ასეთი განსხვავებული დებულებები შეიძლება განმტკიცებულ იქნეს სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში, ზარალში განსხვავებული წილების დადგენის გზით (იხ. ასევე სამოქალაქო კოდექსის § 722 I, რომელიც, სავაჭრო კოდექსის § 105 I-ის საშუალებით,

ვრცელდება, მათ შორის, ღია სავაჭრო საზოგადოებაზე). სტანდარტულ სიტუაციაში, თუკი კვლავ დავუბრუნდებით მაგალითს, ა.-მ, რეგრესული მოთხოვნის დროს, სამოქალაქო კოდექსის § 426-ს თანახმად, უნდა იკისროს ხარჯების დაფარვა 3.000 ევროს ოდენობით. ამასთან ერთად, სამოქალაქო კოდექსის § 426 I-ის მიხედვით, არანაირ როლს არ თამაშობს, თუ სოლიდარული ვალდებულებიდან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნის გადასვლაზე კანონის საფუძველზე (სამოქალაქო კოდექსის § 426 II) (*Шюнеманн*, 62).

რადგან „კეთილსინდისიერების" პრინციპიდან გამომდინარე (იხ. სამოქალაქო კოდექსის § 242), საზოგადოების თითოეული პარტნიორი იღებს ე.წ. ურთიერთნდობის ვალდებულებას საზოგადოების სხვა პარტნიორებთან ურთიერთობაში, იგი გამოიხატება შესაძლებლობაში, დაიცვას თავისი პირადი ქონება, მათ შორის, რეგრესული მოთხოვნის დროსაც, ანუ, აუცილებელია, სცადოს რეგრესული მოთხოვნის რეალიზაცია, სავაჭრო კოდექსის § 110 თანახმად, საზოგადოების წინააღმდეგ. მხოლოდ წარუმატებლობის შემთხვევაში ან არსებითი სირთულეების წარმოშობისას, შეუძლია, იმოქმედოს სამოქალაქო კოდექსის § 426-ის მიხედვით (*Шюнеманн*, 62).

სამოქალაქო სამართლის საზოგადოებასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, როგორც წესი, მოქმედებს იგივე წესები მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, მათ შემთხვევაში, არ არსებობს ამგვარი მკაფიო ნორმები, როგორიც ღია სავაჭრო საზოგადოების შემთხვევაშია. სამოქალაქო სამართლის საზოგადოების ვალებისათვის მონაწილეთა პირად, სოლიდარულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, აქ უნდა დაემატოს შემდეგი: ამგვარი პირადი ქონებრივი პასუხისმგებლობა გამომდინარეობს საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებიდან, საერთო საზიარო საკუთრების საფუძველზე შექმნილი გაერთიანების სტრუქტურასთან მიმართებით, რომელიც არ უშვებს იურიდიული პირებისათვის დამახასიათებელ ქონებრივი განცალკევების პრინციპს. ამგვარი მიდგომისას, სავაჭრო კოდექსის § 128-ს სულაც არ აქვს მკაცრი კავშირი ღია სავაჭრო საზოგადოების სპეციალურ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასთან, არამედ, განსაზღვრავს საერთო საზიარო საკუთრების პრინციპს, მათ შორის, სამოქალაქო სამართლის საზოგადოებისთვისაც. ამგვარი მსჯელობა ამართლებს სავაჭრო კოდექსის § 128-ის ანალოგიით გამოყენებას სამოქალაქო სამართლის საზოგადოებასთან დაკავშირებით. მონაწილეთა რეგრესული მოთხოვნა სამოქალაქო სამართლის საზოგადოების წინააღმდეგ, ასევე, დადგენილია კანონში, თუმცა გამოიყვანება ლოგიკური კავშირების რთული ჯაჭვის გზით სამოქალაქო კოდექსის §§ 713-ე, 670-ე პარაგრაფებიდან („მინდობილი პირი" = საზოგადოების მონაწილე; ხარჯები = საზოგადოების კრედიტორის სასარგებლოდ შესრულების საერთო ჯამი; „მიმნდობი" = სამოქალაქო სამართლის საზოგადოება) (*Шюнеманн*, 62-63).

კანონი ითვალისწინებს მონაწილეების მიერ საზოგადოების ერთობლივ მართვას (*Geschäftsführung*, § 709 BGB), მაგრამ, მონაწილეებს შეუძლიათ, შეთანხმებით, მიანდონ საზოგადოების მართვა ერთ ან რამდენიმე მონაწილეს (§ 710 BGB). მესამე პირები ვერ იქნებიან მმართველები. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ღია სავაჭრო საზოგადოებასთან მიმართებითაც. მონაწილეები თანხმდებიან მართვის უფლებამოსილების ფარგლებზე. თუ საზოგადოების ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საზოგადოების მართვის უფლებამოსილება კომბინირებულია მონაწილეთა წარმოდგენის უფლებამოსილებასთან (*Vertretung*, § 714 BGB) (*Ebke, Finkin*. 166). შედარებისათვის, ღია სავაჭრო საზოგადოებაში თითოეულ მმართველ პარტნიორს შეუძლია, წარმოადგინოს საზოგადოება სასამართლოსა და მის გარეთ (§ 126 I HGB). მისი უფლებამოსილება, წარმოადგენდეს საზოგადოებას, მესამე პირების წინაშე, შეუზღუდავია და არ შეიძლება ამის შეზღუდვა საზოგადოების ხელშეკრულების სპეციალური დებულებებით (§ 126 II HGB). ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, ღია სავაჭრო საზოგადოებაში, მმართველი პარტნიორების შიდა უფლებამოსილება, შესაძლოა, შეიზღუდოს. მმართველი პარტნიორები, რომლებიც არ არიან დაქვემდებარებული ამგვარ შიდა შეზღუდვებს, პასუხს აგებენ ყველა ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია საზოგადოების მიერ. მმართველი პარტნიორი, შესაძლოა, გათავისუფლებულ იქნეს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე (§§ 117, 127 HGB) (*Ebke, Finkin*, 168).

სამოქალაქო სამართლის საზოგადოების მონაწილეები, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოებას, მოქმედებენ ყველა მონაწილის სახელითა და ხარჯზე. საზოგადოების ერთობლივ საქმეებში მონაწილეთა წარმოდგენის უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს. შეზღუდვა, შესაძლებელია, იყოს ისეთი, რომ გარიგების ფარგლებში შესრულებული ვალდებულება ნამდვილი იყოს მხოლოდ მონაწილეთა პირადი პასუხისმგებლობის გამორიცხვის პირობით. თუმცა, წარმომადგენლობის უფლებამოსილების შეზღუდვა, თუ იგი არ არის ღია ან აშკარა, სულ მცირე, აღქმადი უნდა იყოს კრედიტორებისათვის. მონაწი-

ლეები, რომლებიც მოქმედებენ მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ, პასუხს აგებენ კრედიტორების წინაშე (§§ 177, 179 BGB) (*Ebke, Finkin*, 168).

სამოქალაქო სამართლის საზოგადოებაში, მოგება და ზარალი ნაწილდება მონაწილეთა რაოდენობის პროპორციულად (§ 722 BGB), თუკი მონაწილეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი (მაგ. განაწილება თითოეული მონაწილის შენატანის პროპორციულად) (*Ebke, Finkin*, 168).

სამოქალაქო კოდექსის §§ 723 და შემდგომ პარაგრაფებში გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის საზოგადოების გაუქმების ოთხი საფუძველი: 1. მონაწილის მიერ საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე შეტყობინება; 2. მონაწილის გარდაცვალება; 3. მონაწილის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება, ან 4. გაუქმება საზოგადოების ხელშეკრულებით შეთანხმებული საფუძვლებით. გაუქმების შემდეგ, ადგილი აქვს ლიკვიდაციას (§§ 730 და შემდგომნი BGB). მონაწილეები ასრულებენ არსებულ გარიგებებს, თავს უყრიან შეუსრულებელ მოთხოვნებს, ახდენენ ქონების რეალიზაციას და აკმაყოფილებენ ვალდებულებებს. შენატანები ანაზღაურდება დარჩენილი ქონებიდან (§ 733 BGB) (*Ebke, Finkin*, 168). დანარჩენი ქონება იყოფა მონაწილეებს შორის თანაბრად ან მათი შენატანების წილის პროპორციულად (§ 734 BGB) (*Ebke, Finkin*, 167). მოგებისა და ზარალის განაწილება, გაუქმება და ლიკვიდაცია – ეს ყოველივე ღია სავაჭრო საზოგადოებაში ხორციელდება იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც აღწერილ იქნა, სამოქალაქო სამართლის საზოგადოებაზე საუბრის დროს. გარდა სამოქალაქო კოდექსის მიერ დაწესებული საზოგადოების გაუქმების საფუძვლებისა, გერმანიის სავაჭრო კოდექსი საზოგადოების გაუქმების საშუალებას იძლევა სასამართლოს გადაწყვეტილებით, პარტნიორის შუამდგომლობის საფუძველზე, საპატიო მიზეზის არსებობისას. განსხვავებით სამოქალაქო სამართლის საზოგადოებისაგან, ღია სავაჭრო საზოგადოებაში წევრობა, შესაძლოა, მოპოვებულ იქნეს მემკვიდრეობით ან უფლებამონაცვლეობით, თუკი ამას ითვალისწინებს საზოგადოების ხელშეკრულება (§ 139 II HGB) (*Ebke, Finkin*, 168).

გერმანიის სამოქალაქო კოდექსით, სამოქალაქო საზოგადოება ამხანაგური ტიპის საზოგადოებათა ძირითადი ფორმაა. აღნიშნული საზოგადოების მართვასა და მის მონაწილეთა ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები გაშუქებულია გერმანული სამართლითვე გათვალისწინებულ ღია სავაჭრო საზოგადოებასთან შედარების ჭრილში, რაც საშუალებას იძლევა, წარმოჩინდეს ამ ორი ფორმის მსგავსება-განსხვავება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. *ამირანაშვილი გ.,* ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) სამართლებრივი ბუნება ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, გზა ევროინტეგრაციისაკენ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, თბ., 2014;

2. *ბეთანელი ქ., მასბაუმი მ.ს.*, საკორპორაციო სამართალი საქართველოში, ჟურნ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 6/2003-2/3;

3. *ბურდული ი.*, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში (განსაკუთრებით მისი ჩამოყალიბების პროცესში) ქართული და ავსტრიული სამართლის მაგალითზე, თბ., 2008;

4. *ჯანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. „სამართალი“, თბ., 2011;

5. *Бергманн В.*, Введение к пониманию германского торгового права и корпоративного права, კრებულში: Торговое уложение Германии. Закон об акционерных обществах. Закон об обществах с ограниченной ответственностью. Закон о производственных и хозяйственных кооперативах, М., 2005;

6. *Книпер Р.*, Тезисы по избранным проблемам органов управления хозяйственных обществ: управления делами и представительство, კრებულში: *Нурыев Я.*, *Чантурия Л.* (изд.), Право. Экономика. Благосостояние. Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане, Ашхабад, 2010;

7. *Чантурия Л.*, Организационно-правовые формы корпораций (сравнительно-правовой анализ), კრებულში: *Нурыев Я.*, *Чантурия Л.* (изд.), Право. Экономика. Благосостояние. Актуальные вопросы правовой реформы в Туркменистане, Ашхабад, 2010;

8. *Шюнеманн В.Б.,* Частное экономическое право: Правовые основы для экономистов, Минск, 2007;

9. *Leyens P.C.,* German Company Law: Recent Developments and Future Challenges, German Law Journal, Vol. 06, No. 10, 2005;

10. *Ebke W.F.*, *Finkin M.W.* (Eds.), Introduction to German Law, Kluwer Law International, Hague, 1996.

გ. ამირანაშვილი

სამოქალაქო სამართლის საზოგადოება გერმანულ სამართალში (ღია სავაჭრო საზოგადოების მომწესრიგებელ ნორმებთან შედარების ჭრილში)

რეზიუმე

ყველა განვითარებული სამართლებრივი სისტემა ანიჭებს სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის უფლებას არამხოლოდ ცალკეულ ფიზიკურ პირს, არამედ, ასევე, პირთა გაერთიანებას. მათი უმრავლესობა ითვლება იურიდიულ პირად და მონაწილეობს ურთიერთობაში, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი. ბევრი გაერთიანება კი, მართალია, არ ითვლება იურიდიულ პირად, თუმცა, მასაც აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა სამართალურთიერთობაში.

გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, იურიდიულ პირს არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის საზოგადოება, რომელიც 1896 წლის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მოწესრიგების საგანს წარმოადგენს.

პირთა გაერთიანების ეს სამართლებრივი ფორმა ყურადღებას იმსახურებს იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს ამხანაგობის მომწესრიგებელ ნორმებს, რომლებიც დიდ მსგავსებას ავლენენ სწორედ სამოქალაქო სამართლის საზოგადოების მარეგულირებელ დებულებებთან.

გარდა ამისა, საინტერესოა სამოქალაქო სამართლის საზოგადოების შედარება ღია სავაჭრო საზოგადოებასთან, რამდენადაც, ეს უკანასკნელი ზოგიერთ ასპექტში სამოქალაქო სამართლის საზოგადოებას წააგავს. საბოლოო ჯამში, ეს ანალიზი ხელს შეუწყობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ამხანაგობის არსისა და დანიშნულების უკეთ გაგებას.

G. Amiranashvili

A Civil Law Partnership in German Law
(in Comparison with the Regulations of a General Commercial Partnership)

Summary

All the developed legal systems grant the right to participate in civil activities not only to a particular natural person, but also to the union of persons. Their majority is considered a legal entity and participates in the relationship as an independent subject of law. Many unions, however, are not regarded to be a legal entity, but they also have their rights to take part in legal relationships.

According to the German legislation, a Civil Law Partnership is not a legal entity, which is the subject regulated by the German Civil Code of 1896.

Such a legal form of the union of persons deserves attention as far as the Civil Code of Georgia contains the norms regulating the Partnership, which reveals much similarity with the provisions that regulate a Civil Law partnership.

Furthermore, it is interesting to compare a Civil Law Partnership with a General Commercial Partnership as the latest resembles with the former in some aspects. Finally, this analysis will encourage the better understanding of the essence and purpose of the Partnership regulated by the Civil Code of Georgia.

გ. ლობჭანიძე

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში მომხდარი ტერაქტების საერთაშორისო სამართლებრივი შეფასება

2015 წლის 13 ნოემბერს პარიზში განხორციელებული ტერაქტები, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ იყო ორგანიზებული საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა, უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის დასრულების შემდეგ, შემდეგნაირად შეაფასა: „ეს არის ომის აქტი, ამ თავდასხმის უკან ტერორისტული არმია, „ისლამური სახელმწიფო“ და ჯიჰადისტები დგანან, რომლებიც საფრანგეთისა და იმ ფასეულობების წინააღმდეგ გამოდიან, რომელსაც მსოფლიოში ვიცავთ“.

ე.ი. საფრანგეთის პრეზიდენტმა მომხდარ ტერაქტებს „ომის“ კვალიფიკაცია მიანიჭა, მისეულმა შეფასებამ ასახვა ჰპოვა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ლიდერების გამოსვლებში.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საფრანგეთში განხორციელებული ტერორისტული აქტები დაგმო და საფრანგეთს მხარდაჭერა გამოუცხადა. პრეზიდენტ ობამას განცხადება თეთრი სახლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ობამას შეფასებით, ეს იყო თავდასხმა არამხოლოდ ფრანგ ხალხზე, არამედ თავდასხმა მთელ კაცობრიობაზე და უნივერსალურ ფასეულობებზე. ბარაკ ობამას თქმით, აშშ მზად არის, საფრანგეთს ყველა სახის დახმარება გაუწიოს — „ტერორიზმსა და ექსტრემიზმთან ბრძოლაში ჩვენ ფრანგებთან ერთად ვართ“. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი ტერაქტების ორგანიზატორი, აშშ, სხვა ქვეყნებთან ერთად, მზად არის ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ტერორისტების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს — განაცხადა ობამამ.

დიდი ოცეულის ქვეყნები ტერორს ომს უცხადებენ. როგორც „დოიჩე ველე“ იტყობინებოდა, ეს განცხადება გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა თურქეთში, „დიდი ოცეულის“ სამიტზე გააკეთა.

„ჩვენ ვაგზავნით მკაფიო სიგნალს იმის შესახებ, რომ ტერორიზმის ნებისმიერ ფორმაზე უფრო ძლიერები ვართ“ — განაცხადა მერკელმა.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საფრანგეთის პრეზიდენტს ფრანსუა ოლანდს და ფრანგ ხალხს სამძიმარი გამოუცხადა. „თქვენო აღმატებულებავ, მთელი საქართველო შეძრა საფრანგეთში მომხდარმა საზარელმა ტერორისტულმა აქტებმა, რომლებსაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. ეს არის მთელი ცივილიზებული სამყაროსა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომელთან ბრძოლაშიც ყველა უნდა გავერთიანდეთ. ბატონო პრეზიდენტო, ქართველი ხალხი და მე ვიზიარებთ ფრანგი ხალხის ამ უდიდეს ტკივილს. ჩვენ ვდგავართ თქვენ გვერდით და მტკიცე თანადგომას გიცხადებთ ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ ძალისხმევაში.

გთხოვთ, ჩემი სამძიმარი გადასცეთ დაღუპულთა ოჯახებს, დაშავებულებს კი სწრაფ გამოჯანმრთელებას ვუსურვებ“ — აღნიშნულია საქართველოს პრეზიდენტის სამძიმრის წერილში.

რუსეთის პრეზიდენტის — ვლადიმერ პუტინის განცხადებით, ტერორიზმის საფრთხესთან გამკლავება მხოლოდ მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევით არის შესაძლებელი. ამის შესახებ რუსული მედია წერს.

„ჩვენ კარგად გვესმის, რომ ტერორისტულ საფრთხესთან გამკლავება და მილიონობით ადამიანის დახმარება, რომელთაც დაკარგეს სახლები, შესაძლოა მხოლოდ მსოფლიო საზოგადოების გაერთიანებით“. — განაცხადა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა საფრანგეთის ტერაქტებისას დაღუპულთა ოჯახებსაც მიუსამძიმრა და მომხდარს საშინელება უწოდა.

ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის იბრაჰიმ ალ-ჯაფარის განცხადებით, მისი ქვეყანა ფლობს ისლამისტების მიერ საფრანგეთში, აშშ-სა და ირანში მოსალოდნელი ტერორისტული თავდასხმების შესახებ ინფორმაციას. ამის შესახებ „როიტერი“ იუწყებოდა.

სააგენტოს მონაცემებით, ჯაფარიმ განაცხადა, რომ შესაბამისი ინფორმაცია ამ ქვეყნებს უკვე გადაეცათ. თუმცა, მას არ დაუკონკრეტებია დრო, თუ როდის უნდა განხორციელდეს ეს თავდასხმები და არც მათი ინიციატორების შესახებ მიუწოდებია კონკრეტული მონაცემები.

სამწუხაროდ ხდება, როცა ამა თუ იმ სახელმწიფოს სპეცსამსახურებს აქვთ გარკვეული ინფორმაციები ტერაქტების მზადების თაობაზე, მაგრამ აგვიანებენ პრევენციული ზომების გატარებას. თავის დროზე ასეთი მიდგომა გამოვლინდა აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბრის მაგალითზე (ლობჟანიძე, 35).

ევროპის ისტორიაში 13 ნოემბრის საღამო, როდესაც ტერორისტებმა საფრანგეთის დედაქალაქს შეუტიეს, „სისხლიანი პარასკევის“ სახელით შევა. პარიზის ექვს სხვადასხვა ადგილს ტერორისტები ერთდროულად დაესხნენ თავს, მათ სამიზნედ ქცეული მშვიდობიანი მოსახლეობა კი სრულიად დაუცველი აღმოჩნდა. ტერაქტების სერიაზე პასუხისმგებლობა იკისრა „ისლამურმა სახელმწიფომ“. ფრანგულ და არაბულ ენებზე გავრცელებული მათი განცხადებების მიხედვით, ეს თავდასხმები წინასწარმეტყველ მუჰამედის შეურაცხყოფისა და „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საფრანგეთის საჰაერო დარტყმების პასუხი იყო.

პარიზის პროკურორის ინფორმაციით, ტერაქტებში სამი ჯგუფი მონაწილეობდა.

პარიზში მომხდარი თავდასხმების დროს, ტერორისტები სამ კარგად ორგანიზებულ და კოორდინირებულ ჯგუფად მოქმედებდნენ. როგორც „ბიბისი“ იტყობინებოდა, ამის შესახებ პარიზის პროკურორმა ფრანსუა მილენმა განაცხადა. მისი თქმით, თავდამსხმელებს ე.წ. შაჰიდის ქამრები ეკეთათ და კალაშნიკოვის სისტემის ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულები. „ჩვენ უნდა დავადგინოთ, საიდან ჩამოვიდნენ ისინი და ვინ აფინანსებდა მათ“, — განაცხადა მან.

მოლენის განცხადებით, ერთ-ერთი თავდამსხმელი 30 წლის მამაკაცი იყო, რომელიც პარიზის გარეუბანში დაიბადა. კრიმინალური წარსულის მქონე ახალგაზრდა 2010 წელს ისლამისტებს დაუახლოვდა, რის გამოც სპეცსამსახურების მეთვალყურეობის ქვეშ იყო, თუმცა არცერთ დაჯგუფებაში არ გაწევრიანებულა.

პარიზის პროკურორმა ასევე განაცხადა, რომ ტერაქტების გამოძიების ფარგლებში, დააკავეს 3 ადამიანი, აქედან ერთი — საფრანგეთი-ბელგიის საზღვარზე. მოლენმა დაადასტურა, რომ ერთ-ერთ თავდამსხმელს სირიის მოქალაქის პასპორტი ჰქონდა. მან ასევე უარყო მედიაში გავრცელებული ინფორმაცია 8 თავდამსხმელზე და განაცხადა, რომ ტერაქტები 7-მა ადამიანმა განახორციელა, აქედან 6-მა თავი აიფეთქა. მისი თქმით, სამართალდამცველებთან მოლაპარაკებების დროს, ტერორისტები სირიასა და ერაყს ახსენებდნენ.

ფრანგული მედიის გავრცელებული ინფორმაციით, პარიზის ტერაქტებში 15-18 წლის მოზარდებიც მონაწილეობდნენ. როგორც Le Figaro წყაროზე დაყრდნობით წერდა, პარიზში ტერაქტების მომწყობი 7 „ბოევიკიდან“ ორის ასაკი დაახლოებით 15-18 წელია. საფრანგეთის პარლამენტის წევრმა და ქალაქ შარტრის მერმა, პიერ ჟორჟმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ დაწერა, რომ მეორე თვითმკვლელი ტერორისტი იყო ისმაილ ომარ მოსტეფა. მისი თქმით, ტერორისტი შარტრში დაახლოებით 2012 წლამდე ცხოვრობდა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სამართალდამცავებმა ტერაქტების კიდევ ერთი მონაწილის ვინაობის დადგენა შეძლეს და ის საფრანგეთის მოქალაქე იყო. მათი უმრავლესობა სირიაში იმყოფებოდა ან კავშირი ჰქონდა ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან.

გაეროს გენერალურ მდივანმა პან გი მუნმა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სირიის კრიზისის გადასაჭრელად საჩქარო და ეფექტური ნაბიჯების გადადგმა მოითხოვა. ამის შესახებ მან „დიდი ოცეულის“ სამიტზე, რომელიც თურქეთის ქალაქ ანტალიაში მიმდინარეობდა, სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„განსაკუთრებით მივმართავ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, სერგეი ლავროვს და აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, ჯონ ქერის, რათა მათ დააჩქარონ ურთიერთქმედება სირიის პრობლემასთან მიმართებაში. ახლა დადგა ის დრო, როდესაც მათ და მთელმა საერთაშორისო საზოგადოებამ კოლექტიურად უნდა იმოქმედონ. საჩქაროდ უნდა გამოინახოს სირიის პრობლემის გადაჭრის გზები და დასრულდეს ძალადობა“ — აღნიშნა პან გი მუნმა. მისივე თქმით, ვენაში მოლაპარაკებებისას სირიასთან დაკავშირებით პროგრესი მიღწეულია. „ზომები უნდა იქნას მიღებული კაცობრიობისთვის. პარიზში მომხდარი თავდასხმები გვიჩვენებს, რომ ტერორიზმმა მოქმედებები დიდი მასშტაბებით დაიწყო. ვიმედოვნებ, „ოცეულის“ ლიდერები ტერორიზმის საფრთხის წინაშე ერთიანები იქნებიან“, — განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა.

პარიზში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ ევროპისა და აზიის მრავალმა ქვეყანამ გაამკაცრა კონტროლი სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე, ტარდება სპეციალური ზომები განსაკუთრებით სირიიდან ლტოლვილ მოსახლეობაზე, მას შემდეგ როცა დასტურდება ტერორისტების ახლო კავშირი სირიელ ექსტრემისტებთან. საქართველოში მიღებული იქნა უსაფრთხოების ყველა ზომა. ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ნინო გიორგობიანმა განაცხადა. „პარიზში მომხდარი ტერორისტული აქტების შემდეგ, საქართველოში მიღებულია უსაფრთხოების ყველა ზომა, მათ შორის, გამკაცრებულია უსაფრთხოების ზომები საზღვრებსა და აეროპორტებში. ასევე, გამკაცრებულია კონტროლი ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტზე“.

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში სხვადასხვა ადგილზე განხორციელებულმა ტერაქტების სერიამ განსაკუთრებული სისასტიკის ფორმა მიიღო. შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ რესტორნებს, საკონცერტო დარბაზებსა და საფეხბურთო სტადიონს. იმ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ტერაქტების შედეგად სულ მცირე 153 ადამიანი დაიღუპა და 200-ზე მეტი დაშავდა.

აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა თურქეთში ჩავიდა, სადაც დიდი ოცეულის სამიტი გაიხსნა. სამიტი უსაფრთხოების გაძლიერებული ზომების ფონზე ჩატარდა და ძირითადი მსჯელობა პარიზის ტერაქტების ირგვლივ წარიმართა. უცხოური მედიის ინფორმაციით, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა მსოფლიო თანამეგობრობას ექსტრემიზმის წინააღმდეგ ერთობისკენ და სირიაში სამოქალაქო ომის დასრულებისკენ მოუწოდა.

აღსანიშნავია, რომ ვენის მოლაპარაკებების მონაწილეებმა სირიის გარდამავალი მთავრობის ფორმირების გრაფიკი შეათანხმეს.

ასე იხსენებს პარიზის სისხლიან ღამეს ემიგრანტი ქართველი ნანა ფიფია, რომელსაც ჟურნალისტები დაუკავშირდნენ:

„წუხანდელი ღამე პარიზში იყო კოშმარი. იმაზე დიდი კოშმარი, ვიდრე „შარლი ებდოზე“ თავდასხმის დროს. ადამიანებს ჰქონდათ განცდა, რომ ტერორისტების წინაშე სრულიად დაუცველები იყვნენ. ჩემი შვილი მეგობრის სახლიდან ბრუნდებოდა, შევთანხმდით, რომ ერთმანეთს შევხვდებოდით და ერთად წამოვიდიდით შინ... ამ დროს, სენასთან ახლოს, მარჯვენა სანაპიროზე სროლის ხმა გაისმა, ქუჩაში პანიკა ატყდა. გამვლელებმა იქვე მდებარე სავაჭრო ცენტრს მივაშურეთ, თუმცა არ ვიცოდით, რომ იქ დაცული ვიქნებოდით... სროლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა, შემდეგ გაირკვა, რომ ტერორისტებმა იარაღიდან ცეცხლი იქვე არსებულ რესტორნებს გაუხსნეს... არ მახსოვს იქ რამდენ ხანს ვიყავით, რადგან შიშმა დროის აღქმის განცდა დამაკარგვინა. პირველ რიგში ჩემს შვილს დავურეკე. ცოცხალი ვარ დედა, მითხრა მან და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ გადავრჩი“.

მისივე თქმით, „სტად დე ფრანსის“ სტადიონზე მიმდინარე გერმანია-საფრანგეთის ამხანაგურ მატჩს რამდენიმე ქართველი ესწრებოდა, მოგეხსენებათ, თამაშის მიმდინარეობისას სტადიონთან თვითმკვლელმა ტერორისტმა აიფეთქა თავი. ქართველები არ დაშავებულან.

ყველა მათგანს ვესაუბრე, დაზიანება არავის მიუღია, თუ ფსიქოლოგიურ სტრესს არ ჩავთვლით... სრული შოკი ჰქონდათ და კარგა ხანს ადგილიდან ვერ იძვროდნენ, ისინი სამართალდამცველებმა გამოიყვანეს და რამდენიმე მათგანი კარგა ხანს ხმას ვერ იღებდა... შემდეგ იხსენებდნენ თუ რა ხდებოდა, – „ისინი“ რაღაც გაუგებარ სიტყვებს გაჰყვიროდნენ, შემდეგ მივხვდით, რომ „ალაჰ აკბარსა“ და „სირიისათვის“ ყვიროდნენ. მატჩი ჩვეულებრივ გრძელდებოდა, თითქოს არაფერი ხდებოდა. შემდეგ აუხსნეს, რომ სტადიონი პანიკის გარეშე უნდა დაგვეტოვებინა და ცდილობდნენ ეს ყველაფერი მშვიდად გაეკეთებინათ, მაგრამ მათ ნახეს დახოცილი ადამიანები. სტადიონზე ხომ ორჯერ განახორციელეს თავდასხმა...

„სამართალდამცველები ცდილობდნენ სისხლიანი ადამიანები არ დაგვენახა, მაგრამ ისინი ჩვენს გარშემო იყვნენ და შეუძლებელი იყო არ დაგვენახაო...“ – მიყვებოდა ჩემი მეგობარი, რომელიც ამბობდა, რომ შემდეგ გააცნობიერა, თუ როგორ გადაურჩა სიკვდილს. ძალიან ცუდად გრძნობს თავს ჩემი შვილი, რომელსაც როკ-კონცერტზე თავდასხმის დროს 3 მეგობარი დაეღუპა.

„იცით, რა საშინელია კამიკაძე ქალი? ტერაქტის წინ ღიღინებს და მერე თავს იფეთქებს“ — სინანულით ყვებიან თვითმხილველები.

ჟურნალისტებს უამბობდა პარიზში მყოფი ქეთი ლობჟანიძე (ექიმი): „პოლიცია მოგვიწოდებს, ქუჩაში გასვლისგან თავი შევიკავოთ, რადგან ტერორისტებს ეძებენ და ყოველ წამს მოსალოდნელია სროლა. ფრანგებმა გამაოცეს – ვაჟკაცურად, ღირსეულად, „მარსელიოზას“ თანხლებით ტოვებდნენ სტადიონს. სოციალური ქსელებით დაიწყეს მობილიზება ქუჩაში დარჩენილების შესაფარებლად. ისეთი

ჯოჯოხეთია, თავი მძაფრსიუჟეტიანი ფილმის პერსონაჟი მგონია. სამწუხაროდ, თვალსაჩინოა აქაური სპეცსამსახურების უუნარობა, რამაც შესაძლოა უფრო გაათამამოს ტერორისტები“.

ფრანგული სპეცსამსახურების უუნარობაზე საუბარი შესაძლებელია გადაჭარბებული იყოს, მაგრამ მეტი ოპერატიულობა და აქტიურობა რომ საჭიროა, ეს სადავო არ უნდა იყოს.

საფრანგეთის ხელისუფლება დახმარების თხოვნით ევროკავშირს მიმართავს, ევროკავშირის შესახებ შეთანხმების 42.7 სტატიის ამოქმედების თხოვნით, რომლის თანახმადაც, „თუ წევრი სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიაზე შეიარაღებული აგრესიის მსხვერპლი გახდა, სხვა წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, გაეროს წესდების 51-ე სტატიის შესაბამისად, დახმარება და მხარდაჭერა ყველა შესაძლო საშუალებით გაუწიონ“ (გეფერიძე, 207).

ტერაქტების შემდეგ საფრანგეთში უსაფრთხოების ზომები გააძლიერეს. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბერნარ კაზნევის განცხადებით, ქვეყნის მასშტაბით სულ მცირე 115 000 სამართალდამცველი და სამხედროა მობილიზებული.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა მანუელ ვალსმა კი განაცხადა, რომ ფრანგულ სპეცსამსახურებს 10 500 რადიკალი ჰყავს კონტროლზე აყვანილი. ყველა მათგანი სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საშიშ პიროვნებადაა მიჩნეული.

მომხდარის გამო საფრანგეთის პრეზიდენტმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა უსაფრთხოების უმაღლესი დონის შესაბამისად და შემოიღო დროებითი წესები საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე.

გამოძიების ინფორმაციით, თავდასხმები ბელგიაში დაიგეგმა, ხოლო განხორციელდა საფრანგეთში, თანამზრახველების დახმარებით.

ფრანგმა სამართალდამცველებმა, საგანგებო მდგომარეობის პირობებში, უკვე 168 რეიდი ჩაატარეს, დაკავებულია 23 ადამიანი, ამოღებულია 31 ერთეული იარაღი და ფრანგი სამხედროების უნიფორმები. 23 დაკავებულის გარდა, 104 ადამიანს შინაპატიმრობა მიესაჯა. „**ეს მხოლოდ დასაწყისია, ოპერაცია გაგრძელდება“** – განაცხადა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ბერნარ კაზნევმა** და პირობა დადო, რომ პარიზის სისხლიანი ღამის ავტორების მიმართ საპასუხო რეაქცია უმკაცრესი იქნება.

საფრანგეთის პოლიციის ინფორმაციით, 13 ნოემბრის ღამეს პარიზში განხორციელებული ტერაქტების ორგანიზატორი **27 წლის მაროკოელი წარმოშობის, ბელგიაში დაბადებული აბდელჰამიდ აბაუდია, რომელიც ბრიუსელის გარეუბანში, კერძოდ მოლენბეკის რაიონში ცხოვრობდა, ისევე როგორც კიდევ ორი თავდამსხმელი.** სპეცსამსახურების ინფორმაციით, ის „ისლამურ სახელმწიფოში“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჯალათია და ამ დროისთვის სწორედ სირიაში, „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში იმყოფება. ის ასევე ეჭვმიტანილი პარიზში მიმავალ მატარებელსა და დედაქალაქის ერთ-ერთ ეკლესიასზე თავდასხმებში, რომელიც ჩაიშალა.

ბრიუსელში, მონელბეკის რაიონში, სადაც, გავრცელებული ინფორმაციით, პარიზის ტერაქტების მონაწილეები ცხოვრობდნენ, პოლიციამ სპეცოპერაცია ჩაატარა. დაკავებულია 7 ადამიანი, მათგან 2 ტერორიზმშია ეჭვმიტანილი.

გამოძიების ინფორმაციით, თავდასხმები ბელგიაში დაიგეგმა, ხოლო განხორციელდა საფრანგეთში, თანამზრახველების დახმარებით. ამავე დროს საფრანგეთის პოლიცია აგრძელებს გამოძიებას ტერაქტებში მონაწილეთა ვინაობის დადგენის მიზნით. გთავაზობთ გამოძიების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს ტერაქტში შესაძლო მონაწილეების შესახებ:

სალაჰ აბდესლამი – 26 წლის, ბელგიელი. ეჭვმიტანილია პარიზის ტერაქტებში მონაწილეობაში, მასზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა. მას შემდეგ, რაც კვირას პარიზის გარეუბანში პოლიციამ „ფოლკსვაგენ პოლოს“ მარკის ავტომობილი იპოვა, რომელიც სავარაუდოდ ტერაქტის მონაწილეებმა გამოიყენეს, პოლიცია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შესაძლოა სალაჰი თავდამსხმელთა შორის ერთადერთი იყოს, რომელმაც გაქცევა მოახერხა.

პოლიცია მოსახლეობას აფრთხილებს, რომ სალაჰი შეიარაღებული და საშიშია.

დადგინდა, რომ ნაპოვნი მანქანა ბელგიაშია დარეგისტრიებული და ის სალაჰ აბდესლამმა იქირავა. როგორც აღმოჩნდა, სალაჰის და მისი ორი თანამზრახველი ბელგიის საზღვაზე პარიზის ტრაგედიიდან რამდენიმე საათის შემდეგ მივიდნენ, პოლიციამ მათ საბუთები შეუმოწმა და ჩვეულებრივ გაატარა.

ფრანგული არხის – BFMTV-ის ინფორმაციით, სამართალდამცველების წყაროს ინფორმაციით, სალაჰ აბდესლამი და კიდევ ერთი თავდამსმხელი ბელგიის მთავრობამ ამოიცნო.

ბრაჰიმ აბდესლამი – 31 წლის, სალაჰის ძმა. თვითმხილველების ინფორმაციით, ბრაჰიმმა პარიზში, ვოლტერის ბულვარზე აიფეთქა თავი. მისი სახელი დაკავშირებულია აბდელჰამიდ აბაუდის სახელთან, კერძოდ კი კრიმინალურ საქმეებთან, რომელში 2010-2011 წლებში ერთად მონაწილეობდნენ.

ვერვიერი ბრიუსელის გარეუბნის ის დასახლებაა, სადაც ბრაჰიმ აბდესლამი და აბდელჰამიდ აბაუ-დი ცხოვრობდნენ. აქ მოსახლეობის უმეტესობას მუსულმანები შეადგენენ. ბელგიელები ამ ღარიბ რაი-ონს „ჯიჰადისტების გასამრავლებელ ადგილს“ უწოდებენ.

მუჰამედ აბდესლამი – სალაჰისა და ბრაჰიმის კიდევ ერთი ძმა. დააკავეს ბელგიაში 14 ნოემბერს პარიზში განხორციელებულ ტერაქტებში მონაწილეობის ბრალდებით. თუმცა ის ბრალის ვერ დამტკი-ცების გამო გაათავისუფლეს. მისი ადვოკატის, ნატალი გალანტის განცხადებით, მუჰამედმა თავისი ძმის, ბრაჰიმის სიკვდილი მოგვიანებით გაიგო.

ომარ ისმაილ მოსტეფა – 29 წლის, ალჟირული წარმოშობის ფრანგი. მან თავი „ბატაკლანის“ სა-კონცერტო დარბაზში მძევლების აყვანის შემდეგ აიფეთქა. საფრანგეთის ქალაქ კურკორონის მკვიდრი ომარ მოსტეფა, ბოლო წლებში მეჩეთში ხშირად დადიოდა. თუმცა თავად მეჩეთში აცხადებენ, რომ მოს-ტეფას იქ არავინ იცნობდა. პარიზის პროკურორის **ფრანსუა მოლენის** ინფორმაციით, 2004-2006 წლებ-ში მოსტეფამ რამდენიმე დანაშაული ჩაიდინა, რის გამოც პოლიცია მისი პიროვნებით დაინტერესდა. გარდა ამისა, ფრანგული სპეცსამსახურები მისი რადიკალური მოსაზრებების შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ. გამოძიება მიიჩნევს, რომ ომარ მოსტეფა რადიკალური ისლამის მომხრე 2010 წელს გახდა და სავარაუდოდ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სირიაშიც იმყოფებოდა. ფრანგულმა პოლიციამ დააკავა ომარ მოსტეფას მამა და ძმა და მათ სახლში ჩხრეკა ჩაატარა.

სამი ამიმური – 28 წლის, საფრანგეთის მოქალაქე. პარიზის პროკურატურის ინფორმაციით, 2012 წელს მას ბრალად ედებოდა ტერორიზმში მონაწილეობა, თუმცა შემდეგ გაათავისუფლეს და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ამიმურიმ 13 ნოემბრის ტრაგედიისას თავი „ბატაკლანის“ საკონ-ცერტო დარბაზში აიფეთქა. გავრცელებული ინფორმაციით, დააკავეს მისი სამი ნათესავი.

ბილალ ჰადფი – 20 წლის, ბელგიაში მცხოვრები საფრანგეთის მოქალაქე. თავი აიფეთქა პარიზის სტად დე ფრანსის სტადიონზე. არსებული ინფორმაციით, შესაძლებელია ჰადფი სირიაში „ისლამური სა-ხელმწიფოს“ მხარეს იბრძოდა.

აჰმად ალ-მოჰამადი – 25 წლის, დაიბადა სირიაში. არის ვარაუდი, რომ მან თავი აიფეთქა „სტად დე ფრანსის“ სტადიონთან. აფეთქების ადგილას იპოვეს პასპორტი, სადაც მისი სახელი ეწერა. მისი თი-თების ანაბეჭდები აღმოჩნდა იმ ადამიანების ანაბეჭდებთან ერთად, ვისთან ერთადაც საბერძნეთის ტე-რიტორიაზე შევიდა.

ფრანგული გაზეთი Monde წერს, რომ სენ-დენში დაღუპული სამი ტერორისტიდან ერთ-ერთმა ზუსტად ის გზა გაიარა, რაც დაახლოებით იმ 500 000-მა მიგრანტმა, რომლებიც სირიიდან ევროპაში შე-მოვიდნენ. ეს ტერორისტი აჰმად ალ-მოჰამედია, რომელმაც „ოქტომბრის დასაწყისში რამდენიმე დღის განმავლობაში, დაახლოებით 1500 კილომეტრი დაფარა. ის მიყვებოდა „ბალკანის გზას“, რომელიც მიგ-რანტების მთავარი გასასვლელი გზაა ევროპაში მოსახვედრად“. – წერს გამოცემა.

და ბოლოს, უკანასკნელ პერიოდში მომხდარი ტერაქტების ანალიზი იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ ფართოვდება არა მარტო ტერაქტების გეოგრაფია, იზრდება „კამიკაძეთა“ რაოდენობა, ახალგაზ-რდავდება თვითმკვლელთა ასაკი, იზრდება მსხვერპლთა რაოდენობა და სისასტიკე. დასაფიქრებელია, რომ მათ ხელში მომავალში არ მოხვდეს მასობრივი განადგურების იარაღი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. გეფერიძე დ., ხაზალია ა., საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, თბ., 2014;
2. ლობჟანიძე გ., საერთაშორისო ორგანიზაცებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა, თბ., 2002;
3. http://www.ambebi.ge/msoplio/147183-safrangethis-teraqtthan-dakavshirebith-baraq-obama-ganckhadebas-avrcelebs.html;
4. http://www.ambebi.ge/msoplio/147282-angela-merkeli-chven-vagzavnith-mkafio-signals-rom-terorizmis-nebismier-formaze-ufro-dzlierebi-varth.html;
5. http://www.ambebi.ge/politika/147177-giorgi-margvelashvilma-fransua-olands-da-frang-khalkhs-miusamdzimra.html;
6. http://www.ambebi.ge/msoplio/147240-vladimer-putinis-thqmith-terorizmthan-gamklaveba-mkholod-msoflio-thanamegobrobis-dzaliskhmevithaa-shesadzlebeli.html;

7. http://www.ambebi.ge/msoplio/147244-erayis-sagareo-utsyebam-safrangeths-ashsh-s-da-irans-mosalodneli-teraqtebis-shesakheb-informacia-miatsoda.html;
8. http://www.ambebi.ge/sazogadoeba/147266-qthu-sakhmeletho-operacia-ar-daitsyes-teroristebi-mthel-evropas-tsalekavenq.html;
9. http://www.ambebi.ge/msoplio/147228-parizis-prokuroris-informaciith-teraqtebshi-sami-jgufi-monatsileobda.html;
10.http://www.ambebi.ge/msoplio/147230-gavrcelebuli-informaciith-parizis-teraqtebshi-15-18- mozardebic-monatsileobdnen.html;
11.http://www.ambebi.ge/msoplio/147248-gaeros-generaluri-mdivani-sergei-lavrovsa-da-jon-qeris-mimarthavs.html;
12.http://www.ambebi.ge/politika/147200-ra-zomebs-mimartha-mosakhleobis-dasacavad-saqarthvelom-parizis-teraqtis-shemdeg-sus-is-ganckhadeba.html;
13.http://www.ambebi.ge/politika/147238-barak-obama-thurqethshi-didi-oceulis-samitis-gakhsnaze-chavida-rogor-apireben-msoflio-liderebi-terorizmthan-brdzolas.html;
14.http://www.ambebi.ge/sazogadoeba/147266-qthu-sakhmeletho-operacia-ar-daitsyes-teroristebi-mthel-evropas-tsalekavenq.html;
15.http://www.ambebi.ge/sazogadoeba/147233-qcockhali-var-dedaq-ras-hyveba-parizshi-mckhovrebi-qarthveli-siskhlian-ghameze.html;
16.http://www.ambebi.ge/sazogadoeba/147265-qicith-ra-sashinelia-kamikadze-qali-teraqtis-tsin- ghighinebs-da-mere-thavs-ifethqebsq.html;
17.http://www.ambebi.ge/msoplio/147436-parizshi-momkhdari-teraqtebis-gamo-safrangethis-khelisufleba-dakhmarebis-thkhovnith-evrokavshirs-mimarthavs.html;
18.http://www.kvirispalitra.ge/msoflio/27197-parizuli-sasaklaos-sulischamdgmeli-da-misi-thanamzrakhvelebi-vin-arian-isini.html.

გ. ლობჟანიძე

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში მომხდარი ტერაქტების
საერთაშორისო სამართლებრივი შეფასება

რეზიუმე

მოცემული ნაშრომი ეხება საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში მომხდარი ტერაქტების ანალიზს და პოლიტიკურ თუ სამართლებრივ შეფასებებს საერთაშორისო დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი სახელმწიფოების მმართველი პირები და ძალოვანი სტრუქტურები მკაცრად აკრიტიკებენ და გმობენ მსგავსი სახის ტერაქტებს და ცდილობენ პრევენციული ზომების გატარებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მაინც ვერ ხერხდება მსოფლიოში უსაფრთხოების შენარჩუნება და მოსახლეობის სრული დაცვა.

ავტორის აზრით, მათ ვინც მართავს საერთაშორისო დონეზე ძალოვან სტრუქტურებს და ფლობს სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლებას, მოეთხოვებათ პრევენციული ზომების გამკაცრება და ნოვატორული მიდგომების გატარება ტერაქტების აღმოფხვრის მიზნით.

G. Lobzhanidze

International Legal Evaluation of the Terroristic Acts in Paris, the Capital of France

Summary

The given work is dedicated to the analysis of the acts of terrorism in Paris and its political and legal evaluation on the international level. In spite of the fact that the powerful countries' leaders and military forces strictly criticize and condemn the mentioned terrorist acts and try to prevent them through the whole world it is still impossible to defend the world population from the acts totally.

According to the author those who lead the military and civil forces on the international level are obliged to strengthen the security measures and pass innovatory approaches to exterminate the acts of terrorism.

დ. სუხიტაშვილი
თ. სუხიტაშვილი

პასუხისმგებლობა ფულადი ვალდებულების დარღვევისათვის

სამოქალაქო ვალდებულების შესრულება სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს: მოვალის მიერ კრედიტორისათვის ნივთის გადაცემით; სამუშაოს შესრულებით; დაზიანებული ნივთის აღდგენით; ვალდებულების ნატურით შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში ფულადი კომპენსაციის გზით და სხვა. ფულადი ვალდებულება ისეთი სამოქალაქო ვალდებულებაა, რომლის შესრულება იმთავიდანვე ფულადი თანხის გადახდით არის განსაზღვრული. ამიტომ ფულად ვალდებულებად ვერ ჩაითვლება, როცა ვალდებულების ნატურით შესრულებას ფულადი კომპენსაცია ჩაენაცვლება. საერთო წესის მიხედვით ფულადი ვალდებულება წარმოიშობა ფულად-საკრედიტო და ფულად-სასაქონლო ურთიერთობებში.

სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მასში ნათქვამია, რომ „მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი“. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ კოდექსის 403-ე მუხლი ვრცელდება როგორც ფულად-საკრედიტო, ისე ფულად-სასაქონლო ურთიერთობებზე. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვით, მყიდველს საქონლის მიწოდებისათვის ეკისრება გამყიდველისათვის გარკვეული ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება; ნარდობის ხელშეკრულებით შემკვეთი ვალდებულია მენარდეს გადაუხადოს შეთანხმებული საზღაური ფულადი თანხის სახით და სხვა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფულადი ვალდებულებების დარღვევისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის გამოყენებას უპირატესად ფულად-საკრედიტო ურთიერთობებში ვხვდებით.

ფულად-საკრედიტო ურთიერთობების ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა სესხი და საბანკო კრედიტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განიხილავს ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის მე-9 და 21-ე თავში. ეს ინსტიტუტები, მათი ერთმანეთისადმი დიდი მსგავსების გამო, ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსების მიერ მოწესრიგებულია ერთ თავში. რუსეთის სამოქალაქო კოდექსით სესხი და საბანკო კრედიტი განხილულია 42-ე თავში. სესხისა და საბანკო კრედიტის ურთიერთმსგავსება ვლინდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით, კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით.

სესხის ხელშეკრულებამ განვითარების დიდი გზა განვლო. რომის სამართალი სესხის ორი სახის ხელშეკრულებას აღიარებდა, რაც შემდგომ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსმაც გაიზიარა. ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსის 1874-ე მუხლის თანახმად, არსებობს ორის სახის სესხი. ერთ შემთხვევაში გამსესხებელი მსესხებელს სარგებლობისათვის გადასცემს მოუხმარ ნივთს, რასაც ეწოდება სესხი სარგებლობისათვის და გარკვეული ვადის შემდეგ მსესხებელი გამსესხებელს იმავე ნივთს დაუბრუნებს. სესხის მეორე სახე გულისხმობს გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის იმ ნივთის გადაცემას, რაც სარგებლობის შედეგად მოიხმარება. აქ ხელშეკრულების ობიექტი მოხმარებადი ნივთია, ამიტომ ის მსესხებელს გადაეცემა საკუთრების უფლებით და ვალდებულია, დააბრუნოს იმავე გვარისა და რაოდენობის ნივთი.

შემდგომ პერიოდში სხვა ქვეყნებმა სამოქალაქო კანონმდებლობის კოდიფიკაციის დროს სესხის ხელშეკრულების რომაული პრინციპი უარყვეს და ერთმანეთისაგან გამიჯნეს თხოვებისა და სესხის ხელშეკრულებები. ეს ინიციატივა ეკუთვნის გერმანიის სამოქალაქო კოდექსს, რომლის მეორე წიგნის მეშვიდე კარის მეოთხე თავით მოწესრიგებულია თხოვების ხელშეკრულება, ხოლო მეხუთე თავით – სესხის ხელშეკრულება, რის შემდეგაც ეს პოზიცია გაზიარებულ იქნა გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებით.

სესხის ხელშეკრულების ობიექტი, გარდა ფულადი თანხისა, შეიძლება იყოს ნებისმიერი გვაროვნული, მოხმარებადი ნივთი (საკვები პროდუქტები, მარცვლეული, საწვავი და სხვა), მაგრამ სესხის ასეთი ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლს ვერ დაექვემდებარება.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის პროცენტის გადახდა, როგორც სასყიდელი და სხვისი ფულადი სახსრებით უკანონო სარგებლობისათვის პროცენტის გადახდევინების დაკისრება, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობა. სხვისი კაპიტალით სარგებლობი-

სათვის პროცენტის სახით სასყიდლის გადახდა გათვალისწინებულია სესხის, საბანკო კრედიტისა და ანაბრის ხელშეკრულებებით. სამოქალაქო კოდექსის 867-ე და 874-ე მუხლების მიხედვით, საბანკო კრედიტი და ანაბარი ყოველთვის სასყიდლიანი ხელშეკრულებებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მსესხებელი (კრედიტის მიმღები) ვალდებულია, ბანკის ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის ამ უკანასკნელს გადაუხადოს გარკვეული პროცენტი; ხოლო ანაბრის ხელშეკრულებით ბანკი არის ვალდებული მეანაბრეს გადაუხადოს სასყიდელი (პროცენტი). რაც შეეხება სესხის ხელშეკრულებას, ის შეიძლება იყოს, როგორც სასყიდლიანი, ისე უსასყიდლო (სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი). სესხისათვის პროცენტის, როგორც სასყიდლის, გადახდის ვალდებულება და მისი მოცულობის განსაზღვრა ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

სხვისი ფულადი კაპიტალით სარგებლობისათვის პროცენტის, როგორც სასყიდლის, გადახდას ყველა განვითარებული ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები ითვალისწინებენ. მას ითვალისწინებდა საქართველოს 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსიც (მუხ. 208). შემდგომ საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსმა, „უშრომელი შემოსავლის“ წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, მოქალაქეებს შორის დადებული სესხის ხელშეკრულებისათვის პროცენტი აღარ გაითვალისწინა, უფრო სწორად, სესხისათვის პროცენტის მიღება აკრძალა და მევახშეობის სახელწოდებით სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ქმედებად გამოაცხადა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მევახშეობა, როგორც დანაშაულებრივი ქმედება, გაუქმდა და საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის გარეშე შესაძლებელი გახდა მოქალაქეთა შორის დადებული სესხის ხელშეკრულებისათვის სასყიდლის (პროცენტის) დაწესება. იმდროინდელი სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოებრივი კონტროლის არარსებობის გამო სხვისი კაპიტალით სარგებლობისათვის პროცენტის მოცულობა განუსაზღვრელად მაღალი იყო. საბანკო კრედიტის ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი 20-25%-ს შეადგენდა. ამის გათვალისწინებით საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსმა შეზღუდა სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის პროცენტის თვითნებურად განსაზღვრა და თვითონ შემოიღო გადასახდელი პროცენტის (სასყიდლის) გაანგარიშების წესი და მოცულობა (625-ე მუხლი). 2007 წლის 29 ივლისს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სესხისათვის პროცენტის დადგენა და მისი მოცულობის განსაზღვრა კვლავ ხელშეკრულების მონაწილე მხარეების უფლებად გამოცხადდა.

სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის პროცენტის, როგორც სასყიდლისა და პროცენტის, როგორც პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ პროცენტის სახით სასყიდლის გადახდა კანონით (მაგალითად, საბანკო კრედიტი) ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას ემსახურება. ამ დროს მოვალე სხვისი ფულადი კაპიტალით მართლზომიერად სარგებლობს. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლს, მას მხედველობაში აქვს ისეთი შემთხვევა, როცა მოვალეს ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ეკისრება პასუხისმგებლობა პროცენტის გადახდის სახით; ანუ იგი შედეგია სხვისი ფულადი სახსრებით უკანონო სარგებლობისა. კერძოდ, თუ სესხის ხელშეკრულება დადებულია ერთი წლის ვადით, მოვალე სწორედ რომ ამ პერიოდის განმავლობაში არის უფლებამოსილი სარგებლობდეს ფულადი კაპიტალით და ამისათვის იხდის სასყიდელს. ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე მოვალე ვალდებულია სესხი დაუბრუნოს კრედიტორს, წინააღმდეგ შემთხვევაში ითვლება, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ის უკვე უკანონოდ სარგებლობს სხვისი ფულადი სახსრებით და სწორედ ამიტომ ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა პროცენტის გადახდის სახით.

ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასადგენად საჭიროა იმ თავისებურებათა გარკვევა, რაც ფულადი ვალდებულების შესრულებას ახლავს. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის თანახმად, ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა ანდა ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლარი წარმოადგენს ფულადი ვალდებულების შესრულების საშუალებას, იმის მიუხედავად კრედიტორი არის თუ არა ამაზე თანახმა. ფულადი ვალდებულების შესრულების სირთულეს (თავისებურებას) ხშირად ფულის კურსისა და ვალუტის შეცვლა განაპირობებს.

თავისი ბუნებით ფულს მიაკუთვნებენ გვაროვნულ, შეცვლად და გაყოფად ნივთებს, მაგრამ ჩვეულებრივ ამგვაროვანი ნივთებისაგან განსხვავებით, ფულის ეს ნიშნები განსაზღვრულია არა მისი ბუნებრივი თვისებებითა და ცალკეული კუპიურების რაოდენობით, არამედ მასში გამოხატული ფულადი თანხით. ფულის, როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტის, მთავარი თავისებურება იმაში ვლინდება,

რომ ის წარმოადგენს საყოველთაო ექვივალენტს და შესწევს უნარი, ჩაანაცვლოს სასყიდლიანი ხასიათის ყველა ქონებრივი ურთიერთობის ობიექტი (Гражданское право, учебник, часть – 1, под редакцией профессора А.П. Сергеева и профессора Ю.К. Толстого, 214).

ფული სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდია. ის გადახდის კანონიერ საშუალებად ითვლება. ქაღალდის ფული ღირებულების ნიშანია, რომელიც სრულფასოვან ფულს ცვლის მიმოქცევაში. ამიტომ მას არ მოეთხოვება, რომ საკუთარი ღირებულება ჰქონდეს და სრულფასოვანი იყოს. იგი ოქროს ცვლის ქაღალდის სიმბოლოებით, ოქროს წარმომადგენელია. იმის გამო, რომ ქაღალდის ფულს საკუთარი ღირებულება არ გააჩნია, მას არ შეუძლია შეასრულოს ღირებულების საზომის ფუნქცია. იგი საანგარიშო ერთეულის როლში გამოდის და შეუძლია გამოხატოს ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების ფასი. ფულთან შედარებით, ვალუტის ცნება უფრო ფართოა. ფული ვალუტის ერთ-ერთი ნაწილია. მაგალითად, ეროვნული ვალუტა წარმოადგენს სუვერენული სახელმწიფოს ფულად ერთეულსა და სხვა საგადასახდელო ფასიან ქაღალდებს (ბანკნოტი, ჩეკი, თამასუქი და სხვა), რომლებიც გამოიყენება სხვა ქვეყნებთან საკრედიტო, საანგარიშსწორებო და საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობათა უზრუნველსაყოფად. უცხოური ვალუტა კი საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ფულადი ნიშნები და სხვა საკრედიტო საგადასახდელო ფასიანი ქაღალდებია. გამოყენების რეჟიმის მიხედვით ვალუტა შეიძლება იყოს კონვერტირებადი და არაკონვერტირებადი. **კონვერტირებადია ისეთი ვალუტა**, რომელიც იცვლება ნებისმიერ უცხოურ ვალუტაზე და ასრულებს საერთაშორისო საგადასახადო საშუალების ფუნქციას. ასეთებია მაგალითად, ამერიკული დოლარი, ინგლისური გირვანქა სტერლინგი, საფრანგეთის ფრანკი, გერმანული მარკა და სხვა. **არაკონვერტირებადია ვალუტა**, რომელიც ჩაკეტილია ერთი ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში და საერთაშორისო სავალუტო ოპერაციებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესაძლებლობა შეზღუდული აქვს. ასეთი სახელმწიფოები საერთაშორისო ანგარიშსწორებას უცხოური ვალუტით ახორციელებენ. მათ შორისაა საქართველოც (შენგელია, 509-516).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფულადი ვალდებულების შესრულების სირთულეს ხშირად ფულის კურსისა და ვალუტის შეცვლა განაპირობებს. ვალუტის კურსი ანუ გაცვლითი კურსი არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სხვადასხვა ვალუტების მიმართ დადგენილი გაცვლითი კურსი, რის შესახებაც ეროვნული ბანკი პერიოდულად აქვეყნებს და რომელიც გამოიყენება საბუღალტრო და სხვა ოფიციალური მიზნებისათვის („საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის თანახმად, თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის კურსი, მოვალე ვალდებულია, გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. სამოქალაქო კოდექსით დამკვიდრებული ფულადი ვალდებულების შესრულების ეს პრინციპი სრულად შეესაბამება ვალდებულების შესრულების მსოფლიოში აღიარებულ ნომინალიზმის პრინციპს. ნომინალიზმის პრინციპი შემდეგნაირად შეიძლება განვმარტოთ: 2013 წლის 20 იანვარს, სამი წლის ვადით, მხარეთა შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება 500 ლარზე. ამ დროისათვის ლარის კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში შეადგენდა – 1 ამერიკული დოლარი = 1. 67 ლარს. ვალდებულების შესრულების დროისათვის 2016 წლის 20 იანვრისათვის ლარის კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში შეადგენდა – 1 ამერიკული დოლარი = 2, 3 ლარი. აღნიშნულის მიუხედავად, კოდექსის 389-ე მუხლის თანახმად მოვალე ვალდებულია კრედიტორს გადაუხადოს 500 ლარი ანუ იმის მიხედვით, როგორი კურსიც იყო ვალდებულების წარმოშობის დროისათვის.

როგორც ვხედავთ, კოდექსის 389-ე მუხლის შინაარსი ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ფულის კურსის გაზრდის ან შემცირების პირობებში ნომინალიზმის პრინციპის მდგრადობას.

ზემოაღნიშნული ფულადი ანგარიშსწორების შედეგად, შესაძლო ზარალის თავიდან აცილების მიზნით, მხარეებს შეუძლიათ, ფულადი ვალდებულება (მაგალითად, სესხი) უცხოურ ვალუტაში დაადგინონ, თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 383-ე მუხლისა და „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება მაინც ეროვნული ვალუტით უნდა შესრულდეს.

ზემოაღნიშნული მაგალითის მიხედვით, თუ 2013 წლის 20 იანვარს მხარეები დადებდნენ სესხის ხელშეკრულებას 100 დოლარზე, ნომინალიზმის პრინციპის გათვალისწინებით, კრედიტორი მოვალეს გადასცემდა 167 ლარს; თავის მხრივ მოვალე ვალდებული იქნება 2016 წლის 20 იანვარს კრედიტორს დაუბრუნოს ვალი 230 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ნომინალიზმის პრინციპისა, პირველ შემთხვევაში 1 ლარი უდრის ერთ ლარს, ხოლო მეორე შემთხვევაში – 1 დოლარი უდრის ერთ დოლარს.

ფულის კურსის ცვალებადობის ერთ-ერთი პირობა მიმდინარე ინფლაციური პროცესია. ამ დროს, როგორც წესი, ბრუნვაში გამოუშვებენ უფრო მეტ ქაღალდის ფულს, ვიდრე ეს საჭიროა საქონელბრუნ-

ვის ნორმალური მოთხოვნილებით, რაც იწვევს ფულადი ერთეულის გაუფასურებას და მყიდველობითუნარიანობის შემცირებას.

ივარაუდება, რომ სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის გამოყენების საჭიროება სწორედ ასეთ დროს წარმოიშობა; მაგრამ ზეინფლაციური ანუ ჰიპერინფლაციური პროცესების განვითარების პირობებში, როცა ფულის კურსი კატასტროფულად უარესდება, მხარეებს ვერ მოვთხოვთ ნომინალიზაციის პრინციპის დაცვასა და გამოყენებას. ცნობილია, რომ საქართველოში ასეთი პროცესი 1993-1995 წლებში წარიმართა. „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონის გამოშვების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 24 მარტის 246 დადგენილებით, საგადამხდელო საშუალებად შემოღებული იყო „კუპონი“ და ამავე დადგენილების მე-2 პუნქტით თანაფარდობა კუპონსა და მანამდე მოქმედ რუსულ მანეთს შორის განისაზღვრა 1-1-ზე. უკვე 1995 წლისათვის კუპონის ინფლაციური პროცესი იმდენად კატასტროფული იყო, რომ „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის „ლარის“ გაშვების შესახებ“ სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის 363 ბრძანებულებით კუპონის ლარზე გაცვლის კურსი განისაზღვრა 1 000 000 კუპონის 1 ლართან შეფარდებით. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ასეთ პირობებში (ე.წ. კუპონიზაციის პერიოდში) ნომინალიზმის პრინციპის გამოყენება არ იქნება სამართლიანი. ვალუტის შეცვლამდე ამ მდგომარეობიდან გამოსავალს იმაში ვხედავთ, რომ მხარეთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოვიყენოთ შეცვლილი გარემოებისა და შესრულების შეუძლებლობის შესახებ დადგენილი წესი (კოდექსის 398-ე და 401-ე მუხლები).

რაც შეეხება ვალუტის შეცვლას, იგი გულისხმობს ფულად რეფორმას, რაც მიმართულია სახელმწიფოში ფულადი სისტემის განმტკიცებისაკენ. ამ დროს ხდება მიმოქცევაში გაშვებული გაუფასურებული ქაღალდის ფულის ამოღება და გამოიშვება ახალი ფულადი ერთეული. ვალუტის შეცვლის დღეს, ბრუნვიდან ამოღებული და მიმოქცევაში ახლად გაშვებული ფულის გადაცვლითი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად, ხდება ძველი და ახალი ფულის ერთეულების თანაფარდობის დადგენა. ამ წესით განხორციელდა 1961 წელს სსრ კავშირში ფულადი რეფორმა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 4 მაისის დადგენილების პირველი პუნქტის მეორე აბზაცში ნათქვამი იყო, რომ ძველი ფულადი ბილეთები ექვემდებარება ახალ ფულად ბილეთებზე გაცვლას – 10 მანეთი 1 მანეთზე. რაც შეეხება რუსული მანეთის კუპონით შეცვლის და კუპონის ლარით შეცვლის სამართლებრივ ინსტრუმენტს, მასზე ზევით უკვე გვქონდა საუბარი.

ფულადი ვალდებულების შესრულებისას მკაცრად უნდა იყოს დაცული სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის მოთხოვნა და მხოლოდ ამ პირობების დაცვის შემთხვევაშია შესაძლებელი სწორად განვსაზღვროთ პროცენტის, როგორც სასყიდელის ან როგორც პასუხისმგებლობის ფორმა.

სხვისი ფულადი სახსრებით უკანონო სარგებლობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა საფუძვლის არსებობისას. ასე მაგალითად, მოვალის მიერ კრედიტორისათვის ფულის დაბრუნებაზე თავის არიდება მას შემდეგ, რაც ვალდებულების შესრულების ვადა ამოიწურება – მყიდველის მიერ გამყიდველისათვის სასყიდლის ან მსესხებლის მიერ კრედიტორისათვის სესხის დაბრუნების ვადის გადაცილება, იმის მიუხედავად მოვალე შეგნებულად არიდებს თავს ვალდებულების შესრულებას, თუ ვალდებულებას ვერ ასრულებს ფულადი სახსრების არარსებობის გამო, სხვის ხარჯზე ფულადი სახსრების უსაფუძვლოდ მიღება ან დაგროვებაა; სხვისი ფულადი სახსრებით უკანონო სარგებლობას უნდა მივაკუთვნოთ ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, როცა რწმუნებული თავისთვის იყენებს ფულს, რაც მას უნდა დაებრუნებინა მარწმუნებლისათვის ან გამოეყენებინა მის სასარგებლოდ. ამიტომ რწმუნებული ვალდებულია, მარწმუნებელს დაუბრუნოს ფული, რითაც ის უკანონოდ სარგებლობს, პროცენტებთან ერთად.

სხვისი ფულადი კაპიტალით უკანონო სარგებლობა სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით პროცენტის სახით პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. თუ არ არსებობს უკანონო სარგებლობა, მაშინ მოვალისათვის პროცენტის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველიც არ არსებობს. მაგალითად, თუ მოვალემ ბანკს დაავალა კრედიტორისათვის თანხის გადარიცხვა ან ვალდებულების შესრულების მიზნით დეპოზიტზე შეიტანა სათანადო თანხა, მაგრამ ბანკმა ან ნოტარიუსმა დააყოვნა კრედიტორისათვის ფულის გადარიცხვა (გადაცემა) და კრედიტორმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევით მიიღო იგი, მოვალის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის გამოყენების საფუძველი ვერ გახდება, რადგან მოვალეს კრედიტორის ფულადი სახსრებით უკანონოდ არ უსარგებლია.

პროცენტის, როგორც სასყიდლისა და პროცენტის, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობას შორის სხვა განმასხვავებელი ნიშანია მათი მოქმედების ვადები. პროცენტის სახით სასყიდლის გადახდის ვალდებულება მოვალეს ეკისრება ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში. მაგალითად, თუ სესხის ხელშეკრულება ვადიანია და შეადგენს ერთ წელს, მსესხებელს პროცენტის სახით სასყიდლის გადახდა უნდა დაეკისროს კაპიტალით ერთი წლით სარგებლობისათვის, თუნდაც მოვალემ სესხის გადახდის ვადას გადააცილოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი ამოქმედდება კოდექსის 403-ე მუხლი და მოვალეს ვალდებულების დროული შეუსრულებლობისათვის ძირითად თანხასთან და სასყიდელთან ერთად გადაცილებული დროისათვის დაეკისრება მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტი, როგორც პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე. პასუხისმგებლობისათვის პროცენტის გადახდის ხანგრძლივობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან და გაგრძელდეს პასუხისმგებლობის სრულად შესრულების მომენტამდე.

სხვისი კაპიტალით უკანონოდ სარგებლობა ყოველთვის წარმოშობს თუ არა პასუხისმგებლობას, სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ პასუხს არ იძლევა. პასუხისმგებლობის სავალდებულო ხასიათზე იყო საუბარი კოდექსის 403-ე მუხლის პირველ რედაქციაში, სადაც ნათქვამი იყო, რომ „მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი“. ანუ ეს ნორმა ეჭვს არ ბადებდა, რომ ვადის გადაცილება ყოველთვის იწვევდა პასუხისმგებლობას. 2007 წლის 29 ივლისს კოდექსის 403-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით: „მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი“. მაგრამ რა ვქნათ მაშინ, თუ მხარეებმა არ განსაზღვრეს პროცენტის მოცულობა?

სხვისი ფულადი სახსრებით უკანონოდ სარგებლობისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობა დადგება ყველა პირობებში, იმის მიუხედავად მხარეებმა განსაზღვრეს თუ არა პროცენტის, როგორც პასუხისმგებლობის მოცულობა. მხარეთა შეთანხმებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სესხის ხელშეკრულებაში პროცენტის, როგორც სასყიდლის დადგენასა და მისი მოცულობის განსაზღვრისათვის და არა პასუხისმგებლობის დადგომისათვის. სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის ახალი რედაქცია გვაფიქრებინებს, რომ მას მხედველობაში აქვს მხარეთა მიერ პროცენტის მოცულობის განსაზღვრა, რაც პასუხისმგებლობის წარმოშობის ან უარყოფის საფუძვლად ვერ გამოდგება. სხვისი ფულადი სახსრებით უკანონოდ სარგებლობისათვის პროცენტის სახით პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრისას სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი იმაზე მიგვანიშნებს, რომ უპირატესობა მხარეთა შეთანხმებას უნდა მიენიჭოს, ხოლო თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს ან აშკარად კაბალურია და რომელიმე მხარეს გაუმართლებლად პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს, პროცენტის მოცულობა გონივრულ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ეროვნული ბანკის სადისკონტო განაკვეთის ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთთან.

მთავარი გარემოება, რაც ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის პასუხისმგებლობის სავალდებულო ხასიათზე მეტყველებს, შემდეგში მდგომარეობს. მოვალე, რომელიც ფულადი ვალდებულების შესრულების ვადას გადააცილებს, ამით ზიანს აყენებს კრედიტორს იმით, რომ თუკი მოვალე კრედიტორს დროულად დაუბრუნებდა ფულს, ეს უკანასკნელი, მინიმუმ, ბანკში ანაბრის ხელშეკრულებით განათავსებდა ფულს და, შესაბამისად, მიიღებდა წინასწარ განსაზღვრულ პროცენტს. სწორედ ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებენ, რომ სხვისი კაპიტალით უკანონოდ სარგებლობისათვის პროცენტის დაკისრების იურიდიული ბუნება ზიანის ნაირსახეობას წარმოადგენს. ნაირსახეობის თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ ამგვარი ზიანის არსებობის ფაქტი და მისი მოცულობის დადგენა დასაბუთებას არ საჭიროებს, რადგან ეს არის ის მინიმალური ზიანი, რომელსაც სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილე განიცდის, როცა მისი ფულადი სახსრებით სხვა პირი უკანონოდ სარგებლობს, ხოლო თვითონ, უფლებამოსილი პირი, ამის გამო მოკლებულია შესაძლებლობას, საბანკო ანგარიშზე განათავსოს თავისი ფულადი სახსრები და მიიღოს შესაბამისი პროცენტი (Садиков, 5-6; Гражданский кодекс Российской Федераций, 593).

მართლაც, როგორც ვხედავთ, ამგვარი ზიანის არსებობის ფაქტს დასაბუთება არ სჭირდება, თუკი სახეზე გვექნება სხვისი ფულადი სახსრებით უკანონოდ სარგებლობის ფაქტი. ასევე შეიძლება ითქვას ამგვარი ზიანის მოცულობაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის ის მინიმალური ზიანი, რომელსაც კრედიტორი მიიღებდა პროცენტის სახით მისი ფულადი სახსრების ბანკში განთავსების შედეგად და რაც უნდა აანაზღაუროს პირმა, ვისი უკანონო მოქმედებითაც კრედიტორმა განიცადა ზარალი.

ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პროცენტის გადახდევინება, როგორც მიყენებული ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი საშუალება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული. ასეთ დასკვნას კოდექსის 403-ე მუხლის განსჯის შედეგად ვაკეთებთ. სხვისი ფულადი კაპიტალით უკანონო სარგებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება პროცენტის გადახდევინების გზით საერთაშორისო კერძო სამართალში ინტენსიურად გამოიყენება. საკითხი საერთაშორისო აქტებისა და სპეციალისტთა ინტერესის სფეროს შეადგენს. საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების 7.4.9 მუხლის თანახმად, თუ მოვალე ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, დაზარალებულ მხარეს წარმოეშობა გადაუხდელი თანხის წლიური პროცენტის მოთხოვნის უფლება გადახდის მომენტის დაწყებიდან გადახდის მომენტამდე. წლიური პროცენტის მოცულობა, პრინციპების დასახელებული ნორმის მიხედვით, განისაზღვრება პირველი კლასის მოვალეებისათვის მოკლევადიანი სესხისათვის დადგენილი საბანკო განაკვეთით. გარდა აღნიშნულისა, დაზარალებულს ენიჭება უფლებამოსილება, მოითხოვოს სხვა სახის ზარალი, თუკი ასეთი განიცადა ფულადი ვალდებულების დროული შეუსრულებლობით. როგორც ვხედავთ, პრინციპებით პრეზუმფცირებულია, რომ სხვისი ფულადი კაპიტალით უკანონო სარგებლობა კრედიტორს გარკვეულ ზარალს მიაყენებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პროცენტის მოცულობის განსაზღვრას, იქნება ეს სასყიდელი თუ პასუხისმგებლობის საშუალება, ერთი მხრივ სამოქალაქო ურთიერთობის მხარეებს მიანდობს (403-ე, 625-ე, 868-ე მუხლები), ხოლო, მეორე მხრივ, იგივე სამოქალაქო კოდექსი გარკვეულ ზღვარს აწესებს. აღნიშნულის შედეგად, როგორც ბ. ზოიძე მიუთითებს, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ნორმალური, სამართლიანი საპროცენტო განაკვეთის მხარეზეა“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 334.), რაც იმას გულისხმობს, რომ მაშინაც კი, როდესაც საპროცენტო განაკვეთი მხარეთა შეთანხმებით დგინდება, ის არ შეიძლება განუსაზღვრელად მაღალი იყოს. ხელშეკრულების თავისუფლება ყოველთვის არ ნიშნავს სამართლიანობას. ამიტომ „პროცენტი მხარეთა ორმხრივი ნების გამოვლენით დგინდება თუ ცალმხრივი ნების გამოვლენით, ყველა შემთხვევაში, მისი ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია. მხარეს შეუძლია გადალახოს ეს ზღვარი მხოლოდ იმ ზომამდე, რაც სამართლიანობისა და სამოქალაქო ბრუნვის სიმყარის აზრით იქნება დასაშვები, წინააღმდეგ შემთხვევაში „ლაგამმიშვებულმა“ პროცენტმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას მხარეთა თანასწორობას. ამიტომაცაა, რომ საპროცენტო ვალდებულებებში სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი შეცვლილია სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპით“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 335-336).

„სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპისა“ და ეკონომიკის ეფექტურად განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ ბანკში ანაბარზე შეტანილი თავისუფალი ფულადი სახსრების საპროცენტო განაკვეთი იყოს იმდენად დაბალი, რომ სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი მათი ფულადი სახსრების საბანკო დაწესებულებაში განთავსებით, რათა მეტი დაინტერესება და სტიმული ჰქონდეთ, განახორციელონ სხვადასხვა საინვესტიციო პროექტები, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას. ამ მიზნით, ეკონომიკურად განვითარებული დასავლეთის ქვეყნები ადგენენ მინიმალურ საპროცენტო განაკვეთებს. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 246-ე, 247-ე პარაგრაფების მიხედვით, სესხისათვის პროცენტის მოცულობა განისაზღვრება წლიური ოთხიდან ექვს პროცენტამდე. თუ მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის წლიური ექვსზე მაღალი პროცენტით განისაზღვრა, მოვალე უფლებამოსილია, მოითხოვოს მისი შემცირება. 1807 წლიდან საფრანგეთში რამდენჯერმე შეიცვალა კანონით განსაზღვრული პროცენტის მოცულობა, მაგრამ იგი ყოველთვის მერყეობდა წლიური 4 პროცენტიდან 6 პროცენტამდე. 1935 წლის 6 აგვისტოს დეკრეტით, სესხისათვის კანონისმიერი წლიური პროცენტის მოცულობა სამოქალაქო გარიგებებისათვის განისაზღვრა 4 პროცენტით, ხოლო სავაჭრო გარიგებებისათვის – 5 პროცენტით.

მართალია, სხვისი ფულადი სახსრებით უკანონოდ სარგებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით პასუხისმგებლობის მოცულობა პროცენტულად არ არის დადგენილი, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოვალის მხრივ სხვისი ფულადი სახსრების უკანონოდ სარგებლობით კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის მოცულობად მიჩნეული უნდა იყოს ის მინიმალური ზარალი, რასაც კრედიტორი მიიღებდა საკუთარი ფულადი სახსრების საბანკო დაწესებულებაში განთავსების შედეგად. საბანკო ანაბარი სასყიდლიანი ხელშეკრულებაა და, შესაბამისად, ბანკი ვალდებულია, მეანაბრეს გადაუხადოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი; მაგრამ თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს ან ხელშეკრულებაში საერთოდ არ არის მასზე რაიმე მითითება, მაშინ სასყიდლის მოცულობად გამოყენებული უნდა იყოს საბანკო-სადისკონტო განაკვეთი (დისკონტი – თამასუქის განაღდების ვადის დადგომამდე ბანკის მიერ მისი შესყიდვა და კლიენტისათვის — თამასუქის მფლობელისათვის — ფულის ავანსად გადახ-

და, რისთვისაც ბანკი კლიენტისაგან მიიღებს გარკვეულ პროცენტს. მიჩნეულია, რომ სადისკონტო განაკვეთის საშუალო მოცულობა გონივრულ შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონით დადგენილ საპროცენტო განაკვეთთან). შესაბამისად, აღნიშნული პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ მაშინაც, როცა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის გადასახდელი თანხის საპროცენტო განაკვეთზე მხარეთა შეთანხმება არ არსებობს, ასეთ შემთხვევაში გადასახდელი პროცენტის მოცულობა ანუ კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის მოცულობის დასადგენად და, შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზომად, უნდა განისაზღვროს საბანკო-სადისკონტო განაკვეთი, ხოლო თუ ასეთი საპროცენტო განაკვეთი მხარეთა შეთანხმებითაა დადგენილი, ის გონივრულ შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საბანკო-სადისკონტო განაკვეთთან.

სხვისი ფულადი სახსრებით უკანონოდ სარგებლობისათვის პროცენტის დაკისრების იურიდიული ბუნება სპეციალისტების მიერ ყოველთვის ერთნაირად არ არის გაგებული. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ეს არის არა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმა, არამედ – სასყიდელი სხვისი ფულადი სახსრებით სარგებლობისათვის, (Розембер, 9). ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. პროცენტის დაკისრება, როგორც პასუხისმგებლობის ფორმა, გამოიყენება ფულადი ვალდებულების დროული შეუსრულებლობისათვის და სხვისი კაპიტალით უკანონო სარგებლობისათვის, რასაც სასყიდელთან რაიმე კავშირი არა აქვს. სხვა ავტორების მიერ მიჩნეულია, რომ მოვალის მიერ კრედიტორის ფულადი სახსრებით უკანონო სარგებლობისათვის პროცენტის გადახდა არის კანონისმიერი პირგასამტეხლო (Малеина М.Н. в книге – Гражданское право, 454). მაგრამ ქართული სამოქალაქო სამართლისათვის ასეთი მოსაზრება სრულიად მიუღებელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პირგასამტეხლო არის „საზღაური პირის გატეხისათვის, პირობის შეუსრულებლობისთვის“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 369), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ პირგასამტეხლოს, როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, განსაზღვრავენ მხოლოდ მხარეები და არა კანონი. ამიტომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ პირგასამტეხლო არის „**მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რაც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის“.** ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს იცნობს. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ავტორთა მოსაზრება ქართული სამოქალაქო სამართლისათვის გაუმართლებელია. გარდა აღნიშნულისა, მოვალეს პირგასამტეხლო შეიძლება დაეკისროს მაშინაც, როცა კრედიტორი ზიანს არ განიცდის; მაშინ როდესაც სხვისი კაპიტალით უკანონო სარგებლობა კრედიტორისათვის ყოველთვის ზიანის მომტანია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, წიგნი მესამე, თბ., 2001
3. შენგელია რ., საფინანსო სამართალი, თბ., 2004
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986
5. Принципы международных коммерческих договоров, УНИДРУА 2010.
6. Гражданское право, учебник, часть – 1, под редакцией профессора А.П. Сергеева и профессора Ю.К. Толстого, М., 1998 г.
7. Гражданское право, часть первая, под редакцией доктора юридических наук, проф. А.Г. Калпина и доктора юридических наук, проф. А.И. Масляева, М., 1998
8. Гражданский кодекс Российской Федераций, часть первая, научно-практический комментарий, авт. кол., М., 1996
9. Розембер М.Г., Ответственность за неисполнение денежного обязательства, Комментарии к гражданскому кодексу РФ., М., 1995
10. Садиков О.Н., Обеспечение исполнения внешнеторгового договора, М., 1979

დ. სუხიტაშვილი თ. სუხიტაშვილი

პასუხისმგებლობა ფულადი ვალდებულების დარღვევისათვის

რეზიუმე

ფულადი ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხის აქტუალურობა სხვადასხვა გარემოებით არის განპირობებული. უპირველესად კი უნდა აღინიშნოს იმ სირთულეებზე, რაც ამ კატეგორიების საქმეების სწორ სამართლებრივ შეფასებას უკავშირდება. საქმე ის არის, რომ, როგორც სამართლის დოქტრინაში, ისე პრაქტიკაში დღევანდლამდე არ არსობობს ერთიანი შეხედულება ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. პროცენტის გადახდა არის: ა) პირგასამტეხლო, ბ) სასყიდელი სხვისი ფულადი კაპიტალით სარგებლობისათვის, გ) პასუხისმგებლობა მიყენებული ზარალისათვის. ავტორები ერთმნიშვნელოვნად ვემიჯნებით პირველ ორ შეხედულებას და ვთვლით, რომ ფულადი ვალდებულების დარღვევისათვის პროცენტის გადახდა არის პასუხისმგებლობა მიყენებული ზარალისათვის.

ხშირად სადავო ხდება საკითხი, თუ რა ურთიერთობებს მოიცავს ფულადი ვალდებულებები. მიგვაჩნია, რომ ამგვარი ურთიერთობები უპირატესად ფულად-საკრედიტო და ფულად-სასაქონლო ურთიერთობებია. ნაშრომში განხილული გვაქვს სესხის ხელშეკრულების ორსახოვანი ბუნება და მისი მოკლე ისტორია, ასევე, ფულადი ვალდებულების შესრულების პროცესში ნომინალიზმის პრინციპის გამოყენების აუცილებლობა.

D. Sukhitashvili, T. Sukhitashvili

Responsibility for violation of monetary liabilities

Summary

Actuality of responsibility for violation of monetary liability is conditioned by various circumstances. First of all, it should be mentioned on those difficulties that are related to correct legal assessment of those categories. The case is that, as in legal doctrine as well as in practice, there is not common view of the failure to meet financial obligations till now, interest payment is: a) forfeit, b) fee for use other's money capital, c) responsibility for caused damage. We, authors unambiguously differentiate to first two views and think, that payment of interest for violation of monetary liability is a responsibility for caused damage**.**

Often, the issue becomes debatable, what relationships include monetary liability. We think that such relations mainly are monetary-credit and monetary-commodity relations. In this proceeding we have also discussed double-sided nature of the loan agreement, its short history and obligation to use principle of nominalism in the process of fulfilling monetary obligation.

შ. ფიცხელაური

საგამოძიებო ტაქტიკური კომბინაციის საინფორმაციო-ლოგიკური სტრუქტურა

დანაშაულებათა გამოძიების დაგეგვმა დაკავშირებულია საგამოძიებო ვერსიების აგებასა და შემოწმებასთან. გამოძიების დაგეგვმის მიმართ კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა დაფიქსირდა. ნაწილი დაგეგვმას ვერსიების შემუშავებასთან აიგივებს, ნაწილი კი თვლის, რომ გამოძიების დაგეგვმა დანაშაულის გახსნის მეთოდიკის კუთვნილებაა. შ. ფაფიაშვილის აზრით, გამოძიების დაგეგვმას არ შეიძლება მიენიჭოს იმაზე მეტი როლი და მნიშვნელობა, რაც მათ შეიძლება ჰქონდეთ ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიების პროცესში — თითოეული გამოსაძიებელი დანაშაულის სპეციფიკურობის გათვალისწინებით (ფაფიაშვილი, 56).

უფრო მეტიც, გამომძიებლის მიერ პროცესუალური საქმიანობა ხორციელდება საგამოძიებო მოქმედებათა ფარგლებში (დაკითხვა, დათვალიერება, ჩხრეკა, ექსპერიმენტი, ამოცნობა და სხვა), რომელიც მიმართულია გამოსაძიებელი მოვლენის არსებით, გარემოებათა დასადგენად მტკიცებულებათა მოპოვების, შეგროვებისა და კვლევის გზით. ამასთან, სამართლებრივი რეგულირების საგანს წარმოადგენს არა შემეცნების მეთოდები, არამედ გამოძიებაში მათი გამოყენების ფორმები. ასე მაგალითად, საგამოძიებო დათვალიერება გამოდის როგორც დაკვირვების <u>პროცესუალური</u> ფორმა, საგამოძიებო ექსპერიმენტი, როგორც <u>ექსპერიმენტული</u> მეთოდის ფორმა; ოქმის შედგენა, როგორც აღწერის ფორმა, ექსპერტიზა – როგორც სპეციალური ცოდნის გამოყენების პროცესუალური ფორმა და ა.შ.

იმყოფება რა უშუალო კონტაქტში მტკიცებულობითი ინფორმაციის წყაროებთან, გამომძიებელი აფასებს მიღებულ ფაქტობრივ მონაცემებს მატერიალური და პროცესუალური კანონებისა და ნორმების პოზიციიდან. ზუსტად ასევე მოქმედებენ მოსამართლეები სამოქალაქო და საარბიტრაჟო პროცესებში.

საგამოძიებო მოქმედების საინფორმაციო შემეცნებით სტრუქტურაში უნდა იქნას გამოყოფილი შემდეგი სტადიები: ტაქტიკური უზრუნველყოფის, საორიენტაციო კვლევის, დეტალური კვლევის და დასკვნითი.

დანაშაულის, როგორც წარსულში მომხდარი ფაქტის სწრაფი სრული გახსნისა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის საჭიროა მთელი რიგი პროცესუალური და კრიმინალისტიკური ხასიათის კომპლექსური ღონისძიებების ჩატარება (ფაფიაშვილი, 57). მათ შორის:

ტაქტიკური უზრუნველყოფის სტადიის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული ტაქტიკური გადაწყვეტილების საფუძველზე ორგანიზაციულად და ტექნიკურად უზრუნველყოფილი იქნას საგამოძიებო და სხვა პროცესუალური მოქმედების მეტად ეფექტური წარმოება. გადამწყვეტი როლი ამ შემთხვევაში აქვს დაგეგმვის ოპერაციებს. დაგეგმვის მსვლელობაში ტიპობრივი მოდელი საგამოძიებო მოქმედებისა, შემუშავებული მეცნიერების მიერ, შეუპირისპირდება არსებულ საგამოძიებო სიტუაციას, გამოძიების საერთო გეგმას, რომელიც ასახავს გამომძიებლის ტაქტიკურ ჩანაფიქრს მის განკარგულებაში მყოფი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების ფონზე. ამის საფუძველზე განისაზღვრება საგამოძიებო მოქმედების ამოცანები, დასადგენ გარემოებათა წრე, საგამოძიებო მოქმედების მონაწილენი, მისი ჩატარების დრო და ადგილი, აუცილებელი ტექნიკური საშუალებანი. ტექნიკური და ტაქტიკური ხერხების ერთობლიობა მათი ყველაზე უფრო მიზანშეწონილი თანმიმდევრობითა და შერწყმით სხვა საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება, რადგანაც კრიმინალისტიკური ტექნიკის საპროცესო კანონებზე დაფუძნებული სამეცნიერო-ტექნიკური ხერხების, საშუალებების, მეთოდების ერთობლიობაა, რომელიც გამოიყენება კვალთა და სხვა მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსირების, გამოძიებისა და გამოსაკვლევად დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილებისათვის (ფიცხელაური, 64).

საორიენტაციო კვლევის სტადია მიზნად ისახავს გამოსაძიებელი მოვლენის თავდაპირველი ზოგადი მოდელის შექმნას, რომელიც შეიძლება გახდეს მტკიცებულებითი ინფორმაციის ძებნის ინსტრუმენტი. გამოსაძიებელი მოვლენის თავდაპირველ წარმოდგენას ახასიათებს ამ უკანასკნელის გარე დახასიათება, ხარვეზების არსებობა, ცალკეული კვანძების, ელემენტების და ზოგჯერ კი მოვლენის მთელი სურათის არაერთმნიშვნელოვანი განხილვა. მოვლენებში გარკვევა მოითხოვს ყველა შესაძლო ვერსიის გათვალისწინებას და ინფორმაციის მიღების ყველა შესაძლო წყაროს შემოწმებას.

დეტალური კვლევის სტადია მიმართულია გამოსაკვლევი მოვლენის ცალკეულ გარემოებათა დადგენაზე შესაბამისი საინფორმაციო კვანძების ანალიზის გზით. საინფორმაციო კვანძი ნიშნავს იმ წყაროთა ერთობლიობას, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას საქმის არსებით ვითარებაზე (მტკიცებულებით ფაქტზე). ამგვარად, მონაცემები გასროლის მექანიზმის შესახებ შეიძლება მიღებული იქნას თვითმხილველთა დაკითხვის გზით; იარაღის გამოკვლევის გზით; დაზიანებული წინაღობის, გვამის, გასროლილი ტყვიებისა და ვაზნების კვლევის გზით; მონაცემები დანაშაულის მოტივზე – დღიურებისა და წერილების შესწავლის გზით, ნათესავების დაკითხვის გზით, ხელყოფის საგნის შესწავლის გზით. სივრცობრივისაგან განსხვავებით, საკვანძო ინფრმაციული გაგება შეფარდებითია მტკიცებულებათა კერძო სისტემასთან მიმართებაში. მტკიცებულებათა კერძო სისტემაში შემავალი წყაროების კომპლექსური ხასიათი განაპირობებს მტკიცებულებებთან მუშაობის მეთოდების კომპლექსურ ხასიათს, ანუ სხვადასხვა შემეცნებითი მეთოდებისა და სპეციალური ცოდნის გამოყენება ერთი და იგივე საინფორმაციო კვანძის კვლევისას.

დასკვნით სტადიაზე წყდება საგამოძიებო მოქმედების პროცესუალურ – მტკიცებითი საკითხები, კერძოდ: ხდება საგამოძიებო მოქმედების ოქმებისა და დანართების პროცესუალური მართლზომიერება და ხელმოწერა, ხდება ნივთმტკიცებათა ამოღება და მათი საქმესთან დართვა, ფიქსირდება დამსწრე პირთა განცხადებები და ა.შ. (შეპიტკო, 31).

სხვადასხვა ტაქტიკური ხერხისა და საგამოძიებო მოქმედების ლოგიკურ – საინფორმაციო კავშირი უზრუნველყოფს ინფორმაციის წყაროს კომპლექსურ კრიმინალისტიკურ კვლევას, რომელსაც მივყავართ საგამოძიებო კომბინაციის ცნებასთან. საგამოძიებო კომბინაციაში იგულისხმება სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების ერთიან ჩარჩოებში ტაქტიკური ხერხების ისეთი შერწყმა, რომელიც მიმართულია ერთი გარემოების დადგენასა და ერთი კრიმინალისტიკური ამოცანის ამოხსნაზე. ასეთია, მაგალითად, ტაქტიკური, ტექნიკური ხერხებისა და საგამოძიებო მოქმედებების კომპლექსები, რომელიც მიმართულია გარდაცვლილის პიროვნების დადგენაზე, ბრალდებულის ალიბის შემოწმებაზე, დატაცებული ქონების ძებნაზე. ტაქტიკური კომბინაციის მიზანია საგამოძიებო სიტუაციაზე გარკვეული ზემოქმედება მის შეცვლისა ან გამოყენების მიზნით; კონფლიქტის მოგვარება, საგამოძიებო საიდუმლოს დაცვის უზრუნველყოფა, იმ პირის რეფლექსური მართვა, რომელიც ხელს უშლის გამოძიებას, საპასუხისმგებლო საგამოძიებო მოქმედების წარმატებული შესრულების უზრუნველყოფას და სხვა.

უფრო ფართო ტექნიკური ხასიათის კომპლექსი, გარდა გამომძიებლის მოქმედებისა, შეიცავს სამძებრო, საკონტროლო, ოპერატიული, სარევიზიო ორგანოებისა და სხვა დამატებითი სამსახურებისათვის დამახასიათებელ ხერხებსა და მეთოდებს. მათ ერთიანობას ეწოდება ტაქტიკური ოპერაცია. ასეთ მიდგომას შეუძლია ამოხსნას რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ტაქტიკური ამოცანა, როგორც ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების, ასევე გამოძიების დაწყებისათვის.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესში კომბინაციურ-ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების ლოგიკურ სტრუქტურული დალაგება და წყობა, მათი გამოყენება საგამოძიებო, სასამართლო, ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა ეფექტური გამოყენება იქნება დანაშაულის გახსნისა და პრევენციის გარანტია (გოგშელიძე, ფალიაშვილი, 22).

და ბოლოს, ვეთანხმებით მეცნიერთა იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც საგამოძიებო მოქმედებების და ტაქტიკური კომბინაციის თემის განხილვა საინფორმაციო-ლოგიკურ სტრუქტურულ ჭრილში აპრობირებულია და ეფექტურ შედეგს იძლევა, თუმცა თუ როგორ გამოიყენებს ამ პროექტს გამომძიებელი, ეს მის მომზადებასა და „გემოვნებაზეა“ დამოკიდებული. ჩვენ მიერ განხილული საკითხი შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც საორგანიზაციო, ასევე პროცესუალურ მოქმედებათა რიგს. ჩვენთვის მთავარია მთელი საგამოძიებო მოქმედება ემსახურებოდეს ერთ მიზანს — სრულად და დროულად იქნას გამოძიებული მარტივი, რთული თუ მრავალეპიზოდიანი საქმე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. გოგშელიძე რ., ფალიაშვილი ა., კრიმინალისტიკა, თბ., 2009;
2. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტ. II, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა, თბ., 2007;
3. ფიცხელაური შ., გამოძიების პროცესში გამოსაყენებელი ძირითადი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები და მათი გამოყენების წესი, იურიდიული მეცნიერების ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი, 2004;

4. შეპიტკო ვ., კრიმინალისტიკა (ლექციების კურსი), (რუსულ ენაზე), ხარკოვი, 2004.

შ. ფიცხელაური

საგამოძიებო ტაქტიკური კომბინაციის საინფორმაციო-ლოგიკური სტრუქტურა

რეზიუმე

საგამოძიებო მოქმედების საინფორმაციო შემეცნებით სტრუქტურაში უნდა იქნას გამოყოფილი შემდეგი სტადიები: ტაქტიკური უზრუნველყოფის სტადია; საორიენტაციო კვლევის სტადია; დეტალური კვლევის სტადია; დასკვნითი სტადია. ნაშრომის ავტორი დეტალურად განიხილავს თითოეულ მათგანს.

საგამოძიებო მოქმედებების და ტაქტიკური კომბინაციის თემის განხილვა საინფორმაციო-ლოგიკურ სტრუქტურულ ჭრილში აპრობირებულია და ეფექტურ შედეგს იძლევა.

Sh.Pitskhelauri

Information and Logical Structure of Investigation Tactics Combination

Summary

In the informational-cognitive structure of investigatory operation the following stages must be singled out: the tactical stage, orientation research stage; detailed research stage; result stage. The author of the scientific publication discusses each above mentioned stages in details.

Investigatory operation and tactical combination theme discussion is approved in the informational-logical section and brings effective result.

შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი

საქართველოს სამოქალაქო სააღსრულებლო სამართლის პრინციპები

1. სამართლებრივი დაცვის მინიმალური სტანდარტების დაცვის პრინციპი

სამართლებრივი დაცვის მინიმალური სტანდარტების დაცვა, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს: გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ წინადადების მიცემით („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25-ე მუხლი), მოვალეს სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესაძლებლობა ეძლევა. შესრულების იძულება დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებით და აღსრულების ობიექტურად შეუძლებლობის შემთხვევაში დაუშვებელია მოვალის პიროვნებაზე ზეგავლენის მოხდენა; მეორე, ეს ნიშნავს: მოვალის კუთვნილი განსაზღვრული სახის ქონება უნდა გათავისუფლდეს გადახდევინებისაგან, მაგრამ ეს დასაშვებია კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში; მესამე, აღმასრულებელი ვალდებულია იძულებითი აღსრულების განხორციელებისას დაიცვას საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გარანტირებული მხარეთა უფლებები.

მოცემული პრინციპის პირველი ასპექტი-პიროვნების პატივისა და ღირსების პატივისცემა და მოვალის პიროვნების ხელშეუხებლობა-ასახულია არამხოლოდ ეროვნულ კანონმდებლობაში, არამედ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებშიც.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. დაუშვებელია პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა.

ამასთან, სააღსრულებო წარმოების ფარგლებში გარდაუვალია და კანონმდებელს მაინც უწევს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა. ამის გამო კი, სახელმწიფოს მიერ ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა მოითხოვს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დასაშვები შეზღუდვის ფორმებისა და საფუძვლების კანონით მკაფიოდ განსაზღვრას. აღმასრულებლის, აგრეთვე სააღსრულებო დაწესებულების თანამდებობის პირის კანონიერი მოთხოვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადამიანის პატივისა და ღირსების ხელყოფად.

მართალია სააღსრულებო წარმოება ხელისუფლება-დაქვემდებარებაზე აგებული ურთიერთობაა ამასთან, სააღსრულებო წარმოებაში კრედიტორს მოვალესთან შედარებით უპირატესი მგომარეობა უკავია, მოვალის ადამიანური ღირსება ამის გამო არ უნდა შეილახოს.

კანონის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე ფიზიკური პირის პატივისა და ღირსების პატივისცემას. მოცემულ პრინციპს აქვს როგორც სამართლებრივი, ისე ეთიკური მხარე. სამართლებრივი მხარე მოითხოვს კანონის ზუსტად შესრულებას ნორმის შეფარდებისას და ამასთან სააღსრულებო წარმოების მონაწილის უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ეთიკური მხარე კრძალავს სააღსრულებო წარმოების მონაწილის მიმართ უხეშობას. კანონის დამრღვევის მიმართ მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ზომები უნდა იქნეს გამოყენებული.

დაუშვებელია ადამიანის წამება, მისდამი არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება (კონსტიტუციის მე-17 მუხლი). ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლის მიხედვით, ადამიანის მიმართ ამგვარი მოპყრობა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას წარმოადგენს. ზემოაღნიშნული აკრძალვები დადგენილია ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-7 მუხლით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-3 მუხლით. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში აბსოლუტურად კრძალავს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსების დამამცირებელ მოპყრობას, ან დასჯას, როგორც ევროპის საბჭოში შემავალი დემოკრატიული სახელმწიფოების ერთ-ერთ ფუძემდებლურ ღირებულებას (იხ. მაგ.: Eur Court H. R Soering v. the United Kingdom, Judgment of 7 july 1989. Series A.No. 161. Para.88; Pretty V. the United Kingdom, Judgement of 29 April 2002. Para. 49).

იმ წესებს, რომლებიც აკონკრეტებენ და განავრცონებენ საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით განმტკიცებულ ადამიანის პატივისა და ღირსების პატი-

ვისცემის მოთხოვნას, შეიძლება მივაკუთვნოთ სააღსრულებო მოქმედებათა განხორციელებისა და იძულებითი აღსრულების ღონისძიებათა გამოყენების დაუშვებლობა არასამუშაო დღეებსა და ღამის საათებში, გადაუდებელი შემთხვევების გარდა („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-12 პუნქტი) მოვალის პირადი ჩხრეკა არ არის სააღსრულებო მოქმედება და, შესაბამისად, დაუშვებელია.

ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვის დაუშვებლობის შესახებ კონსტიტუციური მოთხოვნის საფუძველზე, აღმასრულებელს აკისრია ადამიანის კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის, პირადი და ოჯახური საიდუმლოების, მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა სახის შეტყობინებათა საიდუმლოების უფლების დაცვის ვალდებულება. აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია გამონაკლის (განსაკუთრებულ) შემთხვევაში და მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

პიროვნების ხელშეუხებლობის პრინციპი პირველ ყოვლისა გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებიდან, კერძოდ კი მისი მე-14, მე-17 და მე-18 მუხლებიდან, რომელთა თანახმადაც ყველას აქვს თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. ეს არის პიროვნების უფლებათა ერთ-ერთი არსებითი გარანტია.

ცხადია, რომ პიროვნების ხელშეუხებლობა ვრცელდება მოვალეთა მხოლოდ ერთ ჯგუფზე, კერძოდ კი მოვალე ფიზიკურ პირებზე (საქართველოს მოქალაქეებზე, უცხოელ მოქალაქეებზე და ა.შ.) და არ ვრცელდება მოვალე იურიდიულ პირებზე.

მოვალის პირადი ხელშეუხებლობა გულისხმობს მოვალეზე ყოველგვარი ზემოქმედების დაუშვებლობას და მოიცავს ფიზიკურ და ფსიქიკურ ხელშეუხებლობას.

მოვალის პიროვნების ფიზიკური ხელშეუხებლობა გულისხმობს მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის დაუშვებლობას როგორც იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, ისე კრედიტორის მხრიდან.

მოვალის პიროვნების ფსიქიკური ხელშეუხებლობა გულისხმობს პიროვნების ფსიქიკური და სულიერი ჯანმრთელობის, ადამიანის ცნობიერების ინტელექტუალური და ნებელობითი სფეროების ხელყოფის დაუშვებლობას.

ზემოაღნიშნულ უფლებებს დეკლარაციული ხასიათი როდი აქვთ. კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. კონსტიტუციის 42-ე მუხლი ფართოდ უნდა იქნეს გაგებული. კერძოდ, უფლებათა დაცვა შესაძლებელია არამხოლოდ სასამართლო წესით, არამედ ნებისმიერი დასაშვები საშუალებით (მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა აუცილებელი მოგერიება).

სამართლებრივი დაცვის მინიმალური სტანდარტების დაცვის პრინციპის შინაარსის შემადგენელ შემდეგ ასპექტს წარმოადგენს მინიმალური ქონების ხელშეუხებლობა, ე.ი. გადახდევინებისგან მოვალის ქონების გათავისუფლება (ქონებრივი, ანუ სააღსრულებო იმუნიტეტი). სააღსრულებო წარმოების მიზანი არ არის მოვალისა და მოვალის ოჯახის წევრთა საარსებო სახსრების გარეშე დატოვება. სააღსრულებო დოკუმენტის ფაქტობრივად აღსრულების შემდეგ მოვალესა და მოვალის ოჯახის წევრებს უნდა ჰქონდეთ ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები. გარდა ამისა, სააღსრულებო წარმოებათა კანონის 45-ე მუხლი კრძალავს სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირების ქონების დაყადაღებას. ქონება, გარდა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ქონებისა, უნდა გათავისუფლდეს ყადაღისაგან და არ ექვემდებარება აუქციონს.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 პრიმა და 45-ე მუხლებით დადგენილია იმ ქონებაზე გადახდევინების მიქცევის დაუშვებლობის მოთხოვნა, რომლის მიმართაც არსებობს აკრძალვა. ასეთი შეზღუდვა „წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების სფეროში დადგენილ წესს, რომელიც მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის შეუძლებლობას განსაზღვრავს ამ ქონებისათვის დამახასიათებელი თვისებებიდან, თავისებურებებიდან, მიზნობრივი დანიშნულებიდან და იმ სუბიექტებიდან გამომდინარე, რომელთა საკუთრებაშიც იგი იმყოფება“ (Кузнецов, 4). „იმუნიტეტი სახეებად შეიძლება დაიყოს სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით: უწინარეს ყოვლისა, შეიძლება დაიყოს სუბიექტის მიხედვით-ფიზიკური და იურიდიული პირის მიმართ, რამეთუ მათთვის დადგენილია სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმი. თუ ფიზიკურ პირთა მიმართ იმუნიტეტის დადგენის მიზანია აუცილებელი სასიცოცხლო მინიმუმის უზრუნველყოფა, იურიდიული პირის მიმართ იმუნიტეტის დადგენის მიზანია ძირითადად

მისი, როგორც საწარმოს ფუნქციონირების შენარჩუნება; მეორე, ქონებრივი იმუნიტეტი შეიძლება დაიყოს ქონების იურიდიული საშუალებებით დაცვის ხარისხის მიხედვით აბსოლუტურ და ფარდობით იმუნიტეტად. აბსოლუტური იმუნიტეტის დროს განსაზღვრულ ქონებაზე არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა (მაგალითად, ასეთია ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ქონება), ხოლო ფარდობითი იმუნიტეტის დროს, განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას გადახდევინება შესაძლოა გახდეს დასაშვები, მაგალითად, ფიზიკური პირის ფულად სახსრებზე“ (Радченко, 945).

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლი განსაზღვრავს მოვალე ფიზიკური პირის ქონების ჩამონათვალს, რომელიც იმუნიტეტით დაცულია გადახდევინებისგან. ჩამონათვალი ფორმულირებულია ამომწურავად, ე.ი. წარმოადგენს დახურულ ჩამონათვალს და არ შეიძლება განივრცოს.

მოვალე ფიზიკური პირის იმ ქონების ჩამონათვლის განსაზღვრა, რომელზეც დაუშვებელია გადახდევინების მიქცევა, გამომდინარეობს საქართველოს, როგორც სოციალური სახელმწიფოს (იხ. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა) კონსტიტუციური ვალდებულებიდან, იზრუნოს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობაზე, კერძოდ, შეუქმნას მათ და მათ კმაყოფაზე მყოფ პირებს ნორმალური არსებობისთვის აუცილებელი პირობები. შესაბამისად, რამდენადაც მოვალის უფლებათა შეზღუდვა უწინარეს ყოვლისა უკავშირდება კრედიტორის დარღვეული ქონებრივი უფლებების იძულებითი დაცვის უზრუნველყოფას, კანონმდებლობის მიზანი უნდა იყოს ის, რომ ასეთ შემთხვევაში მოვალე ფიზიკურ პირსა და მოვალის კმაყოფაზე მყოფ პირებს შეუნარჩუნდეს საარსებოდ აუცილებელი მინიმალური ქონება.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლი მოვალე ფიზიკურ პირს ანიჭებს ქონებრივ (სააღსრულებო) იმუნიტეტს, კონკრეტული ქონების ხელშეუხებლობას იმიტომ, რომ მოცემული სამართლებრივი ინსტიტუტის ზოგადი დანიშნულებიდან (მიზნებიდან) გამომდინარე გარანტირებული გახადოს მოვალის და მის კმაყოფაზე მყოფი პირების ნორმალური არსებობისა და საქმიანობისათვის, მათ შორის, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი პირობები; მოცემული ნორმა ამ პირთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების განხორციელების საპროცესო გარანტიას წარმოადგენს.

გადაწყვეტილების (სააღსრულებო დოკუმენტის) აღსრულების პროცესში, აღმასრულებელი განსაზღვრავს საკითხს იმის შესახებ მოვალე ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული კონკრეტული ქონება მიეკუთვნება თუ არა იმ ქონებას, რომელზეც დასაშვებია გადახდევინების მიქცევა, თუ იგი დაცულია ქონებრივი (სააღსრულებო) იმუნიტეტით, დავის შემთხვევაში ამ საკითხს სასამართლო განსაზღვრავს.

ქონებრივი შეზღუდვა სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული სტრატეგიული ობიექტების მიმართ დადგენილია კანონის მე-2 პრიმა მუხლითაც. ამავე ნორმით განსაზღვრულია ქონებრივი შეზღუდვის (იმუნიტეტის) სხვა შემთხვევებიც სხვადასხვა სუბიექტის (უმთავრესად იურიდიული პირების) მიმართ. ამასთან, მართალია მოცემული ნორმა (მე-2 პრიმა მუხლი) რაიმე მითითებას იურიდიული პირების ქონების მიმართ დადგენილი იმუნიტეტის, შეზღუდვის შესახებ არ ითვალისწინებს, ეს სრულებითაც არ გამორიცხავს ცალკეული ნორმატიული აქტით პირის იმ ქონების ჩამონათვალის გათვალისწინებას, რომელიც გადახდევინებას არ ექვემდებარება.

ქონებრივი იმუნიტეტის დამდგენ ასეთ აქტებს მიეკუთვნება:

1. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 12^1 მუხლის შესაბამისად გამოცემული საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის #279 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, რომლის 15-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისადაც, სოციალური პაკეტიდან თანხის დაკავება შეიძლება მხოლოდ სააგენტოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

2. საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, რომლის 19-ე მუხლის შესაბამისად, პენსიიდან თანხის დაკავება შეიძლება მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლო გადაწყვეტილებით შეიძლება დანიშნული პენსიის არაუმეტეს 50 %-ის დაკავება.

3. საქართველოს კანონი „სახელმწიფო კონპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“, რომლის 33-ე მუხლის შესაბამისად, კომპენსაციიდან/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიიდან თანხის დაკავება შეიძლება მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლო გადაწყვეტილებით შეიძლება დანიშნული კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის არაუმეტეს 50 %-ის დაკავება.

აღმასრულებელს უფლება აქვს დააყადაღოს მხოლოდ თავად მოვალის საკუთრებაში არსებული ქონება (მათ შორის აქციები).

არსებობს მოვალის მიმართ ქონებრივი იმუნიტეტის დამდგენი სხვა აქტებიც.

როგორც ვხედავთ, მოვალის კუთვნილ ზოგიერთ ქონებაზე გადახდევინების მიქცევის აკრძალვის დამდგენი (ამკრძალავი) ნორმები მიმობნეულია სხვადასხვა კანონში, რაც ართულებს მათ გამოყენებას. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია იმუნიტეტს დაქვემდებარებული ქონების ჩამონათვალის დადგენა ცალკე კანონით, თუ ასეთი ერთიანი ჩამონათვალი არ აისახება თავად „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს იძულებითი აღსრულების ორგანოთა ეფექტიან მუშაობას და საქმიანობას საბოლოო ჯამში, აამაღლებს პირთა უფლებების დაცვის დონეს.

სამართლებრივი დაცვის მინიმალური სტანდარტების დაცვის პრინციპი ასევე გულისხმობს განსაზღვრული რიგითობის დაცვას მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევისას ასეთი მოვალის, როგორც სამეურნეო საქმიანობის სუბიექტის ფუნქციონირების (საწარმოო ან სხვაგვარი, რომლის განსახორციელებლადაც შეიქმნა მოცემული ორგანიზაცია) შენარჩუნებას და სამოქალაქო ბრუნვის სფეროდან მისი გაქრობის, განდევნის თავიდან აცილებას. სამწუხაროდ, საქართველოს სააღსრულებო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე დამცავ ნორმას, რომლის მიხედვითაც აღმასრულებელი ვალდებული იქნება დაიცვას რიგითობა და მაგალითად ჯერ აღსრულება განახორციელოს მოძრავი ქონებიდან და უკიდურეს შემთხვევაში სხვა უფრო ღირებული ქონებიდან. ქონებაზე გადახდევინების მიქცევის რიგითობის დამდგენი ნორმის შემოღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ასეთი წესი მაშინაც უნდა მოქმედებდეს, როდესაც მოთხოვნა უზრუნველყოფილია. მოვალისათვის ერთადერთი საცხოვრებლის გაყიდვა, თუნდაც ის უზრუნველყოფის საშუალებად გამოიყენებოდეს, მძიმე სოციალური შედეგის მომტანია. ჯერ უნდა იყოს მცდელობა, სხვა, ნაკლებ ღირებული ქონებიდან მოხდეს აღსრულება. ქვეყანაში სოციალურად სამართლიანი კანონები უნდა მოქმედებდნენ. აღსანიშნავია, რომ გადახდევინების რიგითობის განმსაზღვრელი ნორმა როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის ქონებრივი ინტერესის გათვალისწინების მიზნით უნდა დადგინდეს, ე.ი. ერთნაირად ვრცელდებოდეს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე და ინდივიდუალურ მეწარმეზე.

ამრიგად, იძულებითი აღსრულების დროს არ უნდა მოისპოს მოვალის ეკონომიკური არსებობა (არსებობის პირობები). აღსრულების პროცესში კრედიტორს მოვალესთან შედარებით ისედაც უკეთესი სამართლებრივი მდგომარეობა უკავია. შესაბამისად, მსგავს შემთხვევაში კრედიტორის ინტერესები მეორე პლანზე უნდა გადავიდეს და კანონმა უნდა დაიცვას მოვალის ინტერესები და გაითვალისწინოს მისი საჭიროებები. საკმარის ღონისძიებად არ მიგვაჩნია „სააღსრულებო წარმოებათა კანონის 63[2]-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალის უფლება, მოითხოვოს უძრავი ქონების სხვაგვარი რეალიზაცია. აღნიშნული ნორმა, ჩვენი აზრით, არ წარმოადგენს მოვალის უფლებების დაცვის ეფექტიან მექანიზმს.

2. კეთილსინდიერების პრინციპი

კეთილსინდისიერების პრინციპს სამართლის სხვადასხვა (როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის) დარგისათვის აქვს მნიშვნელობა. ეს პრინციპი სამართლებრივი პრინციპია. მისგან გამომდინარეობს მთელი რიგი კონკრეტული ვალდებულებანი (როგორიც არის ინფორმირების, თანამშრომლობის, დაცვისა და უსაფრთხოების და ა.შ.). კეთილსინდისიერების პრინციპი სამართლის სუბიექტისაგან მოითხოვს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, სხვისი ინტერესების გათვალისწინებას. აღნიშნული პრინციპი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლიდან, რომლის თანახმადაც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებამ არ უნდა ხელყოს სხვა პირთა უფლებები და თავისუფლებები.

ამა თუ იმ პირის კანონიერი ინტერესი და მის მიერ შესრულებული მართლზომიერი მოქმედება შეიძლება მოვიდეს და ზოგჯერ მოდის კიდეც წინააღმდეგობაში სხვა პირის ინტერესებთან, უფლებებთან და მოქმედებებთან. შესაბამისად, უფლების მართლზომიერად განხორციელება არ არის უფლების კეთილსინდისიერად განხორციელების ტოლფასი კატეგორია. საზოგადოების ამოცანაა ჰარმონიაში მოიყვანოს განსხვავებული ინტერესები, ხელი შეუწყოს საპირისპირო ინტერესებს შორის კომპრომისის მიღწევას და პირთა უფლებების, მიზნებისა და მოქმედებების დაბალანსებას. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღიკვეთოს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება სხვა პირთა უფლებებისა და თავი-

სუფლებების ხარჯზე, ეგოიზმის, თვითნებობის, ანარქიის, ჩინოვნიკური თვითნებობის გამოვლინების ალაგმვით საზოგადოებრივი თანხმობის, სოციალური პარტნიორობის უზრუნველყოფით.

კონსტიტუციის 44-ე მუხლიდან გამომდინარეობს უფლების მქონე ნებისმიერი პირის ზოგადი ვალდებულება, გაითვალისწინოს სხვა პირთა უფლებები და ინტერესები და თავი შეიკავოს მათი დარღვევისაგან თავისი უფლების განხორციელებისას ე.ი. კონსტიტუციიდან გამომდინარეობს უფლების ბოროტად გამოყენების ზოგადი აკრძალვა, აგრეთვე კეთილსინდისიერად მოქმედების ზოგადი ვალდებულებაც.

ამრიგად, მართალია კონსტიტუციის 44-ე მუხლი პირდაპირ არ იყენებს (და არც უნდა იყენებდეს, რადგან დასახელებული პრინციპი ზეპოზიტიურია) ისეთ კატეგორიას, როგორიც არის „კეთილსინდისიერების პრინციპი", მაგრამ აღნიშნული პრინციპის ძირითადი ასპექტები ასახულია კონსტიტუციაში (საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის აკრძალვა, სხვისი ინტერესების გათვალისწინება, ერთგულება, საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე ზრუნვა). აუცილებელია, იძულებითი აღსრულების პროცედურის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში დეტალურად აისახოს კონსტიტუციის მოცემული დებულებები, კრედიტორისა და მოვალის უფლებათა დაცვის მექანიზმში მოხდეს კეთილსინდისიერების ზოგადსამართლებრივი პრინციპის ინტეგრაცია. მაგალითად, აღსრულების საფასურისგან უნდა გათავისუფლდეს ის მოვალე (ან შეუმცირდეს მას 7 %-ის ოდენობით დაკისრებული საფასური), რომელმაც დავალიანების დასაფარად ყველაფერი იღონა, ყველა მოქმედება განახორციელა, რაც მასზე იყო დამოკიდებული და/ან თანხის გადახდის ვადის დარღვევა გამოწვეული იყო ობიექტურად დაუძლეველი გარემოებებით, რომლებიც არსებობდნენ მოვალის კონტროლს მიღმა, მიუხედავად იმისა, რომ მოვალემ იმ დოზით გამოიჩინა მზრუნველობა და წინდახედულება, რაც მას მოეთხოვებოდა სააღსრულებო წარმოების ფარგლებში, თანხის დროულად გადახდის ვალდებულების სათანადოდ შესრულების მიზნით. ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე მოვალის ქონებრივი მდგომარეობა, კრედიტორის მოთხოვნათა ნებაყოფლობით შესრულება მის მიერ, მისი დაფინანსების დაყოვნება და სხვა ობიექტური გარემოება. არსებული წესი უსამართლოა, ვინაიდან მოვალისათვის 7%-ის უპირობოდ დაკისრება, ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინების გარეშე ხდება.

მოვალის კეთილსინდისიერებაში (მის მიერ მოქმედების კეთილსინდისიერად შესრულებაში) იგულისხმება მოვალის მიერ კრედიტორის მიმართ თავისი ვალდებულებების შესასრულებლად ყველა შესაძლო ღონისძიების გამოყენება, თუნდაც ნებაყოფლობითი შესრულების ვადის (7 დღე) გასვლის შემდეგ ჰქონდეს მიღებული ეს ზომები (ღონისძიებები) მოვალეს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მოვალემ სავალდებულო წესით აქტიურად უნდა ითანამშრომლოს კრედიტორთან. თანამშრომლობის ვალდებულება კეთილსინდისიერების პრინციპის ერთ-ერთი ასპექტია (გამოვლინებაა). მხარეთა კეთილსინდისიერება ქმნის აღმასრულებელთან თანამშრომლობის ატმოსფეროსაც. ამდენად, სააღსრულებო წარმოების მხარეებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ როგორც ერთმანეთთან, ისე აღმასრულებელთანაც. მხარეთა შორის თანამშრომლობა გამოიხატება იმაში, რომ მოვალემ სათანადოდ უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულებები, იაქტიუროს ამ საკითხში (არ იპასიუროს), იზრუნოს არამარტო თავის უფლებებსა და ინტერესებზე, არამედ კრედიტორის ინტერესებზეც, გაითვალისწინოს მისი ინტერესები, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული აღსრულების საფასურის მოვალისათვის დაკისრების (მისგან კრედიტორის სასარგებლოდ გადახდევინების) დროს.

თავის მხრივ, კრედიტორმა ხელი არ უნდა შეუშალოს მოვალეს ვალდებულების შესრულებაში და უნდა მიიღოს მისგან ვალდებულების შესრულება.

რაც შეეხება აღმასრულებელთან თანამშრომლობას, იგი გამოიხატება მოვალის მიერ თავისი აქტივების შესახებ აღმასრულებლისათვის უტყუარი ინფორმაციის დროულად წარდგენაში. სწორედ მოვალის ქონების შესახებ ინფორმაციის სისრულე და ინფორმაციის მიღების საშუალებები არის იძულებითი აღსრულების ეფექტიანად და დროულად განხორციელების საწინდარი.

3. სახელმწიფო ენის პრინციპი

მოცემულ შემთხვევაში საუბარია სააღსრულებო წარმოებაში სახელმწიფო (და არა ეროვნული) ენის გამოყენებაზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის და სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არის ქართული, ხოლო აფხაზე-

თის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აგრეთვე-აფხაზური. აღნიშნული ნორმატიული აქტების თანახმად, სახელმწიფო დაწესებულებებში აფხაზეთში ქართულ ენასთან ერთად, გამოიყენება აფხაზურიც. ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება ნიშნავს, რომ მისი გამოყენება სავალდებულოა „სახელმწიფო ენის" შესახებ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ სფეროებში. „სახელმწიფო ენის შესახებ" საქართველოს კანონის 11-ე, 12-ე, 13-ე მუხლებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ენა სავალდებულოდ გამოიყენება: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა, სხვა სახელმწიფო ორგანოთა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაში. საქრთველოს ტერიტორიაზე არამარტო სამართალწარმოება, არამედ ოფიციალური საქმისწარმოება სახელმწიფო ორგანოებში და სხვა დაწესებულებებშიც სახელმწიფო ენაზე ხორციელდება. სახელმწიფო ენა განსხვავდება არასახელმწიფო ენისაგან იმით, რომ მისი გამოყენება არამარტო უფლება, არამედ ნებისმიერი სუბიექტის და ორგანოს ვალდებულებაა.

ამრიგად, კონსტიტუციისა და „სახელმწიფო ენის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას სავალდებულოა სახელმწიფო ენის (და არა ეროვნული) ენის გამოყენება. იმას, ვინც მონაწილეობს სააღსრულებო წარმოებაში და არ იცის ის ენა, რომელზეც მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება, მიეჩინება თარჯიმანი. თარჯიმნის მოწვევა კონსტიტუციით არის გათვალისწინებული. თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის უფლება უზრუნველყოფილია უზენაესი კანონით. ეს კი, თავის მხრივ, სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელებასა და დაცვაში ეხმარება.

სააღსრულებო წარმოება სასამართლო (სამოქალაქო) პროცესის სტადიას (ეტაპს) წარმოადგენს, შესაბამისად, სააღსრულებო წარმოების ფარგლებში გამოიყენება ყველა ის გარანტია, რაც სამოქალაქო პროცესში. სამოქალაქო პროცესში ყველასათვის გარანტირებულია მშობლიურ ენაზე გამოსვლა. ამ უფლების გამოყენებას საპროცესო კანონმდებლობა უზრუნველყოფს მთელი პროცესის განმავლობაში, მის ნებისმიერ სტადიაზე. ამასთან, სამართალწარმოება მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე. შესაბამისად, რადგან იძულებითი აღსრულების პროცედურა უკავშირდება სასამართლო აქტებში ასახული მოთხოვნების განხორციელებას, სააღსრულებო წარმოებაც და საქმისწარმოებაც მარტოოდენ სახელმწიფო ენაზე უნდა ხორციელდებოდეს. სახელმწიფო ენაში იგულისხმება სახელმწიფოს ოფიციალური დოკუმენტების ენა, სახელმწიფოს სახელით განხორციელებული ოფიციალური პროცედურების ენა, სახელმწიფოს შიგნით ოფიციალური ურთიერთობის ენა.

შეიძლება გამოიკვეთოს სახელმწიფო ენის ორი მნიშვნელოვანი ასპექტი: უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ენა გამოიყენება ოფიციალურ დონეზე (ოფიციალურ სფეროებსა და უერთიერთობებში), მეორე მხრივ, სახელმწიფო ენა უზრუნველყოფს შიდასახელმწიფოებრივ კომუნიკაციას.

სახელმწიფო ენას მრავალი ფუნქცია აქვს. იგი სავალდებულო წესით უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს მოქალაქეთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმებისას, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, მოქალაქეობრივი მდგომარების აქტების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ მოწმობათა ბლანკების დამზადებისას, სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისას, აგრეთვე სხვა დოკუმენტების მომზადებისას, რომელთა გაფორმებაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ენაზე, საქართველოს ფარგლებში გაგზავნილი ტელეგრამების და საფოსტო გზავანილების გამგზავნისა და მიმღების მისამართების გაფორმებისას, ფულადი თანხის ფოსტით გაგზავნისას, რეკლამაში და სხვა („სახელმწიფო ენის შესახებ" საქართველოს კანონი)იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო ენის პრინციპი, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციაში აისახა, ამით განისაზღვრა ამ პრინციპის მოქმედება სამართლის სხვა დარგებშიც და არამარტო სამოქალაქო სააღსრულებო წარმოებაში. ეს პრინციპი ვრცელდება სამართლის მთელს სისტემაზე. ამის გამო მისთვის დამახასიათებელია უნივერსალურობა და ასრულებს ქართული სამართლისა და საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძვლის როლს.

4. კონტროლისა და ანგარიშვალდებულების პრინციპი

სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კონტროლი. კონტროლი უზრუნველყოფს ხელისუფლების აღმასრულებელ შტოში შემავალი სახელმწიფო ორგანოს (აღსრულების

ეროვნული ბიუროს) ნორმალურ საქმიანობას. გათვალისწინებული უნდა იქნას ის, რომ მთლიანი სახელმწიფო აპარატი აგებულია მმართველობის ტრადიციულ პრინციპებზე. ასეთი პრინციპებია: სახელმწიფო ადმინისტრაციისა და სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურის იერარქიული წესით მოწყობა; სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციების და სახელმწიფო მოხელეთა უფლებამოსილებების დანაწილების პრინციპი, კომპეტენციებისა და უფლებამოსილებების მკაფიოდ განსაზღვრა სპეციალურ კანონებში, ინსტრუქციებსა და სხვა ნორმატიულ აქტებში; სახელმწიფო მოხელეთა უფლებამოსილებების, უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენა; კოლეგიალობისა და გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღების (ერთმმართველობის პრინციპის) ერთმანეთთან შეთანხმება.

იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო სააღსრულებო სამართალი კომპლექსური ინსტიტუტია (შენგელია, 107), რომელიც ჩამოყალიბებულია სამართლის არამარტო საპროცესო დარგების, არამედ ადმინისტრაციული სამართლის გავლენითაც, სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს სააღსრულებო სამართალში ადმინისტრაციული სამართლის პრინციპების გამოყენებას.

სამოქალაქო სააღსრულებო სამართალში კონტროლის პრინციპს აქვს შემდეგი სახის ასპექტები: პირველ ყოვლისა, აღსრულების ეროვნული ბიუროს თუ სააღსრულებო ბიუროს ზემდგომი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა ქვემდგომის მიერ; მეორე, ეს გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იქნას ამ ორგანოთა თუ თანამდებობის პირების კომპეტენციისა და უფლებამოსილებების ფარგლებში; მესამე, გადაწყვეტილებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის მოთხოვნებს.

კონტროლის პრინციპი უზრუნველყოფს კანონიერების დაცვას აღმასრულებლის საქმიანობაში და აღკვეთს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლებით დეტალურად არის მოწესრიგებული დაქვემდებარების წესით აღმასრულებლის მოქმედების (უმოქმედობის), აღმასრულებლის ან აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის აქტების გასაჩივრების წესი.

5. კანონიერების პრინციპი

კანონიერების დაცვა ნებისმიერ პირსა თუ ორგანოს მოეთხოვება, ვის ფუნქციაშიც კი შედის სამართლის ნორმის შეფარდება. მოცემული პრინციპი ზოგადსამართლებრივი ხასიათის პრინციპია, და მაშასადამე, თავის საქმიანობაში მისი დაცვა მოეთხოვება აღმასრულებელსაც.

სააღსრულებო წარმოებაში მოცემულ პრინციპს საფუძვლად შემდეგი პოსტულატები უდევს: ა) კანონის უზენაესობა. ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობისას საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი აქტი მოქმედებს და რომელი უნდა გამოვიყენოთ, უნდა გადაწყდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ქართულ სამართალში მოქმედებს ყველა სხვა ნორმატიული აქტების მიმართ კანონის უზენაესობის პრინციპი. უზენაესი კანონი კონსტიტუციაა. ეს ნიშნავს, რომ კონსტიტუცია უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტია; ბ) სააღსრულებო წარმოება უნდა დაეფუძნოს კანონს, იმავდროულად, თავად სააღსრულებო წარმოება ხორციელდება კანონის შესასრულებლად; გ) აღმასრულებელმა თვითონაც უნდა დაიცვას კანონის მოთხოვნა და კანონის დაცვა მოთხოვოს ყველას, ვისაც მოცემული სააღსრულებო წარმოება ეხება. აღმასრულებელს აკისრია მინიჭებული უფლებების კანონის შესაბამისად გამოყენების ვალდებულება. ამასთან, მან თავისი საქმიანობის განხორციელებისას არ უნდა ხელყოს პირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

სააღსრულებო მოქმედებების შესრულებისა და იძულებით აღსრულების ღონისძიებების გამოყენების დროულობა. დასახელებული პრინციპის არსებობა იკითხება სამოქალაქო საპროცესო და სააღსრულებო კანონმდებლობის სხვადასხვა ნორმიდან. როგორც მართლმსაჯულების განხორციელების, ისე აღსრულების ქვემდებარე აქტების მიზანია უფლებისა და კანონიერი ინტერესის ეფექტიანად დაცვა-აღდგენა. ეფექტიანობა ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, დამოკიდებულია უფლების დროულად დაცვაზეც. შესაბამისად, მოცემული პრინციპი სრულად შეესაბამება როგორც მართლმსაჯულების, ისე აღსრულების მიზნებს. ამგვარი მნიშვნელობის მიუხედავად, არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, არც სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონით აღნიშნული პრინციპის ცხოვრებაში რელურად გატარება სათანადოდ გარანტირებული არ არის. მოცემული პრინციპის შინაარსში ჩადებულია კანონით დადგენილი ვა-

დების დაცვის მოთხოვნა. პრობლემა სწორედ ამაშია. კანონით არ არის დადგენილი სააღსრულებო წარმოების დამთავრების ვადა. არ არის საკმარისი 35-ე მუხლის 1[1]-ლი პუნქტით გათვალისწინებული წესი, რომლის თანახმადაც თუ თანხის გადახდევინების შესახებ სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში ვერ დაკმაყოფიილდა კრედიტორის მოთხოვნა იმის გამო, რომ მოვალეს არ აქვს ქონება, რომლიდანაც შესაძლებელია გადახდევინება, სააღსრულებო ფურცელი/აღსასრულებელი გადაწყვეტილება უბრუნდება კრედიტორს, ამავე ნორმით გათვალისწინებული საქმეთა კატეგორიების გარდა. მიზანშეწონილია კანონით დადგინდეს სააღსრულებო წარმოების დამთავრების ვადა. ამგვარი ვადის დაწესება არ მოახდენს უარყოფით გავლენას აღსრულების ეფექტიანობაზე. პირიქით, ხელს შეუწყობს აღსრულების სისწრაფეს . საქმე ისაა, რომ აღსრულების დამთავრების მაქსიმალური ვადის დაწესება არ გულისხმობს ამ ვადის აუცილებლად ამოწურვას. თუ აღმასრულებელი დაინახავს, რომ სააღსრულებო მოქმედების შესრულება ან იძულებით აღსრულების ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია გაცილებით შემჭიდროვებულ ვადაში (და კანონი ამას არ კრძალავს), აუცილებელი არ იქნება იგი დაელოდოს დადგენილი ვადის დამთავრებას. თუკი სააღსრულებო წარმოების ვადაზე ადრე დამთავრების საფუძველი იარსებებს აღსრულებას ქვემდებარე აქტის ფაქტობრივად აღსრულების გზით, აუცილებელი არ იქნება, ველოდოთ ვადის ამოწურვას. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ აღსრულების დამთავრების ვადას უნდა ჰქონდეს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ხასიათი, აღმასრულებელმა ყველაფერი უნდა იღონოს, კანონით გათვალისწინებული ყველა მოქმედება უნდა შეასრულოს მოვალისა და მისი ქონების მოსაძებნად და ა.შ.

საინტერესოა საკითხის კონსტიტუციურ-სამართლებრივი მხარე. სასამართლო გადაწყვეტილების დროულად და ეფექტიანად აღსრულების მოთხოვნა გამომდინარეობს კონსტიტუციის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტიდან, მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან, მე-7 და 39-ე მუხლებიდან, 44-ე მუხლიდან, 45-ე მუხლიდან, 42-ე მუხლის 1-ლი და მე-9 პუნქტებიდან, 82-ე მუხლის 1-ლი-4-ე პუნქტებიიდან, 83-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან. დასახელებული ნორმები ურთიერთდაკავშირებულია. სასამართლო გადაწყვეტილების დროულად და ეფექტიანად აღსრულების მოთხოვნა განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას — ამ მოთხოვნის განხორციელება უზრუნველყოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სათანადო ორგანიზაციულ-სამართლებრივი მექანიზმის კანონით დადგენის მეშვეობით. ამგვარი მოწესრიგება ხორციელდება მხოლოდ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით, რაც საკმარისი არ არის. საჭიროა შემოღებულ იქნას კანონი გონივრულ ვადაში საქმის სასამართლოში განხილვის უფლების და გონივრულ ვადაში სასამართლო აქტის აღსრულების უფლების დარღვევისათვის კომპენსაციის შესახებ. ამგვარი კანონის მიღების ვალდებულება გამომდინარეობს ევროკონვენციის მე-6 მუხლიდან. დასახელებული უფლების დარღვევისათვის უფლებადარღვეულს კომპენსაცია უნდა მიეკუთვნოს იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარ დარღვევას ადგილი ჰქონდა კომპენსაციის მომთხოვნისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, განსაკუთრებული და მოცემულ პირობებაში აუცდენელი გარემოებების (დაუძლეველი ძალის) გარდა. ამასთან სასამართლო აქტის აღსრულების ვადის (ამგვარი ვადის კანონით დადგენილის შემთხვევაშიც კი) დარღვევა თავისთავად როდი ნიშნავს გონივრულ ვადაში სასამართლო აქტის აღსრულების უფლების დარღვევას. სასამართლო აქტის გონივრულ ვადაში აღსრულების უფლების დარღვევისათვის კომპენსაციის მიკუთვნება არ არის დამოკიდებული იმაზე, სახეზე იქნება თუ არა იმ ორგანოს ბრალი, რომელსაც ეკისრება სასამართლო აქტის აღსრულების ვალდებულება, ასევე სხვა სახელმწიფო ორგანოს, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს და მათი თანამდებობის პირების ბრალი.

კრედიტორის მოთხოვნის ოდენობისა და იძულებითი აღსრულების ღონისძიებების თანაფარდობა. მოცემული პრინციპი შეესაბამება სამოქალაქო პროცესში არსებულ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, სასამართლოს მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მოსარჩელის მოთხოვნის (სარჩელის) თანაზომადი უნდა იყოს. ზუსტად ასევე, აღმასრულებლის მიერ გამოყენებული იძულებითი აღსრულების ღონისძიება სააღსრულებო ფურცელში ასახული მოთხოვნის თანაზომადი უნდა იყოს.

კანონის წინაშე თანასწორობა. მოცემული პრინციპი ზოგადსამართლებრივი პრინციპია.

სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე გადახდევინების მიქცევის საკანონმდებლო წესით მოწესრიგება სტაბილურ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით უნდა ხორციელდებოდეს. დაბალანსებულად უნდა წესრიგდებოდეს სააღსრულებო წარმოების ყველა მონაწილის უფლება და კანონიერი ინტერესი. გადახდევინების ფარგლები საკანონმდებლო წესით ისე უნდა დადგინდეს, რომ არ იქნეს ხელყოფილი მოვალის უფლების მთავარი არსი და ამავდროულად, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლო-

ბის უარყოფითი შედეგების ოდენობის შემცირების ან თავიდან აცილების მიზნით დაცული იქნეს კრედიტორის უფლება (უწინარეს ყოვლისა მოთხოვნის უფლება). სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას აღმასრულებლის მიერ შესრულებული ყველა მოქმედება უნდა ემსახურებოდეს კრედიტორის ინტერესებს, მაგრამ აღმასრულებელმა უნდა გაითვალისწინოს მოვალის კანონიერი ინტერესებიც. მოცემული პრინციპის საფუძველზე კანონი თანაბრად იცავს სააღსრულებო წარმოების ორივე მხარის-კრედიტორისა და მოვალის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ორივე მათგანს საკუთარი ინტერესების დასაცავად თანაბარი უფლებები აქვს მინიჭებული.

სააღსრულებო წარმოების პრინციპს, მართალია, კრედიტორის ინტერესების უპირატესი დაცვა წარმოადგენს, რამეთუ სასამართლო პროცესისაგან განსხვავებით, სააღსრულებო წარმოებაში არ მოქმედებს შეჯიბრებითობის პრინციპი, ხოლო სააღსრულებო წარმოების მონაწილეთა თანასწორობის პრინციპის დაცვა მოვალის ქონებრივი უფლებების გარდაუვალად შეზღუდვის ფაქტორის გათვალისწინებით ხდება-წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული არაკეთილსინდისიერი მოვალის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება, მაგრამ აღნიშნული ფაქტორი სრულებითაც არ მოდის წინააღმდეგობაში კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპთან. დასახელებული დებულებით სააღსრულებო წარმოებაში მხარეთა თანასწორობის პრინციპის მოქმედების მარტოოდენ სპეციფიკას ესმება ხაზი. სახელდობრ: სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას უკვე განსაზღვრულია კრედიტორი და მოვალე. სააღსრულებო წარმოების ამოცანაა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მიერ დადგენილის განხორციელება. ამასთან, სააღსრულებო წარმოების მხარეებს შესაბამისი აქტის აღსრულების პერიოდში თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეს თავიანთი უფლებების დასაცავად.

სასამართლო აქტის ან სხვა ორგანოს აქტის სავალდებულობის პრინციპი. დარღვეული უფლების დაცვა არ იქნება ქმედითი, თუკი სასამართლო აქტი ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს აქტი დროულად არ აღსრულდება. სააღსრულებო წარმოების ამა თუ იმ მექანიზმის კონსტიტუციური დისკრეციის ფარგლებში შერჩევისას, კანონმდებელმა ნებისმიერ შემთხვევაში არაწინააღმდეგობრივად უნდა მოაწესრიგოს აღსრულების პროცესში წარმოშობილი ურთიერთობები. კანონმდებელმა სტაბილური სამართლებრივი საფუძველი უნდა შექმნას დასახელებული ურთიერთობისათვის და კანონმდებელს არა აქვს უფლება საეჭვო გახადოს სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოდ აღსრულების კონსტიტუციური პრინციპი. სასამართლო და სხვა აქტების აღსრულების მნიშვნელოვანი გარანტია არის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება.

სააღსრულებო წარმოებისათვის დამახასიათებელია **დისპოზიციურობის** პრინციპიც. ძირითადად, თავად კრედიტორი წყვეტს, წარადგინოს თუ არა გადასახდევინებლად სააღსრულებო ფურცელი. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. ამასთან, ცალკეულ შემთხვევაში გაუმართლებლად იზღუდება აღნიშნული პრინციპი. მაგალითად, ეს ითქმის სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 70-ე მუხლზე, როდესაც კრედიტორის ნებაზე კი არ არის დამოკიდებული აღსრულების შემდგომი მიმდინარეობა, არამედ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის დისკრეციულ უფლებაზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. შენგელია რ., საფინანსო სამართალი, თბ., 2009;
2. Кузнецов Е.Н., Иммунитет от взыскания в отношении определенных видов имущества должника (Сравнительно-правовой анализ на основе законодательства России и Франции). Арбитражный и гражданский процесс, 2001, № 4;
3. Радченко В. И., Комментарий к Гражданскому процессуальному кодексу РФ, Под общ. Первого заместителя Председателя Верховного Суда, РФ 3-е изд. Перераб. и доп., (автор комментария к ст. 446 ГПК РФ-В.В. Ярков), Норма, М., 2008.

შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი

საქართველოს სამოქალაქო სააღსრულებლო სამართლის პრინციპები

რეზიუმე

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი სპეციალურ მუხლს არ ითვალისწინებს, რომელშიც აღსრულების პრინციპები იქნებოდა გათვალისწინებული. ამასთან, პრინციპების დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს აღსრულების პროცესში მონაწილე მხარეთა უფლებების დაცვის საკითხში.

ნაშრომში ჩამოთვლილი პრინციპები კანონის ნორმათა ანალიზის შედეგად არის ჩამოყალიბებული. მათი დაცვა სავალდებულოა.

Sh.Kurdadze, N.Khunashvili

Civil Executive Court Principles of Georgia

Summary

Georgian law on Enforcement Proceedings does not provide special article, in which principles of enforcement would be provided. Protection of principles has great importance for the protection of parties rights, which participate in enforcement procedures.

The principles listed in the issue is the result of analysis of the norms of Georgian law. Protection of these principles is obligatory.

რ. შენგელია, ე. შენგელია

კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალი და აქციონერთა უფლება-მოვალეობანი

საქართველოში, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მსგავსად, საბანკო სისტემის ძირითად რგოლს, მის ხერხემალს კომერციული ბანკები წარმოადგენენ. მათი საქმიანობის შედეგებზე დამოკიდებულია არამარტო ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, არამედ საზოგადოების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ტერმინი „კომერციული" იმ პერიოდიდან დამკვიდრდა, როცა ბანკები ძირითადად ვაჭრებს – კომერსანტებს ემსახურებოდნენ და ვაჭრობის (commerce), საქონელგაცვლის და გადახდის პროცესებს არეგულირებდნენ. ადრეც და ახლაც ასეთი ბანკების ურთიერთობა კლიენტურასთან კომერციული ხასიათისაა. კომერციული ბანკების ფუნქციონირების ძირითად მიზანს მოგების მიღება წარმოადგენს. კომერციული ბანკი საწარმოა. იგი აწარმოებს და რეალიზაციას უკეთებს საბანკო პროდუქტს – სპეციფიკური ტიპის საქონელს – მომსახურებას. ამიტომ კომერციული ანგარიშიანობის პრინციპი მისი საქმიანობის განმსაზღვრელად ითვლება. კომერციულ ბანკს, კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვს მოახდინოს ფიზიკური და იურიდიული პირების დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია და თავისი სახელით გასცეს სესხად, აგრეთვე კლიენტების დავალებით განახორციელოს ანგარიშსწორება. ასეთი საშუამავლო მომსახურება ანაზღაურებითი ხასიათისაა, რაც მათი შემოსავლების ძირითადი ნაწილის ფორმირებას ედება საფუძვლად. აქედან გამომდინარე, **კომერციული ბანკია ის იურიდიული პირი, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.** რადგან კომერციული ბანკების საქმიანობის ძირითად მატერიალურ ბაზას დეპოზიტები წარმოადგენს, მათ სადეპოზიტო ბანკებსაც უწოდებენ. კომერციული ბანკები, ეროვნული ბანკისაგან განსხვავებით, განსაზღვრული ავტონომიურობისა და თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, წარმოადგენენ სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შექმნილ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს. საქართველოში ფუნქციონირებადი ბანკებიდან უმრავლესობა ახორციელებს კლიენტთა მრავალი სახის კომპლექსურ მომსახურებას და ამიტომ ისინი უნივერსალურ საბანკო დაწესებულებად ითვლებიან. ამით განსხვავდებიან ისინი ზოგიერთი სპეციფიკური, პროფილური ხასიათის საბანკო ან არასაბანკო სტრუქტურებისაგან.

კომერციული ბანკების საქმიანობას საქართველოში არეგულირებს 1996 წლის 23 თებერვლის კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონი, მეწარმეთა შესახებ კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომერციული ბანკის წესდებას, რომელშიც, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, აისახება კონკრეტული ბანკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ცალკეული უფლება-მოვალეობები. აღსანიშნავია ისიც, რომ კომერციულ ბანკებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში სხვადასხვა კანონებსა და კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონს შორის კოლიზიის წარმოშობისას, მოქმედებს სპეციალური კანონი.

საბანკო კანონმდებლობის მოთხოვნათა ფონზე, კომერციული ბანკი ვალდებულია, შეინარჩუნოს თავისი საქმიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი კაპიტალისა და ლიკვიდური რესურსების სათანადო დონე და აქტივების დივერსიფიკაციის საფუძველზე, დანაკარგების რისკის გათვალისწინებით, მოახდინოს მომსახურებისა და მოქმედების არეალის გაფართოება. ამასთან, კომერციული ბანკსა და მის კლიენტურას შორის საბანკო მომსახურების თაობაზე წარმოშობილი ურთიერთობები რეგულირდება მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. აქ ძირითადად ფულადი გადარიცხვები იგულისხმება. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში ბანკს კანონით დადგენილი საურავის გადახდა დაეკისრება. კანონის ჩარევა სახელშეკრულებო ურთიერთობათა პროცესში განპირობებულია სახელმწიფოს მხრივ საბანკო საქმიანობის განხორციელებისას ფულადი პოლიტიკის განმტკიცებისა და ბანკის კლიენტის ინტერესთა დაცვის აუცილებლობით.

კანონი ზუსტად განსაზღვრავს კომერციული ბანკის საქმიანობის ფარგალს. მისი დარღვევა ბანკს ეკრძალება და შეიძლება მისი საქმიანობის შეწყვეტის საფუძველიც გახდეს. არც ეროვნულ ბანკს აქვს უფლება ლიცენზიის გაცემისას კომერციულ ბანკს დააკისროს კანონით გაუთვალისწინებული საქმიანობის სახე.

კომერციული ბანკის საქმიანობის მართლზომიერებას განაპირობებს არამარტო მისი ფუნქციების ზუსტად განსაზღვრა, არამედ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ეკონომიკური ლიმიტებისა და ნორმატივების დაცვის ხარისხი. კომერციული ბანკი ვალდებულია დაიცვას შემდეგი ეკონომიკური ლიმიტები:

ა) საწესდებო და საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა[1]ბ) ბანკის სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კლასიფიცირებულ აქტივებთან თანაფარდობა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად; გ) ბანკის მიერ მოზიდული ანაბრების ზღვრული თანაფარდობა მის საზედამხედველო კაპიტალთან; დ) ბანკის მიერ ერთ მსესხებელზე გაცემული კრედიტების და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის თანაფარდობა მის საზედამხედველო კაპიტალთან და სხვ.

ნებისმიერ ბანკს თავისი კომერციული საქმიანობის უზრუნველსაყოფად უნდა ჰქონდეს ფულადი რესურსების განსაზღვრული ოდენობა. მათი ფორმირება საბაზრო მეურნეობის პირობებში სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება, რაც იმითაა განპირობებული, რომ არსებითად შეიზღუდა საბანკო რესურსების ფორმირებაში საერთო-სახელმწიფოებრივი ფონდების მონაწილეობა და ბანკების ორრგოლიანი სისტემის შექმნის საფუძველზე გაიზარდა იმ სამეურნეო სუბიექტების რიცხვი, რომლებიც დამოუკიდებლად წყვეტდნენ დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსების ადგილსა და ფორმებს. ყოველივე ეს ხელს უწყობს საკრედიტო რესურსებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრების გააქტიურებას. ბაზრების მეშვეობით უზრუნველყოფენ კომერციული ბანკები ფუნქციონირებისათვის საჭირო რესურსების შექმნას. ბაზრებზე ისინი გამოდიან თავისუფალი რესურსების მსესხებლებად, საკუთარი ფასიანი ქაღალდების გამყიდველებად, სახელმწიფოსა და სხვა სუბიექტების ქაღალდების მყიდველებად. სადაზღვევო, საფინანსო-საკრედიტო და სხვა დაწესებულებების მონაწილეობა საკრედიტო რესურსებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრებში მნიშვნელოვნად ამწვავებს ბანკებს შორის კონკურენციულ ურთიერთობას და პრობლემატურს ხდის დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციის საკითხს.

კომერციული ბანკების რესურსები მოზიდული (ნასესხები) და საკუთარი სახსრების ერთობლიობაა. მათი მეშვეობით ახორციელებენ ისინი აქტიურ ოპერაციებს. ბანკის საერთო კაპიტალი წარმოადგენს მისი სტაბილური ზრდის, საიმედობისა და მდგრადობის ძირითად საფუძველს. საერთო კაპიტალის დაახლოებით ორი მესამედი მოზიდული ან ნასესხები სახსრებია, ხოლო დანარჩენი კი — საკუთარი. მოზიდულ სახსრებში ძირითადია სადეპოზიტო სახსრები ანუ ბანკის კლიენტის მიერ ცალკეულ ანგარიშებზე შეტანილი ფულადი სახსრები. ნაკლები მნიშვნელობისაა არასადეპოზიტო სახსრები, რომლებსაც სესხის სახით ან ფულის ბაზარზე თავისი სავალო ვალდებულების გაყიდვის გზით იღებს ბანკი.

ბანკის საერთო რესურსებში განსაკუთრებული ადგილი უკავია საკუთარ რესურსებს ანუ კაპიტალს, რომელიც ბანკის წარმატებული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. საკუთარ კაპიტალად ითვლება სპეციალურად შექმნილი ის ფონდები და რეზერვები, რომელთა დანიშნულებაა ბანკის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და მოსალოდნელი ზარალის დაფარვა. საკუთარი კაპიტალი ბანკის განკარგულებაშია მისი ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში. იგი მოიცავს საწესდებო და სარეზერვო კაპიტალს, სადამფუძნებლო ანუ საემისიო მოგებას, მიმდინარე და გასული წლების გაუნაწილებელ მოგებას, რომლებიც ბანკის განკარგულებაშია დარჩენილი და აუდიტის მიერაა დადასტურებული, აგრეთვე, სხვადასხვა რისკის დასაფარად შექმნილ რეზერვებს.

კომერციული ბანკის საკუთარ კაპიტალს ძირითადად აქვს დაცვითი, ოპერატიული და მარეგულირებელი ფუნქციები. რადგან ბანკის აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს დეპოზიტარები წარმოადგენენ, ამიტომ ოდენობით შეზღუდული საკუთარი კაპიტალის მთავარი ფუნქციაა სწორედ დეპოზიტარების ინტერესების დაცვა. გარდა ამისა, ეს კაპიტალი ამცირებს ბანკის აქციონერთა რისკს. დაცვითი ფუნქციის შინაარსში შედის ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში მეანაბრისათვის კომპენსაციის გადახდა, აგრეთვე ბანკის გადახდისუნარიანობის შენარჩუნება აქტივების რეზერვების შექმნის გზით, რაც ზარალის გაჩენის საშიშროების მიუხედავად, ბანკს უწყვეტი საქმიანობის შესაძლებლობას უქმნის. საკუთარი კაპიტალი ე.წ. „შავი დღის ფულია“, „დამცავი ბალიშია“, რომელიც საშუალებას აძლევს ბანკს თავისი ოპერაციები გააგრძელოს გაუთვალისწინებელი მსხვილი დანაკარგების შემთხვევაში. კომერციული ბანკის გადახ-

---

[*] ***sazedamxedvelo kapitali —*** კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების (ზარალის) გასანეიტრალებლად და სხვადასხვა სახის რისკებისგან დასაცავად. არსებობს აგრეთვე: ***saaqcio kapitali*** — კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის; ***gancxadebuli sawesdebo kapitali***– საზოგადოების აქციონერთა მიერ დათქმული და წესდებით გათვალისწინებული კაპიტალი ***da ganaRdebuli sawesdebo kapitali***– განცხადებული საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი.

დისუნარიანობის შენარჩუნებას საკუთარი კაპიტალის მხოლოდ ერთი ნაწილი უზრუნველყოფს. ბანკი გადახდისუნარიანად ითვლება მანამ, ვიდრე ხელუხლებელი რჩება სააქციო კაპიტალი ანუ ვიდრე აქტივების ღირებულება ნაკლები არ გახდება მის მიერ გამოშვებული ვალდებულებათა და სააქციო კაპიტალის თანხაზე.

ბანკის საქმიანობის საწყის ეტაპზე საკუთარი კაპიტალი ეფექტურად გამოიყენება ოპერატიული ფუნქციის გასახორციელებლად, რაც გულისხმობს მიწის ნაკვეთის, შენობებისა და მოწყობილობების, აუცილებელი ტექნიკის შეძენას საკუთარი სახსრებით. საქმიანობის მომდევნო ეტაპზე ამ სახსრების ერთი ნაწილი შეიძლება გამოყენებული იქნეს გრძელვადიან აქტივებში გასათავსებლად და ამა თუ იმ რეზერვის შესაქმნელად. სტრუქტურული ხასიათის ღონისძიებების გატარების დროს (მაგ., ფილიალის შექმნა) საბანკო ოპერაციების გაფართოებაზე გაწეული ხარჯების დასაფარად ბანკმა შეიძლება გამოუშვას დამატებითი აქციები ან გრძელვადიანი სესხები. ეს საკუთარი სახსრების მიზნობრივი გამოყენების საუკეთესო საშუალებაა.

კომერციული ბანკების ეფექტური და მართლზომიერი საქმიანობა ბევრადაა განპირობებული საკუთარი კაპიტალის მარეგულირებელი ფუნქციის შინაარსით. კაპიტალის მაჩვენებლების მეშვეობით სახელმწიფო სტრუქტურები ახდენენ კომერციული ბანკების საქმიანობის შეფასებასა და კონტროლს. ბანკის საკუთარი კაპიტალის ფორმირებისა და გამოყენების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები განსაზღვრავენ მის მინიმალურ ოდენობას, სხვა ბანკების აქტივების შეძენის პირობებს, შეზღუდვებს გამოყენების პროცესში და სხვ. კანონის საფუძველზე ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ნორმატივები ძირითადად ცალკეული ბანკის საკუთარი კაპიტალის ოდენობიდან გამომდინარეობს. მარეგულირებელ ფუნქციას მიეკუთვნება, აგრეთვე, სასესხო და საინვესტიციო ოპერაციების მიზნით კაპიტალის გამოყენებაც.

საბოლოოდ, რაც უფრო მეტია საკუთარი კაპიტალი, მით უფრო მეტი გარანტია არსებობს იმისა, რომ მოდინების თანხები აჭარბებდენ გადინებას. ბანკის გადახდისუნარიანობაც მაღალია. საბანკო საქმიანობისათვის ადეკვატურად აუცილებელი საკუთარი კაპიტალი ამცირებს საოპერაციო პრობლემებს ფინანსურ ბაზრებში თავისუფლად შეღწევის გზით. კაპიტალი იმის შესაძლებლობას აძლევს ბანკს, რომ ტრადიციული წყაროებიდან გასცეს სესხები ჩვეულებივი განაკვეთებით. საკმაო საკუთარი კაპიტალი უზრუნველყოფს ბანკის სტაბილურ რეპუტაციას.

საკუთარი კაპიტალის ოდენობა არ არის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული სიდიდე. მითუმეტეს, რომ სხვადასხვა ბანკს განსხვავებული მატერიალური მდგომარეობა, საქმიანობის სფერო და პირობები შეიძლება ჰქონდეს. მაშინ როგორ უნდა განისაზღვროს საკუთარი კაპიტალის ოდენობა? ამ დროს გამოყენებული უნდა იქნეს მარეგულირებელი ორგანოების სტანდარტების გონივრული შეხამება საბაზრო მურნეობის პრინციპებთან. ყოველ შემთხვევაში ნებისმიერი ბანკის საკუთარი კაპიტალის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს აქტივების ზომას მათი რისკების ხარისხის გათვალისწინებით.

ბანკის საკუთარ სახსრებში ყველაზე სერიოზული ფუნქციონალური დატვირთვა საწესდებო კაპიტალს აქვს. იგი მთლიანად მისივე მონაწილეების – ფიზიკური და იურიდიული პირების შენატანებით ყალიბდება. საწესდებო კაპიტალი არ შეიძლება მოზიდული სახსრებისაგან შედგებოდეს. იგი მხოლოდ აქციონერთა საკუთარი სახსრების ჯამია. აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული, თუ ბანკის წესდებით სხვა სახე არ არის გათვალისწინებული. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე. პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. იგი უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას სპეციალური განაკვეთით. დივიდენდის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება ბანკის წესდებით. აქედან გამომდინარე, ბანკის საწესდებო კაპიტალი თავის მხრივ შეიძლება აქციათა სახეების მიხედვით დაიყოს შემადგენელ ნაწილებად: ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი, რომლის ღირებულება იზომება ბანკის მიერ გამოშვებული იმ ჩვეულებრივი აქციების ნომინალური ღირებულებით, რომელთაგან მიღებული შემოსავალი ცვალებადია და დამოკიდებულია ბანკის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებაზე დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებით; პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი – იზომება იმ აქციების ნომინალური ღირებულებით, რომლებზეც არსებობს დივიდენდის ფიქსირებული განაკვეთის გაცემის დაპირება. პრივილეგირებული აქციები შეიძლება იყოს როგორც უვადო ისე დაფარვის განსაზღვრული ვადის მქონე. სააქციო კაპიტალში მეტი მნიშვნელობა თავისი შედარებითი სიდიდის გამო ჩვეულებრივ სააქციო ნაწილს ენიჭება. პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი ბანკს შეიძლება საერთოდ არ გააჩნდეს ან უმნიშვნელო ოდენობას შეადგენდეს.

აღსანიშნავია ის, რომ საბანკო სფეროში ფუნქციონირებადი კომერციული ბანკებიდან და საზღვარგარეთული ბანკის ფილიალებიდან ყველას ერთნაირი მოცულობის მატერიალური შესაძლებლობები არ გააჩნია. მოქმედიდან 6 წამყვან ბანკზე მოდის 80%-ზე მეტი ჯამური აქტივები და დეპოზიტები. მათ

შორის ორი ლიდერია. ესენია „საქართველოს ბანკი“ და „თიბისი ბანკი“, რომლებიც 60%-მდე აქტივებსა და დეპოზიტებს ფლობენ. ასეთი მდგომარეობა ჯანსაღი კონკურენციის არსებობას გამორიცხავს და წამყვანი ბანკების მცირე ნაწილს უქმნის ასპარეზს. დანარჩენ ბანკებს შედარებით მცირე რაოდენობის კლიენტები და შეზღუდული სადეპოზიტო ბაზა აქვთ. ასეთ შემთხვევაში მათ დახმარებას უწევენ უცხოელი ინვესტორები, რომლებიც ყიდულობენ აქციების საკონტროლო პაკეტს და ცდილობენ ბაზარზე პოზიციების განმტკიცებას. საქართველოს საბანკო სექტორის განვითარებაში უცხოური კაპიტალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იგი საქართველოს კომერციული ბანკების ორ მესამედში არის ჩართული. ამ ბანკების აქციების საკონტროლო პაკეტი უცხოელების ხელშია. მაგალითად, „ბანკი რესპუბლიკა“ შეიძინა ფრანგულმა საბანკო გიგანტმა „სოსიეტე ჟენერალმა“, რომელმაც მოახდინა საბანკო საქმიანობის რესტრუქტურიზაცია და მომხმარებლებს რამდენიმე ახალი პროდუქტი შესთავაზა, რამაც მისი პოზიციები ბაზარზე მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. რაც შეეხება ქვეყნის სხვა ბანკებს, ისინი ძირითადად ყოფილი საბჭოთა არეალის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან. შესაბამისად დამოკიდებულნი არიან ამა თუ იმ ქვეყნის ინტერესებზე. ამ გაგებით „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ რუსულ ზეგავლენას განიცდის, „ტურან ალემ ბანკი“ – ყაზახეთისას და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში წარმოდგენილი უცხოური ბანკების უმრავლესობა, რომლებიც ქვეყნის კომერციული ბანკების აქციათა საკონტროლო პაკეტს ფლობენ, მსოფლიო ფინანსური ბაზრის არც ისე ცნობილი მონაწილენი არიან. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის კომერციული ბანკებიდან თითქმის ნახევარი წარმოადგენს მსხვილი უცხოური ბანკების შვილობილ სტრუქტურებს, მათი აქტივებისა და დეპოზიტების საერთო ჯამი 20%-ის ფარგლებში მერყეობს და ამიტომ საქართველოს საბანკო სექტორის უცხოური კაპიტალით გაჯერებაზე მსჯელობა ნაადრევად უნდა ჩაითვალოს.

კომერციულ ბანკს საკუთარი კაპიტალის ცალკეული ელემენტების მინიმალურ ოდენობას და მათი ფორმირების ძირითად პარამეტრებს ეროვნული ბანკი განუსაზღვრავს. კომერციულ ბანკს ასეთი კაპიტალის გაზრდა ყოველთვის შეუძლია, შემცირება კი გამონაკლისის სახითაა ნებადართული. ამასთან, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონის 10-ე მუხლი ითვალისწინებს საკუთრების უფლებისა და აქტივების სტრუქტურის შემდეგი სახის შეზღუდვებს: ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე მას შეუძლია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს სხვა იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის არაუმეტეს 20 პროცენტს. ასეთ შემთხვევაში მისი წილი არ უნდა აღემატებოდეს თავისივე სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს. ამ ნორმების გაზრდა შესაძლებელია ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით. ასევე, ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტის ფარგლებში შეუძლია კომერციულ ბანკს ფლობდეს გარკვეულ წილს, მხოლოდ საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმეში. ამ წილის გაზრდა შესაძლებელია ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვის საფუძველზე. ამ შემთხვევაში კომერციულ ბანკს შეუძლია შექმნას და შეიძინოს შვილობილი საწარმოები, რომლებიც ეწევიან სხვა სახის საქმიანობას. ნებართვაში თითოეული შვილობილი საწარმოს მიხედვით დათქმული უნდა იყოს საქმიანობის სახეობა, რომლის განხორციელებაც მას შეუძლია. ამ შემთხვევაში შვილობილი საწარმოების საქმიანობა შეზღუდულია ნებართვაში დათქმული სახეობების მიხედვით. მას უფლება აქვს ასევე შეიძინოს სპეციალიზებული შვილობილი საწარმო – საბროკერო კომპანია, რომელიც მონაწილეობს მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ საბროკერო საქმიანობაში და ფლობდეს მასში წილს შეუზღუდავი ოდენობით, თუ ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე ეს წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს.

კომერციული ბანკი უფლებამოსილია საწესდებო კაპიტალის წილი გამოიყენოს გაცემული საკრედიტო თანხის ასანაზღაურებლად, ოღონდ აუცილებელია ბანკის მფლობელობაში არსებული იურიდიული პირის კაპიტალისა და საბროკერო კომპანიის საქმიანობის წილების ერთობლივი ღირებულება არ აღემატებოდეს კომერციული ბანკების სააქციო კაპიტალის 50 პროცენტს.

კომერციული ბანკი ვალდებულია, ჰქონდეს სრული ინფორმაცია ბანკის თოთოეული ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს წილის 10 პროცენტზე მეტს. აღნიშნული ინფორმაცია მან უნდა მიაწოდოს ეროვნულ ბანკს. ამასთან ინფორმაციაში ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული იმ ცვლილებების შესახებაც, რომლებიც მნიშვნელოვანია და დაკავშირებულია ბენეფიციარ მესაკუთრესთან. ბანკმა ასეთი ინფორმაცია უნდა გამოაქვეყნოს თავის წლიურ ანგარიშში. ეროვნულ ბანკს კი ევალება განსაზღვროს ასეთი ინფორმაციის მიწოდებისა და გამოქვეყნების წესი ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. ეროვნული ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არ ეკისრება ბანკის იმ ბენეფიციარ მესაკუთრეს, რომლის ვინაობის დადგენა მას არ შეუძლია, ვინაიდან მის სასარგებლოდ ნომინალური მფლობელობა ხორციელდება განვითარებულ ქვეყნებში განთავსებული და იქ შესაბამისი უფლებამოსი-

ლების მქონე საკლირინგო[1] ორგანიზაციების ან საერთაშორისო დეპოზიტორების მიერ. ბენეფიციარ მესაკუთრეებზე, თუ ისინი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობენ აქციებს, ვრცელდება ყველა ის მოთხოვნა, რომლებიც შეეხება კომერციული ბანკის აქციონერს.

კომერციული ბანკების საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა და მათი აქციონერების კონკრეტული უფლება-მოვალეობები დეტალურად არის ასახული მათ წესდებებში. კაპიტალის შემადგენლობა ცალკეული ბანკისათვის სხვადასხვაა, ხოლო აქციონერების უფლება-მოვალეობები თითქმის ერთნაირია. მაგალითად, „თიბისი ბანკის“ განცხადებული საწესდებო კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება 16.643.100 ლარით, დაყოფილია 166.431 ცალ ჩვეულებრივ აქციად. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 100 ლარია. ამ საერთო მოცულობის აქციებიდან 151.710 გამოშვებული ჩვეულებრივი აქციაა, ხოლო – 14.721 ნებადართული ჩვეულებრივი აქცია. „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ 104,5 მილიონი ერთლარიანი ღირებულების აქციებიდან ნებადართული აქციების რაოდენობა შეადგენს 43,5 მილიონს. „საქართველოს ბანკის“ განცხადებული საწესდებო კაპიტალი შედგება 43.308.125 ცალი ერთლარიანი ნომინალური ღირებულების აქციებისაგან. ერთი აქცია, რა ღირებულებისაც არ უნდა იყოს იგი, საერთო კრებაზე ერთი ხმის უფლებას აძლევს აქციონერს. კომერციულ ბანკებს აქვთ პრივილეგირებული აქციების გამოშვების უფლებამოსილება. ასეთი აქციების რაოდენობა წინასწარ არ განისაზღვრება წესდებაში. ბანკის აქციონერთა რეესტრის წარმოება ხორციელდება დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, კანონის და მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ბანკს უფლება აქვს გაზარდოს თავისი კაპიტალი დამატებითი აქციების გამოშვების გზით. საწესდებო კაპიტალის გაზრდის ან ბანკის მიერ ისეთი ახალი აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების შემთხვევაში, რომლებიც იძლევა ბანკის საწესდებო კაპიტალის შეძენის უფლებას (ოფცია, გარანტია და სხვ.) კონვერტაციის, გაცვლის ან სხვა გზით, ბანკის აქციონერებს ენიჭებათ უპირატესი შესყიდვის უფლება ბანკში მათი წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად იმავე წესითა და პირობებით, როგორითაც აღნიშნული აქციების ან მათი ექვივალენტის ფასიანი ქაღალდების შეთავაზება განხორციელდება ნებისმიერი სხვა მყიდველისათვის. ბანკი წერილობით აცნობებს თითოეულ აქციონერს საწესდებო კაპიტალის გაზრდის, ახალი აქციებისა და ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ და აქციონერებს უფლება ექნებათ განახორციელონ შეძენა შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში. ახალი აქციების ემისიის დროს აქციონერთა საერთო კრებამ ზუსტად უნდა განსაზღვროს, თუ რა მოცულობით შეეხება გაზრდა ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებს. თუ საერთო კრების მიერ ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმებულია უპირატესი შესყიდვის უფლება ან უპირატესი შესყიდვის წესდებით დადგენილი ვადა გასულია, მაშინ დანარჩენ აქციონერებს უფლება აქვთ შეისყიდონ დარჩენილი აქციები თავიანთი წილის პროპორციულად. უპირატესი შესყიდვის უფლება არ შეეხება ნებადართული საწესდებო კაპიტალის ფარგლებში ემიტირებულ აქციებს, რომლებიც საერთო კრების გადაწყვეტილებით გამიზნულია ბანკის თანამშრომლებზე გასაცემად. საწესდებო კაპიტალის გაზრდა შეიძლება განხორციელდეს სარეზერვო ფონდების საწესდებო კაპიტალად გარდაქმნითაც. ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია აქციონერისათვის აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების აკრძალვა. ბანკს უფლება აქვს გამოისყიდოს საკუთარი აქციები. ამასთან, შეუძლია გამოსყიდული აქციები კვლავ გაყიდოს. ასეთი, სახაზინო აქციების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების 10%-ს. ნებადართული აქციების ფარგლებში ნებადართული აქციების, ახლადემიტირებული აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტს ბანკის დირექტორატი.

აქციონერების უფლებების ანალიზისას ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ: 1. აქციონერები არ არიან პასუხისმგებელნი ბანკის ვალდებულებებზე. ისინი ატარებენ ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული ზარალის რისკს მათი კუთვნილი აქციების ღირებულების ფარგლებში; 2. ბანკის ყოველი ჩვეულებრივი აქცია მის ყოველ მფლობელს ანიჭებს უფლებათა ერთნაირ მოცულობას. კერძოდ, უშუალოდ ან წარმომდგენის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა საერთო კრების მუშაობაში ხმის უფლებით დღის წესრიგის ყველა საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე მიიღოს დივიდენდი და ბანკის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების ნაწილი მის მფლობელობაში არსებული აქციების ღირებულების პროპორციულად;

აქციათა არანაკლებ 5%-ის ფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანი წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ რომ ადგილი აქვს დარღვევებს. მათ ასევე შეუძლიათ სამეთვალყურეო საბჭოს წერილობით მოთხოვონ საერთო კრების

[1] ***kliringi***–უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც ემყარება მოთხოვნებისა და ვალდეულებების ურთიერთჩათვლას და გამოიყენება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ანგარიშსწორებაში.

რიგგარეშე ჩატარება შეთავაზებული დღის წესრიგის საკითხებით, რომელთა შინაარსი გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ბანკის მიზნებთან და საქმიანობის ხასიათთან. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია, მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს სამი თვისა, ჩაატაროს აქციონერთა საერთო კრება. აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერებს რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნის უფლება აქვთ ბოლოს ჩატარებული საერთო კრებიდან არაუადრეს ერთი თვისა. თუ აქციონერები რიგგარეშე კრების მოწვევას ითხოვენ სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრის გადასაყენებლად, მოთხოვნიდან 20 დღეში უნდა იქნეს მოწვეული საერთო კრება. თუ ეს არ მოხდა, მაშინ თვით ინიციატორებს აქვთ კრების მოწვევის უფლება. ასეთ შემთხვევაში კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75%-ის მქონე აქციონერები. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში კრება 20 დღეში მოიწვევა ხელახლა. ქვორუმი იგივე უნდა იყოს. თუ მეორეჯერაც ვერ ჩატარდა კრება, ინიციატორებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს, რომელიც გამოიტანს გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის მიერ სამ თვეში რიგგარეშე კრების ჩატარების შესახებ.

აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, ბანკში დადგენილი წესების შესაბამისად, დირექტორატისაგან მოითხოვონ ბანკის სახელით დადებული გარიგების ასლები და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ. აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას. თუ ძირითადმა ანუ დომინანტმა[1] აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი მდგომარეობა ბანკის საზიანოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია.

თუ ბანკმა არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია ბანკის ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი სასამართლოში აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ ბანკი აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება ბანკის ინტერესებს. სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოს გარეშე ხარჯები, ადვოკატის მომსახურების ჩათვლით. ბანკი თავისუფლდება ასეთი ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა ბანკისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება ბანკის მიერ გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

კომერციული ბანკის აქციონერები ვალდებულნი არიან დროულად უზრუნველყონ შესაბამისი სახსრების შეტანა საწესდებო კაპიტალში, რათა აქციები დარეგისტრირდეს მათ სახელზე და დაიცვან ბანკის წესდებით განსაზღვრული პირობები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბილისი, 2012.
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე. თეორია და პრაქტიკა. თბილისი, 2014.
3. შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები. თბილისი,2014.
4. შენგელია ე., სააქციო საზოგადოების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები. თბილისი, 2003.
5. შენგელია რ., საფინანსო სამართალი. თბილისი, 2009.
6. ჭანტურია ლ., ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბილისი, 2002.

[1] ***dominanti aqcioeri*** – აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინონ სააქციო საზოგადოების საერთო კრების კენჭისყრის შედეგებზე.

რ. შენგელია, ე. შენგელია

კომერციული ბანკის საკუთარი კაპიტალი და აქციონერთა უფლება-მოვალეობანი

რეზიუმე

ქართულ საბანკო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კომერციულ ბანკებს. მათი საქმიანობის შედეგებზე დამოკიდებულია როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარება ისე საზოგადოების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ნებისმიერი ბანკი, თავისი კომერციული საქმიანობის უზრუნველსაყოფად, უნდა ფლობდეს ფულადი რესურსების განსაზღვრულ ოდენობას. ბანკის საერთო რესურსებში მნიშვნელოვანია საკუთარი კაპიტალი. ასეთად ითვლება სპეციალურად შექმნილი ის ფონდები და რეზერვები, რომელთა დანიშნულებაა ბანკის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და მოსალოდნელი ზარალის დაფარვა. იგი მოიცავს: საწესდებო და სარეზერვო კაპიტალს, საემისიო მოგებას, მიმდინარე და გასული წლების გაუნაწილებელ მოგებას, აგრეთვე, სხვადასხვა რისკის დასაფარად შექმნილ რეზერვებს.

ბანკის საკუთარ სახსრებში ყველაზე სერიოზული ფუნქციონალური დატვირთვა საწესდებო კაპიტალს აქვს. იგი მთლიანად აქციონერთა შენატანებით ყალიბდება. სტატიაში დეტალურადაა გაანალიზებული საკუთარი კაპიტალის სტატუსი და ბანკის აქციონერთა კონკრეტული უფლება-მოვალეობანი.

R. Shengelia , E. Shengelia

Capital of Commercial Bank and shareholder’s rights and obligations

Summary

In the Georgian Banking system Commercial Banks ocupy special place. Country’s economic development as well as improvement of the social conditions of the society are depended on the results of their activity.

Any kind of Bank, in order to ensure their commercial activity, should have certain amount of monetary resources. It is important to have its own capital in the Bank’s general resources, such as the foundations and reserves made purposely, which are designed to ensure the economic stability and cover the predictable loss of the Bank. It includes: The authorized and reserve capital, emission profit, retained earnings of current and past years, also the reserves in order to be covered any kind of risks.

The most significant functional workload owns authorized capital in the Bank’s funds. It is wholly formed by contributions from the shareholders. The article presents analysis of the status of their capital and certain rights and obligations of the shareholders.

ეკონომიკის მეცნიერებები

ბ. ალადაშვილი

ენერგეტიკული უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფის საკითხები

გლობალიზაციის პირობებში სასიცოცხლო აუცილებლობას იძენს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების (ეუ) უზრუნველყოფის ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის ფორმირება, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს ენიჭება. გავიხსენოთ უახლოესი წარსული. 1991 წლის მაისში მომხდარი ფაქტი, როდესაც საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა ხელისუფლებამ რამდენიმე დღით ბუნებრივი გაზის მიწოდება შეუწყვიტა ურჩ საქართველოს, „ენერგეტიკული იარაღის“ გამოყენების პირველი (თუმცა არა უკანასკნელი) შემთხვევა იყო. ჩვენი მაშინდელი გამოუცდელი ხელისუფლება არ იყო მზად ამგვარი სიტუაციებისთვის და რამდენიმე დღის მანძილზე ქვეყანაში სრული ქაოსი სუფევდა. არ გვქონდა ბუნებრივი გაზის მიღების და ტრანსპორტირების ალტერნატიული პროექტების წინასწარი მონახაზიც კი, არ გაგვაჩნდა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მარაგები და ა.შ.

აღმოჩნდა, რომ საქართველოს დიდი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობით თავის მოწონება სასაცილო გახდება, თუ ჩვენი „კეთილი მეზობლები” მომავალშიც ეკონომიკურ ბლოკადას მოგვიწყობენ.

როგორაა უზრუნველყოფილი ამჟამად საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება ინსტიტუციურ დონეზე? როგორი უნდა იყოს ხელისუფლების სტრატეგია და პოლიტიკა ამ მიმართულებით? შევეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვებს.

რუსეთის „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში“, რომლის ძირითადი ნაწილიც ჯერ კიდევ 1997 წლის 17 დეკემბერსაა დამტკიცებული, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში რუსეთის გავლენის, მათ შორის ენერგეტიკულ სფეროში, შესუსტება ეროვნული ინტერესების რეალიზაციის ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორადაა დასახელებული. ანალოგიური მიდგომაა დაფიქსირებული რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების გვიანდელ დოკუმენტებშიც.

თავის მხრივ, აშშ-ის ადმინისტრაციაც არ მალავს საკუთარ ეროვნულ ინტერესებს. ჯერ კიდევ 2001 წლის მაისში გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი დოკუმენტი: „აშშ-ის ნაციონალური ენერგეტიკული პოლიტიკის საფუძვლები“, საიდანაც ნათლად ჩანს აშშ-ის მისწრაფება გააძლიეროს თავისი ეკონომიკური გავლენა კასპიის რეგიონში, საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად და მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარზე რუსეთის დომინირებული პოზიციის შესაზღუდავად. უკანასკნელ წლებში საქართველოს ტერიტორიის გავლით განხორციელებული და მოსალოდნელი ნავთობსადენების და გაზსადენის პროექტები სწორედ ენერგეტიკული რესურსების მოპოვების და ტრანსპორტირების დივერსიფიცირების ამერიკული პოლიტიკის რეალიზაციის შედეგია.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის 2011 წლის ვარიანტში ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებს საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი. კერძოდ აღნიშნულია, რომ: „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის პრიორიტეტულია ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ენერგომატარებლების მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციის შენარჩუნება საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებისათვის. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სუფთა ენერგიის წყაროების განვითარებას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას“.

ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საქართველოს პრიორიტეტია ენერგიის წყაროებისა და ტრანსპორტირების გზების დივერსიფიკაციის გაგრძელება. თანაბრად მნიშვნელოვანია შიდა რესურსების მაქსიმალურად ათვისების, ენერგოსისტემის შემდგომი მოდერნიზაციისა და

განვითარების ხელშეწყობა და რეგიონულ ენერგოინფრასტრუქტურაში ინტეგრაცია. საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის გაზრდა დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე მის მოქალაქეთა კეთილდღეობაზე.

ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ენერგოინფრასტრუქტურის განვითარება. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენერგორესურსებისა და მათი მომწოდებლების შემდგომ დივერსიფიკაციას და საერთაშორისო და რეგიონულ ენერგოპროექტებში მონაწილეობის გაფართოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება მიესალმება სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის ფარგლებში ახალი პროექტების განხორციელებას, მათ შორის, იმ პროექტებისას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ევროპისათვის ნავთობისა და ბუნებრივი აირის კასპიის ზღვისა და ცენტრალური აზიის რეგიონებიდან საქართველოს გავლით მიწოდება. საქართველო მნიშვნელოვანი ენერგეტიკული დერეფნების ნაწილია. იგი აცნობიერებს იმ როლს, რომელიც ენიჭება ქვეყანას კასპიის ზღვისა და შუა აზიის რეგიონებიდან დანარჩენი მსოფლიოსთვის ენერგორესურსების ალტერნატიული გზებით მიწოდების პროცესში. საქართველოს შავი ზღვის პორტები, ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები, ასევე ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი უკვე მოქმედი, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტებია. საქართველოს ხელისუფლება მოწოდებულია, უზრუნველყოს მათი ეფექტიანი ფუნქციონირება და პერსპექტიული პროექტების განვითარება.

ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ენერგოინფრასტრუქტურის განვითარება და ჰიდრორესურსების უფრო ეფექტიანი ათვისება, ასევე სუფთა ენერგიის სხვა წყაროების პოტენციალის შესწავლა. საქართველო აქტიურად აგრძელებს უცხოელ ინვესტორებთან თანამშრომლობას განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისების კუთხით. ელექტროენერგიის გადამცემი ახალი ხაზებისა და ელექტროსადგურების მშენებლობა და ძველი ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაცია უზრუნველყოფს იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირებას საკუთარი ჰიდრორესურსების ათვისების ხარჯზე და ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას. საქართველოს მიზანია, გახდეს ელექტროენერგიის მსხვილი რეგიონული ექსპორტიორი, რისთვისაც, ენერგიის გამომუშავების ზრდის გარდა, აუცილებელია ქვეყნების დამაკავშირებელი ახალი გადამცემი ხაზების მშენებლობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან რეალურად მხოლოდ მცირედი განხორციელდა.

ჩვენი აზრით, ამის მთავარი მიზეზია ის, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის საფუძველზე არ მუშავდება შესაბამისი კონკრეტული მიზნობრივი პროგრამები და მოდელები, რომლებიც თავის მხრივ ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის გატარების საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების სისტემის აგების ზოგადი მოდელი ნაჩვენებია სქემა №1-ზე.

ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზოგადი მოდელი, როგორც №1 გვიჩვენებს, აერთიანებს სამ ძირითად მიმართულებას, რომლებიც თავის მხრივ ათ ქვემიმართულებას მოიცავს.

მოდელის შედგენის პირველ ეტაპზე საჭიროა ენერგეტიკული რესურსების მოხმარების ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა. ამ დროს ღრმა ანალიზის ობიექტია ენერგეტიკული რესურსების ფაქტიური მოხმარების მდგომარეობა ცალკეული დარგების მიხედვით. აღნიშნული სამუშაოს ჩატარების შემდეგ უნდა განისაზღვროს ენერგეტიკული რესურსების საპროგნოზო მოთხოვნა ცალკეული დარგებისა და ქვეყნის წინაშე მდგარი გრძელვადიანი (5-15 წლიანი) და საშუალოვადიანი (3-5 წლიანი) ამოცანებიდან გამომდინარე. ამ ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზრებზე მიმდინარე გლობალური პროცესები და ტენდენციები, ასევე საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ცვლილებების ფართო სპექტრი. პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ განისაზღვრება ქვეყნის ენერგეტიკულ რესურსებზე მოთხოვნის მოცულობა გრძელვადიანი და საშუალოვადიანი პერიოდისთვის.

სქემა №1



მოდელის შედგენის მეორე ეტაპზე შეისწავლება ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსებით საერთო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი მდგომარეობა და პერსპექტივები. კონკრეტულად კი:

1. გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების არსებული მდგომარეობა და ინტენსიფიკაციის პერსპექტივები;

2. მოცემული ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის სპეციფიკით განპირობებული ყველაზე ხელმისაწვდომი და იაფი ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების მოპოვებისა და წარმოების ფაქტობრივი მდგომარეობა და გაზრდის პერსპექტივები (საქართველოს მაგალითზე ეს უპირველესად ჰიდროელექტრო პოტენციალის სრული გამოყენებაა);

3. ძირითადი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების სტრატეგიული მარაგების არსებული მდგომარეობა და გაზრდის პერსპექტივები (ბუნებრივი გაზის საცავების მოწყობა, ნავთობპროდუქტების მარაგების შექმნა და განახლება და სხვ.);

მოდელის შედგენის მესამე ეტაპზე შესწავლილი უნდა იყოს ქვეყნის ენერგეტიკული რესურსებით სტაბილური უზრუნველყოფის სხვა, დამატებითი მიმართულებები და განისაზღვროს მათი ეფექტიანობა. კერძოდ კი:

1. ენერგეტიკული რესურსების იმპორტი (მოცულობა, ხარისხი, ფასი, მიწოდების პირობები, იმპორტის დივერსიფიცირების პერსპექტივები და ა.შ);

2. ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ფაქტობრივი მდგომარეობა და პერსპექტივები;

3. ენერგეტიკული რესურსების ეკონომია ენერგოდამზოგველი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის საშუალებით;

4. მეორეული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების და ნარჩენების გამოყენების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები;

5. გეოპოლიტიკური ფაქტორების სრული ამოქმედება (ექსპორტიორი ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკულ დარგებში ინვესტირების პერსპექტივები, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ტრანზიტის შემთხვევაში ქვეყნისთვის ხელსაყრელი კონტრაქტების გაფორმება და სხვ.).

ჩვენი აზრით, ასეთია საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტიტუციური საკითხები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ალადაშვილი ბ., „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“. თბილისი, 2011.

2. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია; www.mod.gov.ge/assets/up-modul/.

ბ. ალადაშვილი

ენერგეტიკული უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფის საკითხები

რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს: ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებს გარე და შიდა გამოწვევების ფონზე.

ნაშრომში გაანალიზებულია ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელობა.

ავტორის აზრით, ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტიტუციური საკითხების გადასაწყვეტად, უპირველესად კი არსებული და მოსალოდნელი ენერგეტიკული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ან გასანეიტრალებლად, აუცილებელია შესაბამისი კონკრეტული მიზნობრივი პროგრამებისა და მოდელების დამუშავება.

B. Aladashvili

Institutional Support Issue of Energetic Safety

Summary

The thesis is about the most important filed in the national aconomic safety to support the country’s inner and out power safety problems due to the challenges.

The power safety support and policy are analysed in the thesis.

Due to the author it’s necessary to process the concrete aimed programs and models in case of the power safety support solution, mainly to avoid possible power threats.

გ. ალადაშვილი

ახალგაზრდული მეწარმეობის სტიმულირების პოლიტიკა

უახლოესი წარსულის გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული ვარდნისა და რეცესიის პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირების საკითხი. ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, სათანადო პოლიტიკის გატარება თითქმის ყველა იმ ქვეყნის სტრატეგიულ ამოცანად იქცა, რომელთაც მეტ-ნაკლებად შეეხო გლობალური კრიზისი.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში შესწავლილი და გაანალიზებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ემპირიული კვლევები სამეწარმეო აქტივობის სტიმულირების ასპექტით. აქცენტი გაკეთებულია ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე, როგორიც ახალგაზრდების მზარდი უმუშევრობაა. შემოთავაზებულია რეკომენდაციები მეწარმეობის სტიმულირების პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არ არსებობს საყოველთაოდ შეთანხმებული ტერმინი „ახალგაზრდული“. განმარტება ფართოდ მერყეობს როგორც ქვეყნების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების თუ სააგენტოების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიხედვით. მაგალითად, გაეროს განმარტებით „ახალგაზრდულია“ მამაკაცებისა და ქალების ასაკი 15-დან 24 წლამდე. გაერთიანებული სამეფო განსაზღვრავს ახალგაზრდობის ასაკს 15-დან 29 წლამდე. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ასაკი 12 წლიდან იწყება (რამდენიმე აფრიკულ ქვეყანაში) და გრძელდება 35 წლამდე. გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია ახალგაზრდა ასაკში გულისხმობს 15-24 წლებს (Policy Guide, UNCTAD, 17). შესაბამისად, ზოგიერთი კვლევის ფარგლებში შემოფარგლულია ეს ასაკი. მაგალითად, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, „საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 25% 15-29 წლის ახალგაზრდები არიან“ (UNICEF, 3).

საყურადღებოა, რომ ახალგაზრდების უმუშევრობის დონე მკვეთრად გაიზარდა კრიზისის შემდგომ პერიოდში, რაც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის განხილვის საგნად იქცა. კრიზისით გამოწვეული ახალგაზრდების უმუშევრობის რაოდენობის ზრდა 2007 წლიდან 2013 წლამდე როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში, შეფასდა 73,4 მილიონი ადამიანით, რაც მთლიანი ახალგაზრდა მოსახლეობის 12,6%-ია. მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის ზრდა 12,8%-მდე 2018 წლისთვის (Policy Guide, UNCTAD, 14).

საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე სწორედ ახალგაზრდებში ფიქსირდება. ბუნებრივია, ახალგაზრდები, რომლებმაც დაამთავრეს ფორმალური განათლების მიღება, აქტიურად ეძებენ თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამის სამუშაოს, რათა მიაღწიონ ფინანსურ დამოუკიდებლობას, მაგრამ მათ ხვდებათ კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარი, სადაც სამუშაო ადგილების სიმცირისა და ნაკლები გამოცდილების გამო შედარებით გართულებულია მათი შრომის ბაზარში ჩართვა. 15-29 წლის ახალგაზრდების აქტიურობის დონე 60,0%-ს აღწევს. ახალგაზრდა სამუშაო ძალის 30,7% უმუშევარია, მათი დიდი ნაწილი (33,2%) უმაღლესი განათლებითაა. ასაკობრივი ჯგუფებიდან ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფშია. ამ ასაკის აქტიური ახალგაზრდებიდან (სამუშაო ძალა) 36,3% უმუშევარია. შედარებით მაღალია დასაქმების დონე 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში (55,6%), ხოლო 15-19 წლის ახალგაზრდების უმრავლესობა (67,1%) ეკონომიკურად არააქტიურია. ქალაქში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე 2,5-ჯერ მაღალია სოფელთან შედარებით, ხოლო კაცების დასაქმების დონე (53,3%) ბევრად აღემატება ქალების დასაქმების დონეს (30,4%) (UNICEF, 2014).

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგნოზით, მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში, ცენტრალურ აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მოსალოდნელია უმუშევრობის შემცირება, გრძელვადიანი უმუშევრობა და ახალგაზრდების უმუშევრობა რჩება სოციალურ და შრომის ბაზრის მნიშვნელოვან გამოწვევებად. ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და რეგიონის ამოცანა სათანადო ხარისხის დასაქმებაა (World Employment, ILO, 31).

მაგალითად, გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციამ შეიმუშავა ახალგაზრდების მეწარმეობის პოლიტიკის სახელმძღვანელო, რომელიც საყურადღებო რეკომენდაციებს იძლევა ეროვნული სამეწარმეო სტრატეგიის შემუშავებისა და ოპტიმიზაციისათვის. იგი გამიზნულია, დახმარება გაუწიოს ქვეყნებს ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალის გამოვლინების ეფექტიანი პო-

ლიტიკის შემუშავებაში. მივიჩნევთ, რომ ასეთი რეკომენდაციების გაცნობა, გაანალიზება და ეროვნული თავისებურებებისთვის მისადაგება მეტად სასარგებლოა, რადგან იგი თავის მხრივ მრავალი ქვეყნის გამოცდილების შეჯამების საფუძველზეა შემუშავებული. ამასთან, საქართველოში არსებული უმუშევრობის მაღალი დონის, მათ შორის ახალგაზრდობის უმუშევრობის, პირობებში ამ მიმართულებით შემუშავებული პოლიტიკის გაუმჯობესების და პრაქტიკული რეალიზაციის ეფექტიანობის ამაღლება, თანამედროვე გამოწვევაა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოში ახალგაზრდების უმუშევრობა მთავარ გამოწვევად რჩება, რადგან ეს მაჩვენებელი თითქმის 17%-ია, ყოველი 10 ახალგაზრდიდან სამს ან მეტს არ აქვს სამუშაო (World Employment, ILO, 80). „საქსტატის“ მონაცემებით, თუ ახალგაზრდების ასაკს ავიღებთ 15-დან 29 წლამდე, საქართველოში უმუშევრობის დონე 2014 წლის მონაცემებით შემდეგია: 15-დან 19 წლამდე 31,8%, 20-დან 24 წლამდე 30,5%, 25-დან 29 წლამდე 23,5% (საქსტატი, უმუშევრობის დონე ასაკობრივ ჭრილში).

პრობლემები, რომელსაც ახალგაზრდები სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებისა და ბიზნესის გაფართოებისას აწყდებიან გლობალური მასშტაბით, მრავალგვარია: რთული მარეგულირებელი პროცესები, ბიზნესის მაღალი სარეგისტრაციო ხარჯები, ფინანსების ხელმისაწვდომობა, ახალგაზრდებზე მორგებული საბანკო პროდუქტების ნაკლებობა, საზოგადოების დამოკიდებულება ახალგაზრდა მეწარმეებისადმი, გარკვეული გავრცელებული მოსაზრებები ახალი ბიზნესის მოსალოდნელი მარცხის შესახებ, არასაკმარისი ხელშეწყობა სამეწარმეო შესაძლებლობების რეალიზაციისთვის, სტრატეგიული პლატფორმის არარსებობა და ა. შ. ეს ბარიერები საერთო ჯამში სპობს სამეწარმეო კულტურის შექმნის შესაძლებლობებს, ამიტომ პოლიტიკის სტრატეგიული ორიენტირი უნდა იყოს ახალგაზრდა მეწარმეების სათანადო მხარდაჭერის უზრუნველყოფა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოში განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობის დონე 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ამ ასაკის ახალგაზრდების ¼-ზე მეტი (26,3%) აქტიურად ეძებს სამუშაოს და მზად არის მუშაობის დასაწყებად, რაც ამ ასაკის სამუშაო ძალის 1/3-ზე მეტს (36,3%) წარმოადგენს. აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში შედის იმ ახალგაზრდების დიდი ნაწილი, რომლებიც ახალკურსდამთავრებულები არიან, მიიღეს პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება და აქტიურად ცდილობენ შრომის ბაზარში ჩართვას. ამ ასაკობრივი ჯგუფის აქტიურობის დონე (72,5%) გაცილებით მაღალია, ვიდრე 15-19 წლის ახალგაზრდების. ამ ასაკის ყოველი 1000 ახალგაზრდიდან დასაქმებულია 462, უმუშევარი — 263 და არააქტიური — 275 (UNICEF, 46).

მიგვაჩნია, რომ სამეწარმეო განათლება, რომელიც ახალგაზრდებს სამეწარმეო კომპეტენციების შეძენის და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავების საშუალებას მისცემს, საკვანძო გასაღებია მეწარმეობის სტიმულირებისთვის. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა შესაძლებლობების განვითარება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ სტუდენტთა მეწარმეობის უნარ-ჩვევების განვითარებას, გადამწყვეტია, რადგან მათ უნდა უზრუნველყონ მეწარმეობის ინტეგრირება განათლების სისტემაში. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიულ მომზადებას და თვითდასაქმების უნარების განვითარებას.

საქართველოში 15-29 წლის ახალგაზრდებიდან, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება, დასაქმებულია 54%, ხოლო მათი წილი მთლიან დასაქმებულებში 28%-ს შეადგენს. ახალგაზრდებიდან, რომელთა განათლების მიღწეული დონე სრული საშუალო ზოგადი განათლების საფეხურს შეესაბამება, დასაქმებულია 45,8%, თავის მხრივ, მათი წილი მთლიან დასაქმებულებში საკმაოდ მაღალია (44%-ზე მეტი). უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო ზოგადი განათლების საფეხურს შეესაბამება ამ ასაკის ახალგაზრდების უმრავლესობა და მათი რაოდენობა თითქმის 2-ჯერ აღემატება უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა რაოდენობას. დაწყებითი პროფესიული, სახელობო ან საშუალო/უმაღლესი პროფესიული განათლება მიღებული აქვს დასაქმებულების 12,1%-ს, რაც წარმოადგენს 45,3%-ს იმ ახალგაზრდებისა, რომელთაც მიღწეული აქვთ განათლების აღნიშნული დონე. რაც შეეხება ახალგაზრდებს, რომელთა განათლების დონე დაწყებით ან საბაზო საფეხურს შეესაბამება, მხოლოდ 23,9%–ია დასაქმებული, ხოლო მთლიანად დასაქმებულებში მათი წილი 15,6%-ს შეადგენს (UNICEF, 51).

ადამიანური რესურსების რეალიზაციის მეტად არასახარბიელო მდგომარეობაზე მიგვითითებს კვლევის შედეგად გამოვლენილი შემდეგი სურათი: საქართველოს ახალგაზრდების 31,2% არც დასაქმებულია და არც სწავლობს, არ დადის არცერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კურსებზე პროფესიის/ხელობის დასაუფლებლად ან კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მათ უმრავლესობას (65,4%) ქალები წარმოადგენს. ახალგაზრდა ქალებში მათი წილი 40,3%-ს აღწევს, რაც თითქმის 2-ჯერ მეტია ახალგაზ-

რდა კაცების ანალოგიურ მაჩვენებელზე (21,9%). სოფელში იმ ახალგაზრდების წილი, ვინც არც სწავლობს და არც მუშაობს, ¼-ს აღემატება (26,6%), თბილისში ამ ახალგაზრდების წილი 34%-ს შეადგენს, ხოლო სხვა ქალაქებში ეს მაჩვენებელი 2,5 პროცენტული პუნქტით მეტია თბილისთან შედარებით (UNICEF, 52).

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“ მთელ რიგ ამოცანებს ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად, სტრატეგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალის განვითარება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. დასაქმების შესაძლებლობების ზრდა მტკიცე საფუძველს შექმნის საქართველოს მთელი მოსახლეობის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. სიღარიბის დასაძლევად სოციალურ დახმარებაზე ბევრად ეფექტიანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სამუშაო ძალის სრულფასოვანი ჩართულობა ინკლუზიურ ზრდაში... ქვეყანაში სამუშაო ძალას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ... არ არსებობს კოორდინაცია სამუშაო ძალის კვალიფიკაციის მიმართ არსებულ მოთხოვნებსა და განათლების სისტემით მიწოდებულ კვალიფიკაციას შორის... უმუშევრობის მაჩვენებლები განათლების დონის მიხედვით მიუთითებს, რომ რაც უფრო მაღალია განათლების მიღწეული დონე, მით უფრო მეტი სიმწვავით იჩენს თავს უმუშევრობის პრობლემა“ და ა. შ. (სტრატეგია..., 41-43).

ადამიანთა შრომითი უნარ-ჩვევების განვითარება, სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა, ინოვაციების ხელშეწყობა და მათი სათანადო რეალიზაცია უდავოდ შედეგის მომტანი იქნება ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. თუმცა, ჩვენი აზრით, პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად სასარგებლო იქნება რიგი რეკომენდაცია, რომელიც მოცემულია ცხრილში 1.

cxrili 1

ახალგაზრდა მეწარმეთა ბარიერები და რეკომენდაციები პოლიტიკის შემმუშავებლებისათვის

ახალგაზრდა მეწარმეების ბარიერები	**რეკომენდაციები პოლიტიკის შემმუშავებლებისათვის**
პოლიტიკის სფერო: მარეგულირებელი გარემოს ოპტიმიზაცია	
➢ ბიზნესის რეგისტრირების მაღალი ხარჯები; ➢ რთული მარეგულირებელი პროცედურები; ➢ უნდობლობა მარეგულირებელი გარემოს მიმართ; ➢ მარეგულირებელი საკითხების შესახებ შეზღუდული ცოდნა, კერძოდ, საავტორო უფლების, პატენტის ან სავაჭრო მარკის რეგულაციების შესახებ.	➢ ბიზნესის დაწყების დროისა და დანახარჯების ბენჩმარკინგი; ➢ რეგულაციებისა და სტანდარტების ბალანსი მდგრადი განვითრების მიზნებთან ერთად; ➢ მიმოხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, მარეგულირებელი მოთხოვნების გამარტივება (მაგ. ლიცენზია, პროცედურები, ადმინისტრაციული მოთხოვნები); ➢ საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროცედურების განვითარება ბიზნესის რეგისტრაციისა და ანგარიშგებისთვის; ➢ გამჭვირვალე საინფორმაციო და სწრაფი მომსახურების მექანიზმების უზრუნველყოფა ერთი სარკმლის პრინციპით; ➢ ხელშეკრულების აღსრულების გამარტივება და დაჩქარება; ➢ საინფორმაციო კამპანიების ჩატარება მარეგულირებელ საკითხებზე; ➢ საკუთრების დაცვის გარანტირება.
პოლიტიკის სფერო: სამეწარეო განათლებისა და უნარ-ჩვევების განვითარება	
➢ მეწარმეთა არაადეკვატური ინტეგრაცია განათლების სისტემაში; ➢ შეზღუდული პრაქტიკული და ექსპერიმენტული შესაძლებლობები; ➢ მასწავლებლების სამეწარმეო დამოკიდებულებების, ქცევის და	➢ სამეწარმეო ცნობიერების ამაღლება დაწყებითი სკოლის დონეზე; ➢ მეწარმეობის სტიმულირება არჩევითი, კურიკულუმის გარე აქტივობებით და ბიზნესის წარმომადგენელთა ვიზიტებით საშუალო სკოლის დონეზე; ➢ მეწარმეობის კურსების, პროგრამების და კათედრების მხარდაჭერა უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში; ➢ პროფესიული მომზადების და სწავლების პროგრამების ხელშეწყო-

უნარ-ჩვევების ნაკლებობა ან და შეზღუდულობა; ➢ ბიზნესის განვითარების მომსახურების შეზღუდული ან ცუდი ხარისხი.	ბა; ➢ ექსპერიმენტული და სწავლა-კეთებით მეთოდოლოგიების ხელშეწყობა; ➢ მასწავლებელთა სამეწარმეო ტრენინგების ხელშეწყობა; ➢ მეწარმეობის საგანმანათლებლო ქსელების ხელშეწყობა; ➢ ახალგაზრდებზე ორიენტირებული და ახალგაზრდებზე მორგებული ბიზნესის განვითარების მომსახურების წარდგენა ან გაძლიერება; ➢ ადგილობრივი მასალებზე, სიტუაციებზე და როლურ მოდელებზე მორგება და ინტერაქტიული, ელექტრონული საშუალებების წახალისება.
პოლიტიკის სფერო: ტექნოლოგიების გაცვლისა და ინოვაციების ხელშეწყობა	
➢ საინფორმაციო-საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ნაკლებობა; ➢ არაადეკვატური ინფრასტრუქტურა (ფიზიკური სამუშაო გარემო, ციფრული ინფრასტრუქტურა, საიმედო და იაფი ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობა); ➢ არასაკმარისი ტექნოლოგიური მზაობა; ➢ შეზღუდული კავშირურთიერთობა ახალგაზრდული ეგიდით წამოწყებულ და ზრდაზე ორიენტირებულ მეწარმეებსა და ინვესტორებს შორის.	➢ საინფორმაციო-საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განმავითარებელი ტრენინგების ხელშეწყობა; ➢ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა; ➢ ტექნოლოგიური ინკუბატორების, კვლევებისა და განვითარების ლაბორატორიების და კლასტერების განვითარების მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელება; ➢ არსებულ ბიზნეს-ინკუბატორებში, ცოდნა ჰაბებსა და სამეცნიერო პარკებში ახალგაზრდების მუშაობის ხელშეწყობა; ➢ უნივერსიტეტების ბაზაზე წარმოებული კვლევების კომერციალიზაციის წახალისება და მეწარმეობის ცენტრების მხარდაჭერა, რათა მათ ხელი შეუწყონ ახალგაზრდულ ინოვაციებს, საჭირო უნარ-ჩვევების შეძენას. ➢ ინვესტირება ინოვაციებში გრანტებით, საგადასახადო შეღავათებით და სხვა სტიმულებით, რაც წაახალისებს საჯარო-კერძო პარტნიორობას და უნივერსიტეტისა და ინდუსტრიის თანამშრომლობას; ➢ ახალგაზრდების სამეწარმეო უნარების განვითარების დაჩქარება და საბაზარო ხელმისაწვდომობის ზრდა ბიზნეს-კავშირების მეშვეობით; ➢ მენტორების მეშვეობით ახალგაზრდული ეგიდით წარმოებული ბიზნესის მხარდაჭერა.
პოლიტიკის სფერო: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება	
➢ ფინანსური პროდუქტების ნაკლებობა ან არარსებობა, რომელიც მორგებულია ახალგაზრდებზე; ➢ გადაჭარბებული შეზღუდვები (ასაკის მოთხოვნა საბანკო ანგარიშის გახსნისას); ➢ ფინანსური განათლების დაბალი დონე; მაღალი საკრედიტო და გირაოს მოთხოვნები.	➢ ახალგაზრდებზე მორგებული ფინანსური პროდუქტების, მათ შორის მობილური საბანკო ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა; ➢ ახალგაზრდების ინფორმირება ახალგაზრდებზე ორიენტირებული ფინანსური მომსახურების შესახებ, მათ შორის არაფორმალური საკრედიტო და სხვა ეფექტური დაფინანსების შესაძლებლობებს შესახებ; ➢ ფინანსური სექტორის რეფორმირება ფინანსური ანგარიშგების გაზრდის მიზნით; ➢ საკრედიტო ბიუროების შექმნის ხელშეწყობა; ➢ ახალგაზრდებზე ორიენტირებული ფინანსური განათლების ამაღლების ტრენინგების ხელშეწყობა; ➢ საჯარო-კერძო პარტნიორობის მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს საფინანსო სექტორის შესაძლებლობების განვითარებას ბიზნესის დამწყებთა მომსახურების გაუმჯობესების კუთხით; ➢ ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის და მენტორობის გაცნობიერება, ტრადიციული გირაოს ნაცვლად; ➢ პოლიტიკის განახორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზ-

	რდების დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.
პოლიტიკის სფერო: ინფორმირებულობისა და კავშირების ხელშეწყობა	
➢ მეწარმეობის მიმართ უარყოფითი საზოგადოებრივი დამოკიდებულება; ➢ როლური მოდელების არასაკმარისი ხელშეწყობა; ➢ ახალგაზრდა მეწარმეების ქსელების განუვითარებლობა; ➢ ქსელები ➢ სამეწარმეო შესაძლებლობების არასაკმარისი ხელშეწყობა.	➢ აღნიშნეთ ახალგაზრდა მეწარმეთა ნიჭი და მათში ინვესტირების/ მხარდაჭერის სარგებელი; ➢ მარცხის, როგორც წარმატების ნაწილის, გაცნობიერების ხელშეწყობა; ➢ ახალგაზრდული სამეწარმეო კონკურსების და დაჯილდოებების მხარდაჭერა; ➢ ბიზნესსა და მიზანსწრაფული ახალგაზრდა მეწარმეების ცოდნის გაცვლის ხელშეწყობა; ➢ ახალგაზრდა მეწარმეთა ქსელების განვითარების ხელშეწყობა; ➢ სოციალური მედიის და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების ბერკეტების გამოყენება; ➢ ბიზნესის შესაძლებლობებზე ინფორმაციის გამდიდრება და ხელმისაწვდომობის გაზრდა ახალგაზრდებისთვის; ➢ მეწარმეობის შესაძლებლობების ხელშეწყობა ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

წყარო: Policy Guide of Youth Entrepreneurship, UNCTAD, United Nations, New York and Geneva, 2015

საქართველოში ამ მიმართულებით გადადგმული რიგი ნაბიჯის მიუხედავად, როგორიცაა მეწარმეობის განვითარების სააგენტოს შექმნა (2014 წ. სააგენტოს საქმიანობის შესახებ იხ. ვებ-გვერდი http://enterprisegeorgia.gov.ge/ge/media-center/publications); ფაბ-ლაბების შექმნა რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში, საპილოტე რეჟიმში რამდენიმე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მეწარმეობის სასწავლო კურსის შეტანა და სხვა, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებიდან უმწვავეს პრობლემად ფინანსებზე ხელმისაწვდომობა რჩება, რაც მკვეთრად აფერხებს მოკლევადიან პერსპექტივაში არსებული ვითარების გაუმჯობესებას. გრძელვადიან პერსპექტივისთვის კი მთავარი აქცენტი, უპირველეს ყოვლისა, სამეწარეო განათლებისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე უნდა გაკეთდეს.

ტექნოლოგიები და ინოვაციები ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალაა. ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ცოდნა და კომპეტენციების მიღების შესაძლებლობა, რათა შექმნან ახალი პროდუქცია და მომსახურება. ინვესტიციების განხორციელება ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შესაქმნელად აღნიშნული ხელმისაწვდომობის გაზრდის წინაპირობაა. თავის მხრივ, ინოვაციების სტიმულირებისთვის საერთაშორისო ფონდების მოზიდვა ან ეროვნულ დონეზე შექმნა დააჩქარებს სამეწარმეო გარემოს განვითარებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდული მეწარმეობის ქსელებისა და ასოციაციების როლი ახალგაზრდების სამეწარმეო აქტივობის ხელშემწყობი პლატფორმის განვითარებაში, რომელიც მათ თანამშრომლობის და მიღწეული შედეგების ურთიერთგაცვლის შესაძლებლობებს აძლევს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ახალგაზრდების ეროვნული კვლევა საქართველოში. საქართველოში ახალგაზრდების მდგომარეობისა და საჭიროებების ანალიზი, UNICEF, 2014, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა.
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“; http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/strategia_2020/saqartvelo_2020.pdf.
3. საქსტატი, უმუშევრობის დონე ასაკობრივ ჭრილში, 2014 წელს http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo
4. Policy Guide of Youth Entrepreneurship, UNCTAD, United Nations, New York and Geneva, 2015.
5. World Employment and Social Outlook: Trends 2016 International Labour Office – Geneva: ILO, 2016.
6. http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/---publ/documents/publication/wcms_443480.pdf.

გ. ალადაშვილი

ახალგაზრდული მეწარმეობის სტიმულირების პოლიტიკა

რეზიუმე

მოცემული ნაშრომის ფარგლებში შესწავლილი და გაანალიზებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ემპირიული კვლევები სამეწარმეო აქტივობის სტიმულირების კუთხით. აქცენტი გაკეთებულია ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე, როგორიც ახალგაზრდების მზარდი უმუშევრობაა. შემოთავაზებულია რეკომენდაციები მეწარმეობის სტიმულირების პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოში ახალგაზრდების დასაქმების პრობლემა მეტად მწვავეა. იგი უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან სამუშაო ძალის შეუსაბამობას, განათლების, ინოვაციების სტიმულირების, დაფინანსების და ა.შ. პრობლემებს.

ახალგაზრდული მეწარმეობის სტიმულირების პოლიტიკის შემუშავების კუთხით საქართველოში გადადგმულია რიგი ნაბიჯი, თუმცა ეფექტი არასაკმარისია. სასარგებლო იქნება აღნიშნული პოლიტიკის რეალიზაციისთვის ღონისძიებების გატარება შემდეგი მიმართულებებით: მარეგულირებელი გარემოს ოპტიმიზაცია, სამეწარეო განათლებისა და უნარ-ჩვევების განვითარება, ტექნოლოგიების გაცვლისა და ინოვაციების ხელშეწყობა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ინფორმირებულობისა და კავშირების გაღრმავების ხელშეწყობა.

G. Aladashvili

Policy of stimulating young entrepreneurs

Summary

This work deals with the study of international and local organizations empirical researches in the light of entrepreneurial stimulation. This work emphasizes the crucial problem, unemployment of young generation. Recommendations for stimulating entrepreneurship policy improvement are given.

Employment problem of young generation is very tough in Georgia. It is connected to irrelevance of labor market demand and supply, problems of education, stimulating of innovations financing and other problems as well.

The policy of stimulating young entrepreneurial is somehow improved in Georgia, but the effect is not sophisticated.

For implementing the policy, the following measures will be beneficial: optimizing regulative environment, entrepreneurial education and skills development, technological exchange and innovation support, improvement of financial support availability and assistance of information awareness and relationship extension.

დ. დავითულიანი

საქართველოს სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის საკითხისათვის

საქართველო წყლის რესურსებით ძალიან მდიდარი ქვეყანაა. ჩვენს ქვეყანაში 26060 დიდი, პატარა და მცირე მდინარე და 860 ტბაა. ჩვენი ქვეყანა აგრეთვე გამოირჩევა მინერალური სამკურნალო წყლების მრავალფეროვნებითა და სიუხვით. აქ აღრიცხულია 1300-ზე მეტი მინერალური წყარო, რომელთა ნაწილი, შემადგენლობითა და სამკურნალო თვისებებით, იშვიათი და უნიკალურია. საქართველოში არის აგრეთვე თერმული წყლების მნიშვნელოვანი სამრეწველო მარაგები. ყველაზე მთავარი და საყურადღებოა ის ფაქტი, რომ განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა მიწისქვეშა მტკნარი წყლების საექსპლოტაციო მარაგები, რაც სასმელი წყლის ძირითად რესურსს წარმოადგენს და ეს მაშინ, როცა მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნებისათვის სასმელი წყალი დიდი დეფიციტია.

ჩვენს პლანეტაზე ამჟამად შვიდ მილიარდზე მეტი მოსახლეა. თითოეული ადამიანისათვის სასიცოცხლოდ ყოველდღიურად აუცილებელია 2-2,5 ლიტრი სასმელი წყალი. უზუსტესი სტატისტიკით ისიც დასტურდება, რომ მსოფლიო მოსახლეობის ამ რაოდენობიდან 4,5 მილიარდი ადამიანი სასმელი წყლის დიდ დეფიციტს განიცდის და წყურვილის გამო დედამიწაზე ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი იღუპება. გაეროსა და მსოფლიოს სხვა ორგანიზაციების მიერ დადგენილია, რომ სასმელი წყლის დეფიციტმა, რომელიც 2025 წლისათვის იყო ნავარაუდევი, გლობალური დათბობის გამო 10 წლით გადმოინაცვლა და 2015 წელსვე იჩინა თავი (შენგელია, საქ. რესპუბლიკა, 2015, N90-91)

ადამიანისათვის სასიცოცხლო დანიშნულების მქონე მაღალხარისხიანი, ბიოლოგიურად აქტიური სასმელი წყლის მიწისქვეშა მარაგით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, ამ რესურსების გამოყენებით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვნად განვითარდეს და შესაბამისად ამაღლდეს ცხოვრების დონეც. ეს ფაქტი ძალიან ბევრი ქვეყნისათვის იყო და არის ცნობილი. ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სასმელი წყლით დაინტერესება გამოხატა ისრაელის ბიზნესმენებმა, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ სამთავრობო მოლაპარაკებებით მოახდენდნენ სასმელი წყლის გატანას ისრაელში. ამავე პერიოდში საქართველოში ჩამოსული იყვნენ ბიზნესმენები კუნძულ კვიპროსიდან. მათ უკვე შერჩეული ჰქონდათ წყარო, სადაც უნდა აეშენებინათ წყლის ჩამომსხმელი და ტარის ქარხნები; გაეტანათ ჩამოსხმული წყალი ფოთამდე და შემდეგ ზღვით. იმ პერიოდში საქართველოში ეროვნული მოძრაობა აქტიურ ფაზაში იყო და ეს საკითხი ვერ გადაწყდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ საქართველო ამ რესურსებით უმდიდრესი ქვეყანაა და მისი გამოყენება შეიძლება ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისათვის, დღის წესრიგში უკვე დიდი ხანია დგას და იგი შეუქცევადი პროცესია. ამის გარანტიას იძლევა მეცნიერთა ის გუნდი, რომელიც ათეული წლებია მუშაობდა ამ საკითხზე და რომელსაც უპატიოსნესი და ღირსეული მამულიშვილები და სწავლულები თავკაცობდნენ. ესენი იყვნენ ცნობილი ჰიდროლოგები ნოდარ ხარატიშვილი, მამა-შვილი იოსებ და გურამ ბუაჩიძეები, აკადემიკოსი ლევან მახვილაძე და სხვები, რომლებმაც სიცოცხლეში ვერ მოასწრეს ამ უაღრესად ეროვნული საქმის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ დატოვეს დიდი სიზუსტით გათვლილი პროგრამა და ღირსეული მემკვიდრეები, რომლებიც შეუპოვრად იბრძვიან, რათა მოხდეს ჩვენი სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაცია და გატანა მსოფლიოში, რასაც მოჰყვება ქვეყნის ეკონომიკური გაჭირვებიდან გამოყვანა.

ათეულობით წლების წინ მათ მიერ დაწყებულ საქმეს ღირსეულად განაგრძობენ ავტორთა ჯგუფის დღევანდელი ხელმძღვანელი აკადემიკოსი პაატა გიორგაძე და სხვა ცნობილი სწავლულები და პრაქტიკოსები. სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის პროექტს მისმა შემქმნელებმა ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური „კონსტიტუციაც“ კი უწოდეს. მათ დიდი დაკვირვებით დააზუსტეს ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამ გრანდიოზული პროექტის ყველა ასპექტი. საუბარია არამხოლოდ ბაზრის მოპოვებასა და თუნდაც ცალკეული დარგების განვითარების საჭიროებაზე, არამედ ქვეყანაში დიდ შემოსავლებზე, ხალხის დასაქმებაზე და შესაბამისად ეკონომიკის აყვავებაზე.

მათი გათვლებით, საქართველოში უკვე მოძიებული გრუნტის წყლების საერთო მარაგი წამში 573 კუბ. მ. აღწევს (გიორგაძე, ასავალ-დასავალი, 2014, N6). აქედან ნახევარზე მეტი, კერძოდ, 301 კუბ. მ. წამში, სასმელია. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ქვეყანას შეუძლია დღე-ღამეში 26 მილიარდი ლიტრი სასმელი

წყლის ჩამოსხმა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს არის ბუნებრივად განახლებადი და ამოუწურავი რესურსი. სასმელი წყლის ინდუსტრიის დამუშავებიდან 14 თვეში საქართველოს ყოველწლიური ფულადი შემოსავალი 12 მილიარდი დოლარით გაიზრდება, სახელმწიფო ბიუჯეტი კი ყოველწლიურად 3 მილიარდი დოლარით შეივსება. სასმელი წყლის ინდუსტრიაში ათიათასობით ადამიანი დასაქმდება, თითოეულის საშუალო ხელფასი 1500 დოლარი იქნება. ამ ინდუსტრიის ამუშავებიდან მეოთხე წელს, ადგილობრივი ეკონომიკური პროექტების ამოქმედებით, დასაქმებულთა ხელფასი გაორმაგდება. ამ პროექტის განხორციელებით მიღებული შემოსავლების რეინვესტირებით ეკონომიკის დარგებში 450 ათასი კაცი დასაქმდება. ამ ღონისძიებების განხორციელების შედეგად საქართველოში დაბადებული თითოეული ბავშვი ეტაპობრივად გახდება ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის ერთი აქციის მფლობელი, რომლის მატერიალური ფასეულობა 120 ათ. ამერიკული დოლარი იქნება (გიორგაძე, ასავალ-დასავალი, 2015, N16). ამ პროექტის სრული ამოქმედების შემდეგ საქართველოს ბიუჯეტს ყოველწლიურად 12 მილიარდი დოლარის შესატყვისი ლარი შეემატება. საბოლოო ჯამში სასმელი წყლის ინდუსტრიის ამუშავების შედეგად საქართველოს თითოეული მოქალაქე 460 ათასი დოლარის მატერიალური ფასეულობის მფლობელი გახდება (გიორგაძე, ასავალ-დასავალი, 2016, N1)

პროექტი ითვალისწინებს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში 190 წყლის ჩამომსხმელი ქარხნის და საამქროს მშენებლობას. სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის ავტორებმა ისიც დიდი სიზუსტით გათვალეს, რომ საქართველოში მოძიებული წყლის 1/3 წყლის ინდუსტრიალიზაციისაგან ხელშეუხები დარჩება, რომელიც მხოლოდ საქართველოს მოსახლეობას კი არა, არამედ ბევრად უფრო დიდი ქვეყნის მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს (შენგელია, საქ. რესპუბლიკა, 2015, N90-91). აქ დგება საკითხი ამ უზარმაზარი ტვირთის ანუ ჩამოსხმული წყლის ტრანსპორტირებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში არ არის სახარბიელო მდგომარეობა, ამიტომ თავდაპირველად მომხმარებლებს მიეწოდებათ გარკვეული რაოდენობის წყალი, ხოლო ანაკლიის პორტის აშენების შემდეგ ეს პრობლემა ნაწილობრივ მოიხსნება და შემდეგ დღის წესრიგში დადგება კიდევ რამდენიმე პორტის აშენების აუცილებლობა.

პროექტის ავტორებს სტრატეგიული პარტნიორები და ინვესტორებიც მოძიებული ჰყავთ ამერიკაში, ევროპაში, არაბულ ქვეყნებში, რომლებიც თანხმობას აცხადებენ სასმელი წყლის გატანასთან დაკავშირებით ინფრასტრუქტურის დაფინანსებაზე. ეს არამარტო პორტების მშენებლობას და გაფართოებას, არამედ საავტომობილო გზების, ხიდების, სარკინიგზო მაგისტრალების მშენებლობასაც გულისხმობს. ეს პარტნიორები საქართველოდან გაიტანენ სასმელ წყალს და ერთ ლიტრში გადაიხდიან 24 ცენტს. ამ ფასის გაანგარიშებით, ფულადი შემოსავლები წელიწადში 12 მილიარდი დოლარით გაიზრდება. ამ პროექტის სრული დატვირთვით ამოქმედების შემდეგ, უახლოეს 8-10 წელიწადში, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული და აყვავებული ქვეყანა იქნება (გიორგაძე, ასავალ-დასავალი, 2015, N16).

იმისათვის, რომ ქვეყნის ეს უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსი კერძო პირების ხელში არ აღმოჩნდეს და მოსახლეობამ ეს სტრატეგიული რესურსი არ დაკარგოს, საჭიროა, პირველ რიგში, საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის მიწისქვეშა მარაგი, როგორც ეროვნული სიმდიდრე, ქვეყნის სტრატეგიულ რესურსად ოფიციალურად გამოცხადდეს და დაკანონდეს. ეს საჭიროა იმიტომ, რომ ვრცელდება ინფორმაციები, რომ საფრანგეთისა და არაბული ქვეყნების წარმომადგენლები იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, კახეთში დადიან და ცდილობენ ხელში ჩაიგდონ და დაიკანონონ ესოდენ მნიშვნელოვანი რესურსები.

2014 წელს, წინამორბედი პრემიერ-მინისტრის დროს, მისივე თავმჯდომარეობით, შეიქმნა საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების ხელშემწყობი საკოორდინაციო საბჭო, ხოლო 2015 წლის სექტემბერში გაუქმდა დღემდე ბურუსით მოცული და გაურკვეველი მიზეზებით (გიორგაძე, ასავალ-დასავალი, 2015, N6).

იმისათვის, რომ სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის განხილული კონცეფცია-პროგრამა ამუშავდეს და ინდუსტრია ამოქმედდეს, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების კეთილი ნებაა საჭირო. თუ დღევანდელი ხელისუფლების მიერ დროულად იქნება მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება, საქართველო არსებულ ეკონომიკურ კრიზისს გადალახავს.

ყველამ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს ის ფაქტი, რომ ჩვენ სასმელი წყლით მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყნის შვილები ვართ, გაცილებით მდიდრები, ვიდრე გაზისა და ნავთობის მფლობელი

ქვეყნები, რადგანაც ეს რესურსები ამოწურვადია, ხოლო მიწისქვეშა წყლები უწყვეტი, ამოუწურავი და მუდმივად განახლებადი აქტივია.

როცა ამ სტატიაზე მუშაობა დავასრულე, გაზეთიდან („ასავალ-დასავალი“ №16 – 2016 წელი) აკადემიკოსი პაატა გიორგაძე გვაუწყებს, რომ სასმელი წყლის ინდუსტრილიზაციის პროექტი-პროგრამა, რომელსაც ქართველი ხალხი, ქვეყანა ამ დიდი გაჭირვებიდან უნდა გამოეყვანა, საფრთხეში აღმოჩნდა (გიორგაძე, ასავალ-დასავალი, 2015, N16).

საქმე იმაშია, რომ ირანის მთავრობა საქართველოს სასმელი წყლის კოლოსალური მარაგით დაინტერესებულა და მზადყოფნას გამოთქვამს ჩვენი ქვეყნიდან სასმელი წყლის, როგორც ნედლეულის, ექსპორტისათვის 1,5 მილიარდი დოლარი დახარჯოს. ირანის სამეცნიერო ინსტიტუტები აქტიურად იკვლევენ ორი ვარიანტის რენტაბელობას: 1. გადაქაჩონ საქართველოს წყალუხვი მდინარეები ურმიის ნახევრად დამშრალ ტბაში; 2. ბაზალტის მილებით ქართული არტეზიული წყალი ირანის მოსახლეობას მიაწოდონ.

საქართველოში კი უკვე დიდი ხანია მზად არის და მთავრობისაგან მხარდაჭერას ელოდება სასმელი წყლის ინდუსტრიალიზააციის პროექტი-პროგრამა, რომლის მიხედვითაც ქვეყანას აქვს რეალური შანსი, რომ მომავალ საქართველოში ბავშვებს ვალები კი არ დაჰყვეს, არამედ დაბადებიდან სოლიდური დეპოზიტი ერიცხებოდეთ.

საქართველოდან სასმელი წყლის, როგორც ნედლეულის გატანა გარკვეული ჯგუფის გამდიდრების მიზნით, ქვეყნის ღალატის ტოლფასია. ამიტომ, ჩვენი აზრით, ქვეყნის მთავრობამ მხარი უნდა დაუჭიროს და დააჩქაროს ჩვენი მეცნიერების მიერ დიდი ხნის წინ გათვლილი და გაანგარიშებული სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. გიორგაძე პ., მწყურვალისათვის მიგვატანინე წყალი. გაზ. ასავალ-დასავალი, №6, 2014 წ.
2. გიორგაძე პ., ეს არის საქართველოს გადარჩენის დოქტრინა. გაზ. ასავალ-დასავალი, №16, 2015 წ.
3. გიორგაძე პ., მთავრობაში, რომელსაც ნდობის ხელახლა გამოცხადება დასჭირდა, არა თუ მხოლოდ სამი, არამედ გაცილებით მეტი მინისტრი უნდა შეცვლილიყო. გაზ. ასავალ-დასავალი, №18, 2015 წ.
4. გიორგაზე პ., სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაცია საქართველოს გაზისა და ნავთობის მფლობელ სახელმწიფოებზე უფრო მდიდარ ქვეყნად გადააქცევს. გაზ. ასავალ-დასავალი, №1, 2016.
5. გიორგაძე პ., საქართველოს წყალწაღებული ეკონომიკა ქართულმა წყალმა უნდა გადაარჩინოს. გაზ. ასავალ-დასავალი, №6, 2016 წ.
6. გიორგაზე პ., ქართველი ხალხის მიმართ ახალი ღალატი მწიფდება. გაზ. ასავალ-დასავალი, №16, 2016 წ.
7. შენგელია ალ., ეროვნული ცდა და საკაცობრიოც, გაზ. ილორი, 2015 წ. 19-26 მაისი.
8. შენგელია ალ., წყალი განმწმენდი და გამბრწყინებელი, გაზ. საქართველოს რესპუბლიკა,№90-91, 2015 წ.

დ. დავითულიანი

საქართველოს სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციის საკითხისათვის

რეზიუმე

საქართველო მდიდარია მინერალური და თერმული წყლებით. განსაკუთრებით ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა მიწისქვეშა სასმელი წყლის უდიდესი საექსპლოატაციო მარაგები. ამ დროს კი მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი განიცდის სასმელი წყლის დეფიციტს და ყოველწლიურად, წყურვილის გამო, მილიონობით ადამიანი იღუპება. ათეული წლების წინ ქართველი მეცნიერების ჯგუფი — ცნობილი ჰიდროლოგები მუშაობდნენ ამ პრობლემაზე. მათ შეისწავლეს სასმელი წყლის დებეტი და მი-

სი გატანის შესაძლებელი რაოდენობა. მაგრამ ამ მეცნიერთა სიცოცხლის პერიოდში ეს ვერ განხორციელდა. მათ მიერ დაწყებულ საქმეს ჰყავს გამგრძელებელი — მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც აქვს გაანგარიშებული ყველა მაჩვენებელი, რაც დაკავშირებულია სასმელი წყლის გატანასთან; მოძიებული ჰყავს ინვესტორებიც, გათვლილი აქვს ქვეყნის სატრანსპორტო მაგისტრალის გამტარიანობაც და მისი გადიდების პერსპექტივებიც. აგრეთვე, გაანგარიშებულია გასატანი წყლის და ჩამომსხმელი ქარხნების რაოდენობა საქართველოს რეგიონებში, წყლის გატანით მიღებული შემოსავლები, ახალი სამუშაო ადგილები, თითოეული დასაქმებულის ანაზღაურება და სხვა მთელი რიგი ეკონომიკური შემოსავლები, რაც მოყვება სასმელი წყლის ინდუსტრიალიზაციას საქართველოში.

ამ ღონისძიების განხორციელების შემდეგ საქართველოში დაბადებული თითოეული ბავშვი ეტაპობრივად გახდება ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის თითო აქციის მფლობელი, რომლის მატერიალური ფასეულობა 120 ათასი ამერიკული დოლარი იქნება. ამ პროექტის ამოქმედებით, საქართველოს ბიუჯეტს ყოველწლიურად 12 მილიარდი დოლარის შესაბამისი ეკვივალენტის ლარი შეემატება, ხოლო სრული დატვირთვის შემდეგ, 8-10 წელიწადში საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული და აყვავებული ქვეყანა გახდება.

D. Davituliani

For Industrialization issue of drinking water of Georgia

Summary

Georgia is known for its water resources: rivers, lakes, healing mineral and thermal waters. The most important and noteworthy is the huge reserves of underground drinking water meanwhile, more than half the world's population suffers from water shortage. Every year millions of people die of thirst.

The United Nations and other international organizations of the world have established, that the water deficit, which was expected for 2025, due to global warming have moved 10 years earlier and had already emerged in 2015, which revealed a shortage of drinking water. This fact makes it even more necessary to resolve the issue of industrialization of underground drinking water of Georgia.

Still, in early 90s, Israel businessmen got interested in water withdrawal from Georgia, also Cypriot businessmen, who arrived in Georgia, were interested in this case, but this time, the political situation was very chaotic and no one had time for in.

Decades ago, the group of Georgian scientists – famous hydrologists worked on this problem. They studied the drinking water debit and possible points of its withdrawal, but in the period of their life this attempt was not materialized. The case, launched by the scientist got followers – the group of scientists. They have calculated all indicators related to withdrawal of drinking water. They have found investors, considered the country's main transport capacity and its prospects for enlargement.

Amount of exported water and Bottling plants in regions of Georgia have also been calculated, also revenues, received by water withdrawal, new jobs, each employee's wages and a number of other revenues, and generated by the water industrialization in Georgia.

After implementation of this measure, each child born in Georgia will gradually become a per share holder of natural drinking water industry, which would be of material value of 120 thousands US Dollars. The budget of Georgia will be added $ 12 billion Dollars equivalent in GEL annually, after this project, and after a full load, in 8-10 years, Georgia will be one of the most successful and prosperous country in the world. The authors of the project have such assumptions.

დ. ვეკუა ა. ცერცვაძე

დაზღვევის ისტორიული წანამძღვრები საქართველოში და მისი განვითარების ეტაპები

საზოგადოების განვითარების დიალექტიკა, მისი ტრანსფორმაცია და სამეწარმეო აქტიურობა ყოველთვის ახალ-ახალ რისკებთან არის დაკავშირებული. მათი უმეტესობა არამართებული და არა-ადეკვატური მოქმედებების შედეგია, ხოლო მეორე ნაწილი კი ობიექტური გარემოებებით არის განპირობებული. გლობალურ ეკონომიკაში, მას შემდეგ, რაც ინტენსიურად დაიწყო საქართველოს ბიზნესს გარემოს ინტეგრაცია, რისკების დადგომის ალბათობა კიდევ უფრო ამაღლდა და გაიზარდა. გარდა წმინდა რისკებისგან დაცვის სტრატეგიისა, დაზღვევა დღეს უკვე საქართველოში ჩამოყალიბდა, როგორც ფინანსური ინსტრუმენტი, ხოლო სადაზღვევო კომპანიები კი ფინანსურ ინსტიტუტებად, რომლებიც საბანკო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატით ანხორციელებენ ქართული ეკონომიკის ინვესტირებას და დაკრედიტებას.

დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოუდგენელია სადაზღვევო ურთიერთობების გარეშე, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ამ დარგის სპეციალისტებმა გაიცნობიერონ დაზღვევის ისტორია და მისი განვითარების ეტაპები.

არსებობს ვარაუდი, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველოში არსებობდნენ კერძო მზღვეველები, თუმცა მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების დამამტკიცებელი ფაქტები არ მოიპოვება.

1912 წელს საქართველოში მოქმედებდა კანონები – „ავადმყოფობისას მუშათა დაზღვევის შესახებ“ და „უბედური შემთხვევების გამო მუშათა დაზღვევის შესახებ“. მათი მოქმედების არეალი საკმაოდ ვიწრო იყო და, ძირითადად, იმ მუშათა კატეგორიებს ეხებოდა, რომლებიც ადრეც საავადმყოფო სალაროთა წევრები იყვნენ და იღებდნენ დახმარებებს ავადმყოფობის, დასახიჩრების, მშობიარობისა და გარდაცვალების დროს. სოფლის მეურნეობაში, მშენებლობასა და წვრილ საწარმოებში დასაქმებულ მუშებზე აღნიშნული კანონი არ ვრცელდებოდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე სოციალურმა დაზღვევამ, რეალურად, მხოლოდ თბილისში მოიკიდა ფეხი. არსებული კანონის მიხედვით, საავადმყოფო სალაროს არსებობა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ საწარმოებში, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 200 კაცს აღემატებოდა. ამიტომ, თვით თბილისშიც ბევრი დასაქმებული დაზღვევის გარეშე რჩებოდა. გარკვეულწილად, შემაფერხებელი ფაქტორი იყო ისიც, რომ იმდროინდელ საქართველოში სუსტად მიმდინარეობდა დაზღვევის იდეოლოგიის პროპაგანდა. მუშები ნაკლებად იცნობდნენ დაზღვევის პრინციპებსა და უარს ამბობდნენ ხელფასიდან დაქვითული სადაზღვევო შენატანების სალაროში გადახდაზე, არც მეწარმენი იყვნენ დაზღვევით დაინტერესებული და ამ შენატანებს ზედმეტ ხარჯებად მიიჩნევდნენ. შემდგომ ეტაპზე, იმ საწარმოებში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 200 კაცზე ნაკლები იყო, დაიწყო მათი მიწერა სხვა მონათესავე ტიპის სალაროებზე, თუმცა ამან სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა.

1912 წლის კანონის გამოცემის შემდეგ თბილისსა და მის გარეუბნებში დაზღვეულთა რაოდენობამ 4497 კაცი შეადგინა, 1914 წელს – 6000, ხოლო 1920 წლის ბოლოს მათი რიცხვი 10000 კაცს აღემატებოდა. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ დაზღვევის სისტემა საქართველოში საკმაოდ ნელი ტემპით ვითარდებოდა. ეს კი განპირობებული იყო იმდროინდელ საქართველოსა და რუსეთის მთელ იმპერიაში არსებული საკმაოდ რთული პოლიტიკური ვითარებით, საწარმოო ძალთა სუსტი განვითარებითა და დაბალი სამართლებრივი კულტურით. იმის გამო, რომ საავადმყოფო სალაროები, ნაცვლად დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შორის ურთიერთპარტნიორობისა, ხშირად მათი ქიშპისა და დაპირისპირების საბაბი ხდებოდა, მუშები მოითხოვდნენ სადაზღვევო შენატანების გადახდის მთლიანად დამსაქმებელზე დაკისრებას და სალაროს მართვის უფლების მათზე დაკანონებას, ხოლო მეწარმეები კი ქვეყანაში არსებულ ქაოსურ სიტუაციას თავის სასარგებლოდ იყენებდნენ და საავადმყოფო სალაროების სრული განმკარგველები ხდებოდნენ. ამ დაპირისპირებაში, თბილისის პროფესიული კავშირების მხარდაჭერით, თანდათან აქტიურად ჩაება ქალაქის ბოლშევკური ორგანიზაციაც, რომელმაც, საქართველოს დაზღვევის უკეთ ორგანიზების მოჩვენებითი მიზნით, გადაწყვიტა, აქტიური მონაწილეობა მიეღო საავადმყოფო სალაროების არჩევნებში და ხელთ ეგდო სადაზღვევო ორგანიზაციების ხელმძღვანელობა.

დროთა განმავლობაში ბოლშევიკებმა, მართლაც, მოახერხეს თავისი ჩანაფიქრის განხორციელება, სალაროთა მართვის ორგანოებში გაიყვანეს თავისი წარმომადგენლები (სტამბებში, ტყავის

ქარხნებში, თამბაქოს ფაბრიკებში), ხოლო იქ, სადაც მათი პოზიციები სუსტი იყო, არჩევნები ჩაშალეს.

ამ პერიოდის ანალიზიდან აშკარად იკვეთება ახალი სოციალური ინსტიტუტების მშენებლობისას წარმოქმნილი მძაფრი პოლიტიზირება, რამაც ნეგატიური გავლენა მოახდინა და შეაფერხა საქართველოში დაზღვევის სისტემის განვითარება.

1917 წლის დეკემბერში თბილისში ჩატარდა პროფესიული კავშირების პირველი საქალაქო კონფერენცია, სადაც განიხილეს სოციალური დაზღვევის კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები, გამოიკვეთა პროფესიული კავშირის პოზიციაც, რომელიც შემდეგ ძირითად მოთხოვნებად ჩამოყალიბდა:

- უბედური შემთხვევისას დაშავებულთა სოციალური დაზღვევა;
- სოციალური უზრუნველყოფა ავადმყოფობის შემთხვევაში;
- სოციალური დაზღვევა უმუშევრობაზე;
- ინვალიდებისა და მოხუცებულობის სოციალური დაზღვევა;
- დედობის დაცვა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ დაზღვევას უნდა დაქვემდებარებოდა დაქირავებულ შრომაში ჩართულ მუშაკთა ყველა კატეგორია და მმართველობა მთლიანად მათ ხელში გადასულიყო.

1919 წლის 1 იანვრიდან საფუძველი ჩაეყარა თბილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო სალაროს, ამ სალაროში თამბაქოსა და ვაზნების შემკეთებელი ფაბრიკებისა და კოლოფების დამამზადებელი წვრილი სახელოსნოების მუშები გაერთიანდნენ.

1920 წლის დასასრულს თბილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო სალაროს გამგეობის ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა საქართველოს საავადმყოფო სალაროების I კონფერენცია, რომელმაც მიიღო რეზოლუცია და დადგენილება, მათ შორის მუშათა დაზღვევის შესახებ. არსებული კანონმდებლობის ფარგლებში უნდა ჩატარებულიყო რეფორმა, რომლის მიხედვითაც:

1) საავადმყოფო სალაროების მონაწილეთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა მთლიანად სალაროებს ეკისრებოდა დამქირავებელთა ხარჯზე;

2) დაზღვევა სავალდებულო ხასიათს იღებდა;

3) კანონი უნდა გავრცელებულიყო ყველა იმ დაქირავებულზე, რომელზეც ვრცელდებოდა კანონი „შრომითი ხელშეკრულების შესახებ“;

4) მუშებს საავადმყოფო სალაროებში უნდა შეეტანათ წლიური ხელფასის არაუმეტეს 1%-ისა;

5) დახმარების ოდენობა ავადმყოფობის დროს არ უნდა ყოფილიყო წლიური ხელფასის 1%-ზე ნაკლები.

საქართველოში დაზღვევის განვითარების ისტორიის ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ დაზღვევა მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო. ერთი მხრივ, პროფესიული კავშირები, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ცდილობდნენ აემაღლებინათ მეწარმის პასუხისმგებლობა დაქირავებულთა სოციალურ დაცვაზე და, მეორე მხრივ, თვით დაქირავებულები ქმნიდნენ თავიანთ საზოგადოებრივ გაერთიანებებს საკუთარი ინტერესების დასაცავად.

1933 წლიდან მშრომელთა სოციალური დაცვის საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილის მართვა პროფკავშირებს გადაეცათ. სოციალური დაზღვევის ანარიცხები დიფერენციალური ოდენობით, დარგების მიხედვით, პროფკავშირების მეშვეობით იკრიბებოდა. სოციალური დაზღვევით გათვალისწინებულ გადასახადთა მნიშვნელოვანი ნაწილი (გარდა არამომუშავე პენსიონერების პენსიებითა და სხვა სახის მომსახურებით უზრუნველყოფისა) პროფკავშირების მართვის სისტემაში მოექცა.

საქართველოში დაზღვევის განვითარების პირველი ნაბიჯების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაზღვევის ინსტიტუციონალური მოდელების ფორმირებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მთლიანად ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის ძირითადი მიმართულებები.

საქართველოში დაზღვევა, როგორც ფინანსური ინსტიტუცია, უკვე საბჭოთა დროიდან ყალიბდება იმ დროისათვის წამყვანი სფეროები იყო სიცოცხლის დაგროვებადი დაზღვევა, პირადი ქონების დაზღვევა და კოლმეურნეობის ქონების დაზღვევა. არ არსებობდა სადაზღვევო რისკების მენეჯმენტი, შესაბამისად სადაზღვევო პრემიებიც და ანაზღაურებებიც არაადეკვატურად იყო დათვლილი. საბჭოთა სადაზღვევო კომპანიების ფორმაც განსხვავებული იყო, ვინაიდან კომპანიები არ წარმოადგენდნენ კერძო სამართლის კომერციულ სუბიექტებს, ისინი სახელმწიფო ფონდის როლს უფრო ითავსებდნენ.

მას შემდეგ, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ჩვენს ქვეყანაში უკვე გაჩნდა კერძო სადაზღვევო ბაზარი. საქართველოში იყო სიღარიბის პრობლემა, ასევე უმუშევრობის მაღალი დონის გამო მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ გააჩნდა ფინანსური სახსრები დაზღვევის შესაძენად. შესაბამისი კანონმდებლობა დაუხვეწავი იყო, სადაზღვევო ფირმე-

ბი დაუსაბუთებელ რისკებს იღებდნენ. ამიტომ ქვეყანა დადგა სადაზღვევო კანონმდებლობის მიღების აუცილებლობის წინაშე.

პირველი ქართული კერძო სადაზღვევო კომპანიებიდან აღსანიშნავია „ალდაგის“, „გავაზის“, „კავკასიის“ სადაზღვევო კომპანიის, „აგორასა“ და „ასკო-თბილისის“ საქმიანობა. ამ კომპანიების მუშაობის სფეროს წარმოადგენდა ქონების დაზღვევა, უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევა, ტვირთების დაზღვევა.

ამ კომპანიებს შორის აღსანიშნავია სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“, რომელმაც 1999 წელს შეიერთა სადაზღვევო კომპანიები „ქართული დაზღვევა“ და „კრწანისი“, ხოლო 2005 წელს შეისყიდა სადაზღვევო კომპანია „სელბი“. 1998 წელს დაარსებული სადაზღვევო კომპანია „ბისიაი“ 2005 წელს „ევროპეისთან“ ერთად შესყიდულ იქნა საქართველოს ბანკის მიერ. 2006 წელს კი თავად „ბისიაიმ“ შეიძინა ალდაგის 100%.

1995 წელს დაფუძნდა სადაზღვევო კომპანია „იმედი L“. 1999 წელს მისი ძირითადი წილი იყიდა „ESG Re“-მ. 2007 წელს EBRD-მა იყიდა კომპანიის 25%. 2011 წელს კი „იმედი L“ იყიდა „ალდაგი ბისიაიმ“. 2014 წლიდან „იმედი L“-მა კვლავ დამოუკიდებლად გააგრძელა ფუნქციონირება.

საპენსიო და სიცოცხლის დაზღვევის განხორციელებისათვის 2001 წელს დაფუძნდა „ჯიპიაი ჰოლდინგი“, მაგრამ ამ სფეროების დაბალი ზრდის გამო კომპანია გადავიდა არასიცოცხლის დაზღვევის საქმიანობაზე. ამჟამად კომპანია „ვენის სადაზღვევო ჯგუფის“ წევრია.

1996 წელს შეიქმნა საქართველოს სადაზღვევო ასოციაცია, რომლის მიზანი იყო სადაზღვევო ინდუსტრიის კორპორაციული ინტერესების დაცვა და დაზღვევის განვითარებასა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა-დანერგვაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს 1997 წლის საკანონმდებლო რეფორმები.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმამ ბუნებრივად წარმოშვა ქვეყანაში სრულფასოვანი სადაზღვევო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების აუცილებლობის საკითხი. ამის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტმა 1997 წელს მიიღო კანონი „დაზღვევის შესახებ“, რომელიც ქვეყანაში სადაზღვევო საქმიანობის მარეგულირებელი აქტია, იგი განსაზღვრავს სადაზღვევო საქმიანობისა და ზედამხედველობის ძირითად საკითხებს.

კერძო სამეწარმეო საწყისებზე ახლად ჩამოყალიბებული სადაზღვევო სისტემის განვითარება ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობასა და თანადგომას საჭიროებდა. სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობისათვის, „დაზღვევის შესახებ“ კანონის შესაბამისად, 1997 წელს შეიქმნა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც სადაზღვევო საქმიანობის მნიშვნელოვან საზედამხედველო ინსტიტუტად იქცა. ეს სამსახური 2007 წელს შეუერთდა ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს, ხოლო შემდეგ ეროვნულ ბანკს. 2013 წლიდან დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა კვლავ დამოუკიდებლად გააგრძელა ფუნქციონირება.

2006 წლამდე დაზღვევის სახელმწიფო ზედმახედველობის სამსახური გასცემდა ლიცენზიებს ყოველი ცალკეული დაზღვევის სახეობის განსახორციელებლად. ხოლო 2006 წლიდან გაიცემა ლიცენზიები სიცოცხლის დაზღვევის, არასიცოცხლის დაზღვევისა და გადაზღვევის განსახორციელებლად.

1999 წელს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიღებულ იქნა ნორმატიული აქტი „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე შევსებული საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის დამტკიცების შესახებ“, რომლის შესაბამისად სადაზღვევო კომპანიებს დაზღვევის სახეობების მიხედვით ეკისრებოდათ მინიმალური კაპიტალის ფლობა შემდეგი ოდენობით:

1. სიცოცხლის დაზღვევის განხორციელებისას 600 000 ლარი;
2. არასიცოცხლის დაზღვევის სახეობების განხორციელებისას 500 000 ლარი;
3. გადაზღვევის კომპანიებისათვის 1 000 000 ლარი.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, სადაზღვევო ბაზარზე კომპანიათა რაოდენობა 42-დან 17-მდე შემცირდა, რაც განხორციელდა არა გაკოტრებით, არამედ არსებული სადაზღვევო კომპანიების შერწყმისა და გამსხვილების გზით.

სადაზღვევო სფეროს ნორმატიული ბაზის სრულყოფის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ სადაზღვევო კომპანიათა გადახდისუნარიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავება და მიღება.

2007 წელს შემუშავდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა კერძო სადაზღვევო კომპანიების განხორციელებით, რომელიც ითვალისწინებდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევას. ამ პროგრამამ 2007 წელს

სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყო თბილისსა და იმერეთის რეგიონში აღრიცხული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა. 2008 წლიდან მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის ეტაპობრივად დაზღვევა რეგიონების მიხედვით. შემდგომ წლებში ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა გავრცელდა პედაგოგებზე, პენსიონერებზე, სტუდენტებზე, ექვს წლამდე ბავშვებსა და ზოგიერთ სხვა კატეგორიის მოქალაქეზე. ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა 2013-2014 წლებში ჩანაცვლდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით.

პარალელურად, 2007 წლიდან, სახელმწიფო უწყებებმა დაიწყეს კერძო ჯანმრთელობის დაზღვევის შესყიდვა და სადაზღვევო სისტემაში სხვადასხვა საჯარო ორგანიზაციის თანამშრომლები ჩაერთვნენ. ამ პერიოდში გაიზარდა აგრეთვე ჯანმრთელობის ნებაყოფლობითი (კორპორატიული და ინდივიდუალური) დაზღვევის მოცულობა. ამან გამოიწვია მზღვეველების პროფესიონალიზმის დონის ზრდა და შეთავაზებული პროდუქტების მნიშვნელოვანი განვითარება.

2014 წელს საქართველოში ამოქმედდა აგროდაზღვევის პროექტი. აგროდაზღვევა ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე. სადაზღვევო კომპანიაში შესატანი სადაზღვევო პრემიის ნაწილი სუბსიდირდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო დამზღვევს (გლეხს, ფერმერს) ეძლევა შესაძლებლობა დააზღვიოს მოსავალი თანადაფინანსებით.

სადაზღვევო კომპანიები იქმნება სააქციო საზოგადოების ფორმით. სადაზღვევო ბაზარზე მოქმედებენ კომპოზიტური მზღვეველები (composite insurer), რომლებიც ახორციელებენ როგორც არასიცოცხლის დაზღვევის სახეობებს, ასევე სიცოცხლის დაზღვევას.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა ხასიათდება სამი მთავარი ნიშნით: უცხოელების მნიშვნელოვანი წილით სადაზღვევო კომპანიების კაპიტალში, მზღვეველებზე ბანკების საკუთრების უფლებითა და კონსოლიდაციით.

ბოლო წლების განმავლობაში ბანკები დაინტერესდნენ სადაზღვევო ბიზნესით, რის შედეგადაც განვითარდა საბანკო დაზღვევა.

როგორც აღვნიშნეთ, იმისათვის რომ სადაზღვევო კომპანიამ მიიღოს დაზღვევის საქმიანობის განხორციელების ლიცენზია, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული ოდენობის კაპიტალი. დღეისათვის მინიმალური კაპიტალის ოდენობა შეადგენს:

დაზღვევის სახეობა	**მლნ. ლარი**
სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევა	2.2
არასიცოცხლის დაზღვევის სახეობები	2.0
გადაზღვევა	2.2

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სადაზღვევო სისტემის ფორმირების და განვითარების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოიყოს სამი ძირითადი ეტაპი: პირველი ეტაპი მოიცავს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 1998 წლამდე პერიოდს, მეორე ეტაპი 1998 წლიდან 2007 წლამდე პერიოდს, ხოლო მესამე ეტაპი 2007 წლიდან გრძელდება დღემდე.

სადაზღვევო სისტემის ფორმირების პირველ ეტაპზე ნაკლებად შეიმჩნეოდა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში „დაზღვევის შესახებ“ კანონის მიღებასა და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შექმნას, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა. ესაა პერიოდი, როდესაც სწრაფი ტემპებით იქმნებოდა სადაზღვევო და საბროკერო-სადაზღვევო კომპანიები. უკვე 1998 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო 36 სადაზღვევო კომპანია. აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო სისტემის ფორმირების საწყის ეტაპზე არ იყო შექმნილი შესაბამისი ხელსაყრელი სოციალურ–ეკონომიკური გარემო. საუბარია იმაზე, რომ სადაზღვევო სისტემის ფორმირება მიმდინარეობდა ეკონომიკური კრიზისის პირობებში. კრიზისულ ფინანსურ მდგომარეობაში იყო ბევრი სამეურნეო სუბიექტი, ამას ემატებოდა მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობა და შესაბამისად მსყიდველობითუნარიანობის დაბალი დონე.

საქართველოში სადაზღვევო სისტემის ფორმირება-განვითარების მეორე ეტაპი სათავეს იღებს 1998 წლიდან. აღნიშნულ ეტაპზე შედარებით ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემო შეიქმნა სადაზღვევო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის. შედარებით სტაბილურად გამოიყურება ქვეყნის საფინანსო-საბანკო სისტემა, წინა ეტაპთან შედარებით ეკონომიკური ზრდის ტემპი გაიზარდა, გარკვეულწილად ამაღლდა შრომის ანაზღაურების დონე. ყოველივე ამან დადებითი როლი შეასრულა სადაზღვევო სისტემის ტრანსფორმაციის საქმეში და შეიძლება ითქვას, ახალი იმპულსი მისცა სადაზღვევო საქმიანობის შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა წარმატებით შეძლო სადაზღვევო კომპანიათა გადახდისუნარიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებისა და ანგარიშგების სისტემის შემუშავება, მიღება და დანერგვა, რამაც ხელი შეუწყო სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის დონის ამაღლებას.

საქართველოში სადაზღვევო სისტემის ფორმირების მესამე ეტაპი 2007 წელს დაიწყო. შემუშავდა და ამოქმედდა ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამები კერძო სადაზღვევო კომპანიების განხორციელებით, რომელიც 2013-2014 წლებში ჩანაცვლდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით. ამასთან ჯანმრთელობის დაზღვევის კორპორატიული და ინდივიდუალური ფორმით გავრცელებამ შექმნა საფუძველი დაზღვევის პროცესში წარმოშობილი დავების დარეგულირებისათვის. შეიქმნა ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სადაზღვევო ურთიერთობებში წარმოშობილი დავებისა და პრობლემების მოგვარება, მედიაციის პროცესის განხორციელება.

დღეისათვის შესაძლებელია უცხოეთის გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოში ჩამოყალიბდეს საერთაშორისო სტანდარტების დონის სადაზღვევო პროდუქტის ბაზარი, რასაც აგრეთვე ხელს უწყობს საქართველოს სადაზღვევო კომპანიების პროფესიული დონის ზრდა. დღეს საქართველოში სადაზღვევო კომპანიები მომხმარებელს სთავაზობენ მომსახურებას დაზღვევის თითქმის ყველა სახეობაში. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მონაწილეობენ უცხოელი ინვესტორები.

სადაზღვევო პროდუქტის საიმედოობის დონეს განაპირობებს სადაზღვევო კომპანიების მიერ მიღებული რისკების გადაზღვევა, რაც სადაზღვევო პორტფელის დაბალანსების საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს სადაზღვევო კომპანიების პარტნიორი გადამზღვეველი კომპანიები რეიტინგული მონაცემებით სათანადო კლასის გადამზღვეველ კომპანიებს განეკუთვნებიან.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ჩამოყალიბებულია. არსებობს დაზღვევის პროდუქტი–სადაზღვევო მომსახურება, არსებობენ სადაზღვევო მომსახურების გამყიდველები სადაზღვევო კომპანიების სახით და არსებობენ მომხმარებლები. სადაზღვევო კომპანიები აუმჯობესებენ მენეჯმენტსა და მარკეტინგულ ღონისძიებებს. თანდათან იზრდება აგრეთვე როგორც ორგანიზაციების, ასევე მოსახლეობის სადაზღვევო კულტურის დონე, რაც აუცილებელი წინაპირობაა ქვეყნის სადაზღვევო სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაზღვევის სფეროში კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ეს მოითხოვს სერიოზულ მუშაობას, რაც სადაზღვევო სისტემის განვითარების შემდგომი ამოცანაა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვეკუა დ., ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., სადაზღვევო საქმე, თბილისი, 2016.
2. ვეკუა დ., მოსახლეობის სოციალური დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, თბილისი, 2003.
3. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, თბილისი, 1997.
4. Кох П., Голтгаузенидр Т., „Основы страхования“, Страховое дело. Том I; М., 2004.
5. Кох П., Голтгаузенидр Т., „Виды страхования“, Страховое дело. Том II; М., 2004

დ. ვეკუა, ა. ცერცვაძე

დაზღვევის ისტორიული წანამძღვრები საქართველოში და მისი განვითარების ეტაპები

რეზიუმე

საქართველოში დაზღვევა ჩამოყალიბდა როგორც სპეციალური ფინანსური სისტემა, რომელსაც აქვს საკუთარი ფინანსური რესურსები, ეკონომიკა და ორგანიზაციული სტრუქტურა. დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოუდგენელია სადაზღვევო ურთიერთობების გარეშე, ამიტომ ნაშრომის მიზანია ამ დარგის სპეციალისტებმა გააცნობიერონ დაზღვევის ისტორია და მისი განვითარების ეტაპები.

D. Vekua, A. Tsertsvadze

Insurance History in Georgia and its Development Stages

Summary

Nowadays Georgians insurance companies, are actively involved in the country's social and economic life. The insurance has been established as a special financial system, which has its own financial resources and the organizational structure of the economy. Today's public life is impossible without the cooperation of the insurance, so the thesis aim is to raise specialist's awareness in insurance history, and the stages of its development.

ა. თავართქილაძე

აშშ-სა და ევროკავშირს შორის ტრანსატლანტიკური თავისუფალი ვაჭრობის და ინვესტიციების ხელშეკრულების პერსპექტივები და საქართველო

უახლოეს მომავალში შესაძლოა მსოფლიო უპრეცედენტო სავაჭრო შეთანხმების მომსწრე გახდეს. „ეკონომიკური NATO“ ასე უწოდებენ მას. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებები ბრიუსელისა და ვაშინგტონის პოლიტიკურ მსჯელობას გასცდა და აქტიურ „ტექნიკური შეთანხმებების“ ეტაპზე გადავიდა.

2016 წლის ყოველწლიურ საპრეზიდენტო მიმართვაში ბარაკ ობამამ ტრანსატლანტიკური სავაჭრო და ეკონომიკური პარტნიორობის აუცილებლობაზე ისაუბრა, თავის მხრივ ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ კი შეთანხმებას ორი წამყვანი ეკონომიკის ზრდის შესაძლებლობა უწოდა.

ამ დროისთვის აშშ და ევროკავშირი ერთმანეთის უდიდესი სავაჭრო პარტნიორები არიან, რომლებიც ერთად მსოფლიოს ეკონომიკური აქტივობის 50%-სა და გლობალური ვაჭრობის 30%-ს ქმნიან. ორ წამყვან ეკონომიკას შორის საქონლისა და მომსახურეობის ბრუნვა ყოველწლიურად 2,7 ტრილიონ აშშ დოლარს აღემატება, საერთო ინვესტიციების მოცულობა კი 3,5 ტრილიონ ამერიკულ დოლარს აღწევს. ევროკავშირი აშშ-ის ექსპორტის უდიდესი მომხმარებელია, რაც 2,4 მილიონამდე ამერიკულ სამუშაო ადგილს განაპირობებს.

საყურადღებოა, რომ ეკონომიკური ბარიერები (საგადასახადო ტვირთი) აშშ-სა და ევროკავშირს შორის ახლაც დაბალია (მაგ. ძირითად საქონელზე საბაჟო ტარიფი ღირებულების მხოლოდ 3 პროცენტს შეადგენს და ა.შ.) და ეს არამხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში ძველი პარტნიორები არიან, არამედ ტრანსატლანტიკური ეკონომიკური საბჭოს საქმიანობის შედეგად არაერთი ლოკალური დარგობრივი მიმართულების ხელშეკრულება დაიდო ერთიანი ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. ამ მიმართებით მნიშვნელოვანი იყო ხელშეკრულება „ერთიანი საჰაერო სივრცის გამოყენების შესახებ“. თუმცაღა მოლაპარაკებების პროცესი საკმაოდ გაიწელა, ორივე მხარე თანხმდება, რომ მნიშვნელოვანია არა სავაჭრო — საგადასახადო ტვირთი, არამედ წარმოებითი ბიზნესის მხარეთა ბაზარზე წვდომა, რეგულაციების სპეციფიკა, თანამშრომლობის წესები, პრინციპები და რეჟიმები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროკავშირის 28 სახელმწიფომ ერთად და დამოუკიდებლად უნდა განიხილოს და მიიღოს ევროკომისიის პროექტი. ევროკავშირის ქვეყნებს ხელშეკრულების მიღებისა და რატიფიცირების სხვადასხვა წესები აქვთ; მაგალითად, საფრანგეთის კონსტიტუციაში არის ჩანაწერი, რომ სავაჭრო შეთანხმებები რატიფიცირებული უნდა იქნეს მხოლოდ კანონის საფუძველზე. ამერიკის კანონმდებლობით ანალოგიური შეთანხმებების რატიფიკაცია აშშ-ს კონგრესის ორივე პალატამ უნდა მოახდინოს. ბულგარეთის მთავრობამ განაცხადა, რომ არ განახორციელებს ხელშეკრულების რატიფიცირებას, სანამ აშშ არ დაუშვებს ბულგარეთის მოქალაქეებისათვის თავისუფალი უვიზო მიმოსვლის რეჟიმს. ბუნებრივია, ამას ემატება ისიც, რომ ყველა ქვეყანას თავისი ბიზნეს — ინტერესები აქვს და მათი რეგულირება ქვეყნების წამყვან ბიზნეს-სექტორთან მოლაპარაკებებს და შეთანხმებებს მოიცავს. ამერიკული და ევროპული ტრანსნაციონალური კომპანიები მსოფლიო ბაზარზე ერთმანეთის კონკურენტებს წარმოადგენენ. მაგალითისათვის „ბოინგი“ და „აერობუსი“ ვერ თანხმდებიან მთელ რიგ საკითხებში და ბოლოდროინდელი ეკონომიკური კრიზისის დროს მხარეებმა კიდევ უფრო მეტი ბარიერები შეუქმნეს ერთმანეთს. მეცნიერთა ერთი ჯგუფის (ტ. ბოლიკი -კემბრიჯის უნივერსიტეტი, ა. ბრედფორდი – კოლუმბიის უნივერსიტეტი) აზრით, სწორედ ბიზნესის სექტორების აზრია მნიშვნელოვანი და წინააღმდეგობრივია განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრება, სახელმწიფო შესყიდვები, ფარმაცევტული, სასოფლო-სამეურნეო, სასურსათო, მანქანათმშენებლობის და ფინანსური მომსახურეობა. ამასთან მიჩნეულია, რომ ასეთი შეთანხმების პირობებში აშშ-ს ბიზნესი ბევრად მოგებული დარჩება, რამდენადაც წარმოებითი პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ელექტროენერგია ამერიკაში ბევრად იაფია.

ამერიკული და ევროპული მხარე აღიარებს, რომ ტრანსატლანტიკურ ხელშეკრულებაში არის ძალზე მნიშვნელოვანი პუნქტები, რომელთა შეთანხმებით გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული საერთოდ ამ ხელშეკრულების არსებობა. კერძოდ ეს ეხება ამერიკის სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე დაშვებას, ევ-

როკავშირის ქვეყნებში გენეტიკური მოდიფიკაციის კულტურების და ჰორმონული დამუშავების ხორცის იმპორტის აკრძალვას, ასევე კვების პროდუქტებზე გეოგრაფიული სავაჭრო ნიშნებით მარკირების აუცილებლობას. ევრომწარმოებლებს მიაჩნიათ, რომ გეოგრაფიული დასახელება ამა თუ იმ ბრენდული პროდუქტისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. მაგალითად, ყველი „ფეტა“ და „პარმაზანი“, ან ლუდი „ბუდვაიზერი“ და ა.შ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ევროპასა და ამერიკაში სხვადასხვა მოთხოვნებია ავტომობილების უსაფრთხოების სტანდარტებზე. საფრანგეთის მოთხოვნით, ხელშეკრულების პროექტიდან უკვე ამოღებული იქნა თავისუფალი ვაჭრობა აუდიო-ვიზუალური პროდუქციით. ზოგადად ეკონომიკური ურთიერთობები ზოგიერთი მიმართულებებით საკმაოდ დაძაბულია და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში არაერთი განხილვის საგნად იქცა.

საუბარია ერთიან სტანდარტებზე, რომელსაც შეიმუშავებს ტრანსატლანტიკური ხელშეკრულება. ამასთან სავარაუდოა, რომ ეს სტანდარტები მომავალში მსოფლიო ეკონომიკის სტანდარტად იქცეს.

„გლობალური ვაჭრობის თანამედროვე გამოწვევა არის სავაჭრო სტრატეგიების შექმნა, იქნება ეს ორმხრივი, რეგიონული თუ მრავალმხრივი, რომელსაც შეუძლია განაპირობოს ეკონომიკური ზრდა და ახალი სამუშაო ადგილები და იმავდროულად პოზიტიური ზეწოლა ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე არადისკრიმინაციულ საფუძველზე. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკას სჭირდება საკმაო „ზეწოლა გარედან“ იმისათვის, რომ მოახერხოს ქვეყნების მოტივირება, რათა ისევ განახორციელონ მნიშვნელოვანი სავაჭრო ლიბერალიზაცია. ტრანსატლანტიკური ვაჭრობის ინიციატივა შეიძლება იყოს ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა“ (ტიტენბერგი, ლევისი, 2015, 142).

მხარეებს სავაჭრო შეთანხმებების მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. მათგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებულია ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, რომელიც აშშ-ს, კანადასა და მექსიკას 1994 წლიდან აერთიანებს. ამას გარდა, აშშ-ს ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებები აკავშირებს ისრაელთან, ავსტრალიასთან, სინგაპურთან, სამხრეთ კორეასთან, ჩილესთან და არაერთ სხვა სახელმწიფოსთან. აშშ-ისა და მისი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების პარტნიორების საერთო მთლიანი შიდა პროდუქტი 21 ტრილიონს (მსოფლიოს მშპ-ის 30%) აღწევს და 700 მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებს.

თავის მხრივ, „ევროპის კონტინენტზე, ევროკავშირის პარალელურად 1960 წლიდან მოქმედებს ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, რომელიც კავშირის არაწევრ ოთხ სახელმწიფოს (შვეიცარია, ისლანდია, ნორვეგია, ლიხტენშტაინი) და 28-წევრიან ეკონომიკურ ბლოკს შორის ვაჭრობას არეგულირებს. ასევე, მოქმედებაშია „ევროპის საბაჟო კავშირი“, რომელიც მის წევრებს (ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო, თურქეთი, ანდორა, მონაკო, სან მარინო), ერთმანეთთან კომერციული ურთიერთობისას საბაჟო გადასახადებისგან ათავისუფლებს“ (ბოლდუინი, ვუპლოსი, 86).

გარდა ამისა, ევროკავშირი სხვადასხვა დონის სავაჭრო ხელშეკრულებებით დაკავშირებულია მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონთან. 28-წევრიანი ბლოკი მსოფლიოში ყველაზე დიდ ეკონომიკას ფლობს და სავაჭრო პარტნიორებთან ერთად მსოფლიოს მშპ-ის 30%-სა და მსოფლიო მოსახლეობის 15%-ს აკონტროლებს.

საყურადღებოა, რომ მიმდინარე მოლაპარაკებებში განიხილება წინამდებარე ევროატლანტიკურ სავაჭრო ზონაში ამერიკის მხრიდან კანადისა და მექსიკის, ხოლო ევროკავშირიდან ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრების -ისლანდიის, ნორვეგიის, შვეიცარიის, და ლიხტენშტეინის ჩართვის თაობაზე. ანუ მომავალში იმ ქვეყნებს, რომელთაც ევროკავშირთან უკვე გაფორმებული აქვთ თავისუფალი ვაჭრობის ან საბაჟო რეჟიმის შეთანხმება, ტრანსატლანტიკურ შეთანხმებაში ჩართვის შესაძლებლობა ექმნებათ. თუმც ამ ეტაპზე აზრები აქაც წინააღმდეგობრივია. მაგალითად, შესაძლოა, ამერიკული საქონლისათვის თურქეთის ბაზარი ღია გახდეს, ოღონდაც ამერიკაში ამავე რეჟიმით თურქული ნაწარმის შეტანის აკრძალვის პირობით და სხვა.

ევროკავშირთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შედეგად, ევროპულ ბაზარს უახლოვდება საქართველოც. უპირველესად საუბარია ევროპულ სტანდარტებზე. ქართული მხარე უკვე სარგებლობს გარკვეული სავაჭრო პრივილეგიებით, თუმცა ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეზე შეთანხმების ასამოქმედებლად. ეს უკანასკნელი, საბაჟო ტარიფების და კვოტების, ასევე, სხვა არასატარიფო ბარიერების გარეშე ვაჭრობას ისახავს მიზნად. აქამდე საკმაოდ რთულად შეღწევადი ევროპული ბაზარი ქართული კომპანიებისთვისაც ღია გახდე-

ბა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას მნიშვნელოვნად დააჩქარებს. საგულისხმოა, რომ პარალელურად, ევროკავშირსა და აშშ-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, საქართველოს ამერიკულ ბაზარზე შეღწევაც მნიშვნელოვნად გაუმარტივდება.

გარდა ამისა, ხელშეკრულება მიზნად ისახავს ევროკავშირის ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობას და, ამასთანავე, უსაფრთხოებისა და პოლიტიკური სტაბილურობის დამყარებას ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ. ჯანსაღი და ძლიერი ეკონომიკა, თავის მხრივ, მეტი დახმარების შესაძლებლობას შექმნის აღმოსავლეთის პარტნიორი ქვეყნებისათვის, მაგალითად საქართველოსთვის. მით უმეტეს, რომ ევროკავშირს ამ ქვეყნებთან თავისი ურთიერთობა აქვს თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმების შედეგად. და კვლავ, საქართველო და მოლდავეთი საუკეთესო მაგალითია ამ მხრივ. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კერიმ ახლახან ახსენა, რომ სწორედ TTIP შეუწყობს ხელს იმ სტანდარტების ამაღლებას, რომლითაც მსოფლიოს ქვეყნები ხელმძღვანელობენ ბიზნესის კეთებისას, მათ შორის არიან „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქვეყნებიც.

აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე ევროკავშირის საერთაშორისო სავაჭრო პრიორიტეტად არა აშშ-სთან, არამედ იაპონიასთან მოლაპარაკებები ითვლებოდა, თუმცა პროცესი, კომერციული კულტურისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური განსხვავებების გამო, საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. ევროკავშირის ოფიციალური პირების განმარტებით, აზიურ გიგანტთან დაახლოება ნელი, თუმცა შეუქცევადი პროცესია, ხოლო აშშ-სთან თავისუფალი ხელშეკრულების შეთანხმება ამას ხელს არათუ შეუშლის, შეუწყობს კიდეც. იმ შემთხვევაში, თუკი ორივე შეთანხმება წარმატებით შედგება, მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკები ერთმანეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით კიდევ უფრო დაახლოვდებიან, რაც საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს.

იაპონიის ჩართულობის გარეშეც, აშშ-ევროკავშირის ვაჭრობის უდიდესი მოცულობის გათვალისწინებით, ცხადი ხდება ტრანსატლანტიკური თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ყოვლისმომცველი ხასიათი და შესაძლო გავლენა საერთაშორისო სისტემაზე. წარმატების შემთხვევაში, „ეკონომიკური NATO“ მსოფლიოს მშპ-ის 40%-ზე მეტს და პირდაპირი ინვესტიციების ნახევარს გააკონტროლებს.

უპრეცედენტო პარტნიორობა 2027 წლისთვის 2 მილიონამდე სამუშაო ადგილს შექმნის, ევროკავშირის ეკონომიკას 0,5%-ით (86 მილიარდი ევრო) გაზრდის, ხოლო აშშ-ს იმავე პერიოდში 0,4%-იან (65 მილიარდი ევრო) სარგებელს მოუტანს. თანამედროვე ევროპის აღიარებული სახელმძღვანელოს ავტორის მ. ნ. ჯოვანოვიჩის აზრით: “ მსგავსი პერსპექტივა მოტივაციას ზრდის ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს. ერთი მხრივ, საგარეო ვალით დამძიმებულ ამერიკულ ეკონომიკას, მეორე მხრივ კი – ევროზონის მწვავე კრიზისით გადაღლილ ევროკავშირს, მინიმალური დანახარჯით მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესების საშუალება მიეცათ“ (ჯოვანოვიჩი, 623).

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე დახურული საუბრები უკვე წლებია მიმდინარეობს. იდეა რეალურად 1990 წელს წარმოიშვა, როცა ევროპული თანამეგობრობის 12 ქვეყანამ და აშშ-მ ხელი მოაწერეს ტრანსატლანტიკურ დეკლარაციას. შემდგომში, 1995 წელს ამ დეკლარაციაზე ხელმომწერ ქვეყნებში სახელმწიფო უწყებებში შეიქმნა თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფები და მის პარალელურად მსხვილი კორპორაციების საკონსულტაციო საბჭო -„ტრანსატლანტიკური ბიზნეს დიალოგი“, რომლის შემადგენლობაში ორივე მხრიდან წარმოდგენილნი იყვნენ წამყვანი ბრენდული ფირმები. მათი ამოცანა იყო თავიანთი ქვეყნების მთავრობების კონსულტირება სავაჭრო ეკონომიკური პარტნიორობის თაობაზე. ჯერ კიდევ 1998 წელს „ტრანსატლანტიკური ბიზნეს დიალოგის“ მსგავსი ინიციატივა სოფლის მეურნეობის სფეროში უთანხმოების გამო საფრანგეთმა დაბლოკა. თუმცა, შეცვლილი გეოპოლიტიკური და გლობალური ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, პოლიტიკოსები ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს მიესალმებიან ახალ ინიციატივას. 2006 წელს, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა კვლავ წარმოაჩინა ტრანსატლანტიკური თავისუფალი ვაჭრობის იდეა. 2007 წელს იქმნება ტრანსატლანტიკური ეკონომიკური საბჭო, ხოლო 2011 წელს მაღალი დონის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი. მან 2013 წლის თებერვალში წარმოადგინა დასკვნა, რომლის მიხედვითაც მოუწოდა ორივე მხარეს ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებების დაწყება. 12 თებერვალს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ტრადიციულ ყოველწლიურ საპრეზიდენტო მოხსენებაში — „ქვეყანაში მდგომარეობის შესახებ“ ასეთი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე ისაუბრა. მომდევნო დღეს, ევროკომისიის თავმჯდომარემ ჟოზე მანუელ ბაროზომ ამ მოლაპარაკების დაწყება დაადასტურა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის განცხადებით, ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება პრეზიდენტ ობამას მეორე ვადის პრიორიტეტია. „ასეთი რამ ევროპის, ისევე როგორც, აშშ-ის ეკონომიკას გააძლიერებს, შექმნის სამუშაო ადგილებს და მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს საერთო ბაზარს“ – მიიჩნევს კერი.

ტრანსატლანტიკური თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება ორ ძირითად მიზანს ისახავს: სავაჭრო ტარიფების მინიმუმამდე შემცირებას, საბოლოოდ კი მათ გაუქმებას და არასატარიფო ბარიერების (განსაკუთრებით, სამეწარმეო სტანდარტების) ჰარმონიზაციას.

ტარიფების შემცირება შედარებით მარტივი ამოცანაა, რადგან პარტნიორებს შორის გამოკვეთილი პოლიტიკური ნება არსებობს. ამჟამად, სავაჭრო ტარიფები საშუალოდ 3%-მდეა, თუმცა ორმხრივი ვაჭრობის მოცულობის (წლიური 600 მილიარდი აშშ დოლარი) გათვალისწინებით, მათი ანულირება ორივე ეკონომიკას მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს. მაგალითისთვის, მხოლოდ ავიაკომპანიები წლის განმავლობაში 450 მილიონი აშშ დოლარს დაზოგავენ, შედეგად კი – დამატებითი ინვესტიციის განხორციელებას და სამუშაო ადგილების შექმნას შეძლებენ.

არსებობს მოსაზრება, რომ ტრანსატლანტიკური შეთანხმება ეს არი ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იმისათვის, რომ აშშ და ევროპამ შეინარჩუნონ თავისი დომინირებული უპირატესობა მსოფლიო ეკონომიკაში, რამდენადაც უკვე 20 წლის შემდეგ აზიური ქვეყნები მოწინავე პოზიციებზე გავლენ.

მართლაც, ვფიქრობ შეთანხმების უპირველესი მიზანი მაინც განვითარებადი აზიური გიგანტებისთვის, განსაკუთრებით კი ჩინეთისთვის, მსოფლიო ბაზარზე გაბატონებაში ხელის შეშლაა. თავისუფალი ვაჭრობის პირობებში აშშ და ევროკავშირი შეძლებენ, დააბალანსონ ძლიერი კონკურენცია და მსოფლიოს კვლავ უკარნახონ ლიბერალური ეკონომიკის პრინციპები, პროდუქციის უსაფრთხოების, ინტელექტუალური საკუთრებისა და სხვა კომერციული სფეროების ძირითადი სტანდარტები. „თუკი ევროპა და აშშ არ შეთანხმდებიან, სამომავლოდ სავაჭრო საკითხებში ჩინური თამაშის წესების დამორჩილება მოგვიწევს“, – მიიჩნევს ევროკავშირის კომისარი ვაჭრობის საკითხებში კარელ დე გუჰტი.

„ინდოელების, ჩინელების, ბრაზილიელების, სამხრეთ კორეელების, მექსიკელების, თუ სხვათა ეკონომიკურ დაწინაურებას თან ახლავს გარემოს დაცვის წესების უგულვებელყოფა. ამასთან ერთად, ისინი პროდუქტის წარმოების დროს სტანდარტებს არღვევენ, მათ შორის მუშათა უფლებების, უსაფრთხოების სტანდარტებს – ყველაფერ იმას, რაც ცივილიზებული და განვითარებული საზოგადოების შექმნილია. რა პროდუქციაზეც არ უნდა იყოს საუბარი, მათი დაწინაურება კონკურენციას კიდევ უფრო ამწვავებს“ (ტიტენბერგი, ლევისი, 2014, 346).

განვითარებადი ქვეყნების, განსაკუთრებით კი ლათინური ამერიკისა და აზიის, ეკონომიკური ზრდის ტემპები დასავლეთისათვის უდიდეს გამოწვევად იქცა. 2015 წლის მონაცემებით, მსოფლიოში მცხოვრები 7,5 მილიარდი ადამიანიდან 60% აზიაში, 37% კი მხოლოდ ჩინეთსა და ინდოეთში ცხოვრობს. თუკი ძველად, მოჭარბებული მოსახლეობა პრობლემად მიიჩნეოდა, დღეს, გამართული მმართველობისა და ახალგაზრდების სიმრავლის წყალობით, აზიის ეკონომიკა ძალიან სწრაფად ვითარდება.

აღსანიშნავია, რომ 21-ე საუკუნეს არაერთმა პოლიტიკურმა კომენტატორმა უწოდა „აზიის ასწლეული“. ბარაკ ობამამ საპრეზიდენტო პრიორიტეტად „აზიისკენ შემობრუნება“ დაისახა, აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა კი ტრანსატლანტიკური საუკუნის დასასრული და ტრანსპაციფიკური ხანის დასაწყისი იწინასწარმეტყველა.

სწორედ ამ მიზნით, 2010 წელს აშშ წყნარი ოკეანის მოსაზღვრე სახელმწიფოთა სტრატეგიული სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებებში ჩაერთო. ტრანსპაციფიკური პარტნიორობის იდეა წყნარი ოკეანის აუზის ოთხი სახელმწიფოს სტრატეგიული სავაჭრო ხელშეკრულების ბაზაზე აღმოცენდა. ბრუნეი, ახალი ზელანდია, სინგაპური და ჩილე 2005 წლიდან თავისუფალ სავაჭრო ზონას იზიარებენ.

ხელშეკრულების გაფართოების იდეა აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის 2010 წლის სამიტზე ბარაკ ობამამ წამოაყენა. მას შემდეგ, მაღალი კლასის მოლაპარაკებებს კანადა, მექსიკა, ავსტრალია, მალაიზია, ვიეტნამი და პერუც შეუერთდნენ. მსოფლიო მშპ-ის 26%-ის ღირებულების პარტნიორობით გარკვეულ დაინტერესებას გამოთქვამენ: იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაივანი, ფილიპინები და წყნარი ოკეანის აუზის სხვა სახელმწიფოებიც, თუმცა მათ წევრობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

ტრანსპაციფიკური პარტნიორობის პირობები ჯერჯერობით მკაცრად გასაიდუმლოებულია, თუმცა ჩინეთისა და ინდოეთის მომავალი საპირწონეს შექმნა, მონაწილე სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებების გამო, ამ ეტაპზე ფერხდება. ამ ფონზე, აშშ-ის დაბრუნება ძველი მოკავშირისკენ მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი სიგნალია იმისა, რომ დასავლეთი დანებებას არ აპირებს.

ევროკავშირი საკუთარ სოფლის მეურნეობის სექტორს წლიური 370-მილიარდიანი სუბსიდიებით ანებივრებს, ხოლო მკაცრი ევროპული რეგულაციები კრძალავს გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვების წარმოებასა და იმპორტს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შეუსაბამობა ამერიკულ წესებთან. ფრანგი დიპლომატების განცხადებით, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ შეთანხმებით ფრანგული ინტერესები არ შეილახოს.

თავის მხრივ, აშშ გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქციის უმთავრესი ექსპორტიორია. შესაბამისად, შეერთებული შტატების სავაჭრო წარმომადგენელი, რონ კირკი, ტრანსატლანტიკური პარტნიორობის დასამტკიცებლად საჭირო საკანონმდებლო მხარდაჭერას შესაძლებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს, თუკი ევროკავშირი ამერიკულ სოფლის მეურნეობის პროდუქციას სავაჭრო ბარიერს შეუმსუბუქებს. საპასუხოდ, ევროკომისიის პრეზიდენტი, ჟოზე მანუელ ბაროზო პირობას დებს, რომ „არანაირი კომპრომისი ევროპის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარჯზე“ არ მოხდება. საბოლოოდ, გარკვეულ დათმობებზე წასვლა ორივე მხარეს მოუწევს.

ამასთან, აშშ-ს შეიძლება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის გადახედვაც დასჭირდეს. 2009 წლის კანონით, რკინისა და ფოლადის შესაძენად გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერში მონაწილეობა მხოლოდ ამერიკულ კომპანიებს შეუძლიათ, რაც უცხოური კომპანიებისთვის მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან შეუსაბამოა. პრეტენზიებს გამოთქვამენ იტალიელი ავტომწარმოებლები და გერმანელი ფარმაცევტული კომპანიებიც.

ამ და სხვა საგულისხმო განსხვავებების გათვალისწინებით, კომენტატორები მიიჩნევენ, რომ აშშ-ისა და ევროკავშირის სავაჭრო წესების სრული ჰარმონიზაცია შორეული პერსპექტივაა, ხოლო ახლო მომავალში უფრო რეალისტურია ერთმანეთის სტანდარტების აღიარების მექანიზმის შექმნა.

ტრანსატლანტიკური შეთანხმების კრიტიკოსები ორმხრივი შეთანხმებების ორმაგი ბუნების გათვალისწინების აუცილებლობაზე საუბრობენ. ბილატერალური ხელშეკრულებები ხელს უწყობს ორი მხარის დაახლოებას, თუმცა, ამავე დროს, სხვა სავაჭრო პარტნიორებთან ურთიერთობის გაფუჭებასაც იწვევს.

შეთანხმების მოწინააღმდეგეთა გარკვეული ნაწილი უფრო შორსაც მიდის და მიიჩნევს, რომ აშშ-ევროკავშირის პარტნიორობა გამოიწვევს გლობალური ვაჭრობის პოლარიზაციას, პრობლემებს შეუქმნის ტრანსპაციფიკური შეთანხმების გაფორმებას, შეასუსტებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას და, რაც მთავარია, საბოლოოდ დაასამარებს დოჰას მოლაპარაკებებს – საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმების მიღწევის საკმაოდ წარუმატებელ შესაძლებლობას.

კრიტიკის მიუხედავად, ევროპის ლიდერები ინიციატივას იმედით უყურებენ. ანგელა მერკელი და დევიდ კამერონი პარტნიორობას ეკონომიკური ზრდის ნაკლებ დანახარჯიან საშუალებად მიიჩნევენ და მის განხორციელებას მიესალმებიან. მეტიც, კამერონმა ღიად განაცხადა, რომ მოლაპარაკებების პროცესში „საჭირო იქნება თამამი გადაწყვეტილებები“ და შეთანხმების ხელმოწერა „დიდი რვიანის“ ბრიტანული პრეზიდენტობის პრიორიტეტადაც კი დაისახა.

იმ შემთხვევაში, თუ ტრანსატლანტიკური შეთანხმებაც გაფორმდა, ტრანსპაციფიკური პარტნიორობაც შედგა და საკუთარი ბაზარი თავისუფალი ვაჭრობისთვის იაპონიამაც გახსნა, უპრეცედენტო სავაჭრო ზონა 71 ქვეყანას, მსოფლიო მშპ-ის 65%-სა და 1,7 მილიარდამდე ადამიანს გააერთიანებს და გლობალურ კომერციას სრულიად ახალ ჭრილში გადაიყვანს.

ტრანსატლანტიკურ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დასრულებას მხარეები 2017 წლისთვის, გეგმავენ. ვაჭრობის საკითხებში ევროკავშირის კომისარის კარელ დე გუჰტის განცხადებით, მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაში უკვე შევიდა: „არცერთი მარტივი სადაო თემა განხილვის საგანი აღარ არის“.

ვფიქრობ, რომ კომპრომისი ყველა თემაზე თუ არა, ძირითადში მაინც მოინახება და ტრანსატლანტიკური შეთანხმება შედგება. თავის მხრივ ეს შეთანხმება მნიშვნელოვანი იქნება არამხოლოდ ევროპისა და ამერიკის ეკონომიკის სტიმულირებისათვის, არამედ დანარჩენი მსოფლიოსათვის. შეიქმნება ეკონომიკური ურთიერთობების, ვაჭრობისა და ინვესტირების წესებისა და ნორმების ეფექტური სისტემა, რომელიც სრულიად ახალ სტანდარტს შექმნის დანარჩენი მსოფლიოსათვის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ტომ ტიტენბერგი, ლინ ლევისი, „გარემო და ბუნებრივი რესურსების ეკონომიკა“, თბილისი, 2014.
2. ტომ ტიტენბერგი, ლინ ლევისი — „გლობალიზაციის ეკონომიკა“, თბილისი, 2015.
3. Richard Baldwin, Charles Wyplosz The Economics of European Integration Paperback, Berlin, 2015.
4. მ. ნ. ჯოვანოვიჩი, The Economics of European Integration- „ევროპული ეკონომიკური ინტეგრაცია“, ლონდონი, 2014.

ა. თავართქილაძე

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის ტრანსატლანტიკური თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების პერსპექტივები და საქართველო

რეზიუმე

ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულების განხორციელება, რომელიც ათავისუფლებს არსებითად ყველა სახეობის ვაჭრობას, ერთიანი მიდგომის შემუშავება ტარიფებსა და არასატარიფო ბარიერებზე, ორმხრივი ლიბერალიზაცია მომსახურების სფეროში, მოლაპარაკება ტრანსატლანტიკური საინვესტიციო ხელშეკრულების შესახებ და ა.შ. აქტუალურ საკითხთა წრეს განეკუთვნება.

წინა წელს საქონლით ორმხრივმა ვაჭრობამ ატლანტიკის ოკეანის 774 მლრდ. დოლარი მოიცვა. ტრანსატლანტიკური ეკონომიკა შეადგენდა მსოფლიო მშპ-ს 54%-ს. აშშ და ევროკავშირი იყო წყარო 62,9% შემოსული და 75,3% გასული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების.

ტრანსატლანტიკური სავაჭრო ხელშეკრულება, სწრაფი პროგრესის შემთხვევაში, დანარჩენ სამყაროზე განუზომელ გავლენას მოახდენს. ამ გეგმის მიხედვით, 21-ე საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკის ნახევარი TTIP-ზე მოვა და გლობალური ბიზნესის ახალ სტანდარტებს შექმნის.

ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობა ის ხედვაა, რომელიც სათავეს იღებს მთლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის იდეაში, სადაც აღორძინება, უსაფრთხოება, მშვიდობა და პროგრესი გაუმიჯნავი ცნებებია. საქართველოს ჩვენ ამ პროცესის განუყოფელ ნაწილად მივიჩნევთ და თავად საქართველოც თავს ამ პროცესის ნაწილად მოიაზრებს. ვფიქრობ, ასოცირების შეთანხმების პარაფირებით, საქართველომ დაადასტურა, რომ ხედავს საკუთარ ადგილს ევროპულ რენესანსში. ხოლო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება მომავალში ამავდროულად ამერიკულ ბაზარზე წვდომას და ამერიკული ინვესტიციების მიღების შესაძლებლობებსაც შექმნის.

A. Tavartkiladze

The Prospects of Trans-Atlantic Free Trade Agreement between USA and EU, and Georgia

Summary

Implementation of comprehensive free trade agreement, which exempts essentially all kind of trade, unified approach to tariff and non-tariff barriers, bilateral liberalization in service sector, negotiation of Trans-Atlantic investment agreement and etc.

Bilateral trade in goods across the Atlantic Ocean amounted to 774 billion dollars. Transatlantic economy amounted 54 % of GDP. USA and the European Union was the source of 62.9 % imports and 75.3 % exports in the FDI.

Transatlantic trade agreement, in case of rapid progress will influence the rest of the world. According to this plan, the half of global economy in 21st century comes to TTIP- and will develop the new standards of global economy.

Transatlantic Trade and Investment Partnership. A vision that is based on the united, free and peaceful Europe where development, security, peace and progress are related concepts.

We consider Georgia as an integral part of this process. We think that according to Initiation of Association Agreement Georgia has proved his position to be an integral part of European Renaissance. Thus Free-Trade agreement with European Union leads to the excess to American markets and to the possibility of receiving American investments.

ს. თევდორაძე

ბრენდინგი და მისი როლი ტურისტული ორგანიზაციების გასაძლიერებლად

ტურიზმი სამართლიანად ითვლება ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ, მაღალშემოსავლიან და დინამიკურად განვითარებად დარგად, უცხოური ვალუტის შემოდინების აქტიურ წყაროდ და ზეგავლენას ახდენს ქვეყნის საგადასახადო ბალანსზე. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ამ საქმიანობისადმი ინტერესი ყოველწლიურად იზრდება და მასში პრაქტიკულად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაა ჩართული.

ტურისტული სფეროს განვითარებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურისტული კომპანიების სავაჭრო მარკას — ბრენდს. ბრენდინგი ტურისტული კომპანიებისათვის არის საფირმო (სამარკო) ტურისტული მომსახურების შექმნისა და დაწინაურების ტექნოლოგია, მათთვის ხანგძლივი უპირატესობის მიცემის ჩამოყალიბების პროცესი. დღეისათვის ბრენდირება, ბრენდის მართვა მეცნიერ-თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსი მარკეტოლოგების, მენეჯერების უდიდეს ყურადღებას იმსახურებს. თანამედროვე ბაზრის პირობებში ცხადი გახდა, რომ წარმატებული არსებობის უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ ნამდვილად ძლიერი ბრენდის შემქმნელ კომპანიას.

მარკეტინგულ კვლევებში ბრენდირება ცენტრალურ ადგილს იკავებს და ერთგვარ „მარკეტინგულ იარაღად“ გვევლინება. ბრენდი ეს არის წარმოდგენათა ერთობლიობა, რომელიც დასახელების, სიმბოლოსა და გარეგნული იერის ზემოქმედებით მომხმარებლის ცნობიერებაში ჩნდება და ის ცალსახად უკავშირდება განსაზღვრულ საქონელსა და მომსახურებას. ბრენდს, ნებისმიერი ეკონომიკური განმარტების თანახმად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განსკუთრებული თვისებები აქვს. ეს არის საქონლისა და მომსახურების მყიდველების პოზიტიური ან ნეგატიური ხასიათის ფუნქციური და ემოციური ასოციაციები. ისინი განსხვავებულ გავლენას ახდენენ მყიდველის ტიპებზე. მიუხედავად ამისა, ყოველ ბრენდს აქვს მისი არსის განმსაზღვრელი ძირითადი მახასიათებლები. სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ბრენდის ინდივიდუალურობას (იაშვილი, 2).

ბრენდის ინფორმირებულობის ხარისხი, მისი მზარდი დადებითი აღქმადობა, ხასიათდება კონკრეტული ფინანსური ტერმინით „დაბანდება“. აღნიშნული ტერმინის გამოყენება პირდაპირ მიუთითებს კომპანიის მნიშვნელოვან აქტივზე და მოითხოვს შესაბამის მართვას. ბრენდის ეფექტური მართვა მოითხოვს კომპანიის და კონკურენტი სუბიექტის პროდუქტის მუდმივ ინტერპრეტირებას.

ბრენდის აქტივობის ყველა ასპექტი ბაზარზე მისი პოზიციონირების გათვალისწინებით ხორციელდება. ამასთან, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბრენდის გრძელვადიანი კონკურენტული უპირატესობების შექმნის სისტემატური და უწყვეტი პროცესი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მოკლევადიანი კომერციული შედეგი. ბრენდინგი და ბრენდის სპეციფიკური ფასეულობები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა ადამიანი ქვეცნობიერად გრძნოს საკუთარი ინდივიდუალურობისა და ფასეულობების მიმართ რაიმე საფრთხეს.

იმისათვის, რომ მსხვილმა სავაჭრო მარკამ გაამართლოს და შეესაბამებოდეს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს, უნდა დამუშავდეს ხარისხის სტანდარტები. თუ სავაჭრო მარკა წარმატებით მოიპოვებს ხარისხის იმიჯს, მომხმარებლები ელიან იდენტურ ხარისხს ყველა იმ ფილიალში, რომელიც ატარებს ამ სამარკო სახელწოდებას. ცვალებადი სტანდარტები და ცვალებადი მარკეტინგული პოლიტიკა დაბლა სწევს სავაჭრო მარკის ფასს. ამ საკითხში მუდმივობა და სტანდარტიზაცია წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს. ამავე დროს, რაც უფრო ხელმისაწვდომია ტურისტული პროდუქტი, მით უფრო ძლიერად მოქმედებს სამარკო სახელწოდება.

ტურისტული ინდუსტრიის ორგანიზაციის ბრენდინგის ძირითადი დანიშნულებაა მომხმარებელში საკუთარ სავაჭრო მარკასთან დაკავშირებული დადებითი ასოციაციების ჩამოყალიბება და შემდგომი განვითარება. ბრენდი არის გამყიდველი ორგანიზაციის ვალდებულება მომხმარებელს მიაწოდოს ისეთი ტურისტული პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც შეესაბამება თვისებათა და უპირატესობათა გარკვეულ ერთობლიობას.

ამჟამად ბევრმა ორგანიზაციამ გაითავისა, რომ მომხმარებლები მეტ ყურადღებას აქცევენ ფასს. თანამედროვე მომხმარებელმა გარკვეული ბრენდის პროდუქციის მიმართ ჩამოყალიბებული ერთგულე-

ბა შეცვალა სხვადასხვა აღიარებული სავაჭრო მარკის პროდუქტების ან მომსახურების არჩევით იმისდა მიხედვით, თუ რომელ მათგანზეა დაწესებული მოცემულ მომენტში შეღავათები. გარდა ამისა, კონკურენტი ორგანიზაციები ცდილობენ ჰქონდეთ საუკეთესო სამარკო პროდუქტების დონის საქონელი და მომსახურება. ეს ტურისტული ინდუსტრიის ორგანიზაციებისაგან მოითხოვს არა უბრალოდ ბრენდის, არამედ კონკურენტიანი ბრენდის შექმნას, რომელიც ასახავს ამა თუ იმ კომპანიის ტურისტული მომსახურების ფასეულობას, კულტურას, ინდივიდუალურობას და უნიკალურობას.

ამგვარად, ყალიბდება თავისებური სტრატეგია — ძლიერი კონცეფცია პლუს რეალურ მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც ამ კონცეფციას (სავაჭრო მარკას) მიანიჭებს ხანგრძლივ კონკრეტულ უპირატესობას. ზოგიერთი ანალიტიკოსი თვლის, რომ „ბრენდი არის კომპანიის ყველაზე ხანგამძლე აქტივი, რომლის არსებობის დრო დიდად აჭარბებს მომსახურებისა და თვით ორგანიზაციების არსებობის დროს“ (მეტრეველი, 348).

ბრენდის ძალა და გავლენა მის მიმართ მყიდველთა ლოიალურობაშია. მაშასადამე, ბრენდების მართვის საფუძველია პროცესი, რომელიც გამიზნულია სავაჭრო მარკის მიმართ მყიდველთა ლოიალურობის პერიოდის გასახანგრძლივებლად. ამისათვის საჭიროა მუდმივი ინვესტიციები მარკეტინგულ საქმიანობაში, კლიენტთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში, ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებაში. რაც არ უნდა კარგად იყოს წარმოდგენილი ბაზარზე სავაჭრო მარკა, კონკურენტების წარმატებების გავლენით ან მომხარებელთა არჩევანის ცვლილების გამო ორგანიზაცია იძულებულია მიიღოს ბრენდის რეპოზიციონირების გადაწყვეტილება. ტურისტული ორგანიზაციის ეფექტიანი ბრენდის შექმნა ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ მუდმივად უნდა იმუშაოს სავაჭრო მარკის იმიჯისა და მასთან დაკავშირებული ასოციაციების განმტკიცებაზე.

ორგანიზაციებმა, კონკრეტული უპირატესობის მისაღწევად, სტრატეგიის არჩევის დროს შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა მეთოდები: ლიდერობა დანახარჯებში, პროდუქციის დიფერენციაცია, კონცენტრაცია, ბაზარზე ადრე გასვლა, ინტეგრაცია.

დიფერენციაციის სტრატეგია გულისხმობს მომხმარებლის მოთხოვნებისა და პრიორიტეტების სწორ გაგებას, მყიდველების წინაშე ვალდებულებების შესრულებას, საკუთარი ორგანიზაციის შესაძლებლობების ცოდნას, ინოვაციების მუდმივად დანერგვას. დიფერენციაციის პოტენციური საფუძველია ფაქტორები, რომელთა მეშვეობით იზრდება პროდუქციის ღირსება, მათ შორის მყიდველის ფსიქოლოგიური დაკმაყოფილებაც.

ორგანიზაცია დიფერნციაციის სტრატეგიის გამოყენებით მყიდველს აწვდის ისეთ პროდუქციას, რომელიც აკმაყოფილებს მის მრავაფლეროვან სურვილებს. ორგანიზაციას შეუძლია გამოიყენოს პროდუქტების, მომსახურების, პერსონალის და იმიჯის დიფერენციაციის სახეები (Жукова, 98).

diferenciebuli brendis Seqmnis TvalsaCino magali Tebia:

1. „Marriott“-ის სასტუმროთა ქსელი, რომელიც იყენებს საპროდუქტო ხაზის გაფართოების სამარკო სტრატეგიას და ცდილობს დააკმაყოფილოს სხვადასხვა კლიენტის მოთხოვნილებები. ამ მიზნით „Marriott“-ის სავაჭრო მარკით შეიქმნა სხვადასხვანაირი კონცეფციები (ბრენდები) და თითოეული მათგანი განკუთვნილია ბაზრის გარკვეული სეგმენტისათვის.

„Marriott“-მა სასტუმროთა მსოფლიო ბაზარზე ერთ-ერთმა პირველმა დანერგა განთავსების საშუალებები „Marriott Vacation Club International“-ის კონცეფციით. ამ კონფეციის სასტუმროთა ყოველი კლიენტი არის ბრენდის ყველა სასტუმროს თანამფლობელი „თაიმშერის“ უფლებით.

2. „Hilton Hotel Corp.“-ის სასტუმროთა ქსელიც კლიენტების მოზიდვისა და შენარჩუნების პოლიტიკას აგებს ბრენდის დიფერენციაციის სტრატეგიის საფუძვლეზე. ამ ქსელს აქვს სხვადასხვა ბრენდი და თითოეული მათგანი განკუთვნილია ტურისტული ბაზრის გარკვეული სეგმენტისათვის. აღსანიშნავია, რომ რომელიმე ბრენდის წარუმატებლობა მინიმალურად აისახება დანარჩენი ბრენდების იმიჯზე.

3. გავლენის გაფართოების პოლიტიკას ატარებენ ევროპის სასტუმროთა ქსელებიც. მაგალითად, „Accor“-ის სასტუმროთა ქსელი იყენებს სხვადასხვა სავაჭრო მარკას (მულტიმარკეტის სტრატეგია) და კლიენტებს სთავაზობს მრავალფეროვან მომსახურებასა და ფასებს, დაწყებული ბრენდ „Sofitel“-ის, ლუქსის კლასის სასტუმროებიდან, დამთავრებული ბრენდ „Formule 1“-ის ერთვარსკვლავიანი სასტუმროებით.

კონკურენციის დასაძლევად „Accor"-ის სასტუმროთა ქსელმა ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ეკონომ-კლასის ბრენდი, რომელსაც მაშინ დიდი წარმატება არ ჰქონია. მაგრამ კომპანიის მარკეტოლოგების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეკონომიური კლასის სასტუმროებით ის კლიენტები კი არ სარგებლობდნენ, რომლებიც ადრე უფრო ძლიერ სასტუმროებში ჩერდებოდნენ, არამედ ისინი, ვისაც საერთოდ არ უსარგებლია ამ ქსელის სასტუმროთა მომსახურებით. დღეს ეკონომიური კლასის სასტუმროთა რაოდენობა იზრდება, რადგან ამ ტიპის ტურისტულ მომსახურებაზე მოთხოვნა მატულობს.

აღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ სასტუმროთა ცნობილი ბრენდები „Marriott"-ი, „Hilton"-ი, „Accor"-ი გასაღების ბაზრების ძებნაში ვერ იფარგლებიან მხოლოდ ერთი ბრენდით, რადგან ის ვერ დააკმაყოფილებს ყველა კლიენტის მოთხოვნებსა და სურვილებს. ამასთან, ყოველი სავაჭრო მარკის მომსახურება უნიკალურია და განკუთვნილია სხვადასხვა კლიენტებისათვის, რომელთა შემოსავლების დონე, მგზავრობის მიზანი, ოჯახური მდგომარეობა და სხვა მახასიათებლები განსხვავებულია (Жукова, 104).

ტურისტული მომსახურების გაწევისათვის დიფერენცირებული ბრენდების შექმნის მომგებიანობას ადასტურებს მომხმარებლის პიროვნების თვითკონცეფციის თეორია, რომელიც გულისხმობს საკუთარ თავზე ინდივიდის აზრებისა და გრძნობების ერთობლიობას. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ პიროვნების თვითკონცეფციას თეორიის თანახმად რომელიმე ორგანიზაციის ბრენდის სახელი ძალიან მნიშვნელოვანია მომსახურეობის შეძენის გადაწყვეტილების მიღებისათვის. ადამიანები შინაგანად მშვიდდებიან, თუ ყიდულობენ პროდუქტს, რომელიც შეესაბამება მათ კონცეფციას, მათ ფასეულოებებს, ცხოვრების სტილს, სოციალურ მდგომარეობას. ორგანიზაციის ბრენდის იმიჯი და საკუთარი თავის მომხარებლად წარმოდგენა ერთმანეთთან არის გაიგივებული.

ამგვარად, ბრენდის დიფერენციაცია საწარმოს საშუალებას აძლევს მიიღოს საშუალო დარგობრივ მოგებაზე მეტი, რადგან, როდესაც მყიდველი რომელიმე სავაჭრო მარკის ერთგულია, ფასებს ყურადღებას აღარ აქცევს და კომპანიას საშუალება ეძლევა გაზრდილი ხარჯები მყიდველს გადაახდევინოს. ტურისტული ორგანიზაციის ბრენდის დიფერენციაცია მაშინ გაამართლებს, როდესაც კლიენტის თვითკონცეფცია და ორგანიზაციის ბრენდის იმიჯი ურთიერთშესატყვისი იქნება, ამიტომ ბრენდს უნდა ჰქონდეს სკუთარი სახე, სამარკო იმიჯი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. იაშვილი გ., ქოქიაური ლ., — ბრენდ-მენეჯმენტი თბილისი, 2012.
2. მეტრეველი მ., — ტურიზმის ბიზნესი, თბილისი, 2011.
3. Chris Cooper -Tourizm – Principles and Practice, 2008.
4. Жукова М.А., Менеджмент в туристском бизнесе. учебное пособие, Москва, 2006.
5. http://www.accorhotels-group.com/en/brands.html.
6. http://www.marriott.com/marriott-brands.mi.
7. http://hhonors3.hilton.com/en/explore/brands/index.html.

ს. თევდორაძე

ბრენდინგი და მისი როლი ტურისტული ორგანიზაციების გასაძლიერებლად

რეზიუმე

XX საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიო კულტურასა და ეკონომიკაში ტურიზმი ფუძემდებლურ, მდგრადი განვითარების დარგად ჩამოყალიბდა, რომელმაც გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. შესაბამისად გაიზარდა ტურისტული ინდუსტრიის მასშტაბები, შეიქმნა ათასობით ახალი საწარმო და მილიონობით ახალი სამუშაო ადგილი.

ტურისტული ბაზრის განვითარებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება -სავაჭრო მარკას-ბრენდს, რომელიც ქმნის საქონლისა და მომსახურების განსაკუთრებულ სახეს, გამოყოფს მას ალტერნატიული საქონლის/მომსახურების ნაცრისფერი მასიდან. შესაბამისად, მათი მყიდველების სეგმენტი გა-

ცილებით ფართოა. დღეისათვის ბრენდირება, ბრენდის მართვა მეცნიერ-თეორეტიკოსებისა და პრაქტი-კოსი მარკეტოლოგების, მენეჯერების უდიდეს ყურადღებას იპყრობს. თანამედროვე ბაზრის პირობებში ცხადი გახდა, რომ წარმატებული არსებობის უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ ნამდვილად ძლიერი ბრენდის შემქმნელ კომპანიას.

S. Tevdoradze

Branding and its Role in Strengthening of Tourism Organizations

Summary

By the begining of XX century in the world culture and economy tourism has been established as a principal field for sustainable debvelopment. It has occupied the significant place in global economic structure. Correspondingly, the scale of tourism industry has been increased. Thousands of new enterprises and millions of work places have been created.

Together with the development of toruism market, special emphasis is put on trademark_ brand. Brand creates the special type of goods and service, seperates it from grey mass of alternative goods/services and the segment of its consumer is significantly wide. Today branding and brand management attracts the special attention of scientists, theorists, practicing marketologists and managers. Modern market conditions made it clear that only the company that is able to create a strong brand, can operate successfully.

მ. თორია

მოსახლეობის დასაქმების ტენდენციები საქართველოს სამეწარმეო სექტორში

დასაქმება რთული სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც საზოგადოებრივი საქმიანობის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ მხარეებს მოიცავს. იგი ამავდროულად იმ სოციალური წინააღმდეგობის გავლენას განიცდის, რომლის მატარებლადაც დამსაქმებლები და დაქირავებული მომუშავეები გვევლინებიან.

დასაქმება არამარტო ეკონომიკურ, არამედ მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც იგი არსებით როლს ასრულებს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების ამა თუ იმ დონის მიღწევაში, თითოეულ ადამიანში პროფესიული შესაძლებლობების ფორმირებასა და განვითარებში. დასაქმება წარმოიშობა მაშინ, როდესაც მომუშავე ტოვებს შრომის ბაზარს და იწყება მისი შრომითი მომსახურების გამოყენება. დასაქმების დონე გვიჩვენებს შრომისუნარიანი მოსახლეობის რა ნაწილი მონაწილეობს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ამასთან, მნიშვნელოვანია მისი არამარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლებიც.

დასაქმება ადამიანებს შორის არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობათა სისტემაა. იგი გვიჩვენებს დასაქმების სუბიექტის – შრომისუნარიანი მოსახლეობის მდგომარეობას, რომელიც ჩართულია ან ამა თუ იმ მიზეზით არაა ჩართული შრომითი საქმიანობის პროცესში. დასაქმების, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის უმნიშვნელოვანესი ელემენტი – ესაა ურთიერთკავშირი დასაქმების სუბიექტებსა (შრომისუნარიანი მოსახლეობა) და დასაქმების ობიექტებს (სამუშაო ადგილებს) შორის. სხვა დანარჩენი შემადგენლები ხელს უწყობენ იმ პირობების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმების განხორციელებას ამა თუ იმ ფორმით, რაც საბაზრო ურთიერთობების პირობებში შესაძლებელია მხოლოდ შრომის ბაზრის საშუალებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დასაქმება განვმარტოთ, როგორც „სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, რომელიც ახასიათებს სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სხვადასხვა ფორმებს და რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ადამიანების მონაწილეობასთან შესაბამისი შემოსავლის მიღების მიზნით“ (თორია, 75).

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობაზე მრავალი ფაქტორი ახდენდა გავლენას, რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: ეკონომიკური სისტემის ცვლილებები, რომელსაც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან თან სდევდა ეკონომიკური დაცემა და შესაბამისად დასაქმების დონის მკვეთრი შემცირება; ეკონომიკის სტრუქტურული ძვრები; პერიოდული ეკონომიკური კრიზისები; ქვეყნის არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა და სხვა.

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენს მიზნს შეადგენს გავაანალიზოთ მოსახლეობის დასაქმების ტენდენციები საქართველოს სამეწარმეო სექტორში. მიგვაჩნია, რომ სწორედ სამეწარმეო სექტორში ეკონომიკური აქტიურობის ამაღლება მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში მატერიალური დოვლათის წარმოების ზრდას, რაც თავის მხრივ იწვევს მოსახლეობის კეთილდღეობის გადიდებას.

ცხრილი 1

დასაქმებულთა რაოდენობა სამეწარმეო სექტორში 2005-2014 წლებში საქართველოში[1]

დასაქმებულთა რაოდენობა	2005	2006	2008	2010	2012	2013	2014
სულ მ.შ. ეკონომიკური საქმიანობის მიხ.	388946	360987	349250	397806	534397	550885	592147
სოფ. მეურ. ნადირობა, სატყეო მეურ.	5243	4437	4350	7228	8036	9851	10891
თევზჭერა, მეთევზეობა	201	228	180	450	230	455	433
სამთომოპოვებითი მრეწველობა	8649	7963	4344	5092	7157	6353	7006
დამამუშავებელი მრეწველობა	61692	57525	58793	70390	85797	84606	87640

[1] გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება	23983	24822	22574	20367	21889	21793	21922
მშენებლობა	38560	46681	38109	40303	69946	65863	67698
ვაჭრობა: ავტომ. საყოფაცხ, ნაწარ. და პირადი მოხმარ. საგნების რემონ-ტი	59316	51153	38109	68221	114205	120280	139073
სასტუმროები და რესტორნები	11437	11993	11184	16106	27821	30285	31330
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	58461	54418	50560	50388	55106	56838	59123
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებ. მომსახურების გაწევა	25064	25421	25401	30859	51848	52184	59313
განათლება	31110	12986	13517	14650	16859	19317	21164
ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახ-მარება	50200	50644	51081	56583	49400	56877	58270
კომუნალური, სოციალური და პერს. მომსახურ. გაწევა				17169	26103	26183	28285
საფინანსო საქმიანობა	449						
სხვა დანარჩენი სახეები	14581	12716	13879				

მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოში 2005-2014 წლებში სამეწარმეო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 52.2 %-ით გაიზარდა. დასაქმებულთა ზრდას ადგილი ქონდა თითქმის ყველა დარგში, გარდა განათლებისა, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 31.9 %-ით. სამთმომპოვებელი მრეწველობაში კლებამ შეადგინა 18.9 %-ი, ხოლო ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება–განაწილებაში დასაქმებულთა რაოდენობა 8.6 %-ით შემცირდა.

საკვლევი პერიოდის მანძილზე დასაქმებულთა ზრდის მაღალი მაჩვენებელები დამახასიათებელი იყო: სასტუმროებსა და რესტორნებში, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 2.7-ჯერ (რაც ქვეყანაში ტურიზმის სწრაფი ტემპებით განვითარების შედეგს წარმოადგენს); ავტომობილებით, საყოფაცხოვრებო ნაწარმითა და პირადი მოხმარების საგნებით ვაჭრობასა და რემონტში დასაქმებულთა რაოდენობა 2.3-ჯერ გაიზარდა; მშენებლობაში — 1.8-ჯერ და ა.შ.

ცხადია, რომ სამეწარმეო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილების არსებულმა ტენდენციებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ამ სფეროში დასაქმების სტრუქტურის ცვლილებაზე. ასე მაგალითად, 2014 წლისათვის საქართველოში ავტომობილებით, საყოფაცხოვრებო ნაწარმითა და პირადი მოხმარების საგნებით ვაჭრობასა და რემონტში დასაქმებულებზე მოდის სამეწარმეო სექტორში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 23.5%-ი, რაც სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკვლევი პერიოდის მანძილზე დასაქმების მაჩვენებლები საწარმოების სიდიდის მიხედვით სხვადასხვა ზომით შეიცვალა. კერძოდ, საქართველოში 2008-2014 წლებში მსხვილ საწარმოებში და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა შესაბამისად 58.7%-ითა და 22.1%-ით გაიზარდა. რაც შეეხება მცირე საწარმოებს, აქ დასაქმებულთა რაოდენობა 2.6-ჯერ გაიზარდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკვლევი პერიოდის მანძილზე დასაქმების ზრდის განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებელს ქონდა ადგილი მცირე საწარმოებში, რაც ცხადია მისასალმებელია მთელი რიგი გარემოებების გამო და რასაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. კერძოდ, თანამედროვე ეკონომიკისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა მასშტაბის საწარმოების კომბინაცია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი გავლენას ახდენს წარმოების კონცენტრაციაზე და, შესაბამისად, საწარმოების მასშტაბების ზრდაზე. სწორედ მსხვილი ფირმები ფლობენ დიდი მოცულობის მატერიალურ, ფინანსურ და შრომით რესურსებს, კვალიფიციურ კადრებს. მათ შესწევთ უნარი განახორციელონ სამეცნიერო-ტექნიკური კვლევები, რომლებიც საბოლოოდ განაპირობებენ კიდეც ტექნოლოგიურ პროგრესს. მეორეს მხრივ, ბოლო წლებში მცირე და საშუალო ბიზნესმა არსებითი ზრდა განიცადა, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც განვითარებისათვის დიდი მოცულობის კაპიტალს, მოწყობილობებსა და სამუშაო ძალას არ საჭიროებენ. მცირე და საშუალო საწარმოების რიცხვი განსაკუთრებით ბევრია

მეცნიერებადტევად, ასევე, ისეთ დარგებში, რომელიც დაკავშირებულია სამომხმარებლო საქონლის წარმოებასთან და მომსახურების გაწევასთან.

მცირე ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირება, როგორც წესი, განპირობებულია იმ უპირატესობებით, რაც მას ზოგადად აქვს. ესენია: ადგილობრივ ბაზართან სიახლოვე და მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე მორგება, მცირე პარტიებად პროდუქციის წარმოება (რაც მსხვილი ფირმებისათვის არახელსაყრელია), მართვის ბიუროკრატიული რგოლების არარსებობა და ა.შ.

მცირე ბიზნესის განვითარებას ხელს უწყობს ასევე მოთხოვნის დიფერენციაცია და ინდივიდუალიზაცია, როგორც წარმოების სფეროში, ასევე პირად მოხმარებაში.

მცირე ბიზნესის საწარმოების განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკის გაჯანსაღებას, რამდენადაც ყალიბდება კონკურენტული გარემო, იქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, განუწყვეტლივ მიმდინარეობს სტრუქტურული ცვლილებები, ფართოვდება სამომხმარებლო სექტორი. გარდა ამისა, მცირე ბიზნესის განვითარება საქონლითა და მომსახურებით ბაზრის გაჯერების, საექსპორტო პოტენციალის ზრდის, ადგილობრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელოვანი საფუძველია.

ბუნებრივია, რომ დასაქმების ტენდენციების ცვლილებებმა საწარმოების ზომების მიხედვით, გავლენა იქონია დასაქმების სტრუქტურაზეც (იხ. ცხრილი 2).

მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოში 2008-2014 წლებში სამეწარმეო სექტორში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში მსხვილი საწარმოების წილი უმნიშვნელოდ, მაგრამ მუდმივად მცირდება. მცირდება ასევე საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითი წილიც. საპირისპირო მიმართულებით შეიცვალა სამეწარმეო სექტორში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში მცირე საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი. კერძოდ, ეს მაჩვენებელი 2008-2014 წლებში 19.7 %-დან 28.5%-მდე გაიზარდა.

მცირე საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი განსაკუთრებით მაღალია სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში, რაზეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გავლენა იქონია ქვეყანაში ტურიზმის მზარდმა განვითარებამ. აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით მცირე ბიზნესი თავის პოზიციებს ინარჩუნებს ისეთ დარგებში, როგორიცაა თევზჭერა და მეთევზეობა; ავტომობილებით, საყოფაცხოვრებო ნაწარმით ვაჭრობა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი; ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლებისათვის მომსახურების გაწევა.

ბოლო წლებში სამეწარმეო სექტორში დასაქმებულთა შორის მცირე საწარმოების წილის ზრდას და, ზოგადად, მცირე ბიზნესის განვითარებას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. კერძოდ, სამეურნეო საქმიანობის პირობების შეცვლამ მოითხოვა სამუშაო ძალის გამოყენების სულ უფრო მოქნილი ფორმების გამოყენების აუცილებლობა. ჩამოყალიბდა ახლებური მიდგომები დასაქმების პრობლემებისადმი.

ცხრილი 2

დასაქმებულთა წილი საწარმოთა ზომის მიხედვით
2005-2014 წლებში საქართველოში[1]

დასაქმებულთა რაოდენობა	**2008**			**2010**			**2014**		
	მსხვილი	**საშუალო**	**მცირე**	**მსხვილი**	**საშუალო**	**მცირე**	**მსხვილი**	**საშუალო**	**მცირე**
სულ მ.შ. ეკონომიკური საქმიანობის მიხ.	60.0	21.3	19.7	56.4	23.1	20.5	56.2	15.4	28.5
სოფ. მეურ. ნადირობა, სატყეო მეურ.	37.1	35.9	27	25.7	42.0	32.3	57.7	18.5	23.8
თევზჭერა, მეთევზეობა	20.0	–	80.0	19.5	8.4	72.0	14.8	22.2	63.0
სამთომოპოვებითი მრეწველობა	69.8	17.5	12.7	60.1	22.7	17.3	63.3	13.8	22.9
დამამუშავებელი მრეწველობა	66.5	16.1	17.4	59.4	18.5	22.1	63.1	13.9	23.0

[1] გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

ელექტროენრგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება	85.8	10.9	3.3	96.0	2.7	1.3	96.2	2.2	1.5
მშენებლობა	61.7	27.9	10.4	50.8	34.0	15.2	49.2	21.2	29.6
ვაჭრობა: ავტომ. საყოფაცხ, ნაწარ. და პირადი მოხმარ. საგნების რემონტი	52.0	11.3	36.7	50.3	17.8	31.9	53.7	11.3	35.0
სასტუმროები და რესტორნები	30.2	21.0	48.8	36.9	23.4	39.8	33.0	16.6	50.4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	83.7	6.6	9.7	83.0	8.0	9.0	77.1	7.0	15.8
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებ. მომსახურების გაწევა	27.7	32.2	40.1	30.9	24.2	44.9	29.9	17.6	52.5
განათლება	24.6	60.9	14.5	26.6	56.0	17.4	27.9	47.4	24.7
ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება	59.5	33.1	7.4	58.3	35.4	6.3	72.1	17.5	10.4
კომუნალური, სოციალური და პერს. მომსახურ. გაწევა	53.8	29.8	16.4	52.4	28.4	19.2	56.7	17.9	25.4

ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპების პირობებში, დასაქმების პრობლემებისადმი ახლებური მიდგომის ძირითადი მიმართულება მდგომარეობს ეკონომიკური და სოციალურად სასარგებლო შრომითი საქმიანობის გაფართოებულ სფეროში შრომითი ასაკის ყველა პირის ჩაბმაში, თითოეულისათვის სამუშაოს მოცულობის შემჭიდროებული ნორმირებითა და მინიმალური უნივერსალური შემოსავლის დადგენაში.

წარმოდგენილი კონცეფციის ქვაკუთხედს წარმოადგენს ნებისმიერი სახის სასარგებლო საქმიანობის აღრიცხვა როგორც საზოგადოებრივ წარმოებაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ასეთ პირობებში გავრცელება ჰპოვა მოქნილი (არატიპიური) დასაქმების ფორმებმა.

არატიპური დასაქმების ფორმებზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმ შემთხვევაში, როცა მომუშავის სტანდარტული დასაქმებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

– ერთ დამსაქმებელთან მუშაობა;

– დამსაქმებლის საწარმოო შენობაში მუშაობა;

– სამუშაო დღის, კვირის, წლის განმავლობაში სტანდარტული დატვირთვიდან ერთ-ერთი მაინც არ არსებობს.

დაქირავებული შრომის პირთა არატიპური დასაქმების შედარებით გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენენ: სახლში მუშაობა, ნაწილობრივი დასაქმება, დროებითი დასაქმება. მათი გავრცელება დამოკიდებულია ეკონომიკის დარგზე, მომუშავეთა სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე და საქმიანი კონიუქტურის მდგომარეობაზე.

ქვეყნები, რომლებიც „დასაქმების აქტიურ პოლიტიკას“ ატარებენ, ნაწილობრივ დასაქმებას უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად იყენებენ. ამ პოლიტიკისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს ბაზარზე წარმოდგენილი ნაწილობრივი დასაქმების სახელმწიფო მხარდაჭერა წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც, იგი დაქირავებული მომუშავეების შრომითი მოწყობის შედარებით გავრცელებული ფორმაა.

წარმოების განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, როდესაც ადგილი აქვს წარმოების მოცულობის გადიდების აუცილებლობას, შვებულებაში მყოფი მომუშავეების შეცვლას და ა.შ. პრაქტიკაში გამოიყენება არატიპური დასაქმების ისეთი ფორმა, როგორიცაა დროებითი დასაქმება. მან დიდი ხანია გავრცელება ჰპოვა შრომის მსოფლიო ბაზარზე. იგი გულისხმობს საზოგადოებრივად სასარგებლო შრო-

მით დასაქმებას გარკვეული ვადით, რომელიც შრომითი ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. დროებითი დასაქმების ვადები მერყეობს ერთი დღიდან რამდენიმე თვის მანძილზე. გამომდინარე იქიდან, რომ განვითარებულ ქვეყნებში ბოლო პერიოდში ფართო გავრცელება ჰპოვა მომუშავეთა დასაქმებამ არამარტო შრომითი ბირჟების საშუალებით, არამედ უშუალოდ საწარმოების კადრების სამსახურების ან საშუამავლო სააგენტოების მეშვეობით, მომუშავეებს უადვილდებათ შრომითი მოწყობა.

დასაქმების მოქნილი ფორმების გამოყენება ხელს უწყობს როგორც დამსაქმებლების, ასევე დაქირავებული მომუშავეების ინტერესების რეალიზაციას. სწორედ ამითაა განპირობებული მათი გავრცელების მასშტაბების ზრდა. ისინი გარკვეულ ბუფერულ ზონას წარმოადგენენ სტანდარტულ დასაქმებასა და უმუშევრობას შორის, მაგრამ დასაქმების არატიპური ფორმების გამოყენება გარკვეული წინააღმდეგობებრივი ხასიათის მატარებელია. კერძოდ, დასაქმების არატიპური ფორმების გამოყენება, ერთის მხრივ, იწვევს შრომის ბაზრის გამოცოცხლებას, იგი ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, მაგრამ, მეორეს მხრივ, დასაქმების არატიპური ფორმების გამოყენებისას ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ კატეგორიის მომუშავეთა სოციალურ დაცვას, იზრდება დიფერენციაცია შრომის ანაზღაურების სისტემაში. ასეთი პირობები, მართალია განაპირობებს შრომის მოქნილი ბაზრის ფორმირებას, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმების დონის გადიდებას და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, მაგრამ მას თან სდევს წინააღმდეგობების წარმოშობა სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის სფეროში. ამიტომ, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას შესაბამისი სამართლებლივი ბაზა, რომელიც გარკვეულ ჩარჩოში მოაქცევს მომუშავეთა დასაქმებისა და სამუშაო დროის რეჟიმის განსაზღვრის წესს, რადგანაც დასაქმება – ეს არამარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური პრობლემაა და მისი გადაჭრის გზები შეიძლება ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. ამ წინააღმდეგობის მოხსნა ან შესუსტება მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური ჩარევის შედეგადაა შესაძლებელი, რომელიც მიმართული უნდა იყოს შრომის ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის სრულყოფისაკენ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. თორია მ., შრომის ბაზარი: დასაქმება და უმუშევრობა (თეორიულ–მეთოდოლოგიური ასპექტები), თბილისი, 2006.
2. Эренберг Рональд Дж., Смит Роберт С., Современная экономика труда. Теория и государственная политика. Пер с анг. Изд-во Московского университета. М. 1996.
3. Боровик В. С., Ермакова Е. Е., Похвлщев В. А., Занятость населения. Ростов – на- Дону. „Феникс“, 2001.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.
5. მეწარმეობა საქართველოში, 2014 სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი 2015.

მ. თორია

მოსახლეობის დასაქმების ტენდენციები საქართველოს სამეწარმეო სექტორში

რეზიუმე

დასაქმება მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს, რამდენადაც იგი არსებით როლს ასრულებს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების ამა თუ იმ დონის მიღწევაში, თითოეულ ადამიანში პროფესიული შესაძლებლობების ფორმირებასა და განვითარებში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში სამეწარმეო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. დასაქმების ზრდის განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებელს ქონდა ადგილი მცირე საწარმოებში. ცხადია, რომ სამეწარმეო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილების არსებულმა ტენდენციებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამ სფეროში დასაქმების სტრუქტურის ცვლილებაზე.

მცირე საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი განსაკუთრებით მაღალია სასტუმროებისა და რესტორნების მიზნესში, რაზეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გავლენა იქონია ტურიზმის მზარდმა განვითარებამ ქვეყანაში. აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით მცირე ბიზნესი თავის პოზიციებს ინარჩუნებს ისეთ დარგებში, როგორიცაა თევზჭერა და მეთევზეობა; ავტომობილებით, საყოფაცხოვრებო ნაწარმით ვაჭრობა, პირადი მოხმარების საგნების რემონტი; ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლებისათვის მომსახურების გაწევა.

M. Toria

Population Employment Tendencies in Enterprise Sector in Georgia

Summary

Employment is one of the most important social-economic problems as it is significant for the country's population to reach a certain stage of development as well as being foremost for every person to form and improve professional skills.

The results of the research has clarified that employment in enterprising sector has been characterized by increasing tendency for the last ten years. Employing people in small enterprises has especially increased. It is evident that existing tendencies in enterprising sector has importantly influenced the structure of changes in this sphere.

The unit weight of the employed in small enterprises is especially high in hotel and restaurant business. This has been motivated by growing tourism in the country. According to the current data business maintains its position in directions fishing, car and household facility trade, repairing consumer goods, real estate operations, renting and customer service.

დ. კბილაძე

ცხოვრების ხარისხის თანამედროვე გაგება და მისი შეფასების ინდიკატორები

ცხოვრების ხარისხი რთული კატეგორიაა, რომელიც თავს უყრის ცალკეული პიროვნებების გამგებლობაში არსებულ შემოსავლებს ან ფულად ფორმაში გამოსახულ აქტივებს, ასევე ისეთ კომპონენტებს, რომელიც ფულად გამოსახულებაში არ იზომება. კერძოდ, აქ იგულისხმება სულიერი მოთხოვნილებები, პირადი უსაფრთხოება, ეკოლოგიური მდგომარეობა. ცხოვრების ხარისხი აერთიანებს ცხოვრების დონის ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: საბინაო პირობები, შრომისა და დასაქმების პირობები, ჯანმრთელობისა და განათლების მდგომარეობის, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობისა და ა.შ პარამეტრები.

ტერმინი „ცხოვრების ხარისხი“ XX საუკუნის II ნახევარში წაროიშვა. მისი შემოღების ერთ-ერთ მოტივად მიჩნეულია ის გარემოება, რომ მისი მონათესავე ტერმინი „ცხოვრების დონე“ სრულფასოვნად ვერ ახასიათებდა მოსახლეობის კეთილდღეობას. ჯერ კიდევ ამ პერიოდისათვის ჩამოყალიბდა აზრი იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, უპირველეს ყოვლისა მთლიანი შიგა პროდუქტი — არ არის საკმარისი და ვერ დაახასიათებს მოსახლეობის კეთილდღეობას. ასეთი დისკუსიები კიდევ უფრო გაფართოვდა შემდეგ პერიოდში და განსაკუთრებით ეკონომიკის მდგრადი განვითარების კონცეფციის შემოღებისა და მისი შემადგენელი ელემენტების ხალხის ცხოვრების ხარისხზე ზემოქმედების შეფასების შემდეგ. ამ კონტექსტში მეტად დამაფიქრებელია, ერთის მხრივ, ეკონომიკის ზრდისა და ბუნებრივი რესურსების მოხმარების მაჩვენებელთა კორელაციის და, მეორე მხრივ, ეკონომიკის ზრდისა და ეკოლოგიური ვითარების ურთიერთკავშირის მახასიათებელი სურათი. ორივე ფაქტორი ურთიერთკავშირშია მოსახლეობის ამჟამინდელი და ასევე მომავალი თაობების ცხოვრების ხარისხთან.

ისტორიულად მსოფლიოს სხვადასხვა მეცნიერი თავიანთ შეხედულებას გვთავაზობდა ცხოვრების ხარისხის შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, ჯ. ბერლინგერი ცხოვრების ხარისხში მოიაზრებდა შემდეგ ელემენტებს: შემოსავლების დონე მოსახლეობის ერთ სულზე, დანაშაულებათა და სამართალდარღვევათა დონე, განათლებისა და სამედიცინო მომსახურების დონე. ამერიკელმა მეცნიერმა დ. ფორესტერმა ცხოვრების ხარისხის მახასიათებლებში შეიტანა ასევე სტრესული სიტუაციები, ცხოვრების სირთულეები, მოსახლეობის წუხილი, კვების ხარისხი, გარემოს დაბინძურება. კანადელი სოციოლოგი მ. ბუნგე ცხოვრების ხარისხის ელემენტებად თვლიდა: ჰაერის ხარისხს, საცხოვრისის ზომასა და ხარისხს, ოჯახური ცხოვრებით კმაყოფილებას, საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობის ხარისხს, უსაფრთხოებას ქუჩებში, წაკითხული წიგნების რაოდენობას, თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრებას და ა.შ. (Назаров, 612-613).

მიუხედევად აზრთა სხვადასხვაობისა, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ხალხის ცხოვრების მახასიათებელ ძირითად ინდიკატორად ითვლებოდა მთლიანი შიგა პროდუქტი. სწორედ ამ მაჩვენებლის მიხედვით ხდებოდა ქვეყნების რანჟირება ღარიბ, განვითარებად და განვითარებულ სახელმწიფოებად.

ქვემოთ მოტანილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემები მშპ-ს ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით მსოფლიოს ყველაზე მოწინავე და ყველაზე ჩამორჩენილი ხუთ-ხუთი ქვეყნის მიხედვით.

მოსახლეობის ერთ სულზე მშპ მაჩვენებელი მსოფლიოს ყველაზე მოწინავე და ყველაზე ჩამორჩენილი ხუთ-ხუთი ქვეყნის მიხედვით აშშ დოლარებში

მოწინავე ქვეყნები

საერთაშორისო სავალუტო ფონდის სია (2013 წ)		მსოფლიო ბანკის სია (2012წ)		ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სია (2010წ)	
ქვეყანა	$	ქვეყანა	$	ქვეყანა	$
ლუქსემბურგი	110573	მონაკო	163026	კატარი	150429
კატარი	104655	ლიხტენშტეინი	134915	ლიხტენშტეინი	134400
ნორვეგია	101271	ლუქსემბურგი	107476	ლუქსემბურგი	105400
შვეიცარია	80276	ნორვეგია	99558	ნორვეგია	88400
ავსტრალია	64157	კატარი	90524	შვეიცარია	68500

ჩამორჩენილი ქვეყნები

ლიბერია	436	ნიგერია	383	ლიბერია	300
ნიგერია	408	კონგოს დემოკ-რატიული რესპუბლიკა	272	მალავი	300
ბურუნდი	282	მალავი	268	სომალი	300
მალავი	253	ბურუნდი	251	კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	200
კონგოს დემოკ-რატიული რესპუბლიკა	237	სომალი	139	ბურუნდი	200

საქართველო, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, 184 ქვეყნიდან 113-ე ადგილზეა (3558 დოლარი), ჩამორჩება აზერბაიჯანს (73-ე ადგილი) და უსწრებს სომხეთს (122-ე ადგილი).

ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს ხშირად აკრიტიკებენ როგორც მოსახლეობის კეთილდღეობის შეფასების ინდიკატორს. ასეთი შეხედულებები განსაკუთრებით მომრავლდა 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დადგომის შემდეგ. ცნობილია, რომ მშპ მართალია ზომავს მიმდინარე ეკონომიკურ საქმიანობას, მაგრამ ვერ ახასიათებს ცხოვრების ხარისხის ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორიცაა მოსახლეობის კეთილდღეობის ვარიაცია, შინამეურნეობების მიერ მომსახურების გაწევა, შემოსავლების საერთაშორისო ნაკადები, გარემოს არასახარბიელო მდგომარეობა, მოსახლეობის ფიზიკური და ეკონომიკური უსაფრთხოება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა. უფრო მეტიც, მშპ იზრდება, მაშინაც კი, როდესაც მცირდება მოსახლეობის დასაქმება, უარესდება გარემო, ადგილი აქვს კატასტროფებს, ღვარცოფებსა და მეწყერულ მოვლენებს, რაც საჭიროებს აღდგენით სამუშაოებს.

ცხოვრების ხარისხის ერთ-ერთი მახასიათებელია საშუალო ხელფასი. ქვემოთ მოტანილია 5 მოწინავე და 5 ჩამორჩენილი ქყვეყნის მაჩვენებელი.

მოწინავე ქვეყნების ჩამონათვალი, საშუალო ხელფასების მიხედვით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიით, 2012 წ.

N	ქვეყანა	ყოველთვიური საშუალო ხელფასი აშშ დოლარი, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით
1	ლუქსემბურგი	4089
2	ნორვეგია	3678
3	ავსტრია	3474
4	აშშ	3263
5	დიდი ბრი-ტანეთი	3065

საშუალო ხელფასით ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნების ჩამონათვალი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით

N	ქვეყანა	ყოველთვიური საშუალო ხელფასი აშშ დოლარი, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით
1	ყირგიზეთი	336
2	ინდოეთი	295
3	ფილიპინები	279
4	პაკისტანი	255
5	ტაჯიკეთი	228

საქართველო 72 ქვეყნიდან 59-ე ადგილზეა საშუალო ხელფასის მიხედვით. ჩვენი მეზობელი ქვეყნები ჩვენს შემდეგ არიან და შესაბამისად იკავებენ აზერბაიჯანი მე — 60 ადგილს და სომხეთი 63-ე ადგილს.

1990-იანი წლებიდან ცხოვრების ხარისხის დეფინიციამ გარკვეული მოდიფიკაცია განიცადა და იმის გამო, რომ ტრადიციული მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ისეთები როგორიცაა, მთლიანი შიგა პროდუქტი, დაგროვილი ეროვნული სიმდიდრე, საშუალო სულადობრივი შემოსავალი ვერ ახასიათებდა მოსახლეობის სიღარიბის, განათლების დონეს, ავადობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, გადაწყდა ცხოვრების ხარისხი დაეხასიათებინათ ისეთი ხუთი ძირითადი თვისებით, როგორიცაა:

- მოსახლეობის კვლავწარმოების უნარი (დაბადება, სიკვდილიანობა, ავადობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ქორწინება, განქორწინება, განათლება და სხვა);
- მოსახლეობის კეთილდღეობა და ცხოვრების პირობები (მოსახლეობის შემოსავლები, მიმდინარე მოხმარება და დანაზოგები, მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, შინამეურნეობების ფაქტობრივი მოხმარება, უმუშევრობის დონე და სიღარიბე, სამომხმარებლო ფასების ინდექსი);
- სოციალური უსაფრთხოება (შრომის პირობები, სოცუზრუნველყოფა და სოციალური დაცვა, ქონებრივი და ფიზიკური უსაფრთხოება);
- გარემოს დაცვის ხარისხი (მონაცემები ჰაერისა და წყლის დაბინძურენაზე, ნიადაგის ხარისხზე და ბიომრავალფეროვნებაზე);
- ბუნებრივ-კლიმატური პირობები (ამ სფეროში ფორსმაჟორული სიტუაციების სიხშირე და სპეციფიკა).

ახლა განვიხილოთ ცხოვრების ხარისხის ძირითად მაჩვენებელთა შემადგენლობა, რომელიც ტრადიციულ გამოყენებას პოულობს პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში ცხოვრების ხარისხის ანალიზისას (Назаров, 616-617). საქართველოში მოცემულ მაჩვენებელთა უმრავლესობა იანგარიშება არა ისეთი თანმიმდევრობით, როგორიც ქვემოთ არის მოცემული:

1. ჯანმრთელობა
   - ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (წლები);
   - ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი (1000 დაბადებულზე);
   - ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი (5 წლამდე ასაკის 1000 დაბადებულზე);
   - 60 წლამდე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა (პროცენტობით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში);
   - დედათა სიკვდილიანობის კოეფიციენტი (100 ათას ცოცხლად დაბადებულზე);
   - მცირე წონის სხეულის მქონე ახალშობილების ხვედრითი წილი (100 დაბადებულზე);
   - ერთ წლამდე ბავშვების წილი სრული იმუნიზაციით:ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ (%), წითურას საწიდააღმდეგოდ (%);
   - სპიდის დაავადების შემთხვევათა რიცხვი (100 ათას კაცზე);
   - ტუბერკულოზით დაავადებათა შემთხვევები (100 ათას კაცზე);
   - ინვალიდების რაოდენობა (პროცენტობით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან);
   - ანემიით დაავადებული ორსული ქალების რაოდენობა (%);
   - მოწეული სიგარეტების რაოდენობა ერთ მოზრდილზე (საბაზისო წელი = 100);
   - ექიმების რაოდენობა (100 ათას კაცზე);
   - მედდების რაოდენობა (100 ათას კაცზე).
2. განათლება:
   - მოზარდი მოსახლეობის განათლების დონე (პროცენტებში);
   - ყველა დონის სასწავლო დაწესებულებებში ჩაბარებულთა მაჩვენებელი:
   - დაწყებითი სკოლა (პროცენტობით შესაბამის ასაკობრივ ჯგუფთან);
   - საშუალო სკოლა (პროცენტობით შესაბამის ასაკობრივ ჯგუფთან);
   - დანახარჯების წილი განათლებაზე:
   - პროცენტობით მშპ-სთან;
   - პროცენტობით საერთო სახელმწიფო ხარჯებთან;
   - დაწყებითი და საშუალო განათლება (პროცენტობით ყველა დონის განათლებასთან);
   - უმაღლესი განათლება (პროცენტობით ყველა დონის განათლებასთან);
3. დემოგრაფიული ტენდენციები:
   - მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა;

- მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის წლიური ტემპები (%-ში);
- ქალაქის მოსახლეობა (პროცენტობით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან);
- დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტი (დამოკიდებული მოსახლეობის წილი %);
- 65 და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი (პროცენტობით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან);
- ფერტილურობის ზოგადი კოეფიციენტი;

4. დასაქმება :
- უმუშევართა რიცხოვნობა (ათასი კაცი);
- უმუშევრობის საერთო დონე (%-ით);
- უძრავი უმუშევრობის გავრცელების დონე (პროცენტობით უმუშევართა საერთო დონესთან; ქალები, მამაკაცები);
- მომუშავეები, რომლებიც იძულებულები არიან იმუშაონ არასრული სამუშაო დღე (პროცენტობით სამუშაო ძალის საერთო რიცხოვნობასთან);
- დანახარჯები უმუშევართა დახმარებაზე (პროცენტობით სახელმწიფო დანახარჯებში);

5. სასურსათო უსაფრთხოება და კვება:
- ყოველდღიურად მოხმარებული კალორიების ნორმა მოსახლეობის ერთ სულზე;
- ყოველდღიურად მოხმარებული ცილების ნორმა მოსახლეობის ერთ სულზე;
- საერთო რაოდენობა (გრამებში);
- ცვლილება (პროცენტობით);
- სასურსათო პროდუქციის წარმოების ინდექსი მოსახლეობის ერთ სულზე (საბაზისო წელი = 100);
- სასურსათო პროდუქციის იმპორტის წილი (პროცენტობით საქონლის იმპორტის მოცულობასთან);
- სურსათის მოხმარება (პროცენტობით პირადი საერთო მოხმარების მოცულობაში);

6. დანაშაული :
- დაკავებულები (100 ათას მოსახლეზე);
- არასრულწლოვანი დაკავებულები (პროცენტობით დაკავებულთა საერთო რაოდენობაში);
- წინასწარ განზრახული მკვლელობა (100 ათას მოსახლეზე);
- ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული (100 ათას მოსახლეზე);
- გაუპატიურებათა რაოდენობა (ათასი);

7. სტრესი:
- თვითმკვლელობა (100 ათას კაცზე);
- განქორწინებები (პროცენტობით დაქორწინებულებთან);
- მშობიარობა 20 წლამდე ასაკში (პროცენტობით);
- მოსახლეობის სტიქიური უბედურებების შედეგად გარდაცლილები ან დაზარალებულები (ათასი);
- ლტოლვილები:
- თავშესაფარი ქვეყნის მიხედვით (ათასი);
- წარმომავალი ქვეყნის მიხედვით (ათასი)

8. გარემოს დაცვის ხარისხი:
- წყლის რესურსები მოსახლეობის ერთ სულზე (კუბ.მ.წელიწადში);
- გატყიანების საშუალო ყოველწლიური ტემპები (%-ით);
- CO2 გამონაბოლქვის მოცულობა(ტონა);

საზოგადოებრივი კეთილდღეობის ახალი ინდიკატორების ჩამოყალიბების აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენა 2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა. აქედან გამომდინარე, ჯოსეფ სტიგლიცის ხელმძღვანელობით შექმნილმა კომისიამ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერების მონაწილეობით კრიზისიდან ერთი წლის თავზე წარმოადგინა მეტად საინტერესო მოხსენება „ეკონომიკური შედეგებისა და სოციალური პროგრესის შეფასება“, რომელიც ცხოვრების ხარისხის ინოვაციურ ინდიკატორებს შეიცავს. მოცემული ინდიკატორები კომპლექსურია და შედგება როგორც ღირებულებითი, ასევე ისეთი ფაქტორებისაგან, რომლებიც არამონეტარული ხასიათისაა. ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით საინტერესოა მოქალაქეთა საკუთარი კეთილდღეობის ისეთი ახალი მახასიათებლები, როგორიცაა ადამიანთა ცხოვრე-

ბის კოგნიტური შეფასებები. კერძოდ, დადებითი ემოციები (სიხარული, სიამაყე) და ნეგატიური ემოციები (ავადმყოფობა, წუხილი). ასეთი სახის კვლევებით მოქალაქეებს ეკითხებიან რამდენად კმაყოფილები არიან საკუთარი ცხოვრებით. ყველაზე კარგი ცხოვრების ხარისხი ფასდება 10 ქულით, ხოლო ყველაზე ცუდი-0-ქულით.

ცხოვრების ხარისხის ინოვაციურ ინდიკატორებზე მსჯელობისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია რიგი დეფინიციების ჰარმონიზება ქვეყნების მიხედვით. ასე მაგალითად, თუ არ ვიცით რა არის ბედნიერება, რომელზეც ამჟამად საკმაოდ ცხარე დისკუსიები მიმდინარეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ძნელია შევუდგეთ მის სტატისტიკურ დახასიათებას.

ცხოვრების ხარისხი ტევადი ცნებაა და მისი დახასიათება შესაძლებელია ისეთი მნიშვნელოვანი ინდიკატორების საშუალებით, როგორიცაა:

- ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- განათლების მდგომარეობა;
- საბინაო და სხვა საყოფაცხოვრებო პირობები;
- ფინანსური პრობლემები;
- შრომის პირობები და სტაბილური სამუშაო;
- ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა;
- ეკონომიკური უსაფრთხოება;
- ფიზიკური უსაფრთხოება;
- ურთიერთდამოკიდებულება მეგობრებთან, კოლეგებთან, მეზობლებთან, ნათესავებთან

ცხოვრების ხარისხის ჩამოთვლილი დეტერმინანტები ძალიან აქტუალურია და მნიშვნელოვანია არამარტო ქვეყნებს შორის შესადარისობის ანალიზისათვის, არამედ ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების პროგრამის შემუშავებისათვის.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ისე როგორც საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, სამთავრობო უწყებების, მეცნიერების, ოფიციალური სტატისტიკური ორგანოების და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობით ამჟამად ფართო მასშტაბიანიანი სამუშაოები მიმდინარეობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ახალი ინდიკატორების განსაზღვრის, მათი შეფასების მეთოდოლოგიის, მათი ურთიერთდაკავშირების ნაერთი ინდექსების შემუშავების და სხვა პრობლემური საკითხების მიმართულებით. საქართველოში საჭიროა დაჩქარებული ტემპებით გაიშალოს მსგავსი სამუშაოები. ვფიქრობ, ამ მხრივ, საინტერესოა გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვისა და ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრების წამოწყება, რომელთა პროფესორ-მასწავლებლებმა ცხოვრების დონის ახალი ინდიკატორების მაკეტი შეადგინეს და 4 უნივერსიტეტის 60 პროფესორ-მასწავლებლის საცდელი გამოკვლევა ჩაატარეს 10 ქულიანი სისტემით, ინოვაციური ინდიკატორების შინაარსის და მათი პრიორიტეტულობის დასადგენად. კვლევის შედეგები ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

საცდელი კვლევის შედეგები მოსახლეობის ცხოვრების დონის ინდიკატორებზე საქართველოში

N	მოსახლეობის ცხოვრების დონის ინდიკატორები	დაგროვებული ქულა	დაკავებული ადგილი
1	მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე	455	2
2	მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაცია	277	7
3	ეკონომიკის ინსტიტუციებს შორის ეკონომიკური დავალიანება	270	8
4	დასაქმება	483	1
5	განათლება	455	3
6	სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა	384	4
7	ეკონომიკური უსაფრთხოება	367	5
8	ფიზიკური უსაფრთხოება	299	6
9	ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა/ჩართულობა	196	9
10	მავნე გამონაბოლქვი	169	10

მიზანშეწონილად მიმაჩნია შემდგომი გაგრძელება მიეცეს წინამდებარე სტატიაში დასმულ საკითხებს და შემუშავდეს ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც რეალურად შეაფასებს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. კბილაძე დ., ეკონომიკური ზრდისა და სოციალური მდგომარეობის შეფასების სტატისტიკური ასპექტები. თბილისი, 2012.
2. Назаров М., Курс Социально-Экономичесой Статистики. Москва, 2002.
3. Stiglitz J., Sen A., Fitoussi J., Report by the Commission on the Measurement of Economic Performance and Social Progress, 2009.

www.geostat.ge.

www.wikipedia.org.

დ. კბილაძე

ცხოვრების ხარისხის თანამედროვე გაგება და მისი შეფასების ინდიკატორები

რეზიუმე

ცხოვრების ხარისხი რთული კატეგორიაა, რომელიც მოიცავს ცალკეული პიროვნებების გამგებლობაში არსებულ შემოსავლებს ან ფულად ფორმაში გამოხატულ აქტივებს, ასევე ისეთ კომპონენტებს, რომელიც ფულად გამოსახულებაში არ იზომება (სულიერი მოთხოვნილებები, პირადი უსაფრთხოება, ეკოლოგიური მდგომარეობა).

ტერმინმა „ცხოვრების ხარისხი'' მრავალი ათეული წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა და მისი შემადგენელი დეტერმინანტები დაზუსტდა 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ. მოცემულ სტატიაში გადმოცემულია ცხოვრების ხარისხის ინოვაციური ინდიკატორები, რომელთა დანერგვა საქართველოს სინამდვილეში ჩვენი ქვეყნის ევროპული არჩევანისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.

D. Kbiladze

Modern understanding of the quality of life and its indicators

Summary

Quality of life is a complex category which includes revenues of individuals or assets expressed in monetary terms, also components which cannot be measured in monetary terms (spiritual needs, personal safety, and ecological conditions).

Term ‘Quality of Life’ has evolved extensively during many decades and its determinants were clarified after financial crisis of 2008. The article discusses innovative indicators of quality of life, which introduction in reality of Georgia is one more step to European choice of our country.

ნ. კოპალეიშვილი

კინოინდუსტრია, როგორც ეკონომიკის ნაწილი (ფრაგმენტი გერმანული კინოს ისტორიიდან)

კინოინდუსტრიის განვითარების პროცესი ყოველთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური რეალობისათვის.

ჩემი აზრით, აქედან გამომდინარე, შეუცვლელია ამ საკითხის კვლევის აქტუალობა დღევანდელ სინამდვილეშიც. პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, რომელიც დაგროვდა წლების მანძილზე, ნათელი გახდა, რომ არსებობს ამ დარგის სპეციფიკის განმსაზღვრელი ურყევი პრინციპებიც და ცვალებადობაც, რომელიც მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდის პროცესში და რაც დიდ გავლენას ახდენს თავად საზოგადოებრივი ცნობიერების შექმნაზე, პროექტების განვითარების სისტემაზე თუ სანახობრივი ინდუსტრიის მთლიან ფორმირებაზე.

ნებისმიერი კინოინდუსტრიული სიახლე ეკონომიკასთან კავშირში ვითარდება, იქმნება და რაც უფრო ტევადია მისი მეთოდოლოგია, მით უფრო მკვეთრია მასში გამოხატული რესურსი. გზა, რომელიც რეალურ ინდუსტრიულ შედეგამდე მიდის, ყოველთვის დატვირთულია და მუდმივ გარდაქმნებს განიცდის. არ ვგულისხმობ მხოლოდ მოვლენების შეცვლას ან მართვაში ცვლილების შეტანას. გამოცდილება შეიძლება ამ სფეროში უფრო ბევრია, ვიდრე ხელოვნების სხვა დარგებში. ალბათ ესეც ქმნის კინოინდუსტრიის პრინციპების ერთ-ერთ საფუძველს — არსებულისა და შესაძლებლის, წარმოსახვითის რეალობად გადაქცევას.

შესაძლებელია კინოინდუსტრიის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა და გამოკვეთა მაგალითებზე, რომელიც უკვე არსებობს როგორც ქართულ, ასევე მსოფლიო კინოს ისტორიაში. თემა კომპლექსურია, ყოველთვის შეიძლება ამ მიმართულებით სიახლის მოძებნა, რაც პრაქტიკით წარმოქმნილი გამოცდილების გაზიარებასაც ითვალისწინებს. მისი ძირითადი პრინციპების სიცოცხლისუნარიანობა კინოს დღევანდელ რეალობაში და მისი ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპებზე ცვლიდა კინოხელოვნების განვითარების საფეხურებს. მეოცე საუკუნის 60-70-ან წლებში შეიქმნა მოვლენების ლოგიკური ჯაჭვი, რომელმაც განაპირობა კინოინდუსტრიის სისტემის კომპლექსურობა და ეს მოცემულობა დღემდე უცვლელია.

ეკონომიკის კონტექსტში ეს მოვლენა ეყრდნობა პოლისუბსიდირების გამოცდილებას და მისი მაგალითები ამართლებდა მცირებიუჯეტიან კინოშიც კი. გერმანული კინოს წარსული, ნათლად გვიხატავს ამ მოვლენას და ვფიქრობთ, რომ მის მაგალითად გამოდგება შემდეგი ისტორია: 1962 წელს გერმანიაში, როდესაც ახალგაზრდა კინორეჟისორები გამოვიდნენ არენაზე, უჩვეულო და ორიგინალური ლოზუნგით „მამების კინო მოკვდა“, შეიქმნა ახალი მიმართულება – „ახალგაზრდა გერმანული კინო“.

60-იანი წლების დასაწყისში, დასავლეთის კინემატოგრაფი, ტელევიზიის მასობრივად გავრცელების გამო, დიდი გამოცდის წინაშე დადგა. ამ პროცესს, ზოგადთეორიული დებულებების განხილვის გვერდით, ე. ლევინი კინოს მთლიანობის კონტექსტშიც განიხილავდა და კონკრეტული დასკვნები გამოჰქონდა. ფრანგული „ახალი ტალღის“ კინოსურათების მსგავსად, ლუკინო ვისკონტის, მიქელანჯელო ანტონიონის, ფედერიკო ფელინის, ინგმარ ბერგმანისა და სხვა წამყვან კინორეჟისორთა ნაწარმოებები, პარალელურად კი უბადრუკობა და უხამსობა, რომელიც მყარად დამკვიდრდა გერმანულ ეკრანზე 60-იანი წლების დასაწყისში, ცუდად განაწყობდა მაყურებლის დიდ ნაწილს. თუმცა არსებობდნენ კინემატოგრაფისტები, რომლებიც არ მალავდნენ სიხარულს კომერციული კინოწარმოების პრობლემების გამო. ძირითადად, ეს იყო ახალგაზრდა თაობა, რომელიც მანამდე დაკავებული იყო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმების შექმნით (Левин , 120).

იმ ხანებში შემუშავდა რამდენიმე პუნქტი, რომლის მიხედვითაც რეჟისორს შეეძლო მიეღო სახელმწიფოს დახმარება:

1. ფილმის დაფინანსება პროექტის დონეზე;
2. პრემიები სცენარებისთვის;
3. ფული, რომელიც გამოიყოფოდა ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების ფილმ– დებიუტებზე და ა.შ.

თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი 70-იანი წლების პერიოდში, სახელმწიფო თანხმდებოდა, მხარი დაეჭირა მხოლოდ იდეოლოგიურად ნეიტრალური ფილმებისთვის. დახმარების ფონდის მხრიდან დაფინანსდა ფილმები: „გერმანია შემოდგომაზე” (1978) –„ახალი კინოს“ რეჟისორების კოლექტიური ნამუ-

შევარი, რომელიც მოგვითხრობდა ტერორიზმის თავაშვებულობაზე 1977 წლის შემოდგომაზე, „კატარინა ბლუმის შელახული ღირსება" (1974, რეჟ. ფოლკერ შლიონდორფი და მარგარეტ ფონ ტროტა), „კრისტა კლაგესის მეორე გამოღვიძება" (1978, რეჟ. მარგარეტ ფონ ტროტა) და ა. შ. თავისი კრიტიკული ნამუშევრებით გაითქვა სახელი კინორეჟისორმა მარგარეტ ფონ ტროტამ, რომელმაც შექმნა ქალთა მნიშვნელოვანი კინოპორტრეტები. მიუხედავად ამ წარმატებებისა, „ახალგაზრდა გერმანული კინოს" ტრადიციები ეკრანზე დიდი ხნით ვერ დამკვიდრდა.

ერთიანობაში, საავტორო კინემატოგრაფმა ვერ შეძლო შეექმნა თავისთვის სტაბილური ეკონომიკური ბაზა, რის საშუალებითაც შეძლებდა გაეძლო ზეწოლისთვის ახლად გაძლიერებული ამერიკული კომერციული კინოს მხრიდან (Franklin, 19).

1962 წლის 28 თებერვალს გამოცემულ ცნობილ „ობერჰაუზენის მანიფესტში" ვკითხულობთ: „ყოველი გერმანული ფილმის წარუმატებლობა – ეს არის მომავალში მთელი გერმანული კინოს კრახი. შედეგად, ყოველ ახალ ფილმს უნდა ჰქონდეს შანსი, იყოს სიცოცხლისუნარიანი და კონკურენტუნარიანი. ახალგაზრდა ავტორების, რეჟისორებისა და პროდიუსერების გერმანული მოკლემეტრაჟიანი ფილმები ბოლო წლების განმავლობაში იღებდნენ პრიზების დიდ რაოდენობას საერთაშორისო ფესტივალებზე და მოიპოვეს საერთაშორისო კრიტიკის აღიარება. ეს ნამუშევრები და მათი წარმატებები გვიჩვენებს, რომ გერმანულ კინოს აქვს მომავალი. ავტორებმა დაადასტურეს, რომ ისინი საუბრობენ ახალი კინოენით. როგორც სხვა ქვეყნებში, ასევე გერმანიაშიც, მოკლემეტრაჟიანმა ფილმებმა შექმნა სკოლა და ექსპერიმენტული არეალი მხატვრული ფილმებისთვის. ჩვენ გვაქვს უფლება შევქმნათ ახალი გერმანული მხატვრული ფილმები. ამ ახალ ფილმებს სჭირდება სხვა თავისუფლება შეთანხმებული კომერციულ პარტნიორებთან. ჩვენ გვაქვს კონკრეტული სულიერი, ფორმალური და ეკონომიკური წარმოდგენები ახალი გერმანული კინოს პროდუქციაზე. ჩვენ ერთად მზად ვართ გავინაწილოთ ეკონომიკური რისკი. ძველი კინო მოკვდა. ჩვენ გვჯერა ახლის." მანიფესტს ხელს აწერდა ოცდაექვსი ახალგაზრდა, იმედის მომცემი კინემატოგრაფისტი. „ახალი კინოს" რეჟისორები იყენებდნენ თავიანთ ფილმებში არაპროფესიონალ შემსრულებლებს, ეყრდნობოდნენ ტიპაჟის ფუნქციას. მათი ოსტატობის ზოგადი დონე კი იზრდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა. ამით კინოს თემატური მთლიანობის საკითხმა თავისი მთავარი ფუნქცია შეიძინა (Левин, 123).

კოლექტიური ფილმის შექმნის იდეა, რომელიც მიეძღვნა კინოპროექტს „გერმანია შემოდგომაზე", პირველად ალექსანდრ კლუგემ წამოაყენა. სახელმწიფო კომისიამ უარი თქვა დაეფინანსებინა ფილმი და კლუგემ მაინც შეძლო, შეედგინა უპრეცენდენტო (თავისი შემადგენლობით) შემოქმედებითი ჯგუფი, რომელშიც შევიდა ათი რეჟისორი და ოცდაათი ცნობილი მსახიობი.

ორად გახლეჩილი გერმანიის პირობებში კი აღმოსავლეთ ნაწილში კომუნისტურმა ხელისუფლებამ კინოინდუსტრიის სადავეები ბოლომდე იგდო ხელთ. თუმცა ასეთ წნეხსაც კი ჰქონდა თავისი დადებითი მხარეები. ხელისუფლება ფულს არ იშურებდა ახალი ფილმების გადასაღებად და შემდეგ ეკრანებზე გასატანად. მიუხედავად იმისა, რომ ფილმები მხოლოდ ცენზურის აქტიური საქმიანობის შემდეგ გადიოდა კინოეკრანებზე, ფაქტი ფაქტად რჩება: გამოსახულება ტექნიკური და ვიზუალური თვალსაზრისით უმჯობესდებოდა, ხოლო ფილმების მხატვრულობის დონე იზრდებოდა. მეორე მსოფლიო ომი და მისი შედეგები ობიექტურად აისახებოდა ნებისმიერ სახელოვნებო პროცესზე.

მოგვიანებით ჩნდება მოსაზრება, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ გერმანული კინო ჯერ კიდევ ფლობდა მძლავრ ინდუსტრიულ კინემატოგრაფიულ წარმოებას, რომელიც მთელი წლის მანძილზე დაახლოებით ორასამდე ფილმს ქმნიდა, ხოლო ქვეყნის მთლიან კაპიტალდაგროვებაში კინოინდუსტრიას მესამე ადგილი ეკავა. აქედან გამომდინარე, სწრაფვა გარე ბაზრის დაპყრობისაკენ ძალზე საგრძნობი და უკვე მკვეთრად ტენდენციური გახდა. გერმანელმა კინემატოგრაფისტებმა იცოდნენ, რომ ეს არ იქნებოდა ადვილი, მით უფრო, კარგად იცოდნენ, რომ ომის შემდგომ ევროპას გერმანიის, როგორც სოციოპოლიტიკური მოვლენის, კატეგორიული მიუღებლობა ექნებოდა. გერმანული კინოს ექსპერტები კარგად საზღვრავდნენ მოგების კატეგორიებს და იმასაც კარგად აცნობიერებდნენ, რომ არც თემატიკის მონიტორინგი და, ზოგადად, კინოპროცესში რეალური მიზნების გამოკვეთა, ყოველგვარი კორექტივების გარეშე, ადვილი არ იქნებოდა. ამ პროცესის სრულ აპოთეოზამდე კი აქაც იქნა მოძიებული შუალედური სახელოვნებო ეტაპი – ისტორიული ლიტერატურა, მსოფლიო კლასიკა, სიუჟეტები, რომლებიც ფანტასტიკისა და სხვა სანახაობრივ ჟანრებზეა აგებული და ა. შ. ამ კონკრეტული წინაპირობის გათვალსაწინებით, დაიწყო ღონისძიებების გამართვა „უფას" კინოკონცერნის აღდგენაზე, რომელიც „მესამე რაიხის" დროს იყო დასაყრდენი ბაზა ფაშისტური კინოწარმოებისა. პროფაშისტური ფილმები ზოგჯერ იქმნებო-

და ამ სტუდიაში ადენაუერის პერიოდშიც და ასახავდა გფრ-ის საზოგადოების სულიერ კლიმატს 40-იანი წლების ბოლოდან 60-იანი წლების დასაწყისამდე. თუმცა მაშინაც გამოდიოდა საინტერესო ფილმები, მაგრამ წამყვანი კინოში მაინც გასართობი ხასიათის ფილმები იყო, რომლებიც ძალზე დაბალ პროფესიულ და მხატვრულ ხარისხს ამჟღავნებდნენ. მათ არ შეეძლოთ კონკურენცია გაეწიათ ამერიკული კომერციული კინოპროდუქციის მძლავრი ნაკადისთვის.

60-იან წლებში არენაზე გამოვიდა ტელევიზია. ტელევიზიისა და სხვა სანახაობრივი ფორმების სწრაფმა განვითარებამ კიდევ უფრო დაძაბა კრიზისი გფრ-ის კინოში და ის სრული გაქრობის საფრთხის წინაშე დადგა. საზოგადოების მიმართ თავისი კრიტიკული ხასიათის გამო, კინემატოგრაფმა დაკარგა თავისი პოლიტიკური აქტუალობა. ზოგადად, საავტორო კინემატოგრაფმა ვერ შეძლო შეექმნა თავისთვის სტაბილური ეკონომიკური ბაზა, რომლის საშუალებითაც ის გაუძლებდა ამერიკული კომერციული კინოს ზეწოლას.

დასავლეთ გერმანიის კინო საჭიროებდა ახალ ინდუსტრიულ რეფორმებს და რეჟისორთა ახალ თაობას. ამ პროცესს დაუკავშირდა გერმანული კინემატოგრაფის განახლება. და მართლაც, მათ შეძლეს შეეტანათ ახალი ნაკადი კინოს განვითარებაში, დაეახლოებინათ ის გერმანული საზოგადოების ცხოვრებასთან, თანამედროვე მაყურებლის მოთხოვნებთან. გავიდა უკვე ხუთ ათეულ წელზე მეტი იმ დასამახსოვრებელი გამოსვლიდან ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებისა ობერჰაუზენში, რომელმაც სათავე დაუდო გერმანული კინემატოგრაფის აღორძინებას. დღეს ე. წ. „ახალ გერმანულ კინოს“ ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფლიო კინოხელოვნების გამორჩეულ მოვლენებს შორის.

ეპოქა ყოველთვის კარნახობდა იდეის ხორცშესხმის, ფორმაში მოქცევისათვის საჭირო ეკონომიკური სტრატეგიის გზებს, რისთვისაც თავიდანვე გახდა აუცილებელი მთავარი და რამდენიმე (შესაძლებელი) გვერდითი, მეორეხარისხოვანი მოტივის არსებობა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Базен А. Что такое кино? М., 1972.
2. Левин Е. О художественном единстве фильма. М., 1997.
3. Franklin J. New German Cinema: From Oberhausen to Hamburg. New York: Columbus, 1986.

ნ. კოპალეიშვილი

კინოინდუსტრია, როგორც ეკონომიკის ნაწილი
(ფრაგმენტი გერმანული კინოს ისტორიიდან)

რეზიუმე

ნებისმიერი კინოინდუსტრიული სიახლე ეკონომიკასთან კავშირში ვითარდება, იქმნება და, რაც უფრო ტევადია მისი მეთოდოლოგია, მით უფრო მკვეთრია მასში გამოხატული რესურსი. გზა, რომელიც რეალურ ინდუსტრიულ შედეგამდე მიდის, ყოველთვის დატვირთულია და მუდმივ გარდაქმნებს განიცდის. არ ვგულისხმობ მხოლოდ მოვლენების შეცვლას ან მართვაში ცვლილების შეტანას. გამოცდილება შეიძლება ამ სფეროში უფრო ბევრია, ვიდრე ხელოვნების სხვა დარგებში. ალბათ ესეც ქმნის კინოინდუსტრიის პრინციპების ერთ-ერთ საფუძველს. გერმანული კინოს ისტორია, ნათლად გვიხატავს ამ მოვლენას და ვფიქრობთ, რომ მისი მაგალითი გამოდგება ამ საკითხის წარმოჩენისათვის.

N. Kopaleishvili

Film Industry, as the Part of the Economics
(Fragment from German Film History)

Summary

Any movie industrial innovation is being created and developed in connection with the economics, and the more spacious is its methodology, the more distinct are the resources expressed in it. The road that leads to real industrial results is always busy and is under constant transformation. We do not mean only the change of the events or introduction of the changes in management. Experience in this sphere is probably richer, than in other branches of arts and perhaps this sets up certain basis for the principles of film industry.

German film history clearly portrays this event and we suppose that it can serve as a good example for further clarification.

ზ. ლაოშვილი

გეოინფორმაციული სისტემები საქართველოში

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისია. პერსონალური კომპიუტერი ჯერ კიდევ ფუფუნების საგანია საქართველოში. ამ დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც თითზე ჩამოსათვლელია მათი რაოდენობა. ერთ-ერთი მათგანი გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის კათედრის კუთვნილებაა და ფაკულტეტის რუკათსაცავში ინახება. ამ ცივ და ბნელ ოთახში, რომელსაც მხოლოდ მონიტორის ცისფერი შუქი ანათებდა მკრთალად, თითქმის ყოველდღე ნახავდით კომპიუტერთან თავაუღებლად მომუშავე სტუდენტს – მალხაზ ხურციძეს. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამ „სოროში“ (ასე ეძახდა ყველა საიდუმლო ტოპოგრაფიული რუკების საცავს) მისი თავდაუზოგავი შრომის შედეგია ქვეყნის მასშტაბით დღევანდელი სახელმწიფო და კომერციული გეოინფორმაციული სისტემების არსებობა.

საქართველოში მონაცემთა სივრცითი ანალიზის ტექნოლოგიების – გეოინფორმაციული სისტემების (გის) განვითარებას დაახლოებით სამი ათეული წლის წინ ჩაეყარა საფუძველი, როდესაც 1987 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრაზე ნ. ბერუჩაშვილის ინიციატივით ახალი სასწავლო მიმართულება – გეოინფორმატიკა დაარსდა, კათედრას კი კარტოგრაფია-გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის კათედრა ეწოდა (გორდეზიანი, 126). ამ დროს მიმდინარეობდა სხვადასხვა თემატიკის (საქართველოს ცალკეული რეგიონებისა და ლანდშაფტების სტექსების დინამიკა, ბუნებრივი კატასტროფების გავრცელება და სხვ.) რასტრული რუკების შექმნა, რისთვისაც სხვადასხვა პროგრამებს (DEGAS, NEOCHRON, GRAFIC, ARTIST) იყენებდნენ (ნიკოლაიშვილი ..., 23).

1990 წელს ნ. ბერუჩაშვილმა პირველი გრაფიკული გის-ის პროგრამა – Dr. Halo შემოიტანა. 1993 წელს მისი ავტორობით ამ მიმართულებით პირველი სახელმძღვანელო – „პერსონალური კომპიუტერები გეოგრაფიაში“ – გამოვიდა. მაგრამ რეალურად საქართველოში გის-ების განვითარება 1991 წლიდან დაიწყო, როდესაც მან პროფესიონალური პროგრამა – MapInfo დანერგა. სწორედ მისი გამოყენებით თსუ-ს „აეროკოსმოსური მეთოდებით გარემოს მდგომარეობათა შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში“ (დამაარსებელი ნ. ბერუჩაშვილი) იქმნებოდა საქართველოს სხვადასხვა მასშტაბის ციფრული საფუძვლები, დგებოდა თემატური რუკები და ტარდებოდა გის-ანალიზი (ნიკოლაიშვილი ..., 23).

აღნიშნული ლაბორატორია გახდა გის-ების სპეციალისტების სამჭედლოც. საქართველოში ამ საქმის პიონერები: ასმათ ახმეტელი, თამარ ბაკურაძე, დალი ნიკოლაიშვილი, მანანა ქურთუბაძე, მალხაზ ხურციძე, ზურაბ ჯინჭარაძე და სხვები აღნიშნულ ლაბორატორიაში უშუალოდ ნ. ბერუჩაშვილისგან სწავლობდნენ გის-ის თეორიას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. მათი მონაწილეობით შეიქმნა პირველად მომხმარებელზე ორიენტირებული გის – „საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გეოინფორმაციული სისტემა“.

უნდა ითქვას, რომ პროფესორი ნ. ბერუჩაშვილი მსოფლიო მასშტაბის გამორჩეული ფიგურა იყო ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებაში. მისმა ქარიზმამ და ახალი ტექნოლოგიებისადმი სწრაფვამ მნიშვნელოვნად დააჩქარა საქართველოში გის-ის განვითარების პროცესი. იგი ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო.

ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 90-იანი წლების დასაწყისში პარალელურად უკვე არსებობდა ფერადგამოსახულებიანი გის-ის ერთგვარი პროტოტიპი, რომელიც შექმნეს მაშინდელი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებმა ქ. თბილისისთვის. ამ პროდუქტის იდეის ავტორი და სულის ჩამდგმელი კი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იოსებ სალუქვაძე იყო.

1992 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის კათედრასთან „დედამიწის დისტანციური ზონდირების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი“ დაარსდა. მისი შექმნის იდეა და ინიციატივა პროფესორ გიორგი აბულაძეს ეკუთვნის. იდეის ხორცშესხმაში დიდი წვლილი მიუძღვის კათედრის გამგეს, აკადემიკოს ზურაბ ტატაშიძეს. სასწავლებლის ადმინისტრაციული კორპუსის სახურავზე დამონტაჟებული დედამიწის მეტეოროლოგიური ხელოვნური თანამგზავრებიდან (Meteosat – ევროპული სტაციონალური თანამგზავრი და NOAA – ორბიტალური ამე-

რიკული თანამგზავრი) ცენტრი ოპერატიულ რეჟიმში ჩვენი პლანეტის წვრილმასშტაბიან სატელიტურ სურათებს იღებდა. მათი ინტერაქტიური პროგრამული დამუშავების შედეგები არაერთ სამეცნიერო კვლევასა და სადისერტაციო ნაშრომს დაედო საფუძვლად. ცენტრი აღჭურვილი იყო გერმანული წარმოების მ მკარლ ცაისი) პრეციზიული სტერეოფოტოგრამმეტრიული და ანალიტიკური ხელსაწყო-დანადგარებით. მალე ისინი კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა ჩაანაცვლა (ლაოშვილი, 78, 88).

ამასობაში პირველი გის-ის არასამთავრობო ორგანიზაციაც გამოჩნდა ასპარეზზე. 1994 წელს მ. ხურციძემ და ზ. ჯინჭარაძემ თანამოაზრეებთან ერთად „საქართველოს გეოინფორმაციული ცენტრი“ (Ginfo) შექმნეს, რომლის აქტიურმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა უნივერსიტეტის კედლებს გარეთ გის-ის ტექნოლოგიების განვითარების პროცესს. მის ბაზაზე 1998 წელს გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის (United Nations Environment Programm — UNEP) მიმართულების — UNEP/GRID ხელშეწყობით შეიქმნა თემატური არასამთავრობო ორგანიზაცია GRID–თბილისი (ზ. ჯინჭარაძე, თ. ბაკურაძე, მ. ქურთუბაძე და სხვები). იგი დღემდე გარემოს დაცვის პრობლემატიკით არის დაკავებული (ნიკოლაიშვილი ..., 24).

უფრო ადრე, 1991 წელს, გ. აბულაძე ქმნის გეოინფორმაციული სისტემებისა და დისტანციური ზონდირების სამეცნიერო-სასწავლო ცენტრს – „დედამიწას“, რომელიც დასაწყისში ძირითადად დისტანციური ზონდირების განხრით მუშაობდა. დღეისათვის მისი საქმიანობის მთავარი მიმართულებებია გის-ისა და დზ-ის პროგრამული პროდუქტების სწავლება, კონსულტაციები და პროექტები.

1998 წელს Ginfo-ს და „დედამიწის“ ინტელექტუალური რესურსების გაერთიანებით მ. ხურციძემ და გ. გოცირიძემ გის-ისა და დზ-ის საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი“ დააარსეს, რომელიც ESRI-ისა და ERDAS-ის პროგრამულ პროდუქტებს იყენებს. იმ დღიდან მოყოლებული, მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოში გის-ის განვითარების მოტივაციები, ტემპები და მასშტაბები. „გეოგრაფიკი“ 2008 წლამდე „Data +„-ის (ESRI-ის წარმომადგენელი დსთ-ს სივრცეში) დისტრიბუტორი იყო საქართველოში, ამჟამად კი ESRI-ის ოფიციალური წარმომადგენელია (ლაოშვილი, 143).

იმ პერიოდში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა დისტანციური ზონდირების კომპიუტერული ტექნოლოგიები, პირველ რიგში — ERDAS Imagine, რომელსაც ამერიკული კომპანია ERDAS (Earth Resources Data Analysis) აწარმოებდა. მისი დახმარებით შესაძლებელი იყო აეროკოსმოსური გადაღების სურათების ორთოფოტორექთიფიკაცია (ორთოფოტოების დამზადება), მათი დეშიფრირება და სპექტრა-ზონალური ანალიზი, მონაცემთა სამგანზომილებიანი მოდელირება და სხვა. იგი ძირითადად რასტრულ გამოსახულებებთან მუშაობს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში გის-ის ფორმატსაც იყენებს. დღეისათვის ERDAS Imagine-ს კორპორაცია Intergraph-ი აწარმოებს.

საქართველოში გის-ის ნამდვილი ბუმი დაიწყო. „გეოგრაფიკმა“ ყინული დაძრა. აქამდე სახელმწიფო უწყებები და ბიზნესსექტორი ეჭვის თვალით უყურებდნენ გის ტექნოლოგიებს. ამიერიდან ყველაფერი სხვანაირად წარიმართა — გრანდიოზული გის პროექტების ეპოქა დაიწყო.

2000 წლიდან საქართველოში გერმანიის რეკონსტრუქციისა და აღორძინების საკრედიტო დაწესებულების (KFW) ფინანსურ-ტექნიკური დახმარებით, ასევე UNDEP-ის, USAID-ისა და მსოფლიო ბანკის მონაწილეობით, მიწის კადასტრს ჩაეყარა საფუძველი. საქართველოს მხრიდან პროექტის პარტნიორი 1996 წელს დაარსებული მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი (თავმჯდომარე – ზ. გეგეჭკორი) იყო. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ი. სალუქვაძემ, მ. ხურციძემ, გ. გოცირიძემ, დ. ლიპარტელიანმა, ჯ. ებანოიძემ და სხვებმა. აღნიშნული პროექტი საქართველოში მიწის ბაზრის განვითარებას ემსახურებოდა. ერთიანი სისტემის ფარგლებში შეიქმნა ნაკვეთების ციფრული საკადასტრო რუკები. 2004 წლიდან პროექტის ერთგვარ გაგრძელებას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქმიანობა წარმოადგენს, სადაც გის-ის ფორმატში შესაძლებელია უძრავი ქონების დარეგისტრირება.

2000 წლიდან მიწის კადასტრის პროექტის ფარგლებში „დედამიწამ“ გის-ის ტექნოლოგიებში რამდენიმე ათეული ადამიანი მოამზადა. კურსდამთავრებულები დღეს წარამტებით ხელმძღვანელობენ საჯარო რეესტრის ცენტრალურ და რეგიონულ ოფისებს. KFW-ს პროექტმა არნახული ბიძგი მისცა საქართველოში გის-ისა და დედამიწის დისტანციური ზონდირების განვითარებას. მის ფარგლებში მოხდა ახალი ტექნოლოგიებით ქვეყნის ტერიტორიის ფერადი აეროგადაღება და გადაღების მასალების ფოტოგრამმეტრიული დამუშავება. ქართველ სპეციალისტებს ამ საქმის ხელოვნებას „გეოგრაფიკის“ მოწვევით „Data +„-ის ექსპერტი ვიაჩესლავ ზაიცევი აზიარებდა. მათ მოკლე დროში აითვისეს ERDAS OrthoBASE. ამ

ჯგუფის საფუძველზე ცალკე ორგანიზაცია – „ფიორტო“ შეიქმნა, რომელიც წლების განმავლობაში ფოტოგრამმეტრიულ სამუშაოებს აწარმოებდა.

1998 წლამდე საქართველოში გის-ის ტექნოლოგიები სპონტანურად, სტიქიურად ვითარდებოდა და სახელმწიფო პრაქტიკულად არ იყენებდა მათ. დღეს ის ოფიციალურ დონეზე ვითარდება და ფართოდ არის დანერგილი ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში (ნიკოლაიშვილი ..., 24). მძლავრი უწყებრივი გეოინფორმაციული სისტემები წარმატებით ფუნქციონირებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, თბილისის მერიაში, თავდაცვის უწყებაში, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებსა და სხვა უწყებებში. კორპორაციული გის-ები ვითარდება „ეი-ე-ეს თელასში“, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“, „კავკასუს ონლაინში“, „ახალ ქსელებში“, ნავთობ-კორპორაციაში და სხვ. მას მთელი ქვეყნის მასშტაბით იყენებს არასამთავრობო და კერძო კომერციული სექტორი.

გის-ის ტექნოლოგიებმა ნელ-ნელა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებშიც მოიკიდა ფეხი. ქართულ სამეცნიერო სივრცეში მისი დანერგვის ფლაგმანი გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგთა ჯგუფი იყო, რომელიც შემდგომში „სეისმური მონიტორინგის ცენტრად“ ჩამოყალიბდა. დღეისათვის ცენტრი დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) შემადგენლობაში შედის. სწორედ გის-ის ტექნოლოგია იქნა გამოყენებული საქართველოს სეისმური საშიშროების რუკების მოსამზადებლად. აღნიშნული სამუშაოები 1996 წლიდან მიმდინარეობდა: მომზადდა საქართველოს სეისმური კერებისა და მიწისძვრათა კატალოგის ციფრული გეოგრაფიული ფენები, მოხდა კერების პარამეტრიზაცია და სეისმური საშიშროების შედეგების გის-ფორმატში ინტეგრირება, ანალიზი და კარტირება. მიღებული შედეგები საფუძვლად დაედო საქართველოს ახალ სამშენებლო ნორმებს (2009 წელი).

სეისმური საშიშროების შეფასების პარალელურად აქტიურად მიმდინარეობდა გის-ის ტექნოლოგიის გამოყენება სხვა მიმართულებებითაც. კერძოდ, მომზადდა საქართველოს ციფრული გეოლოგიური რუკა 2003-2006 წწ. (მასშტაბი 1:500 000), სხვადასხვა გეოფიზიკური ველების (მაგნიტური და გრავიტაციული ანომალიები, ჰელიუმის ანომალიები დაა სხვა) ციფრული რუკები; გის გამოყენებულ იქნა კატასტროფის სცენარის მოდელირებისათვის ენგურის მაღლივი კაშხლისათვის. გარდა Desktop აპლიკაციებისა და მათი პროდუქტებისა, ასევე განვითარდა გის-ის ვებაპლიკაციები, რის თვალსაჩინო მაგალითსაც წარმოადგენს სეისმური მონიტორინგის ცენტრის ვებგვერდზე (www.Seismo.ge) განთავსებული მიწისძვრების „ონლაინ“ კატალოგი და ოპერატიული შეტყობინების სისტემა.

თითქმის იმავე პერიოდში გეოგრაფიის ინსტიტუტში გის-ის ჯგუფმა დაიწყო საქმიანობა. მრავალთა შორის მათი მნიშვნელოვანი პროდუქტია „საქართველოს ეროვნული ატლასი“, რომელიც 2010 წელს დაისტამბა.

გის-ის მნიშვნელოვანი პროდუქტია 2006 წელს საქართველოს სამხედრო საინჟინრო აკადემიაში პროფესორ, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის ინიციატივით შექმნილი „საქართველოს 1:200000 მასშტაბის სამხედრო გეოინფორმაციული სისტემა“, რომლის მთავარ ღირსებას მონაცემთა სპეციალური საძიებო ინსტრუმენტი წარმოადგენს. იგი რამდენიმე სახელმწიფო უწყებაში დაინერგა.

„გეოგრაფიკის“ ინტელექტუალურ ბაზაზე არაერთი დამოუკიდებელი გის-ის მწარმოებელი კომპანია გაჩნდა. მათ შორის გამოიყოფა: „ჯეოლენდი“, „ჯეოლაბი“, „თბილისი ჯგუფი“, „გეოსკოპი“, „იდეა დიზაინ ჯგუფი“, „სკაფისი“ და სხვა. თემატური გის-ებიდან აღსანიშნავია: ილიას უნივერსიტეტის „სეისმური მონიტორინგის ცენტრი“ და „ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრი“.

გის-ების სწავლება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. „გეოგრაფიკი“ ESRI-ის სერთიფიცირებული სასწავლო ცენტრია, რომელიც მისი პროგრამებით, მეთოდოლოგიითა და მონაცემებით ასწავლის გის სისტემებს.

გის-ების აკადემიურ სწავლებას დღეს უკვე დიდი ყურადღება ექცევა ზოგიერთ უმაღლეს სკოლაშიც. კერძოდ, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში მონაცემთა სივრცითი ანალიზის ტექნოლოგიებს, უკვე მეოთხე წელია, ტურიზმის განხრით ასწავლიან. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „გეოგრაფიკის“ მხარდაჭერითა და მონაწილეობით შეიქმნა თანამედროვე სტანდარტების სასწავლო ცენტრი. საგანგებო ყურადღება ექცევა ამ თემატიკას სტუ-ის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გის ყველა მოდულის სტუდენტისათვის სავალდებულო საგანს წარმოადგენს.

2004 წელს გამოვიდა დ. ნიკოლაიშვილის დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლის გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის — „გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები". მასში მაღალაკადემიურ დონეზეა განხილული გეოინფორმატიკის, ციფრული კარტოგრაფიის, გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემების ფუნდამენტური საკითხები. ნაშრომმა დიდი როლი ითამაშა გის-ების განვითარებაში. ის დღემდე სამაგიდო წიგნია გეოინფორმატიკითა და მონაცემთა სივრცითი ანალიზის ტექნოლოგიებით დაინტერესებული პირებისთვის.

შეიძლება გამოიყოს საქართველოში გის-ების განვითარების ზოგადი ტენდენციები. საწყის ეტაპზე სხვადასხვა მასშტაბის გის-ის ფორმატის ციფრული საფუძვლები იქმნებოდა. თანდათანობით გაჩნდა თემატური გის-პროდუქტები. მოგვიანებით ამას დაემატა ანალიზისა და პროგრამირების ელემენტები, რამაც არაერთი ქართულენოვანი სამომხმარებლო გის-ის პროგრამულ პროდუქტს ჩაუყარა საფუძველი. ასე მაგალითად, 2002 წელს ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების მართვის გაუმჯობესების მიზნით, „გეოგრაფიკში" შემუშავდა პროგრამული უზრუნველყოფა Sity Analyst. დღეს იგი დოკუმენტაციის შენახვასა და სისტემატიზაციაში, შენობა-ნაგებობების მდგომარეობის შეფასებაში, სამშენებლო და სარეკონსტრუქციო ღონისძიებების დაგეგმარებაში, ქალაქმშენებლობით კონტროლსა და მონიტორინგში და სხვ. გამოიყენება. პროექტი დაინერგა თბილისის, ქუთაისის, გორისა და ფოთის არქიტექტურისა და მშენებლობის საქალაქო სამსახურებში.

გის ქვეყნის მასშტაბით თანდათანობით იკიდებს ფეხს, როგორც გადაწყვეტილების პროცესის გამარტივების ეფექტური ინსტრუმენტი. მისი დახმარებით პროცესების წინასწარი დაგეგმვა შემდგომში ფინანსების დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა.

მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, გარკვეული ობიექტური პრობლემები მაინც იჩენს თავს: დღემდე არ არსებობს ერთიან სტანდარტებში შექმნილი ზოგადი და თემატური ციფრული საფუძვლები, გის-ის პროდუქტების ერთიანი კატალოგი; მწირია ქართულენოვანი სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა და ა.შ.

2011 წელს საქართველოში დაარსდა გეოინფორმაციული სისტემების განვითარების ფონდი, რომლის მიზანს ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრის ერთობლივი გზების ძებნა წარმოადგენს. ფონდმა მოამზადა და სამთავრობო დონეზე წარადგინა არაერთი სოლიდური საპროექტო წინადადება ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურისა და სხვა მიმართულებით. მისი ეგიდით დაიბეჭდა ზ. ლაოშვილის „გამოყენებითი კარტოგრაფიის საფუძვლები გეოინფორმაციული სისტემების სპეციალისტებისათვის".

ყოველწლიურად, ნოემბრის თვეში, „გეოგრაფიკი" გის-ის საერთაშორისო კონფერენციას ატარებს. 2015 წელს მე-16 კონფერენცია გაიმართა. როგორც წესი, მასზე წარმოდგენილია მსოფლიო გის-ებისა და დზ-ის ტექნოლოგიური სიახლეები, მიღწევები, ახალი პროექტები და სხვა.

გის-ების განვითარების ეტაპები შეიძლება გაერთიანდეს სამ დონედ: აღწერილობითი, ანალიტიკური და მართვის. აქედან საქართველოში უკვე დასრულებულია პირველი ორი – აღწერილობითი და ანალიტიკური. რაც შეეხება მართვის ეტაპს, შეიძლება ითქვას, რომ ის ზოგიერთ ორგანიზაციაში უკვე დაწყებულია (მაგ., თბილისის მერია, თელასი, GWP, ახალი ქსელები და სხვ.).

სახელმწიფო დონეზე გის-ის განვითარების თვალსაჩინო მაგალითია ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება (NSDI – National Spatial Data Infrastructure), რომელსაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ევროკავშირის მოთხოვნისამებრ ახორციელებს. იგი ეფუძნება ევროპარლამენტის დირექტივას – INSPIRE, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები თანხმდებიან ევროპის ფარგლებში საბაზისო გეოგრაფიული მონაცემების თავისუფალ გაცვლასა და ჰარმონიზაციაზე.

NSDI წარმოადგენს ინსტიტუციონალური ქმედებების, ტექნოლოგიების, წესების, სტანდარტების, მონაცემებისა და ადამიანური რესურსების კოორდინირებულ სისტემას, რომელიც ეროვნულ დონეზე სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის, მუნიციპალური თვითმმართველობებისათვის, აკადემიური წრეებისათვის, ბიზნეს-სექტორისა და ზოგადად მოქალაქეებისათვის სივრცითი მონაცემების მოძიების, შეფასების, გამოყენებისა და გაზიარების ეფექტურ საშუალებას იძლევა.

გეოგრაფიული მონაცემების ბაზარი ყოველწლიურად იზრდება 10-30%-ით. შესაბამისად, სწრაფად ვითარდება ობიექტის ძებნის, მდებარეობის განსაზღვრისა და ნავიგაციის სერვისები. გეოგრაფიულ მონაცემებზე მოთხოვნა მატულობს უძრავი ქონების ბაზარზე, სადაზღვევო და ტურისტულ ინდუსტრიებში,

სატრანსპორტო სექტორში და ა.შ. დღევანდელი ბაზრისთვის საჭირო სივრცით მონაცემებზე წვდომა ხშირ შემთხვევაში რთულია, დაკავშირებულია დიდ დროსა და ხარჯებთან, შესაბამისად, არ ხდება მათი ეფექტურად გამოყენება.

სწორედ არსებული მდგომარეობის შეცვლას ისახავს მიზნად სახელმწიფო ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნითა და განვითარებით. ეს მაქსიმალურად გაზრდის საქართველოში არსებული გეოგრაფიული მონაცემებიდან მიღებულ საზოგადოებრივ სარგებელს. გეოგრაფიული მონაცემების ახალი და გაუმჯობესებული სერვისები და მათი გამოყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ბიზნესის სექტორის, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და, ზოგადად, საზოგადოების მდგრადი განვითარებისათვის უკეთეს წინაპირობებს შექმნის.

პროექტის ფარგლებში შემუშავებულია გის-ის განათლების მიმართულებით 2016-2018 წლების სტრატეგია. საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 9 ოქტომბერს მიიღო N262 დადგენილება „საქართველოში ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“, რის შემდეგაც ჩატარდა გარკვეული სამუშაოები, გაიზარდა ცნობიერება და აღნიშნული ცნების არსი უფრო გასაგები გახდა. უნივერსიტეტებში ჯერჯერობით არ მიმდინარეობს სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის ცალკე კურსად სწავლება, თუმცა მომავალში ეს იგეგმება. სასწავლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს ცოდნის მიღება შემდეგი მიმართულებით: სივრცითი ინფორმაციის წარმოება და შენახვა, სივრცითი ინფორმაციის ხარისხის მართვა, WEB რუკების შექმნა და გამოყენება, მეტამონაცემების გენერირება, პროგრამული ენების გამოყენება გეოინფორმაციულ სისტემებში, თანამედროვე სატელიტური ინფორმაციის გამოყენებისა და მიღების შესაძლებლობები, სივრცითი მონაცემების კლასიფიცირება და სტანდარტიზაცია.

NSDI-ის პარალელურად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უკვე რამდენიმე წელია გეოსივრცითი მონაცემების ღია კონსორციუმის – OGC-ის წევრია. ტარდება კონსულტაციები ისეთ თემებზე, როგორიცაა: სივრცითი მონაცემების ინტერნეტში განთავსება, უსაფრთხოება, მონაცემთა შენახვა, გეოსემანტიკა, ინტერნეტ-დირექტივასთან შესაბამისობა, დაფარულობის სტანდარტების ჰარმონიზაცია, ურბანული დაგეგმარება, ადგილმდებარეობის განსაზღვრის მობილური სერვისები და ა.შ. კონსორციუმის მიზანი გეოინფორმაციული სერვისების კუთხით საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებაა. იგი 400-ზე მეტ ორგანიზაციას, კომპანიას, სახელმწიფო სააგენტოსა თუ უნივერსიტეტს აერთიანებს. თითოეული მათგანი გეოგრაფიული მონაცემების დამუშავების სტანდარტებისა და მოთხოვნების შემუშავების კუთხით საქმიანობს. აღნიშნული სტანდარტები და მოთხოვნები ხელს უწყობს სხვადასხვა გეოინფორმაციული სისტემების, მობილური კავშირებისა და ლოკალიზებული მომსახურების (LBS) ერთმანეთთან თავსებადობას, აგრეთვე — ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელებას და ეხმარება სისტემებისა თუ პროგრამების შემქმნელებს მომხმარებლისთვის კომპლექსური გეოსივრცითი ინფორმაციისა და მომსახურების წვდომის უზრუნველყოფაში.

თბილისის მერია გასული საუკუნის მიწურულიდან მეტნაკლები ინტენსივობით იყენებს გის-ის ტექნოლოგიებს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში ერთი უწყების სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის არ არსებობდა კოორდინაცია და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის მექანიზმი, სივრცითი მონაცემების ერთიანი სერვერი. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევაში შიდა კონკურენცია აფერხებდა ამ სისტემების განვითარებასა და გამოყენების ეფექტიანობას. ამ მიზნით, 2015 წელს შეიქმნა მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო (MSDA), რომლის მიზანია მუნიციპალური სერვისების ერთ სივრცეში განთავსება (ამ საქმეს მოემსახურება ინტერნეტგვერდი – my.tbilisi.gov.ge); ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ცენტრალიზებული საქმისწარმოების სისტემის შექმნა (msda.tbilisi.gov.ge); მუნიციპალიტეტის ერთიანი ინტერაქტიური რუკის შექმნა (msda.tbilisi.gov.ge). ეს ყველაფერი ემსახურება ერთიან გეოსივრცით მონაცემთა ელექტრონული სისტემების დანერგვასა და განვითარებას. MSDA-სთვის ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის ერთიანი გეომონაცემთა ბაზა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც გის-ის ტექნოლოგიის ეფექტურობა ესმის, ნელ-ნელა იზრდება და დღეს უკვე დაახლოებით 200-ზე მეტი მომხმარებელია. საქართველოში გეოინფორმაციული ტექნოლოგიები ინტენსიურად ვითარდება უკვე სახელმწიფოს დონეზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გორდეზიანი თ. რუკათმცოდნეობა. მეორე ნაწილი (კარტოგრაფიის განვითარების ისტორია). თბილისი, 2000.

2. ლაოშვილი ზ. გეოგრაფია ყველასათვის. თბილისი, 2016.

3. ნიკოლაიშვილი დ., ხურციძე მ., დემეტრაშვილი ო., ფხაკაძე შ. გეოინფორმაციული სისტემების განვითარების ისტორიიდან. სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს გეოგრაფია“, 2004, (3), 19-27.

ზ. ლაოშვილი

გეოინფორმაციული სისტემები საქართველოში

რეზიუმე

საქართველოში მონაცემთა სივრცითი ანალიზის ტექნოლოგიები –გეოინფორმაციული სისტემები (გის) არსებობის სამ ათეულ წელზე მეტს ითვლის. 1998 წლამდე იგი სპონტანურად, სტიქიურად ვითარ-დებოდა. დღეს გის ოფიციალურ დონეზე ფართოდ არის დანერგილი ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. მისი განვითარების სამი დონიდან – აღწერილობითი, ანალიტიკური და მართვის — საქართველოში პირველი ორი უკვე დასრულებულია. რამდენიმე ორგანიზაცია გის ტექნოლოგიებს უკვე იყენებს მონაცემთა მართვის საქმეში. სახელმწიფო დონეზე გის-ის განვითარების თვალსაჩინო მაგალითია ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI – National Spatial Data Infrastructure) ჩამოყალიბება, რომელსაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ევროკავშირის მოთხოვნისამებრ ახორციელებს.

Z. Laoshvili

Geographical Information Systems in Georgia

Summary

Spatial data analysis technology in Georgia – Geographical information Systems (GIS) exists more than three decades. Till 1998 year GIS progressed spontaneously. Nowadays GIS is developing at an official level and is widely applied in almost all of human activity areas. In Three level of development – Description, analysis and management, in Georgia the first two already have been finished. Some of organizations are already using GIS in data management. Notable example of the state GIS development formation is NSDI – National Spatial Data Infrastructure, which is realized by national agency of public registry as EU union requested.

ნ. ლაცაბიძე

სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების ფორმირების ზოგიერთი ასპექტი

შრომის ბაზარზე კვლევის მთავარი ობიექტია სამუშაო ძალა. სპეციალისტებზე დამსაქმებელთა (დამქირავებელთა) მოთხოვნის შესწავლა საშუალებას იძლევა დადგინდეს: რა სურს დამსაქმებელს, მომუშავის რომელი ხარისხობრივი მახასიათებლებია მისთვის მნიშვნელოვანი. სამუშაო ძალაზე მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნის სისტემატური კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს სინამდვილეში, რადგან შრომის ბაზრის ფორმირება-ფუნქციონირება მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობს. სახელდობრ: ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების ფონზე სწრაფად იცვლება პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციისადმი წაყენებული მოთხოვნები, დიდია დისბალანსი სპეციალისტებზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, უმუშევრობის მაღალი დონის პირობებშიც კი საგრძნობია ცალკეული პროფესიისა და კვალიფიკაციის სპეციალისტების დეფიციტი, არ არსებობს შრომის ბაზრის ერთიანი საინფორმაციო სისტემა და სხვა.

სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესწავლა საკმაოდ შრომატევადი და სპეციფიკური საკითხია. სრულფასოვანი ინფორმაციის მიღება, რომლის გაანალიზებისა და კრიტიკული შეფასების საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს დასკვნები და შემუშავდეს დასაბუთებული რეკომენდაციები, საჭიროებს ბაზრის სისტემატურ, ყოველმხრივ კვლევას. შრომის ბაზრის კვლევის სირთულის (მათ შორის უპირველესია კვლევების დაუფინანსებლობა) მიუხედავად, ეროვნული შრომის ბაზრის საკითხებზე მომუშავე მკვლევრები ერთობლივი პროექტებისა თუ ინდივიდუალური კვლევის ფარგლებში ახორციელებენ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესწავლას. მაგალითისათვის მოვიტანთ რამდენიმე კვლევას. სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის კვლევა ჩატარდა 2010 წელს დანიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ დაფინანსებული საერთაშორისო გრანტის — „შრომის ბაზრის კვლევა“ ფარგლებში. პროექტით განხორციელდა საქართველოს ეროვნული და ლოკალური შრომის ბაზრების ფორმირებისა და ფუნქციონირების მეცნიერული შეფასება, სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლა. სამუშაო ძალაზე მოთხოვნის გაღრმავებული შესწავლა მოხდა დამსაქმებელთა სპეციალური გამოკითხვის გზით. გამოყენებული იქნა ინტერვიუ-ანკეტირების მეთოდი. კვლევა განხორციელდა შიდა ქართლის რეგიონში -აქ რეგისტირებული 100 მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოს შერჩევის და საწარმოს ხელმძღვანელი პირის ინტერვიუს გზით. დანიის ლტოლვილთა საბჭოს პროექტის — სარეინტეგრაციო საქმიანობის კონსოლიდაცია საქართველოში ფარგლებში, 2011 წელს განხორციელდა კვლევა „შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია“. კვლევის პროცესში ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების თავისებურებების, დაბრუნებულ ემიგრანტთა რეინტეგრაციის და სხვა საკითხებთან ერთად გამოკვლეულ იქნა დამსაქმებელთა მოთხოვნა ლოკალურ შრომის ბაზრებზე (ქ. რუსთავისა და ქ. ქუთაისის მაგალითზე).

გარდა ზემოაღნიშნულისა, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიგრაციის კვლევის ცენტრის მკვლევრების მიერ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შესწავლას მიეძღვნა არაერთი კვლევა, რომელიც აისახა სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციებში. მკვლევრების მიერ ასევე შესწავლილი და გაანალიზებული იქნა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები სპეციალისტებზე (სამუშაო ძალაზე) მოთხოვნის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის კვლევისას, ასევე სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის მასალების გაანალიზებისას, აქცენტი გადატანილი იყო სპეცალისტებზე მოთხოვნის ფორმირების განმაპირობებელ სხვადასხვა ასპექტებზე, კერძოდ: რა პროფესიისა და კვალიფიკაციის კადრების დეფიციტს განიცდიან დამსაქმებლები; როგორია მიმდინარე მოთხოვნა სპეციალისტებზე; უახლოეს პერსპექტივაში, რა კატეგორიის კადრებზე შეიძლება იყოს დამსაქმებელთა მხრიდან მოთხოვნა, ჭირდებათ თუ არა სახელმწიფოს დახმარება მათთვის საჭირო სპეციალისტების მომზადება-გადამზადებაში, რა არის ბიზნეს სექტორის წარმატებული ფუნქციონირების ხელისშემშლელი პირობები, გეგმავენ თუ არა უახლოეს პერსპექტივაში მომუშავეთა რაოდენობის გაზრდას, რა პრობლემები აქვთ დამსაქმებლებს სასურველი პროფესიისა და კვალიფიკაციის სპეციალისტების მოზიდვისას, რა უშლით ხელს ბიზნესის გაფართოებაში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში და რა გზებს ხედავენ პრობლემების გადასაჭრელად.

სამუშაო ძალაზე მოთხოვნის კვლევის შედეგების გაანალიზება-შეფასების საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ დამსაქმებელთა მხრიდან სპეციალისტებისადმი წაყენებულ მოთხოვნები:

- სპეციალისტებზე მოთხოვნას როგორც საწარმოს, ასევე რეგიონის და მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, განსაზღვრავს წარმოების მოცულობა. წარმოების მასშტაბების ზრდის როლს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და აქედან გამომდინარე, დასაქმების გაფართოებაში, ერთმნიშვნელოვნად აღიარებს მეწარმეთა უმრავლესობა.
- მეწარმეები განსაკუთრებული სიფრთხილით უდგებიან პერსონალის რიცხოვნობის ზრდის საკითხებს. ისინი თვლიან, რომ სპეციალისტების დაქირავება დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, დაქირავების შემთხვევაში პერსონალმა უნდა გაიაროს პროფესიული, ფსიქოლოგიური და სოციალური ადაპტაციის რთული პროცესი, მათი გათავისუფლებაც, საჭიროების შემთხვევაში, მეწარმეებს გარკვეულ პრობლემებს უქმნის.
- ლოგიკურია ის მოთხოვნები, რასაც მეწარმეები სახელმწიფოს წინაშე აყენებენ. ისინი, უპირველეს ყოვლისა, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას მოითხოვენ. კერძოდ, მათთვის მნიშვნელოვანია საგადასახადო ადმინისტრირების წესების გამარტივება, გადასახადის განაკვეთების შემცირება და სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებისათვის შეღავათიანი კრედიტის მიღება.
- მეწარმეთა უმრავლესობის აზრით, სამუშაოზე მიღებისას ძირითადი მოთხოვნებია: კვალიფიკაცია, პასუხისმგებლობა, უცხო ენის ცოდნა, კომუნიკაბელურობა, საზრიანობა, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, ინიციატივიანობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, თეორიული ცოდნა.
- მეწარმეები კადრების მომზადების, გადამზადებისა თუ შერჩევის საკითხებში სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ და საჭიროდ არ თვლიან სახელმწიფოს ჩარევას. ისინი ახალი სამუშაო ადგილების შექმნას მხოლოდ სამეწარმეო გარემოს არსებითი გაუმჯობესების კვალობაზე გეგმავენ.
- საწარმოებში კადრების მოზიდვის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა პირადი კონტაქტები და რეკომენდაციები. კომპანიებში ძირითადად გამოიყენება კადრების შერჩევისა და შეფასების ის მეთოდები, რომელიც პერსონალის დაქირავების ხარჯებს მინიმუმამდე დაიყვანს. უმნიშვნელოა სასწავლო დაწესებულებების როლი კადრების დაკომპლექტებაში.
- შრომის ლოკალური ბაზრების კვლევამ აჩვენა, რომ უმუშევრობის მაღალი დონის პირობებშიც კი ადგილი აქვს ცალკეულ სპეციალობებზე დეფიციტს.

შრომის ბაზრის კონიუნქტურის განმსაზღვრელი მოთხოვნასთან ერთად არის სამუშაო ძალის მიწოდება. ეს უკანასკნელი მოთხოვნასთან შედარებით განსხვავებული ფაქტორების ზეგავლენით ფორმირდება. თუ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის განმსაზღვრელი საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობაა, მიწოდება უმთავრესად მოსახლეობის რაოდენობით და სქესობრივ-ასაკობრივი სტუქტურით განისაზღვრება. გარდა დემოგრაფიული ფაქტორისა, სამუშაო ძალის მიწოდებაზე გავლენას ახდენს განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემა, მოსახლეობის განათლების დონე, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, გარემიგრაციული ნაკადები და ა.შ.

სამუშაო ძალის ფორმირების დემოგრაფიული ბაზა ქვეყანაში შეიძლება ითქვას, რომ მძიმე მდგომარეობაშია. საქართველოში, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, მცირდება მოსახლეობის რიცხოვნობა, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 1989 წელს საქართველოს მოსახლეობა 5400.8 ათასი კაცი იყო, 2000 წლისათვის 4435.2 ათასი, 2010 4436.4 ათასი, 2014 წლისათვის 4490.0 ათასი, ხოლო 2015 წლის პირველი იანვრისათვის 3729.5 ათასი კაცი. სამუშაო ასაკში შესული მოსახლეობის რიცხოვნობაზე უარყოფითად იმოქმედა მოსახლეობის ბუნებრივი მატების დაბალმა ტემპებმა. ერთობლივი სამუშაო ძალა მნიშვნელოვნად შემცირდა მიგრაციის, განსაკუთრებით შრომითი ემიგრაციის ზეგავლენით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები მიახლოებით წარმოდგენასაც ვერ იძლევა მიგრაციის რეალური მდგომარეობის შესახებ. 2000 წლიდან 2014 წლის ჩათვლით პერიოდში 2009, 2010, 2011 წლებში დაფიქსირდა მიგრაციის დადებითი სალდო, სხვა წლებში ქვეყანაში მიგრაციის უარყოფითი სალდო ფიქსირდება. მიგრაციასთან, კერძოდ, გარე შრომით მიგრაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოსახლეობის რიცხოვნობას საგრძნობლად ცვლის, რადიკალურად განსხვავებულია საექსპერტო შეფასებები. მაგალითად, რ. გაჩეჩილაძის შეფასებით, 1990-1996 წლებში საქართველოში გარემიგრაციის უარყოფითმა სალდომ 620 ათასი შეადგინა. გ. წულაძის, ნ. მაღლაფერიძის და ა. ვადაჭკორიას გაანგარიშებით,

1990-2000 წლებში გარემიგრაციის უარყოფითმა სალდომ 1 200 ათასი კაცი შეადგინა. პროფ. მ. ტუხაშვილის შეფასებით, 1989-2002 წწ. აღწერათაშორის პერიოდში საქართველოდან საზღვარგარეთ მუდმივად გადასახლდა ერთი მილიონი მიგრანტი, შრომით მიგრანტთა წილი მოსახლეობაში 6-8%-ის ფარგლებშია და, სავარაუდოდ, 250-350 ათას შრომით ემიგრანტს შორის მერყეობს. სავსებით ვეთანხმებით პროფ. მ. ტუხაშვილის მოსაზრებას შრომითი ემიგრაციის სიმყარესთან და ახლო მომავალში მისი ინტენსიურობის შემცირების არარეალურობასთან დაკავშირებით. ბუნებრივი და მიგრაციული მოძრაობის შედეგად მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება ცხადია, რომ აისახება შრომისუნარიანი მოსახლების რაოდენობასა და შემადგენლობაზე. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე მოსახლეობის შემადგენლობაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. 2014 წელს 2003 წელთან შედარებით შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი მოსახლეობის წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 3.8%-ით შემცირდა, იმავე პერიოდში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი 3.2%-ით, ხოლო შრომისუნარიან ასაკზე უფროსის 0.6%-ით გაიზარდა.

საინტერესოა, მოსახლეობის რიცხოვნობისა და ასაკობრივი შემადგენლობის ფონზე როგორია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში უმუშევრობის დონე ბოლო 12-13 წლის მანძილზე ფაქტობრივად არ შემცირებულა, პირიქით, 2000-დან 2010 წლამდე უმუშევრობის დონე ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 2010 წელს საშუალოდ ქვეყანაში 16,3% შეადგინა. 2011-2014 წლებში უმუშევრობის დონის მაჩვენებელი მცირედ ცვლილებას განიცდის შემცირების თვალსაზრისით — 2014 წელს უმუშევრობის დონე 12,4 % იყო.

აღსანიშნავია, რომ უმუშევრობით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური პრობლემები საქართველოს მოსახლეობისათვის ბევრად უფრო მტკივნეულია, ვიდრე ეს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს. თუმცა დამშვიდების საფუძველს არც ოფიციალური მონაცემები იძლევა. უმუშევრობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების გაანალიზებისას თვალშისაცემია უმუშევრობის განსაკუთებით მაღალი დონე ქალაქებში. აქ უმუშევრობის დონე საშუალოდ 4-5-ჯერ მაღალია სოფელთან შედარებით. ეს ტენდენცია გამოკვეთილია ბოლო ათწლეულის მანძილზე, თუმცა სოფელში უმუშევრობის დაბალი დონე დადებითად ვერ შეფასდება, რადგან იგი შემცირებულია არაეფექტიანი თვითდასაქმების ხარჯზე. ბოლო ათი წლის განმავლობაში ქალაქში დასაქმებულთა შორის 64-72% დაქირავებული, ხოლო დაახლოებით 30% თვითდასაქმებულია, საპირისპირო სურათია სოფლად, სადაც დასაქმებულთა მხოლოდ 18-20%-ია დაქირავებული, დაახლოებით 75-79%-თვითდასაქმებული. დაქირავებულთა და თვითდასაქმებულთა შორის თანაფარდობა თითქმის უცვლელია ბოლო 13 წლის განმავლობაში.

დასაქმებულებს შორის თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წონა ზოგადად არ შეიძლება უარყოფითად შეფასდეს, ვინაიდან თვითდასაქმებული მესაკუთრეა და მისი საქმიანობის მიზანი მოგების ან ოჯახური შემოსავლის მიღებაა. მეტიც, თვითდასაქმების ზრდა მესაკუთრეთა ხვედრითი წონის გაზრდით, დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად უნდა იქნას მიჩნეული. საქართველოს სინამდვილეში თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წონა დასაქმებულთა შორის არ შეიძლება დადებით ტენდენციად ჩაითვალოს. მათი დიდი ნაწილი სოფლად სოფლის მეურნეობაშია ჩაბმული. თავისთავად, სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა დიდ რაოდენობაშიც გასაკვირი არაფერია, მაგრამ დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახურ საწარმოში/მამულში უსასყიდლოდ მომუშავე პირია და რეალურად დასაქმებულად არც კი შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნულის გაუთვალისწინებლობა უმუშევრობის შესახებ არარეალურ და შელამაზებულ სურათს იძლევა. მხოლოდ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება შეიქმნას მოსაზრება, თითქოს საქართველოს რეგიონებში, თბილისთან შედარებით, უმუშევრობის პრობლემა ნაკლებად მწვავეა, ხოლო ცალკეულ რეგიონებში ბუნებრივ დონის ფარგლებშია. 2014 წლის მონაცემებით უმუშევრობის დონე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით ყველაზე მაღალია თბილისში- 22.5%, შემდეგ მოდის აჭარა — 15.8%, სამეგრელო-ზემო სვანეთი- 13.4%. მოსახლეობის არაეფექტიან დასაქმებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ დასაქმებულთა შორის ჯერ კიდევ მრავლად არიან ე.წ. „ფარული“ უმუშევრები. ასევე, ფართოდაა წარმოდგენილი ე.წ. „სეზონური“ უმუშევრობაც, როდესაც მუშაკი მეტნაკლებად სრულფასოვნად დასაქმებულია წელიწადის მხოლოდ რამოდენიმე თვის განმავლობაში.

სამუშაო ძალის მიწოდების პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის განათლების დონეზე და მიღებული განათლების ხარისხზე. ცალკე კვლევისა და მსჯელობის საგანია რამდენად აკმაყოფილებს უმაღლესი სასწავლებლები განათლების აუცილებელ სტანდარტებს და რამდენად კონკურენტუნარიანია ახალკურსდამთავრებული სპეციალისტები ეროვნულ თუ საერთაშორისო შრომის ბაზარზე, მათი რა ნაწილი ახერხებს სამუშაო ადგილის მოძიებას მიღებული სპეციალობის მიხედვით და ა.შ.

კვალიფიციური სამუშაო ძალის — სპეციალისტების მომზადებასა და მიწოდებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს საშუალო პროფესიულმა სასწავლებლებმა. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2013 წელს პროფესიულ პროგრამებზე მიღებას ახორციელებდა 104 სასწავლებელი (75 კერძო, 29 საჯარო), 2014 წელს — 140 (მათ შორის 105 კერძო და 35 საჯარო).

საშუალო პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რიცხოვნობაზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები: 2004 წელს პროფესიულმა სასწავლებლებმა გამოუშვა 7 635, 2007 წელს 10 087 სპეციალისტი. 2013 წელს კუსდამთავრებულთა რაოდენობა 10790 კაცს, ხოლო 2014 წელს 10810 კაცს შეადგენდა. საინტერესოა როგორ შეიცვალა სტუდენტების რიცხოვნობა პროფესიულ პროგრამებზე ბოლო 5 წლის განმავლობაში. 2007/2008 სასწავლო წლისათვის პროფესიულ პროგრამებზე სწავლობდა 17 035 კაცი. მათი ძირითადი ნაწილი სულ რამდენიმე დარგზე მოდის. მოსწავლეთა 38% (6 487 კაცი) სწავლობს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალობებზე, 10% (1 744 კაცი) -ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის, 8% (1 360 კაცი) ეკონომიკის და სამართლის. მოსწავლეთა 32% (5 535 კაცი) მრავალპროფილიან სპეციალობით მზადდება. რაც შეეხება საქართველოსათვის ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორიცაა მრეწველობა და მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სოფლის მეურნეობა და ეკოლოგია, მათზე პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეთა მხოლოდ 2,6%, 1,4% და 1,7% მოდიოდა. 2014 წლისათვის 16184 სტუდენტიდან აგრარულ მეცნიერებებზე სწავლობდა 9.4%, ბიზნესის ადმინისტრირებაზე 20.8%, ინჟინერიაზე 32.3%, ჯანდაცვაზე 16.2% ხელოვნებაზე 7.3%, დანარჩენი სხვა პროგრამებზე.

თუ სპეციალისტთა გამოშვების რაოდენობას შევადარებთ უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების მიხედვით, შემდეგ სურათს მივიღებთ; 2007 წელს უმაღლემა სასწავლებლებმა მოამზადეს 4,1-ჯერ უფრო მეტი სპეციალისტი, ვიდრე საშუალო პროფესიულმა სასწავლებლებმა, 2014 წელს უმაღლესი სასწავლებლების კუსდამთავრებულთა რაოდენობა 1.9-ჯერ აღემატებოდა პროფესიული სასწავლებლების კუსდამთავრებულებს. ამ შედარებით რაიმე კონკრეტული დასკვნის გამოტანა გაჭირდება, მაგრამ ერთი ფაქტი უნდა აღინიშნის, პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტთა რიცხოვნობის ზრდა დადებითად უნდა შეფასდეს. ამასთან, მართებული იქნება იმის აღნიშვნაც, რომ უმაღლესი სასწავლებლები სხვადასხვა მიზეზთა გამო, ამზადებენ ოპტიმალურზე მეტი რაოდენობით სპეციალისტებს, ხოლო პროფესიულ სასწავლებლებში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმ სპეციალისტების მომზადებას, რომლებზეც დამსაქმებლის მხრიდან არის მოთხოვნა. თუ გავითვალისწინებთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას, საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში უნდა მომზადდეს გაცილებით მეტი და კვალიფიციური სპეციალისტი და პროფესიული განათლება გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი მთლიანად განათლების სფეროში.

სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მიწოდების ფორმირების ცალკეული საკითხების გაანალიზება-შეფასება საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ გარკვეული დაკვნები და რეკომენდაციები:

- საქართველოში უმუშევრობის განმაპირობებელ მიზეზთა შორის ერთ-ერთი ძირითადია სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის სტრუქტურული და ხარისხობრივი დისბალანსის არსებობა. ქვეყანაში მომზადებული კადრების პროფესიული სტრუქტურა და მომზადების ხარისხი ხშირად არ შეესაბამება დამსაქმებელთა მოთხოვნებს, რიგი პროფესიის კადრები მზადდება ჭარბი რაოდენობით, ხოლო რიგი პროფესიის მომუშავეებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნაა.
- სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსის შესამცირებლად აუცილებელია დამსაქმებელთა მოთხოვნის სისტემატური კვლევა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე პროფესიული მომზადების სისტემის ორიენტაციის გაძლიერება.
- შრომის ბაზრის კვლევები გარკვეული პერიოდულობით, წელიწადში ერთხელ მაინც, უნდა ტარდებოდეს ყველა რეგიონში. კვლევის შედეგების საფუძველზე უნდა შეიქმნას მონაცემთა ბაზა, 3-5 წლის მანძილზე მონაცემთა დინამიკის ანალიზი ხელს შეუწყობს სამუშაო ძალაზე მოთხოვნების პროგნოზირებას.

- სპეციალისტებზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსის აღმოფხვრას გარკვეულწილად ხელს შეუწყობს სამუშაო ძალის გადამზადების კონკრეტული პროექტების განხორციელება. სახელმწიფოს მხრიდან მიზანშეწონილი იქნება პროფესიული მომზადება-გადამზადების ცენტრების ფუნქციონირების სტანდარტების ამაღლება და მათი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების დადგენა.
- გასათვალისწინებელია მეწარმეების პრეტენზიები ბიზნესის გაფართოების ისეთ ხელისშემშლელ მიზეზებთან დაკავშირებით, როგორიცაა დიდი ჯარიმები შეცდომებისათვის, ხშირი ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რთული და გაუგებარი წესები საგადასახადო და საბუღალტრო ანგარიშგებებში, კრედიტის აღების გაძნელებული პირობები და სხვა. რასაკვირველია, გადასახადების გაუქმების თაობაზე რეკომენდაციისაგან შორს ვართ, მაგრამ საგადასახადო სისტემის გამარტივება და სტაბილურობა, კონკურენტუნარიანი გარემოს უზრუნველყოფა და ბიზნესის უსაფრთხოების დაცვა მეწარმეებისათვის ბიზნესის გაფართოებისა და სამუშაო ადგილების ზრდის წინაპირობა იქნება.
- ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, ნაკლებსავარაუდოა, რომ მეწარმეები უახლოეს მომავალში შეძლებენ უმუშევრობის დონეზე საგრძნობ ზემოქმედებას. ასე, რომ მოკლევადიან პერიოდში შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობის შემსუბუქება ვერ მოხერხდება. ამის მიუხედავად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და აქედან გამომდინარე, მოთხოვნის ზრდაში გადამწყვეტი როლი მაინც მეწარმეებს ენიჭებათ. მიგვაჩნია, რომ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა მეწარმეთა მოსაზრებები წარმოების გაფართოების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ, საფუძვლად უნდა დაუდონ დასაქმების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.
- სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების საქმიანობის ორიენტირი უნდა იყოს ნორმალური, ცივილიზებული, კონკურენციის პრინციპებზე დაფუძნებული შრომის ბაზრის ფორმირება და მისი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ამასთან, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი უნდა წარმოჩინდეს ძირითადად დასაქმების აქტიური პოლიტიკის განხორციელებით და პასიური პოლიტიკის ღონისძიებების მინიმუმამდე შემცირებით.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ლაცაბიძე ნ., იძულებით გადაადგილებულ პირთა უმუშევრობის მიზეზები და მათი დასაქმების სრულყოფის გზები. „მიგრაცია 4“ თბილისი, 2010.

2. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების ტენდენციები და ფუნქციონირების თავისებურებები. „მიგრაცია 5“ თბილისი, 2011.

3. ლაცაბიძე ნ., შრომის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, იანვარი-თებერვალი, 2012.

4. ტუხაშვილი მ., საქართველოს გარემიგრაციული პრობლემები, მიგრაცია 1, თბილისი, 2007.

5. წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა., საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2000, თბილისი, 2001.

6. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) – საქართველოს ეროვნული შრომის ბაზარი 2010 წლის ივნის-ივლისში, ჩატარებული კვლევის ანგარიში, თბილისი 2010; http://www.icarus.ge/pdf/aSSissaerTaSorisoganviTarebissaagento.pdf

7. Internally Displaced Persons in the Gergian Labour Market, Publishing House `Universal~, Tbilisi-2012.

8. Latsabidze N,.Tsatsidze M, Kvirkvaia M. Peculiarities of Labour Market Formation in Georgia, International Conference. Social-Economics Problems in Transition Countries. Tbilisi-2008.

9. http://www.geostat.ge/

ნ. ლაცაბიძე

სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების ფორმირების ზოგიერთი ასპექტი

რეზიუმე

სამეცნიერო სტატიაში შეფასებულია სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდებაზე მოქმედი ფაქტორები. ახსნილია შრომის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებები. დასაბუთებულია, რომ ქვეყანაში პრაქტიკულად ჩამოსაყალიბებელია შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა, განსაზღვრას და კანონმდებლობის ფარგლებში მოქცევას საჭიროებს დასაქმების სამსახურების საქმიანობა. ავტორი მიუთითებს, რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის გაზრდის მიმართულებით, მოკლევადიან პერიოდში სერიოზული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.უახლოეს პერსპექტივაში შრომის ბაზარი კვლავ გაჯერდება სპეციალისტებით. მათი სრულად დასაქმება მიღებული სპეციალობის მიხედვით, პრაქტიკულად გამორიცხულია. გამოსავალი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ერთია – თითოეული სპეციალისტის მომზადება გათვლილი უნდა იყოს იმაზე, რომ ბაზარზე მოხდეს მიღებული ცოდნის აღიარება და შესაბამისად დასაქმება. სტატიაში ხაზგასმითაა დაფიქსირებული ავტორის პოზიცია – დასაქმების რაციონალური სტრუქტურა და აქედან გამომდინარე, სამუშაო ძალის მიწოდების პარამეტრები უნდა განსაზღვროს საბაზრო მექანიზმმა, სახელმწიფოს ჩარევა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიის შემუშავებით.

N. Latsabidze

Several aspects of demand and supply formation for labor force

Summary

In the scientific article we have shown the factors affecting the demand and supply for the labor force. The features of the labor market functioning are explained. Documented is that in the country we practically have to form the labor market infrastructure, the activities of the employment services are to be defined and set to the legal framework. The author underlines that concerning the labor force demand growth in the shirt-time period there are no serous changes expected. In the nearest prospective the labor market will be filled in with the specialists, and we need to employ them according to the specialty they received, which is practically impossible. There is only one solution for the mentioned issue – to train each specialist according to the demand in the labor market and then they will be employed. In the article the author's position is underlined – the rational employment structure and proceeding from this, the workforce supply parameters must be defined by the market mechanism, the state can be involved only with drawing up the human resources development strategy.

მ. მარიდაშვილი

ქალაქის მენეჯმენტი საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ჭრილში

ვიდრე ვუპასუხებდეთ შეკითხვაზე, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ საქართველოს ნებისმიერი ქალაქი ტურისტებისთვის მიმზიდველი და პოპულარული ადგილი გახდეს, უნდა დავფიქრდეთ: როგორ განვმარტოთ ქალაქი. ჭეშმარიტების ძიება შორეულ წარსულში წაგვიყვანს. თუ ქალაქის საფუძვლად მივიჩნევთ დამოუკიდებელად განვითარებულ ეკონომიკას, რომელიც ქალაქის მცხოვრებლებს საშუალებას აძლევს იცხოვრონ რეგიონული ცენტრისგან დამოუკიდებლად, აღმოვჩნდებით მეორე უკიდურესობის წინაშე. ასეთ შემთხვევაში ქალაქად შეგვიძლია ვაღიაროთ მხოლოდ რომი იმპერატორების ცეზარისა და ავგუსტუსის პერიოდში, თუმცა ქალაქების სიიდან უნდა ამოვიღოთ ძველი ეგვიპტური და ძველი ბერძნული დასახლებები, მემფისი, თებე, ათენი, ტროა და მრავალი სხვა ძველი მსოფლიოს მსხვილი ცენტრი, რომლებიც მჭიდრო კავშირშია აგრარულ კულტურასთან. პირადი ბაღი და სახნავ-სათესი მიწა ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბევრ პატარა ქალაქში ხალხს დღესაც აქვს შეხება სოფლის მეურნეობის სამუშაოებთან. მსგავსი სოციალური მოვლენის დასახასიათებლად, როგორიცაა ქალაქი, ზოგიერთი ისტორიკოსი წერს: ქალაქს განასხვავებს ორი ძირითადი მახასიათებელი; ერთ მხრივ, ქალაქში ხელოსნობის განვითარების ცენტრი გაცილებთ უფრო ეფექტურია, ვიდრე რაიონში, ასევე ვაჭრობის პრაქტიკა უფრო დიდია, ვიდრე მეზობელ სოფლებში. მეორე მხრივ, ქალაქი-ეს არის ადგილი, სადაც თავმოყრილია რელიგიური კულტი და პოლიტიკური ძალაუფლება.

ქალაქის ფუნქციური ტიპები. ქალაქი არის მსხვილი დასახლებელი პუნქტი, რომელიც ასრულებს სამრეწველო, სატრანსპორტო, სამეურნეო, კულტურული, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ორგანიზაციის ფუნქციებს. ქალაქის კატეგორია ადგილობრივი თავისებურებებით განისაზღვრება შემდეგი ნიშნების მიხედვით:

- მოსახლეობის რაოდენობა და საქმიანობა,
- დასახლებული პუნქტის ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობა.

ქალაქს ახასიათებს დასახლების დიდი სიმჭიდროვე და განაშენიანების კომპაქტურობა. ქალაქების დაარსება და განვითარება მჭიდრო კავშირშია შრომის გეოგრაფიულ დანაწილებასთან. ქალაქთა უმრავლესობის განვითარების ძირითადი ფაქტორია საზოგადოებრივი წარმოების ფუნქცია, თუმცა არსებობს ქალაქწარმომქმნელი სხვა ფაქტორებიც, მაგალითად:

- ადმინისტრაციული (ჩვეულებრივ, სხვა ფაქტორებთან ერთად)
- სამხედრო-სტრატეგიული (ციხე-ქალაქი)
- დასასვენებელი და სამკურნალო (საკურორტო ქალაქები)
- სამეცნიერო-საუნივერსიტეტო
- რელიგიური

თანამედროვე პირობებში ბევრმა ქალაქმა შეიძინა სხვა დანიშნულებაც: ტურისტულ-სამუზეუმო, საფესტივალო, სპორტული და სხვა. თითოეული ქალაქის ფუნქციური ტიპი არსებითად განისაზღვრება მისი გეოგრაფიული მდებარეობით და იმ კავშირებით, რომელიც არსებობს ქალაქსა და მისკენ მიზიდულ ტერიტორიას შორის.

ქალაქის ძირითადი ფუნქციური სისტემები უნივერსალურია. ამიტომ ქალაქების დაგეგმარება და დაარსება ყველგან ხდებოდა ძირითადად ერთი და იმავე ტექნიკისა და საშუალებების კომპლექტის გამოყენებით. ძველმა ბერძნებმა და ეტრუსკებმა ქალაქგეგმარების სისტემა გადაიღეს როგორც ეგვიპტელებისაგან, ასევე რომაელებისაგან. ძვ. წ. 2600 წლისთვის ინდის ხეობის ცივილიზაციის ჰარაპანის ზოგიერთი დასახლება ქალაქად იქცა და მათი მოსახლეობა ათასებს აჭარბებდა. ზოგიერთი ამ ქალაქთაგანი აგებული იყო კარგად გათვლილი გეგმის მიხედვით. ისეთი ქალაქების, როგორიცა მოხენჯო-დარო და ჰარაპა, ქუჩები მოკირწყლული იყო და მართკუთხად იყო განლაგებული იერარქიის მიხედვით (კომერციული ბულვარებითა და მცირე საცხოვრებელი ხეივნებით), დღევანდელი ნიუ-იორკის მსგავსად. სახლები დაცული იყო ხმაურის, სუნისა და ქურდებისგან, ჰქონდა საკუთარი ჭები და სანიტარული კვანძები. ამგვარ

ქალაქებს ჰქონდა კანალიზაცია, დრენაჟი, ვრცელი სასაწყობო მეურნეობა, წყლის რეზერვუარები და კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა.

განვიხილოთ ქალაქი, როგორც კორპორაცია, რომელიც არის თვითორგანიზებადი სისტემების გაერთიანება, ასევე აგენტი სხვა კორპორაციებთან ურთიერთქმედების დროს, განვითარების საერთო სტრატეგიის შესამუშავებლად. საქალაქო კორპორაციიის ტერმინის გაგებისათვის გავაკეთოთ მცირე ისტორიული ექსკურსი.

კლასიკური საქალაქო კორპორაცია. დიადი შუასაუკუნეების ქალაქი, ეს არის კლასიკური საქალაქო კორპორაცია — როგორც სახელოსნოებისა და გილდიების კორპორაცია (მაგალითად ვენეცია-უნიკალური, უნივერსალურად ბალანსირებული სისტემა). ვენეციაში, XVI საუკუნეში, 1563 წელს მოსახლეობის ზრდამ მიაღწია მაქსიმუმს -183 000 მცხოვრებს, რის შემდეგაც დაიწყო შემცირება (ამჟამად იმავე ტერიტორიაზე 140 000 მოსახლეა). ურბანისტებმა და ისტორიკოსებმა მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოს გაათვითცნობიერეს სრულად, რომ მაშინდელმა ვენეციამ ვერ მიაღწია თავისი ორგანიზაციის ფუნქციონალობის იდელურ მდგომარეობას.

უკვე 1500 წლისთვის სრულად ჩამოყალიბდა ქალაქის ორმაგი ცენტრი: პოლიტიკური — წმ. მარკოს მოედანი და საქმიანი — რიალტოს ხიდთან. ამ ორმაგი ცენტრის სტრუქტურა, რომლიც ერთმანეთს უკავშირდებოდა როგორც ქუჩით, ასევე არხით — შეიკრა და შენარჩუნდა, მიუხედავად მომავალში ხანძრების შემგომ არაეთგზის აღდგენისა და განახლებისა. მოწესრიგებულობა ვრცელდებოდა არამარტო სამოსის ფერსა და მოდელზე, რომელიც დამოკიდებული იყო ვენეციელი დიდგვაროვანის რანგზე, არამედ ხმოვან მწყობრზეც. ვენეციის არსენალი იყო უდიდესი საწარმოო კომბინატი ძველ ევროპაში, სადაც დასაქმებული იყო 16 000 ადამიანი და თავიდან აცილებული კლასობრივი კონფლიქტები რეგულარული ხელფასებისა და პურზე ფასის კონტროლით.

უკვე XVI საუკუნის ბოლოს ვენეციაში გაჩნდა სახაზინო სახლები სახელმწიფო მოხელეებისათვის. ქალაქი, რომელიც გაშენებულია მთავარ კუნძულებზე დიდი არხის გასწვრივ, ორივე მხარეს — დანაწევრებული იყო ფუნქციურ და ეთნიკურ ზონებად. ეს ზონები ახდენდნენ საკუთარი ე.წ „სკოლების“ ფორმირებას. მათ შორის არსებული დაძაბულობის მოხსნა კი პერიოდულად ხდებოდა მცირე შეტაკებების დროს არხებზე აგებულ ხიდებზე.

ომისშემდგომი პერიოდში მცირე ქალაქების მიმართ ინტერესი განელდა. დასაბამი მიეცა ახალ მიმდინარეობას ქალაქგეგმარებაში — ახალი ურბანიზმი რომელმაც პოპულარობა 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანების დასაწყისში აშშ-ში ჰპოვა. ახალ ურბანისტთა მიზანი უძრავი ქონების განვითარებისა და ქალაქგეგმარების ყველა ასპექტის რეფორმაა. ის მოიცავს პოსტ-ინდუსტრიულ ქალაქებში მოძველებული ინფრასტრუქტურის გადახალისებასა და გაუკაცრიელებულ გარეუბანთა შევსებას.

ახალი ურბანიზმის ამერიკული ტიპი, ეს არის სწრაფვა მჩქეფარე ახალი ქალაქის შექმნისკენ. იდეაში, ამ ქალაქებში ფეხით მოსიარულეთათვის ხელმისაწვდომია ყველა ტიპის მომსახურება, ხოლო დასახლებისა და დასაქმების ტიპები კი მრავალფეროვანია. ახალი ურბანიზმის პრინციპებია: პირველი, განაშენიანების სიმჭიდროვე ეს არის სიკეთე და არა ნაკლი, ამიტომ უბნები არ უნდა იყოს დიდი; მეორე — საზოგადოებრივი სივრცე კერძოსთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია. აქედან მომდინარეობს მიდრეკილება სახლის აშენება ფასადით წითელ ხაზისკენ, რომელიც განაახლებს ქუჩაში მოძრაობის შეგრძნებას. ამის შესაბამისად გაჩნდა მიდრეკილება კლასიკური ამერიკული ტერასების აღორძინებისაკენ, რომელზეც არის საქანელა სკამები და შეზლონგები, საიდანაც მაცხოვრებლები ესალმებიან გამვლელ მეზობლებს. აქედანვე ხდება ტროტუარის აღორძინება, რომლის არარსებობაც ლოს-ანჯელესის მალიბუში ევროპელებს შოკში აგდებთ. მესამე -განსაკუთრებული ესთეტიკური კონტროლი ფასადების დეტალებზე, სილუეტებსა და თითოეული ქუჩის კოლორიტულ გადაწყვეტაზეც კი. ამ მიდგომის პირველი განსახიერებას წარმოადგენს ქალაქი სისაიდი ფლორიდაში, რომელიც შეიქმნა ანდესა დიუანისა და ელიზაბეტ პლეიტერ-ზაიბერკის პროექტის მიხედვით.

სისაიდი — ეს არის მკაცრი სწორკუთხოვანი ვიწრო ქუჩების ბადე, რომელთა უმეტესობასაც აქვს მხოლოდ ექვსი მეტრი სიგანე. ქუჩები ფილებით არის მოკირწყლული, რომელთა შორის ნაწიბურები ავტომობილების მოძრაობას ანელებს, როდესაც ფეხით და ველოსიპედით მოსიარულეებისათვის გლუვზედაპირიანი ბილიკები და ტროტუარებია მოწყობილი. უბნები არ არის დიდი (ამერიკული მასშტაბებით), ამრიგად სიმჭიდროვე არ აღემატება 12 სახლს ერთ ჰექტარზე. საზოგადოებრივი შენობები თავმოყრილია

პატარა მოედნების ირგვლივ და განაპირად მდებარე სახლიდან ცენტრამდე ფეხით რამდემი წუთის სავალია. ბინათმფლობელებს უფლება აქვთ აირჩიონ არქიტექტურული სტილი, რომელიც არ სცილდება ადგილობრივი ისტორიული სტილის ფარგლებს. ნებისმიერი ინდივიდუალური გადაწყვეტა ადგილობრივ საბჭოში უნდა დამტკიცებულიყო. როდესაც სისაიდი ტელესერიალში გამოჩნდა, მაყურებლების უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ ეს სპეციალურად აგებული დეკორაციაა. გავრცელებული აზრით, ეს ასეცაა, რადგან ამ ქალაქში სამუშაო ადგილები თითქმის არ არის, მუდმივი მაცხოვრებლებიც თითქმის არ არიან და სახლების უმეტესობა მთელი წლის განმავლობაში ტურისტებზე ქირავდება.

ახალი ურბანიზმის პრინციპების რეალიზაციის ერთადერთ წარმატებულ მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ ქალაქი სელებრეიშენენი, რომელიც შექმნილია „დისნეის“ კორპორაციის მიერ ასევე ფლორიდაში. აქ გენერალურ დამკვეთს და ერთადერთ დეველოპერს მძლავრი კორპორაცია წარმოადგენს. ქალაქის კონცეფციის შექმნასა და გენერალური გეგმის დამუშავებას ოთხი წელი დასჭირდა. მშენებლობა დაიწყო 1997 წელს.

„დისნეი“ — სულაც არ არის ჩვეულებრივი დეველოპერი, მიუხედავად იმისა, რომ თავის სარგებელს კორპორაცია ხელიდან არ გაუშვებდა. ეყრდნობოდა რა თავის ბრენდს, მას შეეძლო გაეწია რისკი საწყისი ფასით, რომელიც მეოთხედით უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ ფლორიდაში. მთავარი იყო საკუთარი ფილოსოფიური დოქტრინა. არამხოლოდ საცხოვრებელი 20 ათასი ადამიანისათვის, არამედ ქალაქის სისხლსავსე ცხოვრება, რომელსაც შეეძლო გამხდარიყო ახალი ურბანიზმის ნიმუში: ჰარმონია, უსაფრთხოება, ქალაქური თანამეგობრობის შეგრძნება- ღობის გარეშე დასახლების გარშემო! და — არავითარი ადგილობრივი ხელისუფლება ოცი წლის განმავლობაში, ისე, რომ მომავალში „დისნეი“ შეინარჩუნებდა ვეტოს უფლებას განვითარების კონცეფციში ნებისმიერ რადიკალურ ცვლების მცდელობაზე მანამ, სანამ მინიმუმ ერთი ნაკვეთის მფლობელად მაინც კორპორაცია დარჩება.

კომერცია ნაწილობრივ ტურისტებზე, ნაწილობრივ კი შეღავათიან არენდაზე დგას. ამავდროულად იგი დამძიმებულია სხვადასხვა შეზღუდვებით. მიუხედავად ამისა, მთლიანად ქალაქი შედგა. ღარიბ ადამიანებს სელებრეიშენში არაფერი ესაქმებათ — თავს ადგილობრივ სკოლებში სწავლის და ბინის დაქირავების უფლებასაც კი ვერ მისცემენ.

ბოლო წლების განმავლობაში როტერდამის ქალაქის საბჭოს სტრატეგია მდგომარეობდა იმაში, რომ განევითარებინა პორტი და ლოჯისტიკა, მოეხდინა ეკონომიკის დივერსიფიკაცია და მომსახურების სფეროების გააფართოვება, რათა ქალაქი მიმზიდველი გამხდარიყო „კრეატული“ ბიზნესის და პროფესიონალებისათვის. რეკონსტრუქცია კოპ ვან სიუდის რაიონში (Kop van Süd) – ნაწილია როტერდამის სანაპირო ზონაში რეკონსტრუქციის უფრო დიდი პროგრამისა, რომელსაც უწოდებენ Kop van Süd – ნახევარკუნძულია ქალაქის ცენტრის მოპირდაპირედ, რომლის ფართობია დაახლოებით 250 ჰა. ადრე აქ იყო პორტის ძირითადი ნაწილი, მაგრამ 80-ინ წლებში იგი გადაიქცა მდინარიდან და მიმდებარე საცხოვრებელი უბნებიდან იზოლირებულ ტერიტორიად, საწყობებით და სარკინიგზო ლიანდაგების ქსელით. მსხვილი რაიონი Feyenoord, რომელიც მოიცავს Kop van Sud-ს, ძირითადად შედგება ღარიბულ საცხოვრებლებიანი „სამეზობლოებისგან“. აქ უმეტესობას ემიგრანტები და პორტის და მასთან დაკავშირებული ბიზნესის მუშები წარმოადგენენ. მდინარე მაასი აღიქმება ყველაზე უზარმაზარ ბარიერად როტერდამის მოსახლეობისთვის, მისი სამხრეთ ნაპირი კი – როგორც ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე მოუხერხებელი ნაწილი. უბნის იმიჯი ხელს უშლიდა კერძო ინვესტიციებისა და ახალი, უფრო უზრუნველყოფილი მაცხოვრებლების მოზიდვას.

1987 წელს შემუშავებული იქნა განვითარების გეგმა, რომლის თანახმადაც Kop van Süd-ი უკვე განიხილება, როგორც გასაღები ქალაქის მთელი პოტენციალისა. რაიონის განვითარება როგორც, მაღალხარისხოვანი გარემოს შერწყმა მიმზიდველი შენობებთან და ცოცხალ სანაპირო ზოლთან, უნდა ყოფილიყო სტიმული ქალაქის მთელი სამხრეთ ნაწილის განვითარებისა. რაიონის რეგენერაციის სქემამ მიიღო აქტიური ეკონომიკური და სოციალური ორიენტაცია, მთელი რიგი პრობლემების გადაჭრით: ქალაქის ცენტრთან პირდაპირ დაკავშირება Kop van Süd-ისა და სამხრეთ გარეუბანისა; მიმზიდველი და პრესტიჟული საცხოვრებელების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ტურისტული და რეკრეაციული ფუნქციების განვითარება; დაგეგმილი იყო, „მაასის მანჰეტენის“ შექმნა ნახევარკუნძულის დასავლეთით დაბოლოებაზე მაღალი შენობების კომპლექსის სახით, ამასთან შემონახული ისტორიული შენობები უნდა გამოეყენებინათ ახალი საჭიროებისამებრ.

ნიდერლანდებისთვის დამახასიათებელია პროგრამის განვითარების „ორმხრივი სარგებელი„- სქემის განხორციელებიდან, რომელიც ითვალისწინებს 5000-ზე მეტი ბინის, 380 კვ.მ ოფისების მშენებლო-

ბას, მოკრძალებული ზომის სავაჭრო მოედნებთან, მოგების ამოღებასა და კოპ ვან სიუდის მიმდებარე ღარიბი უბნების მოსახლეობის უზრუნველყოფას.

საინვესტიციო პროგრამის შესრულება დაიწყო 90-იან წლებში, მუნიციპალიტეტის პირდაპირი მართვით და როტერდამის განვითარების კორპორაციის აქტიური მონაწილეობით. პროექტი კოორდინირებული იყო საგანგებოდ უფლებამოსილ „საპროექტო გუნდთან“, რომელიც მოიცავს „კომუნიკაციების გუნდს“ და „თანაზიარი სარგებელის გუნდს.“ პროექტის მენეჯერი პასუხისმგებელია ქალაქის საბჭოს ხელმძღვანელი კომიტეტისა და „ხარისხის გუნდის“ წინაშე, რომელიც იკვლევს განვითარების შესახებ შეთავაზებულ წინადადებებსა და კონსულტაციებს აძლევს დეველოპერებს პროექტის ყველა ასპექტში.

მუნიციპალიტეტმა გენგეგმა „Kop van Sud“ დაამტკიცა 1991 წელს, ხოლო ეროვნულმა ხელისუფლებამ კი – 1994 წელს. რეკონსტრუქცია შესრულდა ეტაპობრივად, გრძელვადიანი სტრატეგიის გათვალისწინებით. პროგრამის ძირითადი ელემენტი იყო ხიდის -Erasmus მშენებლობა, რომლის სიგრძე 808 მ-ია, და ნახევარკუნძულს მდ. მასას სანაპიროს უკავშირებს. იგი გახდა როტერდამის ახალი სიმბოლო. რაიონში რამდენიმე სამთავრობო დეპარტამენტი გადაიტანეს. სამხრეთ სანაპიროზე მეტროს სისტემა გაგრძელდა და ერთ-ერთი სადგური კოპ ვან სიუდზე აშენდა. გაუმჯობესდა საფეხმავლო გზები მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში, შეიქმნა პოპულარული წყლის ტაქსის სისტემა, რის შედეგადაც, კოპ ვან სიუდი აღმოჩნდა მხოლოდ რამდენიმე წუთის სავალზე ქალაქის ცენტრიდან.

კოპ ვან სიუდის გეგმა მიზნად ისახავდა უნიკალური, მკვეთრი არქიტექტურული შენობებისა და უბნების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობდა რაიონის პრესტიჟის ამაღლებას, გაზრდიდა მის მოსახლეობასა და შექმნიდა ახალ სამუშაო ადგილების. აქ შეიქმნა ერთგვარი ქალაქის არქიტექტურული ექსპერიმენტის ლაბორატორია.

რაიონის ძირითადი ბირთვის შექმნაში ჩართული იყვნენ მსოფლიოში ცნობილი არქიტექტორები. პროექტები, მსოფლიო საპორტო ცენტრის კოშკის – ნორმან ფოსტერს, მაღლივი ოფისების – რემ კულაჰასს და რენცო პიანოს, თეატრისა – პიტერ უილსონს ეკუთვნით. ისტორიული ნაგებობები აღდგენილ იქნა და ადაპტირებული ახალ მიზნებთან. სამშენებლო საწყობები Leidsche Veem გადაკეთდა ახალგაზრდულ სასტუმროდ. ყოფილი საორთქმავლო ხაზის, ჰოლანდია-ამერიკა, ტერმინალი გადაიქცა პოპულარულ სასტუმროდ „New- York“, ხოლო შეინარჩუნეს რა XIX-XX საუკუნეების მიჯნის ატმოსფერო, რაიონში უძველესი გემთშემკეთებელი – სამრეწველო მუზეუმად. სასაწყობო შენობაში განთავსდა სუპერმარკეტი და რამდენიმე რესტორანი მთელი მსოფლიოს სამზარეულოებით.

პირველი კლასის კოპ ვან ზიუდის ურბანული პროექტი შექმნიდან „ხარისხის გუნდის“ ზედამხედველობის ქვეშაა. ასევე ცნობილი გახდა რაიონის თავისებურებები. ადგილის ისტორიის ინტერპრეტაციისათვის ფართოდ გამოიყენება საჯარო ხელოვნება. სანაპირო ღიაა ფეხით მოსიარულეთათვის. მოწყობილია კარგი განათება, დიფერენცირებული საფარითა და ხეებით გაფორმებულია ფართო ტროტუარები. განვითარებული საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემის არსებობის დროსაც კი, გათვალისწინებულია ავტო- სადგომები (ერთ საცხოვრებელ ერთეულიზე, ერთი ადგილი). ეს ნიშნავს რამდენიმე ქვედა სართულის გამოყენებას ავტოსადგომისთვის (როგორც 43-სართულიანი „მონტევიდეოს“ კოშკი), მაგრამ პირველი სართულის პერიმეტრი ყოველთვის ინახება საცალო ვაჭრობის ან სხვა საჯარო გამოყენებისთვის, იმიტომ რომ შეიქმნას აქტიური ქუჩის ფასადი. ტერიტორიაზე ძალიან მჭიდრო განაშენიანებისას საცხოვრებელი სივრცითი სტანდარტები საკმაოდ მაღალია (საშუალო ფართობი ორ ოთახიანი ბინა – 92 კვ.მ). დასახლებულ პუნქტებში მიღწეულია სტილის მრავალფეროვანიება – ყოველ კვარტალზე მუშაობდნენ სხვადასხვა არქიტექტორები საერთო პროექტის ფარგლებში, რომელიც მოიცავს მოთხოვნას, რომ ყველა საცხოვრებელში იყოს საკუთარი ღია პატარა ეზო და დიდი ფანჯრების წყება.

პროექტი „კოპ ვან ზიუდი“ წარმატებული აღმოჩნდა როგორც ეკონომიკური, ისე სივრცითი თვალსაზრისით, მაგრამ მისი სოციალური მიზნები დიდწილად ვერ იქნა მიღწეული – დასაქმებას, სოციალურ სფეროს და საცხოვრებელ ფართს პროექტის მხოლოდ მხარდამჭერი როლი ქონდათ. სოციალური პოლარიზაცია გაძლიერდა: რაიონის მზარდმა პოპულარობამ და პრესტიჟულ საცხოვრებელზე მოთხოვნის ზრდამ, წაახალისა ძვირადღირებული ბინების მშენებლობა და შეამცირა უფრო ხელმისაწვდომი საცხოვრებლის მშენებლობა დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანებისთვის, ვისთვისაც თავდაპირველად განკუთვნილი იყო ბინების უმრავლესობა. განსხვავება კოპ ვან ზიუდის შესანიშნავ გარემოსა და მის მეტნაკლებად დეპრესიიულ შემოგარენს შორის უფრო თვალსაჩინო გახდა. თუმცა რეგიონის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაში პროექტმა დადებითი გავლენა მოახდინა ადგილობრივ შრომის ბაზარზე. ჯერ კიდევ 80-იან წლებში ქალაქში შიშობდნენ, რომ როტერდამი ვერასოდეს შეძლებდა კონკურენციის გაწევას ამსტერდამთან ან ჰააგასთან, როგორც საოფისე ცენტრი. რომ აღარაფერი ვთქვათ შემოქმედე-

ბითი საქმიანობის მქონე ადამიანების მოზიდვაზე. თუმცა უმუშევრობის დონე შემცირდა 1991 წელს 17% -იდან 2005 წელს 6%-მდე. ქალაქის მოსახლეობა ნელ-ნელა იზრდება. რაიონში ბევრი სამუშაო ადგილისა იმ ორგანიზაციებშია, რომლებიც იქ გადავიდა ქალაქის სხვა უბნიდან. განსაკუთრებით წარმატებულად მიმდინარეობს ახალი საცხოვრებელი სახლების შენება, და ეს დაეხმარა ქალაქს მოეზიდა „კარგი" სამუშაო ადგილები – 40% მაცხოვრებლებისა ცხოვრობდა როტერდამის გარეთ. გარდა ამისა, რადგან ამსტერდამი სულ უფრო ძვირი და ნაკლებად მიმზიდველიც ხდება ძალიან ბევრი მიგრანტისა და ტურისტისათვის, ამის გამო როტერდამი გადაიქცა შემოქმედებითი ადამიანების ქალაქად.

ამგვარად, ქალაქის მენეჯმენტს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში. ქალაქს განვიხილავთ, როგორც მართვის ობიექტს და როგორც კორპორაციას, ხოლო საქალაქო კორპორაციას (მუნიციპალურ კორპორაციას) განვიხილავთ, როგორც ქალაქის პრობლემატიკის ეფექტიანი ეკონომიკური განვითარების ენაზე ახსნის საშუალებას. ამ შემთხვევაში კორპორაცია გამოდის როგორც საქმიანობის განხორციელების ფორმა და არა როგორც რაიმეს დასახელება. კორპორაცია არის თვითორგანიზებადი სისტემების გაერთიანება, ასევე აგენტი სხვა კორპორაციებთან ურთიერთქმედების დროს, განვითარების საერთო სტრატეგიის შესამუშავებლად.

მოგზაურობის ბაზრის ლიდერები, როგორიცაა, მაგალითად, ლონდონი, პარიზი, ამსტერდამი, ბერლინი და რომი მილიონობით ევროს გამოიმუშავებენ წელიწადში ვიზიტორების ხარჯზე, არაფერს ვამბობთ ქვეყნებზე, რომლებიც ტურისტული შემოსავლების წყალობით ცხოვრობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ტურისტების ნაკადი, რომელიც დასვენებას ჩვენს ქვეყანაში ირჩევს უფრო მცირეა, ვიდრე მაგალითად, გერმანიის რიგით ქალაქში.

შესაძლებელია გამოვყოთ ძირითადი მიზეზები, რომლის გამოც სამთავრობო დეპარტამენტები, ტურიზმთან დაკავშირებით, მიმართავენ პიარ აქციებს:

- უპირველეს ყოვლისა, დღესდღეობით ტურიზმის საერთაშორისო ბაზარი წარმოდგენილია უამრავი ქვეყნით, რომლებიც მსგავს მომსახურებას გვთავაზობენ (მაგალითად თურქეთი, საბერძნეთი, ეგვიპტე).
- მეორე, ქვეყნის იმიჯზე, დამსვენებლების თვალში, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ქვეყნის შიგნით განვითარებულმა მოვლენებმა (მაგალითად, ტერორიზმის საშიშროება, სტიქიური საშიშროება).
- მესამე, ახალი ტურისტულ მიმართულებების ჩამოყალიბებას ესაჭიროება გათვლილი ინფორმირების პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან.

არსებობს რამდენიმე მიმართულება პიარ მოქმედებებისა, რომელიც გამოიყენება ტურისტების მოსაზიდად:

მასიურ საინფორმაციო საშუალებებთან მჭიდრო კავშირი;

რეკლამირება ინტერნეტში: საიტებსა და სოციალურ ქსელებში.

ასევე, გამოიყენება მარკეტინგის ტრადიციული საშუალებები: რეკლამირება ჟურნალ-გაზეთებსა და ტელევიზიაში.

ინფორმაციის მიწოდება. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მიმზიდველობა ასევე დამოკიდებულია იმ ინფორმაციაზე, რომელსაც მოგზაური ფლობს ამა თუ იმ ქვეყანაზე. თანამედროვე ტურისტი საკმაოდ მომთხოვნია და სურს, რომ იცოდეს მეტი იმ ადგილის შესახებ, სადაც სტუმრობას აპირებს.

მნიშვნელოვანია რომელიმე მასშტაბური ღონისძიების ჩატარება, რომელიც ტურისტებს მოიზიდავდა. მაგალითად: ოლიმპიადები, ასევე სხვა კულტურული, თუ სპორტული ღონისძიებები, სახელმწიფოს მონაწილეობა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, ხარისხიანი ინფორმაციული ინტერნეტ-საიტის შექმნა და შენარჩუნება.

გამოირჩევა ე.წ. პიარის ანტიკრიზისული მეთოდები, რომელიც ცაიტნოტის დროს გამოიყენება. საერთაშორისო ღონისძიებებიდან შეგვიძლია გავიხსენოთ რიგი ღონისძიება, რომლის ორგანიზება მოახერხა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ სამხრეთ აზიაში ცუნამის შემდეგ.

გადავიტანოთ ყურადღება ჩვენს ქვეყანაზე. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ კარგად მოფიქრებულ პიარ კამპანიის განხორციელებაში, რომელიც გათვლილია საგარეო და საშინაო ბაზარზე, საქართველო ჯერ კიდევ სერიოზულად ჩამორჩება ტურისტული ლიდერების უმრავლესობას.

პიარის მეტ-ნაკლებად ეფექტური ფორმებიდან, ქალაქებისა და ტერიტორიებისთვის, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

- პუბლიკაციების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა ადგილობრივ და უცხოურ პრესაში;
- შესაბამისი ბროშურების გამოცემა და გავრცელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- მსჯელობისთვის თემატური კომისიის ფორმირება, რომელიც მიეძღვნება ქალაქის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;
- საერთაშორისო რეგიონალური პრეზენტაციებისა და კონფერენციების ორგანიზება, ასევე სემინარები და მრგვალი მაგიდის სხდომები;
- გამოფენის შექმნა " ქალაქის განვითარების სტრატეგიული გეგმა„;
- ინტერნეტ-გამოკითხვის ჩატარება ეფექტური ფორმაა ღირებული ინფორმაციის მოსაპოვებლად;
- მაღალის კლასის მოსწავლეებისა და სტუდენტების ინფორმირება სპეციალური საფაკულტეტო სასწავლო კურსის შესახებ სახელად „ქალაქის განვითარების სტრატეგია მისი ახალგაზრდა მოსახლეების ცხოვრებისეულ გეგმებში„;
- წინადადებების მიღებისა და შეკითხვებზე პასუხის ორგანიზება მოქალაქეებთან, ასევე სპეციალური ფონდის შექმნა, რომელიც ქალაქის განვითარების საკითხებით დაკავდება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Nigel Morgan, Annette Pritchard Advertising in Tourism and Leisure. Butterworth Heinemann, Oxford, 2010.
2. 2.Advertising Theory and Practice, Charles H. Sandage, Vernon Fryberger, Kim Rotzoll, Longman Group United Kingdom; 12 Sub edition, 2009.
3. 3 J. C. Mowen `Consumer Behavior~. Oklahoma State University, Macmillan Publishing Company, New York, 2003.
4. Cathrine V.Jansson-Boyd; Consumer psychology, Open Universuty Press; 2010.
5. 5.http://innovate.bt.com/viewpoints/travel_weekly/index.htm.
6. www.labs.bt.com/people/walkergr.

მ. მარიდაშვილი

ქალაქის მენეჯმენტი საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ჭრილში

რეზიუმე

ქალაქის მენეჯმენტს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში. ქალაქი განხილულია, როგორც მართვის ობიექტი და როგორც კორპორაცია, ხოლო საქალაქო კორპორაცია (მუნიციპალურ კორპორაცია) — როგორც ქალაქის პრობლემატიკის ეფექტიანი ეკონომიკური განვითარების ენაზე ახსნის საშუალება. აღწერილია ქალაქის მენეჯმენტის განვითარების რამდენიმე ასპექტი, რომელიც წარმატებით გამოიყენება ტურისტების მოსაზიდად. ტურისტული მიმართულებების ჩამოყალიბებას ესაჭიროება გათვლილი, ინფორმირების პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან.

M. Maridasvili

City Management in the Context of International Tourism Development

Summary

City management has made important contributions to the development of international tourism. City is treated as a management object and a municipal corporation, as well as an language to explain city's problems in an effective economic way. The author described several aspects of the city management, which has been successfully used to attract tourists. Tourist destinations development needs the calculated informing state politicy.

M. MARIDASHVILI

HUMAN RESOURCES MANAGEMENT INNOVATION ASPECTS IN HEALTHCARE INDUSTRY

The Healthcare industry has for decades been characterized by low capital intensity, high customer acquisition costs (marketing, sales and customer training), regulation, and the overlap amongst several domains of knowledge (e.g. engineering, medicine, and health care). These conditions make innovation a difficult, but indispensable organizational priority. Consequently, industry leaders have traditionally relied on externally sourced new customer offers, and growth through mergers and acquisitions. Human capital is a key, and by all accounts increasingly important, part of the resource-base of firms. Companies in the healthcare sector seeking to bring their bright ideas to patients must clear a series of demanding regulatory hurdles and SMEs in particular view the regulatory system as a major turn-off. On top of the burden of meeting Europe's excellent standards in patient safety, innovators are faced with expensive, complex and fragmented systems for approving new products. A need for the improvement of the European context was stressed.

Human resources have been called the „key ingredient to organizational success and failure", including success and failure in company innovation performance. It is important to understand why and how human capital encourages innovation, and what deployment of human resource management (HRM) practices inside the firm can produce desired levels of innovation performance. Individual employees, founders, or executives may directly give rise to superior innovation performance, as in the cases of „innovative genius" and „stars" among. Such human capital is substantially above-normal in innovative capacity, whether this is innate (personified, perhaps, by Bill Gates or Steve Jobs) or acquired through training efforts. University researchers that create entrepreneurial start-ups exemplify the direct link between human capital and innovation performance.

Superior innovation performance may also be the result of the „capabilities" stemming from the interactions within a firm's human capital pool. The organizational set-up of the firm, notably its human resource management practices, also matter to the contribution of human capital to innovation performance. Thus, management deploys training arrangements, makes decisions on reward structures, sets up teams, allocates decision-rights and so on, and these arrangements have implications for the contribution of human capital to innovation. The influence of these practices may be modeled both in terms of mediator (human capital mediates the influence from HR practices to innovation performance) and moderator (practices weaken or reinforce the link from human capital to innovation performance) models. There are multiple mechanisms through which such HRM practices influence the relationships between human capital and innovation. Employee communication networks, as partly shaped by organizational structure, may influence innovation (Tsai, 20012). Motivational research demonstrates that the kind of creative behaviours that underlie successful innovation is stimulated by some kind of rewards but reduced by others (Ryan and Deci, 2013). Managerial styles, the use of feedback, the setting of goals, the use of teams and projects, have all been argued to influence creativity and innovative behaviors. Organizational practices related to the sourcing, deployment, and upgrading of human capital have been identified in various literatures as influencing innovation performance at the level of firms (Henderson and Cockburn, 1994; Galunic and Rjordan, 1998), networks and industries (Kogut, 2000), and regional or national innovation performance (Almeida and Kogut, 1999; Furman et al., 2002). These practices are important constituent components of „innovation" or „dynamic capabilities" (Teece, 2007).

A significant part of such practices are those organizational practices that relate to the attraction, selection, training, assessment, and rewarding of employees. They also include organizational practices that may not conventionally be seen as HRM, such as quality circles, extensive delegation of decision rights, management information systems, and formal and informal communication practices in the firm.

Modern Human Resource Management Practices

Modern HRM practices has become an increasingly used way of referring to high levels of delegation of decisions, extensive lateral and vertical communication channels, high reward systems, often linked to multiple performance indicators, and other practices that either individually or in various bundles are deployed to achieve high levels of organizational performance (Ichniowski et al., 1997; Zenger and Hesterly, 1997; Colombo and Delmastro, 2002; Teece, 2007; Colombo and Delmastro, 2008). In this context, Guthrie (2001: 181) states that: „The common theme in this literature is an emphasis on utilizing a system of management practices giving employees skills, information, motivation, and latitude and resulting in a workforce that is a source of competitive advantage".

Connection between Human Recourses Management and Innovation

Some implications emerge from overview of Human Recourses Management and innovation connection. It becomes important to understand the characteristics of the particular novelty creation process at hand and it's constituting activities, rather than treat HRM as supporting a generic idea of innovation. Once the process characteristics are understood, work can begin with identifying what the various phases and activities require in terms of HRM. Various views can be consulted in order to understand the particular situation (e.g. Abernathy & Utterback (1978) on how the demands for product and process innovations for a certain technology change over time, Rothwell (1994) on the various views on the process of novelty creation, Drucker (2002) regarding various sources of novelty creation, and Foster (1986) on technology performance and R & D effort). In addition, the HRM focus needs to extend the novelty creation phase to understand the determinants of novelty diffusion. Questions related to what determines acceptance rate and what the technology life cycles look like are necessary to understand the corresponding human resource needs of the organization. Various models exist to facilitate this understanding (e.g. Rogers (2003) on customer-related differences linked to the technology life cycle, and Levitt (1965) on the differences in requirements related to the various market phases). Also, it becomes important to understand the various roles needed during the innovation process, and how these are linked to both the linear and dynamic process views. Roles need to be detailed and identification and role assignment activities are central. Various models exist.

The HRM system must account for innovation determinants specific to the industry context. One such important aspect is the position of the industry from for instance the: life cycle stage, technology level, customer nature, and future trends. Additionally, the various characteristic of the context itself must be considered, for instance the degree of regulation. Furthermore, the market structure and industry characteristics, the relative uncertainty and market complexity all influence HRM related determinants (Crossan & Apaydin, 2010).

For instance, if an industry relies mainly on externally sourced innovations then the absorptive capacity of the firm is crucial. Under these conditions, adopting a HRM system aimed at reducing the not-invented-here syndrome (c.f. Katz & Allen, 1982) would be appropriate. The same logic would suggest HRM to promote a higher level of organizational ambidexterity in industries where incremental progress is punctuated by radical leaps. Likewise, the HRM system should detect potential dangers in certain structural arrangements in certain settings, such as a regulatory environment. For instance, keeping the product development function separate from the quality assurance function in industries where regulatory demands are high. For understanding what the roles are, when they are needed, and how to assign them (e.g. Roberts & Fusfelds' (1981) view on the various roles needed in the innovation process). The suitability of the HRM system is determined by innovation process characteristics.

Empirical Data Collection Method for investigating the connection between HRM and innovation

The data collection method for investigating the connection between HRM and innovation are different. Three main data sources used are the following:

- interviews,
- company documents,
- field notes from participation at workshops and meetings.

There are three factors that are important to consider when conducting interviews. The first regards general interview considerations. The second is how the collected data is recalled and stored. The third is the choice between open and closed interviews.

The general interview considerations are as follows:

./ sampling,
./ initiate with basic closed questions,
./ avoid leading questions,
./ try them out on a colleague,
./ pilot the interview questions,
./ initiate contact,
./ carry out interviews and store data,
./ transcribe
./ Thematically analyze results and relate these findings to the other ones obtained from other research methods.

Various methods exist and all have their benefits and drawbacks. Taking notes during the interview allows for quick and easy data storage, as well as enables on the spot coding which is useful for making sure that the interview

covers all relevant topics. However, taking notes is very distracting and interferes with the interview. Both of the interviews involved taking notes. However, given how the interviews are conducted by at least two researchers, there is a possibility for one to focus more on the actual interview and for the second researcher to take notes and have a more secondary role in asking questions. Finally, interviews would include both open and closed questions. All interviews started by asking a few closed questions related to the persons job, e.g. tenure, role, responsibilities, and previous assignments. Then the interview shifts towards more open questions. The reason for more open questions is that closed questions do not enable the deep thinking that more explorative research questions require. Prior to each interview a guide was developed with broad topic areas of interest and suggestions for questions. However, the role of this guide are more to promote dialogue, and less to actually steer the interview.

Qualitative data sources are the following:

- participation in to top management workshops during which the new strategy are discussed with the aim of developing a corresponding HR strategy,
- weekly meetings with the HRM executive discussing the new corporate strategy and its implications for the HR strategy,
- document studies of the HR strategy, innovation strategy, and iterations of the new corporate strategy,
- interviews with organizational members in both R & D and HR.

Conclusion

What makes companies innovative in Healthcare industry? One important answer lies in the firms' resource base, of which arguably the most important one is its human resources (HR). There are discussed technological innovations in Healthcare industry. The connection between HRM and innovation is primarily determined by the presence of process and outcome related uncertainties. As these uncertainties increase, an increased reliance on an individual-centered innovation development process is considered important for success.

While the focus is often on the structural and technical reforms needed to boost the innovations of this vital Healthcare industry, the ultimate inspiration for innovation in healthcare is Human Resources Management. „Big pharma“ is starting to recognize the value available inside of its own structure. There is a great overlap in what is seen as crucial for innovation between the process perspective and the previous two individual-centered perspectives. For instance creativity and problem solving is seen as crucial. But instead of treating it as an individual-inherent ability, or an individual-extrinsic environmental consequence, it is instead interpreted as a task requiring the right tool.The core assumption of the process perspective is that innovation can be managed as any other business function. This is reflected in the assumptions of what HR is and how it relates to innovation.

The process perspective put less emphasis on individuals-centered factors as the main source of novelty creation in Healthcare industry; instead focus is on the efficacy of various tools and models to facilitate novelty creation and diffusion. But if innovation is about using the right tools at the right times, then all we need to do is to map the process, understand the role requirements and assign people to those roles! But reality is more complicated. A consequence of this rational managerial view on innovation and HR, is that individuals are treated as conduits through which innovation happens. Innovation becomes a matter of understanding and adopting tools and models at certain times from an innovation toolbox. Even when disregarding the criticism against the linear process models and assuming that they truthfully represent reality, there are consequences with both the technology push and market pull models. The technology push models often overestimate the role of technology as a success driver of innovation, and relying on market pull models means that you risk limiting yourself to improvements of current offerings..

Finally, the view on individuals is very instrumental. It is as if human behavior can be governed simply by assigning them roles, and little consideration is given on how to actually make people act in a way that is aligned with the prescribed roles. Given that this view relies heavily on the thought that role behavior can be designed and assigned, their contribution may be rendered moot if translating sought after role behavior into actual human behavior is impossible. „New“ or „modern“ HRM practices-practices in Healthcare industry is the factor that imply high levels of delegation of decisions, extensive lateral and vertical communication channels, and the use of reward systems.

References

1. Alvesson, M., & Sandberg, J. (2011). Generating research questions through problematization. *Academy of Management Review*, *36*(2), 247-271.
2. Amabile, T., M. (2008). A model of creativity and innovation in organizations. In Staw, B., M.
3. Lau, C. M., & Ngo, H. Y. (2014). The HR system, organizational culture, and product innovation. *International Business Review*, *13*(6), 685-703.

4. Lawson, B., & Samson, D. (2011). Developing innovation capability in organisations: A
5. dynamic capabilities approach. *International Journal of Innovation Management*, *5*(03), 377-400
6. Patterson, F., Kerrin, M., & Gatto-Roissard, G. (2013). *Characteristics and behaviours of innovative people in organizations: Literature review a paper prepared for NESTA Policy and Research Unit (NPRU).* [Report].
7. Sauermann, H., Cohen, W., & Stephan, P. (2010). Doing well or doing good? The motives, incentives and commercial activities of academic scientists and engineers. In *DRUID summer conference 2010*.

M. Maridashvili

Human Resources Management Innovation Aspects in Healthcare industry

Summary

Human resources have been called the „key ingredient to organizational success and failure“. It is important to understand why and how human capital encourages innovation, and how human resource management practices inside the firm can produce desired levels of innovation performance. Individual employees, founders, or executives may directly give rise to superior innovation performance, as in the cases of „innovative genius“. In this article discussed various possible moderators and mediators of the Human Resources Management and innovation link in Healthcare industry, such as the type of knowledge involved, knowledge sharing, social capital, and network effects, the role of organizational practices for explaining innovation outcomes, etc.

მ. მარიდაშვილი

ადამიანური რესურსების მართვის ინოვაციური ასპექტები ჯანდაცვის ინდუსტრიაში

რეზიუმე

ადამიანურ რესურსებს უწოდებენ „ორგანიზაციული წარმატებისა და მარცხის ძირითად შემადგენელ ნაწილს“. მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რატომ და როგორ უწყობს ხელს ადამიანური კაპიტალი ინოვაციას და როგორ შეუძლია ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკას ფირმის შიგნით შექმნას სასურველი დონის ინოვაციის დონე. ინდივიდუალურ თანამშრომლებს, დამფუძნებელს, ან აღმასრულებლებს შეუძლიათ პირდაპირი ზემოქმედება მოახდინონ ინოვაციურ შესრულებაზე, ისე როგორც ეს ხდება „ინოვაციური გენიოსების“ შემთხვევაში. სტატიაში განხილულია ადამიანური რესურსების მენეჯმენტისა და ინოვაციების დამაკავშირებელი სხვადასხვა შესაძლო მოდერატორებისა და მედიატორების როლი ჯანდაცვის ინდუსტრიაში, როგორიცაა, მაგალითად, ცოდნაში ჩართულობა, ცოდნის გაზიარება, სოციალური კაპიტალი და ქსელური ეფექტები, ორგანიზაციული ქცევის პრაქტიკა და სხვ.

М. МИКЕЛАДЗЕ

ТЕХНОЛОГИИ ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНОГО АНАЛИЗА ДАННЫХ И ВОЗМОЖНОСТИ ИХ ПРИМЕНЕНИЯ В ЭКОНОМИКЕ

Искусственный интеллект, как научное направление объединяет большое количество научных и прикладных исследований. Технологии искусственного интеллекта направлены на автоматизацию различных видов интеллектуальной деятельности человека. В сфере экономики к интеллектуальным задачам относят задачи, связанные с анализом экономической информации, прогнозированием и принятием управленческих решений в условиях быстро меняющейся рыночной ситуации. Анализ информации является первым этапом при решении любой интеллектуальной задачи. Объем циркулирующей и хранящейся в современном обществе информации уже давно превысил возможности отдельного индивида по ее переработке и усвоению. Как следствие, стала актуальной проблема обработки больших объемов данных с целью выявления определенных закономерностей и скрытых знаний. Для решения этой проблемы и предназначены методы одного из новых направлений искусственного интеллекта – интеллектуального анализа данных (Data Mining).

Основу методов Data Mining составляют всевозможные методы классификации, диагностики, распознавания образов и прогнозирования. Данные, предназначенные для обработки методами Data Mining, должны обладать следующей спецификой:

- обрабатываемые данные имеют неограниченный объем;
- данные могут быть неточными, неполными, разнородными и противоречивыми.

В свою очередь, результаты обработки должны поддаваться интерпретации (быть выражены в понятной человеку форме).

Наиболее распространенными задачами интеллектуального анализа данных являются выявление ассоциаций, поиск последовательных шаблонов, прогнозирование, классификация и кластеризация. В данной статье дан краткий обзор основных задач интеллектуального анализа данных и некоторых методов их решения, а также рассмотрены возможности их применения для решения различных экономических задач.

Выявление ассоциаций. При решении данной задачи отыскиваются связи между одновременно происходящими событиями. Результатом поиска являются ассоциативные правила вида:

если произошло событие A, то с вероятностью P одновременно с ним произошло и событие B.

Наиболее известным алгоритмом поиска ассоциативных правил является алгоритм *Apriori* (Agrawal …, 1993). Поиск ассоциативных правил используется в сфере маркетинга и розничной торговли для анализа покупательской корзины – наборов товаров, которые покупатели приобретают одновременно. Знание покупательской корзины позволяет выработать оптимальные стратегии по закупке товаров и их размещение на прилавках, а также увеличение объема продаж путем формирования адекватной ценовой политики, в частности, размеров и условий скидок.

Поиск последовательных шаблонов. При решении данной задачи отыскиваются цепочки связанных во времени событий – так называемые последовательные шаблоны. Результатом поиска являются правила последовательности вида:

если произошло событие A, то с вероятностью P через определенный период времени произойдет и событие B.

Очевидно, ассоциация является частным случаем последовательности, а именно, последовательностью с нулевым периодом времени. Поэтому теория последовательных шаблонов основана на теории ассоциативных правил и, в некотором смысле, является ее обобщением. Для поиска последовательных шаблонов также используется алгоритм *Apriori,* точнее, его адаптированные и модифицированные версии, например, алгоритм *AprioriAll* (Agrawal …, 1995). Поиск последовательных шаблонов используется в сфере розничной торговли для оптимизации объемов товаров на складе, так как предоставляет информацию следующего вида: если покупатель приобрел товар *A*, то через какое-то время он, вероятнее всего, купит товар *B***.**

Прогнозирование. Результатом решения задачи прогнозирования является модель прогнозирования, построенная на основе ретроспективных данных и позволяющая предсказывать пропущенные или же будущие значения целевых показателей. К наиболее распространенным методам моделирования относятся регрессия, нейронные сети и деревья решений.

При *регрессионном анализе* обрабатываются данные, представляюшие собой пары значений зависимой переменной (переменной отклика) и независимой переменной (объясняющей переменной). В случае задачи

прогнозирования данные, предназначенные для обработки, представлены в виде временных рядов, а в качестве независимой переменной, выступает время.

Регрессионная модель есть функция независимой переменной и параметров с добавленной случайной переменной (Стрижов, 2008):

$$Y = \varphi(X, b_0, b_1, \ldots, b_p) + \varepsilon,$$

где Y – случайная зависимая переменная (отклик), X – неслучайная независимая переменная, φ – функция регрессии, $b_0, b_1, \ldots, b_p$ – параметры функции регрессии, ε – случайная переменная.

Параметры модели подбираются таким образом, чтобы модель наилучшим образом приближала данные. Критерием качества приближения обычно является среднеквадратичная ошибка:

$$\sum_{i=1}^{n} (y_i - \varphi(x_i, b_0, b_1, \ldots, b_p))^2 \to min,$$

где y_i – экспериментальное значение зависимой переменной, $\varphi(x_i, b_0, b_1, \ldots, b_p)$ – значение зависимой переменной, вычисленное по уравнению регрессии, n – количество пар исходных данных.

Регрессионный анализ, как один из классических методов статистического анализа, входит в состав всех известных статистических пакетов. В качестве примера наиболее мощных и распространенных статистических пакетов можно привести системы SAS, SPSS, Statgraphics.

Задачу прогнозирования можно рассматривать, как задачу классификации, в которой в качестве классов выступают прогнозируемые значения. Ввиду этого многие методы, применяемые для решения задачи классификации, пригодны и для решения задач прогнозирования. В частности, это касается нейронных сетей и деревьев решений.

Нейронная сеть может быть представлена направленным графом со взвешенными связями. Каждый узел графа имеет вход, выход и активационную функцию. Активационная функция вычисляет выходной сигнал нейрона на основе взвешенных входных сигналов. Перед использованием нейронной сети происходит ее обучение на основе обучающей выборки. Процесс обучения состоит в настройке весовых коэффициентов. Существует два сценария обучения: обучение с учителем (в задачах классификации и прогнозирования) и обучение без учителя (в задачах кластеризации). В первом случае, для каждого вектора значений входных переменных, известен вектор значений выходных переменных, во втором случае, известны только значения входных переменных. Основные недостатки нейронных сетей: 1) невозможность логической интерпретации полученных результатов и 2) необходимость иметь большой объем обучающей выборки (Дюк ..., 2001).

Деревья решений являются одним из часто используемых методов решения задач классификации и прогнозирования. Дерево решений позволяет представить классификационные правила в иерархическом виде, а именно, в виде дерева, каждый узел которого включает проверку одной независимой переменной (атрибута расщепления). Если результат проверки положительный, то осуществляется переход к левому узлу следующего уровня, в противном случае – к правому узлу, и проверяется условие, связанное с этим узлом. Процесс проверки продолжается до самого нижнего уровня, узлы которого задают имена классов.

Существует большое число алгоритмов построения деревьев решений, например, ID3, CART, C4.5 (Чубукова, 2008). Преимущества деревьев решений:

- классификационная модель, представленная в виде дерева решений, легко поддается интерпретации в понятной человеку форме;
- деревья решений позволяют извлекать правила на естественном языке;
- быстрый процесс обучения;
- деревья решений работают как с числовыми, так и с категориальными типами данных.

Однако, следует отметить, что деревья решений дают полезные результаты только в случае независимых признаков. Кроме этого, построение деревьев решений затруднено при большом количестве исходной информации.

Прогнозирование широко используется в следующих сферах экономики:

розничная торговля и маркетинг – создание прогнозирующих моделей позволяет предсказывать поведение различных категорий клиентов, а также узнать, как стоимость товара, затраты на рекламу и др. влияют на уровень продаж; это позволяет разработать эффективный маркетинговый план по продвижению товаров;

банковское дело – результаты прогнозирования временного ряда с информацией об остатках на счетах клиентов позволяют оценивать и управлять ликвидностью банка;

фондовый рынок – прогнозирование будущих значений финансовых инструментов, оценка рисков, предсказание кризиса и др.;

страховой бизнес – прогнозирование спроса на услуги и страховых выплат позволяет сформировать эффективную страховую политику.

Классификация. Под классификацией понимается отнесение объектов (состояний системы, событий) к одному из заранее известных классов. В этом случае применяется сценарий обучения с учителем. При обучении с учителем набор исходных данных разбивают на два множества – обучающее и тестовое. Обучающее множество используется для конструирования классификационной модели, а тестовое множество – для оценивания точности модели. Оба множества содержат описания объектов в признаковой системе, каждому из которых сопоставлена оценка – класс, к которому принадлежит данный объект. Полученная модель может быть представлена классификационными правилами, деревом решений или математической формулой.

Основными методами классификации являются: деревья решений; нейронные сети; статистические методы (линейная регрессия); байесовская классификация; классификация методом ближайшего соседа; логические методы классификации.

Первые три метода уже были рассмотрены для задачи прогнозирования. Теперь рассмотрим логические методы классификации. Основное преимущество этих методов заключается в том, что их можно использовать при отсутствии сведений о функциях распределения и при малых объемах обучающей выборки. В этих методах также отпадает необходимость выбора метрики в пространстве описаний объектов, так как, признаки объектов рассматриваются как логические переменные, а описания классов представляются в форме булевых соотношений. Все это обуславливает предпочтение логических методов распознавания в случаях качественной (нечисловой) информации. В случае количественной (числовой) информации также возможно применение логических методов – в результате бинаризации исходных признаков. При бинаризации количественного признака множество значений исходного признака разбивается на интервалы, а сам признак заменяется на ряд бинарных признаков – одноместных предикатов, определяющих принадлежность значений признака соответствующим интервалам разбиения (Микеладзе, 2013).

В общем виде логические методы представляют собой поиск по обучающей выборке логических функций, описывающих классы объектов. Функции, описывающие классы состояний, как правило, являются конъюнкциями элементарных высказываний. Каждая функция принимает истинное значение для достаточно большого числа объектов из собственного класса (диагностирующая способность) и ложное значение почти на всех объектах других классов (дифференцирующая способность).

Очевидно, на основе одной и той же выборки может быть построено множество таких функций. И тут возникает вопрос: какую из функций следует выбрать в качестве описания класса? Для этого вводятся понятие информативности и критерий информативности, а в качестве описания класса берется высокоинформативный предикат. Существуют различные критерии информативности: эвристический, статистический, энтропийный. В реальных задачах предпочтительнее использовать эвристический критерий, который оценивает информативность предиката по количеству ошибок, полученных на контрольной выборке объектов.

Согласно эвристическому критерию, информативность предиката тем выше, чем больше он выделяет объектов из „своего“ класса и чем меньше – из других классов. Таким образом, информативный предикат φ может быть получен в результате оптимизации по двум критериям (Микеладзе, 2013):

$$p_c(\varphi) \to \max_l \text{ и } n_c(\varphi) \to \min ,$$

где P_c - количество объектов класса *c* в выборке X ; N_c - количество объектов во всех остальных классах в выборке X^l; $p_c(\varphi)$ - количество объектов класса *c*, для которых $\varphi(x) = 1$; $n_c(\varphi)$ - количество объектов во всех остальных классах, для которых $\varphi(x) = 1$.

На практике используются различные свертки критериев *p* и *n*. В работе (Микеладзе, 2010) предложен логический метод классификации на основе концептуального подхода и эвристического критерия информативности, обеспечивающий эффективность классификационного правила с точки зрения как диагностирующей, так и дифференцирующей способностей. Для этого были введены свойство существенности $P(\varphi)$ и свойство дифференциации $D(\varphi)$ классификационного правила φ:

$$P(\varphi) = \frac{p_c(\varphi)}{P_c}, \; D(\varphi) = 1 - \frac{n_c(\varphi)}{N_c}.$$

В качестве критерия информативности предиката φ была взята величина

$$I(\varphi) = P(\varphi) \times D(\varphi).$$

Такой выбор критерия информативности обеспечивает равнозначность свойств существенности и дифференциации классификационного правила.

Предложенный в работе (Микеладзе, 2010) логический метод классификации состоит из следующих этапов:

1. Выбор высокоинформативных параметров бинарных признаков:

если информативность $I(x_i) \geq I_0$, то существенным считается параметр x_i;

если величина свойства существенности $I(\bar{x}_i) \geq I_0$, то существенным считается параметр $\bar{x}_i$;

если $I(x_i) < I_0$ и $I(\bar{x}_i) < I_0$, то оба параметра x_i, $\bar{x}_i$ считаются несущественными и не рассматриваются при построении классификационного правила. Здесь I_0 – выбранный порог для информативности.

2. Розыгрыш высокоинформативных конъюнкций K_{i_j} методом Монте-Карло, для которых $I(K_{i_j}) \geq I_0$;

3. Формирование классификационного правила $f = K_{i_1} \vee K_{i_2} \vee \ldots \vee K_{i_r}$, являющегося дизъюнкцией высокоинформативных конъюнкций: на *j*+1 шаге новая конъюнкция $K_{i_{j+1}}$ добавляется к уже построенному правилу $f = K_{i_1} \vee K_{i_2} \vee \ldots \vee K_{i_j}$ в том случае, если множество пациентов, не удовлетворяющих ни одной из конъюнкций $K_{i_1}, K_{i_2}, \ldots, K_{i_j}$, но удовлетворяющих конъюнкции $K_{i_{j+1}}$, не пусто.

Методы классификации применяются в следующих сферах экономики:

- *розничная торговля и маркетинг* – применение методов классификации к накопленным данным о сбыте продукции позволяют выявить характерные черты определенных категорий клиентов или продуктов, знание которых способствует успешному продвижению товаров;
- *банковское дело* – определение некредитоспособности клиента: в результате применения методов классификации к данным о клиентах, которые не вернули кредит, выявляются основные признаки некредитоспособности, позволяющие оценить нового клиента;
- *страховой бизнес* – классификация клиентов позволяет учитывать индивидуальные предпочтения различных категорий клиентов при формировании тарифной политики.

Кластеризация. Кластеризация сходна с задачей классификации, но, в отличие от нее, при кластеризации классы объектов заранее не известны. В этом случае применяется сценарий обучения без учителя. Результатом кластеризации является разбиение множества объектов на кластеры – подмножества сходных объектов. Критерием группировки является определенным образом заданное расстояние: „близкие“ друг к другу объекты должны попасть в один и тот же кластер, тогда как, „достаточно далекие“ объекты должны быть в разных кластерных группах. При этом строятся формальные правила, представляющие собой описания кластеров в признаковой системе и позволяющие относить новые объекты к тому или иному кластеру. Популярность кластерного анализа обусловлена тем, что в отличие от большинства математико-статистических методов он позволяет рассматривать множество исходных данных практически произвольной природы, не накладывая никаких ограничений.

В настоящее время разработано достаточно большое количество алгоритмов кластеризации. Однако разнообразие методов кластерного анализа обусловлено не только количеством алгоритмов кластеризации, но и тем, как при определенном методе осуществляется:

1. отбор выборки объектов для кластеризации и определение ее объема;
2. выбор признаков и шкал их измерения;
3. выбор меры „близости“ объектов.

Отбор выборки и определение ее объема. В зависимости от процедуры формирования различают вероятностные и детерминированные выборки. Основное отличие между ними состоит в том, что при вероятностной выборке любой объект может попасть в выборку с заранее определенной вероятностью. При детерминированной выборке часть объектов вообще не попадает в выборку, и ни для одного объекта заранее не определена вероятность его попадания в неё.

Единой и четкой формулы, по которой можно было бы рассчитать оптимальный объем выборки, не существует. Объем выборочной совокупности зависит от множества факторов, основным из которых является обеспечение определённой статистической достоверности результатов.

Выбор признаков и шкал их измерения. Набор выбранных признаков должен достаточно полно характеризовать объект. С другой стороны, при использовании большого числа признаков достаточно сложно

интерпретировать полученные кластеры. На этом этапе следует рассмотреть возможность сокращения размерности данных. Одним из методов, предназначенных для решения задачи сокращения размерности данных, является факторный анализ.

На этом этапе также следует принять решение о том, надо ли нормировать тем или иным способом исходные признаки. Если у исследуемых признаков разный масштаб, то при вычислении расстояния между точками, отображающими положение объектов в пространстве их свойств, признак, имеющий большие значения, (будет лучше – с большим значением) будет нейтрализовать влияние признака с меньшим масштабом на процесс группировки объектов. Нормировка устраняет слишком сильное влияние одного из признаков на расстояние между объектами.

Существуют различные способы нормировки исходных данных (ჟვანია ..., 2013):

$$z = (x - \bar{x})/\sigma; \qquad z = x/\bar{x}; \quad z = x/x_{\max}; \quad z = (x - \bar{x})/(x_{\max} - x_{\min})$$

где $\bar{x}, \sigma$ – соответственно среднее и среднеквадратическое отклонение *x*; $x_{\max}, x_{\min}$ – наибольшее и наименьшее значения *x*.

Выбор меры `близости~ объектов. Для группировки сходных объектов в кластеры необходимо иметь возможность количественной оценки сходства. Так как объект, описываемый *N* признаками, может быть представлен как точка в *N*-мерном пространстве, то естественно, оценивать сходство с другими объектами через соответствующее расстояние: чем меньше расстояние между объектами, тем больше они схожи. Наиболее часто используемые меры „близости“ объектов (ჟვანია ..., 2013):

- *Евклидово расстояние* – для количественных переменных:

$$d_{ik} = \left(\sum_{j=1}^{N} (x_{ij} - x_{kj})^2 \right)^{\frac{1}{2}}$$

- *Манхэттенское расстояние (расстояние городских кварталов)* – также используется для количественных переменных:

$$d_{ik} = \sum_{j=1}^{N} \left| x_{ij} - x_{kj} \right| .$$

- *Мера сходства Хэмминга* – для качественных переменных:

$$\mu_{ik}^{H} = \frac{n_{ik}}{N},$$

где n_{ik} – число совпадающих признаков у объектов X_i и X_k.

Алгоритмы кластеризации. Существует большое количество алгоритмов кластеризации, но их можно разделить на 2 основные группы: *иерархические* и *неиерархические*.

В свою очередь, иерархические алгоритмы делятся на *агломеративные* и *дивизимные*. Агломеративная кластеризация начинается с одноэлементных кластеров, которые последовательно объединяются в более крупные кластеры до тех пор, пока в конце не получится один кластер, включающий в себя все объекты выборки. В дивизимных алгоритмах осуществляется обратная процедура. Результатом иерархической кластеризации является дендрограмма – иерархическая структура, каждый уровень которой соответствует одному шагу процесса кластеризации и представляет, полученные на этом шаге кластеры и расстояния между ними. После получения последовательности таких разбиений можно выбрать в качестве модели наиболее интересный и поддающийся интерпретации уровень разбиений.

Иерархические агломеративные алгоритмы представляют собой один из наиболее популярных методов кластерного анализа, тот или иной их набор содержится во всех статистических пакетах (напр., SPSS, Statistica, Statgraphics).

Следует отметить, что при большом количестве объектов иерархические методы не работают. В таких случаях используют неиерархические методы, которые представляют собой итеративную процедуру разбиения исходного набора объектов на определенное количество кластеров. К этим методам относятся последовательный пороговый метод, параллельный пороговый метод и оптимизирующее распределение.

При последовательном пороговом методе выбирают центр кластера, и все объекты, находящиеся на расстоянии от центра, не превышающем заданного порога, которые объединяют в этот кластер. Затем выбирают новый кластерный центр, и процесс повторяют для оставшихся объектов.

Параллельный пороговый метод отличается от последовательного только тем, что одновременно выбирают несколько кластерных центров и объекты в пределах порогового значения группируют с ближайшим центром.

В методах оптимизирующего распределения число кластеров задается изначально. Затем объекты каким-либо образом, но по возможности равномерно, приписываются к различным кластерам. Затем объекты итеративно перераспределяются по кластерам с тем, чтобы оптимизировать определенную целевую функцию, характеризующую качество полученного разбиения. Алгоритм завершается, если нельзя больше перераспределить элементы со значительным улучшением целевой функции. Между собой методы различаются выбором центров, правилом формирования новых кластеров и правилом остановки. Чаще всего используется алгоритм k-**средних,** также называемый быстрым кластерным анализом**.**

Кластерный анализ применяется во многих сферах экономики (*маркетинг, банковское дело, страховой бизнес* и т.д.) для решения задачи сегментации с целью выявления устойчивых групп (клиенты, рынки, организации), каждая из которых, объединяет в себя объекты с похожими характеристиками.

В заключении следует отметить, что технологии Data Mining являются мощным инструментом для решения сложных аналитических бизнес-задач и позволяют получить ощутимые преимущества в конкурентной борьбе.

Литература

1. Дюк, В., Самойленко, А. Data Mining: учебный курс. Санкт-Петербург 2001
2. Микеладзе, М. К вопросу бинаризации количественных признаков для логических методов распознавания. Сборник трудов Института систем управления А.Элиашвили Грузинского технического университета, N17, 2013
3. Микеладзе М. Концептуальный подход к описанию состояний и представлению знаний в задачах медицинской диагностики. Сборник трудов Института систем управления А. И. Элиашвили, N14, 2010
4. Стрижов, В. В. Методы индуктивного порождения регрессионных моделей. Москва, 2008
5. Чубукова, И.А. Data Mining. Москва, 2008
6. ჟვანია, თ., მიქელაძე მ., კლასტერული ანალიზის გამოყენების ცალკეული ასპექტები. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, N3, 2013
7. Agrawal, R., Imielinski, T., Swami A. Mining Associations between Sets of Items in Massive Databases. In Proc. of the 1993 ACM-SIGMOD Int'l Conference on Management of Data, 1993
8. Agrawal, R., Srikant, R. Mining Sequential Patterns. In Proc. of the 11th Int'l Conference on Data Engineering, 1995

მ. მიქელაძე

მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის ტექნოლოგიები და მათი გამოყენების შესაძლებლობები ეკონომიკაში

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის (Data Minig) ძირითადი ამოცანებისა და მათი გადაწყვეტის ზოგიერთი მეთოდის მოკლე მიმოხილვა. აგრეთვე, განხილულია მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები ეკონომიკაში.

M. Mikeladze

Intelligent Data Analysis technologies and their potential application in economy

Summary

The article provides a brief overview of the main tasks of the intelligent data analysis (Data Mining) and some methods of their decision, as well as the possibilities of their application in various spheres of economy.

თ. ჟვანია, ა. კობიაშვილი

ექსპერტული სისტემის მოდელი ენერგოსისტემაში ოპერატიული დაგეგმვისათვის

ენერგოსისტემაში ოპერატიული დაგეგმვის ამოცანა რთული და ძნელად გადასაწყვეტი პრობლემაა. იმისათვის, რომ მოხდეს ენერგოსისტემის მდგომარეობის ოპტიმიზაცია ეკონომიკური, სტაბილურობისა და საიმედოობის თვალსაზრისით, საჭიროა დიდი გამოცდილება. ენერგოსისტემების მართვის პროცესი ავტომატიზებულია და ეფუძნება ანალიტიკურ გამოთვლებსა და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემებს. მაგრამ ეს არის ამოცანის მხოლოდ კომპიუტერული ნაწილი. ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორიცაა: ენერგოსისტემის ფუნქციონირებაში პრობლემების პოვნა, კონტრგეგმის დამუშავება და შეფასება — ხორციელდება ადამიანი-დამგეგმავის მიერ. ეს ამოცანები საჭიროებს მრავალმხრივ ცოდნას: დამცავი რელეების დაყენება, რეაქტიული სიმძლავრის წყაროების მდებარეობის განსაზღვრა, დისტრიბუციის სისტემების ოპერაციული სტატუსის შეფასება და სხვ.

ამ ტიპის ამოცანების ეფექტურად გადასაწყვეტად გამოიყენება ექსპერტული სისტემა. რამდენადაც ცნობილია, ექსპერტული სისტემა ეფუძნება ცოდნას და ისინი გამოიყენება სხვადასხვა სფეროში პრობლემების გადასაწყვეტად. ენერგოსისტემის სფეროში ძირითად ამოცანებს, რომლებიც სასურველია, გადაიჭრას ექსპერტული სისტემის საშუალებით, წარმოადგენს ენერგოსისტემის აღდგენა, ძაბვის წინასწარ განსაზღვრა/პროგნოზირება, უსაფრთხოების შეფასება და ძაბვის კონტროლი (Pao Y.H ...., 214-223).

ენერგოსისტემის ოპერაციების დაგეგმვის განსახორციელებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დამგეგმავის გამოკითხვა და დაგეგმვისათვის აუცილებელი ცოდნის მოპოვება, შემდეგ კი ექსპერტული სისტემის სათანადო მოდელის აგება ამ ცოდნისა და ტრადიციული ანალიტიკური პროგრამების გამოყენებით.

ოპერატიული დაგეგმვის ძირითად მიზანს ენერგოსისტემაში წარმოადგენს დატვირთვის მოთხოვნის შესაბამისად საუკეთესო გეგმის შემუშავება ოპერაციული და კონსტრუქციული დანახარჯების მინიმიზაციის თვალსაზრისით, სერიოზული უწესივრობების წინააღმდეგ საიმედოობის გაზრდის, სისტემის სტაბილურობის გაუმჯობესებისა და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით. ოპერატიული დაგეგმვის ანალიტიკოსები გვთავაზობენ, რომ მთელი დაგეგმვის პროცესი დაიყოს შემდეგ ოთხ საფეხურად:

- კონფიგურაციის დაგეგმვა: მოკლე ჩართვებისა და სისტემის უსაფრთხოების შეფასება; გადართვების, ანუ სალტეების განმხოლოებისა და გადამცემი ხაზების გახსნის, გეგმის შედგენა.
- საიმედოობისა და უსაფრთხოების დაგეგმვა: გადატვირვების შეფასება უწესივრობების არსებობის ან არარსებობის პირობებში; გენერაციისა და დატვირთვების დისპეტჩერიზაციის გეგმის შედგენა.
- ძაბვისა და რეაქტიული სიმძლავრის (VAR) დაგეგმვა: სალტეების ძაბვის შეფასება უწესივრობების არსებობის ან არარსებობის პირობებში; VAR წყაროების განაწილების გეგმის შედგენა.
- სტაბილურობის დაგეგმვა: დინამიკური და გარდამავალი სტაბილურობის შეფასება; გენერაციის განაწილებისა და მართვის სტრატეგიების აგების გეგმის შედგენა ენერგოსისტემის სტაბილიზაციისათვის.

ყველა ამ პროცესს შორის არსებობს იტერაქცია. დამგეგმავს უწევს თითოეული ამ საფეხურის გავლენის გათვალისწინება სხვა საფეხურის დაგეგმვის პროცესზე. მაგალითად, როცა მოკლე ჩართვის დენის სიდიდე გადააჭარბებს წრედის გამთიშველის დასაშვებ დიაპაზონს, კონფიგურაციის დაგეგმვაში ისეთი კონტრგეგმის შემუშავებაა საჭირო, როგორიცაა სიდიდეების განმხოლოება, ოღონდ დამგეგმავმა უნდა შეაფასოს მისი ზემოქმედება სხვა სიდიდეებზე, მაგალითად, საიმედოობაზე ან სტაბილურობაზე.

განვიხილოთ რა თავისებურებებით ხასიათდება ოპერატიული დაგეგმვა (Negnevitsky ..., 136-141; Joao P. S. Catalao, 232-237):

1. ოპერატიული დაგეგმვა ძნელად განსაზღვრებადი პრობლემაა. ის წარმოადგენს მრავალმიზნობრივი ოპტიმიზაციის პრობლემას რამდენიმე შეზღუდვის პირობებში. დაგეგმვის მიზანი შეუძლებელია განისაზღვროს მხოლოდ ერთი მიზნობრივი ფუნქციით. აქ განხილულ უნდა იქნეს ბევრი მიზანი, რო-

გორიცაა: ეკონომია, სტაბილურობა, საიმედოობა. ამიტომ ოპტიმიზაციის ტრადიციული პროგრამა არ არის საკმარისი ეფექტური გეგმის შესადგენად.

2. ოპერატიული დაგეგმვა ღია პრობლემაა. არსებობს გეგმის გაუმჯობესების სხვადასხვა კონტრგეგმა. მაგალითად, გადატვირთვის მოსაწესრიგებლად დამგეგმავმა უნდა განიხილოს გენერაციისა და დატვირთვის განაწილება, სალტეების გადართვა და დამცავი რელეების მდგომარეობა დაგეგმვის პირობების შესაბამისად. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინება შეუძლებელია ანალიზის ერთ პროგრამაში.

3. ოპერატიული დაგეგმვა დამოკიდებულია ენერგოსისტემის მახასიათებლებზე. არსებობს ბევრი გამონაკლისი და განსაკუთრებული შემთხვევა, რომლებიც დამოკიდებულია სისტემის მდგომარეობაზე. გამოცდილ დამგეგმავს გააჩნია დიდი ცოდნა ამ გამონაკლისების შესახებ, მაგრამ ეს ცოდნა ხშირად ძნელად ფორმალიზდება და რთულია მისი წარმოდგენა ანალიზის პროგრამაში.

4. დამგეგმავი არ ეთანხმება „შავი ყუთის“ გამომავალ მონაცემებს. მას, ჩვეულებრივ, სურს იცოდეს, რატომაა კონტრგეგმა ლოგიკურად დამაჯერებელი დაგეგმვის მოცემული პირობებისათვის. ფართომასშტაბიანი ოპტიმიზაციის პროგრამის შედეგები ხშირად დამგეგმავის გაგებას აღემატება.

5. ხშირად საჭიროა დაგეგმვის პროცესის მოდიფიცირება და ეს მოდიფიკაცია ხდება გეგმის მიზნისა და პირობის შესაბამისად. მაგალითად, მოკლევადიანი დაგეგმვა ხასიათდება უფრო მკაცრი შეზღუდვებით, ვიდრე გრძელვადიანი დაგეგმვა; რეაქტიული სიმძლავრის წყაროს განლაგება განსხვავებულია პიკური და არაპიკური დატვირთვისათვის.

ოპერატიული დაგეგმვისათვის დამუშავებულია ოპტიმიზაციის მრავალი პროგრამა, მაგრამ მათი უმეტესობა არ გამოიყენება ხშირად რეალური დაგეგმვის პროცესში ზემოთ მოცემული მიზეზების, განსაკუთრებით კი პირველი და მეოთხე მიზეზის, გამო. დაგეგმვის განსახორციელებლად ექსპერტული სისტემისა და ალგორითმულ ენაზე დაწერილი პროგრამის კომბინაცია განსაკუთრებით ეფექტურია.

ექსპერტული სისტემის გამოყენება უფრო ხელსაყრელია ისეთი ამოცანების გადასაწყვეტად, როგორიცაა:

- დამგეგმავებისაგან მიღებული ევრისტიკული მეთოდის აღწერა;
- გამოყენებითი პროგრამების მოქნილი მართვა;
- ლოგიკური ან თვისობრივი მოდელირება, რომელიც არ გამოიყენება ტრადიციულ გამოყენებით პროგრამებში;
- დაგეგმვის პარამეტრული ნაწილის განსაზღვრა;
- სისტემაზე დამოკიდებული სპეციფიკური და გამონაკლისი ცოდნის აღწერა.

ხოლო მაღალი დონის ალგორითმულ ენაზე დაწერილი გამოყენებითი პროგრამები გამოიყენება ისეთი ამოცანებისთვის, როგორიცაა, მათემატიკურ-ანალიტიკური პროცედურები.

ექსპერტული სისტემის კონფიგურაცია ნაჩვენებია ნახ.1-ზე. ზემოთ განხილული ფუნქციური ანალიზის შესაბამისად სისტემა შედგება ოთხი ქვესისტემისაგან. თითოეული მათგანი შეიცავს ცოდნის ბაზას, დასკვნების მიღების მექანიზმსა და პროგრამულ ნაწილს. ქვესისტემები დაკავშირებულია მონაცემთა ბაზის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა ბაზას მოცემულ მაგალითში ინფორმაციის დროებითი შენახვისათვის. ქსელისა და შეზღუდვის მონაცემები სასწავლო მონაცემთა ბაზაში გადაეცემა მთავარი მონაცემთა ბაზიდან, რომელშიც ინახება მანქანური და გადასაცემი ყველა მონაცემი. დატვირთვისა და ობიექტების შესახებ მონაცემები გადაეცემა გენერაციის გრაფიკის ექსპერტული სისტემიდან. დაგეგმვის ტიპური მიმდინარეობა შემდეგი ხდება სქემის მიხედვით: კონფიგურაციის დაგეგმვა, ძაბვისა და რეაქტიული სიმძლავრის დაგეგმვა, სტაბილურობის დაგეგმვა. დამგეგმავს შეუძლია შეცვალოს ეს თანმიმდევრობა საკუთარი შეხედულებებისამებრ.



ნახ.1. სისტემის კონფიგურაცია

სისტემის კონფიგურაცია ძირითადად განსაზღვრულია მოკლე ჩართვის დენისა და ძლიერი გადატვირთვის მნიშვნელობებით. ძლიერ გადატვირთვად ითვლება ხანგრძლივი დატვირთვის მნიშვნელობა, რომელიც აღემატება დატვირთვის 170%-იან მნიშვნელობას. სტაბილურობაც ასევე შეფასდება სტაბილურობის ინდექსის მნიშვნელობის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება მაქსიმალური სხვაობით გენერატორების რეაქტიულ წინაღობასა და ძაბვის კუთხეს შორის. სალტეების განმხოლოება და წრედის გახსნა ტიპური კონტრგეგმებია მოკლე ჩართვისა და ძლიერი გადატვირთვისას.

ცოდნის ბაზა ამოწმებს შემკრები სალტეებისა და ხაზების გადართვების კომბინაციას და იძლევა სათანადო გადართვების გეგმას შესაბამისად მოკლე ჩართვის ანალიზისა და დატვირთვების გადადინების პროგრამების გამოყენებით.

აქტიური სიმძლავრის მნიშვნელობა განისაზღვრება გაუთვალისწინებელ სიტუაციებში საიმედოობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მოთხოვნიდან გამომდინარე. მთავარი მიზანია მოთხოვნილი დატვირთვის დანაკარგებისა და გადატვირთვების თავიდან აცილება ხაზებში და ტრანსფორმატორებში.

ცოდნის ბაზა აღმოაჩენს ყოველგვარ გადახრებს ნორმალური და დამყარებული მდგომარეობიდან სპეციალური წესების გამოყენებით, რომელთა დანიშნულებაა დამცავი რელეების მოქმედებების მართვა და კონტრგეგმის შედგენა გენერაციისა და დატვირთვის დისპეტჩერიზაციისათვის.

რეაქტიული სიმძლავრის ბალანსი და ძაბვის პროფილი ძირითადად განისაზღვრება ძაბვის ხარისხისა და უწესივრობების შემდეგ უსაფრთხოების აღდგენის მოთხოვნებიდან გამომდინარე. მთავარი მიზანია სალტეების ძაბვისა და გენერატორების რეაქტიული სიმძლავრის შენარჩუნება სასურველ დიაპაზონში ოპერატიული შეზღუდვების შესაბამისად და უსაფრთხოების შეზღუდვების გათვალისწინებით.

ცოდნის ბაზა აღმოაჩენს ძაბვისა და რეაქტიული სიმძლავრის არანორმალურ მნიშვნელობებს, როგორც ნორმალურ, ისე გარდამავალ მდგომარეობაში და იძლევა კონტრგეგმას VAR წყაროების გადაწყობისათვის.

სტაბილურობის შესანარჩუნებლად საჭიროა სტაბილურობის ლიმიტის გამოკვლევა გარკვეული პარამეტრების ცვლილების გზით. საჭიროა, შეფასდეს სტაბილურობის ზედა ზღვარი. ეს ზღვარი თუ არაა საკმარისი, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს სტაბილიზაციის სათანადო გეგმა, როგორიცაა, მაგალითად, გენერაციის ცვლილება.

ცოდნის ბაზა ეძებს სტაბილურობის ლიმიტს რიცხვითი მოდელირების გზით და აჩვენებს სტაბილურობის ზედა ზღვარს. სტაბილიზაციის პროცესი უნდა ჩაირთოს თვით სისტემაში.



ნახ. 2. ცოდნის ბაზა საიმედოობისა და უსაფრთხოების დაგეგმვისათვის

უფრო დეტალურად განვიხილოთ სისტემის მეორე და მესამე ქვესისტემა. ნახ.2-ზე ნაჩვენებია ცოდნის ბაზა, რომლის დანიშნულებაა, პირველი გადატვირთვისას ნორმალურ ან არამდგრად მდგომარეობაში შეფასდეს ეს გადატვირთვა პროგრამის მეშვეობით. შესაძლებელია, იყოს ბევრი გადატვირთვა. დამცავი რელეების ამოქმედებით ხდება ყველა მათგანის მოწესრიგება. გადატვირთვის შეფასების შემდეგ დამგეგმავი ირჩევს მოსაწესრიგებელ გადატვირთვას, შეაფასებს სიმძლავრის ნაკადის მიზნობრივ სიდიდეს და ირჩევს სიმძლავრის ნაკადის კორექტირების მეთოდს.

ცოდნის ბაზა ძაბვისა და რეაქტიული სიმძლავრის დაგეგმვისათვის შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად:

1) რეაქტიული სიმძლავრის დაბალანსება. რეაქტიული სიმძლავრის ბალანსი გამოიკვლევა თითოეულ არეში;

2) ძაბვის დარეგულირება ნორმალურ მდგომარეობაში. სალტეების ძაბვა და გენერატორების რეაქტიული სიმძლავრე რეგულირდება ოპერატიული შეზღუდვების გათვალისწინებით;

3) ძაბვის უსაფრთხოების დაგეგმვა. სალტეების ძაბვა და გენერატორების რეაქტიული სიმძლავრე შენარჩუნებულ უნდა იქნეს უსაფრთხოების შეზღუდვის გათვალისწინებით რომელიმე კომპონენტის დაკარგვის შემთხვევაში.

ეს ცოდნა დამოკიდებულია დაგეგმვის პირობებსა და მიზანზე. მაგალითად, პიკური დატვირთვის პირობებში დაგეგმვის შესახებ ცოდნა უახლოესი მომავლისათვის შეიძლება აღწერილ იქნეს შემდეგნაირად:

1) რეაქტიული სიმძლავრის დაბალანსება:

a. VAR წყაროს მოთხოვნების შეფასება;

b. VAR წყაროს ადგილმდებარეობის განსაზღვრა;

c. VAR წყაროს მოთავსება თითოეულ არეში;

d. VAR წყაროს აგება;

e. შედეგის შეფასება.



ნახ. 3. ცოდნის ბაზა ძაბვის რეგულირებისათვის ნორმალურ მდგომარეობაში

2) ძაბვის რეგულირება ნორმალურ მდგომარეობაში (ნახ. 3):
   a. არადასაშვები ძაბვების პოვნა და თითოეული არისთვის პრობლემების დეკომპოზიცია;
   b. ძაბვის დიაგნოსტირება მაღალი ძაბვის კლასში;
   c. ძაბვის რეგულირების მიზნის დადგენა;
   d. ხელმისაწვდომი ოპერატორის (კონდენსატორის ან გენერატორის) ძაბვის შერჩევა და მისი ოპერირება;
   e. შედეგის შეფასება;
   f. ძაბვის უსაფრთხოების დაგეგმვა;
3) არამდგრადი ხაზების შერჩევა:
   a. ძაბვის რეგულირება არამდგრად მდგომარეობაში;
   b. თითოეული არამდგრადობისათვის შედეგების ინტეგრირება.

განვიხილოთ გამოყენებული წესების რამდენიმე მაგალითი:

(1) **თუ** სიმძლავრის ნაკადი არაა გამოთვლილი,
ან კონდენსატორის რაიმე მოქმედება არის განსაზღვრული,
ან ყველა მოქმედება არის განსაზღვრული,
მაშინ შესრულდეს ნაკადის გამოთვლის პროგრამა სალტეების ძაბვის, გენერატორის რეაქტიული სიმ-ძლავრისა და ხაზების ნაკადის გამოთვლისათვის.

(2) **თუ** სიმძლავრის ნაკადი გამოთვლილია,
მაშინ შემოწმდეს სალტეების ძაბვა და გენერატორების რეაქტიული სიმძლავრე.

(3) **თუ** აღმოჩენილია რამდენიმე სალტე ძაბვის არანორმალური მნიშვნელობით,
მაშინ მოხდეს მაქსიმალური გადახრის მქონე სალტის არჩევა უმაღლესი ძაბვის კლასში (როგორც ქვეპ-რობლემის).

(4) **თუ** არაა აღმოჩენილი არც ერთი სალტე არადასაშვები ძაბვით და აღმოჩენილია გენერატორი არადასაშვე-ბი რეაქტიული სიმძლავრით,
მაშინ მოხდეს მაქსიმალური გადახრის მქონე გენერატორის არჩევა (როგორც ქვეპრობლემის).

ამ წესებიდან მესამე და მეოთხე სტრატეგიული წესებია რეგულირების თანმიმდევრობის განსაზ-ღვრისათვის. ეს წესები ჯერ არეგულირებენ სალტეების არადასაშვებ ძაბვას ძაბვის მაღალი კლასში და შემდეგ კი — გენერატორის რეაქტიულ სიმძლავრეს.

შემოთავაზებული ენერგოსისტემის ოპერატიული დაგეგმვის ექსპერტული სისტემა განკუთვნილია ძნელად განსაზღვრებადი პრობლემის გადასაწყვეტად. ასეთი ექსპერტული სისტემის გამოყენების უპირატესობა აშკარაა და მდგომარეობს კონფიგურაციის, საიმედოობისა და უსაფრთხოების, ძაბვისა და რეაქტიული სიმძლავრისა და სტაბილურობის ოპერატიულ დაგეგმვაში მრავალი შეზღუდვის გათვალისწინებით. მისი გამოყენება მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ადამიანი-ოპერატორის შრომას და გააუმჯობესებს ენერგოსისტემის ოპერატიული მართვის ხარისხს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Joao P. S. Catalao. Smart and Sustainable Power Systems: Operations, Planning, and Economics of Insular Electricity Grids, June 18, CRC Press Reference, 2015, pp. 232-237.
2. Negnevitsky Michael, Nguyen Dinh Hieu, Piekutowski Marian. (2016). Stochastic Models in Risk-Based Assessment of Reserve Requirements for a Power System with High Wind Power Generation, Stochastic Models in Reliability Engineering, Life Science and Operations Management (SMRLO), Second International Symposium on power systems, pp. 136 – 141.
3. Pao Y.H., Se-Young Oh. A (2001). Rule Based Approach to Electric Power Systems Security Assessment. Proceedings of IEEE Conference on Pattern Recognition and Image Processing, Dallas, Texas, pp. 214-223.

თ. ჟვანია, ა. კობიაშვილი

ექსპერტული სისტემის მოდელი ენერგოსისტემაში ოპერატიული დაგეგმვისათვის

რეზიუმე

ნაშრომში შემოთავაზებულია ექსპერტული სისტემის მოდელი ენერგოსისტემაში ოპერატიული დაგეგმვისათვის; განხილულია ენერგოსისტემის კონფიგურაციის დაგეგმვის გზები; ნაჩვენებია საიმედოობა/უსაფრთხოების პარამეტრების განსაზღვრის თავისებურებები; გაანალიზებულია ძაბვისა და რეაქტიული სიმძლავრის დაგეგმვის ხერხები; განხილულია ექსპერტული სისტემის მუშაობის ალგორითმები და ნაჩვენებია ენერგოსისტემის მართვის პროდუქციული წესების მაგალითები.

T. Zhvania, A. Kobiashvili

A Model of an Expert System for Operational Planning of Power System

Summary

In this paper a model of expert system for operational planning in the power system is offered. Ways of configuration of planning are discussed. Peculiarities of parameters defining the reliability/security planning are shown. Ways of voltage and reactive power planning are analyzed. Algorithms of working of the expert system are considered, and examples of production rules of power systems operational control are shown.

ლ. ტაბატაძე

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურეობის ბაზრის კონკურენტუნარიანობის დევალვაციის საფრთხეები

უმაღლესი განათლება არის ფუნდამენტი ინოვაციური ეკონომიკის უზრუნველსაყოფად და ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთადერთი უპირობო ალტერნატივაა. უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების მხარდაჭერა არის ასევე დასტური ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის მზაობისა და შესაძლებლობის. უმაღლესი განათლების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდაში სავსებით ცხადი და გამოკვეთილია. უმაღლესი განათლება დიდი ხანია განიხილება, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მზარდი კაპიტალი, როგორც პროდუქცია — საქონელი, რასაც მოაქვს შემოსავალი და მოგება მისი მფლობელისთვის.

2015 წლის მაისში საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა ასოცირების შეთანხმების განხორციელების გრძელვადიანი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ასოცირების ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ევრო პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილების განხორციელებას და თანამშრომლობას უმაღლეს განათლების სფეროში 2015-2017 წლებში. საბოლოო მიზანს კი ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან მიახლოვება წარმოადგენს. აღნიშნული თანამშრომლობა მიმართული იქნება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სფეროებისკენ. კერძოდ:

- სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რომელიც წარმოადგენს კარიერული ზრდისა და სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის უმთავრეს ასპექტს და საშუალებას მისცემს მოქალაქეებს, სრულყოფილი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- განათლებისა და ტრენინგის სისტემების მოდერნიზებას;
- განათლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- განათლების ყველა საფეხურზე შესაბამისობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებას (http://eqe.gov.ge/geo/news/archive).

გარდა ამისა, შეთანხმება ითვალისწინებს უმაღლესი განათლების სწავლის დასრულების მაჩვენებლის გაზრდას უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, განათლების ხარისხისა და შესაბამისობის გაუმჯობესებას, მობილობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობას, უმაღლეს განათლებას, კვლევასა და ბიზნესს შორის ურთიერთპარტნიორობის ხელშეწყობას. კერძოდ, უნივერსიტეტების მიერ კვლევის შედეგებისა და ინოვაციების გამოყენებას სამეწარმეო, ინოვაციური უნარების განვითარების მიზნით და მმართველობისა და დაფინანსების გაუმჯობესებას.

2015 წელს დაიგეგმა და დამოუკიდებლად ჩატარდა უმაღლესი საგანმანთლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის კვლევა და ანალიზი. კვლევის შედეგების ვალიდურობის ხარისხის ასამაღლებლად, განხორციელდა მათი შედარებითი და კრიტიკული ანალიზი წარმატებული ევროპული ქვეყნების, მათ შორის ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნების მაგალითების გათვალისწინებით. უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე განხორციელებული კვლევისათვის, შემუშავებულმა კვლევის სტრატეგიამ და შერჩეულმა კვლევის მეთოდოლოგიამ საშუალება მოგვცა, გამოგვევლინა და აგვეღწერა უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან დაკავშირებული პრობლემების ფართო სპექტრი, დაგვედგინა მათი წარმომავლობა და, რაც მთავარია, მოგვეხდინა გამოვლენილი პრობლემატური მიმართულებების შედარებითი და კრიტიკული ანალიზი, თანამედროვე განვითარებული მსოფლიოს გამოცდილების გათვალისწინებით. სამიზნე ობიექტებად შეირჩა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, მათი სტატუსისა და კლასიფიკაციის მიხედვით, (კოლეჯი, სასწავლო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი ქ.თბილისის და რეგიონების დონეზე). გარდა ამისა, განსაზღვრულ იქნა კრიტერიუმები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შერჩევისათვის, კერძოდ:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა;
- უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რაოდენობა;

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური.

დღეს საქართველოში რეგისტრირებულია 74 უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის, 54 კერძო უმაღლესი სასწავლებელი და 20 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობს დაახლოებით 167 247 სტუდენტი (http://erasmusplus.org.ge/ge/he-in-georgia).

ერთი შეხედვით საკმაოდ კონკურენტულად გამოიყურება უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი. პარადოქსია, მაგრამ ბაზარზე არსებული უმაღლესი სასწავლებლების რიცხობრივი სიდიდე, ქვეყნისათვის, რომლის მოსახლეობა, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური ცნობით 3,7 მლნ. მაცხოვრებელს ითვლის, შესაძლებელია მივიჩნიოთ, როგორც სიჭარბედ, ასევე არასამართლიანი კონკურენციის წინაპირობად, რადგანაც სახეზეა კურსდამთავრებულთა დაბალი კვალიფიკაცია. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ევროპის რამდენიმე ქვეყნის და ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებელი. მაგალითად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 109 უნივერსიტეტია, იმ დროს როდესაც მოსახლეობა 82 მლნ. მაცხოვრებელია, ლიტვის რესპუბლიკაში 23 უნივერსიტეტია, მოსახლეობის რაოდენობა კი 3,5 მლნ–ს, არ აღემატება, ლატვიის რესპუბლიკაში 26 უნივერსიტეტია, მოსახლეობის საერთო რაოდენობა 3 მლნ. მაცხოვრებელია, ესტონეთის რესპუბლიკაში 15 უნივერსიტეტია, ხოლო ქვეყნის მოსახლეობა 1,4 მლნ. (http://fh-rpl.de/universitaeten/; www.parliament.ge; http://www.findaschool.org/index.php/index.php?Country=Lithuania).

კიდევ ერთი საინტერესო გარემოება, რომელიც უარყოფითად აისახება უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე, არის ის, რომ საქართველოში არსებული უნივერსიტეტების 75% დედაქალაქში მდებარეობს (http://erasmusplus.org.ge/ge/he-in-georgia).

აღნიშნული მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებში მკვეთრად განსხვავებულია და უმაღლესი სასწავლებლები პროპორციულადაა გადანაწილებული ცენტრსა და რეგიონებს შორის. ასე მაგალითად, ესტონეთში კერძოდ ტალინში, თავს იყრის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების საერთო რაოდენობის მხოლოდ 30%, ლიტვაში ვილნიუსში მაჩვენებელი არ აღემატება 25%-ს, ხოლო ლატვიაში რიგაში აღნიშნული მაჩვენებელი 30%-ს შეადგენს. დაბალი მაჩვენებელია დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც კერძოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბერლინში იგი 10%-ს შეადგენს, ავსტრიაში ვენაში მაჩვენებელი 15%-ია (http://www.tallinn.ee/eng/Colleges-and-universities,http://www.masterstudies.com/Masters-Degree/Lithuania/Vilnius/, http://studyinriga.com/, http://www.studyoverseas.com/studying-abroad/where-to-study-a-degree-abroad/study-in-berlin).

საყურადღებოა, რომ უმაღლესი განათლებისა და კვლევის სახელმწიფო დაფინანსების არსებული მექანიზმი არასტაბილურ გარემოს ქმნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. დაფინანსების არსებული მექანიზმით არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს მათ. განათლებაზე გაწეული დანახარჯები მშპ–თან მიმართებაში 2015 წლის მდგომარეობით დაახლოებით 2,7%, საიდანაც უმაღლეს განათლებაზე იხარჯება მხოლოდ მესამედი ანუ დაახლოებით 0,9% (http://mof.ge/).

ანალოგიური მაჩვენებელი ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნებში, სადაც მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, თითქმის 4–ჯერ მეტია ვიდრე საქართველოში, მერყეობს 2–3%–მდე, რაც უდაოდ სოლიდურ მაჩვენებელს წარმოადგენს. კერძოდ ესტონეთში მაჩვენებელი შეადგენს 2,9%, ლიტვაში 2,4%, ხოლო ლატვიაში 2% (https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2).

დღეს თანამედროვე მსოფლიოში, კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის ერთ-ერთი მთავარ ფაქტორს უმაღლესი განათლების ბაზრის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. განათლების ინტერნაციონალიზაციას, უაღრესად დიდი ყურადღება ეთმობა, როგორც უმაღლესი განათლების მხარდაჭერის და სრულყოფის ერთ–ერთ მთავარ განმსაზღვრელ კომპონენტს. საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ მსოფლიოში ცნობილ, უმაღლესი განათლების და ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერ საერთაშორისო ასოციაციებს ესენია: ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (EUA – European University Association), რომელიც აერთიანებს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებს. იგი განსაკუთრებით ცნობილი გახდა ლისაბონის დეკლარაციით, რომელიც ასოციაციაში შემავალმა ევროპის მოწინავე უნივერსიტეტებმა ერთობლივად შეიმუშავეს და რომელიც ბოლონიის პროცესის აქტიურ მოტივატორად ითვლება (http://www.eua.be)

უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაცია (IAU – International Association of Universities), რომელიც დაარსებულია 1950 წელს, მსოფლიო ორგანიზაციის იუნესკოს ბაზაზე, წარმოადგენს, უმაღლესი განათლების დაწესებულებების მსოფლიო ორგანიზაციას, რომელიც თავის მხრივ, საერთო სასწავლო და

საგანმანათლებლო სტრატეგიით აერთიანებს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს (http://www.iau-aiu.net/).

• უნივერსიტეტების პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაცია (IAUP – The International Association of University Presidents), რომელიც დაარსდა გასული საუკუნის 60–იან წლებში, წარმოადგენს უნივერსიტეტების უმაღლეს თანამდებობის პირთა მსოფლიო ასოციაციას.

წარმოდგენილ საერთაშორისო ასოციაციებს გააჩნიათ საერთო მიზნები და ამოცანები, რომელთა-განაც შესაძლებელია სამი ძირითად პრიორიტეტის გამოყოფა ესენია:

- მთელი მსოფლიოს მასშტაბით უნივერსიტეტების საერთაშორისო მისიის გაძლიერება, როგორც მსოფლიოს მდგრადი განვითარების წინაპირობა;
- უმაღლესი განათლების განვითარების გლობალური ხედვის ჩამოყალიბება;
- პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის სასწავლო და სამეცნიერო კოლაბორაციისა და გამოცდილების გაზიარება (http://iaup.org/).

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებ-ლებლო დაწესებულებების აბსოლუტური უმრავლესობა სამწუხაროდ არ ატარებს არც სრულუფლებიანი წევრის და არც წევრი კანდიდატების სტატუსს, რაც ალბათ, რომ დასანანია.

გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში მოძიებულ იქნა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი უმაღლესი სას-წავლო დაწესებულებების სარეიტინგო სიები, რომლებშიც სწორედ ინტერნაციონალიზაციის კომპონენ-ტებია გათვალისწინებული ესენია:

- ჟურნალ „თაიმზის“ უმაღლესი განათლების დამატება(THES);
- მსოფლიო უნივერსიტეტების აკადემიური რეიტინგი (ARWU);
- ქუაქუარელსომონდის მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგი (QS);
- ვებომეტრიქსის რეიტინგი (WM).

საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები გარდა (ვებომეტრიქსის– WM) – სარეიტინგო სიებისა სამწუხაროდ არსად ფიგურირებენ.

საინტერესოა ასევე უსდ–ში ინტერნაციონალიზაციის კიდევ ერთი მაჩვენებელი თანაფარდობა ად-გილობრივ და უცხოელ სტუდენტებს შორის. საქსტატის ოფიციალური ცნობით, საქართველოდან უცხო-ეთში გაგზავნილი სტუდენტების რიცხოვნობა, საქართველოში მყოფ, უცხოელ სტუდენტებთან მიმართე-ბაში დაახლოებით 10%-ს შეადგენს. (იხ დიაგრამა1), ხოლო, უცხოელი სტუდენტების ხვედრითი წილი ად-გილობრივ სტუდენტების საერთო ჯამობრივ მიმართებაში 1.9-2.0 % არ აღემატება. თავისმხრივ პირველ შემთხვევას, შესაძლებელია ეკონომიკური ახსნა მოეძებნოს, ჩვენს ქვეყანაში გაცილებით იაფია, რო-გორც სწავლა ასევე ცხოვრება. მეორე შემთხვევის სტატისტიკა კი მიუთითებს ჩვენს ქვეყანაში დაბალ ინტერნაციონალიზაციაზე.

დიაგრამა.1



2015 წელს დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის ფარგლებში, დამატებით განხორციელებულ იქ-ნა დამსაქმებელთა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კვლევა, რომლის მიზანი იყო, მათი მოსაზ-რებების და შეხედულებების, ასევე მათი კონკრეტული პოზიციის განსაზღვრა, უმაღლესი საგანმანათ-ლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან დაკავშირებით. კვლევაში მონა-წილე დამსაქმებლების 65%–მა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულები ვერ პასუხობენ თანამედროვე ბაზ-

რის, კერძო სექტორის მოთხოვნებს. 20%–მა აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულები მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობენ თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს.10%–მა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულები აკმაყოფილებენ თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს, ხოლო 5%–მა განაცხადა, რომ უჭირთ პასუხის გაცემა.იხ. დიაგრამა 2. [5].

დიაგრამა 2. კურსდამთავრებულთა მომზადების დონით კმაყოფილების მაჩვენებელი



უაღრესად საინტერესოა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზიც. კვლევაში მონაწილე რესპოდენტების ერთხმად 100%-მა აღნიშნეს, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები აუცილებლად უნდა იყვნენ დაინტერესებულები მათი კურსდამთავრებულების თვითრეალიზაციით. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, საპირისპირო მდგომარეობა ვლინდება. კერძოდ, ბაზარზე არსებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები დიდი უმრავლესობით, აბსოლუტურად ინდიფერენტულ დამოკიდებულებას გამოხატავენ თავიანთ კურსდამთავრებულების მიმართ, პროფესიული თვითრეალიზაციის კუთხით. აღნიშნული დასტურდება, როგორც დამსაქმებელთან სუსტი კოოპერირების პრაქტიკით, ასევე სტუდენთა კარიერის სამსახურების ან არ არსებობით, ან/და მათი მუშაობის დაბალ ეფექტურობით. გარდა ამისა, კურსდამთავრებულთა 65%-მა აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამის შინაარსი სრულყოფილად ვერ პასუხობს ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, 25%-მა კი განაცხადა, რომ სასწავლო პროგრამის შინაარსი სრულყოფილად პასუხობს ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, ხოლო 10%-ს უჭირს პასუხის გაცემა. იხ. დიაგრამა 3. [4].

დიაგრამა 3. სასწავლო პროგრამების თავსებადობის მაჩვენებელი, ბაზრის მოთხოვნებთან.



განხორციელებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ გამოიკვეთა პრობლემები ბოლონიის პრინციპების რეალური ამოქმედების კუთხით: უნივერსიტეტები ასრულებენ მოთხოვნებს, ნერგავენ სწავლებისა და ადმინისტრირების ახალ მექანიზმებს, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ პროცედურები ხორციელდება მხოლოდ იმიტომ, რომ ინსტიტუციური აკრედიტაციის დროს ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

სუსტია კავშირი როგორც უმაღლეს სასწავლებლებსა და კერძო სექტორს შორის, ასევე, თავად უმაღლეს სასწავლებლებს შორის, საჭიროა რეალურად ამოქმედდეს ჰორიზონტალური კავშირები, გაიზარდოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში და უზრუნველყოფილი იქნას პროცესის გამჭვირვალობა. სასწავლო პროგრამები რეალურად არ ასახავს ბაზრის საჭიროებებს — ნაწილობრივ იმიტომ, რომ არ მიმდინარეობს ეფექტური დიალოგი პროფესიულ სფეროსთან, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ თავად პროფესიულ სფეროს არ შეუძლია მკაფიოდ ჩამოაყალიბოს საკუთარი საჭიროებები. საჭიროა გაღრმავდეს კავშირი აკადემიურ და პროფესიულ სფეროებს შორის ამ მიმართულებით. ამ ეტაპზე ძალიან დაბალია ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებლები (განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის კუთხით). სასურველია, დაიხვეწოს ერთობლივი პროგრამებისა და ერთობლივი აკადემიური ხარისხების მინიჭების დეტალური მექანიზმები და სწავლის პერიოდების აღიარების პროცედურები. მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოში უნივერსიტეტების რაოდენობის ოპტიმალური შკალაა (15-30 ერთეული). საქართველოში არსებული უნივერსიტეტების 75% დედაქალაქში მდებარეობს, რითაც ფაქტობრივად ირღვევა განათლების ხელმისაწვდომობის სოციალური წონასწორობა. შრომის ბაზარზე სტუდენტების მიწოდება მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სტუდენტებზე მოთხოვნას. განხორციელებული კვლევის კრიტიკული და შედარებითი ანალიზით, შეგვიძლია განვსაზღვროთ, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მთავარი პრობლემები, შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის დევალვაციის მთავარი საფრთხეები :

- უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია;
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის მჭიდრო კავშირურთიერთობების ხელშეწყობა და განვითარება;
- უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელების დივერსიფიცირება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. კიკუტაძე ვ., „უმაღლესი განათლების ხარისხის მართვა საქართველოში“ Alexander Dubchec University of Trenchin, მე–13 საერთაშორისო კონფერენცია, საკონფერენციო, სამეცნიერო მოხსენება–სტატია. 2015, (23-24 აპრილი);
2. ნარმანია დ., „უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში“. თბილისი, 2012
3. ტაბატაძე ლ., უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევის ანგარიში; 2015
4. ტაბატაძე ლ., უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა, დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევის ანგარიში; 2015
5. ტაბატაძე ლ., დამსაქმებელთა, (კერძო სექტორი), დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევის ანგარიში; 2015
6. განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. „უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე„; 2013
7. ევროკავშირის, ევროკომისიის კვლევის ანგარიში. „უმაღლესი განათლების მართვა (მმართველობა) ევროპაში„; 2012
8. Bileviciute.E.Zaleniene.I. *„Higher Education Reform in Lithuania with Emphasis on Lithuanian Educationa lStrategy”; 2013*
9. Prof.Dr.KreituseI, Prof.Dr.Gurbo S,(Rīga Stradiņš University Latvia), „*Higher Education in Latvia on the Threshold of Reforms; 2012*
10. Prof. Dr.Maassen, P.,&Musselin, C. *„European Integration and the Europeanisation of Higher Education “*In A. e. (eds), „*European Integration and the Governance of Higher Education and Research*; 2009
11. EuroCommission, (National System Information Sheets – .„*National Student Fee and Support Systems; 2012-2013*
12. World Bank Group *„Higher Education Financing in Latvia: Analysis of Strengths and Weaknesses; 2014*
13. National Reform Programme;, *,Estonia 2020”* (Approved by Government), 2013

14. National Reform Programme; *„Lituania 2020"*(Approved by Government), 2013
15. National Reform Programme; „*„Latvia2020"*(Approved by Government), 2013
16. http://www.economy.ge/ge/sajaro-informacia;
17. http://www.mes.gov.ge/;
18. http://eqe.gov.ge/geo/news/archive
19. http://erasmusplus.org.ge/ge/he-in-georgia
20. http://mof.ge/;
21. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2;
22. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/census/2002/II%20tomi%20.df
23. www.parliament.ge;
24. http://fh-rpl.de/universitaeten/;
25. http://www.findaschool.org/index.php/index.php?Country=Lithuania;
26. http://www.aiknc.lv/en/list.php;
27. http://www.studyinestonia.ee;
28. http://www.studyineurope.eu/study-in-the-netherlands/higher-education-institutions;
29. http://www.studyinfinland.fi/institutions/universities;
30. http://www.tallinn.ee/eng/Colleges-and-universities,
31. http://www.masterstudies.com/Masters-Degree/Lithuania/Vilnius/,
32. http://studyinriga.com/,
33. http://www.studyoverseas.com/studying-abroad/where-to-study-a-degree-abroad/study-in-berlin,
34. http://www.topuniversities.com/university-rankings-articles/qs-best-student-cities/vienna,
35. http://studiesabroad.com/programs/country/italy/city/rome/viewUniversity,
36. http://studiesabroad.com/programs/country/france/city/paris;
37. http://www.eua.be/
38. http://www.iau-aiu.net/
39. http://iaup.org/

ლ. ტაბატაძე

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის კონკურენტუნარიანობის დევალვაციის საფრთხეები

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში გადმოცემულია 2015 წელს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე, ავტორის მიერ დამოუკიდებლად განხორციელებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების (კოლეჯი, სასწავლო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტი) კვლევის შედარებითი და კრიტიკული ანალიზი.

ასევე, დამატებით, ჩატარებული ორი კვლევის (დამსაქმებელთა კვლევა და უმაღლესი სასწავლებ-ლების კურსდამთავრებულთა კვლევა) კრიტიკული ანალიზი.

წარმოდგენილი დასკვნები ეყრდნობა, როგორც კვლევის შედეგებს, ასევე, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების, მათ შორის, ევროპის და ბალტიის ზღვის რეგიონის ქვეყნების გამოცდილებას.

L. Tabatadze

The Competitiveness Devaluation Threats of Georgian Higher Education Service Market

Summary

The present article presents the comparative and critical analysis of independent research of Georgian Higher Education Institutions (college, teaching university) conducted in 2015.

The critical analyze of two other researches – the employers' survey and the higher educational graduates' survey is also presented.

ლ. ჩაგელიშვილი-აგლაძე

საინოვაციო მეწარმეობა და კონკურენცია

ინოვაცია ინოვაციური საქმიანობის შედეგია. ინოვაციის სპეციფიური შინაარსი გამოიხატება ცვლილებით, გარდაქმნით. ინოვაციური საქმიანობის მთავარი ფუნქცია კი ცვლილების განხორციელებაა. ინოვაციური პროცესი დაკავშირებულია ინოვაციის შექმნასთან, ათვისებასა და გავრცელებასთან. ინოვაციების შემქმნელები (ნოვატორები) იყენებენ ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა პროდუქციის სასიცოცხლო ციკლი და ეკონომიკური ეფექტიანობა. მათი სტრატეგია მიზნად ისახავს კონკურენტებზე გამარჯვებას, უნიკალური სიახლის შექმნას, რომელიც აღიარებული იქნება მოცემულ სფეროში (http: //www. montteki. ru/).

განვითარებული ქვეყნები დამაჯერებლად გადადიან განვითარების პრინციპულად ახალ ეტაპ- ზე- ინოვაციურზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სიახლეთა გამოყენების პროცესი იქცევა გააზრებულ, მიზანდასახულ და კვლავწარმოებით პროცესად სისტემურ საფუძველზე, ხოლო თვითონ ინოვაციები განიხილებიან საზოგადოებაში პრობლემათა გადაწყვეტის მთავარ ინსტრუმენტად.

მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განსხვავება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის გამოიხატება არა მარტო საფინანსო რესურსების მოცულობით, არამედ ცოდნის უკმარისობით. ამჟამად, განვითარება განიხილება დაგროვილი ცოდნის დონის მიხედვით, კერძოდ, ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ცოდნის დონით.

ცოდნის დეფიციტის დაძლევა თანამედროვე პირობებში საკმაოდ რთული ამოცანაა. განვითარებადმა ქვეყნებმა ტექნოლოგიური ჩამორჩენილობიდან გამომდინარე მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ ცოდნის შეძენის, მისი ათვისების და გადაცემის თანმიმდევრული მექანიზმი. ცოდნის შეძენის ამოცანები უნდა მოიცავდნენ მსოფლიოში არსებული ცოდნის გამოყენებას საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, სალიცენზიო ხელშეკრულებების, პატენტების შეძენას და სხვა.

შეძენილი ცოდნის ათვისების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საყოველთაო განათლების ხელმისაწვდომობა, მათ შორის, უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, განსაკუთრებით ტექნოლოგიებში, დასაქმებული მოსახლეობის უწყვეტი განათლების სისტემის არსებობა. ცოდნის გადაცემის მნიშვნელოვანი ეტაპის ორგანიზაციისათვის უნდა გამოყენებული იქნას საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობისათვის საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

ვაჭრობის, ფინანსებისა და საინფორმაციო ნაკადების გლობალიზაციას თან ახლავს შესაძლებლობები და ხიფათიც. ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის ზრდის შემთხვევაში მსოფლიო კიდევ უფრო გაიხლიჩება არა მარტო კაპიტალისა და სხვა რესურსების გამო, არამედ ცოდნის გამო.

პრობლემები იქმნება თვით განვითარებულ ქვეყნებს შიგნით ცოდნისა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობათა არათანაბარი პირობების გამო. ამიტომ, ყველა ცალკე აღებულმა ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს ცოდნის მოპოვებისა და გამოყენების მრავალგვაროვანი ტექნოლოგიური ჩამორჩენილობისა და საინფორმაციო დეფიციტის შემცირების პრობლემები. ამ დროს განსაკუთებულ მნიშვნელობას იძენს მართვის პრობლება როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე.

მართვის ფუნქციის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს შიდა რესურსების გამოვლენა, მათი გამოყენება და მოწინავე გამოცდილების ძიება.

ინოვაციური განვითარების მიზნებისა და ამოცანების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ინოვაციური ციკლები. ინოვაციური ციკლი მოიცავს მანძილს, რომელიც იწყება ინოვაციის შექმნის იდეის შემუშავებით და მთავრდება ამ სიახლის დანერგვით. ციკლის ძირეული რგოლებია: მეცნიერება – წარმოება – მოხმარება. ი. შუმპეტერის აზრით, ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს სიახლეთა გამოყენება.

ინფორმაციული საზოგადოება ხასიათდება იმით, რომ მის ჩამოყალიბებაში აქტიური როლი ითამაშა და ამჟამად თამაშობს ახალი ტექნოლოგიები. მათი განვითარებისათვის კი საჭიროა საერთო სპეციფიური მიდგომის შემუშავება გამომგონებლის, მეწარმისა და მომხმარებლისათვის, რომელიც ორიენტირებული იქნება ინოვაციებზე.

კომპანიები ვერ მოიპოვებენ წარმატებას გამძაფრებული კონკურენტული ბრძოლის პირობებში, თუკი დროულად არ შეიტანენ ინოვაციებს თავიანთ ტექნოლოგიურ პროცესში, არ მოახდენენ კომუნიკაციისა და მენეჯმენტის ოპტიმიზირებას; კონკურენტებზე ადრე არ განახორციელებენ ახალ გამოგონებებს.

გლობალიზაციის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულება ეს არის ერთიანი საერთაშორისო ინოვაციური ქსელის ფორმირება, განვითარებული ქვეყნებისა და მათი კორპორაციების ერთობლივი სამეცნიერო-ტექნიკური, შემოქმედებითი თანამშრომლობა არა მარტო ბიზნესის გაფართოებისათვის, არამედ მსოფლიოს ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებისათვის. ამ საქმიანობის შედეგები დადებითად აისახება არამხოლოდ განვითარებულ, არამედ განვითარებად და ამ მიმართებით ყველაზე დაბალ სტადიაზე მდგომ ქვეყნებზე, რომელთაც ეძლევათ საშუალება თავი დააღწიონ მრავალსაუკუნოვან ჩამორჩენილობას და სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ პასიურობას.

თუკი მეორე მსოფლიო ომამდე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით მოწინავე იყო დასავლეთ ევროპა, ომის შემდგომ პერიოდში ეს ადგილი დაიკავა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. 1901-1945 წლებში აშშ-ის მეცნიერებმა მიიღეს 18 ნობელის პრემია, გერმანელებმა — 36, ინგლისელებმა — 25, ფრანგებმა — 16. ომის შემდგომ პერიოდში კი აშშ-ის მეცნიერებს 180 ნობელის პრემია მიანიჭეს, რითიც არა თუ აღმოფხვრეს ჩამორჩენილობა, არამედ გაზარდეს აღმატებულობა (Indicators of Science and Technology, Tokyo 242-243).

რაც შეეხება იაპონიას, იაპონელმა მეცნიერებმა არა მარტო ომის შემდგომ, არამედ მთლიანად მეოცე საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ექვსი ასეთი პრემია მიიღეს. სწორედ ამიტომ, იმჟამად მაღალი კლასის სპეციალისტები სტაჟირების გავლას ამჯობინებენ არა იაპონიაში, არამედ აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ინოვაციური გლობალიზაცია ხელს უწყობს ცალკეული ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განვითარებას, ეკონომიკის დარგებში თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის ფორმირებას და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

სამეცნიერო კვლევების შედეგების წარმოებაში ათვისებისათვის განმსაზღვრელია მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთქმედების სისტემის შექმნა და განვითარება. ამდენად სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი სამართლიანად განიხილება როგორც ინოვაციური სფეროს ნაწილი, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ეკონომიკის ევოლუციური თვითგანვითარების ბირთვს.

სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება:

- საზოგადოების ინფორმირების ფართო მასშტაბებით და საყოველთაო კომპიუტერიზაციით;
- წარმოების ინტელექტუალიზაციის მნიშვნელოვანი ზრდით;
- ტექნიკური საშუალებებისა და მოხმარების საგნების მუდმივად განახლებადი ნომენკლატურით და მწვავე კონკურენციით საერთაშორისო ბაზარზე;
- მართვასა და წარმოების ორგანიზაციაში განუწყვეტელი ინოვაციური პროცესებით;

სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგიულ ამოცანათა განხორციელებისათვის განვითარებული ქვეყნები ატარებენ კარგად მოფიქრებულ მართვისა და სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკას.

1912 წელს ი. შუმპეტერმა თავის ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია“ ტექნიკური ინოვაცია წარმოადგინა როგორც ეკონომიკური საშუალება, რომელსაც იყენებს მეწარმე უფრო მაღალი მოგების მიღების იმედით. ხოლო 30-იან წლებში მან ინოვაცია განსაზღვრა როგორც ყველა ახალი კომბინაციის კომერციალიზაცია, რომელიც დამყარებულია ახალი მასალებისა და წარმოების სხვა კომპონენტების გამოყენებაზე, ახალი ტექნოლოგიური პროცესების ათვისებაზე, ახალი ბაზრების ფორმირებასა და გამოვლინებაზე, წარმოებისა და მართვის ახალი ორგანიზაციული ფორმების დამკვიდრებაზე.

მოცემული განსაზღვრების თანახმად, ინოვაცია არის ორი კომპონენტის – ტექნიკისა და ბიზნესის მჭიდრო ურთიერთკავშირის ნაყოფი. როცა რადიკალური ცვლილებები მხოლოდ ტექნიკისა და ტექნოლოგიის დონეზე ხდება, შუმპეტერი მას გამოგონებას უწოდებს, ხოლო მაშინ, როცა ამ ცვლილებებში ბიზნესი ერთვება, მისი მსჯელობით, საქმე გვაქვს ინოვაციასთან (ჩიქავა, 12).

ნახევარი საუკუნის განმავლობაში შუმპეტერის სიახლემ ვერ დაიმკვიდრა აღიარება ეკონომიკურ გარემოში. ჯ.ნეიმანის ეკონომიკური ზრდის თეორიაში ტექნოლოგიური პროგრესისათვის არავითარი ადგილი არ იქნა განკუთვნილი. ხაროდის ანუ საკვლევი მოდელის ძირითად ფაქტორებს კი წარმოადგენდა ეფექტური მოთხოვნა და სამუშაო ძალა.

შემდეგ სლოუმ და აბრამოვიჩმა აჩვენეს ტექნოლოგიური ცვლილებების უპირატესი ეკონომიკური ზემოქმედება. ამის შემდეგ ინოვაციებს და მათ გამომწვევ ფაქტორებს სულ უფრო მეტი ადგილი დაეთმო ეკონომიკურ კონცეფციებში.

ინოვაციები და საინოვაციო მეწარმეობის საკითხები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ბოლო ათწლეულში, რადგანაც გლობალიზაციის პირობებში კონკურენცია მხოლოდ ინოვაციების საფუძველზეა

შესაძლებელი, სწორედ ამიტომ ყველა საერთაშორისო დოკუმენტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ინოვაციებისა და საინოვაციო პოლიტიკის საკითხებს.

ამდენად, გასაკვირი არც არის, რომ XXI საუკუნის მიწურულს მეცნიერებტევადი პროდუქციის მსოფლიო ბაზრის 18%-ს ევროკავშირი უზრუნველყოფდა. ხოლო. იმ ბაზრებზე სადაც განსაკუთრებით დახვეწილ პროდუქციაზეა მოთხოვნა მისი წილი 31% შეადგენდა (ვაშაკიძე, 2). აღნიშნული შედეგი სულაც არ წარმოადგენდა ევროკავშირისათვის მისაღებს და კონკურენტულს, რადგანაც მთავარი კონკურენტების პოზიციები ამ მიმართულები სულ სხაგვარად გამოიყურებოდა. 2000 წლისათვის მთლიანად ევროკავშირში სამეცნიერო კვლევებზე იხარჯებოდა მშპ-ის 2%, აშშ-ში კი 2.65%, იაპონიაში — 3.1%. გარდა აღნიშნულისა, ევროკავშირსა და აშშ-ის საერთო ხარჯებში, კვლევებზე კერძო სექტორის ხარჯებიც განსხვავებული იყო (57%-68.5%); ჩამორჩენა შეინიშნებოდა ასევე ვენჩერული კაპიტალის წილში, ახალი კომპანიების კაპიტალიზაციაში, ახლადშექმნილი მაღალტექნოლოგიური კომპანიების რაოდენობაში და სხვა ინდიკატორებში.

სწორედ ამიტომ, 2000 წლის ლისაბონის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალი სტრატეგიის მიღების შესახებ, რომელიც ევროპის ინოვაციური გზით განვითარებას გულისხმობდა. ლისაბონის სტრატეგიის შექმნისა და წარმატებით რეალიზაციის ბაზას წარმოადგენს ევროპის ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების მრავალწლიანი გამოცდილება, რაც ევროინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ევროკავშირის საინოვაციო პროგრამებში თავიდანვე კარგად იყო გათვითცნობიერებული მაღალტექნოლოგიური კომპანიების როლი. ამის გამოხმაურება იყო ევროპაში, 2008 წელს მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესის განვითარების მხარდამჭერი, „მცირე ბიზნესის აქტის“ მიღება. 2011 წლისთვის ევროკავშირში მცირე და საშუალო ბიზნესი საწარმოების საერთო რიცხვის 99% მეტს შეადგენს და ქმნიან სამუშაო ადგილების დიდ ნაწილს, რაც ახალი ადგილების 80%-ში გამოიხატება და ევროპის მშპ-ის 2/3 ავსებენ (ვაშაკიძე, 3).

ასეთია ზოგადად ის კონკურენტული სურათი, რომელსაც საქართველო ხვდება ევროკავშირში ინტეგრაციისა და ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების რეგულაციების შესრულების წინ.

არსებული ვითარება

რა ბაზას ფლობს ამ მხრივ საქართველო და როგორია მისი კონკურენტული შესაძლებლობები?

საქართველო საინოვაციო საქმიანობაში ევროკავშირთან ინტეგრირების ძლიერ ბაზას ვერ დაიკვეხნის (თუმცა ამის რეალური შესაძლებლობები ნამდვილად იყო) იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ XXI საუკუნის მიჯნაზე, როდესაც მსოფლიო ყველაზე ძლიერი კონკურენტული რესურსის ცოდნის, განათლებისა და ინოვაციების განვითარებასა და გაძლიერებაზე სხვადასხვა პროგრამებს ამუშავებდა, საქართველოში ტოტალური ბრძოლა გამოეცხადა მეცნიერებასა და კვლევებს, რომლის გარეშეც არც ინოვაციების და არც ცოდნისა და განათლების მიღება-განვითარება-გამოყენებაა შესაძლებელი. 2000-2007 წლები საქართველოში ხასიათდება სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების და ინსტიტუტების დახურვით და სამეცნიერო კადრების მკვეთრი შემცირებით. დღეს კი ყველაფერს თავიდან ვიწყებთ და პირველ ნაბიჯებს ვდგამთ ინოვაციური საქმიანობის ბაზის მომზადებისათვის. რაც კონკურენციის პირობებში, რაღა თქმა უნდა, სახარბიელო პოზიციას არ წარმოადგენს. ამას ისიც ემატება, რომ სახელმწიფოს არ ძალუძს ინოვაციებში დიდი ხარჯების გაწევა, კერძო სექტორი კი ამას ახორციელებს იმ დოზით, რა დოზითაც ხედავს საკუთარ ინტერესს. ერთობლივი ინტერესი აქ არსად ჩანს, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ძირითად მახასიათებლებში აისახა:

სურ.1 ბიზნეს სექტორის განვითრება 2005-2014 წლებში

* წყარო: http://www.economy.ge/ge/economic-data/business-sector



სურ.2 დასაქმებულთა რაოდენობა მცირე ბიზნესში

* წყარო: http://www.economy.ge/ge/economic-data/business-sector



სურ.3. ახლადრეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტები

* წყარო: http://www.economy.ge/ge/economic-data/business-sector

2010-2014 წლების ოფიციალური მონაცემები ცხადყოფენ, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მდორედ მიმდინარეობს. გამოშვების მცირე მოცულობები დაბალ მოთხოვნაზე მიუთითებენ, რასაც მცირე ბიზნესში დასაქმებულთა მაჩვენებლებიც ამყარებენ.

რაც შეეხება ახლადრეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტებს, მათი რიცხვი 2012 წლის მაჩვენებელზე დაბალია და 1 პროცენტით ჩამორჩება მას, ხოლო 2013 წელთან შედარებით კლება 9 პროცენტით ხასიათდება. თუ წრფივ კორელაციას მივმართავთ, ესაა ახლად არარეგისტრირებული 900-მდე საწარმო და 45 ათასამდე დაუსაქმებელი.

სურათი მეტყველებს იმაზე, რომ მიუხედავად ბიზნესის რეგისტრაციის სიმარტივისა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საქართველოში არაა მიმზიდველი. ამ უკანასკნელის მიზეზი კი, ჩვენი აზრით შემდეგია:

- საქართველოში შექმნილი არამყარი პოლიტიკური გარემო;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ბარიერები;
- არასათანადო ცოდნა და გამოცდილება მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებლად.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ინოვაციური საქმიანობის დროულად და მიზანმიმართულად გამოყენებისათვის ქვეყნის ხელისუფლებამ შემხვედრი ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველოში არსებულ კვალიფიცირებულ სამეცნიერო კადრებთან თანამშრომლობისათვის.

- არსებული სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის უშუალო ჩართულობით უნდა მოხდეს საინოვაციო მეწარმეობის განვითარების პროექტების რეალიზება. რადგანაც, მათ წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდლების საფუძველზე სწრაფად შეიმუშაონ საინოვაციო მეწარმეობის განვითარების მექანიზმები; შექმნან მეწარმეობის განვითარების მრავალფუნქციური სტრატეგიები; ინოვაციური კლასტერების ისეთი მოდელები, რომელიც ქართულ სინამდვილეს მოერგება და სწრაფად დაძლევს იმ დროში ჩამორჩენას, რაც გამოწვეული იყო არა ქართული სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის არაკვალიფიცირებულობით, არამედ არასწორი სახელმწიფო პოლიტიკით;
- არსებული სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის მონაწილეობით შესაძლებელი იქნება ბიზნეს-ინკუბატორების, სასწავლო-ინკუბატორების, საწარმოო-სამეცნიერო, ცენტრებისა და სხვა სტრუქტურების კონსოლიდაცია კონკურენტული რესურსების გამომუშავებისა და განვითარებისათვის; სწავლა-სწავლების პროფესიულ დონეზე დროულად განხორციელებისა და კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის.

ვფიქრობთ, ამ მიმართულებით საქმიანობის წარმართვა შესაძლებელს გახდის, დავძლიოთ ევროპის მოთხოვნებთან დროში ჩამორჩენა და სათანადო სიტყვა თქვათ ევროკავშირის საინოვაციო პოლიტიკის მოთხოვნათა რეალიზებაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. თამაზ ვაშაკიძე, ინოვაციური მცირე საწარმოების მხრდაჭერა ევროკავშირში; თბ., 2014
2. ლალი ჩაგელიშვილი, ინოვაციური ეკონომიკა გლობალიზაციის პირობებში; გთსუ სამეცნიერო შრომათა კრებული, 2011;
3. ლალი ჩაგელიშვილი, ინოვაციური ეკონომიკის თანამედროვე ასპექტები; თსუ სამეცნიერო შრომების კრებული, 2009;
4. თამაზ ჩიკვაიძე. ეკონომიკური გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ახალი პარადიგმა: არსი, პრობლემები, პერსპექტივები. ჟურნალი „კომერსანტი“ №2, 2007.
5. თამაზ ჩიკვაიძე. საქართველოს ინოვაციური უსაფრთხოების სტრატეგია XXI საუკუნისათვის. ჟურნალი „ინოვაცია“, 2003.
6. ლეო ჩიქავა. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, საგამომცემლო სახლი „სიახლე“, 2006
7. Competitiveness and Innovation Framework Programme (CIP) of the European Commission (2007 to 2013) Decision No 1639/2006/EC of the European Parliament and of the Council of 24 October 2006.
8. David Audretsch, Rob van der Horst, Ton Kwaak, Roy Thurik. *First Section of the Annual Report on EU Small and Medium-sized Enterprises.* Zoetermeer, January 12, 2009
9. Facing the challenge. The Lisbon strategy for growth and employment. Report from the High Level Group chaired by Wim Kok. Luxembourg: Office for Official Publications of theEuropean Communities, 2004. (http://ec.europa.eu/growthandjobs/pdf/kok_report_en.pdf)
10. Indicators of Science and Technology, Tokyo. http:// www.
11. Intangible assets and tax depreciation. COMMON CONSOLIDATED CORPORATE TAX BASE WORKING GROUP (CCCTB WG). DIRECTORATE-GENERAL TAXATION AND CUSTOMS UNION, Analyses and tax policies, Analysis and Coordination of tax policies, Meeting to be held on Thursday 10 March 2005, Centre de Conférences Albert Borschette, Brussels. Taxud E1 MH/CCCTB\WP\005\doc\en. Brussels, 21 February 2005
12. 7.Jacek Warda. Incentives for ICT Adoption: Canada and Major Competitors. Information Technology Association. July 2005. p.5 (http://www.itac.ca/uploads/research/05july.pdf) On a multiannual programme for enterprise and entrepreneurship, and in particular for small and medium-sized enterprises (SMEs) (2001-2005). Council Decision of 20 December 2000 (2000/819/EC). OJ L 333 of 29.12.2000
13. oecd.orglfindDocument/0,230,en-2469.html

http:// www.njp.ru/rgnoogen:innovation

http: //www. montteki. ru/.

http:// www. cfin.ru/invest/venture.shtml http://epp.eurostat.ec.europa.eu/statistics_explained/index.php/High-tech_statistics

ლ. ჩაგელიშვილი-აგლაძე

საინოვაციო მეწარმეობა და კონკურენცია

რეზიუმე

ინოვაციური სტრატეგია მიზნად ისახავს კონკურენტებზე გამარჯვებას, უნიკალური სიახლის შექმნას, რომელიც აღიარებული იქნება მოცემულ სფეროში.

განვითარებული ქვეყნები დამაჯერებლად გადადიან განვითარების პრინციპულად ახალ ეტაპ- ზე- ინოვაციურზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სიახლეთა გამოყენების პროცესი იქცევა გააზრებულ, მიზანდასახულ და კვლავწარმოებით პროცესად სისტემურ საფუძველზე, ხოლო თვითონ ინოვაციები განიხილებიან საზოგადოებაში პრობლემათა გადაწყვეტის მთავარ ინსტრუმენტად.

ნაშრომში განხილულია ინოვაციების შესახებ ევროკავშირის ლისაბონის სტრატეგია და საქართველოს მზაობა ამ სტრატეგიასთან ჰარმონიზებისათვის.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია რეკომენდაციები საქართველოში ინოვაციების ეფექტიანად განხორციელების თაობაზე.

L. Chagelishvili- Agladze

Innovative entrepreneurship and competition

Summary

The Target of innovative strategy is to beat the competitor, design unique novelty, which will be acknowledged in the given field.

Developed countries convincingly take fundamentally new – innovative stage of development. This means that the process of use of innovations turns into conscious, purposeful and reproductive process on systematic basis and innovations are considered to be the main tool for problem solving in community.

The paper deals with EU Lisbon strategy for innovation and the willingness of Georgia to harmonize with Lisbon strategy.

At the end the paper contains recommendations for effective implementation of innovations in Georgia.

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები

ნ. ახალაშვილი

ლიდერობის გენდერული ასპექტები

თანამედროვე საზოგადოებაში დემოკრატიული და ჰუმანისტური ღირებულებების დამკვიდრებამ მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია, რამაც უამრავი ახალი პრობლემური საკითხი დასვა მეცნიერების წინაშე. ბევრმა მოვლენამ განსხვავებული სოციალური თუ საზოგადოებრივი დატვირთვა შეიძინა. ამ ცვლილებებმა ბუნებრივად გამოიწვია სოციალური მეცნიერებების წინაშე ახალი პრობლემური საკითხების დასმა და ზოგიერთ შემთხვევაში ახალი დარგების ჩამოყალიბებაც.

გენდერული კვლევები, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, სწორედ ამ გზით ჩამოყალიბდა. გენდერმა, როგორც სოციალურმა მოვლენამ, თავისი აქტუალობა ფემინისტური მოძრაობის ზეგავლენით შეიძინა. თავდაპირველად იგი კაცობრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა, როგორც ქალთა დისკრიმინაციის საწინააღმდეგო სოციალური ინსტიტუტი (წერეთელი, 7-17). მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის გენდერული კვლევები შორს გასცდა მხოლოდ ქალთა პრობლემების შესწავლას, პოლიტიკოსებისა და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტებისათვის გენდერი დღემდე ინარჩუნებს პოლიტიკურ დატვირთვას. იგი საზოგადოებების დემოკრატიულობისა და განვითარების დონის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად ითვლება. გენდერული კვლევები და გენდერული მიდგომა გათვალისწინებულია მრავალი პროგრესული ქვეყნის (აშშ-ის, შვედეთის, კანადის, ავსტრალიის, ნიდერლანდების და ა.შ.) პოლიტიკის აგებისას, რაც გენდერული რეალიზაციისათვის თანაბარი პირობების შექმნას ითვალისწინებს.

განვასხვავოთ ტერმინები „სქესი“ და „გენდერი“. სქესის გაგება დაკავშირებულია ადამიანის ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური განსხვავებების გამოვლენასთან. სქესი განისაზღვრება ბიოლოგიური ფაქტორებით. გენდერი ქალისა და მამაკაცის მიერ სოციალურად ნასწავლი ქცევების, თვისებების და დამოკიდებულებების აღსანიშნავადაა მეცნიერებაში შემოტანილი (Словарь гендерных терминов, 21-24, 177-178).

გენდერული განსხვავებების თემა ფსიქოლოგიაში დიდ ინტერესს იწვევს, რაც განსაკუთრებით ბოლო წლებში გაძლიერდა, რადგან მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც ქალები უფრო და უფრო იკავებენ ხელმძღვანელ პოზიციებს.

საუკუნეების მანძილზე ქალები განიხილებოდნენ როგორც დამოკიდებული, მორჩილი და შემგუებელი არსებები. ასეთი იყო სტერეოტიპი, რომ მათ აკლდათ შესაძლებლობები ისეთი თვისებები განევითარებინათ, რომელიც ხელმძღვანელობისათვის იყო საჭირო. მხოლოდ მამაკაცებს უნდა ეხელმძღვანელათ, გაეცათ ბრძანებები და ეწარმოებინათ კონტროლი. დროთა განმავლობაში ქალების როლი შეიცვალა ფემინისტური მოძრაობის გავლენით. მე-20 საუკუნის ბოლოს გახშირდა ქალი — ხელმძღვანელი და, შესაბამისად, ბოლო წლებში ლიდერობის სტილის მიხედვით გენდერული განსხვავებების შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო.

ისმის კითხვა: არის თუ არა განსხვავებები ქალისა და მამაკაცის მონაცემებში, როდესაც ისინი ლიდერები ხდებიან? მკვლევრები ცდილობენ გაარკვიონ, თუ რატომ არის ასე ცოტა ქალი-ლიდერი, მაშინაც კი, როდესაც ქალები წარმოადგენენ დასაქმებულთა უმრავლესობას (ვგულისხმობთ სტატისტიკურ მონაცემებს. ქალ დასაქმებულთა მეტი პროპორციული წილია პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში). გენდერული განსხვავებების მკვლევართა ერთი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ თვითონ ქალები ნაკლებად ცდილობენ ლიდერობას. ამისთვის შესწავლილი იქნა მათი პიროვნული თვისებები და ქცევები, რათა დაედგინათ მმართველ რგოლში ქალების ასეთი დაბალი რაოდენობრივი მაჩვენებლის მიზეზები (Бендас, 35-47).

ხელმძღვანელობის სხვადასხვა სტილის არსებობა და მათ შორის ქალების როლის წამოწევა არის უაღრესად მნიშვნელოვანი თანამედროვე ორგანიზაციებისათვის. ზოგადად, ქალებისათვის უფრო რთულია კარიერული წინსვლა, ვიდრე მამაკაცებისათვის. ამიტომ საინტერესოა, არის თუ არა ამის მიზეზი მათი განსხვავებული ლიდერული უნარ-ჩვევები. ჩვენი, მართალია მცირე, მაგრამ საინტერესო კვლევის

ამოცანაც მდგომარეობდა იმაში, რომ დაგვედგინა, არსებობს თუ არა რეალური განსხვავება ქალისა და მამაკაცის ლიდერულ უნარ-ჩვევებში.

მიუხედავად იმისა, რომ ლიდერობის, როგორც ერთ-ერთი აქტუალური სოციალურ ფსიქოლოგიური მოვლენის კვლევა, რამდენიმე ათეული წლებია მიმდინარეობს, მისი რთული ხასიათის გამო, ის მაინც რჩება გამოუკვლელ ფენომენად (Бендас, 51-57). მეცნიერები ცდილობენ გარკვეული დასკვნების გაკეთებას, რათა ფსიქოლოგებმა, პედაგოგებმა და სხვადასხვა დარგის პროფესიონალებმა უფრო ადვილად შეძლონ შეიმუშავონ მეთოდები, რომლებიც დაეხმარებათ ადამიანებს ლიდერული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მკვლევრები კამათობენ ლიდერობის არსის შესახებ, თუ რა არის ლიდერობა, როგორ უნდა მოხდეს მისი დეფინიცია, ის თანდაყოლილია თუ შემდეგ უვითარდება ადამიანს და სხვა. ლიდერობა შესწავლილია მცირე ჯგუფებშიც, და დიდ ორგანიზაციებშიც, როგორც თვისობრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. გამომდინარე აქედან, არსებობს სხვადასხვა შეხედულება ლიდერობის შესახებ. მწვავე კამათი მიმდინარეობს იმაზე, თუ ვის უფრო მეტად აქვს განვითარებული ლიდერობის დონე — მამაკაცს თუ ქალს (Бендас, 2006, 200-241). დღევანდელ გარემოში საზოგადოების ინტერესი ლიდერობის ფენომენისადმი სულ უფრო იზრდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ბევრს სჯერა ლიდერობის უნარის ქონა პირადი, სოციალური თუ პროფესიული ცხოვრების გაუმჯობესების გზაა. კორპორაციებიც ლიდერ-ადამიანებს ეძებენ, რადგან ფიქრობენ, რომ მათ ორგანიზაციებისთვის განსაკუთრებული აქტივები მოაქვთ და აუმჯობესებენ ორგანიზაციის მდგომარეობას. თუ დააკვირდებით წიგნების მაღაზიებს, ნახავთ, რომ თაროები გავსებულია ლიდერობის შესახებ ლიტერატურითა და ათასგვარი რჩევებით, თუ როგორ გახდე წარმატებული ლიდერი (ლიდერობის ხელოვნება, 93-103) .

მიუხედავად მრავალი განმარტებისა, შეიძლება გამოვყოთ კონკრეტული მახასიათებლები, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ლიდერობისთვის: ა) ლიდერობა, როგორც პროცესი, ბ) ლიდერობა, როგორც გავლენა, გ) ლიდერობა ჩნდება ჯგუფში, დ) ლიდერობა ემსახურება საერთო მიზნებს. ამ კომპონენტებზე დაყრდნობით, ლიდერობა შეიძლება დავახასიათოთ ასე: ლიდერობა არის პროცესი, რომელშიც ადამიანი გავლენას ახდენს ინდივიდების ჯგუფზე საერთო მიზნის მისაღწევად.

ლიდერობა, როგორც პროცესი, გულისხმობს, რომ ლიდერი გავლენას ახდენს მის მიმდევრებზე და, ამასთანავე, ექცევა მიმდევრების გავლენის ქვეშ. ლიდერობა არ არის ცალმხრივი, არამედ ინტერაქციული მოვლენაა. როდესაც ლიდერობა ამგვარადაა განსაზღვრული, იგი ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდება. იგი აღარ არის შეზღუდული და დამოკიდებული მხოლოდ ჯგუფში ფორმალურად დანიშნულ ლიდერზე.

ლიდერობა მოიცავს გავლენას (Чалдини, 17-31). აქ იგულისხმება თუ როგორ ახდენს ლიდერი გავლენას მის მიმდევრებზე. გავლენა ლიდერობის განუყოფელი ნაწილია. ამის გარეშე ლიდერობა არ არსებობს. ლიდერობა თავს იჩენს ჯგუფებში. ჯგუფები გახლავთ ის კონტექსტი, რომელშიც ლიდერობა ხორციელდება. ლიდერობა მოიცავს გავლენის მოხდენას იმ ინდივიდთა ჯგუფზე, რომლებსაც საერთო მიზნები ამოძრავებთ. ეს შეიძლება პატარა, სპეციალური ამოცანისთვის შეკრებილი ჯგუფი იყოს, ან თემის წარმომადგენელთა ჯგუფი, ან დიდი ჯგუფი, რომელიც მთელ ორგანიზაციას წარმოადგენს.

ლიდერებს ყოველთვის ჰყავთ მიმდევრები. ლიდერებიც და მიმდევრებიც ლიდერობის პროცესში არიან ჩართულნი, ლიდერებს მიმდევრები სჭირდებათ, მიმდევრებს კი ლიდერები. მიუხედავად იმისა, რომ ლიდერებს და მიმდევრებს მჭიდრო კავშირი აერთიანებთ, სწორედ ლიდერი გახლავთ ამ კავშირის დამყარების ინიციატორი, იგი უყრის საფუძველს საერთო კომუნიკაციას და, ზოგადად, ის ზიდავს ურთიერთობის შენარჩუნების ტვირთს. ლიდერობა, როგორც პროცესი, გულისხმობს, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გახდეს ლიდერი. ლიდერობა არის მოვლენა, რომელიც ლიდერებისა და მიმდევრების ურთიერთობების კონტექსტში იბადება. ლიდერობა, როგორც პროცესი, ლიდერების ქმედებებში შეიძლება დავინახოთ და შევისწავლოთ (Чалдини, 205-224).

ზოგიერთი ადამიანი ლიდერია ორგანიზაციაში მისი ფორმალური სტატუსიდან გამომდინარე, მაგრამ ზოგიერთი ლიდერი ხდება იმ დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რაც მას და ჯგუფის წევრებს შორის ყალიბდება. ეს ლიდერობის ორი ყველაზე გავრცელებული ტიპია და მათ თანამდებობრივი და აღიარებული ლიდერობა ეწოდება. ლიდერობას, რომელიც ორგანიზაციაში გარკვეულ თანამდებობაზე დანიშვნით არის გამოწვეული, თანამდებობრივ ლიდერობას უწოდებენ. ჯგუფის ხელმძღვანელები, ქარხნის მე-

ნეჯერები, განყოფილების უფროსები, დირექტორები, ადმინისტრატორები და ა.შ. თანამდებობრივი ლიდერების მაგალითებია.

მიუხედავად ამისა, ადამიანი, რომელსაც ნიშნავენ ლიდერ პოზიციაზე, ყოველთვის ვერ ხდება რეალური ლიდერი. როდესაც სხვები, ოფიციალური სტატუსის მიუხედავად, ადამიანს განიხილავენ როგორც ჯგუფის ან ორგანიზაციის ყველაზე გავლენიან წევრს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს აღიარებულ ლიდერობასთან. ამ გზით, ადამიანი მაშინ ხდება ლიდერი, როცა ორგანიზაციაში ან ჯგუფში ადამიანები მხარს უჭერენ და იღებენ მის ქცევას. ამ ტიპის ლიდერობა მის ოფიციალურ პოზიციაზე არ არის დამოკიდებული; იგი ჩნდება გარკვეული პერიოდის შემდეგ კომუნიკაციის და ურთიერთობის შედეგად. წარმატებული ლიდერის აღიარებისთვის საჭირო საკომუნიკაციო ქცევა მოიცავს ვერბალურ ჩართულობას, ინფორმირებულობას, სხვა ადამიანების აზრებისადმი ინტერესს, ახალი იდეების ინიცირებას, კრეატულობას, პრინციპულობას, მაგრამ არა ჯიუტობას. აღიარებულ ლიდერობაზე შეიძლება ასევე მოახდინოს გავლენა გენდერულად მიკერძოებულმა ხედვამ. კვლევაში, რომელშიც 40-მა ორივე სქესის სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, აღნიშნავენ, რომ ქალები, რომელთაც სთხოვეს დაერწმუნებინათ მათი ჯგუფის წევრები, მიეღოთ გარკვეული გადაწყვეტილებები, იმავე სიხშირით აღწევდნენ წარმატებას, როგორითაც კაცები, რომელთაც იდენტური ინსტრუქციები მისცეს. მიუხედავად იმისა, რომ ქალები თანაბრად გავლენიანი ლიდერები იყვნენ მათ ჯგუფებში, მათი ლიდერობის რეიტინგი უფრო დაბალი იყო, ვიდრე მამაკაცებისა. გარდა ამისა, რეიტინგის მიხედვით გავლენიანი ქალები, მამაკაცებთან შედარებით, ნაკლებად იმსახურებდნენ საერთო მოწონებას. ეს შედეგები გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ ვითარებაში ქალების ლიდერებად აღიარებასთან დაკავშირებით ბარიერები ისევ არსებობს (Петрова, 45-76).

ლიდერობის ორიგინალურ ხედვას გვთავაზობს სოციალური იდენტობის თეორია (Бендас, 190-197). მისი მიხედვით, ლიდერობის აღიარება ხდება მაშინ, როცა ადამიანი ერგება ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანის, იდენტობას. დროთა განმავლობაში ჯგუფი ვითარდება და შესაბამისად ვითარდება ჯგუფის პროტოტიპიც. ინდივიდები ჯგუფში ლიდერად გამოიკვეთებიან, როცა ისინი ყველაზე მეტად ემსგავსებიან ამ ჯგუფის პროტოტიპს. პროტოტიპთან მსგავსება ლიდერებს მომხიბლავს ხდის ჯგუფისათვის და მათ გავლენასაც ამკვიდრებს.

ლიდერობა ბევრი რამით ჰგავს მართვას, მენეჯმენტს (Платонов, 2006, 378-394). ლიდერობა, ისევე როგორც მართვა, მოიცავს გავლენასა და ადამიანებთან მუშაობას. ლიდერობა მიზნის ეფექტურად მიღწევისთვის ძალისხმევას გულისხმობს; იგივე ითქმის მენეჯმენტზეც. თუმცა, ლიდერობა მართვისაგან განსხვავდება კიდეც. ლიდერობის შესწავლა არისტოტელეს დროიდან დაიწყო, მართვისა კი- ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად მე-20 საუკუნის დასაწყისში. მართვა საჭირო გახდა ორგანიზაციებში ქაოსის შესამცირებლად, მათი ეფექტური და ქმედითი მუშაობისთვის. მართვის მთავარი ფუნქციები გახდა დაგეგმვა, ორგანიზება, კადრებით დაკომპლექტება და კონტროლი. ეს ფუნქციები დღესაც მნიშვნელოვანია მართვის სფეროში. უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად, ლიდერის და მენეჯერის ფუქციები საკმაოდ განსხვავებულია. მართვის ძირითადი ფუნქცია ორგანიზაციაში წესრიგის დამყარებაა, მაშინ, როცა ლიდერობის უმთავრესი ფუნქცია ცვლილების განხორციელება და მოძრაობისთვის საფუძვლის ჩაყრაა. მართვა წესრიგს და სტაბილურობას, ლიდერობა კი კონსტრუქციულ ცვლილებას გულისხმობს. მართვა, ნიშნავს შეასრულო გარკვეული საქმე და კარგად გაუძღვე რუტინას, მაშინ, როცა ლიდერობა სხვებზე გავლენის მოხდენასა და ცვლილებებისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში ხორცილედება. ლიდერობა არის მრავალი მიმართულებით გავლენის შემცველი ურთიერთობა, ხოლო მართვა – ერთი მიმართულებით განხორციელებული, ავტორიტეტზე დაფუძნებული ურთიერთობაა. ლიდერობა არის საერთო მიზნების დასახვის ორმხრივი პროცესი, მართვა საქმიანობის კოორდინირებაა სამუშაოს შესასრულებლად. ლიდერები და მიმდევრები ერთად მუშაობენ რეალური ცვლილებებისათვის, მაშინ, როცა მმართველები და მათდამი დაქვემდებარებული ადამიანები ერთიანდებიან იმისათვის, რომ გაყიდონ საქონელი და სერვისები (ლიდერობის ხელოვნება, 7-15). მმართველები რეაგირებენ გარკვეულ მოვლენებზე და ურჩევნიათ სხვებთან ერთად იმუშაონ პრობლემების გადასაწყვეტად, მაგრამ ამ პროცესში ემოციურად ნაკლებად არიან ჩართულნი. ისინი ცდილობენ, შეამცირონ არჩევანის შესაძლებლობა. ლიდერები საკმაოდ ემოციურად და აქტიურად არიან საქმეში ჩართულები. ისინი კი არ რეაგირებენ მოვლენებზე, არამედ თავად არიან მოვლენების სულისჩამდგმელი და ახალი იდეების წყარო. ისინი ცდილობენ არჩევანის გაფართოებას გრძელვადიანი პრობლემების გადასაჭრელად. ლიდერები ცვლიან ადამიან-

თა შეხედულებებს იმაზე, თუ რისი გაკეთება არის შესაძლებელი და რისი არა. მართვასა და ლიდერობას შორის აშკარა განსხვავებების მიუხედავად, მათ შორის არის გადაკვეთებიც. მაგალითად, როდესაც მმართველები ცდილობენ საკუთარი მიზნების მისაღწევად გავლენა მოახდინონ რაღაც ჯგუფზე, ისინი უკვე ლიდერობის პროცესში ერთვებიან. როდესაც ლიდერებს უხდებათ დაგეგმვა, ორგანიზება, პერსონალის შერჩევა და კონტროლი, ისინი რეალურად მმართველები ხდებიან. ორივე პროცესი მოიცავს ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფზე გავლენის მოხდენას საერთო მიზნის მისაღწევად.

ლიდერობის, როგორც თვისების განხილვა, მეოცე საუკუნეში ლიდერობის შესწავლის პირველ სისტემურ მცდელობას წარმოადგენდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში ცდილობდნენ დაედგინათ, რა თვისებების მქონე ადამიანი შეიძლება გამხდარიყო გამორჩეული ლიდერი. ამან საფუძველი ჩაუყარა „დიდი ადამიანის“ თეორიებს, რადგან მკვლევრები კონცენტრირებულნი იყვნენ იმ თანდაყოლილ და შინაგან თვისებებზე, რაც დიდ სოციალურ, პოლიტიკურ თუ სამხედრო ლიდერებს ახასიათებდათ (მაგალითად, ჟანა დარკი, მაჰათმა განდი, ინდირა განდი, აბრაამ ლინკოლნი, ნაპოლეონ ბონაპარტი და სხვა). ყველა კვლევაში იყო მცდელობა გამოეყოთ ის თვისებები, რაც ლიდერებს მიმდევრებისგან განასხვავებდა (Argyle, 147-157).

მე-20 საუკუნის შუა ხანებში, ზემოხსენებული მიდგომა ეჭვქვეშ დააყენა კვლევამ, რომლის მიხედვითაც ლიდერის თვისებები უნივერსალური არ გახლდათ. სტოგდილის მიერ უამრავი სიტუაციის განხილვის შედეგად, ვერ გამოიკვეთა ხასიათის განსაკუთრებული თვისებები, რომლებიც ძირითადად ლიდერებს ახასიათებდათ და მათ ჩვეულებრივი ადამიანებისაგან განასხვავებდა (Бендас, 59-65). ინდივიდი, რომელსაც ჰქონდა გარკვეული თვისებები და ერთ სიტუაციაში გახლდათ ლიდერი, სხვა სიტუაციაში შეიძლება ლიდერი არ ყოფილიყო. ლიდერობის ცნება მკვლევარმა წარმოადგინა არა როგორც ხასიათის თვისება, არამედ როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობა სოციალურ გარემოში. მართალია, პიროვნულ თვისებებს მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მაგრამ, მკვლევრების თანახმად, ეს თვისებები კონკრეტულ გარემოსთან მიმართებაში უნდა ყოფილიყო განხილული. ლიდერის თვისებების დადგენასთან დაკავშირებული კვლევები მთელი მე-20 საუკუნე მიმდინარეობდა. დასკვნა ასეთი იყო: საშუალო ლიდერი განსხვავდება ჯგუფის საშუალო წევრისგან რვა მახასიათებლით. ესენია: ინტელექტი, სიფხიზლე, გამჭრიახობა, პასუხისმგებლობა, ინიციატივა, შეუპოვრობა, თვითდარწმუნება და სოციალურობა (Бендас, 69-75).

მას შემდეგ, რაც მენეჯერებმა ყველა დანარჩენი რესურსის მეტ-ნაკლები ეფექტურობით გამოყენება ისწავლეს, მიადგნენ სამართავად ყველაზე რთულს, მაგრამ ამოუწურავი შესაძლებლობების მქონე რესურსს — ადამიანებს. სწორედ რიგითი მუშაკები — მათი მოტივაცია და ჩართულობა ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობასა და განვითარების პროცესში — მალე ბევრი კომპანიის წარმატებისათვის გადამწყვეტი ფაქტორი გახდება. მენეჯერი რაც უფრო კარგად ახერხებს რიგითი თანამშრომლების გახსნას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და ორგანიზაციის ინტერესებზე მორგებას, მით უფრო სწრაფად მიაღწევს ეს ჯგუფი ან ორგანიზაცია მნიშვნელოვან წარმატებას.

რა ევალება ლიდერს? რა თვისებები და ფუნქციები უნდა გამოარჩევდეს მას რიგითი მენეჯერისგან? რას უნდა ვაკეთებდეთ იმისთვის, რომ ჩვენ გვერდით მომუშავეთა ამოუწურავი შესაძლებლობების მცირე ნაწილის გამოყენება მაინც მოვახერხოთ ორგანიზაციის საკეთილდღეოდ? ეს კითხვები ბევრ ისეთ მენეჯერს უჩნდება, რომელიც ხვდება, რომ უკეთესი შედეგის მისაღწევად გუნდის წევრებისგან სჭირდება მხარში დგომა და ბევრად მეტი მონდომება. რა განსხვავებაა ლიდერსა და მენეჯერს შორის?

ლიდერებს ირჩევენ გუნდის წევრები, ენდობიან და მისდევენ მათ. მენეჯერებს კი ძირითადად ზემოდან ნიშნავენ, რაც ხშირად არ გულისხმობს იმას, რომ ქვეშევრდომები მათ ლიდერებად აღიქვამენ. ლიდერები უკეთ ახერხებენ გუნდის წევრების შესაძლებლობების გამოყენებას, როცა ამ წევრებისგან ნდობა და მართვის მანდატი აქვთ. სწორედ ამიტომ იზრდება ასე სწრაფად მათზე მოთხოვნა, განსაკუთრებით კი იქ, სადაც რიგითი ადამიანების ჩართულობა და მოტივაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ორგანიზაციის წარმატებისთვის.

ლიდერობის სტილის სახეობებად და კატეგორიებად დაყოფის ბევრი მაგალითი არსებობს, თუმცა ბოლო ათწლეულის, შეიძლება ითქვას, 21-ე საუკუნეში ყველაზე გავრცელებული დაყოფა ჯიმ კოლინსმა შემოგვთავაზა. 1996 წლიდან 2001 წლამდე ჯიმ კოლინსმა და მისმა გუნდმა შეისწავლა „Fortuna 500“-ის

სიაში შემავალი 1435 კომპანია, რათა გამოევლინა მათი წარმატების ფაქტორი (ლიდერობის ხელოვნება, 39-53).

ამ კვლევის საფუძველზე მოხდა ეფექტიანი ლიდერობის ხუთი დონის გამოყოფა:

1. პირველი დონე — ე. წ. მაღალი შესაძლებლობების მქონე ინდივიდი — ასეთ ლიდერს საკუთარი ნიჭის, ცოდნის, უნარებისა და კარგი სამუშაო უნარ-ჩვევების დახმარებით შეაქვს პროდუქტული წვლილი კომპანიის განვითარებაში;

2. მეორე დონე — ე. წ. ხელის შემწყობი გუნდის წევრი — ასეთი ლიდერი ხელს უწყობს გუნდური მიზნებისა და ამოცანების მიღწევას და ეფექტიანად მუშაობს სხვებთან გუნდურ გარემოში;

3. მესამე დონე — ე. წ. კომპეტენტური მენეჯერი — ასეთი ლიდერი ახდენს ადამიანებისა და რესურსების ორგანიზებას წინასწარგანზრახული ამოცანების რაც შეიძლება ეფექტიანად შესრულებისათვის;

4. მეოთხე დონე — ე. წ. ეფექტიანი ლიდერი — ასეთი ლიდერი უზრუნველყოფს ნათელი და მტკიცე ხედვის მიმართ ერთგულებას; აძლევს გუნდს სტიმულირებას, რომ მათ მიაღწიონ სამუშაოს განხორციელების უმაღლეს სტანდარტებს;

5. მეხუთე დონე — ე. წ. აღმასრულებელი — ასეთი ლიდერი პირადი თავმდაბლობისა და მაღალი დონის პროფესიული ნებისყოფის, ერთი შეხედვით, პარადოქსული კომბინაციის საფუძველზე ქმნის მდგრად და ხანგრძლივ წარმატებას.

ჯ. კოლინსს ყველაზე მეტად აინტერესებდა, თუ რა აძლევს საშუალებას ორგანიზაციას, მიაღწიოს არამხოლოდ კარგ, არამედ არაჩვეულებრივ, ექსტრაორდინალურ შედეგებს. ასეთი შედეგების მქონე შესწავლილი 1435 კომპანიიდან მან მხოლოდ 11 გამოყო და კვლევის შედეგებიდან დაადგინა, რომ თითოეული მათგანის სათავეში მყოფი პირები სწორედ მეხუთე დონის ლიდერებს მიეკუთვნებოდნენ.

1970-იან წლებამდე სხვადასხვა მიზეზის, მათ შორის მეთოდოლოგიური დაბრკოლებებისა, მამაკაცი მკვლევრების მხრიდან ინტერესის ნაკლებობისა და ლიდერობაში სქესთა თანასწორუფლებიანობის ტრადიციული შეხედულების გამო, მკვლევრები გენდერთან და ლიდერობასთან დაკავშირებული საკითხებით ნაკლებად ინტერესდებოდნენ. ბოლო დროს ამერიკულ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, ლიდერულ პოზიციებსა და აკადემიურ სფეროში ქალთა მზარდმა რაოდენობამ მდედრობითი სქესის ლიდერების მიმართ ინტერესი გააღვივა.

მეცნიერებმა დაიწყეს მარტივი შეკითხვით „შეუძლიათ თუ არა ქალებს ლიდერობა?“, მაგრამ ეს ამჟამად უკვე მოძველებული კითხვაა. იმის გარდა, რომ დღეს უფრო და უფრო მეტი ქალი გვევლინება კორპორაციულ და პოლიტიკურ ლიდერად, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ განსაკუთრებით წარმატებული ქალი ლიდერები სხვადასხვა სფეროში. ამ ქალთა შორის არიან ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ყოფილი პრემიერ მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი, ინდოეთის პრემიერ მინისტრი ინდირა განდი, ჩილეს პრეზიდენტი ვერონიკა მიშელ ბაჩელე, „პეპსიკოლას“ აღმასრულებელი დირექტორი ინდრა ნოი, „ეივონის“ აღმასრულებელი დირექტორი ანდრეა იუნგი და ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი, ოთხვარსკვლავიანი გენერალი ენ დანვუდი, და „ასწავლე ამერიკისათვის“ დამფუძნებელი ვენდი კოპი. ამ ეტაპზე, უპირველესი საკვლევი საკითხია – „არის თუ არა ლიდერობის სტილსა და ეფექტიანობაში განსხვავებები ქალებსა და მამაკაცებს შორის?” რომელიც ხშირად გაერთიანებულია სხვა კითხვაში: „რატომ არიან ქალები ნაკლებად წარმოდგენილი ელიტურ ლიდერულ პოზიციებზე?“ (ლიდერობის ხელოვნება, 53-61).

რაც უფრო მეტი ქალი იკავებს ლიდერულ პოზიციას, მით უფრო ხშირად ისმის ასეთი კითხვები: რამდენად განსხვავებულად ლიდერობენ ქალები ან არიან თუ არა ქალი ლიდერები უფრო მეტად ეფექტიანები მამაკაც-ლიდერებთან შედარებით? ლიდერობის სტილებს შორის გენდერული განსხვავებები მართლაც არსებობს და ქალთა ლიდერობა თანამედროვე საზოგადოებაში უფრო მიღებული და აღიარებულია. მიუხედავად ამისა, მეცნიერ-მკვლევართა მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ბევრი ამტკიცებს, რომ სქესი ლიდერობის სტილთან და ეფექტიანობასთან უმნიშვნელოდ არის ან საერთოდ არ არის დაკავშირებული (Бурн, 41-57). ადრეულ კვლევებში, სადაც ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავებულ ლიდერობის სტილზე იყო აქცენტი, ძირითადად ერთმანეთს ადარებდნენ ინტერპერსონალურ და დავალებაზე ორიენტირებულ, ან დემოკრატიულ და ავტოკრატულ სტილებს. თავიანთ მეტა-ანალიზში Eagly-მა და Johnson–მა დაადგინეს, რომ სტერეოტიპული შეხედულებების საპირისპიროდ, ქალები, მამაკაცებთან შედარებით, სულაც არ ლიდერობდნენ უფრო ინტერპერსონალურზე და ნაკლებად დავალებებზე ორიენტირებული სტილით. ეს სხვაობები უფრო ისეთ გარემოში

ვლინდებოდა, სადაც ქცევა მეტად რეგულირდებოდა სოციალური როლებით. ერთადერთი განსხვავება, რომელიც სხვადასხვა გარემოში ერთნაირად ფიქსირდებოდა, გახლდათ ის, რომ ქალები ირჩევდნენ უფრო დემოკრატიული სტილს, ვიდრე მამაკაცები. ყველა სხვა მეტა-ანალიზმა, რომელიც 1987 წლიდან 2000 წლამდე ჩატარებულ კვლევებს მიმოიხილავდა, იგივე შედეგები აჩვენა. აღიარებულია, რომ ქალებიც და მამაკაცებიც უფრო წარმატებულები არიან იმ პოზიციებზე, რომლებიც მათი სქესისთვის უფრო შესაფერისია. ქალები მამაკაცებზე ნაკლებად ეფექტიანები არიან სამხედრო პოზიციებზე, მაგრამ უფრო წარმატებულები — განათლების სფეროში, სამთავრობო პოზიციებზე და სოციალურ სამსახურში; ასევე, საშუალო მენეჯერულ პოზიციებზე, სადაც ურთიერთობებსა და ინტერპერსონალურ უნარ-ჩვევეებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება (წერეთელი, 33-40).

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ლიდერობის სტილსა და ეფექტიანობაზე ჩატარებული ემპირიული კვლევები, ქალებსა და მამაკაცებს შორის მცირედ განსხვავებებზე თუ მიუთითებს. ქალები ნაკლებად სარგებლობენ უპირატესობით მამაკაცურ პოზიციებზე მაშინ, როცა მათ უპირატესობა აქვთ უფრო ქალისთვის შესაფერ პოზიციებზე. გარდა ამისა, ქალები მამაკაცებზე უფრო მეტად იყენებენ დემოკრატიული ლიდერობის სტილს, ანუ იმ სტილს, რომელიც დღეისათვის წარმატებული ლიდერობის საწინდარია. შეიძლება ითქვას, რომ ქალები, მამაკაცებთან შედარებით, არანაკლებ ერთგულნი არიან თავიანთი საქმისა და მოტივირებულნი ლიდერის როლის შესასრულებლად. თუმცა, ქალები მამაკაცებთან შედარებით უფრო ნაკლებად ცდილობენ თავის წარმოჩენას.

ქალი — ლიდერი და მისი როლი საზოგადოებაში

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით მრავალი ქალი-ლიდერი არსებობს, ზოგადად, ქალის ლიდერობა მიუღებელია ბევრი საზოგადოებისათვის. შეხედულებების შეცვლა ძნელია, რადგან ლიდერობის შესახებ ტრადიციის ნორმები მტკიცედ არის ჩამჯდარი აზროვნებაში. ჩვენს საზოგადოებაში, როგორც სხვაგან, ლიდერები უმეტეს შემთხვევაში, მამაკაცები არიან. წარსულში ლიდერობა ქალისთვის ლიმიტირებული იყო; საზოგადოება თვლიდა, რომ ხელმძღვანელობა მამაკაცის საქმეა (Аронсон, Уйлсон, Эйкерт, 433-454). ლიდერობა ხალხის თვალში გაიგივებული იყო ისეთ თვისებებთან, როგორიც არის — სიმკაცრე, აგრესიულობა, რაც პირდაპირ ასოცირდება სიძლიერესთან. ქალი კი განიხილებოდა, როგორც ნაზი და, შესაბამისად, სუსტი არსება. არსებობდნენ გამონაკლისი ლიდერი ქალებიც, რომლებიც ყოველთვის გაიგივებულნი იყვნენ მამაკაცებთან და ითვლებოდა, რომ რაც მეტად ჰქონდათ მათ განვითარებული მამაკაცისთვის დამახასიათებელი თვისებები, მით უკეთესი ლიდერები იყვნენ. მაგალითად, ზემოთ უკვე ნახსენები მარგარეტ ტეტჩერი ბრიტანეთში მოიხსენიებოდა როგორც „საუკეთესო მამაკაცი“ („Best Men“), რაც ნიშნავს იმას, რომ ტეტჩერს აღიქვამდნენ როგორც მამაკაცის თვისებების მატარებელს და ის არ ჯდებოდა ფართოდ გავრცელებულ სტერეოტიპებში, თუ როგორი უნდა იყოს ქალი და, მითუმეტეს, ქალი ლიდერი (Петрова, 58-91).

სწორედ ეს სტერეოტიპები უშლიან ხელს ქალებს იყვნენ ლიდერები. 1960-1970 წლებში განვითარებულ ქვეყნებშიც კი ითვლებოდა, რომ მამაკაცები უფრო მეტად კომპეტენტურები, სამართლიანები და მკაცრები იყვნენ, ვიდრე ეს შეეძლოთ ქალებს. ითვლებოდა, რომ ქალები და მამაკაცები ურთიერთსაპირისპიროები იყვნენ, ხოლო ვინც ორივეს როლს და მახასიათებლებს ითვისებდა, იყო გადახრა ნორმიდან და, შესაბამისად, საჭიროებდა მკურნალობას. ვინაიდან სტერეოტიპი ქალს მეტი ემოციურობითა და ნაკლები კომპეტენტურობით ახასიათებს, ამიტომ დღესდღეობითაც ითვლება, რომ თუ ხარ კარგი მენეჯერი, უნდა გქონდეს მამაკაცის თვისებები. მიუხედავად ამისა, თანამედროვე სამყაროში ქალ-მენეჯერთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა.

პასუხისმგებლობის სუბორდინაცია განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის ლიდერი — ქალი თუ მამაკაცი. გენდერული უფლებების ასეთ მცდარ სტერეოტიპს მივყავართ მთავარ პრობლემასთან. ქალი ლიდერი, უმრავლესობის აზრით, არღვევს ყოველგვარ სტერეოტიპს, რადგან ქალს მოეთხოვება, იყოს ნაზი, დამთმობი, უკონფლიქტო. უმრავლესობა უკმაყოფილებას გამოთქვამს, როდესაც ქალი გასცემს ბრძანებას. სწორედ ამ სტერეოტიპის დამსახურებაა ის, რომ ქალების მეტი წილი ცდილობს, გამოავლინოს მამაკაცის ის თვისებები, რომელიც, ხალხის აზრით, მენეჯერს მოეთხოვება. სწორედ ასეთი ქა-

ლები ირგებენ მკაცრი უფროსების როლს, რომ დაარღვიონ სტერეოტიპი — „ქალის ადგილი სამზარეულოშია“ (Бурн, koob.ru, 66-78).

როგორც ცნობილია, გენდერულ განსხვავებებთან დაკავშირებული თემები გასულ საუკუნეში სრულიად იგნორირებული იყო. ლიდერობის ორიგინალური კონცეფცია ეფუძნებოდა მტკიცებულებას, რომ ყველა ლიდერს ჰქონდა გარკვეული უნივერსალური თვისება, რაც მას ლიდერად აქცევდა. ეს თვისებები მეტისმეტად თვითმყოფადი და მყარი იყო. შესაძლოა, არც არის გასაკვირი, რომ გენდერული უთანასწორობის საკითხი არ წარმოადგენდა ინტერესის საგანს ლიდერობის ცნებასთან მიმართებაში. ლიდერი ქალის კონცეფცია სრულიად მიუღებელი იყო მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ინტერესს იწვევდა არა ლიდერობის დამახასიათებელი თვისებები, არამედ გარემოებები, სადაც ლიდერი მოქმედებდა. ეს გულისხმობდა, შესწავლილიყო, თუ როგორ გაართმევდა ლიდერი თავს ამა თუ იმ ვითარებას, თუ როგორ სტილს გამოიყენებდა იგი ამისათვის. გენდერული სხვადასხვაობა კი ჯერ კიდევ არ იმსახურებდა დიდ ინტერესს.

ქალთა ლიდერობის შესახებ შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურის უმეტესობა განსაკუთრებით მენეჯმენტის სფეროში, გამოხატავს შეხედულებას, რომ თუ ქალებს სურთ მიაღწიონ წარმატებას, უნდა ისწავლონ მამაკაცებივით მოქცევა. ეს არის ის, რაც დედებს არ უსწავლებიათ მათთვის, ქალები არ არიან სოციალურად მზად, რომ შეძლონ კონკურენცია მამაკაცებთან. არსებობს მოსაზრება, რომ ამის გამოსწორების საშუალებაა, ქალებმა განივითარონ ახალი უნარები, რომლებიც მათ საშუალებას მისცემთ, მიაღწიონ წარმატებას (ლიდერობის ხელოვნება, 83-93).

ამდენად, ლიდერობისა და, განსაკუთრებით, მისი გენდერული ასპექტების მხრივ ჩატარებული მრავალი კვლევის მიუხადავად კვლავ არსებობს პასუხგაუცემელი შეკითხვები, რომელიც შესაბამისად დამატებით ძიებას საჭიროებს; ამისთვის დიდი სივრცე მოიპოვება, მათ შორის საქართველოშიც. გამომდინარე აქედან, ჩვენ მიზნად დავისახეთ თანამედროვე ქართულ ორგანიზაციაში ლიდერობის გენდერული ასპექტების შესწავლა და იმის დადგენა, არსებობს თუ არა ქალისა და მამაკაცის მართვის სტილში განსაკუთრებული სხვაობები და თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი სპეციფიკები.

ჩვენი ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილების მქონე მენეჯერების მართვის სტილი განსხვავდება ერთმანეთისგან, ამ განსხვავების მიზეზი არ არის გენდერი და ლიდერობის გენდერული ასპექტები მხოლოდ მცირე განსხვავებებს იძლევა.

კვლევის აღწერა და მიღებული შედეგები

კვლევისთვის გამოყენებული იქნა ტესტი „ლიდერი“, რომელიც აპრობირებულია ქართულ რეალობაში (ახალაშვილი, 69-75). ტესტის გასაღების მიხედვით მიღებული ჯამური ქულა განსაზღვრავს, თუ რამდენად ძლიერად არის გამოხატული ადამიანში ლიდერობის უნარ-ჩვევები, რომლებიც დაყოფილია შემდეგ გრადაციებად:

- **ჯგუფი 1** — 40 ქულაზე მეტი ნიშნავს, რომ რესპოდენტის ლიდერული უნარ-შესაძლებლობები ძალიან ძლიერ არის გამოხატული;
- **ჯგუფი 2** — 35-დან 39 ქულამდე მიუთითებს ძლიერ ლიდერულ უნარ-ჩვევებზე;
- **ჯგუფი 3** — 25-დან 34 ქულამდე ნიშნავს საშუალო დონის ლიდერულ უნარებს;
- **ჯგუფი 4** -11-დან 24 ქულამდე ნიშნავს სუსტად გამოხატულ ლიდერულ მახასიათებლებს;
- **ჯგუფი 5** -10 ქულა და ნაკლები ნიშნავს, რომ ლიდერული უნარები თითქმის არ შეიმჩნევა.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 70-მა რესპოდენტმა (აქედან 35- ქალი, 35- მამაკაცი). თითოეული მათგანი მუშაობდა მენეჯერულ პოზიციაზე. კვლევის შედეგების დამუშავება განხორციელდა სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლის მიხედვით, კერძოდ, გამოყენებული იქნა როგორც პროცენტული განაწილება სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით, ასევე, მოხდა შედარება როგორც ჯამური, ისე თითოეული კითხვის შედეგების მიხედვით მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის ე. წ. T –Test-ის მეშვეობით.

როგორც კვლევის მეთოდის აღწერისას იქნა მითითებული, ტესტის შედეგები ნაწილდება ხუთ ჯგუფში. ჩვენი შერჩევის შემთხვევაში, ორი უკიდურესი ჯგუფი (N1 — ძალიან ძლიერად გამოხატული ლი-

დერული თვისებები და N5 — ლიდერული თვისებების არარსებობა) საერთოდ არ დაფიქსირდა და, შესაბამისად, მონაცემები გადანაწილდა დარჩენილ სამ ჯგუფში.

რესპოდენტთა ყველაზე მეტი ნაწილი — 70% მოხვდა მესამე ჯგუფში, რომელიც საშუალო ლიდერული უნარ — ჩვევებით ხასიათდება, 19% მოხვდა მეორე ჯგუფში (ძლიერი ლიდერული უნარ-ჩვევები) და 11% — მეოთხე ჯგუფში (სუსტი ლიდერული უნარ-ჩვევები). რაც შეეხება ამავე სამ ჯგუფში სქესის მიხედვით განაწილებას, მამრობით და მდედრობითი სქესის მიხედვით პროცენტული განაწილება დაახლოებით იგივეა, როგორც ჯამური განაწილება.

შედეგების ანალიზის მიხედვით, განსაკუთრებული სხვაობა ქალებსა და მამაკაცებს შორის ლიდერული უნარ-ჩვევების თავისებურებების მიხედვით არ გამოიკვეთა, თუმცა მეტი სანდოობისათვის ეს შედარება გადავამოწმეთ T –Test-ით, რომელმაც იგივე შედეგი დაადასტურა -Sig (2tailed) – 0.508.

ჩატარებულმა კვლევამ და მისმა შედეგებმა არ გამოავლინა განსაკუთრებული სხვაობა ქალებსა და მამაკაცებს შორის ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარების მხრივ. თუმცა მაინც მივიღეთ საინტერესო შედეგი. გამოკვლევამ აჩვენა, რომ მენეჯერ ქალებს უფრო ადვილად შეუძლიათ საკუთარი აზრის დაფიქსირება, ვიდრე მამაკაცებს; ქალები უფრო ხშირად ავლენენ მრჩევლის საჭიროების მოთხოვნილებას პროფესიულ საქმიანობაში, ვიდრე მამაკაცები; ქალები უფრო მეტად იკავებენ თავს ცხარე დისკუსიებისაგან მამაკაცებთან შედარებით; ქალებმაც და მამაკაცებმაც უპირატესობა მართვის კოლეგიალურ სტილს მიანიჭეს; ქალები უფრო ხშირად წინა პლანზე საქმიან ინტერესებს აყენებენ პირადთან შედარებით, ვიდრე მამაკაცები; ქალები უფრო მეტად თვლიდნენ, რომ ადამიანის ბედნიერებისათვის არ არის აუცილებელი შეუმჩნევლად ცხოვრება და ჩრდილში დგომა, არამედ პირიქით.

მნიშვნელოვანია, რომ ტესტი ჩაუტარდათ მოქმედ მენეჯერებს, რომლებსაც თავისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე მეტნაკლებად ჩამოყალიბებული აქვთ ლიდერის სხვადასხვა თვისებები.

ვფიქრობთ, რომ ეს კვლევა და მისი შედეგები, პირველ რიგში, მიუთითებს იმაზე, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო ქალების როლის წინ წამოწევას, განსაკუთრებით კი მმართველ პოზიციებზე ქალების დანიშვნას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ახალაშვილი ნ. ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 2015
2. ლიდერობის ხელოვნება. სინერჯი ჯგუფი. თბილისი, 2012
3. წერეთელი მ. გენდერი — კულტურული და სოციალური კონსტრუქტი. თბილისი, 2016
4. Адайр Дж. Искусство управлять людьми и самим собой. М., 2006
5. Аронсон Э., Уйлсон Т., Эйкерт Р., Психологические законы. 5-е изд, СПб., М., 2004
6. Бендас Т. Гендерная психология. М., СПб., 2006
7. Бендас Т. Психология лидерства. Теория и практика. М., СПб., 2009
8. Бурн Ш. Гендерная психология. www. koob.ru
9. Петрова Р. Гендерология и феминология. Учебное пособие. 5-е изд, М., 2010
10. Платонов Ю. Социальная психология поведения. М., СПб., 2006
11. Словарь гендерных терминов. Ред. Денисова А. М., 2002
12. Фексеус Х. Искусство манипуляции. Как читать мысли других людей и незаметно управлять ими. www. koob.ru
13. Чалдини Р. Психология влияния. М,. СПб,. 2009
14. Argyle M. Psychology and Social Problems. SSP26. London EC4

ნ. ახალაშვილი

ლიდერობის გენდერული ასპექტები

რეზიუმე

ხელმძღვანელობის სხვადასხვა სტილის არსებობა და, მათ შორის, ქალების როლის წამოწევა არის უაღრესად მნიშვნელოვანი თანამედროვე ორგანიზაციებისათვის. ზოგადად, ქალებისათვის უფრო რთულია კარიერული წინსვლა, ვიდრე მამაკაცებისათვის, ამიტომ საინტერესოა, არის თუ არა ამის მიზეზი მათი განსხვავებული ლიდერული უნარ-ჩვევები. ჩვენი, მართალია მცირე, მაგრამ საინტერესო კვლევის ამოცანაც მდგომარეობდა იმაში, რომ დაგვედგინა, არსებობს თუ არა რეალური განსხვავება ქალისა და მამაკაცის ლიდერულ უნარ-ჩვევებში.

კვლევისთვის გამოყენებული იქნა ტესტი „ლიდერი“, რომელიც აპრობირებულია ქართულ რეალობაში. შედეგების ანალიზის მიხედვით, განსაკუთრებული სხვაობა ქალებსა და მამაკაცებს შორის ლიდერული უნარ-ჩვევების თავისებურებების მიხედვით, არ გამოიკვეთა. ვფიქრობთ, რომ ეს კვლევა და მისი შედეგები პირველ რიგში მიუთითებს იმაზე, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა, ზოგადად, საზოგადოების განვითარებამ ხელი შეუწყო ქალების როლის წინ წამოწევას, განსაკუთრებით კი მმართველ პოზიციებზე ქალების დანიშვნას.

N. Akhalashvili

Gender aspects of leadership

Summary

Different styles of leadership and highlighting the role of women is very important among modern organizations. In general, women are more difficult to develop their careers than men, so it is interesting whether the reason for that are their different leadership skills. Our, although small, but interesting research task was that to find out whether there is any real difference between men and women in leadership skills.

The research was conducted on the test „leader“, which is approved in Georgian reality. According to the results of the analysis, the difference between men and women of exceptional leadership skills, according to the particular features, have been identified. We believe that this study and its findings in the first place indicates that the events of the past decade: economic growth and community development in general have contributed to the increase of women's role in the society, especially in the appointment of women to managerial positions.

ნ. ახალაშვილი, ლ. შენგელია

აგრესია და თვითშეფასება

აგრესიის, როგორც ერთ-ერთი აქტუალური სოციალურ ფსიქოლოგიური მოვლენის შესწავლა რამდენიმე ათეული წელია მიმდინარეობს, თუმცა მისი რთული ბუნების გამო, ჯერ-ჯერობით, ბოლომდე გამოუკვლეველი რჩება. მეცნიერები ცდილობენ გარკვეული დასკვნების გაკეთებას, რათა შემდგომში ადამიანებმა უფრო ადვილად შეძლონ საკუთარი აგრესიული იმპულსებისა თუ ქცევების მართვა, ხოლო ფსიქოლოგებმა, სოციოლოგებმა, პედაგოგებმა და ა.შ. — განსხვავებული ხერხების და მეთოდების შემუშავება, რომლებიც ნებისმიერ პიროვნებას დაეხმარება.

მკვლევრები კამათობენ იმის შესახებ, თუ რა კავშირი შეიძლება არსებობდეს თვითშეფასებასა და აგრესიას შორის (Психология подростка, 277-283). ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები მიდრეკილნი არიან ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემები აგრესიული ქმედებით გადაჭრან, რადგან დაბალი თვითშეფასება ასუსტებს ადამიანის კავშირს საზოგადოებასთან. სოციალური კავშირის შესუსტება კი ამცირებს შეთანხმებულობას სოციალური ნორმებისადმი და ზრდის აგრესიას (ციცქიშვილი, 284-295). ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი კ. როჯერსი ამტკიცებდა, რომ უპირობო დადებითი მიღების დეფიციტი წარმოშობს აგრესიას (Фрейджер Р., Фейдимен Д., 371-383). ზ. ფროიდი და მისი მიმდევრები ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ დაბალი თვითშეფასება აგრესიული ქმედების წინაპირობაა. მაგალითად, კ. ჰორნი და ა. ადლერი აღნიშნავდნენ, რომ აგრესიულობა გაპირობებულია არასრულფასოვნების შეგრძნებით, რომლის ფესვებიც ბავშვობის გამოცდილებაა. მაგრამ კვლევებმა ვერ დაადასტურა დაბალ თვითშეფასებასა და აგრესიულობას შორის კავშირი.

ფაქტია, რომ მეცნიერები ჯერ კიდევ კამათობენ იმის შესახებ, თუ რა კავშირი არსებობს თვითშეფასებას ანუ ადამიანის მიერ საკუთარი " მე„-ს სუბიექტურ შეფასებასა და აგრესიულობას შორის. კერძოდ, ერთი მხრივ, ადამიანის არარეალიზებული შესაძლებლობები, რომლებიც დაბალი თვითშეფასების დროს იჩენს თავს, ხოლო მეორე მხრივ, მაღალი თვითშეფასებით გამოწვეული არაადექვატურად დადებითი შეფასება საკუთარი „მე" — სი და შესაძლებლობების, შესაბამისად მაღალი მოთხოვნების დაყენება საკუთარი თავისადმი, რამდენად ზრდის აგრესიულობას.

აგრესიულობა კომპლექსური პრობლემაა და დღევანდელობაში უკიდურესად აქტუალური, რადგან საკმაოდ ხშირად საუბრობენ სკოლებსა და ქუჩებში ძალადობასა და აგრესიულობაზე. აგრესია არის ადამიანის შინაგანი დისკომფორტის გარეგანი გამოხატულება. მაშინ, როდესაც ადამიანის თვითშეფასება უკიდურესად მაღალი ან დაბალია, ადამიანს უჩნდება შინაგანი დისკომფორტის გრძნობა. არაადეკვატურად მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანები გაზვიადებით აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს, რის გამოც სისტემატურად განიცდიან მარცხს. ანუ მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანები საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასებით ხშირად ფრუსტრირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. დაბალი თვითშეფასების დროს კი ასეთი დისკომფორტის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს საკუთარ შესაძლებლობებში მუდმივად დაურწმუნებლობის განცდა, გაუბედაობა, სიმორცხვე და სხვა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები, მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანებისგან განსხვავებით, თითქმის არასდროს იმყოფებიან ფრუსტრირებულ მდგომარეობაში, რადგან მათი თვითშეფასება არ აძლევთ იმის საშუალებას, დაისახონ ისეთი მიზნები, რომლებიც შეუსაბამობაშია მათ შესაძლებლობებთან (ციცქიშვილი, 63-97).

კვლევებით დადასტურებულია, რომ ფრუსტრაცია აგრესიის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორია(ციცქიშვილი, 285-294). ზემოთ კი უკვე აღვნიშნეთ, რომ მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანები ხშირად იმყოფებიან ფრუსტრირებულ მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ თვითშეფასების ზრდა იწვევს აგრესიულობის ზრდას.

ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა კი შემდეგში მდგომარეობს: თვითშეფასებასა და აგრესიულობას შორის არსებობს დადებითი კორელაცია. მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანები ხასიათდებიან აგრესიულობის უფრო მაღალი დონით, ვიდრე დაბალი თვითშეფასების მქონენი. ანუ თვითშეფასების მომატება იწვევს აგრესიულობის დონის ზრდას.

ერთი შეხედვით, როდესაც ადამიანები აგრესიის შესახებ საუბრობენ მათთვის სრულიად გასაგებია, თუ რა მოიაზრება ამ ცნების ქვეშ. მიუხედავად ამისა, მეცნიერები დიდი ხნის მანძილზე კამათობდნენ აგრესიის ცნების განსაზღვრის შესახებ , რადგან იგი მოიცავს ქცევის ისეთ ფორმებს, რომლებიც ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება. კერძოდ, აგრესიად იწოდება მკვლელის მიერ ჩადენილი ქმედება, კალათბურთელის მიერ განხორციელებული თამაშის სტილი და ქმრის უყურადღებობით გაბუტული ცოლის ჩუმი პროტესტიც. შესაბამისად, აგრესიის ცნება რომ გასაგები იყოს მან უნდა მოიცვას ყველა ის განსხვავებული მნიშვნელობა, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილი აგრესიული ქმედებები მოიაზრებენ.

დასწავლის თეორიისა და ბიჰევიორისტული მიდგომის მომხრეები აგრესიის ცნების ქვეშ მოიაზრებენ ყველა იმ სახის ქცევას, რომელიც ზიანს აყენებს სხვა ინდივიდს(Берон,Ричардсон, 93-123). ამ დეფინიციის უპირატესობა მდგომარობს იმაში, რომ ადამიანის ქმედების აგრესიულად კვალიფიცირება ხორციელდება თვითონ ამ ქცევის საფუძველზე; თუ აქტივობა იწვევს (ან გამოიწვევს) რაიმე სახის ზიანს ის აგრესიულია. აგრესიის ბუნების გასაგებად ძალზე მნიშვნელოვანია ქცევის განზრახვის შეცნობა. დასწავლის თეორია და ბიჰევიორული მიდგომა კი ამის საშუალებას არ იძლევა, რადგან მხოლოდ განსაზღვრა იმისა, იყო თუ არა ქცევა ზიანის მომტანი, არაფერს ამბობს ქცევის განზრახვაზე.

განზრახვის უგულვებელყოფამ შეიძლება მიგვიყვანოს საპირისპირო შეცდომამდე: ზოგიერთი ქცევა შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც აგრესიული, თუმცა, ფაქტობრივად, ის ასეთი არ არის. თუ გოლფის თამაშისას ასხლეტილი ბურთი შემთხვევით მოხვდება მაყურებელს, ახორციელებს თუ არა მოთამაშე აგრესიულ ქცევას? ფაქტობრივად, ამ დარტყმამ შესაძლოა სერიოზული ტრავმა მიაყენოს მაყურებელს, თუმცა ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც გოლფის მოთამაშის ქცევას აგრესიულად შეაფასებდა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია განვასხვავოთ ქცევა, რომელიც ზიანს აყენებს, იმ ქცევისაგან, რომელიც განზრახ აყენებს ზიანს. ამიტომ აგრესიად ითვლება ნებისმიერი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ადამიანებისთვის ზიანის მიყენებას.

შ. ნადირაშვილის „განწყობის ანთროპულ თეორიაში“ აგრესია დახასიათებულია როგორც ინდივიდის მოთხოვნილება. აგრესიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება სხვა ინდივიდის, როგორც მეტოქის ჩამოცილების გზით. აგრესია მიმართულია სხვა ინდივიდზე, რომელიც ეცილება ინდივიდს იმ საგნის მოპოვებაში, რომლითაც უნდა დაიკმაყოფილოს თავისი დანაკლისის მოთხოვნილება. ინდივიდს აგრესიის მოთხოვნილება უჩნდება მაშინაც, როდესაც სხვა ინდივიდი ეცილება სექსუალურ პარტნიორთან ურთიერთობაში (ნადირაშვილი,51-54).

სოციალურ ფსიქოლოგიაში გამოყოფენ აგრესიის ორ სახეს : ინსტრუმენტულს და მტრულს. მტრული აგრესია ადამიანის ბრაზის, შურის გრძნობითაა გაპირობებული, მისი ერთ -ერთი მიზანი სხვისთვის ზიანის მიყენებაა. ხოლო ინსტრუმენტული აგრესიის შემთხვევაში, ადამიანი ან ჯგუფი აგრესიას რაიმე მიზნის მისაღწევად მიმართავს, აგრესია ამ შემთხვევაში მხოლოდ საშუალებაა(Берон, Ричардсон, 24-32). ინსტრუმენტული აგრესიის მოთხოვნილება ინდივიდის იმთავითვე მოცემული ტენდენციაა. მას თავისი აზრი და დანიშნულება აქვს. იგი ეხმარება ინდივიდს სასიცოცხლო ამოცანების შესრულებაში. ამ გზით ადამიანი თავიდან იცილებს მეტოქეს, რომელიც ეცილება დანაკლისისა და გამრავლების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

საზოგადოდ მიღებულია, რომ აგრესია არის რაღაც ნეგატიური, თუმცა არსებობს შემთხვევები როდესაც აგრესიული ქცევა სასარგებლოა. მაგალითად, პოლიციელი, რომელიც ესვრის ტერორისტს, რომელმაც შეიწირა უდანაშაულო ადამიანები- **პროსოციალურია.** არაპროვოცირებული ძალადობრივი ქცევა, რომელიც ზიანს აყენებს სხვა ადამიანებს – მაგალითად ძარცვა ქუჩაში ან ცემა – სრულიად აშკარად არღვევს სოციალურ ნორმებს; ამის გამო ისინი შესაძლოა ვიხილოთ როგორც **ანტისოციალური ქცევა.** აგრესიული მოქმედებების ნაწილს, რომელიც არის პროსოციალურსა და ანტისოციალურს შორის შუალედური, შეიძლება ვუწოდოთ **დასაშვები აგრესია**. ამგვარი აგრესია მოიცავს ქმედებებს, რომლებიც მართალია არ გამომდინარეობს პირდაპირ სოციალური ნორმების მოთხოვნებიდან, მაგრამ მაინც არ ცილდება მის ფარგლებს; ისინი არ არღვევენ საზოგადოდ მიღებულ მორალურ სტანდარტებს. მაგალითად, ქალის საქციელი, რომელიც ცდილობს გაუმკლავდეს მოძალადეს, არ ჯდება სოციალურ ნორმაში, მაგრამ არც მის საზღვრებს სცილდება.

თუ რატომ არიან ადამიანები აგრესიულები მეცნიერები დიდი ხანია მსჯელობენ, თუმცა ვერ მივიდნენ ერთ კონკრეტულ შეთანხმებამდე. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ აგრესია თანდაყოლილი,

ინსტინქტური მოვლენაა, ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი გარემოსთან ურთიერთობის ანუ დასწავლის შედეგია.

ფსიქოანალიზის ფუძემდებელი ფროიდი მიიჩნევდა, რომ ადამიანის აგრესიის მიზეზი ინდივიდის სიკვდილისკენ ანუ დესტრუქციისკენ მიმართული პირველადი ლტოლვაა და რომ აგრესიული ენერგია რაიმე ფორმით აუცილებლად უნდა გამოვლინდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის თანდათანობით დაგროვდება და ავადმყოფობის მიზეზი შეიძლება გახდეს (ფსიქოლოგიის საფუძვლები, რედ. იმედაძე, 381-387). ფროიდის აზრით, საზოგადოების ძირითადი ფუნქცია სწორედ ისაა, რომ ეს ადამიანური ინსტინქტი შეზღუდოს, მისი დამანგრეველი ძალა სოციალურად სასარგებლო მიმართულებით წარმართოს. ფროიდი თვლის, რომ ადამიანის ქცევის რეგულაციაში აგრესია არამხოლოდ უარყოფით, არამედ დადებით როლსაც ასრულებს. ადამიანმა დაგროვილი აგრესია რომ არ გამოავლინოს დაძაბულობა გაიზრდება, დაგროვილი ენერგია გამოსავლის ძიებას დაიწყებს, რაც უკიდურეს ძალადობაში შეიძლება აისახოს. აგრესიული ენერგიის განმუხტვის ანუ კათარზისის მრავალი ხერხი არსებობს. მათ შორისაა ენერგიის დახარჯვა და ბრძოლა სოციალურად მისაღებ მოქმედებაში და დაგროვილი ენერგიის არადესტრუქციული ფორმით განმუხტვა (Фрейджер, Фейдимен, 33-41).

სოციალური დასწავლის თეორიის მხარდამჭერები ა. ბანდურა, ლ. ბერკოვიცი, რ. ბერონი ამტკიცებენ, რომ ადამიანი არ იბადება აგრესიული რეაქციების დისპოზიციებით. აგრესიული ქცევის ე.წ სოციალური დასწავლის კონცეფციის ავტორს ა. ბანდურას მიაჩნია, რომ ადამიანი აგრესიულ ქცევას იმიტომ კი არ მიმართავს, რომ ის მისთვის სასარგებლოა, არამედ იმიტომ, რომ ის სხვების მოქმედების დაკვირვების საფუძველზე საკუთარი ქცევის „მოდელირებას“ ახდენს (Фрейджер,Фейдимен, 566-570). სოციალური დასწავლის თეორიის მხარდამჭერები ქცევის აგრესიულ ფორმებს განიხილავენ, როგორც დასწავლის შედეგს. დასწავლის თეორია არ განიხილავს აგრესიის საფუძვლად მხოლოდ ერთ ფაქტორს. იგი მიუთითებს მთელ რიგ ფაქტორთა შორის რთულ ურთიერთქმედებას, კერძოდ:

1. წარსულ გამოცდილებას;
2. მიმდინარე პირობებს, რომლებიც იწვევს აგრესიის როგორც წახალისებას, ასევე დასჯას;
3. სოციალურ, კოგნიტურ და გარემო ცვლადებს, რომლებსაც აქვთ ტენდენცია, როგორც აგრესიის აღძვრის, ისე შეკავებისა (Фрейджер, Фейдимен, 573-577).

აგრესია არ ხორციელდება სოციალურ ვაკუუმში. ჩვეულებრივ იგი მომდინარეობს სოციალური და სიტუაციური ფაქტორებიდან. მათგან განსაკუთრებით ყურადსაღებია: 1) ფრუსტრაცია და 2) პირდაპირი პროვოკაცია.

ფრუსტრაცია-აგრესიის თეორია საკმაოდ უკიდურესად უდგება საკითხს. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ფრუსტრირებული ადამიანი ყოველთვის არ რეაგირებს აგრესიული აზრებით, სიტყვებით და ქცევით (Берон,Ричардсон, 126-136). ფრუსტრაციაზე საპასუხო რეაქცია შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს დაწყებული უარის თქმიდან და სასოწარკვეთიდან, დამთავრებული ფრუსტრაციის წყაროს დაძლევით. მეორე მხრივ, არც ყოველი აგრესია არის ფრუსტრაციის შედეგი. ინდივიდის აგრესიული ქცევა შესაძლოა განსხვავებული ფაქტორებით იყოს დეტერმინირებული (Берон, Ричардсон, 158-176). სოციალურ ფსიქოლოგთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ფრუსტრაცია წარმოადგენს აგრესიის ერთადერთ მნიშვნელოვან მიზეზს, ხოლო ნაწილი თვლის, რომ ფრუსტრაცია ერთ-ერთი ფაქტორია იმ მრავალ ფაქტორს შორის, რომელსაც შეუძლია აგრესიის გამოწვევა.

პირადაპირი პროვოკაცია — ანუ აგრესია ბადებს აგრესიას. ადამიანები ხშირად რეაგირებენ და საკმაოდ ძლიერადაც მსუბუქ დაცინვაზე ან სხვების ქცევაზე, რომელსაც აღიქვამენ, როგორც გარკვეული დონის თავდასხმად. უფრო მეტიც, ადგილი აქვს ესკალაციას და პროვოკაციები ერთმანეთის მიმართ სულ უფრო და უფრო ძლიერდება.

ფიზიკურ პროვიკაციასა და აგრესიას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს და ამას მთელი რიგი კვლევებიც ადასტურებს. ერთ-ერთ კვლევაში სუბიექტის პროვოცირებას უცნობი იწვევდა ძლიერი ელექტროშოკის გამოყენებით (Берон, Ричардсон, 190-2050), რის შემდეგაც სუბიექტს ჰქონდა შესაძლებლობა გამოეყენებინა ელექტროშოკი მის წინააღმდეგ. ასეთ სიტუაციაში პროვოკაციის ინტენსივობის ზრდა იწვევდა საპასუხოდ გამოყენებული შოკის ინტენსივობის ზრდას. მსგავსი შედეგები დაფიქსირდა ვერბალური აგრესიის შემთხვევაშიც (Argyle, 47-59).

შეიძლება უამრავი ექსპერიმენტისა და კვლევის შედეგის მოყვანა, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად აღიარებულია, რომ აგრესიად ითვლება ნებისმიერი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ადამიანებისთვის ზიანის მიყენებას. რთულია იმის დაგდენა, თუ რატომ იქცევიან ადამიანები აგრესიულად, ეს მათი ბუნების თანდაყოლილი გამოვლინებაა, თუ გარემო განაპირობებს და ასწავლით მათ აგრესიულ ქმედებებს.

მე-კონცეფცია.

მე-კონცეფცია მოიცავს ინდივიდის ყველა შეხედულებას და გრძნობას საკუთარი თავის, როგორც ობიექტის მიმართ. მე-კონცეფციის ჩამოყალიბებაში ცენტრალურ როლს ასრულებს სოციალური შედარების პროცესი. ადამიანები ახდენენ ერთმანეთის შეფასებას, მაშინაც კი, როდესაც ამას ვერ აცნობიერებენ. რაც უფრო ჩვენი მსგავსია მეორე ადამიანი, მით უფრო სასარგებლოა მასთან შედარება. აქტიური ვართ, თუ პასიური, ამას ვერ გავიგებთ სხვასთან შედარება თუ არ მოვახდინეთ, რადგან აქტიურობა-პასიურობა შედარებითი ცნებებია (ახალაშვილი, 148-151). მე- კონცეფცია ძირითადად მოიცავს დისპოზიციებს, როგორიცაა პიროვნული ნიშნები, უნარები, განწყობები, ღირებულებები, სოციალური იდენტობები და ფიზიკური ნიშან-თვისებები (ფსიქოლოგიის საფუძვლები, რედ. იმედაძე, 67-73).

საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენა ყალიბდება სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ინფორმაციის საფუძველზე. მიუთითებენ მე-ს შესახებ ცოდნის შემდეგ ძირითად წყაროებზე: სოციალიზაცია, სხვების რეაქცია, უკუკავშირი სხვებისგან, თვითაღქმა, აგზნებული მდგომარეობა, გარემოსგან განსხვავებულობა, სოციალური შედარება, სოციალური იდენტობა.

სოციალიზაცია შეიძლება განვმარტოთ, როგორც სოციალური გამოცდილების ათვისება. დაბადებიდან ადამიანები ჩართულნი არიან ისეთ სოციალურ აქტივობაში, როგორიცაა ურთიერთობა საბავშვო ბაღში, სკოლაში და სხვადასხვა დაწესებულებაში. ისინი გავლენას ახდენენ ადამიანის პიროვნებაზე და ამ გავლენის მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ მას ეცვლება საუთარი თავის შესახებ წარმოდგენა. სოციალიზაცია მიმდინარეობს მთელი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ ინტენსიურად ცხოვრების ადრეულ წლებში (Психология подростка, 92-110).

ადამიანები გარკვეულწილად აყალიბებენ წარმოდგენას საკუთარ თავზე იქიდან გამომდინარე, თუ რა რეაქციები აქვთ სხვა ადამიანებს მათზე. სხვების რეაქცია ინდივიდზე ასახვას პოულობს მის შესახებ წარმოდგენათა სისტემაში.

ზოგჯერ ჩვენი ამა თუ იმ მახასიათებლის შესახებ სხვა ადამიანები ახდენენ ერთმნიშვნელოვან უკუკავშირს. პირდაპირ გვატყობინებენ საკუთარ აზრს ან შეფასებას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. სხვა პიროვნების თვალსაზრისს კი ვიზიარებთ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოცემულ შეხედულებას იზიარებს მრავალი ადამიანი. ჩვენ ტენდენცია გავქვს დავუშვათ, რომ ის მართლაც ჭეშმარიტია (Аронсон, Уилсон, Эйкерт, 83-87).

თავიანთი პიროვნული მახასიათებლის შესახებ, ადამიანები ასევე აყალიბებენ წარმოდგენებს საკუთარი ქცევის დაკვირვების საფუძველზე. საკუთარ თავზე დაკვირვებისას ჩვენ ვხედავთ, რომ უპირატესობას ვანიჭებთ გარკვეულ ქცევის ფორმებს, გარკვეულ ადამინებს თუ ობიექტებს. ჩვენ მიერ ამ უპირატესობის მინიჭების განმეორებითი აღქმის შედეგად ვიღებთ ცოდნას საკუთარი თავის შესახებ (Аронсон, Уилсон, Эйкерт, 184-188).

მე-კონცეფციაზე გავლენას ახდენენ ის ფაქტორები, რომლებიც სხვებისგან გვანსხვავებს. მაგალითად, როდესაც მკვლევრებმა სთხოვეს მოზარდებს მოეთხროთ საკუთარი თავის შესახებ, ისინი ხშირად ხაზს უსვამდნენ საკუთარი „მე“-ს ისეთ ასპექტებს, რომლითაც განსხვავდებოდნენ სხვებისგან (Психология подростка, 100-104).

სოციალური იდენტობა გულისხმობს გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდას, იმ ღირებულებითა და ემოციური მნიშვნელობთ, რომელსაც ვანიჭებთ ამ ჯგუფის წევრობას. სოციალური ჯგუფის წევრობა ზემოქმედებს მე-კონცეფციაზე და მე-კონცეფციაც განსაზღვრავს იმას, თუ რომელ სოციალურ ჯგუფს ავირჩევთ. თვითშეფასება მე-კონცეფციის ერთ-ერთი კომპონენტია. ეს არის საკუთარი მე-ს მიმართ დადებითი ან უარყოფითი განწყობის ხარისხი. თვითშეფასების ფორმირება-

ში განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ „მნიშვნელოვან სხვებს“ (Психология подростка, 124-131, Фернхем, Хейвен, 155-162).

თვითშეფასება რთული პიროვნული წარმონაქმნია. იგი მიეკუთვნება ადამიანის ფუნდამენტალურ თვისებათა რიცხვს. მასში აისახება ის, რასაც ადამიანი იგებს საკუთარი თავის შესახებ სხვებისგან და მისი აქტიურობა მიმართულია საკუთარი მოქმედებებისა და პიროვნული ნიშან-თვისებების გაცნობიერებაზე.

ადამიანის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი მის მსოფლმხედველობის სისტემაში შედარებით გვიან ყალიბდება. თვითშეფასება უკავშირდება ადამიანის ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნილებას, თვითგანმტკიცების მოთხოვნილებას, რომელიც განისაზღვრება ადამიანის მიღწევებით, თუ რაზე ჰქონდა მას პრეტენზია, რა მიზანი ჰქონდა დასახული, ანუ პრეტენზიის დონით. გამომდინარე აქედან, პიროვნების ფსიქიკური ცხოვრების თვითშეფასებისა და თვითპატივისცემის ფუნქციები გამოდიან ადამიანის ქცევისა და საქმიანობის რეგულაციის შინაგანი პირობების რანგში. საქმიანობის მოტივაციის სტრუქტურაში თვითშეფასების ჩართვის წყალობით პიროვნება მუდმივად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებსა და ფსიქიკურ რესურსებს, აწონ-დაწონის მათ და იღებს გადაწყვეტილებებს. მოზარდის თვითშეფასება მისი თვითცნობიერების კომპონენტია, რომელიც მოიცავს საკუთარი ფიზიკური მახასიათებლების, უნარების, საქციელისა და ზნეობრივი თავისებურებების შესახებ შეფასებებს. ბავშვობის ასაკში თვითშეფასების მრავალრიცხოვანი კვლევების მიუხედავად, ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ იგი მაინც მოზარდის პერიოდის ახალწარმონაქმნია (Психология подростка, 111-123).

ადამიანთა უმრავლესობა საკმაოდ მაღალი თვითშეფასებით გამოირჩევა. ეს ხერხდება საკუთარი ნიშან-თვისებების სელექციური ანუ შერჩევითი შეფასებით. თვითშეფასების დონე, რომელიც გვაქვს არა ყველა ჩვენი თვისების შეფასებას, არამედ ჩვენთვის ღირებულ თვისებათა შეფასებას ემყარება.

სელექციურობის ოთხი სახე საშუალებას გვაძლევს შევარჩიოთ, თუ რის მიხედვით შევაფასოთ საკუთარი თავი. 1. ქცევის სელქეციური ინტერპრეტაცია: შევხედოთ ჩვენ ქცევას დადებითი კუთხით; 2. შეფასების სტანდარტების შერჩევა: რადგან ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია, ადამიანთა უმრავლესობა შესრულების სტანდარტად იყენებს ისეთს, რაც მისთვის ხელსაყრელია; 3. ადამიანებთან დამყარებული ურთიერთობათა სელექციურობა: ადამიანი ცდილობს დაუკავშირდეს იმ პიროვნებებს, ვისაც ის მოსწონთ; 4. ჩვენთვის სასურველი გარემოს შერჩევა: ადამიანი მიილტვის იქითკენ, სადაც მას აფასებენ და იღებენ (Аронсон, Уилсон, Эйкерт, 202-214).

თვითშეფასება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქცევაზე. მაღალი თვითშეფასების მქონე ბავშვები ქცევის უფრო მაღალ სტანდარტებს ისახავენ და სკოლაში უკეთ სწავლობენ, უფრო მეტად ახდენენ სხვებზე გავლენას და ნაკლებად ექცევიან სხვების გავლენის ქვეშ, ვიდრე დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვები (Минияров, 2005, 66-90). აგრეთვე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები ავადმყოფურად განიცდიან კრიტიკას, ნებისმიერ წარუმატებლობას, მუდმივად ადანაშაულებენ საკუთარ თავს, განიცდიან სხვების გავლენას. ასევე დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ მარტივი დავალებების/ამოცანების შესრულებას, რადგან მხოლოდ ამ სიტუაციაში არიან თავდაჯერებულები (Минияров, 93-117).

ექსპერიმენტის აღწერა და მიღებული შედეგები.

ჩვენი ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა ზემოთ მოყვანილი ჰიპოთეზის შემოწმება- არსებობს თუ არა დადებითი კორელაცია ადამიანის მაღალ თვითშეფასებასა და აგრესიულობას შორის. კვლევის მონაწილეების აგრესიულობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ბას-დარკის აგრესიის გასაზომი კითხვარი. ბას-დარკის კითხვარი შედგება 75 დებულებისგან. ცდის პირს მოეთხოვებოდა მოცემულ 75 დებულებაზე გაეცა პასუხი — „კი“ ან „არა“. ტესტის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება საშუალებას იძლეოდა დაგვედგინა აგრესიულობის რომელი ფორმა (ან ფორმები) იყო დომინანტური ცდის პირისთვის. კერძოდ კი, გამოგვევლინა აგრესიის შემდეგი ფორმები: ფიზიკური აგრესია, ვერბალური აგრესია, ირიბი აგრესია, ნეგატივიზმი, გაღიზიანებადობა, ეჭვიანობა, წყენა და დანაშაულის განცდა.

ცდისპირთა თვითშეფასების გასაზომად გამოყენებულ იქნა დემბო-რუბინშტეინის თვითშეფასების საკვლევი მეთოდის ა. გრიგოლავას და ბ. არუთინოვის მოდიფიცირებული ვერსია. ცდისპირები აფასებდნენ საკუთარ თავს ისეთი თვისებების მიხედვით, როგორიცაა ემოციურობა, ნებისყოფა, წარმატება, ოპ-

ტიმიზმი, აქტივობა, კონფლიქტურობა და ბედნიერება. შეფასება ხორციელდებოდა 9 ბალიანი სისტემით. ცდისპირებს მოეთხოვებოდათ ვერტიკალური სკალებით (1-დან 9-მდე) განესაზღვრათ გარკვეული პიროვნული თვისების განვითარების დონე, რაც მოცემულ მომენტში მათი თვითშეფასების მაჩვენებელს წარმოადგენდა. ტესტური მასალის დამუშავება საშუალებას გვაძლევდა დაგვედგინა ცდის პირის თვითშეფასების ხარისხი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 120 — მა ცდისპირმა, აქედან 80-მა გოგონამ და 40 -მა ბიჭმა. მათი ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრა 17-დან 25 წლამდე. კვლევა ჩატარდა წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერისტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტებზე. კვლევის მონაცემები დამუშავდა მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების პროგრამის SPSS-ის საშუალებით, სპირმენის რანგული კორელაციის ტექნიკით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აგრესიულობასა და თვითშეფასებას შორის არსებობს დადებითი კორელაცია, ანუ თვითშეფასების ზრდას თან სდევს აგრესიის დონის მომატება. კერძოდ, დადებითი კორელაცია დაფიქსირდა ფიზიკური აგრესიის (r=0.204, sig=0.25) და ვერბალური აგრესიის (r=0.203, sig=0.26) ფორმებთან მიმართებაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეჭვიანობასა და თვითშეფასებას შორის აღმოჩნდა საკმაოდ მჭიდრო დადებითი კორელაცია. ეს შედეგები ნაწილობრივ ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზას. რაც შეეხება უარყოფით კორელაციას, ანუ როდესაც ერთი ცვლადის ზრდა იწვევს მეორე ცვლადის შემცირებას, სანდო შედეგები არ დაფიქსირდა.

მონაცემთა დამუშავება მოხდა ასევე გენდერული ფაქტორის მიხედვითაც. როგორც მოსალოდნელი იყო, მიღებული შედეგები აბსოლუტურად განსხვავდებოდა მდედრობითი და მამრობითი სქესის ცდისპირებში. კერძოდ, მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში გამოიკვეთა დადებითი კორელაცია ვერბალურ აგრესიას და ნეგატივიზმს შორის, ხოლო უარყოფითი კორელაცია — დანაშაულის განცდას შორის. რაც შეეხება მამრობითი სქესის ცდისპირთა მონაცემებს, დამუშავების შედეგად დადებითი კორელაცია გამოიკვეთა ეჭვიანობასთან მიმართებაში.

კვლევის მონაცემების დამუშავების შედეგად ასევე მივიღეთ დამატებითი შედეგები. კერძოდ კი, ფიზიკური აგრესია დადებით კორელაციაშია გაღიზიანებადობასთან; ვერბალური აგრესია – ნეგატივიზმთან, გაღიზიანებადობასთან, ეჭვიანობასთან და დანაშაულის განცდასთან; ირიბი აგრესია — ნეგატივიზმთან, გაღიზიანებდობასთან და წყენასთან; ნეგატივიზმი კი — გაღიზიანებადობასთან.

ამდენად, მოცემული კვლევა ემსახურებოდა იმის დადგენას, თუ როგორი დამოკიდებულება/კორელაცია არსებობს აგრესიას და თვითშეფასებას შორის. კვლევის შედეგებმა ნაწილობრივ დაადასტურა ჩვენ მიერ ნავარაუდევი ჰიპოთეზა. აგრესიას და თვითშეფასებას შორის აღმოჩნდა დადებითი კორელაცია. კერძოდ, დადებითი კორელაცია გამოიკვეთა აგრესიის ისეთ ფორმებთან მიმართებაში როგორცაა ვერბალური აგრესია, ფიზიკური აგრესია და ეჭვიანობა. კვლევის მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არაადეკვატურად მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანები ხასიათდებიან შედარებით მაღალი აგრესიულობით, ვიდრე დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები. მართალია მოცემულმა კვლევამ დაადასტურა აგრესიას და თვითშეფასებას შორის დადებითი კორელაცია, თუმცა იგი მხოლოდ იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ მაღალი თვითშეფასება შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ იმ ფაქტორთაგან, რომელიც იწვევს აგრესიას.

კვლევამ დამატებით გამოკვეთა ისიც, რომ ადამიანის აგრესიულობა უფრო მეტად იზრდება ფრუსტრაციის მდგომარეობის დროს, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თან სდევს მაღალ თვითშეფასებას, ვიდრე არარეალიზებული შესაძლებლობების დროს, რომელიც დაბალ თვითშეფასების მქონე ადამიანების დამახასიათებელი ნიშანია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ახალაშვილი ნ. ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 2016.
2. ნადირაშვილი შ. განწყობის ანთროპული თეორია. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2014.
3. ფსიქოლოგიის საფუძვლები. რედაქტორი ი. იმედაძე. თბილისი, 2008.
4. ციცქიშვილი რ. სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 2012.

5. Аронсон Э., Уилсон Т., Эйкерт Р. Социальная психология. Психологические законы. 5-е изд. СПб., М., 2004.
6. Берон Р., Ричардсон Д. Агрессия. СПб., М., ...1997.
7. Минияров В. Педагогическая психология. М., 2005.
8. Психология подростка. Под ред. Реана А. СПб., М., 2003.
9. Фернхем А., Хейвен П. Личность и социальное поведение. СПб., М.,..2001
10. Фрейджер Р., Фейдимен Д. Большая книга психологии. Личность. СПб., 2008
11. Argyle M. Psychology and Social Problems. Social Sciense Paperbacks. London EC4

ნ. ახალაშვილი, ლ. შენგელია

აგრესია და თვითშეფასება

რეზიუმე

აგრესიულობა კომპლექსური პრობლემაა და დღევანდელობაში უკიდურესად აქტუალური, რადგან სკოლებსა და ქუჩებში საკმაოდ ხშირად საუბრობენ ძალადობასა და აგრესიულობაზე. აგრესია არის ადამიანის შინაგანი დისკომფორტის გარეგანი გამოხატულება. მაშინ, როდესაც ადამიანის თვითშეფასება უკიდურესად მაღალი ან დაბალია, ადამიანს უჩნდება შინაგანი დისკომფორტის გრძნობა. არაადეკვატურად მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანები გაზვიადებით აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს, რის გამოც სისტემატურად განიცდიან მარცხს. ანუ მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანები საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასებით ხშირად ფრუსტრირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. დაბალი თვითშეფასების დროს კი ასეთი დისკომფორტის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს საკუთარ შესაძლებლობებში მუდმივად დაურწმუნებლობის განცდა, გაუბედაობა, სიმორცხვე და სხვა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანები, მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანებისგან განსხვავებით თითქმის არასდროს იმყოფებიან ფრუსტრირებულ მდგომარეობაში, რადგან მათი თვითშეფასება არ აძლევთ იმის საშუალებას დაისახონ ისეთი მიზნები, რომლებიც შეუსაბამობაში იმყოფება მათ შესაძლებლობებთან.

N. Akhalashvili, L. Shengelia

Aggression and self-esteem

Summary

Aggressiveness is a complex problem and the current situation is extremely urgent, because quite often they speak at schools and on the streets of violence and aggressiveness. Aggression is an external expression of inner discomfort. Then, when the human self-esteem is extremely high or low, people get a sense of inner discomfort. People with high self-esteem inadequately hyperbole about their ability, that’s why they systematically Fail. People with high self-esteem or their capacity exceeded estimates often frustrating condition. Low self-esteem at the time of such discomfort could be due to their ability to constantly create uncertainty feeling, indecision, and other extreme shyness. It should be noted that people with low self-esteem, in difference from high self-esteem of people, almost never are in a frustrating situation, because their self-esteem does not allow them to set goals that are inconsistent with their present opportunities.

რ. ბალანჩივაძე

ესმა ონიანის ფილოსოფიური ლირიკა

ესმა ონიანი ყოველმხრივ გამორჩეული ადამიანი იყო, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული. იყო ბრწყინვალე მხატვარი, შესანიშნავი პოეტი, ლიტერატორი, პუბლიცისტი, ესეისტი, მთარგმნელი და, რაც მთავარია, ყველგან, ყველა საქმეში უაღრესად წარმატებული.

დიდმა ქართველმა ხელოვანმა რეზო გაბრიაძემ ესმა ონიანს მეოცე საუკუნის უდიდესი მხატვარი უწოდა, ხოლო დახვეწილი გემოვნების სანიმუშო ლიტერატორმა პროფ. რეზი თვარაძემ — „უკვდავებასთან წილნაყარი“ ადამიანი.

ამჯერად მე მასზე როგორც დიდებულ პოეტზე ვისაუბრებ.

ესმა ონიანს გამორჩეული ადგილი უჭირავს XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, იმ პოეზიაში, რომელსაც ამშვენებს დიდი გალაკტიონისა და ქართული პოეზიის დედოფლის ანა კალანდაძის სახელები. მისი ორიგინალურობის, სხვათაგან გამორჩეულობის მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ მან ქართულ პოეზიაში მძლავრ ნაკადად შემოიტანა ფილოსოფიური პრობლემატიკა, სიკვდილ-სიცოცხლის, ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულების, ცხოვრების საზრისის, პიროვნების თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის თემები და მათი ფილოსოფიური ხედვა. როგორც პროფ. რეზი თვარაძე ბრძანებდა, იმ პერიოდში ასე არავინ წერდა, ადრეული გალაკტიონისა და ანა კალანდაძის გარდა.

ეს თვალსაზრისი, ცხადია, სწორია, მაგრამ აქ, ალბათ, იმის დამატებაც შეიძლება, რომ იგი იმ ტრადიციების, იმ ხაზის გამგრძელებელია ქართულ პოეზიაში, რომელიც, უფრო ღრმად რომ არ ჩავყვეთ, XVIII- XIX საუკუნეებში იღებს სათავეს და რომელსაც **ფილოსოფიური ლირიკა** ჰქვია. ვგულისხმობ დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას. ვგულისხმობ, მაგალითად, ბარათაშვილის სიტყვებს:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

ესმა ონიანის გამორჩეულობას ისიც განაპირობებს, რომ იგი ხელოვნების დანიშნულებას მარტო სინამდვილის მხატვრულ ასახვაში კი არ ხედავს, არამედ საგნებისა და მოვლენების არსის წვდომაში, მათ სიღრმისეულ ანალიზში, ანუ იმაში, რაც ჩვეულებრივი თვალით არ დაინახება და რასაც „გონების თვალით“ უნდა ჭვრეტა /სხვათაშორის, გონების თვალით არსის ჭვრეტაზე ჯერ კიდევ გენიალური პლატონი ლაპარაკობდა/. გონების თვალი კი ის თვალია, რომელიც წყალში მარტო იმ სითხეს კი არ დაინახავს, რომელსაც ყველა თვალხილული ადამიანი ხედავს, არამედ მის ორ ნაწილ წყალბადსა და ერთ ნაწილ ჟანგბადს, ძირს დავარდნილ და გატეხილ ჭიქაში — მიზიდულობის კანონს „აღმოაჩენს“, ხოლო მზის ამოსვლა-ჩასვლაში მზის გარშემო დედამიწის ბრუნვას, ანუ ხედავს ერთეულში ზოგადს, შემთხვევითში აუცილებელს, შედეგში მიზეზს და ა. შ. /არსის ჭვრეტა სწორედ ესაა/.

გონების თვალი ის თვალია, რომელსაც ესმის, რომ ვაჟა-ფშაველას „მოხუცის სიმღერაში“ მართლა ის კი არაა მოთხრობილი, რასაც ჩვეულებრივი თვალი კითხულობს /როგორ დაიძინა ახალგაზრდა , უწვერულვაშო ჭაბუკმა და გაიღვიძა ღრმად მოხუცმა, ბამბის ქულასავით თეთრი წვერით/, არამედ ის, თუ რა სწრაფწარმავალი და სწრაფმედინია ამქვეყნიური ცხოვრება /იგივე „წუთისოფელი„/. აი, ეს ლექსიც:

„დამძინებიყო ჭაბუკსა/ პირტიტველს უწვერულასა,
გამომეღვიძა, თმა-წვერი/ მიჰგვანდა ბამბის ქულასა,
მწყინდა და ვიწყევლებოდი, მოვიგონებდი თუ რასა“.

როგორც უკვე ვთქვით, ფილოსოფიურ-არსისმიერი ხედვა ჩვეულებრივი ადამიანისათვის /ვგულისხმობთ არაფილოსოფოსს, არამეცნიერს, გულუბრყვილო თვალსაზრისზე მდგომ ადამიანს/ რთული და ძნელი მისაღწევი რომ არის, ეს ფაქტია. არადა, ესმა ონიანის პოეზიასაც და მხატვრობასაც ამგვარი გონების თვალით უნდა ჭვრეტა. ამიტომ უჭირს მისი გაშინაურება-გათავისება მკითხველთა დიდ ნაწილს, ამიტომაც მიაჩნიათ მათ ესმა ონიანი რთულ, ძნელად ჩასაწვდომ და გასაგებ ავტორად.

ეს, რასაკვირველია, იცოდა ქალბატონმა ესმამ. ამიტომაც არ უკვირდა მისადმი მასის ადამიანის დამოკიდებულება და, შეიძლება ითქვას, მაინცადამაინც არც აღიზიანებდა. უფრო მეტიც, იგი ერთგვარი ირონიითაც კი ლაპარაკობდა იმ ადამიანებზე, რომლებიც ან საერთოდ არ ბეჭდავდნენ, ან აბრკოლებდნენ /თანაც მთელი 30 წელი — ეს მისი სიტყვებია, ცხადია, ირონიით ნათქვამი/ მისი სტატიების დაბეჭდვას ან მისი ნახატების გამოფენას.

მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. დარწმუნებული იყო, რომ დადგებოდა ის დრო, როცა უგემოვნობის, უმეცრების, უზნეობის, უღმერთობის ეს ღვარცოფი გადაივლიდა და ჭეშმარიტი მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება კვლავ აღდგებოდა იმ უფლებებში, რომელიც მას რეალურად ეკუთვნოდა. ეს ყველაფერი ნამდვილად მოხდა, ოღონდ მოგვიანებით. მანამ კი იგი თვითონ ახდენს თვითიზოლაციას და თავად იკეტება თავისი მეგობრების, საზოგადოების ელიტარული ნაწილის, რჩეული უმცირესობის ვიწრო წრეში, რომელთა შეფასება, როგორც ჩანს, მას უფრო ღირებულად მიაჩნდა, ვიდრე არაინტელექტუალური ფართო მასების მოწონება ან დაწუნება. სხვანაირად რომ ვთქვათ, მისთვის მთავარი იყო არა ინდური და თურქული სერიალების ან „კომედი შოუს“ მაყურებელი ადამიანების, არამედ ინტელექტუალების ვიწრო წრის აზრი და პოზიცია. იგი წერდა: „ერთი ჭეშმარიტი დამფასებელი გაუგებართა მთელ არმიებს გადასწონის“ (ონიანი, 278). ხოლო ბრბოს შესახებ იგი ამბობდა: „მერე რა რომ მეტნი არიან. ეს ჭეშმარიტების მაჩვენებელი სულაც არ არის“ (ონიანი, 278).

ესმა ონიანის პოეზიის თემატიკა, გარდა ფილოსოფიური პრობლემატიკისა, მოიცავს ღმერთის, ადამიანთა ურთიერთობების, სამშობლოს თემებს. ღმერთის თემასთან დაკავშირებით ცამდე მართალია უნიჭიერესი მწერლის მაკა ჯოხაძის სიტყვები: „ესმა ონიანის მთელი შემოქმედება ღვთისადმი მადლიერების გრძნობითაა გასხივოსნებული“. რაც შეეხება სამშობლოს თემას: „რა არის სამშობლო?“ — კითხულობს იგი და მეც ამ კითხვის პასუხად თავს ვუყრი ცალკეულ ამონარიდებს მისივე ნაწერებიდან: ჩემი სამშობლო საქართველოა. და აი, შენც სამშობლოში ხარ. გამოაღვიძე სამშობლო შენში... დავბადებულვართ ქართველებად. ფაქტია ლამაზები ვართ. ფაქტია ლამაზია ჩვენი სამშობლო. ლამაზია ჩვენი ბუნება. ეს სილამაზე გვაიძულებს ჩვენც ლამაზები ვიყოთ, არამარტო გარეგნულად, არამედ ქცევის კულტურის, ადამიანებთან ურთიერთობების ფორმით.

მერე რა, რომ ახლა გვიჭირს, მძიმე დღეები გვიდგას. გაჭირვება გამართლება არაა, მითუმეტეს, რომ ასეთი სილამაზე და არა ყრუ კედელი, არა უმზეო ცა, არა ცივი ერთფეროვნება, არა დამხრუკავი სიმშრალე შემოდის ჩვენში.

უნდა გააცოცხლო შენში შენი პირველი, ხსოვარი ცოდნა -სამშობლო! ნუ დაეცემით, ქართველებო, ნუ დაეცემით! თქვენ არ გეპატიებათ არაფერი არასაკადრისი. ნუ გინდათ სამაგიერო. ნუ დაეცემით, თუნდაც არავის სწამდეს, თუნდაც არავინ იცოდეს თქვენი მისიის, თქვენი მეციხოვნეობის შესახებ.

გამოაღვიძეთ, გამოაცოცხლეთ სამშობლო თქვენში. ჩვენ ვერ დავემსგავსებით სხვანაირ „ბუნებაში“ დაბადებულებს. არ მოგეჩვენოთ გაცვეთილ ნათქვამად: ჩვენი სამშობლო ჩვენი ბუნებაა. ჩვენ რა უფლება გვაქვს ქართველებს, დავეცეთ? (ონიანი, 328-329).

დიდი პოეტის უტყუარი ალღოთი ესმა ონიანი „ბუნებაში“ მართლა მარტო ბუნებას კი არ გულისხმობს თავისი ულამაზესი მთებითა და ველებით, ხან აზვირთებული, ხანაც მოდუდუნე მდინარეებით, არა მარტო ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტოვან ჩვენ სამშობლო მხარეს, არამედ ქართულ ხასიათს, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, ქართულ ტემპერამენტს, ქართულ ნიჭიერებას, ქართულ პოლიფონიურ სიმღერებსა და უბადლო ქართულ ხალხურ ცეკვებს — როკვით განფენილ ქართულ გენიას, რომელსაც სხვა ვერავინ იცეკვებს მთელ მსოფლიოში იმიტომ, რომ საამისოდ „რასსა არ ეყოფა“ /გრ. რობაქიძე/, ანუ ყველაფერ იმას გულისხმობდა, რასაც „ფენომენი ქართული“ ჰქვია.

საოცარია ესმა ონიანის სვანური ციკლის ლექსები. აქ ჩანს ნიჭის თუ გენის ყივილი, სიყვარული ყველაფერი მშობლიურისადმი. გავიხსენოთ ლექსი „სვანების სიმღერა მზეზე„:

„ ამოვიწევთ ქვებიდან, /ამოვიშლით მხრებს,
ამართულებს ზევიდან / დაგვეცემა მზე“. .

ან კიდევ:

„მზეო, დიდო მზეო, / მზეო, საოცარო
მზეო, სალოცაო, /ჩვენო მბრძანებელო“ ,

ან ავიღოთ ულამაზესი ლექსი „ლემ“, უმდიდრესი მხატვრული სახეებით, მეტაფორებით, შედარებებით, ეპითეტებით, საოცარ განწყობას თუ განწყობილებას რომ გვიქმნის, სვანური მთების სიდიადეს რომ გვაზიარებს, მათსავით გვამაღლებს, მათსავით გვაძლიერებს. ნახეთ როგორი კინოკადრებივით გაიელვებს ჩვენს თვალწინ ულამაზესი სვანური პეიზაჟი. აი, ერთი უმოკლესი ამონარიდი ამ ლექსიდან:

„მშრალ შხუილით / მორბის ქარი,
მაღალ მთებზე / გადმომხტარი“.

ან:

„ზემოთ უნდათ თეთრ მთვარესთან,
ერთმანეთთან უსასრულოდ შეერთება“.

საოცარია მისი საბავშვო ლექსები. ბავშვის ფსიქიკისა და ფსიქოლოგიის რა ღრმა ცოდნა იგრძნობა მათში, ან როგორი თბილი და მზრუნველი დამოკიდებულება ჩანს პატარებისადმი. პოეტმა იცის, რომ აზროვნების სახეებიდან ბავშვებისათვის ხატოვანი აზროვნება, ანუ ხატებით აზროვნებაა დამახასიათებელი. ამიტომაც სწორედ ასე, მათი ასაკისთვის მისაღები ფორმით, ელაპარაკება მათ.. აღარაფერს ვამბობ მის რითმებზე, რომლებსაც იგი ამ ლექსებისთვის იყენებს. როგორ ბუნებრივად, ლაღად მიჰყვებიან ისინი ერთიმეორეს, თითქოს თავადაც ასკინკილას თამაშობენო. მრავალთაგან მხოლოდ ორ ნიმუშს დავასახელებ:

„თუ გაკვნიტე დიდი თხილი
და აგტკივდა უცებ კბილი,
აიხვიე რამე თბილით,
დაიძინე ტკბილი ძილით“, — ასე არიგებს კურდღელი ციყვს (ონიანი, 162).

ან მეორე :

„დაარიგა დედამ /დათვის ბელი ბედო
ბუნაგიდან ბედო / გასვლა არ გაბედო,
დაიძინე ტკბილად, /პირში თათი გედოს“ (ონიანი, 165).

განსაკუთრებული გამოყოფის ღირსია ესმა ონიანის წერილები ხელოვნებაზე, პოეზიაზე, მუსიკასა და მხატვრობაზე. მისი სტატიები ფიროსმანზე, ტერენტი გრანელზე, დავით კაკაბაძეზე, ველასქესზე. ისინი /საგანგებო განხილვას რომ საჭიროებენ/ კარგად მიუთითებენ ესმა ონიანის საოცარ ერუდიციასა და ღრმა ფილოსოფიურ განსწავლულობაზე.

მარტო მისი ნეოლოგიზმები და კომპოზიტები რად ღირს. სათქმელი რომ რაც შეიძლება ზუსტად და ყველა ნიუანსის გათვალისწინებით გამოხატოს, იგი ქმნის ახალ კომპოზიტებს და ისე აერთებს განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვებს დეფისით, როგორადაც ჯერ არავის შეუერთებია. აერთებს თავისებურად, ორიგინალურად, ესმასებურად, ამკვიდრებს სტილს, რომელიც, ალბათ, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში „ესმას სტილის“ სახელით უნდა შევიდეს. ბუნებრივად ჩნდება სურვილი: იქნებ ჩვენც მივბაძოთ ქალბატონ ესმას და ვისწავლოთ მისგან — ჩვენც ამგვარად დავიწყოთ წერა. არა, არაფერი გამოგვივა. ასე რომ წერო, ესმა უნდა იყო. სიტყვასთან იმგვარი სათუთი, მზრუნველი, დედაშვილური დამოკიდებულება უნდა გქონდეს, როგორიც მას აქვს. ან როგორ გინდა მიბაძო მის ყოვლად უწყინარ, სიკეთით სავსე თვითირონიას, „ესმას ესმა„-ს.

კიდევ ერთ თემას მინდა შევეხო ესმა ონიანის შემოქმედებაში. ეს არის თავისუფლების თემა. მე, ჩემი პროფესიის გამო, უამრავი წიგნი, სამეცნიერი სტატია წამიკითხავს თავისუფლების დეფინიციის შესახებ, ზოგი ისეთი, თავისუფლებას რომ უარყოფს საერთოდ, ზოგი ისეთი ადამიანის აბსოლუტურ თავისუფლებას რომ უჭერს მხარს, მაგრამ არსად წამიკითხავს თავისუფლების ისეთი განმარტება, ესმა ონიანი რომ იძლევა: „თავისუფლება ქაოსი კი არ არის, არამედ ბუნებრივი წესრიგია. ტკბილი, ნებაყოფლობითი მორჩილებაა იმისადმი, რაც გინდა, რაც ღმერთმა დაგიწესა“. სხვათაშორის, თავისუფლების ეს განმარტება ძალიან ჰგავს თავისუფლების სპინოზასეულ განმარტებას: „თავისუფლება არის შეგნებული აუცილებლობა“, რომელიც დღემდე თავისუფლების ყველაზე სწორ განმარტებადაა მიჩნეული, მაგრამ, ჩემი აზრით,ესმა ონიანის განმარტება უფრო სადაა, უფრო გასაგები, უფრო მისაღები, უფრო ადამიანური.

ჩემთვის, როგორც ფილოსოფიის დარგის სპეციალისტისათვის, ძალიან მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია ესმა ონიანის შეხედულება ჭეშმარიტებაზე, ელიტაზე, ბრბოზე, ეროვნულობაზე, პატრიო-

ტიზმზე, კოსმოპოლიტიზმზე, გაუცხოებაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთ საჟურნალო სტატიაში ყველა ეს თემა ვერ გაშუქდება. იგი ცალკე სერიოზულ ანალიზს მოითხოვს.

ყველაფერ სხვა სიკეთესთან ერთად, ესმა ონიანი ბრწყინვალე მთარგმნელიც იყო. მის წიგნში „ისევ მე ვარ?! ისევ მოვსულვარ!„შესულია უთვალსაჩინოესი რუსი პოეტების — დერჟავინის, ტიუტჩევის, პუშკინის, ბლოკის, ესენინის და პასტერნაკის ნაწარმოებების თარგმანები. დააკვირდით, როგორი გემოვნებით, როგორი მაღალი ინტელექტით ჰყავს შერჩეული სათარგმნი პოეტები. ამ ლექსებიდან მე მხოლოდ ორს გამოვყოფ. პირველი დერჟავინის ლექსია „ღმერთი“. იგი პირველად თარგმნა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ, განმანათლებელმა, ენციკლოპედისტმა, მწერალმა, მეცნიერმა, ლექსიკოგრაფმა იოანე ბატონიშვილმა. ესმა ონიანმა იგივე ლექსი თარგმნა 1970 წელს, ათეიზმის მძვინვარების პერიოდში, რაც გარკვეულ რისკთან და მოქალაქეობრივ გამბედაობასთან იყო დაკავშირებული. შემდეგი თარგმანი ამ ლექსისა ეკუთვნის ქალბატონ ინესა მერაბიშვილს, რომელიც შედარებით გვიან, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში განხორციელდა,

კიდევ ერთ ლექსზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. ეს არის ბორის პასტერნაკის ლექსი „სანთელი“. ნახეთ, რა ბუნებრივად, რა „ქართულად“ ისმის სიტყვები:

„ბარდნიდა, ბარდნიდა მთელ დედამიწაზე,
უსაზღვროდ ერთობ,
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო.
ქარბუქი ქარგავდა მიწაზე
გვიმრიან ბექობს,
სანთელი ენთო მაგიდაზე,
სანთელი ენთო“.

საოცარია პირდაპირ: რა დონეზე უნდა იცოდე შენი ენის ბუნება, რომ ასეთი ჟღერადობა მისცე ნათარგმნ მასალას: „უსაზღვროდ ერთობ სანთელი ენთო!„

ესმა ონიანისადმი მრავალი წერილია მიძღვნილი. და ეს იმიტომ, რომ მასზე აზრის გამოთქმა, მისი პროფესიული შეფასება ერთგვარი საჯილდაო ქვაა ლიტერატურის კრიტიკოსებისათვის /შეძლებენ კი ამას?!/. ამის მიუხედავად, როგორც უკვე ითქვა, იგი ჯერჯერობით, არათუ სრულად, ნაწილობრივადაც კი არ არის შესწავლილი. მომავლისათვის აუცილებლად მიმაჩნია მისი ტექსტის / აქ მხატვრული ნაწარმოებებიც იგულისხმება და ნახატებიც/ ფილოსოფიურ-ჰერმენევტიკული ანალიზი, იმის მსგავსი, მან თავად რომ ჩაატარა დავით კაკაბაძის შემოქმედების შეფასებისას.

დასასრულ, მინდა კვლავ ესმა ონიანის პოეზიისა და მხატვრობის გაგების სირთულის საკითხს მივუბრუნდე. ესმა ონიანი რომ რთული ავტორია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არაფერი გავაკეთოთ ხალხთა ფართო მასებისათვის მის გასაცნობად. მის გაგებაში ჩვენ, ფილოლოგები, ფილოსოფოსები, კულტუროლოგები, ჰერმენევტიკოსები უნდა ჩავერთოთ და დავეხმაროთ ადამიანებს მის გაგებაში, შეთვისება-შეყვარებაში, როგორც ამას უცხოელები აკეთებენ თავიანთი რთულად გასაგები პოეტების, მხატვრების, რეჟისორების მიმართ /ვგულისხმობ კაფკას, კამიუს, თომას მანს, ჰერმან ჰესეს, ფელინს, ბერგმანს, მიქელანჯელო ანტონიონის/. ყველამ უნდა გავიცნობიეროთ, რომ ესმა ონიანი **მსოფლიო დონის პოეტი და მხატვარია,** რომელსაც სათანადო წარმოჩენა და დაფასება სჭირდება არა მარტო ჩვენთვის და ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. იგი საჭირო და აუცილებელია ჩვენი ეროვნული კულტურის წარმოსაჩენად და საამაყოდ. უნდა გავიცნობიეროთ, რომ ესმა ონიანი **„ჩვენი ეროვნული განძი, ეროვნული სიმდიდრე და სიამაყეა!“**

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ონიანი ე. ისევ მე ვარ?! ისევ მოვსულვარ. თბილისი, 2015

რ. ბალანჩივაძე

ესმა ონიანის ფილოსოფიური ლირიკა

რეზიუმე

1. ესმა ონიანი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, ბრწყინვალე მხატვარი, პოეტი, ფილოლოგი, პუბლიცისტი, ესეისტი და მთარგნელი იყო.

2. როგორც პოეტს, ესმა ონიანს გამორჩეული ადგილი ეჭირა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. იგი იმ ხაზის გამგრძელებელია ქართულ მწერლობაში, რომელიც XVIII – XIX საუკუნეებში /დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა/ იღებს სათავეს და რომელსაც **ფილოსოფიური ლირიკა** ჰქვია.

3. ესმა ონიანის გამორჩეულობას ისიც განაპირობებდა, რომ იგი პოეზიის დანიშნულებას სინამდვილის მხატვრულ ასახვაში კი არ ხედავდა მარტო, არამედ საგნებისა და მოვლენების არსის წვდომაში, მათ სიღრმისეულ ანალიზში. ამიტომაც უჭირდა მისი გაგება მკითხველთა ფართო წრეს.

4. საოცარია ესმა ონიანის სვანური ციკლის ლექსები, თავისი შედარებებით, ეპითეტებით, მეტაფორებით, ჰიპერბოლებით და ა. შ. არაჩვეულებრივია მისი საბავშვო ლექსები, რომლებშიც ბავშვის ფსიქიკისა და ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა იგრძნობა.

5. განსაკუთრებული გამოყოფის ღირსია ესმა ონიანის წერილები ხელოვნებაზე, პოეზიაზე, მუსიკასა და მხატვრობაზე.

6. მიმაჩნია, რომ ესმა ონიანი მსოფლიო დონის პოეტი და მხატვარია. იგი ჩვენი ეროვნული განძი, სიმდიდრე და სიამაყეა, რომელსაც მომავალში მეტი წარმოჩენა და დაფასება სჭირდება.

R. Balanchivadze

Esma Oniani's Philosophical Lyrics

Summary

1. Esma Oniani was a person with diverse abilities. She was a brilliant artist, poet, writer, essayist and a translator

2. She is a remarkable representative of XX century Georgian Poetry and a follower of XVIII-XIX century Georgian Poetry (David Guramishvili, Nikoloz Baratashvili, Vazha Pshavela) that is called Philosophical Lyrics.

3. Her exclusive creative work is conditioned by her point of view where the duty of poetry is seen not only in artistic reflection of reality but in getting to the essence of the objects and events and their deep analysis. It was the only reason why nonintellectual part of the society find it difficult to understand her.

4. Esma Oniani's Svanetian cycle of verses are amazing with their similes, epithets, metaphors, hyperboles and others. Her verses for children prove her deep knowledge in psychics and psychology of a child.

5. Esma Oniani's letters about art, poetry, music are worth evaluating particularly.

6. I consider Esma Oniani to be a world- wide poet and artist. She is our national treasure, wealth and pride that needs appraising and estimating at its true worth.

N. BOCHORISHVILI

THE USE OF TEACHIG APPROACHES

An approach to language teaching may refer to our view of language and our view of how language learning takes place. We may think, for example, that language is a set of grammar rules, and that language learning takes place by learning those rules and using them to work out the meaning of texts through translation. Sometimes approaches also refer to the ways or methods of teaching that we use in the classroom and that are based on these views. Supporters of communicative approaches, for example, believe that language is a tool to communicate meaning, and we learn language best by using it in communicative activities that focus on fluency.

The majority of students are learning English for no special reason, for example in school it is a subject. Some student studies it for specific purposes ------ English for engineers, doctors and etc. There are classes for Business English, for academic purposes EAP and so on. One of the important aspects of teaching English is the content analysis of our students needs --- why they are learning and their interests --- motivation . Learners who are highly motivated and want to learn English are more likely to succeed. Many students want to learn a language because it can help them achieve practical things such as finding a (better) job. Also it could be the interest in the target language culture. They may live in a country or family or go to a school where learning a foreign language is highly valued and much encouraged. This helps us to realize the importance of the foreign language and gives us emotional support as we learn. People who live in a country where people can't see the point of learning a foreign language may have little motivation to learn a foreign language. One more reason could be the fact that they may have friends, boy or girlfriends, business partners, etc. who speak another language. They want to develop their relationship with them. This is a strong motivation to learn a language. Learners may differ in their motivations, some may have strong motivation, other learners' motivation may vary, have lower motivation. There are also learners, who are unmotivated, who have no motivation at all, they are demotivated, For example they could have lost their motivation. However, motivation can change, too. A learner may, for example, be quite uninterested in learning a particular language, then meet a teacher, who helps them love learning the language. Motivation can change with age, too, with some factors becoming more or less important as learners get older. Mostly for this reason there are so many different approaches to teaching. The choice of methods depends on the purpose and also the teacher's view on what language is made up of, how languages are learnt and what classroom activities work effectively while learning English. Definite approaches have had a some influence on English language teaching.

When teaching a language, there are different ways or systems teachers can use, each based on a belief or a theory about the best way of teaching a language. Teachers choose a method, which fits in with the beliefs they have about language learning and teaching. For example, teachers who believe that learners should be able to communicate in the language they are learning choose methods which include speaking and listening activities. There are many different methods used for English language teaching. For instance: communicative approach, guided discovery, structural approach, lexical approach, presentation, practice, production (PPP), test teach-test, task-based learning and so on.

Grammar Translation method is a way of teaching in which learners study grammar and translate words and texts into their own language or the target language. This method was widely used in 20th century. Teachers are the main authority figure in this model. Student role is passively receive information through lectures and direct instruction, with an end goal of testing and assessment. It is the primary role of teachers to pass knowledge and information onto their students. In this model, teaching and assessment are viewed as two separate entities. Student learning is measured through objectively scored tests and assessments. It is so called teacher centered way of teaching. However, nowadays more popular methods don't use teacher-centered techniques. Teachers use communicative approaches try to focus on meaningful communication, which involve practicing language in real life situations. Presentation, Practice and Production (PPP) is an approach to teaching new language in which the teacher presents the language using a situation, in addition gets learners to practice it in exercises or other controlled practice activities, and then asks learners to use or produce the same language in a communicative and less controlled way. Teachers and students play an equally active role in the learning process. The teacher's primary role is to coach and facilitate student learning and overall comprehension of material. Student learning is measured through both formal and informal forms of assessment, including group projects, student portfolios, and class participation. Teaching and assessment are connected. Nevertheless student learning is continuously measured through teacher instruction.

It is difficult to say that one approach is better than another. The choice depends on who your learners are and what your teaching conditions are. There should be considered learners' age, level of English, motivation, expectations

and of course the previous learning experience. Moreover the aims of the course learners are on, what resources are available to the classroom, class size and number of hours of English in the course. Some teachers select an eclectic approach, which uses classroom practices from a variety of methods. This can be a successful approach, but it needs to be used carefully. It is important to mix techniques in a way which is coherent, so that all activities develop well.

There are numerous approaches to teaching English as a Second Language (ESL), each with its own advantages and disadvantages. Each approach within certain conditions, is likely to be the best choice. One of an ESL teacher's jobs is to select the best approach and materials for the given situation and ensure that the students are responding to the selected one.

There are four general orientations among modern second-language methods and approaches: Structural/Linguistic ---- that is based on beliefs about the structure of language and descriptive or contrastive linguistics. Cognitive ----- that is based on theories of learning applied specifically to second language learning. Focus is on the learning strategies, that are consistent with the learners own style. Affective/interpersonal ---- that is focuses on the psychological and affective correspondence of the learner. Emphasizes interaction among and between teacher and students and the atmosphere of the learning situation as well as students' motivation for learning. Functional/communicative ---- that is based on theories of language acquisition and on the use of language for communication.

No matter which approach we use, in any case learners should master the foreign language in listening, speaking, reading and writing with understanding. Each of above mentioned approaches has advantages and disadvantages. Each approach or method has an articulated theoretical orientation and a collection of strategies and learning activities designed to reach the specified goals and achieve the learning outcomes of the teaching and learning processes. We learn our mother tongue, L1 without realizing that we are learning it. We can learn another language, L2 by being in contact with language --- by hearing, reading and using it. Learners can get exposure to language in the classroom but they can get one outside the classroom as well, by watching movies in English and reading books or magazines in English. Learning language is a process of acquiring grammar, lexis , pronunciation and understanding the target language culture.

References

1. Claire Kramsch; Roger W. Andersen Language Learning & Technology Vol. 2, No. 2, January 1999, pp. 31-42 LLT Journal: Teaching Text and Context through Multimedia
2. Dogonadze N. : Methods of Teaching Languages as the guidelines of Creating EFL Textbooks, Tbilisi, 1996
3. Eastment, D.: The Internet and ELT: The Impact of the Internet on English Language Teaching, London: British Council Engl. 2000 Publications, 1996
4. Jeremy Harmer: Essential Teacher knowledge Pearson ELT 2012
5. Jeremy Harmer: How to teach English. Pearson ELT. 2007

N. Bochorishvili

The Use of Teaching Approaches

Summary

When teaching a language, there are different ways or systems teachers can use, each based on a belief or a theory about the best way of teaching a language. Mostly teachers choose a method which fits in with the beliefs they have about language learning and teaching. Moreover the choice depends also on whom your learners are and what your teaching conditions are. Learners in the modern language classroom often learn through techniques drawn from a variety of approaches. An approach is a way of looking at teaching and learning. Any language teaching approach is a theoretical view of what language is, and of how it can be learnt. The teacher should take into account a number of factors when choosing a method of teaching. The article deals with a number of methods and their positive and negative aspects.

ნ. ბოჭორიშვილი

სწავლების მეთოდების გამოყენება

რეზიუმე

ენის სწავლებისას გამოიყენება სხვადასხვა სწავლების მეთოდები და მიდგომები, რომლებიც დაფუძნებულია ენის სწავლების თეორიაზე. უმეტესად მასწავლებლები არჩევენ ენის სწავლების და სწავლის იმ მეთოდს თუ მეთოდებს, რომელსაც თავად მიიჩნევენ სარწმუნოდ. მათი არჩევანი დამოკიდებულია თვით სტუდენტზე და სწავლების პირობებზე. დღესდღეობით ენის სწავლებისას გამოიყენება სხვადასხვა სახის მეთოდი. ნებისმიერი სწავლების მიდგომა არის თეორიული ხედვა იმისა, თუ რა არის ენა და როგორ შეიძლება ის ვისწავლოთ. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს რიგი ფაქტორები სწავლების მეთოდის შერჩევისას. სტატიაში განხილულია რიგი მეთოდები და მათი დადებითი და უარყოფითი ასპექტები.

ლ. გალდავა

ადამიანის ინფორმაციული უფლებები და თავისუფლებები — სამართლებრივი რეგულირების განსაკუთრებული ობიექტი

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს ინფორმაციული სფეროს მზარდი აქტივობა. ამჟამად ინფორმაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნის პროცესს, მიზანმიმართულს ხდის სოციუმის პროგრესულ განვითარებას, მოიცავს მთლიანად საზოგადოებას და მის თითოეულ წევრს. ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანისა და მოქალაქის ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ არის დაკავშირებული ინფორმაციასთან, წარმოადგენს ინფორმაციულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

როგორც ბიოსოციალურ არსებას, ადამიანს გააჩნია ბუნებრივი, დაბადებიდანვე თანდაყოლილი უფლებები და თავისუფლებები. ცივილიზებული სახელმწიფო აღიარებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს. მათი რეალიზაცია და დაცვა სახელმწიფოს იურიდიული მოვალეობაა, თუმცა ძირითადი უფლებების სფეროში სახელმწიფო უშუალოდ ვერ ჩაერევა (Bruno Schmidt-Bleibtreu, Franz Klein, 115).

ადამიანის ძირითადი უფლებების საფუძველი ბუნებითი სამართალია. ცნება „ძირითადი უფლებები“ არის უძველესი, ურთულესი და უმნიშვნელოვანესი. მართებულად მიუთითებდა ჯონ ლოკი, რომ ძირითადი უფლებები „ადრესახელმწიფოებრივი უფლებებია“, ამიტომ სახელმწიფოს არ აქვს ადამიანებისთვის მათი მინიჭების ან ჩამორთმევის უფლება, რადგან ეს უფლებები „ბუნების კანონიდან“ გამომდინარეობს, რომ ყოველ ადამიანს თავისი გონების მეშვეობით შეუძლია „ბუნების კანონების“ შეცნობა.

ცივილიზებულ საზოგადოებაში ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები განმტკიცებულია ქვეყნის ძირითად კანონში — კონსტიტუციაში. როგორც კონსტიტუციურ ნორმებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, აქვთ უზენაესი იურიდიული ძალა — ისინი კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია და ამდენად, სამართლებრივი სისტემის ორგანულ ნაწილსაც წარმოადგენენ.

საქართველოს კონსტიტუცია ძირითად უფლებებს განმარტავს როგორც უშუალოდ მოქმედ სამართალს. მასში დეტალურად არის გაანალიზებული და გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების არსი, თუმცა, სასურველია, მომავალში მოხდეს მათი დეტალური კონკრეტიზაცია და სრულყოფა.

ძირითადი კონსტიტუციური ნორმა, რომელიც აფიქსირებს ადამიანის, როგორც ბიოფიზიოლოგიური არსების ბუნებრივ, ფუძემდებლურ ღირებულებას — თავისუფლებას და თანასწორობას არის საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი. მასში განმტკიცებულია, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14).

სამართლის უმნიშვნელოვანესი ღირებულება ადამიანის თავისუფლების აღიარებაა. მას განმტკიცებულს ჯერ კიდევ 1679 წლის Habeas Corpus Akte, რომლის თანახმად, ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა ან აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი საკანონმდებლო წესით განამტკიცებს ორ უზენაეს სოციალურ ღირებულებას, ადამიანის თავისუფლებასა და თანასწორობას. ადამიანის თავისუფლება განუსხვისებელია, რაც ლაკონურად არის გამოხატული ფრაზებში — „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია“, „ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის I პუნქტი). ცივილიზებულ სამყაროში ადამიანის თავისუფლება არ არის დამოკიდებული სახელმწიფოს ნებაზე. კანონმდებლობა ბოჭავს სახელმწიფოს, თვითნებურად ჩაერიოს ადამიანის თავისუფლების სფეროში.

მეორე ფუძემდებლური პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის და მოქალაქის ძირითად უფლებებს, არის თანასწორობა. იურიდიული თვალსაზრისით, ამ პრინციპში იგულისხმება თანასწორობა კანონის წინაშე, რაც სამართლის ფენომენის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, სამართლის იდეის გა-

ნუყოფელი ნაწილია. „თანასწორობა ყოველთვის არის აბსტრაქცია არსებული უთანასწორობიდან“ (Radbruch,122).

სამართლებრივი კანონის ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მან თანასწორი იურიდიული შედეგი შეუფარდოს მის მიერ რეგულირებულ განსხვავებულ, ზოგჯერ უთანასწორო ურთიერთობებს.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, „კანონი ზოგადია და, მაშასადამე, ყველა უთანასწორო ურთიერთობა მან თანასწორად უნდა განიხილოს“ (Grundgesetz,185).

იურიდიული თანასწორობა არ არის ფაქტობრივი თანასწორობის თანმხვედრი, რამდენადაც ფაქტობრივი თანასწორობა რეალურ ცხოვრებაში თითქმის უტოპიაა. შესაბამისად, კანონი არ ავალდებულებს სახელმწიფოს უზრუნველოყოს ბუნებრივი უთანასწორობის დაძლევა. თუნდაც ყველაზე სამართლიანი და დემოკრატიული წყობის პირობებში (Mangoldt/Klein/Starck, Bd. 1,Art. 3.Rdn.4).

თანასწორობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ თანასწორად ან უთანასწოროდ უნდა იქნას განხილული მხოლოდ მსგავსი ურთიერთობები, რათა შესაძლებელი იყოს მათი ერთმანეთთან შედარება. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, თანასწორად შეიძლება იქნან განხილულნი ის ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან მსგავს ვითარებაში (Currie, 53.).

თავისუფლებისა და თანასწორობის ფუნდამენტურ პრინციპებზე დაფუძნებულია ადამიანისა და მოქალაქის ძირითად უფლებათა მრავალფეროვანი პირამიდა. იურიდიულ ლიტერატურაში მოცემულია ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა სხვადასხვა კლასიფიკაცია, რომლის კრიტერიუმებად მიჩნეულია — მისი მიზანი მოქმედების სფეროს გათვალისწინებით, შინაარსი, აქტუალობა და ა.შ.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „ადამიანის უფლებებს ყოფენ „სუბ-კატეგორიებად“. ამ კატეგორიათა მთლიანობა, მათი ერთიანობა ქმნის უფლება-მოვალეობათა ერთიან სისტემას. ამ სისტემის ფარგლებში გამოყოფენ უფლება- თავისუფლებათა სამ ძირითად ჯგუფს: 1. პირადი თავისუფლებანი, რომლებიც იცავენ პიროვნების ავტონომიურობას; 2. პოლიტიკური უფლებანი, რომლებიც საშუალებას აძლევენ მოიპოვონ და მიიღონ ინფორმაცია იმ საზოგადოების საქმიანობის შესახებ, რომლის წევრებიც ისინი არიან; 3. სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, რომლებიც ადამიანებს უქმნიან მაღალი ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტიას (რუხაძე, 139).

კ. კუბლაშვილის აზრით, ადამიანის ძირითად უფლებათა დაჯგუფება უნდა მოხდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორიენტირების პრინციპების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით ერთმანეთისაგან გამოიყოფა:

1. თავისუფლების უფლებები; 2. სამოქალაქო უფლებები; 3. სოციალური უფლებები (კუბლაშვილი, 40-41).

ამდენად, ადამიანის უფლება-თავისუფლებათა კლასიფიკაცია პირობითია და ამ სფეროში სტაბილური, უცვლელი სისტემა არ არსებობს. შესაბამისად, უფლება-თავისუფლებათა კლასიფიკაცია არ არის ამომწურავი.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია კლასიფიკაციის სისტემაში გამოკვეთილად იქნას გათვალისწინებული ადამიანის და მოქალაქის ინფორმაციული უფლება-თავისუფლებანი, რამდენადაც ისინი თანამედროვე პერიოდში სპეციფიკურობით, აქტუალობით ხასიათდებიან და აქვთ დამოუკიდებლად არსებობის უფლება.

პიროვნების ინფორმაციული უფლებები განათლების, კულტურის, ხელოვნების, ინტელექტუალური ურთიერთობების სფეროში წარმოადგენს სხვა საყოველთაოდ აღიარებული უფლებების რეალიზაციის პირობას.

მსოფლიოში მიმდინარე ინოვაციებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების უპრეცენდენტო განვითარების პროცესი საქართველოსაც შეეხო. საქართველოს მოსახლეობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროექტს ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების შესახებ. პროექტის განხორციელების შედეგად, დამატებით ერთი მილიონი ადამიანი მიიღებს ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობას (ქაშიბაძე, გაზ. „კვირის პალიტრა“, 2015 წ. 16-22 ნოემბერი). „ინფორმაციულ ეპოქაში“ დღითიდღე უფრო იზრდება ქართული საზოგადოების ინტერესი — ისარგებლოს მოწესრიგებული, ობიექტური ინფორმაციული ინსტიტუტებით.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ინფორმაციული უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია პირდაპირ არის დამოკიდებული სამართლებრივ ნორმებზე, რომლებიც არეგულირებენ ინფორმაციულ

სტანდარტებს, ინფორმაციულ ინფრასტრუქტურის ობიექტების, მასმედიის საშუალებებისა და კომუნიკაციების გამოყენების რეჟიმს.

ინფორმაციული უფლებები და თავისუფლებები სამართლებრივი რეგულირების განსაკუთრებული ობიექტია, რომელიც მუდმივ დახვეწასა და სრულყოფას საჭიროებს. მართებულად მიუთითებს პროფესორი მ. ცაცანაშვილი, რომ „ინფორმაციის მასობრივი მოხმარებისა და გავრცელების პროცესში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგლამენტაცია ორ ძირითად პრინციპზეა აგებული: 1) ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება; 2) სხვათა უფლებების დაცვა ინფორმაციის ცირკულაციის პროცესში“ (ცაცანაშვილი, 1999, 115).

ადამიანის ინფორმაციულ უფლებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სიტყვისა და აზრის გამოთქმის თავისუფლება, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან. იგი არამარტო პიროვნებისთვის არის ღირებული, არამედ მედიისთვისაც, ვინაიდან სიტყვისა და აზრის თავისუფლებაზე ბევრად არის დამოკიდებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამოუკიდებელი საქმიანობა.

საქართველოში ინფორმაციული უფლებების სამართლებრივი რეგულირების ფუნდამენტია საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 24-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება „გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით“.

„აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება განეკუთვნება ძირითად უფლებებს, რომლის გარეშე სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო არ შეიძლება არსებობდეს“ (კორკელია, ქურდაძე, 193).

ინფორმაციული კულტურა, საზოგადოებაში დამკვიდრებული საერთო კულტურის ნაწილია და მნიშვნელოვნად განაპირობებს საზოგადოების პროგრესულ განვითარებას. ინფორმაციულ კულტურას ქმნის ადამიანისა და მოქალაქის ინფორმაციული უფლებებისა და თავისუფლებების სისტემა. ამ სისტემაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია გამოხატვის თავისუფლება. ტერმინ „გამოხატვაში“ მოიაზრება შეხედულებების, აზრის გამოთქმის წერილობითი და ზეპირი ფორმა, თუმცა იგი ასევე მოიცავს ნებისმიერ საშუალებას, რომელიც იდეების გაჟღერებასთან ან ინფორმაციის გავრცელებასთან არის დაკავშირებული, ინფორმაციის წარმოების, გადაცემის, გავრცელების საშუალებები და ბეჭდვითი მასალები, რადიომაუწყებლობა, ხელოვნების ნიმუშები, ფილმები, ელექტრონული საინფორმაციო სისტემები.

გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივი რეგულირება განმტკიცებულია ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში, რომელიც მოიცავს გამოხატვის თავისუფლების 3 ელემენტს: 1. საკუთარი აზრის მიდევნების (ქონის) თავისუფლებას; 2. ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას; 3. ინფორმაციის მიღების თავისუფლებას.

„მე-10 მუხლით გარანტირებულ უფლებათა განხორციელების უპირველესი პირობაა აზრის მიდევნების (ქონის) თავისუფლება. ამ უფლების დაცვას აბსოლუტური ხასიათი აქვს, ვინაიდან შეზღუდვები, რომლებიც ჩამოთვლილია მე-2 პუნქტში, მოცემულ შემთხვევაში არ გამოიყენება. ამ უფლებასთან მიმართებით ნებისმიერი შეზღუდვა შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოების ბუნებასთან“ (კორკელია, ქურდაძე, 200).

„სახელმწიფოს აღჭურვა იმ უფლებით, რომ თავისი მოქალაქეების აზრები დაყოს „სწორ“ და „არასწორ“ აზრებად და მხოლოდ „სწორი“ აზრები დაიცვას, „არასწორი“ კი შეძლებისდაგვარად აკრძალოს, დაუშვებელია და ეწინააღმდეგება პლურალისტური დემოკრატიის პრინციპს“ (კუბლაშვილი, 211).

გამოხატვის თავისუფლების არსებითი ელემენტია ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება. აზრისა და სიტყვის თავისუფლების რეალიზაცია შეუძლებელია ინფორმაციის გავრცელების თავისუფლების გარეშე.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი ინფორმაციისა და აზრის თავისუფლებასთან ერთად მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებასაც ადგენს.

„მედია თანამედროვე საზოგადოების მეტად რთული, სოციალური სისტემის და მისი ქვესისტემის ნაწილია. მთლიანობაში ის უზარმაზარი ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად მოქმედებს. მედია ერთდროულად წარმოადგენს წარმოებას, საზოგადოებრივ სამსახურს და პოლიტიკურ ინსტიტუტს, რაც მას ორაზროვან სტატუსს ანიჭებს“ (ალფაიძე, 44).

მეტად მრავალფეროვანია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. მას მიეკუთვნება: გაზეთები, ჟურნალები, ტელე-რადიო პროგრამები, კინო დოკუმენტალისტიკა, ინტერნეტი, ინფორმაციული სააგენ-

ტოები, საჯარო ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები. პრესის თავისუფლება ცივილიზებული საზოგადოებისათვის განსაკუთრებული ღირებულების უფლებაა.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული არამარტო უფლებები, არამედ ვალდებულებებიც. კერძოდ, დაუშვებელია პრესით გავრცელდეს აშკარად მცდარი ცნობები და მონაცემები, სინამდვილის დაფარვა და გაყალბება, გადაუმოწმებელი ინფორმაცია, ჭორის საფუძველზე, ფანტაზიით შეთხზული ინტერვიუები და ა.შ.

საქართველოს კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ განისაზღვრა პრესის თავისუფლების სფეროში ჩარევის პროცედურა. კანონის თანახმად, პრესის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს“ (საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, მუხლი 8).

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საერთო სისტემაში, ბეჭდვით მედიასთან ერთად, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს ელექტრონული მასმედია — ტელე-რადიო მაუწყებლობები, რომელიც ძირითადად ორი სახისაა: საზოგადოებრივი და კერძო. ელექტრონული მასმედიის სამართლებრივი სტატუსი მოწესრიგებულია საქართველოს 2004 წლის 23 დეკემბრის კანონით „მაუწყებლობის შესახებ“.

მიმდინარე წელს საქართველოში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციური რეფორმა — ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა. ციფრული მაუწყებლობა არის მედიის საქმიანობის გაუმჯობესებული მოდელი. ამ ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა სატელევიზიო ინდუსტრია ძირეულად გარდაქმნა, ღია საეთერო ტელემაუწყებლობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. შესაბამისად, გაფართოვდა საქართველოს მოსახლეობის ინფორმაციული უფლებები.

ადამიანის ინფორმაციულ უფლებათა შორის თანამედროვე პერიოდში მეტად აქტუალურია კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობის უფლება.

„ახალი ტიპის ტელეკომუნიკაციური ქსელი არის არა უბრალოდ კომუნიკაციის ახალი საშუალება, არამედ კაცობრიობის ცივილიზაციის ადამიანური აქტივობის სრულიად ახალი სფერო“ (ალფაიძე, 149).

რთული ტექნოლოგიური სტრუქტურის გამო მეცნიერულ ლიტერატურაში ინტერნეტს უწოდებენ მსოფლიო ინფორმაციულ აბლაბუდას — World Wide Web (www), რომელიც მოიცავს მრავალრიცხოვან ბაზებსა და მონაცემებს (Ferrera, 210).

დღეისთვის ინტერნეტში თავმოყრილია საქმიანი, ინტელექტუალური ინფორმაცია, ელექტრონული გაზეთები და ჟურნალები, საბაზო მონაცემები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ელექტრონული ფოსტა, ბიბლიოთეკების, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ინფორმაციული რესურსები. ინტერნეტში არ არსებობს სახელმწიფოთა გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური საზღვრები (Rogers, 69).

უდავოა, რომ ადამიანის უფლება — ისარგებლოს ცოდნის ასეთი უნიკალური ბაზით ფასდაუდებელია. ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის მესამე ელემენტი ითვალისწინებს ინფორმაციის მიღების თავისუფლებას.

გამოხატვის თავისუფლება არ არის უპირობო, აბსოლუტური უფლება. ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას, რომლებიც რამდენადმე ზღუდავენ გამოხატვის თავისუფლების სამართლებრივ ინსტიტუტს.

„შიდასახელწიფოებრივი სამართალი უნდა მოიცავდეს დეტალურ დებულებებს, რომლებითაც დაკონკრეტებულია ამგვარი შეზღუდვები. დებულებები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული; მათი შინაარსი გასაგები და არაორაზროვანი უნდა იყოს, რათა შეიძლებოდეს მათი ადეკვატური შეფასება და აღქმა. ეს აძლევს საშუალებას მოქალაქეებს იცოდნენ, რა ქმედებებზე ვრცელდება შეზღუდვები“ (კორკელია, ქურდაძე, 205).

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად არის აღნიშნული, რომ „თუნდაც ინფორმაცია იყოს აბსოლუტურად კანონიერი და შესაბამისი მტკიცებულებებით გაჯერებული, მისი გავრცელებისას და მით უმეტეს ამ მონაცემებზე დაყრდნობით, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას ჟურნალისტმა ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას, უნდა იმოქმედოს სიფრთხილით და გაითვალისწინოს გარე ფაქტორები“ (ჯორბენაძე, ბახტაძე, მაჭარაძე, 88).

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი ლაკონურად და ნათლად ადგენს, რომ „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი პირობების შექმნა, რაც შესაძლებლობას მისცემს ადამიანს თავისუფლად განვითარდეს როგორც პიროვნება, გახდეს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, მიიღოს განათლება, დაეუფლოს სასურველ პროფესიას, ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მისი სიცოცხლე, ცხოვრება და თავისუფალი საქმიანობა სრულად იქნეს დაცული.

პიროვნების შესახებ პერსონალური მონაცემების რეალიზაცია ასევე სამართლებრივი რეგულირების ობიექტია. აღნიშნულ საკითხს საქართველოში არეგულირებს საქართველოს კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ (2011 წლის 28 დეკემბერი). მასში მითითებულია, რომ კანონის მიზანია პერსონალური მონაცემების დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ეფუძნება ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-8 მუხლს, რომელიც მიუთითებს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ფართო და მრავლისმომცველი უფლებაა და მოიცავს პირადი ცხოვრების საიდუმლოებას.

ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მის მიმოწერას. ქარტიის მე-8 მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას პატივი სცენ ოთხ ინტერესს — პირად და ოჯახურ ცხოვრებას, საცხოვრებელი ადგილისა და მიმოწერის უფლებას. ეს ვალდებულება მოიცავს როგორც ნეგატიურ მხარეს — არ შეზღუდონ მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები, ასევე პოზიტიურ მხარეს — უზრუნველყონ ამ უფლებებით ეფექტური სარგებლობა.

პერსონალური მონაცემები ადამიანის პირადი ცხოვრების ერთ-ერთი მხარეა. პირადი ცხოვრების უფლება იცავს ყველა ადამიანს პირად ცხოვრებაში არასასურველი ჩარევისაგან. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავად განსაზღვროს პირადი ცხოვრების გარესამყაროსთან ურთიერთობის ფარგლები, მოწყდეს საზოგადოებას და დარჩეს თავის თავთან მარტო, თუ შექმნას ოჯახი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია. პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის სამართლებრივი დაცვა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ცხოვრების ინტიმური სფეროს დაცვაა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით პირადი ცხოვრების არასასურველი ფაქტების გავრცელებისას უდიდესი ზიანი ადგება პიროვნების „სულიერ სიმშვიდეს“, მის პატივსა და ღირსებას.

მ. ცაცანაშვილი აღნიშნავს, რომ „ადამიანი ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, ამავე დროს ინფორმაციის მომხმარებელიც არის, ამიტომ იგი დაინტერესებულია ინფორმაციულ სივრცეში საკუთარი ინფორმაციის ცირკულარიზაციით, რადგან ეს მისი, როგორც „გონიერი არსების,“ არსებობის აუცილებელი პირობაა. მაგრამ არის ერთი სახის ინფორმაცია, რომლის ცირკულაციის შეზღუდვისა და კონტროლის სურვილი ყველას აქვს. ესაა პირადი ცხოვრების მონაცემები, რომელიც, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ინდივიდისთვის მგრძნობიარეა“ (ცაცანაშვილი, 2004, 102). გასაგებია, რომ ეს არის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია, რომელიც არ შეიძლება ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს.

თანამედროვე პერიოდში ადამიანის პერსონალური მონაცემები ტრანსასაზღვრო ნაკადით საერთაშორისო კომუნიკაციების ქსელში გაედინება, ამიტომ, აუცილებელია, ქვეყანაში შეიქმნას ეფექტური საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დეტალურად მოაწესრიგებს ისეთ რთულ და მრავალმხრივ სფეროს, როგორიც პიროვნების პერსონალურ მონაცემთა დაცვაა არამართლზომიერი, კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.

2016 წლის დასაწყისში ქართული საზოგადოება ააღელვა პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეო კადრების ინტერნეტით გავრცელებამ. ეს არის ინფორმაციულ სივრცეში ჩადენილი მძიმე დანაშაული, რომელიც ხელყოფს არამარტო ადამიანის პირად ცხოვრებას და უსაფრთხოებას, არამედ უდიდეს

ზიანს აყენებს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს. ასეთ ბოროტ განზრახვით ჩადენილ დანაშაულთან აქტიური ბრძოლა მთელი ერის ვალდებულებაა.

ამრიგად, მეტად ფართო და მრავალსახეობრივია ადამიანის და მოქალაქის ძირითად ინფორმაციულ უფლებათა და თავისუფლებათა სპექტრი. ის ღირებულია არამარტო პიროვნების, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვისაც. ადამიანის ცხოვრება და პროფესიული საქმიანობა ძირითად უფლებათა ფონზე მიმდინარეობს. საზოგადოებისა და სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას გარკვეულ სტიმულს აძლევს ინფორმაცია და მისი რესურსების სწორად გამოყენება. ამიტომ ინფორმაციული სფეროს ჯეროვან რეგულირებას კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა და სრულყოფა ესაჭიროება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო
2. საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, 2004 წლის 23 დეკემბერი
3. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 2011 წლის 28 დეკემბერი
4. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, 2004 წლის 24 ივნისი
5. საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“, 2012 წლის 5 ივნისი
6. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წლის 10 დეკემბერი
7. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი
8. ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია, 2000 წლის 12 დეკემბერი
9. ალფაიძე თ., მედია სამართალი, თბილისი, 2008
10. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ავტ.კოლ. ლ.იზორია, კ.კორკელია, კ.კუბლაშვილი, გ.ხუბუა, თბილისი, 2005
11. რუხაძე ზ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999
12. ცაცანაშვილი მ., ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 1999
13. ცაცანაშვილი მ., ინფორმაციული სამართალი, თბილისი, 2004
14. კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003
15. კორკელია კ., ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004
16. კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004
17. ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ს., მედიასამართალი, 2014
18. ქაშიბაძე ი., გაზ. „კვირის პალიტრა“, 2015 წ. 16-22 ნოემბერი
19. Gerald R. Ferrera, et al. CyberLaw: your rights in cyberspace. South-Western Pub. 1st edition. ISBN-13: 9780324399721, 2011
20. Rogers E.M. Communication technology: The new media in society. New York: Free Press, 1986
21. Bruno Schmidt-Bleibtreu; Franz Klein, Kommentar zum Grundgesetz, 9. Auflage, 1999
22. Radbruch, Rechtsphilosophie, 8. Aufl., 1973
23. Grundgesetz, Kommentar, Hrsg. von Michael Saxs, München, 1996
24. Mangoldt/Klein/Starck, Kommentar zum Grundgesetz, 1996
25. Currie, D.P., Die Cerfassung der Vereinigten Staaten von Amerika, 1988

ლ. გალდავა

ადამიანის ინფორმაციული უფლებები და თავისუფლებები — სამართლებრივი რეგულირების განსაკუთრებული ობიექტი

რეზიუმე

ნაშრომის მიზანია, მეცნიერულ დონეზე წარმოაჩინოს ადამიანის ძირითად ინფორმაციულ უფლებათა და თავისუფლებათა არსი და სამართლებრივი ბუნება.

„ინფორმაციულ ეპოქაში“ დღითიდღე უფრო იზრდება ქართული საზოგადოების ინტერესი — ისარგებლოს მოწესრიგებული, ობიექტური ინფორმაციული ინსტიტუტებით. ინფორმაციული უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია პირდაპირ არის დამოკიდებული სამართლებრივ ნორმებზე, რომელიც არეგულირებს ინფორმაციულ სტანდარტებს.

მიმდინარე წელს საქართველოში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციური რეფორმა — ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა, რომელიც წარმოადგენს მედიის საქმიანობის გაუმჯობესებულ მოდელს. მნიშვნელოვანი ინფორმაციული უფლებაა ადამიანის პირადი ცხოვრება. ფართო და მრავალმხრივია ადამიანისა და მოქალაქის ინფორმაციულ უფლებათა და თავისუფლებათა სპექტრი, რომელიც ღირებულია როგორც პიროვნების, ასევე საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის. ამიტომ ინფორმაციულ სფეროს ჯეროვან რეგულირებას ესაჭიროება საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, ეროვნული კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა და სრულყოფა.

L. Galdava

Human Informational Rights and Freedoms - The Special Object of Legal Regulation

Summary

The aim of the article is to show human’s main informational rights, the essence of the freedom and legal nature.

Recently, in the ‘Era of Information’, interest of Georgian Society to use orderly and objective informational institutions has been growing. The realization of the informational rights and freedoms are directly depending on legal norms which regulates informational standards.

This year it was implemented the most important communicational event in Georgia – The Switchover into Digital Broadcasting – it represents the model of improving media activity. The important information right is persons’ private life – Privacy. It’s very wide and diverse humans and citizens informational rights and freedom spectrum, which are valuable for person, society and state. So it is very important in the regulation of the informational field to be more aware of International Law standards and then to sophisticate and improve the National Law System.

ალ. დაუშვილი

ექვთიმე თაყაიშვილი და საბჭოთა ხელისუფლება

ექვთიმე თაყაიშვილი თავისი მსოფლმხედველობით, რწმენით, საქართველოს წარსულისადმი თაყვანისცემით და პარტიული კუთვნილებით, რა თქმა უნდა, პრინციპულ დაპირისპირებაში იყო კოსმოპოლიტურ სოციალ-დემოკრატიასთან და განსაკუთრებით მის მემარცხენე ფრთასთან – ბოლშევიზმთან. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში, ექვთიმე მუდამ კრიტიკულად გამოდიოდა მმართველი პოლიტიკური ძალის – მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის შეცდომებისა და გადაცდომების წინააღმდეგ და განსაკუთრებით მკაცრად აკრიტიკებდა ბოლშევიკების ანტიეროვნულ საქმიანობას, ისინი რუსეთის აგენტურად მიაჩნდა.

მაგრამ პოლიტიკოსზე უფრო მეტად, ის დიდი მეცნიერი იყო და ამიტომაც უყოყმანოდ იკისრა ეროვნული საგანძურის მეთვალყურეობა საფრანგეთში, საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების ემიგრაციაში ყოფნის დროს. ექვთიმე თაყაიშვილის ეს უდიდესი დამსახურება სათანადოდ დააფასა ქართველმა ხალხმა და საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ. მაგრამ როგორი იყო მისი ურთიერთობა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომელმაც ის აიძულა ხანგძლივად განშორებოდა მშობლიურ კუთხეს?

ჩვენ ქვემოთ შევეცდებით, შეძლებისამებრ, წინამდებარე წერილში წარმოვაჩინოთ საბჭოთა ხელისუფლებასთან, მის პოლიტიკურ თუ სამეცნიერო ორგანიზაციებთან ექვთიმეს ურთიერთობის ძირითადი ეტაპები მეორე მსოფლიო ომამდე და ომის შემდეგ.

რა თქმა უნდა, საბჭოთა რუსეთისა და მისი ქართველი მარიონეტების –ქართველი კომუნისტების მიერ განხორციელებული ერთობლივი ოკუპაცია მას არ მოეწონებოდა და თავის უარყოფით აზრსაც გამოთქვამდა. ალბათ, არც იფიქრებდა საბჭოთა ხელისუფლებასთან რაიმე ურთიერთობას, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება – საფრანგეთში ძალიან მალე საქართველოდან გატანილ საგანძურს სერიოზული საფრთხეები დაემუქრა.

უზარმაზარი განძის მოვლა-პატრონობა ემიგრაციაში ძალიან გაჭირდა, ამიტომაც მარსელში ჩასვლისთანავე ის ა. ჩხენკელის სახელზე ქალაქის ბანკის საცავებში მოათავსეს. ბანკში განძის განთავსება გულისხმობდა მის ფინანსურ მომსახურებას, რაც წინასწარ გადაიხადეს ქართველებმა. ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული შეხედულება, რომ „სამუზეუმო განძეულობის მეთვალყურედ დაინიშნა ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც ერთი წუთითაც არ მოშორებია ამ ნივთებს 1921 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1945 წლამდე“ (მეტრეველი, ბადრიძე, 55), სიმართლეს არ შეეფერება. ასეთმა მოსაზრებამ საქართველოში გააჩინა საკმაოდ მყარი შეხედულება, რომ ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოდან გატანილ განძეულს სახლში ინახავდა და პირადი გაჭირვების მიუხედავად, არ დასთმო, არ გაყიდა ეროვნული მნიშვნელობის ნივთები. ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურება ეროვნული განძის გადარჩენის, მოვლა-პატრონობის საქმეში – დაუფასებელია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული მტკიცება სინამდვილეს არ შეეფერება.

რა თქმა უნდა, ექვთიმესთან, შესაძლებელია, ინახებოდა განძის ერთი, ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ არა ის უნიკალური ნივთები, რომელთა მნიშვნელობა განუსაზღვრელია.

ექვთიმეს, უდავოდ, ჰქონდა სახლში სხვა განძი – ეს იყო მისი მუშაობის შედეგები, პირადი ქონება, მეცნიერული გამოკვლევები, რასაც უდიდესი სამეცნიერო ღირებულება აქვს, მაგრამ არა „ახალგორის განძი“, ან საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან გატანილი სიმდიდრე, ან კი დადიანებისა თუ რომანოვების სასახლეებიდან გამოტანილი უმდიდრესი კოლექცია.

ძალიან მალე მოხდა ისე, რომ საქართველოს მხარემ განძის შესანახი თანხა ვეღარ გადაიხადა და ქონება, საფრანგეთის კანონების მიხედვით, უპატრონოდ გამოცხადდა და საფრანგეთის სახელმწიფოს საკუთრება გახდა.

ასეთ რთულ ვითარებაში 1923 წელს ექვთიმემ საბჭოთა საქართველოდან მიიღო წერილი, რომელსაც ხელს აწერდა მისი ყოფილი სტუდენტი, იმჟამად უკვე გამორჩეული მეცნიერი შალვა ამირანაშვილი. ახალაზრდა კაცი ბატონ ექვთიმეს ინფორმაციას აწვდიდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ წარმატებული აღმოჩნდა რუსეთიდან, ჯერ კიდეთ ცარიზმის დროს უკანონოდ გატანილი საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების, საარქივო დოკუმენტებისა და სხვა სიძველეების უკან, სამშობლოში დაბრუნება. ის მოუთხრობდა მხცოვან მეცნიერს თავის შეხვედრაზე იოსებ სტალინთან, აბელ ენუქიძესა და ალიოშა სვანიძესთან, რომლებმაც (განსაკუთრებით იოსებ სტა-

ლინმა) გამორჩეული როლი შეასრულეს ქართული სიძველეების საქართველოში უკან დაბრუნების საქმეში, რადგან რუს „ჩინოვნიკებს“ სამუზეუმო სამსახურებიდან ძალიან არ სურდათ ამ უნიკალური არტეფაქტების ხელიდან გაშვება (შ. ამირანაშვილი, 5).

როგორც ჩანს, ამ ინფორმაციამ ექვთიმე თაყაიშვილი ძლიერ გაახარა და, როგორც შ. ამირანაშვილი აღნიშნავს: „ე. თაყაიშვილი გულწრფელად იყო აღფრთოვანებული საბჭოთა მთავრობის დიდი ყურადღებით ქართველი ერისადმი. მან დამატებით მაცნობა საბჭოთა კავშირის რომელ ცენტრებში ინახებოდა კიდევ საქართველოს სიძველეები“ (ამირანაშვილი, 7).

ამის შემდეგ ე. თაყაიშვილის ინტენსიური კავშირი საბჭოთა სტრუქტურებთან წყდება და მხოლოდ 1935 წლის 9 აპრილს, ექვთიმე პარიზიდან წერილს უგზავნის საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსს ვუკოლ ბერიძეს. წერილის შინაარსი და ის, რომ გამოგზავნილია 1935 წელს, მიანიშნებს, რომ ღვაწლმოსილ მეცნიერს გადაეწურა ყოველგვარი იმედი ქართული ემიგრაციის ხელმძღვანელების დახმარებით ეროვნული განძის გადარჩენისა და იძულებული გახდა თხოვნით მიემართა საბჭოთა ოფიციალური სტრუქტურებისათვის. წერილში გადმოცემულია ეროვნული განძის გადარჩენისათვის გაწეული მისი ტიტანური საქმიანობა, რომელიც ფაქტობრივად კრახით დასრულდა. წერილში ექვთიმე ხაზგასმით მიანიშნებს თავის ოფიციალურ დანიშნულებაზე: „ჩემი მეთვალყურეობა ამდენ ხანს იმაში გამოიხატებოდა, რომ იმ ყუთებისათვის (იგულისხმება ეროვნული განძის შესანახი ყუთები – ა.დ.) არავის ხელი არ ეხლო და არც უხლიათ, მანამ საფრანგეთის მთავრობის მოხელეს არ ჩააბარეს ყუთები, ამას მარსელის ბანკის გამგეობა დაამტკიცებს“ (ამირანაშვილი, 8).

სასოწარკვეთილი „მეჭურჭლეთუხუცესი“ საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურებს ატყობინებდა: „ახლა მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა, ნივთები უპატრონოდ არის გამოცხადებული. მე აღარ მაქვს საშუალება და უფლება ნივთების დაცვასა და ჯეროვნად შენახვას მეთვალყურეობა გავუწიო, ნებაც რომ მქონდეს, ფიზიკური მდგომარეობა არ მაძლევს ამის საშუალებას, მოვხუცდი...“ (თაყაიშვილი, 190).

რა თქმა უნდა, ამ წერილის გამოგზავნას ობიექტური მიზეზები ჰქონდა – ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საფრანგეთის ხელმძღვანელობამ რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი და კურსი აიღო დაახლოებაზე. სტალინის ხელისუფლებაც, წინააღმდეგ ადრე არსებული სტერეოტიპებისა, წავიდა იმპერიალისტურ საფრანგეთთან კავშირის განმტკიცებაზე, დაიდო ორმხრივ საინტერესო ხელშეკრულებების პაკეტი, რამაც ექვთიმეს გაუჩინა იმედი, რომ საბჭოთა ხელისუფლება მოაგვარებდა ქართველი ერისათვის მეტად საჭირო ამ საქმეს.

მაგრამ საფრანგეთში მოვლენები კალეიდოსკოპივით იცვლებოდა, სახალხო ფრონტის მთავრობას სწრაფად ცვლიდა კონსერვატორების ხელისუფლება, მათ რადიკალები ენაცვლებოდნენ – საფრანგეთში პოლიტიკური გაურკვევლობა დუნკერკის კატასტროფით დამთავრდა, რომლის შემდეგ საფრანგეთის ძირითადი ნაწილი უკვე გერმანიის მიერ იყო ოკუპირებული.

1935-1944 წლების პერიოდში ქართული ეროვნული განძეულის დრამატული ისტორია ჩინებულად აქვს აღწერილი ცნობილ ქართველ მეცნიერს გივი ჟორდანიას თავის გახმაურებულ წიგნში და ჩვენ ამ საკითხებზე ყურადღებას არ გავამახვილებთ. ფაქტობრივად, ყველა მკვლევარი – გივი ჟორდანია, შალვა ამირანაშვილი აღიარებენ, რომ ქართული ეროვნული განძეულობა (მისი ძირითადი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილი) საფრანგეთში მოქმედი კანონების ძალით უკვე დაკარგული იყო საქართველოსათვის და მას ფრანგი მოხელეები თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ საფრანგეთის მუზეუმებისათვის.

როგორც შალვა ამირანაშვილი იგონებს, 1944 წლის 22 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მორიგ სესიაზე ყოფნისას, მოსკოვში, მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარსტიის გენერალური მდივანს ი. ბ. სტალინს. ბარათში ის თხოვდა დახმარებას 1921 წელს საქართველოდან გატანილი ეროვნული განძეულობის საქართველოში უკან დაბრუნების საქმეში.

როგორც ჩანს, წერილი ადრესატამდე მივიდა, რადგან ნოემბერში შალვა ამირანაშვილს ოფიციალურად დაავალეს მომზადებულიყო საფრანგეთში ქართული განძეულის აღსაწერად და მისაღებად.

როგორც ირკვევა, მზადდებოდა საფრანგეთის ახალი მთავრობის მეთაურის შარლ დე გოლის მოსკოვში ვიზიტი. ეს ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისთვის, რადგან საქმე ეხებოდა საფრანგეთის სრულუფლებიან წევრობას ანტიჰიტლერულ კოალიციაში, რასაც ეწინააღმდეგებოდა უ. ჩერჩილი. დე გოლს სტალინის მხარდაჭერა აუცილებლად სჭირდებოდა. როგორც შალვა ამირანაშვილი აღნიშნავს: „პირადი შეხვედროების დროს ი. სტალინი ესაუბრა გენერალ დე გოლს საფრანგეთში

დაცული განძეულობის შესახებ და მისგან დაპირება მიიღო ქონების დაბრუნების შესახებ“ (ამირანაშვილი, 11–12).

რა საჭირო იყო ი. სტალინის პირადი თხოვნა? საქმე ის არის, რომ საფრანგეთის კანონებით განძეულობა უკვე საფრანგეთის რესპუბლიკის საკუთრებად ითვლებოდა და მხოლოდ კანონების დარღვევით შეიძლებოდა ამ საკითხის საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტა. თუ გავითვალისწინებთ რაოდენ დიდ სიმდიდრეზეა საუბარი, კარგად წარმოვიდგენთ, როგორ შეეცდებოდნენ ფრანგი ჩინოსნები არ დაერღვიათ ეს კანონები.

ამ შემთხვევაში პრაგმატიზმმა კვლავაც გაიმარჯვა. სტალინის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად დე გოლმა საფრანგეთის კანონების უხეშ დარღვევაზე თვალი დახუჭა და სხვებსაც ამის გაკეთება დაავალა, გადაწყდა – საფრანგეთში გატანილი ქართული განძეული მშობელ ქართველ ხალხს უნდა დაბრუნებოდა. დანარჩენი კი ოფიციალური ფორმალობების და ტექნიკური საკითხები იყო.

ამ ხნის განმავლობაში ექვთიმე საბჭოთა კავშირის პარიზის საკონსულოში ცხოვრობდა. ამის აუცილებლობა გამოიწვია იმან, რომ პარიზის საბჭოთა საელჩოს ხელმძღვანელობა: ელჩი ა. ბოგომოლოვი და კონსული ა. გუზოვსკი ექვთიმეს მიმართ განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდნენ. პროფ. გ. ჟორდანია ამტკიცებს: „ე. თაყიშვილის მთავარი მომვლელ-პატრონი იყო საბჭოთა გენერალური საკონსულო. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის გენერალური კონსულ ალექსანდრე გუზოვსკის მეუღლეს, რომლის მოვლა-პატრონობას დიდი მადლიერების გრძნობით იხსენებდა მოგვიანებით თვითონ ექვთიმე“ (ჟორდანია, 147).

საქმე ის არის, რომ ეროვნული განძის მისაღებად პარიზში ჩამოვიდნენ პ. შარია და შ. ამირანაშვილი. დაიწყო უაღრესად რთული და დამღლელი სამუშაო განძის აღსაწერად, რაშიც მხცოვანი ექვთიმეც იღებდა მონაწილეობას. ხანგძლივმა სამუშაომ ის გადაღალა და ჯანმრთელობა კიდევ უფრო შეურყია. იგი საკონსულოს შენობაში მოათავსეს, რადგან იმჟამად საფანგეთში ჯერ კიდევ ჭირდა ცხოვრება. საკონსულო კი შედარებით უკეთ უზრუნველყოფდა ექვთიმეს ცხოვრების პირობებით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიდ მამულიშვილს ტანსაცმელიც კი აღარ ჰქონდა, რაც მას უძნელებდა სამშობლოში დაბრუნების საკითხის დადებითად გადაწყვეტას. უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში საბჭოთა კავშირის ელჩმა ბოგომოლოვმა ექვთიმე თაყაიშვილის გარდერობის გასაახლებლად გამოჰყო 50 ათასი ფრანკი (ჟორდანია,155).

საბჭოთა დიპლომატების მიმართ კეთილგანწყობა ექვთიმემ იმით გამოხატა, რომ პარიზში მოწყობილ ბანკეტზე მათთვის წაიკითხა მოხსენება „სტალინი, როგორც საერთაშორისო დემოკრატიის ბელადი“ (ჟორდანია,154). მოხსენება ნახევარი საათი გაგრძელდა და მან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე.

საბჭოთა დიპლომატებისადმი პატივისცემა იგრძნობა ექვთიმეს მიერ 1946 წელს ა. ბოგომოლოვისადმი გაგზანილ პირად წერილშიც, სადაც იგი აღნიშნავს: „მოვალე ვარ, გამოვხატო ჩემი მადლობა ყველა თქვენი თანამშრომლისადმი, რომლებმაც გამოიჩინეს დიდი გულმოდგინება, პატიოსნად და სიყვარულით დაგვეხმარნენ ნივთების მიღებაში, გადაზიდვაში, შენახვასა და შეფუთვაში“ (ჟორდანია, 157).

განძის სამშობლოში დაბრუნების ყველა ტექნიკური, ორგანიზაციული და ფორმალური სამუშაოს შესრულების შემდეგ 1945 წლის აპრილში განძეული ჩაიტვირთა თვითმფრინავებში და 12 აპრილს ის უკვე თბილისში ჩამოიტანეს. ექვთიმე საოცრად ღელავდა და განიცდიდა, მას თვითმფრინავით არასოდეს უმოგზაურია და თანაც შიშობდა გზაში არაფერი დამემართოსო. როგორც შ. ამირანავილი იგონებს, ექვთიმეს მისთვის სიტყვა ჩამოურთმევია, რომ თუ კი მას გზაში რამე შეემთხვეოდა, აუცილებლად მისი ნეშტი სამშობლოში ჩამოეტანა.

მაგრამ ექვთიმემ ჩინებულად გადაიტანა მგზავრობა და სამშობლოში დაბრუნდა.

ჩვენ ამაოდ ვეძებეთ რაიმე ოფიციალურ ცნობას ან კორესპონდენციას მაინც გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე ეროვნული განძისა და ეთქვიმე თაყაიშვილის თბილისში დაბრუნების შესახებ. მეორე მსოფლიო ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, მართალია საბჭოთა ჯარები ბერლინში იყვნენ, მაგრამ გერმანია ჯერ არ იყო საბოლოოდ დამარცხებული, არ იყო ხელმოწერილი კაპიტულაციის აქტი. ამიტომაც იმ დროის საქართველოს ძირითადი გაზეთი მხოლოდ ოფიციალური ინფორმაციით არის დატვირთული. ის მხოლოდ საბჭოთა გამარჯვებების შესახებ აცნობებდა მკითხველს, ექვთიმე და ეროვნული განძი საერთოდ არც გახსენებიათ.

მაგრამ, როგორც დასტურდება, ექვთიმეს საქართველოში დიდებული მიღება მოუწყვეს. საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი მაშინ კანდიდ ჩარკვიანი იყო – განათლებული, ღრმად ერუდირებული პიროვნება, რომელმაც მეცნიერების ფასი იცოდა. ის ასე იგონებს ექვთიმეს თბილისში დაბრუნების ფაქტს: „ექვთიმე თაყაიშვილი ჩამოვიყვანეთ ომის დამთავრებამდე, 1945 წლის

გაზაფხულზე. ეს საკითხი უშუალოდ სტალინისაგან მომდინარეობდა... მე ვიცნობდი ექვთიმეს ნაშრომებს და ვიცოდი, თუ რას წარმოადგენდა ის ქართული მეცნიერებისა და კულტურისათვის. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ყოფილა... ექვიმე თაყაიშვილი ჩამოვიდა თუ არა, მე მივიღე ზომები, რომ კარგად მოგვეწყო. ჯერ ერთი, გამოვარკვიეთ, თუ ჰყავდა ნათესავები აქ. იყო მისი დის შვილი. ექვთიმემ დააყენა საკითხი, რომ ეცხოვრა მასთან ახლოს. მათ ისეთი ბინა არ ჰქონდათ, რომ ექვთიმე მიეღოთ და ერთად ეცხოვრათ. დავავალე თბილისის საბჭოს და მოახერხეს ისე, რომ გაათავისუფლეს ორი ოთახი ექვთიმეს დის ოჯახის გვერდით ისე, რომ შეეძლოთ ბინების გაერთიანება... ექვთიმეს სიარული უჭირდა, ბავშობიდან კოჭლობდა, ამიტომ მანქანა მივეცით მძღოლით“ (ჩარკვიანი, 105–106).

ეს მხოლოდ დასაწყისია. თუკი დეტალურად შევისწავლით ექვთიმე თაყაიშვილის პირად საქმეს, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივშია დაცული, კიდევ დამატებით ინფორმაციას აღმოვაჩეთ. ეს პირადი საქმე არ არის დიდი, მაგრამ მასში არის კადრების აღრიცხვის ფურცელი, სხვადასხვა დროს ექვთიმეს მიერ (არა მისი ხელით) შევსებული, მწირი, მაგრამ საყურადღებო ინფორმაცია და რიგი ოფიციალური დოკუმენტი, ბრძანებები, დადგენილებები ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ. ეს ყველაფერი ერთად გარკვეულ მოსაზრებებს ბადებს, გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, რაც საინტერესოა ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიისათვის.

1945 წლის 26 აპრილს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის ვ. კუპრაძის ბრძანებით, ე. თაყაიშვილი 1945 წლის 15 აპრილიდან დაინიშნა თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის პროფესორად თვეში 2000 მანეთი ხელფასით (არქივი, 11).

აქვეა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკად. ნ. მუსხელიშვილის პირადი წერილიც, რომელიც ე. თაყაიშვილს ატყობინებს, რომ ის 1946 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომის მიერ არჩეულია აკადემიის ნამდვილ წევრად (არქივი, 12). აქედან გამომდინარე – აკადემიკოსის სარგოთი და თანდართული პრივილეგიებით.

ეს ყველაფერი დაგვირგვინდა უმაღლესი საატესტაციო კომისიის 1949 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რომელმაც ექვთიმე თაყაიშვილს დაცვის გარეშე მიანიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება. გადაწყვეტილებას ხელს აწერდნენ „ვაკ“-ის თავმჯდომარე ს. კაფტანოვი და მდივანი – ი. გორშკოვი (არქივი, 12).

ყველა ზემომოტანილი დადგენილება, გადაწყვეტილება, ბრაძანება გარკვეულწილად ამყარებდა ექვთიმეს მატერიალურ შესაძლებლობებს და ის სარგებლობდა იმ სიკეთეებით, რასაც ფლობდა ომისშემდგომი პერიოდის საქართველოს ელიტარული ინტელიგენცია – მას ჰქონდა ბინა ქალაქის ცენტრში, ემსახურებოდა ავტომანქანა მძღოლით, ჰქონდა მაღალი სახელფასო ანაზღვაურება. გარკვეულწილად შემოქმედებითი შრომისთვის ჩინებული პირობები შეიქმნა.

ამანაც უზრუნველყო ექვთიმე თაყაიშვილის მეტად მაღალი შემოქმედებითი შედეგები საქართველოში დაბრუნების შემდეგ. ამას ის ვერ შეძლებდა, თუ კი მას ამის პირობებს არ შეუქნიდნენ, რადგან ღრმად მოხუც მეცნიერს უკვე გადაადგილებაც კი უჭირდა. როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკად. ნიკო კეცხოველი იგონებს, ექვთიმეს პირადად უთხოვია მისთვის ახალგაზრდა თანაშემწის შერჩევა და დანიშვნა, რომ თავისი მდიდარი აკადემიური მემკვიდრეობა წესრიგში მოეყვანა, დასაბეჭდად გაემზადებინა. ნ. კეცხოველი იგონებს: „ამ ამბავმა ფრიად შემაფიქრიანა, თანამშრომლის მონახვა ბევრისა შეიძლებოდა, მაგრამ საქმე ისაა რომ მრავალი პირობის გათვალისწინება იყო საჭირო. სახელდობრ: თანამშრომელი უნდა ყოფილიყო ღრმად განათლებული, იგი ჩახედული უნდა ყოფილიყო არა მარტო არქეოლოგიისა და ისტორიის საკითხებში, არამედ მთელ ჩვენს ცხოვრებაში, უნდა ყოფილიყო დინჯი, თავშეკავებული, რომ 90 წლის მოხუცის სურვილები დაეკმაყოფილებინა, მისი ნათქვამი წინასწარ გადაერჩია, ცხავში გაეტარებინა და ხალასი დაეტოვებინა. არც თავი დაეზოგა და არც დრო“ (თაყაიშვილი, 228).

ასეთ თანამშრომლად შეირჩა მომავალში ცნობილი არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე, რომელმაც, მართლაც ღირსეულად შეასრულა მამულიშვილური მოვალეობა. ის ერთგულად თანამშრომლობდა ექვთიმესთან და არამარტო სამეცნიერო საქმეებით იყო დაკავებული, არამედ ომისშემდგომი ყოფის პრობლემებსაც უგვარებდა, სწორედ მას ავალებდა ექვთიმე თავისი მატერიალური პრობლემების, გათბობისა თუ კვების გადაუდებელი საკითხების მოწესრიგებას.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბატონმა გიორგი ლომთათიძემ მეცნიერის სკრუპულოზურობით შემოინახა ექვთიმესთან სამეცნიერო მუშაობის თითქმის ყოველდღიური მატიანე, რომელიც მოგვიანებით ცალკე წიგნად გამოაქვეყნა. ამ წიგნში არის უზარმაზარი მასალა ექვთიმე თაყაიშვილის, როგორც მეცნიერისა და მოაზროვნის „სამზარეულოს“ გასაცნობად, არის მასალა მისი ყო-

ველდღიური ცხოვრების შესახებ – საინტერესო მოგონებები მის ოჯახში გამართულ წვეულობებზე, საინტერესო შეხვედრებზე და ა.შ.

სანამ კიდევ სიარული შეეძლო და მანქანა ემსახურებოდა, ექვთიმემ დაათვალიერა „სოციალისტური“ თბილისი, მოინახულა მისი შემოგარენი. ის აღფრთოვანებით წერდა: „პირდაპირ ზღაპრულად გარდაქმნილი და გამშვენებული დამხვდა თბილისი რომ ჩამოვედი. მარტო სტალინის სახელობის სანაპირო, მისივე სახელობის პარკი, ყოფილი თავისუფლების მოედანი (ქარვასლა რომ დაუნგრევიათ და გაუფართოვებიათ) და კომკავშირის ხეივანი რად ღირს? სანაპიროს ადგილას ხომ აშმორებული სანაგვე-წუმპეები დავტოვე, როცა მივდიოდი! მთაწმინდის თხემიდან გადმოხედვას არაფერი შეედრება! არსად მსოფლიოში ასეთი ლამაზი ქალაქი არ მოიძებნება, პარიზში არაფერი ამის მსგავსი არ არის...“ (თაყაიშვილი, 174).

ეს წლები, მისთვის მართლაც, საოცარი ნაყოფიერებით გამოირჩეოდა. როგორც გიორგი ლომთათიძე იგონებს: „რვა წელი, რომელიც ე. თაყაიშვილმა სამშობლოში გაატარა, უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა: ხანდაზმულობის მიუხედავად 1946 წლის შემდეგ სიკვდილამდე გამოქვეყნდა ე. თაყაიშვილის 16 ნაკვლევი, ორი ცალკე წიგნად გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ (სუმბატ დავითის ძის ქრონიკა (1949 წ.), Археологическая экспедиция 1917 года в южние провинции Грузии (1952 г.), ხოლო დანარჩენი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში, საქართველოს მუზეუმის მასალებში, ერთიც – გაზეთ „კომუნისტში“. ამის გარდა კიდევ 16 ნაშრომი, რომლებიც წარმოადგენს ან მისი ნაშრომების რუსულ ან ქართულ თარგმანს“ (თაყაიშვილი, 175).

ეს ჩამონათვალი საკმაოდ ინტენსიურ მუშაობაზე მიუთითებს, რაც საერთოდ დამახასიათებელი იყო ექვთიმე თაყაიშვილისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე. ეს გარემოება კი იმასაც მიანიშნებს, რომ გარკვეულწილად მოხდა ექვთიმეს ჩართვა საბჭოთა ცხოვრების რიტმში, მოხდა ინტეგრაცია ვითარებასთან, მოხდა შეგუება.

საქმე ის არის, რომ ექვთიმე საქართველოდან წავიდა 1921 წელს, სრულიად სხვა სამყაროდან, საკმაოდ დიდი დრო დაჰყო სარფანგეთში – დემოკრატიულ ქვეყანაში ტრადიციული დემოკრატიული ღირებულებებით, რომელიც მისთვისაც მსოფლმხედველობის საფუძველი იყო. ის კი დაბრუნდა ტოტალიტარულ საქართველოში, პიროვნების კულტის ზეობის ხანაში, საზოგადოებაში, სადაც ძალიან დიდი იყო კომფორმიზმის პროცენტი, შემგუებლობის ხარისხი, ზოგში – ბრმა რწმენა, ზოგში – თვალთმაქცური დამოკიდებულება რეჟიმისადმი. რა გავლენა მოახდინა ამან ექვთიმეზე, შეცვალა თუ არა ის. იძულებლი ხომ არ იყო კომპრომისზე წასულიყო?

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი სიბერე, კარჩაკეტილობა, მასთან ურთიერთობაში მყოფი პირების სიმცირე და მხოლოდ სამეცნიერო ცხოვრებით შემოფარგვლა მას ააცილებდა იმ ყველაფერს, რაც დაკავშირებული იყო ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მცხოვრები ადამიანებისათვის, განსაკუთრებით საკუთარი მსოფლმხედველობითი პრინციპებით გამორჩეული ადამიანებისათვის.

მოხდა თუ არა საბჭოთა ადაპტაციური ფაქტორების ზეგავლენა ექთიმეს მსოფლმხედველობაზე, ამის შესახებ ინფორმაციას მის მიერ შევსებული კადრების აღრიცხვის პირადი ფურცლები მიგვანიშნებენ. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს ფურცლები, ავტობიოგრაფიები და სხვა დოკუმენტები ახალგაზრდის ხელით არის შევსებული, მათ ყველას ხელს უშუალოდ ექვთიმე აწერდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ოფიციალურ დოკუმენტებსაც გიორგი ლომთათიძე ავსებდა, ექვთიმე კი მასში შესატან მასალას კარნახობდა. ნუ გამოვრიცხავთ, რომ გიორგი ლომთათიძე, საბჭოთა სისტემაში აღზრდილი კაცი, ოფიციალური დოკუმენტების შევსების დროს რაღაცას, ალბათ, ურჩევდა, რომ ღვაწლმოსილი მოხუცისათვის პრობლემები აეცილებინა.

რა გვაფიქრებინებს ამას?

კადრების აღრიცხვის სამი ფურცლიდან პირველში მითითებულია, რომ ექვთიმე ნაციონალურ-დემოკრატიული (ანუ ეროვნულდ-დემოკრატიული) პარტიის წევრი იყო 1918-1921 წლებში (არქივი, 57). მოგვიანებით, 1950 წლის 28 სექტემბერს შევსებულ კადრების აღრიცხვის პირად ფურცელში პარტიული კუთვნილება საერთოდ აღარ არის მითითებული (არქივი,35). კადრების აღრიცხვის ბოლო ფურცელში, რომელიც 1953 წლის 19 იანვარს, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე არის შევსებული, მითითებულია, რომ რევოლუციამდე ის იყო ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და რომ ის ოპოზიციაში იყო მენშევიკებთან (არქივი, 1). ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო განსხვავებები, აშკარად მიანიშნებს, რომ ექვთიმე ან თვითონ მიხვდა საბჭოთა სისტემის თავისებურებებს, პირობითობას და ა.შ.; ან ვინმემ ურჩია, რომ გარკვეულად შეეცვალა თავისი შეხედულებები და საბჭოთა სისტემისათვის უფრო მისაღები გაეხადა თავისი ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალი.

საქმე იმაშია, რომ საქართველოში დაბრუნების, დიდებული მიღების, ცხოვრების ოპტიმალური პირობების შექმნის შემდეგ, მე–20 ს. 50-იანი წლების დასაწყისში ვითარება საქართველოში მკვეთრად შეიცვალა. „მეგრელთა საქმისადმი“ გულგრილი დამოკიდებულების გამო საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი გადააყენეს და მის ადგილზე დამტკიცდა აკაკი მგელაძე, რომელმაც ენერგიულად დაიწყო საქართველოში „სოციალისტური კანონიერების“ აღდგენისათვის ბრძოლა. მის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე ხელმძღვანელობდა რუხაძე, ზედმეტად ეჭვიანი და, როგორც ამტკიცებენ, კარიერისტი პიროვნება. ის რამდენჯერმე შეხვდა სტალინს და არწმუნებდა, რომ საქართველოს „შენჯღრევა“ იყო საჭირო, თორემ ანტისოციალისტური ელემენტები გაძლიერდებოდნენ, გაღვივდებოდა მეგრული სეპარატიზმი, ნათლი-მირონობა და ა.შ. როგორც კანდიდ ჩარკვიანი ამტკიცებს, რუხაძე „საოცრად დაავადებული იყო მტრის გამჟღავნების რაღაც სენით და ყველგან მტერს ხედავდა. მიაჩნდა, რომ ყველა მტერია და საჭიროა მათი გამომჟღავნება, ძალიან მკაცრი ზომების მიღება (ჩარკვიანი, 100).

რატომ შევჩერდით ამ საკითხზე? საქმე ისაა, რომ სტალინის წინადადებით დაიწყო მოძრაობა საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების საქართველოში დასაბრუნებლად. პარიზის საბჭოთა საელჩოს მეორე მდივანს ილია თავაძეს ეს ამოცანა დაევალა და დაახლოებით 30 ემიგრანტი, მათ შორის ცნობილი სოციალისტ-ფედერალისტი სამსონ ფირცხალავაც, სამშობლოში დაბრუნდა. პირველ ხანებში მათ ცხოვრების გარკვეული პირობები შეექმნათ, მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ, როცა რუხაძემ დაიწყო „წმენდა“ და შემოწმებების კორიანეტელი, ისინი რეპრესიის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. შეიძლება ამ „ანტიემიგრაციულ“ ფსიქოზს დავუკავშიროთ ის უსამართლო დამოკიდებულება, რაც მხცოვანმა მეცნიერმა განიცადა, შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ 50-იანი წლებისათვის საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის დოკუმენტურად დადასტურდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელების აქტიური თანამშრომლობა ფაშისტური გერმანიის ლიდერებთან, რაც, რა თქმა უნდა, მკვეთრად უარყოფითად იქნებოდა შეფასებული და ექვთიმე, როგორც ამ პარტიის ყოფილი წევრი, გარკვეული დარტყმის ქვეშ აღმოჩნდებოდა. შეიძლება ამის გამო მოხდა ის, რომ ექვთიმე თაყაიშვილის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცლიდან გაქრა პარტიული კუთვნილებაზე რაიმე მინიშნება.

კანდიდ ჩარკვიანი ასე აღწერს ექვთიმესა და რუხაძის ურთიერთობას: „ჯერ ეს ერთი, მოუთხოვია, რომ ის მისულიყო შინაგან საქმეთა სამინისტროში. ეს მისთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, მაგრამ იმდენად ურცხვი იყო რუხაძე, რომ უთქვამს, მოვიდეს ჩემთანო...დაიწყო გამოძახება, შევიწროვება, მიუჩინა ვიღაც ინფორმატორები“ (ჩარკვიანი, 106).

ასეთი დამოკიდებულება, უდავოდ გულს მოუკლავდა მხცოვან მეცნიერს და რთულ ვითარებაში ჩააგდებდა. მიუხედავად კ. ჩარკვიანის მტკიცებისა, საქართველოს „კგბ“ არქივში (დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი) ე. თაყაიშვილზე სპეციალურად შექმნილი საქმე არ აღმოჩნდა. სავარაუდოა, რომ მის საქმეს ოფიციალურად მსვლელობა არ მიეცა და მხცოვანი მეცნიერი მხოლოდ საუბრისთვის დაიბარეს.

თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ის მაინც განაგრძობდა სამეცნიერო საქმიანობას, კონტაქტებს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობასთან. ჩანს, ურთიერთობამ რუხაძესთან არ მიიღო საბედისწერო ხასიათი. მაშინ სრულიად გაუგებარია ის, რომ ექვთიმე ავსებს კადრების აღრიცხვის პირად ფურცელს 1953 წლის 19 იანვარს და წერს თავის მოკლე, ორგვერდიან ავტობიოგრაფიას, რომელშიც კვლავ მიუთითებს „სტალინის უმაგალითო გამარჯვებამ 1945 წელს მომცა საშუალება დავბრუნებულიყავი საქართველოში და ეს განძეული ხელუხლებლივ უკან ჩამომეტანა. ჩვემი ღვაწლი დიდად შეაფასა საბჭოთა მთავრობამ და მომანიჭა უაღრესი პატივისცემა“.

როგორც ჩანს, ექვთიმე „ღვთიკაცმა“ შეუნდო მის მიმართ განხორციელებული დევნა და სიმკაცრე საბჭოთა ხელისუფლებას. ამ ავტობიოგრაფიის დაწერიდან რამდენიმე დღეში ექვთიმე თაყაიშვილი გარდაიცვალა. უდიდესია მისი დამსახურება ქართველი ერის, ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეში, ამიტომაც ასეთი დიდია პატივისცემა და დაფასება, რაც ქართველმა ხალხმა ასე უხვად დააბერტყა ამ მართლაც გამორჩეულ მამულიშვილს.

ამრიგად, დიდი ქართველი მამულიშვილის – ექვთიმე თაყაიშვილის ურთიერთობა საბჭოთა ხელისუფლებასთან არ იყო უღრუბლო – ექვთიმე უარყოფითად მოეკიდა საჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციას და სამშობლო დატოვა. მაგრამ საფრანგეთში, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, ეროვნული განძის გადარჩენის აუცილებლობამ მას გადააწყვეტინა ურთერთობა საბჭოთა ხელისუფლებასთან, რადგან უკვე იურიდიულად და ფაქტობრივადაც დაკარგული ეროვნული სიმდიდრე სამშობლოში დაბრუნებულიყო.

როგორც დოკუმენტურად დასტურდება, ი.სტალინის უშუალო მითითებით და გენერალი დე გოლის პირადი განკარგულებით, საქართველოს ეროვნული განძი, რომლის დაცვასა და პატრონობას მთელი ცხოვრება შესწირა ე. თაყაიშვილმა, სამშობლოში დაბრუნდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ამირანაშვილი შ., საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბილისი, 1968
2. თაყაიშვილი ე., მოგონებები, თბილისი, „მნათობი“, 1959 წ. №8,
3. თაყაიშვილი ე., თბილისი, 2004
4. ჟორდანია, გ., დაბრუნებული საუნჯე, თბილისი,1983
5. მეტრეველი რ. ბადრიძე შ., ხელოვნების ისტორიის საინტერესო დოკუმენტი. „საბჭოთა ხელოვნება“ , 4, 1967
6. საქართველოს მეცნიერებათპა ეროვნული აკადემიის არქივი, ე. თაყაიშვილის პირადი საქმე.
7. ჩარკვიანი გ., ინტერვიუ მამასთან, თბილისი, 2013.

ალ. დაუშვილი

ექვთიმე თაყაიშვილი და საბჭოთა ხელისუფლება

რეზიუმე

დიდი ქართველი მამულიშვილის – ექვთიმე თაყაიშვილის ურთიერთობა საბჭოთა ხელისუფლებასთან არ იყო უღრუბლო – ექვთიმე უარყოფითად მოეკიდა საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს ოკუპაციას და სამშობლო დატოვა.

მაგრამ საფრანგეთში, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, ეროვნული განძის გადარჩენის აუცილებლობამ მას გადააწყვეტინა ურთიერთობა საბჭოთა ხელისუფლებასთან, რადგან უკვე იურიდიულად და ფაქტობრივადაც დაკარგული ეროვნული სიმდიდრე სამშობლოში დაბრუნებულიყო.

როგორც დოკუმენტურად დასტურდება, ი.სტალინის უშუალო მითითებით და გენერალი დე გოლის პირადი განკარგულებით საქართველოს ეროვნული განძი, რომლის დაცვასა და პატრონობას მთელი ცხოვრება შესწირა ე. თაყაიშვილმა, სამშობლოში დაბრუნდა.

Al. Daushvili

Ekvtime Takasivhili and the Soviet Authority
Summary

The relationship of a Great Georgian patriot – Ekvtime Takaishvili with the Soviet Authority was not cloudless – Ekvtime had a negative attitude towards the Soviet Russia for Georgia’s occupation and he left the country.

But in France, at some stage of his life, for the necessity of protecting the national treasure, he had to have some relationship with the Soviet Authority. He wished to return to his native country which was de facto and de jure lost.

As it is proved by documentation, by the personal reference of I. Stalin and the personal ordinance of General de Gaulle, the national treasure of Georgia, protection and patronage of which was the aim of Ekvtime Takaishvili for his entire life, was returned to the homeland.

მ. კალანდარიშვილი

დაუსრულებელი გზის პრიზმაში
(ეძღვნება თენგიზ ბუაჩიძის დაბადებიდან 90 წლისთავს)

დრო ულმობლად მიქრის. ჟამთა სვლას ვერაფერი შეაჩერებს. ცხოვრების მდინარე თავის კალაპოტში მოედინება, ჩვენ კი მორჩილად მივყვებით ამ დინებას. ამ გზაზე უამრავი ადამიანი გვხდება, მაგრამ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჩვენი მეგზურობა მხოლოდ ზოგიერთის ხვედრია. ისინი ცის კაბადონზე მოციმციმე ვარსკვლავივით მუდამ თან გვსდევენ. ჩვენ მათ ურიცხვ მნათობთა შორის გამოვარჩევთ და ბედნიერების ან სასოწარკვეთის წუთებში რჩევისთვის მივმართავთ. უცნაურია, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს რჩევა თავისთავად მოდის კოსმოსიდან.

ასეთ მოციმციმე ვარსკლავად მომევლინა ჩემი ცხოვრების ცის კაბადონზე ბატონი თენგიზ ბუაჩიძე. მან ერთხელ ბრძანა — რა ტევადი სიტყვაა ქართულში „გარდაიცვალა“ -კი არ მოკვდა, არამედ შეიცვალა, სხვა განზომილებაში გადავიდა. მართლაც ასეა — ჩვენ მუდმივად ვგრძნობთ ჩვენთვის ძვირფას ადამიანთა სულების არსებობას და ვესათუთებით მათ ხსოვნას .

ეს სტატია ეძღვნება ჩემი მასწავლებლის, თენგიზ ბუაჩიძის ხსოვნას. ის ჩემი ცხოვრების მასწავლებელიც გახლდათ — ნამდვილი გურუ და გზის გამკვალავი, რომელიც გეხმარება სწორი არჩევანის გაკეთებაში. თავს დაბლა ვხრი დიდი მოწიწებით და პატივისცემით მისი პიროვნების წინაშე. ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.

თენგიზ ბუაჩიძის რომანი „გზა ბავშვობისკენ“ არის რომანი-კვლევა, პიროვნებად ჩამოყალიბების გამოცდილების ჩვენება. აქ წამოჭრილია პერსონაჟთა მსოფლმხედველობის ცვალებადობისა და სიმწიფის, დიალექტიკის პრობლემა, სადაც დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გასულ მოზარდებს ომის სახით დიდი საფრთხე ემუქრებოდა.

ომზე დაწერილი სიუჟეტები თანდათან კარგავს აქტუალობას, მაგრამ ამ პროცესში თენგიზ ბუაჩიძე მოგვევლინა, როგორც მნიშვნელოვანი პერსონა, რომელმაც შეძლო თავი მოეყარა უფროსი თაობის თანამოკალმეთა შემოქმედებაში არსებული ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტისთვის. მისი ტალანტის ერთ-ერთი გამოვლინებაა ისიც, რომ მას აქვს სწორი კრიტიციზმი და მჭიდრო კავშირი სიცოცხლესთან. თავისი რომანით ის თითქოს და ქმნის საკუთარ ვერსიას — თავისებურ მოდელს, ბავშვური გულუბრყვილობით სჯერა სიკეთის, პროგრესის. აქ იგრძნობა სასოწარკვეთისა და იმედის, ნგრევისა და შენების გაუთავებელი ჭიდილი.

რომანში წამოჭრილ მთავარ პრობლემას წარმოდგენს ნაწარმოების გმირთა ლამაზი სულიერი სამყაროს დაპირისპირება რეალურ ცხოვრებისეულ ნორმებთან, რომელშიც მათ მოუწევთ არსებობა.

თ. ბუაჩიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია არსებული სინამდვილის განცდა და ფილოსოფიური წვდომა. ომის მძიმე წლების მძაფრი შეგრძნება ავტორს განაწყობს უფრო ღრმად გაითავისოს თავისი ხალხის ისტორია, ეძიოს მასში პასუხი თანამედროვეობის მწვავე კითხვებზე. ეს ომი თ .ბუაჩიძის პროზის ურთულესი თემაა, მისი ხალხის საშინელი განსაცდელი, რომელმაც, ამავე დროს, აჩვენა მისი სიმტკიცე და სიცოცხლისუნარიანობა. ავტორმა შეძლო გმირთა რომანტიულ აზროვნებაში გადმოეცა საზოგადოებრივ — ისტორიული ძვრების პროექცია, ადამიანი წარმოეჩინა, როგორც რეალური სინამდვილის მოვლენა და ამავდროულად იდეალის პოზიციიდან შეეფასებინა მისი მოღვაწეობა.

ჩვენს ყოფა — ცხოვრებას ჩვენივე მორალური შეხედულებები და იდეალები განაპირობებენ. ავტორმა საკუთარი შემეცნების პრიზმაში გააშუქა თავისი გმირები. ომი ამჟღავნებს ადამიანის ბუნების მრავალწახნაგობას, ხელს უწყობს მისი ნეგატიური და პოზიტიური მხარეების გამოვლენას. ადამიანის ხასიათის ეს თვისებები დიდებულად წარმოაჩინა თ. ბუაჩიძემ თავის პერსონაჟებში, რომლებიც ორ კატეგორიად დაყო: კეთილსინდისიერ, პატიოსან, თავგანწირულ და შინაგანად სუფთა ადამიანებად, რომლებსაც დაუპირისპირა დემონური, გამანადგურებელი თვისებების მატარებელი ადამიანები. უფროსი თაობა საუკეთესო მაგალითია შვილებისთვის — როგორ იცხოვრონ, რა არის აკრძალული და რა არა. მორალური კანონები აქ ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას. მაგალითად მოვიყვანოთ ელენე მიზანდარი -ცხოვრების ქარტეხილებმა ვერ მოახდინეს ზემოქმედება მის ნათელ გონებაზე. შინაგანი დაუშრეტელი რესურ-

სების წყალობით, მას ყოველთვის ძალუძს თვალი გაუსწოროს ნებისმიერ უბედურებას, ამაღლდეს ყველაზე გამოუვალ მდგომარეობაშიც კი. როგორი სიმკაცრით უარყოფს ის ექიმ ჯიშკარიანის გრძნობას მის მიმართ და ამით პატივს მიაგებს გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნას.

სრულიად სხვანაირად წარმოგვიდგება ის მომაკვდავი მარინას სარეცელთან — სადღაც გაქრა მისი სიამაყე, ის მზად არის გოგოს გადასარჩენად უარი თქვას თავის შეხედულებებზე და კომპრომისზე მიდის. ის დედაა, დედობრივი გრძნობა და სიყვარული კი უმთავრესია ავტორისთვის.

მარინას სიკვდილის შიშით გამოწვეული სასოწარკვეთა, შინაგანი ბრძოლა საკუთარ თავთან — ამ ეპიზოდში ავტორი ძალიან ზუსტად გადმოგვცემს დედის გრძნობებს ძვირფასი ადამიანის გადასარჩენად — ერთის მხრივ, დედობრივი მზრუნველობა და მოვალეობა, მეორეს მხრივ, ქალის მძიმე ხვედრი. თ. ბუაჩიძე აშკარად თანაუგრძნობს ელენეს.

ავტორი ოსტატურად აღწერს მარგარიტას ამაღლებულ პიროვნებას, ამხანაგი სიმონი კი წარმოჩენილია, როგორც უღმერთო, უსულგულო, დამსმენი ადამიანი, რომლის პროტოტიპები მრავლად იყო 37-იან წლებში. თ. ბუაჩიძე აღნიშნავს, რომ ამხანაგი სიმონის შინაგანი სამყარო დამახინჯებულია ძალაუფლების სიყვარულით, ეგოიზმით, კარიერისადმი უსაზღვრო ლტოლვით და ადამიანთა ღალატის პათოლოგიური ნიჭით. აქედან მოდის მისი ცინიზმი, სრული სულიერი სიმწირე — ის გაბოროტებულია და შურით უყურებს სხვათა ბედნიერებას. ამხანაგი სიმონი სულიერად გატყდა და დამარცხდა საკუთარ ეგოიზმთან და პატივმოყვარეობასთან ბრძოლაში.

თ. ბუაჩიძეს ბავშვობაში ჰქონდა განცდილი მსგავსი ადამიანების „მოღვაწეობის“ შედეგი, ამიტომაც, უდავოდ დიდი ოსტატობით ახერხებს გვაჩვენოს „ისტორიული ნაძირალას“ სახე.

მარგარიტასა და სიმონის ვაჟიშვილი — მარკლენი წინააღმდეგობრივი ხასიათით გამოირჩევა. ავტორი მუდმივად მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა მისი ზნეობრივი აღორძინება, რათა დამსმენი სიმონის ოჯახში უზნეობას დაუპირისპირდეს ზნეობრივი პიროვნება, როგორადაც შემდგომში ჩამოყალიბდა მარკლენი. ამაში მის გარემოცვას დიდი წვლილი მიუძღვნის. ესენია მარინა, დათო, ოთარი, ჩაბრია და ბავშვობის სხვა მეგობრები. მარკლენს დედისგან მოსდგამს კეთილშობილება. ის ცდილობს გამოისყიდოს მამის დანაშაული, ბოროტებას დაუპირისპიროს სიკეთე.

მარინა და დათო ავტორის მიერ შექმნილი ნათელი სახეებია. მარინას შევყავართ პერსონაჟთა ბავშვობის სამყაროში. მისი დღიურის ფურცლებიდან ვეცნობით ბავშვობიდან გამოსულ თანაკლასელებს, რომლებიც ვერ ასწრებენ დავაჟკაცებას. სტრიქონ-სტრიქონ მივყვებით ავტორს, რომელიც დღიურის ფურცლებიდან გვიზიარებს მარინას გრძნობებს. რა წმინდა და რა წრფელია მარინასა და დათოს სიყვარული, რომელიც შეუმჩნევლად აღმოცენდა და გაიზარდა. დათო მალავს თავის გრძნობებს, რომ უფრო თავისუფლად, შეუბოჭავად იმეგობროს მარინასთან. იქნებ თვითონ მარინა მიხვდეს, რა უკიდეგანო სიყვარული და ერთგულება დააქვს ყმაწვილს. თავის ასაკთან შედარებით ნაადრევად დაბრძენებულ ახალგაზრდა კაცს ომისდროინდელი ცხოვრების სიმძიმე აწევს მხრებზე. მუდამ სხვაზე მზრუნველ დათოს ხან მარინასათვის მიაქვს შეშა, ხან ფრონტის ჯარისკაცებისთვის ტანსაცმელი, ხანაც დაჭრილთა დასახმარებლად მიდის ჰოსპიტალში. ეს პერსონაჟი მუდამ დინამიკაშია, მუდამ საქმიანია; როგორი თავგანწირვით და ერთგულებით ეხმარება იგი მეეზოვე კაროს ოჯახს ხანძრისგან თავის დასაღწევად. ძალიან საინტერესოა თავად მეეზოვე კაროს პერსონაჟი — ისეთი გულუბრყვილო, მაგრამ გაუცნობიერებელი სიბრძნისა და კაცთმოყვარეობის მატარებელი.

ვაჟკაცური და მიზანდასახული დათო ძალიან მომხიბლავი პერსონაჟია. თ. ბუაჩიძე გამუდმებით ხაზგასმით აღნიშნავს მის მორალურ სილამაზეს, მის კეთილშობილებას. მისი სულის დაუცხრომელი ძალა, სიმტკიცე და გაბედულება არის მოსალოდნელ უბედურებასთან შერკინების და თავისუფლებისათვის ბრძოლის შედეგი. როგორც ავტორი აღნიშნავს, „უმწეო ბავშვობის წლების მოგონება მხოლოდ ტკივილს იწვევს და ძველ ჭრილობებს გვახსენებს.“ ჭრილობები კი უთვალავი იყო — მარინას დღიურის პირველი ფურცლიდან მოყოლებული მის ბოლო ამოსუნთქვამდე. ავტორი თავისი პერსონაჟის მეშვეობით გადმოგვცემს საკუთარ ფიქრებს და სურვილებს, სიბრძნეს და ფილოსოფიას, რომლითაც გაჟღენთილია დღიურის თითოეული სტრიქონი. ზოგჯერ მარინა მოზარდისთვის უჩვეულო სიბრძნით იწყებს განსჯას ყოფიერების არსზე, მაგრამ კითხვაზე პასუხს ვერ პოულობს და ცდილობს წარსულში, ბავშვობის ნათელ მოგონებებში ეძებოს ჭეშმარიტება.

მიდიან თვეები, წლები, პერსონაჟები იზრდებიან, იცვლება მათი მსოფლმხედველობა, დამოკიდებულება გარშემო მყოფთა მიმართ. ოდესღაც ახლობელი ადამიანები შორდებიან ერთმანეთს და პირიქით, სრულიად უცნობი, როსტოვიდან დევნილი ადამიანები, ნათესავებივით ახლობლები ხდებიან.

თ. ბუაჩიძისთვის არ არსებობდა არანაირი ნაციონალური ბარიერი, რადგან თავად იყო ღრმად ინტელიგენტური ბუნების ადამიანი და ადამიანს, როგორც პიროვნებას, აყენებდა ყველაფერზე მაღლა. ამიტომაც წერს ასეთი სიბრძნით და სიყვარულით ომის გამო საქართველოში გადმოხვეწილ რუსებზე, რომლებმაც ამ უცხო მხარეში ჰპოვეს თბილი კერა, მეგობრები, და უბრალოდ, ადამიანური სითბო.

ავტორი ძალიან კარგად იცნობს თავისი ქალაქის ისტორიას და ხატოვნად, დიდი ოსტატობით აღწერს ძველი თბილისის ვიწრო ქუჩებს, მასთან დაკავშირებულ ისტორიულ ეპიზოდებს — დაწვრილებით გვიყვება ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ფაქტზე, გალაკტიონისა და ბარათაშვილის პოეზიაზე, მსჯელობს რუსთაველზე და მიგვანიშნებს იმ დიდ საგანძურზე, რასაც ფლობს ჩვენი ხალხი.

„რუსთაველის პოეზია მზეს ჰგავს. ჩემთვის ეს არის ჩემი ხალხის, ჩემი ქვეყნის განსახიერება. იქნებ ეს აზრი პარადოქსულია, მაგრამ ერის პირმშომ გენიალურმა რუსთაველმა, თავის მხრივ, „შვა“ ჩვენი ერი“. ამ პატარა აბზაცში ჩატეულია თენგიზ ბუაჩიძის უდიდესი, უკიდეგანო სიყვარული თავისი ხალხისადმი.

დრო მიდის, გარბიან წლები და რომანის ფურცლებიდან თანდათან ქრებიან საყვარელი პერსონაჟები. ტრაგიკულად იღუპება სოფელში და-ძმის სანახავად წასული, საჩუქრებით დატვირთული ჩაბრია. იგი ვერ ჩააღწევს ბიძამისის სახლამდე, გზაში თოვლში გაიყინება.

თენგიზ ბუაჩიძე დიდი ოსტატობით აღწერს სოფლური ყოფის სურათებს, მიყრუებულ, თოვლით დაფარულ სოფელს. ჩაბრია სარდაფში ცხოვრობდა, იტანდა შიმშილსა და სიცივეს, უძლებდა გულგრილობას და გულქვაობას. ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოახერხა ბოლომდე გამოემჟღავნებინა თავისი ტალანტი.

ჩაბრიას მიყვნენ ზესტაფონელი ცქიტიშვილი და სამტრედიელი ახობაძე. რამდენი ასეთი ახალგაზრდა გაქრა უკვალოდ. დღიურის ჩანაწერები უფრო და უფრო მცირდება, დაავადება პროგრესირებს, ყველაფერი იცვლება. მხოლოდ საწყალი, დამთხვეული, ნახევრად შიშველი ეთერი დგას ფანჯრის გისოსებთან მუდამ რაღაცის მოლოდინში. როგორი თანაგრძნობით და სინაზით არის გამსჭვალული ავტორი ამ საცოდავი გოგონას მიმართ, როგორი ტკივილით აღწერს ის ავადმყოფი ეთერის მდგომარეობას, მის დაბინდულ გონებას, და უაზროდ ფართოდ გახელილ თვალებს .

თ. ბუაჩიძე თავისი პერსონაჟების შესაქმნელად ყოველ დეტალს და შტრიხს ითვალისწინებს. ავტორი სიღრმისეულად განიცდის თავის ეპოქას, უყვარს აწმყო და სწორედ ეს არის მისი შემოქმედების უტყუარი წინაპირობა. შესაძლოა, მისმა პატრიოტიზმმა განაპირობა ბავშვობის წლების ნოსტალგია, რამაც მიიყვანა სკოლისა და სამართლიანი პედაგოგების მოგონებამდე. სავარაუდოდ ამ მოგონებებმა დაბადეს სკოლის დირექტორის, გრიგოლ უგრეხელიძის პერსონაჟი.

პედაგოგი მოსწავლეებს მარადიულ ჭეშმარიტებას აზიარებს და ცდილობს აუხსნას, გზა გაუკვალოს მის შესაცნობად, მაგრამ მოსწავლის მიერ ჭეშმარიტების წვდომა მხოლოდ მასწავლებლის ავტორიტეტზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, მას თავად უნდა გაუჩნდეს ჭეშმარიტების აღქმის სურვილი და მასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი აზროვნება. მაგრამ ამჯერად სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე — აღფრთოვანებას იწვევს ის შეფასება, რასაც მოსწავლეები აძლევენ თავიანთი სკოლის დირექტორს. გასაკვირი არ არის, რომ ცხოვრებაში თენგიზ ბუაჩიძე თავად ცდილობდა გრიგოლ უგრეხელიძის პერსონაჟს დამსგავსებოდა.

ბავშვობისა და ომამდელი წლების ნოსტალგია, რომელსაც ავტორი გვაგრძნობინებს რომანის კითხვისას, ბოლოს თანდათან ქრება. მასში იმარჯვებს ყოფიერების მუდმივი ცვალებადობისა და თაობებს შორის თავისუფალი ურთიერთობის რწმენა. რომანი ტრაგიკულად მთავრდება, მიუხედავად დაძაბული მოლოდინისა. იღუპებიან საყვარელი გმირები, ახალგაზრდა, ნიჭიერი ვაჟები და ქალები, რომლებმაც სულ ახლახან შემოდგეს ფეხი ცხოვრებაში და ვერ მოასწრეს „ოქროს თევზის“ დაჭერა. ავტორი მრავალჯერ სვამს კითხვას „ოქროს თევზის“ შესახებ, მაგრამ არცერთხელ არ მიგვანიშნებს ვის ერგო იგი. „ჩვენ არ ვირჩევთ დროს, დრო თავად გვირჩევს ჩვენ„- ამბობს თ .ბუაჩიძე, და ეს დრო განკარგავს, თუ ვის ერგება „ოქროს თევზი“. ერთი რამ ნათელია, რომანის გმირებს არ ძალუძთ მისი მოპოვება. მიცვალებულთა სულების გამცილებელი ქარონი დაეხეტება რომანის გმირებს შორის, თანდათან ეუფლება მათ უმანკო

სულებს, რომლებმაც ვერ აიხდინეს საწადელი და ვერ მოესწრნენ ნანატრ გაზაფხულს- „გაზაფხულზე წავალ პარკში, გავივლი ცაცხვების ხეივანში, შევიგრძნობ მათ ტოტების შრიალს. ჩემი ცხოვრების სანუკვარ ოცნებას მხოლოდ მათ გავუზიარებ. მე დავჭკნები, მაგრამ ცაცხვები დიდხანს იცოცხლებენ, გაზაფხულზე აშრიალდებიან, მიესათუთებიან ჩემს უსასრულო სიზმარს და გაიზიარებენ ჩემს მარტოობას„

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1) ბუაჩიძე თ., გზა ბავშვობისაკენ. თბილისი, 1987.

მ. კალანდარიშვილი

დაუსრულებელი გზის პრიზმაში
(ეძღვნება თენგიზ ბუაჩიძის დაბადებიდან 90 წლისთავს)

რეზიუმე

თენგიზ ბუაჩიძის რომანი — „გზა ბავშვობაში“ არის პიროვნების ფორმირების ერთგვარი გამოცდილება. ავტორი წამოჭრის გმირების დიალექტიკის პრობლემას, მათ ცვლილებებსა და მსოფლმხედველობის სიმწიფეს, სადაც მოზარდები, რომლებიც ეხლა იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას ნაჩვენებია ომის პირისპირ. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო სიუჟეტი თანდათან ძველდება, სწორედ ამ პროცესში თენგიზ ბუაჩიძე გამოდის როგორც ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა. თავისი რომანის მეშვეობით, ის თითქოსდა ქმნის საკუთარ ვერსიას, თავისებურ მოდელს. აღიარებს იმედის ტრიუმფს, სჯერა პროგრესის. სამხედრო დროის მძაფრი შეგრძნება აიძულებს ავტორს განსაკუთრებული ვნებით ჩაუღრმავდეს თავისი ხალხის ისტორიას, მოიძიოს პასუხები თანამედროვეობის მწვავე საკითხებზე. ეს ომი არ არის თენგიზ ბუაჩიძის პროზის რთული გამოხატულება — ეს არის საშინელი განსაცდელი, რომელიც თავს დაატყდა მის ხალხს, მაგრამ ყოველივე ამან დაამტკიცა მისი სიცოცხლისუნარიანობა და გამძლეობა. ცალკეული გმირის სახის შესაქმნელად ავტორი ძერწავს თითოეულ დეტალს, ხაზს უსვამს თითქოსდა საკმაოდ უმნიშვნელო წვრილმანს. ბავშვობისა და ძველი, ომამდელი პერიოდის მონატრება , რომელსაც ის განიცდიდა მთელი რომანის განმავლობაში, თანდათან ქრება ფურცლებიდან, მოლოდინის საპირისპიროდ მას მკითხველი თანდათან მიჰყავს ტრაგიკულ დასასრულამდე და არ აძლევს თავის გმირებს ნანატრი გაზაფხულის შეხვედრის შესაძლებლობას.

M. Kalandarishvili

Through the Prism of an Endless Road

Summary

Tengiz Buachidze’s novel „Road in Childhood“ – is a kind of experience of personality formation. The author raises the problem of heroes’ dialectics, variability and maturity of their world, where the images of teenagers just entering into an independent life, are shown before the face of war. Although the military themes gradually begin to age, in this process Tengiz Buachidze appears as a very significant phenomenon. With his novel he creates as if his own version of an original model. Acknowledges the triumph of hope, believes in progress. A keen sense of wartime makes author a special passion to delve into the history of his people to look in their response to the urgent questions of our time. This war is not only a complex image of Tengiz Buachidze’s prose – this is a terrible trial his people has befallen to prove its vitality and endurance. To create a single image of the hero, the author describes every detail emphasizing even quite minor ones. Longing for his childhood and the old pre-war days which owned him throughout the novel is gradually disappearing from the pages, leads the reader contrary to expectations to a tragic end and not allowing his characters to meet the long-awaited spring.

M. KALANDARISHVILI

TO THE QUESTION OF SPIRITUAL DIGNITY AND WORLDLY LOVE

Incompatibility of religious and worldly life encountered by many protagonists of the novels of the 19 th and 20th century writers presents the topic of the following essay. Monks and nuns alike, in monasteries and convents, despite having taken a vow of chastity could not restrain themselves from worldly love thus incurring divine punishment. On the pages of the novels discussed below there appear characters doomed for the fall and sacrificing the lives of those unconditionally giving their love to them.

The Scarlet Letter is a historical novel by Nathaniel Hawthorne set in the middle of the 17th century Boston, Massachusetts, for that time the colonized territory thriving economically and socially, with strict puritan customs. Although the novel belongs to the historical genre hardly are there found historical episodes of the given period if at all. On the contrary, it is a depiction of the tragic love of two people, subject to the physical collapse and moral decline.

It is its characters moral life in all its hypostasis the novel is fully concentrated on and unfolds the plot. Although being puritan himself, the author finds this development of the plot more interesting than historical facts occurring around and while admiring stoicism, independence and love of freedom, Hawthorn fills indignation at fanaticism, cruelty and intolerance. Puritanism performs the main theme of the novel, as the characters: Hester, Dimmesdale and Chillingworth come to embody one or another moral quality.

The story of Hester and Dimmesdale is the main part of the simple plot not containing even the conventional love triangle so characteristic for classical novel, however, her long-lost husband's seeking revenge for her adulterous behaviour hovers in the air throughout the whole novel and until Hester's death. She represents the heroine committing and confessing the sin of adultery, which transforms Hester and shows the sense of pride and dignity of hers. On the other hand, Dimmesdale presents an idealist sinner, utterly lacking courageousness to stand up for a woman who he disgraced.

Strict puritan laws confine Hester with her young infant to a pillar of shame. Nevertheless, so strong is she spiritually that throughout her life never does she betray her sense and give out the name of a person, granted with honesty and dignity not only in Hester's but the whole community's mind, who will fail to show the same strength within himself and protect his beloved woman and his child, Pearl. Hester suffers the humiliation with no word of reproach thus deserving the sympathy and admiration of the members of the same traditional puritan community. She stands out as a willful person, independent in her thinking and actions, ready to bear a symbol of her sin and shame, the scarlet letter, and deserves the readers admiration and reverence.

Regarding Dimmesdale's personality, according to the author, he is devoutly religious, however, there is another, darker side to his character. After breaking a vow by indulging in the lusts of the flesh, Dimmesdale finds himself in dilemma of not leaving his duty to preach the virtue to the congregation and continues living a double life. How could these two totally different personalities of a sinner and a preacher coexist in one person? His faith and love of the flock deepened the wound and made him suffer more for the insincerity, but cowardice prevented him from admitting his transgression and left him watch in silence the unbearable suffering of his beloved woman and child, who found themselves exposed not only to the fury of the community but Hester's much older husband, Chillingworth, ready to expose the seducer by all means.

Chillingworth, feeling no remorse for his absence through all those years, resembles the demon razing to the ground everything to satisfy his vengeance. The feeling of fanaticism wrecks him like Dimmesdale, but him for revenge and the other for cowardice. Thus only the heroines, Hester and Pearl, present the cornerstone images in the novel. Hester transforms the scarlet letter into a symbol of genuine and unconditional love. She is presented not only as an infatuated woman but a devoted mother. Pearl is everywhere with her and is also related to the symbolising letter as Hester's offspring. Despite the others avoiding Pearl as a little demon, Hester cannot pay attention to the surrounding disgust as her child is the image of her love. Whether these two are accepted or not by the justifying society, she always responds with kindness and stands out in a pseudo religious society.

The theme of faith is central for Ethel Lilian Voynich in her novel The Gadfly. The main protagonist, Arthur Burton, is tragic through his endeavors to devote his life to the fight for Italy's independence. He firmly believes that only God can save the people, as Christ gave his life for them and stays in church together with his favorite padre Montanelli. Soon betrayed by padre Cardi by breaking the secret of confession, his dreams and illusions come to an end. However, his feeling of honesty and devotion never left him throughout the years of exile and after thirteen years he returns the same loving and warmhearted person as Gemma used to know

in their childhood.

The secret of paternity and religious fanaticism of Cardinal Montanelli on the one hand and Arthur's love to him and denial of the church, on the other hand, finalise in tragic ending. In spite of learning his son in Gadfly who refuses to negotiate with his conscience, Montanelli chooses to sentence him to death and is unable to avoid his own as well.

Young Abbe Mouret, the protagonist of the novel Abbe Mouret's Transgression by Emile Zola, chooses a small village Artaud in the south of France to seclude himself from the rest of the world. Here he soon finds the peace he was looking for and prays fervently for St. Mary. Mouret feels ill … and is sent by doctor Pascal to Paradou. Here he recovers thanks to Albine and her care. In the abandoned flourishing garden resembling heaven father Mouret comes to life and young couple fall in love. Unfortunately, Mouret is awakened by the call of the duty, he bitterly regrets his affection to Albine, leaves her and returns to his seclusion in the church. The ending of the story cannot be other than tragic. The victim again is a sincere feeling and Albine dies.

The Nun by Denis Diderot depicts the fate of young Suzanne Simonin, sent to the convent by her mother to hide her from the society as a child born out of marriage. Appearing in the confinement of the nunnery, Suzanne dreams of escaping the place, where rules are tailored in order to suit the ill desires of superiors. The first, de Moni, is reluctant about their solitary life. The second, sister Christine, cruel and inadequate, finds satisfaction in beating her dependents, young nuns and the third, could not refrain herself from sexually violating them. Suzanne became the victim of not only her family, but the whole social system defined by Catholicism

and her only true desire to evade taking a vow of chastity does not surprise us at all. The tragedy of the novel is that those presumed to set example of morality for the society, in effect, are shown in their full disgrace.

In The Crime of Father Amaro, Eca de Queiros uses at a glance far too often referred plot of the fall, however gives it an interesting course. Although grown in the surrounding of priests and nuns, preaching her love and fear of God and teaching Catechism, Amelia becomes blindly obsessed with a handsome young priest. She does not protest against Amaro's caprice from the very moment he appears in their house. His possessiveness is so masterly depicted by the author

that until the couple gets entangled in the maze of their relationship, the reader stays convinced in Amaro's honesty. However, he shows his real face when sends Amelia to the village and starts looking for a possible husband. He consciously makes a decision of killing their newborn child and leads Amelia to her death. In The Thorn Birds by Colleen McCullough the image of Maggie has become the protest against suppressing individuality by the authority of Catholicism.

Throughout the developing events we can see how Ralph ascends the hierarchical ladder and becomes cardinal Bricassart. In reality, though, he remains a usual mortal with all worldly desires and temptations to satisfy them. There are again two different persons in one protagonist; the first, vivid for everyone, who follows the strict etiquette of the church and the second, known only for Maggie. The author allows the reader to see the psychological portrait of the main characters on the thorny way of their life. At the same time she explores how understanding of

the idea of humanism is linked to the idea of „a sin“, as Ralph makes sacrifices with human being for the religious duty. Catholic understanding of love as a sin outweighs a more human notion of it in Ralph and he is to be punished according to the strict rules of his worship. He learns about the death of his only son years passed and dies himself leaving Maggie bereaved. Thus the whole novel is turned into an elegy of the lost feelings of its heroes.

We have seen actions of heroes and heroines so dramatically differing from each other, array of strong images of women with their deep love and devotion. These very feelings give them the strength to overcome the unbearable sufferings they went through. Hester and Maggie hold the secret of their children, Amelia and Albina do not lose the hope till the end of their life.

Montanelli, Dimmesdale, Ralph, Mouret and Amaro, try to hide behind their vow but appear to be similarly vulnerable towards the strong feeling as their beloved women. Unfortunately, their choice of the course of their action leads to the tragic ending of those characters who sacrificed their lives to them, thus leaving themselves the only way of repentance.

M. Kalandarishvili

To the Question of Spiritual Dignity and Worldly Love

Summary

The article discusses the history of the fall of clergymen based on the materials of the individual literary works. Taking holy orders, renounced all earthly goods, many priests transgressed the vow to the Lord. Cardinals Montanelli and Ralph de Brikassar, priest Dimsdale, abbots Moore and Amaro under the guise of spiritual dignity, even briefly felt themselves as Lords over souls of the parishioners. But transgressing the vow to God, under the fear of the highest

punishment soon repent and returned back under the church covering. Proof of inconsistency in their nature, is the fear of God and the tangle in their minds which are woven motifs worldly and the divine love which led them to sin. Committed sin weighed heavily on their souls that can only be thrown away by the repentance before God.

მ. კალანდარიშვილი

სამღვდელოებისა და მიწიერი სიყვარულის პრობლემის საკითხისთვის

რეზიუმე

სტატიაში ცალკეულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა მასალებზე დაყრდნობით განხილულია კულტის ზნედაცემულ მსახურთა ისტორია. მიიღეს რა სასულიერო წოდება და უარყვეს ყოველგვარი მიწიერი კეთილდღეობა, მრავალი ღვთისმსახური არღვევდა ღმერთისთვის მიცემულ აღთქმას. კარდინალები მონტანელი და რალფ დე ბრიკასარი, მღვდელი დიმსდეილი, წინამძღვრები მურე და ამარო, სამღვდელო წოდებას ამოფარებულნი, თუნდაც სულ ცოტა ხნით, თავს გრძნობდნენ მრევლის სულების მბრძანებლებად, მაგრამ დაარღვიეს რა ღმერთისთვის მიცემული აღთქმა, უმაღლესი სასჯელის შიშით მალევე ინანიებენ და ბრუნდებიან ეკლესიის მფარველობის ქვეშ. მათი ხასიათის ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედების დასტურს წარმოადგენს შიში ღმრთის წინაშე და მათ ცნობიერებაში არსებული არეული, აბურდული აზრები, რომელშიც ერთმანეთშია გადახლართული საერო და ღვთაებრივი სიყვარული, რომლებმაც ისინი ცოდვის ჩადენამდე მიიყვანა. ჩადენილი ცოდვა მძიმე ტვირთად აწვება მათ სულებს, რომლის მოშორებაც შესაძლებელია მხოლოდ მონანიებით ღმრთის წინაშე.

ნ. კაჭარავა

პროფესიული ეთიკის სტანდარტები და თანამედროვე ქართული მედია

„ორი რამ ავსებს ჩემს სულს საკვირველებით:
ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს თავზე
და მორალური კანონი ჩემში“
ემანუელ კანტი

მორალი და ზნეობა ინდივიდის და კულტურული საზოგადოების მამოძრავებელი ღერძია. საზოგადოება, რომელიც ზნეობრივი პრინციპებით არ ცხოვრობს, ვერ იქნება კულტურული. აქედან მომდინარეობს თანამედროვე ეპოქის მაქსიმა: „თუ გინდა იყო ადამიანი, უნდა იყო ზნეობრივი“.

თავდაპირველად საზოგადოების მორალური ურთიერთობების მნიშვნელობაზე არისტოტელემ ისაუბრა. ეთიკის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება ფილოსოფოსის ნაშრომ „ნიკომაქეს ეთიკა“-სთანაა დაკავშირებული. ძველად ეთიკას, ფილოსოფიის განუყოფელ ნაწილად აღიქვამდნენ, თანამედროვე მეცნიერები კი მას ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიასთან ერთად განიხილავენ.

სიტყვა „ეთიკა” შეიძლება განისაზღვროს, როგორც საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს შორის გარკვეული ყოფაქცევის ნორმები; იგი შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებრივი შეგნების ერთ-ერთ ფორმად, რომელიც ადამიანის ცნობიერებას გარკვეულ კანონებს უწესებს, ხოლო ამ კანონების შესრულება – არშესრულებას თავად ადამიანი წყვეტს.

ეთიკური, ზნეობრივი სფერო იმდენად ადამიანურია, რომ სოციალური ყოფიერების, მოქმედების, საქმიანობის ყველა მიმართულებას და სახეს მოიცავს. ზოგადად ეთიკა, ზოგადადამიანურია და ეხება ჟურნალისტსაც, პოლიტიკოსსაც, პედაგოგსაც, ექიმსაც. ნებისმიერი პროფესიის ადამიანის საქმიანობა ეთიკურ ასპექტებს უნდა ეყრდნობოდეს. პროფესიული ეთიკა გარკვეული ლიმიტი-ზღვარია, რომლის იქით არ უნდა გადახვიდე. პროფესიული ეთიკის კოდექსების საფუძველი ზოგადსაკაცობრიო ნორმებია, რომლის უმთავრესი მიზანი საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას ადამიანის უფლებათა დაცვაა. მათი გათვალისწინება ხელს უწყობს, როგორც თავად პროფესიის, ისე საზოგადოების განვითარებას, მისი ჰუმანური ღირებულებების განმტკიცებას.

დღეს, როდესაც მედია საზოგადოებაზე უდიდეს გავლენას ახდენს, ჟურნალისტიკა პროფესიული ეთიკის გარეშე რთული წარმოსადგენია. პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვა ნებისმიერ საქმიანობაშია აუცილებელი, მაგრამ ჟურნალისტიკაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან თუ ჟურნალისტი, მედია ორგანიზაცია ან ზოგადად მედია მორალურ-ზნეობრივ ნორმებს არ იცავს, ეს აუცილებლად აისახება საზოგადოებასა და მის განვითარებაზე.

ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა დაფუძნებულია ქცევისა და აკრძალვების გარკვეულ წესებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გახლავთ დაუწერელი კანონი, რომლის შესრულებას თავად პროფესიონალი წყვეტს. შესაბამისად, არაეთიკური ქცევა სამართლებრივად არ ისჯება, არ არსებობს ეთიკური ნორმების იურიდიული ფორმა კანონის სახით, რომელიც აღნიშნულ პრობლემას დაარეგულირებს. საინტერესოა რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ ჟურნალისტი დაარღვევს ეთიკის დაუწერელ კანონს? პასუხი მარტივია – ის დაკარგავს საზოგადოებისა და საკუთარი კოლეგების ნდობას.

ჟურნალისტისთვის და მედიასაშუალებისთვის სოციუმის ნდობის მოპოვება იოლი არ არის, მსოფლიოს ცნობილი მედიაბრენდები პირველ რიგში საზოგადოებაში მაღალი ნდობის ხარისხით ამაყობენ. მაგალითად, სი-ენ-ენის სლოგანი ასე ჟღერს: „სი-ენ-ენის ახალი ამბები ჩვენ გვენდობიან“, ბი-ბი-სის პრიორიტეტები კი შემდეგია: „ჩვენი მიზანია ვიყოთ მსოფლიოს ყველაზე შემოქმედებითი და სანდო ტელე-რადიო გადამცემი და პროგრამების შემქმნელი ორგანიზაცია. აგრეთვე, ვეძებოთ გზები, რათა დავაკმაყოფილოთ ჩვენი მაყურებელი საინფორმაციო, საგანმანათლებლო და გასარ- თობი პროგრამებით; შევავსოთ მათი ცხოვრება იმ გადაცემებით, რასაც მხოლოდ საინფორმაციო ბაზარი ვერ სწვდება. ჩვენი მიზანია საზოგადოების ინტერესებით ხელმძღვანელობა, გაერთიანებუ- ლი სამეფოს სიახლის მაძიებელი, ნიჭიერი ადამიანების წახალისება, დამოუკიდებელი მოქმედება სამართლიანობის სასარგებლოდ და უმაღლესი ეთიკური სტანდარტებისაკენ სწრაფვა” (BBC-ის სარედაქციო მნიშვნელობა, 23).

მიუკერძოებლობა, სიზუსტე, ხალხთა და კულტურათა შორის ღირსეული ურთიერთობების დამყარება, სარედაქციო დამოუკიდებლობა, საიდუმლოს დაცვა, გემოვნებისა და ზნეობის სტანდარტების გათვალისწინება, ბავშვებზე ზრუნვა, რესპონდენტის მიმართ სამართლიანი დამოკიდებულე-

ბა, აუდიტორიის მრავალფეროვნების გათვალისწინება, რაიმე კომერციული გარიგებების გამორიცხვა და საზოგადოების შინაგანი კულტურის განვითარება - ეს ბი-ბი-სის მთავარი ეთიკური ღირებულებებია. ბი-ბი-სი თავიდანვე საზოგადოებრივ მაუწყებლად ჩამოყალიბდა და დროთა განმავლობაში დახვეწა როგორც სამაუწყებლო სტრატეგია, ასევე შიდასარედაქციო ეთიკური კანონმდებლობა. მსოფლიოს ბევრი საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის, მათ შორის საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის, ბი-სი-ბი-ს ეთიკური კრიტერიუმები ერთგვარ საზომად და ორიენტირად იქცა. თუმცა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს სულ სხვა ისტორიულ ვითარებასა და პოლიტიკურ წყობაში მოუხდა და უხდება ჩამოყალიბება. შეიძლება ითქვას, რომ ერთი საკმაოდ განსხვავებული პლატფორმიდან, რასაც სახელმწიფო ტელევიზია ერქვა, მეორეზე – საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადასვლა არცთუ ისე მარტივი აღმოჩნდა. სახელმწიფო ტელევიზია – I არხს რეპუტაცია შერყეული ჰქონდა, სანდოობის ხარისხი საკმაოზე დაბალი; გარდა ამისა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან სხვა კონკურენტი არხებიც გაჩნდა.

ყველა მედიასაშუალება აღიარებს ბი-ბი-სის ეთიკური შინაგანაწესის სისწორეს და ამიტომაც თანამედროვე ქართული მედიის ეთიკური მხარე შეგვიძლია ბი-ბი-სის ეთიკური კანონმდებლობის ჭრილში განვიხილოთ. პირველ რიგში რამდენიმე აქტუალურ ასპექტზე შევჩერდეთ, ეს არის ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა, ფარული ჩანაწერების და გადაღებების წარმოება, ძალადობის კადრების ჩვენება, ნარკოტიკების, ალკოჰოლოზმის და ა.შ პროპაგანდა. ყურადღებას შევაჩერებთ ფარულ ვიდეო და აუდიო ჩანაწერებსა და სატელევიზიო ეთერში მათ ტირაჟირებაზე. დღეს საქართველოში დიდი რაოდენობით ფარულად გადაღებული მასალაა დაგროვილი. ვინაიდან მასალა ძირითადად ადამიანების პირად ცხოვრებას ეხება და მათი კანონიერებაც საეჭვოა, მის განადგურებაზე გამუდმებით მიმდინარეობს მსჯელობა. „ჟურნალისტი მოვალეა გამოიყენოს ინფორმაციის, ფოტომასალისა და დოკუმენტების მოპოვების მხოლოდ ღირსეული მეთოდები," – ვკითხულობთ ჟურნალისტთა ქცევის პრინციპების დეკლარაციაში.

გადაღება და მოსასმენი მოწყობილობის დამონტაჟება იკრძალება კერძო საკუთრების ტერიტორიაზე (სახლში, სასტუმროს ნომერში), დასაშვებია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ფარული საეჭვო ხერხებით მოპოვებული მასალები არალეგიტიმურია და მათი გამოქვეყნება იკრძალება.

როდესაც ბი-ბი-სის ფარულად ჩაწერილ მასალას სთავაზობენ, მოწმდება, რამდენად მიზანშეწონილად მიიჩნევს ბი-ბი-სი ამგვარი ჩანაწერის გამოყენებას. თუ მასალა მოპოვებულია ბი-ბი-სის ეთიკური წესების უგულებელყოფით, მაშინ მიღებული ინფორმაცია არ გადაიცემა.

ფარული ჩანაწერების გამოყენება გადაცემების დრამატიზების, პოლიტიკური და სხვადასახვა მიზნით არ უნდა ხდებოდეს. ამგვარი ჩანაწერის ნებართვას კომპანია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში იძლევა: სერიოზულ ანტისაზოგადოებრ თუ დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებული საკითხის დასადგენად; იმ მასალის მოსაპოვებლად, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის ისეთ ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი კანონი არ იცავს თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპებს ან სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის გადაცემის ავტორებს; სოციალური კვლევის ჩასატარებლად, თუ სხვა მეთოდებით აღნიშნული არ ხერხდება. ასეთ შემთხვევებში მოქმედებს შესაბამისი პირების ვინაობის დაფარვის პრაქტიკა; წმინდა გასართობი მიზნებისთვის, როდესაც საიდუმლო გადაღება გართობის არსებით ნაწილს წარმოადგენს, აუცილებელია ჩაწერის ობიექტის თანხმობა.

ბი-ბი-სის გადაცემის ავტორთა მიერ განხორციელებული საიდუმლო გადაღება წინასწარ უნდა იყოს ხელმძღვანელობის მიერ ნებადართული. საიდუმლო გადაღების ნებისმიერ შემთხვევაში შესაბამისმა განყოფილებამ უნდა აწარმოოს სრული აღრიცხვა: რამდენად მოხდა არსებული ნორმების დაცვა, ვინ გასცა ნებართვა ჩაწერის შესახებ და ა.შ. ამგვარი აღრიცხვა უნდა მოხდეს იმის მიუხედავად, გადაიცემა თუ არა გადაღებული მასალა ტელევიზიით. არხის ხელმძღვანელობა პასუხს აგებს ამგვარი აღრიცხვის წარმოებაზე, რითიც კომპანიას საშუალება ეძლევა თვალყური ადევნოს და შეისწავლოს ამგვარი მეთოდის გამოყენების მთელი პროცესი.

ბი-ბი-სი არასოდეს იწერს სატელეფონო საუბრებს სამაუწყებლო მიზნებისათვის, თუ არ აქვს საუბრის მონაწილე ერთი მხარის თანხმობა მაინც, გართიანებულ სამეფოში ეს კანონსაწინააღმდეგოა.

საქართველოს ტელევიზიების თითქმის უმრავლესობა გადასცემდა უკანონოდ გადაღებული ფარულ ჩანაწერებს, რომლებიც ასახავდა ადამიანთა პირად ცხოვრებას და ხშირად ისინი გადაღებული იყო კერძო საკუთრების ტერიტორიაზე, არცერთი ტელევიზია არ ითვალისწინებდა ეთიკურ კანონმდებლობას და ჟურნალისტების პირადი მორალური პასუხისმგებლობაც არ იყო სათანადო სიმაღლეზე.

"მნიშვნელოვანია არა ეთიკურობა, პროფესიონალიზმი და კარგად გაკეთებული გადაცემა, – წერს ლაშა ქავთარაძე , — არამედ რეიტინგი, რომელიც პირდაპირ კავშირშია რეკლამასთან და არხის შემოსავლებთან.".

ბი-ბი-სის ეთიკური კანონმდებლობით, ბი-ბი-სი პატივისცემით უნდა მოეკიდოს ყოველი პიროვნების კონფიდენციალურობის უფლებას. მისი ადამიანის ცხოვრებაში ჩარევა გამართლებულია, თუ ეს მხოლოდ და მხოლოდ კეთილ მიზანს ემსახურება. ადამიანის ქცევა, პირადი მიმოწერა თუ საუბრები არ უნდა გახდეს საზოგადოების განხილვის საგანი, თუ არ არსებობს აშკარა დაინტერესება საზოგადოების მხრიდან. მნიშვნელოვანია, რომ მუშაობისას ჟურნალისტი არ გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც პირის კონფიდენციალურობის უფლების დაცვასა და მისდამი სამართლიან მოპყრობას განაპირობებს.

განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო დამწუხრებული და სტრესის ქვეშ მყოფი ადამიანების გადაღებისას (მაგ. გადაღებები საავადმყოფოში, პანაშვიდზე). ამგვარი მასალის გადაცემა დასაშვებია, მხოლოდ ამ პირთა ან მათი სახელით მოქმედი ადამიანების თანხმობით. აღსანიშნავია კახეთში მცირეწლოვანი ბავშვის საიდუმლო მკვლელობის შესახებ გადაცემული მასალა, როდესაც ჟურნალისტები სტრესში მყოფ ადამიანებს სთხოვდნენ შეეფასებინათ შექმნილი უმძიმესი სიტუაცია და, ცხადია, ამ მდგომარეობაში მყოფი თვითმხილველების კომენტარების გადაცემა არაეთიკური საქციელი იყო.

დღესაც ბევრ კითხვას აჩენს ცნობილი ე.წ ციხის ძალადობის ამსახველი, თითქმის ყველა ტელევიზიის მიერ დემონსტრირებული კადრების ეთიკური მხარე. ასეთი კადრების ჩვენების დროს გასათვალისწინებელია: შეესაბამება თუ არა ძალადობის ფაქტი გადაცემის შინაარსს, რა გავლენას მოახდენს ძალადობის ეპიზოდები მაყურებელზე, რომელიც მათ პირველად უყურებს; რა ეფექტი ექნება ძალადობის ამსახველი მასალის შემცველი გადაცემების ერთმანეთის მიყოლებით ან განმეორებით ჩვენებას; საჭიროა გარკვეული დაბალანსება სინამდვილის ნახვის მოთხოვნასა და აუდიტორიის განწყობის გამძაფრებას შორის; საინფორმაციო გადაცემის ზოგიერთი ამბით გამოწვეული შოკი სინამდვილის სრულად აღქმის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. ბევრი მიიჩნევს, რაც მეტად დაიზაფრება მაყურებელი, თუ შემზარავი იქნება სინამდვილე საზოგადოება მეტად გააცნობიერებს ასახულ რეალობას. ასეთი მასალის გარკვეული ნაწილი შეიძლება შეიცავდეს არა იმდენად ძალადობის ფაქტებს, რამდენადაც მათი შედეგების ამსახველ კადრებს.

ე.წ. ციხის კადრების გადაცემის დროს დარღვეული იყო ეთიკური პრინციპები, ჩანდა მოძალადეთა სახეები, ხდებოდა მათი იდენტიფიცირება, არ იყო დაცული საეთერო დრო, კადრები მეორდებოდა დღეში რამდენჯერმე. საარქივო მასალების გამოყენებისას გადაცემების ავტორებმა არ უნდა მიმართონ სტერეოტიპების ხშირად გამეორებას. უმძიმესი ძალადობის აქტების ამსახველმა სცენებმა შეიძლება აუდიტორიის ზიზღი და სტრესი გამოიწვიოს, ცუდად იმოქმედოს მოზარდებზე.

სამწუხაროდ, საზოგადოებაში ხდება ისეთი მოვლენები, რომლებიც აუცილებლად გასაჯაროებას, საზოგადოებრივ რეაქციას, პრობლემის წარმოჩენას მოითხოვს. ცხადია, ასეთი შემთხვევები ყველასათვის ცნობილი უნდა გახდეს, მაგრამ მედიასაშუალებები მაქსიმალურად უნდა ეცადნონ არ გადაუხვიონ პროფესიული ეთიკის მთავარ პოსტულატს -„არ ავნო". ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პიროვნებას, ჟურნალისტური კვლევის ობიექტს. რესპონდენტთან ურთიერთობისას ჟურნალისტმა უნდა გამოავლინოს კორექტულობა, ტაქტი და თავშეკავებულობა, პატივი სცეს ადამიანთა უფლებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე. არ გამოაქვეყნოს მასალები ადამიანის პირად ცხოვრებაზე მათი თანხმობის გარეშე. გამონაკლისია, თუ პიროვნება ცნობილი პერსონაა და მისი პირადი ცხოვრება საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს. მისი ცხოვრების შელამაზება ან დამახინჯება რიგ უხერხულობას გამოიწვევს. პროფესიონალი ჟურნალისტი უნდა მოერიდოს მასალაში დამამცირებელი შენიშვნების გამოყენებას, რომლებიც შეურაცხყოფს გმირს. ცხადია, ნეგატიური ინფორმაცია უარყოფითად მოქმედებს ცალკეულ ადამიანებსა თუ მთელ საზოგადოებაზე. შესაძლოა, უარყოფითი ცნობების სიმრავლემ მასობრივი ან ინდივიდუალური დეპრესიაც გამოიწვიოს. განსაკუთრებით მძიმე და მწვავე ინფორმაციამ მართლაც შეიძლება მძიმე შედეგები გამოიღოს, მაგრამ მათ ასარიდებლად შეგვიძლია წინასწარ გავაფრთხილოთ აუდიტორია მოსალოდნელი შედეგების შესახებ, ამით თავიდან ავიცილებთ მოულოდნელობის ეფექტს. საზოგადოებას რეალური წარმოდგენა უნდა ჰქონდეს არსებული მდგომარეობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემა შეიძლება გაამწვავდეს და სავალალო შედეგები მოიტანოს.

საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია გასაშვები მასალის საეთერო დრო. ძალადობის, სექსისა და უბედურების ამსახველი სცენების, ასევე უხამსი გამონათქვამების ეთერში გაშვება დამოკიდებულია არამხოლოდ სარედაქციო თუ შინაარსობრივ ფაქტორებზე, არამედ საეთერო დროზე. განსა-

კუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ძალადობის ამსახველი მასალების გადაცემა საღამოს 9 საათამდე. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღეს უკვე შესაძლებელია საკაბელო მაუწყებლობით გადაცემების გადახვევის რეჟიმში ყურება, რაც ნებისმიერ გადაცემას ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომს ხდის მაყურებლისათვის, მათ შორის მოზარდებისთვისაც.

განვითარებულ ქვეყნებში ჟურნალისტები, საზოგადოება და ხელისუფლება თანხმდება, რომ ეთიკური ნორმების დაცვა სამივე მათგანის განვითარებას და წინსვლას ემსახურება. საქართველოშიც ამ მხრივ იდგმება გარკვეული ნაბიჯები. ეთიკური ნორმატივების არსებობა სულაც არ გულისხმობს მედიასაშუალებების საქმიანობის შეზღუდვას. სწორედ გარკვეული ნორმების დეფიციტი ართმევს მათ თავისუფალ ნებას და ხშირ შემთხვევაში უბრალო შემსრულებლად, იარაღად აქცევს.

მეტი თავისუფლება ყოველთვის მეტ პასუხისმგებლობას გულისხმობს. არადა, ჟურნალისტის პროფესია თავისთავად არის წინააღმდეგობრივი, ერთი მხრივ, ორიენტირებულია განსაკუთრებულ ამბავზე, გამონაკლის შემთხვევაში, სენსაციაზე; მეორე მხრივ, დაფუძნებულია ნდობაზე, რადგან როგორც საზოგადოების, ისე ხელისუფლების მხრიდან ნდობის გარეშე ჟურნალისტის საქმიანობა აზრსაც კარგავს და მნიშვნელობასაც.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბერტრანი კ. ჟ., „მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულებების სისტემები.“ თბილისი, 2008
2. “BBC“ – ის სარედაქციო მნიშვნელობა“, „არეტე“, თბილისი, 2007
3. ტელეჟურნალისტის პრაქტიკული სახელმძღვანელო „BBC World Trust“, ლონდონი. 2009
4. კორკოტაშვილი თ., მედიაკრიტიკა: სახელობითი შოუები საქართველოში. – http://www.ambebi.ge/sazogadoeba/130588-mediakritika-shouebi-saqarthveloshi.html

ხ. კაჭარავა

პროფესიული ეთიკის სტანდარტები და თანამედროვე ქართული მედია

რეზიუმე

ჟურნალისტიკა მრავალმხრივი პროფესიაა, იგი სხვადასხვა ასპექტის ფუნქციებსა და მოვალეობებს ითავსებს, ამავდროულად წარმართავს საზოგადოების აზრებს, მისწრაფებებსა და სურვილებს. მას, როგორც ერთგვარ იდეოლოგს, აუდიტორიის მართვის უდიდესი ბერკეტები აქვს, აქედან გამომდინარე, ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გააჩნიათ ამ უკანასკნელის წინაშე. სწორედ ამიტომ არის აქტუალური ჟურნალისტების მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში, სადაც მედიის გავლენა საზოგადოებაზე უდიდესია.

ეთიკური კანონების არსებობა ჟურნალისტების საქმიანობის გამჭვირვალობასა და მათ მიმართ ნდობას უზრუნველყოფს. ეს საკითხები ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო ინტერესს იწვევს, რადგან ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მომრავლდა ჟურნალისტიკაში არსებული ეთიკური დილემები, ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა, ფარული ჩანაწერების და გადაღებების წარმოება, ძალადობის კადრების ჩვენება, ნარკოტიკების, ალკოჰოლოზმის პროპაგანდა.

ქართულ მედიაში არსებული ეთიკური პრობლემები ბრიტანული საზოგადოებრივი მაუწყებლის ბი-ბი-სის მაგალითზეა განხილული, რადგან ბი-ბი-სი თავიდანვე საზოგადოებრივ მაუწყებლად ჩამოყალიბდა და დროთა განმავლობაში დახვეწა, როგორც სამაუწყებლო სტრატეგია ასევე შიდასარედაქციო ეთიკური კანონმდებლობა. მსოფლიოს ბევრი საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის, მათ შორის საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის ბი-ბი-სის ეთიკური კრიტერიუმები ერთგვარ საზომად და ორიენტირად იქცა.

ეთიკური ნორმების არსებობა ჟურნალისტებს ეხმარება განსაზღვრონ სად გადის ზღვარი საჯაროობასა და პირად ცხოვრებას შორის, რით უნდა იხელმძღვანელონ – სენსაციით თუ მშრალი ფაქტით, რას კარნახობს მათ ეთიკა ამგვარ სიტუაციებში. ასეთ შემთხვევებში ამოსავალი საზოგადოებრივი ინტერესია. მისი გათვალისწინებით უნდა იმუშაოს ჟურნალისტმა. ეს არ ნიშნავს სიმართლის დამალვას ან შელამაზებას, პირიქით, სწორედ პრობლემის რეალურად წარმოჩენით, ეთიკური ნორმების დაცვით არის შესაძლებელი პრობლემების გადაჭრა და ამ გზით პროგრესის, წინსვლის მიღწევა.

Kh. Kacharava

Standards Of Professional Ethics And Modern Georgian Media

Summary

Journalism is a synthetic profession. It comprises various functions and obligations. Meanwhile, it determines public opinion, intentions and desires. Journalism has the greatest levers for managing society. Consequently, journalists have special responsibility towards society. This is the reason why journalists should have thorough knowledge of the norms of professional ethics and have to follow them. Ethical norms make journalists' activities rather transparent and ensure reliance on them. These issues cause interest in our country as Georgia has been facing a lot of ethical dilemmas for the last years, such as: interference in an individual's personal life, candid camera, demonstrating violence, promoting drugs, alcohol, etc. The ethical problems existing in Georgian media are discussed on the example of BBC (British Broadcasting Corporation) as BCC was established as the Public Broadcaster. It gradually improved its broadcasting strategy as well as its own ethical regulations. Ethical criteria of BBC have become a kind of measure and key point for many public broadcasters of the world, Georgia is among them. Ethical norms help journalists to determine the border between publicity and private life, what is more significant – sensation or a simple fact, how to follow the ethics in such delicate situations. In such cases the main thing is society's interest. It does not imply hiding the truth or disguising it; just on the contrary, only demonstrating the problem and following the ethical norms one can solve the existing problems and achieve progress.

მ. კოღუაშვილი

„საკითხავი დრამის“ რეცეფციის საკითხისათვის მე-19 საუკუნის დასავლეთევროპული დრამის თეორიაში

მე-19 საუკუნეში დრამის პრობლემებთან დაკავშირებული უამრავი თეორიული შრომა იქმნება. ამის შესახებ წერდნენ რომანტიზმის თეორეტიკოსები გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში...

ლიტერატურული განვითარების ახალი გზების ძიება წარსულის გადაფასებას იწვევდა. საჭირო გახდა სხვადასხვა მიმართულებების პრინციპების შედარება-შეპირისპირება, ექსპერიმენტთა ჩატარება, ხელოვნების ამოცანათა კანონზომიერების დამტკიცება. ამით აიხსნება რომანტიზმის ეპოქაში თეორიული აზრის აყვავება, რომელიც სათავეს განმანათლებლობიდან იღებს.

აღნიშნული საკითხისადმი და ზოგადად დრამის თეორიისადმი რომანტიკოსების ასეთი დაინტერესება, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ ძველის ნგრევისა და ახლის დამკვიდრების პროცესში დრამა და თეატრი მთელს ევროპაში, გარკვეულწილად, კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

საგულისხმოა, რომ მე-19 საუკუნეში (განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში) დრამის ლიტერატურულ ღირებულებებს ხშირად სცენურზე უფრო მაღლა აყენებდნენ. კითხვა და არა თეატრში ასახვა — იმ დროის დრამის არსებობის ძირითად წესად მიიჩნეოდა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა გერმანული განმანათლებლობის უდიდესი წარმომადგენლის გოეთეს თეორიული შეხედულებანი.

უნდა აღინიშნოს, რომ თეატრისადმი გოეთეს უდიდესი სიყვარულის მიუხედავად, მას უფრო მეტად იზიდავს „საკითხავი დრამა“, (ე. წ. „Leserdrama”). ეკერმანთან საუბარში იგი ამ საკითხის შესახებ აღნიშნავს: „თეატრისათვის წერა – ეს მეტად თავისებური საქმეა და ვინც თეატრს არ იცნობს უწვრილმანეს დეტალებამდე, სჯობს ამ საქმეს ხელი არ მოკიდოს. ზოგიერთი ფიქრობს, თუ შინაარსი საინტერესოა, იგი სცენაზე წარმოდგენილიც ასეთივე იქნება: – არავითარ შემთხვევაში! პიესა შეიძლება არ იყოს ცუდი, როდესაც ვკითხულობთ და აზრობრივად წარმოვიდგენთ, მაგრამ სცენაზე იგი სრულიად სხვაგვარი იქნება და რაც ჩვენ კითხვის დროს აღგვაფრთოვანებდა, შეიძლება მან სრულიად გულგრილი დაგვტოვოს სცენაზე წარმოდგენის დროს. თეატრისათვის ნაწარმოების შექმნა, ეს განსაკუთრებული ხელობაა, რომელიც უნდა იცოდე და ამისთვის სპეციფიკური ნიჭი გქონდეს. ორივე ერთად ძალზედ იშვიათად გვხვდება და თუ ეს ორივე ერთად არ არის, მაშინ საეჭვოა, რომ რაიმე ღირებული შეიქმნას“ (Гёте, 582)

საგულისხმოა აღვნიშნოთ, რომ XIX საუკუნის დასაწყისში გერმანული ესთეტიკური აზროვნება და პირველ რიგში გოეთე სტატიაში „შექსპირი, რომელსაც არ აქვს ბოლო“, წინ წამოსწევს პარადოქსულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „შექსპირის ნაწარმოებები არ არის განკუთვნილი ადამიანის თვალებისათვის“.

ჯერ კიდევ 1813-1816 წლებში შექმნილ თავის ცნობილ სტატიაში — „Shakespeare und Kein Ende“, გოეთე მხატვრული ნაწარმოების შინაგანი ორგანული ფორმის კონცეფციას ავითარებს შექსპირის მაგალითზე. მისი აზრით, ეს არის ღრმა ზემოქმედება ადამიანის შინაგან სულიერ სამყაროზე, შექსპირისათვის გარეგნული საშუალებები არ არის არსებითი. მისი ნაწარმოებების შინაგანი გრძნობა ბევრად უფრო ღრმა და ნათელია. მისი შემოქმედება აპელირებულია მკითხველისა და მაყურებლის შინაგან გრძნობაზე და აცოცხლებს სახეთა სამყაროს ჩვენს წარმოსახვაში. გარეგნული მომენტების მიღმა შექსპირთან იფარება ცხოვრებისეული კანონების ღრმა ცოდნა. შექსპირის პერსონაჟები ზოგადსაკაცობრიო ნიშან-თვისებების მატარებლები არიან.

გოეთე შექსპირის პიესებს ახასიათებს, როგორც ყველაზე „დრამატულს“. საგულისხმოა, რომ გოეთესათვის შექსპირის პიესათა სცენურობა არ არის არსებითი. უწინარეს ყოვლისა, შექსპირი მისთვის არის პოეტი, რომელიც ადამიანის წარმოსახვას ავითარებს. ალბათ, ასევე პარადოქსულად ჟღერს გოეთეს აზრი, რომ შექსპირი მიეკუთვნება პოეზიის ისტორიას, ხოლო თეატრის ისტორიაში მხოლოდ შემთხვევით მონაწილეობს.

ამ გაგებით ინგლისელი რომანტიკოსები უცილობლად ახლო დგანან გერმანულ რომანტიკულ ესთეტიკასთან შექსპირის დრამატურგიის სცენურობის საკითხთან მიმართებაში. თეორიული აზრის აყვავებას ხელს ისიც უწყობდა, რომ 19 საუკუნეში ინგლისური თეატრისა და დრამის მდგომარეობა მეტად საეჭვალო იყო, რომელასაც მრავალი მიზეზი განაპირობებდა: მონოპოლიური თეატრები, საავტორო უფ-

ლებების შეზღუდვა, მაყურებლის გემოვნების დაქვეითება, თეატრალური ცენზურა, პოეტური დრამის წარმოშობა...

როგორც ა, ანიქსტი აღნიშნავს „რომანტიკოსთა დრამატურგიის კოსმიურად მასშტაბური ფილოსოფია მაღალპოეტური ფორმით იყო მოცული... მათ ნაწარმოებებში გრძნობის პოეზია ეხმარებოდა აზრის პოეზიას, არაიშვიათად დრამის ქმედითობის საზიანოდ“ (Аникст, 232). რომანტიზმის ეპოქის ბრწყინვალე წარმომადგენელთა მიერ დაწერილი ეს ნაწარმოებები, რომლებიც მნიშვნელოვანნი იყვნენ პრობლემატიკითა და მხატვრული ფორმით, ცოტაოდენი გამონაკლისების გარდა, იშვიათად იდგმებოდნენ და სცენაზე ვერ მკვიდრდებოდნენ.

რაიმონდ ჩაპმენის აზრით, „პოეტმა-რომანტიკოსებმა მოსინჯეს დრამატული ფორმა, მაგრამ ვერაფერი შექმნეს ღირებული, რაც თეატრალურ შესაძლებლობებს შეეფერებოდა“ (Chapman, 332). ჯორჯ როუელი რომანტიკოსთა წარუმატებლობას დრამატურგიის დარგში ხსნის იმით, რომ „მათ თეატრისა და სცენის კანონები არ იცოდნენ. ღრმა აზრებითა და გრძნობებით აღსავსე რომანტიკოსთა პიესებმა ვერ შეძლეს ინგლისური სცენის გამოცოცხლება“ (Raynolds, 38).

ჯორჯ სეინტსბერი აღნიშნავს: „წესისამებრ, მაღალმხატვრული ღირებულების პიესები ან საერთოდ არ იდგმებოდნენ სცენაზე, ან მაყურებელთა ყურადღებას არ იპყრობდნენ, პიესები კი, რომლებიც იდგმებოდნენ და წარმატებით სარგებლობდნენ, იშვიათად იყვნენ მხატვრულ ღირებულებათა მქონენი“ (Хализев, 235).

ბაირონიც თავის პიესებს პოეტურად და სცენურად ყოფდა. 1821 წ. 12 იანვარს ბაირონის ჩანაწერში ვნახულობთ: „ლონდონში ტრაგედია „მარინო ფალიეროს“ დადგმა უნდათ – ეს დიდი სისულელეა, რადგანაც იგი კითხვისთვის არის დაწერილი“ (Баирон, 159). ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ინგლისის თეატრი ძალიან დაბალ საფეხურზე იდგა და მაყურებელი გადაჩვეული იყო სერიოზულ ნაწარმოებთა აღქმას. ბაირონი კი ერიდებოდა ასეთი დონის თეატრებში მისი პიესების დადგმას.

მე-19 საუკუნის ცნობილი ინგლისელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბულვერ- ლიტონი აქტიურად იბრძოდა თეატრისა და დრამის აღორძინებისათვის. უნდა შევნიშნოთ, რომ ბაირონის პიესათა განხილვის დროს ბულვერი წერს „სარდანაპალის“ შესახებ, რომ ეს პიესა უფრო მეტად, ვიდრე ბაირონის სხვა ნაწარმოებები, გამოდგება სცენაზე წარმოდგენისათვის“ (Bulwer – Lytton E/ G, 301). ეს სრულებითაც არ არის შემთხვევითი. ბულვერ-ლიტონისთვის დრამატურგია მტკიცედ არის დაკავშირებული სცენასთან, პიესის ღირებულებები სწორედ თეატრში მოწმდება. ის ამ მხრივ განსხვავდება სხვა მწერალი რომანტიკოსებისაგან, რომლებიც მთავარ ყურადღებას პოეტური სიტყვის ძალაზე ამახვილებდნენ და უპირატესობას „საკითხავ დრამებს“ ანიჭებდნენ.

ჭეშმარიტი პოეზიის სიდიადის თაყვანისცემამ, ერთი მხრივ, და იმდროინდელი ინგლისური თეატრის დაბალმა დონემ, მეორეს მხრივ, მიიყვანეს ჩარლზ ლემი პარადოქსულ მტკიცებამდე, რომ შექსპირის ნაწარმოებების ჭეშმარიტ დედაარსში ჩაწვდომა მხოლოდ კითხვისას არის შესაძლებელი.

ყველაფერმა ამან ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინგლისური რომანტიზმის დრამატურგიის სცენურ ბედში. მართალია, ზოგიერთი პიესა დაიდგა, მაგრამ ინგლისელი რომანტიკოსების დრამებმა ფეხი ვერ მოიკიდეს სცენაზე. ინგლისელი რომანტიზმის გამოჩენილი პოეტების დრამატურგია „საკითხავი ლიტერატურის“ ძირითად მოვლენად იქცა.

ეს პერიოდი თეატრალური კრიტიკის აყვავების ხანაცაა და თუ ინგლისელმა რომანტიკოსებმა ვერ შექმნეს დრამის სისტემური თეორია, მათი ემპირიული მსჯელობანიც უცილობელ ინტერესს წარმოადგენს, სადაც ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს მსჯელობებს შექსპირის შესახებ.

საკმარისი იქნება გავიხსენოთ თუნდაც კოლრიჯის შრომები შექსპირზე, რომლითაც მან განაპირობა დიდი ინგლისელი დრამატურგის ახლებური გაგების დამკვიდრება. მის კონცეფციაში პოეტი და მხატვარი (შემოქმედი) ფიგურირებს როგორც ერთი მთლიანობა, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული გონება და გრძნობა. სწორედ ასეთი პოეტის ტიპია შექსპირი. კოლრიჯი ხაზს უსვამს მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს.

შექსპირის გონება, კოლრიჯის მტკიცებით უტოლდება მის პოეტურ ნიჭიერებას. კოლრიჯის გაგებით, რომანტიკული დრამა არამარტო ლექსად უნდა იყოს დაწერილი, არამედ უნდა იყოს პოეტური, ამ სიტყვის სიღრმისეული გაგებით. კოლრიჯამდე ასე ვერავინ აფასებდა შექსპირის დრამების პოეტურ მხა-

რეებს. მაგრამ კოლრიჯიც ამტკიცებდა, რომ შექსპირმა თავდაპირველად თავი გამოავლინა, როგორც პოეტმა და მხოლოდ ამის შემდეგ — როგორც დრამატურგმა.

აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჩ. ლემის მეტად ორიგინალურ მსჯელობებში ტრაგედიის წესახებ, რაც ასახვას პოვებს მის სტატიაში „შექსპირის ტრაგედიების შესახებ განხილულნი მათი სცენური განხორციელების შესაძლებლობის თვალსაზრისით“. ჩ. ლემი ავითარებს პარადოქსულ თეზისს: სხვა ყველა დანარჩენ დრამატურგებთან შედარებით, შექსპირის პიესები ნაკლებადაა გამიზნული სცენისათვის. იგი აღნიშნავს, რომ „ამის მიზეზი მათ განსაკუთრებულ ღირსებებში უნდა ვეძებოთ. მათში ძალიან ბევრი რამ არ შეიძლება მსახიობის თამაშით იქნას გადმოცემული და გამოიხატოს გამოხედვით, ინტონაციით ან ჟესტებით (Hutchinson, 127).

ჩ.ლემი არ უარყოფს იმას, რომ მასზე პირველი ნახვისთანავე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა სცენაზე განხორციელებულმა შექსპირის პიესებმა. განსაკუთრებით ახსენდება ის ღელვა, რაც გამოწვეული იყო სარა სიდონსის და ედმუნდ კინის თამაშით. თუმცა, ლემის აზრით, ეს მსახიობებიც კი ვერ ახერხებდნენ გადმოეცათ შექსპირის ტრაგედიების შინაარსი სრულყოფილად: „ის რაც ხდება ჰამლეტის თავს მისი ცხრა მეათედი არის ანგარიშები მასსა და მორალურ გრძნობას შორის, მისი ჩანაფიქრის გადმოდინება, რომლის გამოსახატავად იგი განმარტოვდება სასახლის ყველაზე მიმალულ კუნჭულებში, უფრო ზუსტად ეს მხოლოდ მისი უთქმელი მსჯელობანია, რომელიც განხორციელებულია სიტყვებში, რომ მკითხველი არ დარჩეს იმის ცოდნის გარეშე, თუ რა ხდება გმირის თავს. და ეს ღრმა მწუხარება და ეს განსჯანი, რომელიც უფრთხის შუქსა და სმენას, რომელთა წარმოთქმასაც უფრთხის ენა ყრუ კედლების გარემოცვაშიც კი — როგორ შეიძლება ყველაფერი ეს გადმოსცეს ჟესტიკულაციით აქტიორმა, რომელიც ხმამაღლა განმარტავს პუბლიკის წინაშე და თავის ერთგულად აქცევს ერთდროულად ოთხასს ადამიანს?“ (Hutchinson, 127).

ჩ. ლემისათვის აშკარაა, რომ თეატრის წყალობით ბევრი ადამიანი პირველად ეცნობა შექსპირს. „მე არ ვითხოვ იმას, რომ არ ითამაშონ ჰამლეტი, როცა მას თამაშობენ, აქტიორი ქმნის გმირის მხოლოდ გარეგნულ სახეს, ხმარობს ჟესტიკულაციას იმისათვის, რომ მიიპყროს ყურადღება იმისკენ, რასაც ლაპარაკობს. წარმოდგენის ეფექტი „იმაში კი არ არის თუ რას წარმოადგენს მოცემული ხასიათი, არამედ თუ როგორ გამოიყურება იგი, არა იმაში თუ რას ლაპარაკობს, არამედ როგორ ლაპარაკობს“ (Hutchinson, 129). ამიტომ თუ რომელიმე მეორეხარისხოვანი დრამატურგი დაწერს პიესას იგივე სიუჟეტზე და შეინარჩუნებს ფაბულას და პერსონაჟთა ქმედებებს, მაგრამ სრულიად გამორიცხავს შექსპირის პოეზიას, მაშინ თეატრალური წარმოდგენა იგივე შთაბეჭდილებას დატოვებს მაყურებელზე, როგორც შექსპირის პიესა.

ჩ.ლემი შექსპირის ტრაგედიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად თვლის პოეზიას. სწორედ შექსპირის დრამატურგიის ეს თვისება არ შეუძლია თეატრს განახორციელოს ღირსეულად. მისი აზრით,განსხვავებით შექსპირისაგან, სხვა დრამატურგებთან პიესები ისეა აგებული, რომ ინტერესი აღიძვრება დანაშაულით, რომელსაც სჩადის გმირი, მაშინ როცა შექსპირთან ბოროტი ქმედებები უფრო ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე გმირის სულის მოძრაობა. აი რა არის სინამდვილეში რეალური შექსპირის პიესებში. და აქვე ლემი კვლავ გამოთქვამს ეჭვს, თუ როგორ შეძლებს ამ ყველაფრის გამოხატვას მსახიობი თამაშით.

ამ აზრის დასადასტურებლად ჩ. ლემს ბევრი მაგალითი მოყავს , მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტი პოპულარობა მოიხვეჭა ტრაგედია „მეფე ლირის“ განხილვამ, სადაც ლემი მიდის პარადოქსულ დასკვნამდე: „არსებითად ლირის დადგმა სცენაზე შეუძლებელია მისი ვნებების აფეთქებები საშინელია, როგორც ვულკანის ამოფრქვევა.იგი ავლენს თავის სიძლიერეს, როგორც ქარიშხალი თავს ატყდება ადამიანების მანკიერებებს და ბოროტმოქმედებებს“ (Hutchinson, 137). მისი აზრით კი, ამის გადმოცემა არ შეუძლია არც ერთ სცენურ საშუალებას.

აქ საუბარია არამარტო პოეზიის და თეატრის ურთიერმიმართების შესახებ დრამატულ ნაწარმოებში, რაც ძალზედ არსებითია, არამედ პოეტური დრამის ბუნებაზე ზოგადად. რა თქმა უნდა, რასაც არაერთგზის აღნიშნავდნენ კრიტიკოსები, ჩ.ლემის კონცეფცია ბევრ რამეში განპირობებული იყო იმ დროის თეატრის მდგომარეობით. სხვა მიზეზებთან ერთად, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, თეტრის განვითარებას ხელს უშლიდა სხვა გარემოებებიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში შექსპირისეული თეატრის ცარიელი სცენა შეცვალა დეკორაციებმა, ის არასრულყოფილი იყო. ამავდროულად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ კორიფეს (ე. კინი, ს.სიდონსი), იმ დროს სამსახიობო ოსტატობა ძალ-

ზედ დაბალ დონეზე იდგა და ვერ აკმაყოფილებდა დრამის მაღალ მხატვრულ მოთხოვნებს. სწორედ ამის საფუძველზე წარმოიშვა იდეა იმის შესახებ, რომ შექსპირის ტრაგედიების ღრმა შინაარსს არ შეესაბამებოდა მათი სცენური განხორციელება.

კოლრიჯისა და უორდსუორთის ავტორობით შექმნილი ინგლისური რომანტიზმის პირველი მანიფესტიდან მოყოლებული, სულ უფრო მტკიცდება ხელოვნების გაგება, როგორც ადამიანის ცნობიერის და ქვეცნობიერის ღრმა მოძრაობების გამოხატვა, რაც არ ექვემდებარება რაციონალურ ანალიზს. გარეგნულის უარყოფა და წინა პლანზე ხელოვნების შინაგანი აზრის წამოწევა, რაც აგრერიგად დამახასიათებელია რომანტიკული ესთეტიკისათვის, ჩარლზ ლემთან მკვეთრად გამოხატულ სახეს იღებს. მისი სიტყვებით, ეს არამარტო შექსპირისეულ ტრაგედიებს, არამედ მის კომედიებსაც ეხება. იგი აღნიშნავს, რომ შექსპირის კომედიები მათი სცენური განხორციელების დროს ვერ აღწევს სათანადო გამომსახველობას, რადგან მათი სიღრმისეული აზრი არ შეიძლება გამოიხატოს სცენის გარეგნული საშუალებებით.

რომანტიზმის ეპოქის დრამატურგიის დიდი ნაწილი „საკითხავ დრამებად“, კითხვისათვის განკუთვნილ ნაწარმოებებად დარჩა და მან ინგლისის თეატრალურ ცხოვრებაში გარდატეხა ვერ მოახდინა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Гёте И. В. Об искусстве. Собр. соз. в тринадцати томах. Т.Х. М, 1937
2. Chapman R. The Victorian Debate. L, 1968
3. Аникст А. А. Теория драми на западе в первой половине 19-го века. Эпоха романтизма, М, 1980
4. Raynolds E. Early Victorian Drama (1830-1870), L, 1978
5. Хализев В. Е. Драма как явление искусства, М, 1978
6. Баирон Дж. Полное собр. Соч. Т.2., М, 1904
7. Bulwer – Lytton E/ G/, England and the English. L, 1834
8. Coleridge S. T. Shakespearean Criticism, L, 1960
9. Hutchinson T. The Works in prose and verse of Charles and Mary lamb. L, 1908
10. Гёте И. В. Об искусстве. М, 1975

მ. კოღუაშვილი

„საკითხავი დრამის“ რეცეფციის საკითხისათვის მე-19 საუკუნის დასავლეთევროპული დრამის თეორიაში

რეზიუმე

მე-19 საუკუნეში (განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში) დრამის ლიტერატურულ ღირებულებებს ხშირად სცენურზე უფრო მაღლა აყენებდნენ. კითხვა და არა თეატრში ასახვა — იმ დროის დრამის არსებობის ძირითად წესად მიიჩნეოდა. თეატრისადმი გოეთეს უდიდესი სიყვარულის მიუხედავად, მას უფრო მეტად იზიდავს საკითხავი დრამა (ე. წ. „Leserdrama”). პარადოქსულია, რომ გოეთესათვის შექსპირის პიესათა სცენურობა არ არის არსებითი.ინგლისელი რომანტიკოსები უცილობლად ახლო დგანან გერმანულ რომანტიკულ ესთეტიკასთან შექსპირის დრამატურგიის სცენურობის საკითხთან მიმართებაში (უ. კოლრიჯი, ჩ. ლემი).

რომანტიზმის ეპოქის დრამატურგია კითხვისათვის განკუთვნილ ნაწარმოებებად დარჩა და მან თეატრალურ ცხოვრებაში გარდატეხა ვერ მოახდინა.

M. Koguashvili

On the Reception of „ Closet Drama~(„Leserdrama~) in Nineteenth Century Western European Drama

Summary

The article deals with the reception of „leserdrama“ in the aesthetic thinking of English Romanticists. In particular, the article focuses on the interpretation the English Romanticists concerning the staging of Shakespeare in some of their theoretical works.

Based on the German and British thinkers the article analyses the reasons that form their paradoxical views concerning this issue. Also attention is paid to the issues of poetry and theatre, and especially specificity of the poetic drama genre.

It is noted that the 19-th century German aesthetic thinking, which came into England through Coleridge, became a new way of perceiving the deeper aesthetic grounds of Shakespear.

გ. კუტალაძე

ჰიპოთეზა გურგენისძეთა გვარის წარმომავლობის თაობაზე

მტკვრის კანიონში, სოფელ ნაქალაქევთან, ჯავახეთის ზეგნის ძირობზე გაშლილ შემრეცზე, იქ, სადაც გოგირდოვანი წყლის გამოსავალია, მიწის წიაღი კლდის მომცრო მასივს გაურღვევია, თითქოს, საგანგებოდ, საიმისოდ, რომ ადამიანის ხელს გაესრულებინა ბუნებისმიერი შემოქმედება.

ქარაფი და მასზე აზიდული ეკლესია, ურთიერთში დიდი ხელოვანებით შეძერწილი, ერთ მთლიანობას წარმოადგენს, ბუნებისა და კულტურის ერთობა-თანამშრომლობის დასრულებულ, საზეიმო კომპოზიციას. ამაღლებულ შთაბეჭდილებას კონტრასტული ლანდშაფტი – მთები, მკვეთრი, დაძაბული ხაზებით, ალაგ ჟანგისფერდაკრული ყაფარი და რაღაც, არქაულ ფერთა ტონალობაში მოლივლივე მინდორი აძლიერებს, რასაც გვირგვინად ადგას „გადაჭარბებულად მაღალი პროპორციებით, სასიამოვნო, ყვითელ და ვარდისფერ ფერთა გადასვლების ქვებით... ცივი ფერის ცოკოლის ხორკლიან ფაქტურაზე“ (ქარუმიძე, 167) წამომართული „კეთილ-მშვენიერი“ ნაგებობა. წუნდა, შემორჩენილი, XII ს. დასასრულის სამშენებლო წარწერით – „სახელითა ღმრთისაჲთა, მე, იჩქითმან, გურგენისძემან, აღვაშენე ეკლესიაჲ ესე, მამული ჩუენი, სახელსა ზედა წმიდისა ნათლისმცემლისასა, სალოცავად ჩემთჳს და მშობელთა ჩემთათჳს“ (ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, 132) – გურგენისძეთა ფეოდალური გვარის მამულია, „ეკლესიაჲ ესე“ ამ სახლის სალოცავი, როგორც უწოდებენ, კარის ეკლესია. დიდებულ სახლს ცალკე საძვალე-განსასვენებელიც, როგორც ტრადიცია-ატრიბუტი, მოუწყვია – მეზობლად მდებარე ვა(ჰ)ანის ქვაბთა მონასტერი უქცევია საგვარეულო აკლდამად. ვანის ქვაბებში აღმოჩენილი, ამჟამად დაბა ასპინძის რუსთაველის მუზეუმში დაცული ქვის ზედწერილი იმავე XII ს. დასასრულისა გვამცნევს: „ესე არს სამკვიდრებელი ჩუენ გურგენათი მე იჩქითმან აღვაშენე. შემინდვნეს ღმერთმან“ ((ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, 46)). მოვიტანთ კიდევ ერთ, მკვლევარ გ. გაფრინდაშვილის მიხედვით 1186-1204 წლებით (გაფრინდაშვილი, 8), ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსის შემდგენელთა მიერ XII საუკუნის დასასრულით დათარიღებულ წარწერას ვანის ქვაბებიდან: „იესჳ ქრისტე, ადიდე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ, რომლისა ზე მე, იქჩით გურგენის ძემან აღვაშენე კედელი ესე და დავასუენენ ხატნი მაცხოვარისაჲ, ღმრთისმშობლისაჲ, ნათლისმცემლისაჲ, და ჯუარი წმიდისა სჳმეონისი, ვინცა ილოცვიდეთ, მეცა მომიჴსენეთ“ ((ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, 47).

იჩქით გურგენის ძე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებშიც იხსენიება – „თუესა ნოემბერსა კგ მასვე დღესა აღაპი იჩქითისა გურგენის ძისა შეუნდვნენ ღმერთმან“ (მეტრეველი, 86). ე. მეტრეველი ამ ჩანაწერს, საკმაოდ არქაული ხელისას, XIII საუკუნით ათარიღებს.

ჯვრის მონასტერთან კიდევ ერთი გურგენისძე არის დაკავშირებული – „წმიდანთ ღმრთისანო! მე გლახაკმან და ფრიად ცოდვილმან მიქაელ გჳრგენის ძემან დავჩხრიკენ და წაჲ სულთა განმანათლებელი სტოდიერი სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა. სანახებსა წმსა იერუსალიმისასა მონასტერსა ჯუარისასა. სახელსა ზედან წმსა მთავარმოწამისა გიორგისასა ვაჰანის ქუაბთასა, წმიდაო გიორგი! მიაწიე წერილი მწერლითურთ! უცბად ჩხრეკისთვის შემინდვეთ. უსწავლელი ვიყავ.

წმ. გიორგი შეიწყალე სულითა მოსავი შენი მიქაელ“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 431). XII საუკუნით დათარიღებული სტოდიერის „დამჩხრეკი“ მიქაელის ეს მინაწერი საგულისხმო იმითაცაა, რომ შესრულებულია ვაჰანის ქვაბთა წმიდა გიორგის „სახელსა ზედან“.

ყველა წარმოდგენილი წარწერა, როგორც ვხედავთ, ერთი ნიშნით ერთიანდება — ისინი გურგენის ძეთა სახლის წევრს თუ წევრებს ეკუთვნის; იჩქით გურგენიძის წარწერების მიხედვით ირკვევა, რომ: 1) წუნდა გურგენისძეთა სამკვიდრო „ქვეყანა“ არის („მამული ჩვენი“), 2) ვანის ქვაბთა მონასტერი ამ სახლის საძვალე-სამკვიდრებელია; 3) წარწერებით იჩქითი უშვილძიროა, ღმერთს მშობლებს ავედრებს და არაფერს ამბობს თანამეცხედრესა და შვილებზე; 4) სტოდიერის „დამჩხრეკი“ მიქაელ გურგენისძეც, ვაჰანის ქვაბებთანაა დაკავშირებული და ისიც, ეს ხაზგასასმელია, უნაშენოა — „სალოცველად სულისა ჩემისა და მშობელთა ჩემთა“ გავწიე ეს სულთა განმანათლებელი შრომაო -ამბობს.

იჩქითის წარწერებისა და სტოდიერის ანდერძის მონაცემების შეპირისპირებამ, ქრონოლოგიურმა თანხვედრამ, „სავედრებლის“ მსგავსმა ფორმულირებამ — „სულისა ჩემისა, მშობელთა ჩემთათვის“ — მეცნიერებს ავარაუდებინა, რომ მიქაელ გურგენიძე იგივე იჩქით გურგენიძეა, უმონაგრო და, საბოლოოდ, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში სქემაშემოსილი (ტალახაძე, 91).

გურგენისძეთა ამ წარჩინებული სახლის შესახებ სხვა ინფორმაცია, სამწუხაროდ, ჩვენს მატიანეებსა თუ სიგელ-გუჯრებს არ დაუცავთ, ამდენად, მათი მოდგამობა-ვინაობის თუ ცხოვრების პერიპეტიებზე დამატებით ვერაფერს დავძენთ, გარდა ერთისა – ილორის ეკლესიის XI საუკუნის ლაპიდარული წარწერა იცნობს კიდევ ერთ გურგენის ძეს, სავარაუდოდ ეკლესიის კტიტორს, რომელზეც ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით.

თავის დროზე, თ. ქარუმიძე, წუნდის წარწერის განხილვისას, წერდა: „წარწერაში აღნიშნულ პირთა უტიტულოდ მოხსენიება ართულებს მათ მოძებნას და ძნელი წარმოსადგენია, რომ როგორც წუნდის უდაოდ შეძლებული აღმშენებელი, ისე მისი მშობელი მოკლებული ყოფილიყო წოდებას ან თანამდებობას. ამიტომ საფიქრებელია, რომ ერთ-ერთი მათგანი თავის დროზე ამ მიდამოებში გამოჩინებული და პოპულარული პიროვნება უნდა ყოფილიყო და მისი ვინაობის აღნუსხვა დამწერს ზედმეტად მიაჩნდა“.

წუნდის მაშენებლის ვინაობის შესახებ ჩვენს ვარაუდს თ. ქარუმიძის ერთი ალუზია, იჩქითის გურგენის ძე-ობით აღძრული, აპროვოცირებს – გურგენი სახელი, წერს მკვლევარი „გავრცელებულია ბაგრატიონთა გვარში (კლარჯ-არტანუჯელთა შტოში) IX ს-ის ბოლოდან ვიდრე XI ს-ის დასაწყისამდე და ყველა მათგანი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიასთან არიან დაკავშირებული“. მისი აზრით, წუნდის წარწერის ერთ-ერთი საგულისხმო მომენტი არის „სიტყვები: მამული ჩვენი“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ადგილას ძველათაც (უწინაც) აღმშენებლის მამაპაპეული სალოცავი ყოფილა. შედიოდა თუ არა წუნდა გურგენის კლარჯეთის სამფლობელოში და წარმოადგენდა ის თუ არა იჩქითისათვის მამაპაპეულს, გამოქვეყნებული ისტორიული ლიტერატურით არ არის ცნობილი“ (ქარუმიძე, 178).

მალევე ამ სტრიქონების დაწერიდან, 1942 წლის აგვისტოში ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებმა ზემო ჯავახეთის ნასოფლარ არეშის (ისტორიული არეშტი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი) მიდამოში აღმოაჩინეს ქვის სტელა, რომლის ბაზისს შემოუნახავს წერილობითი „აქტი“ სოფელ არეშტის კუმურდოს საყდრისადმი შეწირულობის შესახებ. წარწერის მიხედვით, კუმურდოს ტაძარი და მისი შემოგარენი არტანუჯელ ბაგრატიონთა ხელთაა – [†სახელითა ღმრთისაჲთა, აშოტ ან: ადარნასე], ძემან გურგენ კურაპალატისამან, შეწირა არეშტი საყდრისა კუმურდოჲსასად“ (ტექსტი აღდგენილი და 881-891 წწ. დათარიღებულია ვ. სილოგავას მიერ; იხ.სილოგავა, 77-79); წარწერის გურგენ კურაპალატი „ძე ადარნესესი, დიდისა აშოტ კურაპალატისა ძისაჲ“ კურაპალატად „დღეთა სიბერისა მისისათა დასუ&ს“ 881 წელს და „მოკუდა...ქორონიკონსა რია“ (891 წელი). გურგენის ერთ-ერთი შვილი, ადარნასე ან აშოტ კუხი ერისთავთ-ერისთავი, შეწირულობის ამ ინიციატივას მამის სიცოცხლეშივე იჩენს, რასაც წარწერაში გურგენის მოხსენიება ადასტურებს (სილოგავა, 77). გამოდის, რომ გურგენის „ქვეყანას“ – ტაო, კალმახი, შავშეთი, არტაანი – შეწირულობის სტელის აღმართვის დროისათვის (881-891 წწ) შემატებია ჯავახეთიც (არეშტი და კუმურდო ზემო ჯავახეთის პუნქტებია, წუნდა და ვანის ქვაბები, ქვემოსი). ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა მფლობელობა ჯავახეთში X საუკუნის 40-იან წლებამდე უნდა გაგრძელებულიყი, გურგენ დიდი ერისთავთერისთავის (არეშტის წარწერაში მოხსენიებული გურგენ კურაპალატის ძის, ადრნესეს, ძე) გარდაცვალებამდე 941წელს. ამის შემდეგ, როცა „გურგენ მაგისტროსის მიწა-წყალი“ იარაღის ძალით დაინაწილეს მეტოქე მეფე-მთავრებმა, რის შემდეგაც ჯავახეთს გიორგი II „აფხაზთა მეფე“ (922-957 წწ.) ეუფლა, საქართველოს გაერთიანების საქმეში „უპირატესი როლის“ მექონი (მუსხელიშვილი, 224). ამ ვარაუდს ამოწმებს კუმურდოს ეკლესიის 964 წლის საამშენებლო წარწერა, რომლის მიხედვითაც, „საძირკველი ამის ეკლესიისაჲ“ დაიდო „ლეონ მეფისა ზე“ – იგულისხმება ეგრის-აფხაზეთის მეფე ლეონ III (957-967), რომელიც „ზუიაი ერისთავის“ ხელით განაგებდა პროვინციას, შესაძლოა, ამ დროისათვის მხოლოდ ზემო ჯავახეთით შემოფარგლულს. ფეოდალური საქართველოს გამაერთიანებელ-პროგრესისტ პოლიტიკოსთა ჩანაფიქრში ჯავახეთს, მისი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა, რადგანაც მის მფლობელს „ხელი ადვილად მიუწვდებოდა სამხრეთისა და აღმოსავლეთ ყოველ მხარეს. მის ხელში იყო მთავარი გზები სამხრეთიდან (სომხეთი) თუ სამხრეთ დასავლეთიდან (ბიზანტიიდან). ჯავახეთზე გავლით შედიოდნენ ეს გზები „აფხაზეთში“ (სამცხით), შიდა ქართლში (სამცხით, თრიალეთით), მცხეთა-თბილისში (თრიალეთ-მანგლისით) და კახეთში“ (ბერძენიშვილი, 1964, 52-53). ჯავახეთი და თრიალეთი ქვეყნის გაერთიანების ძირითადი ფორპოსტებია, „ამიტომ ეჭვი არ არის, რომ ბრძოლა ამ „ქვეყანათა“ დაუფლებისათვის მწვავე უნდა ყოფილიყო და (თუ თრიალეთის მიხედვით ვიმსჯელებთ) იყო კიდეც“ (მუსხელიშვილი, 223). ეს ყველაფერი საუცხოოდ ჰქონდა გათვალისწინებული ბაგრატ III, რომელმაც, ხელმწიფურ ნებით აღჭურვილმა, „მოიყვანა კლარჯი ჴელმწიფენი სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თჳსნი მამის დისწულნი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა შინა ფანასკერტისასა და

მუნ შინა შეიპყრნა იგინი. და აღიჴუნა ქუეყანანი და ციხენი მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ ჰყვნა ციხესა შიგა თმოგჳსასა. მუნ ციხესა შინა თმოგჳსასა გარდაიცვალა სუმბატ არტანუჯელი ქრონიკონსა სლა (1011 წელი, გ.კ.). და ეგრეთვე მასვე წელსა შინა გურგენცა გარდაიცვალა, ძმაჲ სუმბატისი, ქრონიკონსა სლბ (1012 წელი, გ.კ.). ხოლო შვილნი ამათნი წარვიდეს კონსტანტინეპოლედ, ძე სუმბატისი ბაგრატ და ძე გურგენისი დემეტრე ბასილი მეფისა წინაშე, და მათნივე შვილნი კლარჯთა მეფეთანი რომელ დაშთეს ამას ქვეყანასა, მოისრეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა“ (სუმბატ დავითის ძე, 53).

„საქართველოს მშენებლობის“ (დ. მუსხელიშვილი), მთლიანობის და ერთნებაობის დიადი პოლიტიკური ნება, ცხადია, ვერაფრით იგუებდა სამეფო სახლის გვერდით, გარკვეულწილად ლეგიტიმური უფლებით აღჭურვილ შტოს და მოსახდენიც მოხდა; 1008 წელს გარდაიცვალა ბაგრატ მესამის მამა, მეფეთ მეფე გურგენი, რითაც მისი სამფლობელოები – „ამიერტაო, შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი“ მეფე შვილის სამკვიდროს მიეთვალა, როგორც სამეფო დომენი – „მამული“ ქვეყანა (სინ, 159). ცხადია, ფორმალური, დე იურე, მფლობელობა ფაქტობრივ გამყარებას საჭიროებდა, ამიტომაც „მოისრეს“ უწყალოდ „თჳსნი“ მეფისანი, რომლის ერთი გადარჩენილი წარმომადგენლის ქვეგამხედვარობა ბაგრატ IV მეფობის ჟამს გამოვლინდა, როცა 1028 წელს კონსტანტინე VIII ბიზანტიის იმპერატორმა საქართველოს წინააღმდეგ „მიუწვდომელითა ძალითა“ წარმოგზავნა პარკიმანოსი და „თანა მოსცა მას ძე გურგენ კლარჯისა დემეტრე, რეცა შესატყუჴნლად ქვეყანისა მკჳიდრთა“. ამას სათანადო ნაყოფი გამოუღია კიდეც, „რამეთუ მიიქცეს ერნი სოფლიონი უგუნურუსუსურნი ცნობითა და გონებითა“ (სუმბატ დავითის ძე, 59).

მოკლედ; ბაგრატ მესამემ აღჴუვნილი ციხე-ქვეყნები „კლარჯი“ ბაგრატიონებისა, რასაკვირველია, სამეფო საკუთრებას მიათვალა, მათ რიცხვში, თმოგვის მიუვალი სიმაგრეც, თუმცა, შესაძლოა, იგი მანამდეც მის მფლობელობაში შედიოდა (აკი აქ მიიცვალნენ პყრობილნი – სუმბატ და გურგენ). ბაგრატ IV ზეობისას თმოგვს მამულობით იჭერს ჭიმჭიმელთა დიდებული სახლი, რომლის ერთ-ერთ წევრი, ფარმანი, სწორედ ამიტომ, თმოგველად იწოდება კიდეც. იგი, სავარაუდოდ, უმემკვიდრო, ალფ-არსლანის ურდოსთან ახალქალაქის ბრძოლაში დაიღუპა, თმოგვის ციხე კი ისევ სამეფო საკუთრებაში ჩაირიცხა და ასე გაგრძელდა მანამ, სანამ 1190-1191 წწ. მეფე თამარის ინიციატივით, მხარგრძელებს არ ეწყალობა იგი. წყალობის ამ აქტით საფუძველი ჩაეყარა მხარგრძელთა გვერდით შტოს, „ახალ“ თმოგველებს, რომელთა „მემამულეობა“ თმოგვის ქვეყანაში, საბოლოოდ, XIV საუკუნისათვის დაესრულა (ბერძენიშვილი, 2005, 224).

ჩვენი ჰიპოთეზით – იჩქითი, გურგენის ძეობით, კლარჯ ბაგრატიონთა, არეშტის ქვასვეტის აღმმართველთა, მონადევარია, ისევე, როგორ თმოგვის ციხეში გარდაცვლილნი „კლარჯი ჴელმწიფენი სუმბატ და გურგენ“, ჯავახეთის გარკვეული ნაწილის მამულობით მფლობელი. გამოდის, რომ სამეფო კარი იჩქითს ან მის მშობელს, როგორც სამეფო კარის უკვე დამცრობილ-დაკნინებულ „თჳსთ“, უნარჩუნებს ან აღუდგენს ოდინდელი მამაპაპეული მამულის ნაწილს, თვინიერ მიუვალი თმოგვის ციხისა, რითაც, მიანიშნებს რა წინაპრების ბედზე, საბოლოოდ აუვნებლებს მათ საეგებიო პრეტენზიებს თუ სახელისუფლებო ამბიციას (მით იმეტეს, ამის პრეცედენტი არსებობდა).

იჩქითი, როგორც ითქვა, იმკვიდრებს ეკლესიას (წუნდა), საგვარეულო ძვალთშესალაგს (ვაჰანის ქვაბები), მაგრამ არსად იხსენიება მისი ციხე-სიმაგრე, ურომლოდაც დიდებული სახლი, ვითარც სამფლობელო-„მამული“, ვერ წარმოიდგინება (ეკლესია, აკლდამა და ციხე – მამულის მოუცილებელი ატრიბუტი). მეზობლად მდებარე თმოგვის ციხეზე, როგორც ვნახეთ, პირველწყაროთა მონაცემებით, მას ხელი არ მიუწვდება. საფიქრებელია, იჩქითს წუნდასთან, მტკვრის კბოდეზე გამართული უმნიშვნელო ციხე ჰკუთვნებოდა, რომელსაც ვახუშტიც იხსენიებს – „ჯავახეთის მტკუარსა ზედა, სამჴრეთისკენ, კიდეზედ არს წუნა, რომელი აღაშენა ციხე-ქალაქი, მტკიცედ მოზღუდვილი, ჯავახოს მცხეთოსის ძემან...იყო ქალაქი და ციხე...არამედ აწ არღარა არს ქალაქი, გარნა ციხე არს“ (ქართლის ცხოვრება, 670). ალბათ, ამ ციხის ნანგრევები იწოდებოდა მოგვიანებით ვერან ყალად, რომელიც მოუხილავს ივ. როსტომაშვილს, მაგრამ გურგენათ სახლის მიერ მისი კუთვნილების მამოწმებელი ინფორმაცია არ შემორჩენია მატიანეთა ფურცლებს. სამაგიეროდ, გურგენისძეების კლარჯ ბაგრატიონთაგან წარმომავლობის ჰიპოთეტური დაშვების შემთხვევაში, თითქოს, ახნას პოულობს იჩქითისეული ეკლესიის ერთი არქიტექტურული დეტალი – ეკლესიის გალავანში ჩაშენებული საპირფარეშო, რომლის აგებაც თ. ქარუმიძის მოსაზრებით „წუნდის თავშესაფრად გადაქცევის ფაქტს უნდა გამოეწვია“. მართალია, მკვლევარს უძნელდება დააკონკრეტოს „იყო წუნდის ეკლესია თავიდანვე ციხე-სახიზნო თუ შემდეგ გადაიქცა ასეთად“, მაგრამ, მაინც ამას, „უფრო ძველ დროს (XII-XIII სს.)“ აკუთვნებს.

ისტორიული კონტექსტის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ წუნდის ეკლესია იმთავითვე „ციხე-სახიზნოდ“ აიგო, რაც, თუკი ეს სინამდვილეს შეეფერება, ისევ და ისევ, იჩქითის „კლარჯ ხელმწიფეთაგან“ ჩამომავლობის ჰიპოთეზას ამაგრებს. შეწყალებული, ნაწილობრივ მფლობელობა განახლებული, მაგრამ უციხო იჩქით გურგენის ძე საკუთარ მამულში თავდაპირველადვე ციხე-ეკლესიას აშენებს (ციხე „მამულისთვის“ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ წარმომავლობას და გვარ-წოდებულებასაც აფორმებს ხოლმე – „თმოგველი“, „ხერთვისარი“, „სლესარი“, „ოთარი“...), იმიტომ, რომ იქვე მდებარე მთავარი ციხის, მთელი ქვემო ჯავაეთის მაკონტროლებელი თმოგვის ჭერა მისთვის, ვიგულისხმოთ ასე, აკრძალულ-შეუძლებელი ჩანს.

ასე თუ ისე, უკვე XIII საუკუნის დასაწყისისათვის იჩქითის მამული მოშლილია; წუნდა-ვანის ქვაბებში გურგენისძეთა ცხოვრების და საქმიანობის კვალი აღარ გვხვდება; შემონაზვნებული იჩქითი, ჩანს, უნაშენოდ გადაეგო, ამოვარდნილი „მამული გურგენათი“ კი, ბეითალმანის სახით, სამეფო მფლობელობაში ჩაირიცხა – თამარის მეფობის მეოცე წელს (1204 წ.); ვაჰანის ქვაბებში, „გურგენათ სამკვიდრებელში“, ზღუდეს ანტონ კათალიკოსის დაკვეთით ამაგრებენ- „† იესუ ქრისტე შეიწყალე ორთავე შინა სუფევათა მეფეთა მეფე და დედოფალი თამარ წელსა მეფობისა მათისასა კ ანტონ ჭყონდიდელისა მიერ აღეშენა ზღუდე ესე შეუნდვენ ღმერთმან“ (ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, 48).

ახლა, ზემორე დატევებულს მივუბრუნდეთ – ილორის ეკლესიის საამშენებლო წარწერას – „წმიდაო გიორგი ილორისაო, შეიწყალე გიორგი გურგენის ძე“ (დასავლეთ საქართველოს წარწერები, 161). ამ გიორგის ლ. ახალაძე წუნდის მფლობელ გურგენისძეების ფეოდალური სახლს უკავშირებს, როცა წერს; „გურგენისძეთა ფეოდალური გვარი XI-XIII საუკუნეების ქართული საზოგადოების ერთ-ერთი დაწინაურებული ფეოდალური გვარი იყო“ (ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, 153). ამის მტკიცება სათანადო მონაცემების უქონლობის გამო, ცხადია, შეუძლებელია, მაგრამ ეპოქის მთლიანი პოლიტიკური კონტექსტი გვავარაუდებინებს, რომ შესაძლებელია, არეშტის სტელის წარწერის გურგენ კურაპალატის რომელიმე მონაგარს მოედგა ფეხი დასავლეთ საქართველოში უკვე იმ პერიოდიდან, როცა ჯავახეთი აფხაზთა მეფემ დაიჭირა (X საუკუნე); „დაეთმო“, იმავე პოლიტიკური მოტივით, რითაც ბაგრატ III გაუსწორდა კლარჯ ბაგრატიონებს, ჯავახური სამფლობელო და საკონპესაციოდ ბოძებოდა ილორი და იქ ეკლესია (კარის?) ეშენებინა. ამ კონტექსტში ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მოგვიანებით იჩქითის უშუალო წინაპარი, პაპა ან მამა, ისევ მამა-პაპეულ ჯავახეთს მიბრუნებოდა (ისიც შესაძლებელია, რომ ილორის ეკლესიის კტიტორის შემთხვევაში საქმე პირსახელთან გვაქვს და არა გვარწოდებულებასთან).

არცერთი მოყვანილი ფაქტობრივ-ისტორიული მასალა, როგორც ვხედავთ, მხოლოაზროვანი დასკვნის საფუძველს არ იძლევა, ყველაფერი მხოლოდ ლოგიკური დაშვების სფეროში ტრიალებს. მაინც ვვარაუდობთ, რომ იჩქითის გარდაცვალებით საბოლოოდ შეწყდა გურგენისძე-ბაგრატიონთა მღელვარე, ტრაგიზმით აღბეჭდილი ცხოვრება, რომლის შესახებაც მეტისმეტად ძუნწი ცნობები დაუცავთ ჩვენს ანალებსა თუ ეპიგრაფიკულ მასალას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი დ., ვარძია და თმოგვის ციხე-ქვეყანა, ნარკვევები, თბ., 2005
2. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964
3. გაფრინდაშვილი გ., ვანის ქვაბის განძი, ძეგლის მეგობარი 6, 1966
4. ლაპიდარული წარწერები II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX – XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980
5. მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962
6. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ, 1980
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979
8. სილოგავა ვ., კუმურდოს ტაძრის ეპიგრაფიკა, თბ., 1994
9. სუმბატ დავითის – ძე, ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. არახამიამ, თბ., 1990
10. ტალახაძე ი., ვაჰანის ქვაბთა მონასტრის პერსონოლოგიისათვის, კრ. ონომასტიკური ძიებანი I, ახალციხე, 1995
11. „ქართლის ცხოვრება“ IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973

12. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (კოლექცია) ტ. IV, შეადგინა ქრ, შარაშიძემ, თბ., 1954

13. ქარუმიძე თ., წუნდის ეკლესია, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ნარკვევები VI, თბ., 2000

14. ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს ვ. სილოგავამ, ლ. ახალაძემ, მ. ბერიძემ, ნ, სულავამ და რ. ყავრელიშვილმა თბ., 2012.

გ. კუტალაძე

ჰიპოთეზა გურგენისძეთა გვარის წარმომავლობის თაობაზე

რეზიუმე

გურგენიძეთა წარჩინებული სახლი წუნდისა და ვაჰანის მონასტრის წარწერების მიხედვით, ქვემო ჯავახეთის ერთი ნაწილის მამულობით ფლობელად გვევლიანება. გვარის ეპონიმი, შესაძლოა, ბაგრატიონების „კლარჯული“ შტოს რომელიმე წევრი იყოს, არეშტის წარწერაში მოხსენიებული გურგენ კურაპალატის რომელიმე შთამომავალი.

G. Kutaladze

The Hypothesis of the Origin of the Genus Gurgenisdze

Summary

According to the inscriptions of Tsunda and Vahani Monasteries the noble house of Gurgenidzes appears as the estate land in one part of Lower Javakheti. The eponym of the surname can be member of the Bagrations „Klarjheti” branch, mentioned in Areshti inscriptions – apparent heir of Gurgen Kurapalati.

N. LOMSADZE

DIFFERENT LEVELS OF PROFICIENCY AND THE INFLUENCE OF LARGE CLASSES IN THE ENGLISH LANGUAGE TEACHING PROCESS

One of the biggest problems teachers confront are classes where the students are at different levels, where some with quite competent English competed, some whose English isn't very good, and some whose English is only just getting started. According to Harmer (2007, p.176), teachers „regularly face mixed-ability groups where different individuals are at different levels and have different abilities. What are the possible ways of dealing with this situation?" According to the author, the differentiation, in other words, treating some students differently from others is possible by using different material and technology, encouraging students to do different tasks depending on their abilities, for example, while one group is working on a piece of language study, the other group might be reading a story or doing Internet-based research. Later, while better groups are discussing a topic, the weaker group or groups might be doing a parallel writing exercise, or sitting round a CD player listening to an audio track.

Some teachers adopt a strategy of peer help and teaching so that better students can help the weaker ones. However, this has to be done with great sensitivity so that students do not feel alienated by their over-knowledgeable peers or oppressed by their teaching role.

Similarly, Scrivener (2005) mentions the most common reasons why there are many learner's level, as when students are grouping by age, and this seems very likely to lead to problems if some learners are significantly stronger or weaker than others; another typical problem in many schools is caused by the fact that it is often less troublesome for school administration to keep learners together as a class, because learners will progress at different speeds. This means that, even if a group was similar in level at the beginning of a course, there may be very different exit levels" at the end. The author also states the placement procedures as another cause of 'mixed-level' problems, because the placement testers sometimes give priority to friendship or personal requirements rather than place students according to real level obtained in the placement test.

Besides, in many cases learners may be together in the same class because the university does not have sufficient levels to fine-tune the classes more. Scrivener (2005, p. 68**)** says that „If we check the overall abilities of each person, we find some are 'weak Pre-Intermediate', some 'mid-Pre-Intermediate' and some 'strong Pre-Intermediate', maybe there are even some people who seem to belong to another level classification, say 'Elementary' or 'Intermediate'." In some cases, learners have good knowledge in grammar, and their vocabulary is a little weaker, but their speaking and listening are very much poorer.

The effect of class size on teaching and learning English as a foreign language (EFL) has been through a contentious debate among researchers for a long time. Before the 1950's the concern about the effect of class size and the learning outcomes of students in such classes waned for some time. Yet, researchers have reconsidered the case once again and up to now it is a field of investigation.

To conclude with the literature review, it is necessary to examine a series of studies regarding the influence of large classes in the English language teaching –learning that were developed in different parts of the world.

Firstly, Yetunde (1999) did a research to identify the major problems caused by overpopulated classes in Nigeria with a view to making suggestions that could help to alleviate the problems. He applied a simple random sampling technique where eight schools were selected out of thirty secondary schools in the township. However, two types of instruments were used. One involved the use of class registers to obtain pupil enrolment by classroom and the second instrument was a questionnaire made by the researcher to determine the most serious effect of over-crowded classroom on teacher – student interactions.

In this study, the author concluded that seating arrangement in overpopulated classes limits the quality and quantity of interactions between teachers and students. Other issues that include punishment as a negative reinforcement is not an educationally expedient, these are direct results of poor quality training of teachers.

The second study was performed by Blatchford, Bassett, Goldstein and Martin (2003) who studied whether class size differences affect pupils" academic achievement; and the connections between class size and classroom processes, which might explain any differences found. The information was collected from classes in terms of class size (as on the school register, and also in terms of the number of children in the class at a given point in the term, too the information on teachers in the study was collected from self-completed questionnaires called „experienced" class size). The method comprised whole class and selected child observations in terms of event sampling of significant events; semi-structured interviews with teachers and head teacher.

The results showed that there was a clear effect of class size differences on children's academic attainment over the (first) reception year. In the case of literacy, the lowest attainders on entry to school benefited most from small classes, particularly below 25. Connections between class size and classroom processes were examined and a summary model of relationships presented. Effects were multiple, not singular. In large classes there are more large groups and this presented teachers with more difficulties. On the other hand, in smaller classes there was more individual teacher contact with pupils and more support for learning, and in larger classes there was more pupil inattentiveness and off-task behavior.

At the end of this study researchers concluded that much will depend on how teachers adapt their teaching to different class sizes and that could be done in teacher training and professional development to address contextual features such as class size.

The third study was done by Thaher (2005) who determined what effects (instructional, psychological or social) large classes have on students by investigating and analyzing EFL students´ attitudes toward large classes at An-Najah National University in Palestine. A questionnaire was applied according to a random distribution in English. The sample of the study consisted of 230 non-English major EFL students.

The findings of the study revealed that instructional effects have the highest mean over the social and the psychological effect. It appeared that despite the negative aspect of learning English in large classes, there can be some positive aspects that teachers could make use of.

Teachers should find creative ways to engage all students in the lessons such as warming up activities and ice breakers which objective is to provide interesting, individual or group activities in order to give all students the same opportunity to participate.

It is advisable to carefully plan the type of seating arrangements to provide students a comfortable environment when they participate in debates or sessions, and other types of activities that promote the use of the target language for exchanging ideas.

Teachers need to find effective ways to develop students' speaking skills in large classes. The Internet offers varied activities and ideas for engaging students in meaningful and fun activities in large classes.

It is important for teachers to ensure that students" needs are appropriately met. In this sense, teachers might choose a peer-tutoring strategy to provide learners some kind of individual attention.

Teaches perceive that class size has a negative influence on the students" level of attention and participation. The high number of students in the classroom does not allow teachers to ensure that all students, especially those who sit in the last rows, are engaged in the lessons. Regarding the social implications of large classes, it seems that class size promotes interaction and builds good relationships in the classroom. Moreover, students feel relaxed because they are not frequently selected to answer questions since their teachers appear to have problems to remember their names. There is a psychological implication of large classes in the teaching-learning process since students indicate that the environment is stressful and they feel inhibited when speaking in front of others. In addition, students perceive their teachers do not pay attention to their needs equally.

References

1. Blatchford, P., Bassett, P., Goldstein, H., and Martin, C. (2003). Are class size differences related to pupils" educational progress and classroom processes? Findings from the Institute of Education Class Size study of children aged 5–7 Years. British Educational Research Journal, 29(5), 710-730. Retrieved from:https://svpn.utpl.edu.ec/+CSCO+00756767633A2F2F6A726F2E6E2E726F667062756266672E70627A++/ehost/pdfviewer/pdfviewer?sid=a0ae57dd-b218-4d8d-9a75-6492fe6fc61d%40sessionmgr4004&vid=27&hid=4204

2. Blatchford, P. (2003). *The* class size debate. Berkshire: Open University Press.

3. Harmer, J. (2007). How to teach English. England: Pearson Education.

4. Scrivener, J. (2005). Learning teaching: a guidebook for English language teachers.
(2nd ed.). Malaysia: Macmillan Publishers.

5. Thaher, M. (2005).The effects of large class on EFL students at An-Najah National University. An- Najah University Journal for Research-Humanities, 19(3), 1-46. Retrieved from: http://blogs.najah.edu/staff/emp2173/article/The-Effects-of-Large-Classes-on-EFL-Students-at-An-/file/134.pdf

6. Yetunde, I. (1999). Effects of over-crowded classrooms on teacher — student interactions. Ilorin Journal of Education, 19, 5-13.Retrieved from:
http://www.google.com.ec/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&ved=0CCgQFjAA&url=http%3A%2F%2Fwww.unilorin.edu.ng%2Fpublications%2Fnysijaiya%2FIlorin%2520Journal%2520of%2520Education.doc&ei=z_A4U7jVG5LNsQSdkIK4CQ&usg=AFQjCNGY5ZWaqDVtUVJQ_-Q_nLx6r_VvPQ.

N. Lomsadze

Different levels of proficiency and the influence of large classes in the English Language teaching Process

Summary

The article deals with the problem how to teach English in multi-level classes and the influence of large size class in learning and teaching process.

One of the biggest problems teachers confront are classes where the students are at different levels, where some with quite competent English competed, some whose English isn't very good, and some whose English is only just getting started.

The high number of students in the classroom does not allow teachers to ensure that all students, especially those who sit in the last rows, are engaged in the lessons. Teachers need to find effective ways to develop students' speaking skills in large classes.

Therefore, it is important to explore various methods and apply effective strategies that minimize the effects of large classes and elevate the teaching and learning level to its highest standard. Hence, the effectiveness of any techniques may vary from one context to another as it relies heavily on different aspects such as students, teachers and facilities available in a certain school.

ნ. ლომსაძე

ინგლისური ენის სწავლება მრავალდონიან ჯგუფებში და მრავალრიცხოვანი კლასების გავლენა ენის შესწავლისას

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ინგლისური ენის სწავლების პრობლემა მრავალდონიან ჯგუფებში და მრავალრიცხოვანი ჯგუფების გავლენა როგორც სწავლების, ასევე შესწავლების პროცესზე.

ერთ-ერთი ყველზე დიდი პრობლემა, რომელსაც აწყდებიან მასწავლებლები, გახლავთ ისეთი ჯგუფები, რომლებშიც ბავშვები სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან, როდესაც ინგლისურ ენაში საკმაოდ კარგად გაწაფული მოსწავლეები „ჩაგრავენ“ მოსწავლეებს, რომელთა ენის ცოდნის დონე არცთუ საკმაოდ კარგია, ხოლო ზოგიერთი ჯერ მხოლოდ დამწყების დონეზე იმყოფება.

ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა მასწავლებლებს არ აძლევს იმის საშუალებას, რომ ყველა მოსწავლე, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც უკანა რიგებში სხედან, სრულად იყვნენ ჩართულნი გაკვეთილების მსვლელობის პროცესში. მასწავლებლებს უწევთ ეფექტური გზების გამონახვა, რომ მრავალრიცხოვან აუდიტორიებში საუბრის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება სრულფასოვნად უზრუნველყონ.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოხდეს სხვადასხვა მეთოდების შესწავლა და ეფექტური სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვენს აუდიტორიებში სტუდენტთა დიდი რაოდენობით გამოწვეულ პრობლემებს და სწავლისა და სწავლების დონეს საგრძნობლად გააუმჯობესებს.

თ. მერაბიშვილი

აგრესია, სოციალური განწყობა და ტიპოლოგია

ფსიქოლოგიის ამოცანას ყოველთვის შეადგენდა და შეადგენს ადამიანის გაგება. მაგრამ მისი ფსიქოლოგიის გაგება მხოლოდ ფსიქიკური პროცესებისა და ფუნქციების შესწავლით შეუძლებელია. ძალზე მნიშვნელოვანია იმ თვისებათა შესწავლა, რაც როგორც ერთიანი, მთლიანი არსების ფსიქოლოგიურ თავისებურებებს წარმოადგენს.

ადამიანის მთლიანობითი სისტემის გამოვლენად ითვლება მისი აქტივობა განწყობის, ტემპერამენტის, ხასიათის, ნიჭის, ინტერესების და ა.შ. მიხედვით. უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ ამ თავისებურებების მიხედვით ხდება ცალკეული ფსიქიკური პროცესების (აღქმა, ყურადღება, აზროვნება, ნებისყოფა და ა.შ.) განხორციელება. აღნიშნული თვისებების მიმართების გაგება საინტერესოა ტიპოლოგიურ ასპექტში.

ძველთაგანვე შემჩნეულია, რომ ადამიანები გარკვეული თავისებურებების მიხედვით კონკრეტულ ჯგუფებად ანუ ტიპებად იყოფიან. სხვადასხვა ჯგუფის წევრები ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდებიან, ხოლო თვით ჯგუფის შიგნით კი მნიშვნელოვანი მსგავსებაა. ეს მსგავსება-განსხვავება თავს იჩენს ნებისმიერ ქცევაში.

ადამიანთა ტიპოლოგიის ჩამოყალიბებას დიდი ხნის ისტორია აქვს. დღეს ცნობილია მრავალი ტიპოლოგია, რომლებშიც ადამიანთა სხვადასხვა თვისებრივ მხარეზეა ყურადღება გამახვილებული. მათ შორის აღსანიშნავია ადამიანთა დაყოფა გარეგნული აღნაგობის, ტემპერამენტის, გრძნობების, დამოკიდებულებების, განწყობებისა და სხვა ფაქტორების მიხედვით. ტიპოლოგიის ეს ფორმებია: ყველაზე ძველი და პოპულარული — ჰიპოკრატეს ტიპოლოგია, ი. პავლოვის უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპოლოგია, კ. იუნგის, შემდგომ კი ჰ. აიზენკის ექსტრავერსია-ინტროვერსიის ტიპოლოგია, დ. უზნაძის ტიპოლოგია და ა.შ. საინტერესოა, რომ ეს ფორმები კორელაციაში მოდის ერთმანეთთან .

მეტად ნაყოფიერი გამოდგა ტიპოლოგიის სფეროში ინტროვერსიისა და ექსტრავერსიის ცნებების შემოტანა შვეიცარიელი ფსიქოლოგის კ. იუნგის მიერ. ამ ცნებათა შინაარსი კიდევ უფრო დახვეწილი იქნა ინგლისელი ფსიქოლოგის ჰ. აიზენკისა და ამერიკელი რ. კეტელის თეორიული და ექსპერიმენტული მუშაობის საფუძველზე.

ამ შეხედულების მიხედვით, ადამიანები ან ექსტრავერტები არიან ან ინტროვერტები. პირველნი, გარეთ, ობიექტური სამყაროსკენ მიმართული ტიპები არიან და ხასიათდებიან შემდეგი ნიშნებით: მოუსვენარი, აგრესიული, იმპულსური, ოპტიმისტი, აგზნებადი, აქტიური, გულღია, მხიარული, მოლაპარაკე, უზრუნველი, ლიდერობის მოყვარული და სხვა. ისინი გამოირჩევიან უბედური შემთხვევებისადმი, რისკისადმი მიდრეკილებით, დაბნეულობით, არ არიან ორიენტირებულნი მაღალ მიღწევებზე და ამიტომ უფრო დიდად აფასებენ საკუთარ მცირე წარმატებას; მათთვის დამახასიათებელია ძლიერი დაქვემდებარება სხვა ადამიანებზე, საჭიროებენ რა მათ ყურადღებასა და მხარდაჭერას. მიუხედავად უზრუნველი და მხიარული ხასიათისა, გამოირჩევიან მკაცრი სოციალური და პოლიტიკური პოზიციით. როგორც ხელმძღვანელები, ისინი ხშირად ავტოკრატები და დესპოტები არიან; სამაგიეროდ ასევე კარგად შეუძლიათ მლიქვნელის როლის შესრულება.

ექსტრავერტის საწინააღმდეგო პოლუსზე დგანან ინტროვერტები. ისინი შიგნით, საკუთარი სულიერი სამყაროსკენ მიმართული ტიპები არიან და ახასიათებთ ისეთი თვისებები, როგორიცაა: სიწყნარე, სიმშვიდე, სიდინჯე, პესიმიზმი, თავშეკავებულობა, პასიურობა, გულჩათხრობილობა, მოწყენილობა, სიტყვაძვირობა და ა.შ. ამ ტიპის ადამიანები უფრო ჩრდილში ყოფნას არჩევენ, ვიდრე თავის გამოჩენას. ეს იმითაა გამოწვეული, რომ აქვთ შესაძლო წარუმატებლობის შიში და ამიტომ აქტიურ მოქმედებას ლოდინს ამჯობინებენ. ისინი გამოირჩევიან უფრო მაღალი ინტელექტით და სწრაფად უკეთებენ ინტერიორიზაციას თავისი გარემოს მოთხოვნებს. რამდენადაც თანამედროვე ცხოვრება ადამიანებს წარმართავს მაღალი შედეგების მიღწევისაკენ, ამდენად ინტროვერტები გამოირჩევიან პრეტენზიის მაღალი დონით. ისინი ხშირად აღწევენ დიდ წარმატებებს მეცნიერების, ხელოვნების ასპარეზზე, მაგრამ დაბალ შეფასე-

ბას აძლევენ საკუთარ მიღწევებს. მათთვის დამახასიათებელია რბილი სოციალური და პოლიტიკური პოზიციები. როგორც ხელმძღვანელები არიან გამგები, დემოკრატიული ადამიანები.

ტიპოლოგიური გამოკვლევები ფართოდ გამოიყენება პროფესიული შერჩევის ამოცანების გადაწყვეტისას, სხვადასხვა ცხოვრებისეული საკითხის გადაჭრის პროცესში, რომლებიც აზროვნების სისწრაფეზე, მაღალ ინტელექტუალურ მიღწევებზე იქნება ორიენტირებული თუ სხვა.

თემატიკიდან გამომდინარე აუცილებელია შევეხოთ აგრესიის საკითხს. კონკრეტული ადამიანის თუ მთელი საზოგადოების არაჯანსაღი, ძალადობრივი ქმედება აგრესიითაა განსაზღვრული. აქ ბუნებრივად ისმება კითხვა: რა არის აგრესია? არის იგი თანდაყოლილი თუ შეძენილი?

აგრესიულია მანიაკის ქცევა, რომლისთვისაც ჰობია ადამიანის მოკვლა. მაგრამ ასევე აგრესიულად თვლიან ბურთისათვის მებრძოლ ფეხბურთელს თუ ჩოგბურთელს. ამავე კატეგორიას მიეკუთვნება ენერგიული ბიზნესმენის თუ მათემატიკოსის საქმიანობა და ა.შ. (მერაბიშვილი, 153).

ფსიქოლოგები განსხვავებულ პოზიციებს ავლენენ იმის თაობაზე, არის აგრესია თანდაყოლილი თუ შეძენილი.

ზ. ფროიდის მიხედვით, ადამიანი ბუნებით აგრესიულია და მხოლოდ საზოგადოებრივი კანონები ან წესრიგი ალაგმავს ან სუბლიმაციას უკეთებს მის თანშობილ აგრესიულ ინსტინქტებს. იგი საუბრობს სიკვდილის ინსტინქტზე, რომელიც განაპირობებს ნგრევას, მკვლელობას, თვითმკვლელობას და ა.შ. საზოგადოების მნიშვნელოვანი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ დაარეგულიროს ეს ინსტინქტი, აგრეთვე დაეხმაროს ადამიანებს სუბლიმაციის განხორციელებაში.

ბიჰევიორიზმის შეხედულებით, ადამიანის აგრესიაში უფრო მნიშვნელოვანია დასწავლა. ის არის შეძენილი. ამის საილუსტრაციოდ მოაქვთ ინდიელ ირიკეზებზე სოციალური ზემოქმედების მნიშვნელობა. ეს ტომი ასწლეულების განმავლობაში გამოირჩეოდა მშვიდობისმოყვარეობით. ისინი ნადირობით ირჩენდნენ თავს. მაგრამ მე-17 საუკუნიდან ისინი გადაიქცნენ აგრესიულ მებრძოლებად. ამის მიზეზი გახდა ევროპიდან გადმოსახლებულებთან ბეწვეულით ვაჭრობისას მეზობელ გურენების ტომთან კონკურენცია (მერაბიშვილი, 155).

მეორე მხრივ, ცნობილია მრავალი პირველყოფილი ტომი, მაგალითად, ლეპჩა, პიგმეი, არაპეშა და სხვა, რომლებიც ინარჩუნებდნენ მეგობრულ ურთიერთობას როგორც თანატომელებთან, ისე სხვებთან. ცივილიზებულ საზოგადოებასთან შედარებით, მათი მხრიდან აგრესიის აქტები იშვიათობას წარმოადგენს.

არის თუ არა აგრესია აუცილებელი? ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ აგრესიის განსაზღვრული ფორმები სასარგებლოა და აუცილებელიც კია. ზ.ფროიდის, ე. ფრომისა და სხვათა მიხედვით, აგრესიის სრული აღკვეთა არ არის საჭირო, რამდენადაც თითქოს ამითაა განპირობებული მოხერხებულობა, ნებისყოფიანობა, აქტიურობა და სხვა დადებითი მოვლენები.

ამის გამო დგება აგრესიის ზომიერი კონტროლის ამოცანა, რაც გამოიხატება უარყოფითი მხარეების აღკვეთაში და დადებითი მხარეების განვითარებაში. მიაჩნიათ, რომ დადებითი აგრესია განაპირობებს წარმატებებს მეცნიერებაში, სპორტში, შრომაში და, საერთოდ, კონკურენტებზე გამარჯვებაში.

სწორედ ამ ფონზე, სამწუხაროდ, ხშირად ხდება აგრესიის სხვადასხვა ფაქტორებით გამართლება: 1) ომი პროგრესია და საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ განვითარებას უწყობს ხელს; 2) ძალადობის აქტების ყურება და მათში მონაწილეობა კათარზისს ეხმარება; 3) პასუხისმგებლობის გადაბარება, რომ თითქოს აგრესიულ აქტს მხოლოდ მორჩილებისა და ბრძანების გამო ასრულებენ ადამიანები; 4) იმით თავის მართლება, რომ დამნაშავეებს სასტიკად უნდა გაუსწორდე, რათა ყველასთვის სამაგალითო იყოს, რომ მათ აღარ ჩაიდინონ დანაშაული და ა.შ. 5) ზოგი ამ მხრივ უფრო შორსაც მიდის და თვით ბიბლიას იშველიებს: „ჩემი არს შურისგება და მე მივაგო“, ან იშველიებენ იესო ქრისტეს სიტყვებს: „არა მშვიდობა, არამედ მახვილი“.

ხშირად ნარკოტიკებით გაბრუებას, აგრესიულობას, ნევროტულობას თუ ფსიქიკურ აშლილობას იმითაც ამართლებენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანები ვერ შეძლებდნენ წარმატების მიღწევას, ვერ გახდებოდნენ ცნობილი და სახელგანთქმული მუსიკოსები, მხატვრები, მწერლები თუ სხვა სახის საზოგადო მოღვაწეები. მათ თითქოს ეს გამოხატულებები ეხმარებათ შემოქმედებაში.

შესაძლოა აგრესია ზოგ შემთხვევაში წარმატებასთან იყოს დაკავშირებული, რაც ზოგიერთი ნევროტული ადამიანის წარმატებულ მოღვაწეობაში ვლინდებოდეს, მაგრამ ამას უფრო ერთეული ხასიათი

აქვს და ძირითადად აგრესია დაკავშირებულია ნგრევასთან, დესტრუქციასთან, ნეგატიურ ფაქტორებთან.

თემატიკის მნიშვნელობიდან გამომდინარე გვინდა გამოვკვეთოთ და შევისწავლოთ ტიპოლოგიათა პიროვნული თავისებურებები და ნევროტულობის სტატუსი.

1) აგრესია ნევროტულობის და ფსიქიკური აშლილობის დროს ყველა შემთხვევაში შემხვედრი გამოხატულებაა, ამიტომ როცა ტიპოლოგიების ნევროტიზაციაზე ვსაუბრობთ, მისი როლი ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული იქნება.

2) საინტერესოა, ვისაუბროთ აგრესიის გამოვლენის ორ ფორმაზე: გარეთ და შიგნით მიმართულ აგრესიაზე. როცა აგრესია გამოხატულია და ჩანს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ასეთ დროს გვაქვს სახეზე აგრესია, ის შესაძლოა გარეგნულად არ ჩანდეს, მიმართულების ვექტორი შიგნით იყოს წარმართული და ვლინდებოდეს შიშებში, აკვიატებულ ქმედებებში, ფსიქოსომატურ ჩივილებში და ა.შ. რადგან ექსტრავერტი გამოხატული გარეთ ორიენტირებული ტიპია, შესაძლოა მისთვის გარე მიმართულების აგრესია იყოს დამახასიათებელი, ხოლო ინტროვერტი, რომელიც შიგნით ორიენტირებული ტიპია, მისთვის აგრესიის ვექტორი შიგნით იყოს მიმართული. ინტროვერტის მახასიათებლები სიდინჯე და გაწონასწორებულობა გარეგნულად სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის მშვიდია და აგრესიისაგან თავისუფალი.

3) აქვე, მნიშვნელოვანია ტიპოლოგიის მიხედვით სოციალური განწყობის დადგენა. რამდენად განსხვავებული იქნება გარკვეული თემატიკის მიმართ ექსტრავერტისა და ინტროვერტის შეფასებები და ამ შეფასებათა ინტენსივობები.

4) შესაძლო სქესობრივი განსხვავებების დადგენა. რა სახის განსხვავებებს ვხვდებით ინტროვერტ ქალსა და კაცს და ასევე ექსტრავერტ ქალსა და კაცს შორის პიროვნული თავისებურებების თვალსაზრისით.

აღნიშნული საკითხების შესასწავლად გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები:

1) აიზენკის ტიპოლოგიის და ნევროტულობა — სტაბილობის განმსაზღვრელი კითხვარი [Eysenck Personality Questionnaire (EPQ)] არკვევს ექსტრავერსია — ინტროვერსიის დონეს და ნევროტულობა — სტაბილობის დონეს; აიზენკის კითხვარის ადაპტაცია -სტანდარტიზაცია (არუთინოვი; გრიგოლავა);

2) აგრესიის კვლევის კითხვარი [Bass and Dark Aggression Research Test] არკვევს აგრესიის დონეს, ინტენსივობას და მიმართულების ვექტორებს; ბასისა და დარკის აგრესიის საკვლევი კითხვარის ადაპტაცია — სტანდარტიზაცია (არუთინოვი, გრიგოლავა);

3) ლაიკერტის ინტერვალების მეთოდი [Likert Interval Scale].

სოციალური განწყობის საკვლევად ავირჩიეთ დამოკიდებულება სპორტისა და სპორტსმენების მიმართ. განწყობის სკალის შესადგენად გამოვიყენეთ ლაიკერტის ინტერვალების სკალა -3-დან +3-მდე. სკალის შესაბამისად გამოყოფილია ურთიერთსაპირისპირო დებულებები სპორტის თემის შესახებ (-3; -2; -1; 0; +1; +2; +3).

კვლევა ჩატარდა 190 ცდისპირზე: 40 მამაკაცი და 150 ქალი. შერჩეული იქნა 85 ძლიერად გამოხატული და ტიპური ექსტრავერტი-ინტროვერტი, 20 მამაკაცი და 65 ქალი.

სახეზეა გამოკვლევის შემდეგი მონაცემები:

ნევროტიზმის, აგრესიის და სოციალური განწყობის მაჩვენებლები ტიპოლოგიის მიხედვით

პარამეტრები	ექსტრავერსია	ინტროვერსია	კაცები	ქალები
წევროტიზმი	12.7	12.9	13.3	12.6
ფიზ. აგრესია	**5.7**	4.5	**6.3**	4.9
ირიბი აგრესია	5.5	5.1	5.3	5.3
გაღიზიანება	4.8	6.1	4.5	5.6
წეგატივიზმი	3.2	2.7	3.4	2.9
წყენა	3.8	4	3.8	3.9
ეჭვიანობა	3.5	4.4	3.8	3.9
ვერბალური	**8.2**	6.4	**8.2**	7.2
დაწაშაულის გაცდა	**6.4**	**6.8**	**6.3**	**6.6**
სოციალური განწყობა	1	0.4	0.7	0.7

აღსანიშნავია, რომ ნევროტიზმის მაჩვენებლის მხრივ, ტიპებს შორის განსხვავება არ შეინიშნება, თუმცა ორივე მაჩვენებელი ნორმატულზე მაღალია.

აგრესიის ფორმებით ექსტრავერსია გამოირჩევა ფიზიკური, ვერბალური აგრესიით და დანაშაულის განცდით, ხოლო ინტროვერსია — დანაშაულის განცდით. ასევე აგრესიის დანარჩენი მაჩვენებლებითაც ტიპები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

სოციალური განწყობის პარამეტრში ექსტრავერტები ინტროვერტებთან შედარებით ბევრად პოზიტიურად არიან განწყობილნი სპორტისა და სპორტსმენების მიმართ.

გენდერული ფაქტორის მიხედვით, ნევროტიზმის დონე მამაკაცებში უფრო მაღალია, ვიდრე ქალებში. აგრესიის თვალსაზრისით, მამაკაცებში წამყვანია ფიზიკური, ვერბალური აგრესია და დანაშაულის განცდა, ხოლო ქალებში — დანაშაულის განცდა. რაც შეეხება სოციალურ განწყობას, მაჩვენებლები იდენტურია.

აგრესიის და სოციალური განწყობის მაჩვენებლები მაღალი და დაბალი ნევროტიზმის დროს

პარამეტრები	მაღალი ნევროტიზმი	დაბალი ნევროტიზმი
ნევროტიზმის საშ. მაჩვენებ.	19.5	6.6
ფიზ. აგრესია	6.6	5.4
ირიბი აგრესია	6.4	4.8
გაღიზიანება	7.5	4.3
ნეგატივიზმი	3.5	3.3
წყენა	5.1	3.8
ეჭვიანობა	5.7	3.3
ვერბალური	8.7	6.8
დანაშაულის განცდა	8.1	5.3
სოციალური განწყობა	0.7	0.4

აღსანიშნავია, რომ მაღალი ნევროტიზმის შემთხვევაში აგრესიის თითქმის ყველა სკალაზე მაღალი მაჩვენებლები გვხვდება, წამყვანია ფიზიკური, ვერბალური აგრესია, გაღიზიანება, წყენა და დანაშაულის განცდა, ხოლო დაბალი ნევროტიზმის დროს გამოხატულია მხოლოდ დანაშაულის განცდა, რომელიც თავისთავად ასევე მნიშვნელოვნად დაბალია მაღალი ნევროტიზმის ამავე მაჩვენებლისაგან.

მაშასადამე, კვლევის შედეგებით ვლინდება ნევროტიზმის დონის ზრდის ტენდენცია ნორმატულ მაჩვენებლებთან შედარებით, აგრესიის თვალსაზრისით კი, მკვეთრად არის გაზრდილი დანაშაულის განცდის დონე ყველა ტიპისა და ფაქტორის შესატყვისად.

ექსტრავერსია-ინტროვერსიის მონაცემები ნაწილობრივ ამართლებს ჩვენ ჰიპოთეზას იმასთან დაკავშირებით, რომ ექსტრავერტებისათვის უფრო გამოხატული იქნება გარეთ მიმართული აგრესიის ფორმები, ხოლო ინტროვერტებისათვის — აუტოაგრესია. ასევე სოციალური განწყობის მხრივ, გამართლდა ჩვენი ვარაუდი, რომ ინტროვერტები უფრო პრეტენზიულები და კრიტიკულები არიან ექსტრავერტებთან შედარებით.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1) მერაბიშვილი გ., ფსიქიკური სიჯანსაღის ფორმულა; ანთროპოანალიზი. თბილისი, 2005

2) არუთინოვი ლ., გრიგოლავა ა., ბასისა და დარკის აგრესიის საკვლევი მეთოდის ადაპტაცია. ვლ. ნორაკიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. თბილისი, 1999

3) არუთინოვი ლ., გრიგოლავა ა., დ. უზნაძის გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები. თბილისი, 2001.

თ. მერაბიშვილი

აგრესია, სოციალური განწყობა და ტიპოლოგია

რეზიუმე

ადამიანთა ტიპოლოგიური თავისებურებების დადგენას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჩვენი ყოფაცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. რამდენადაც სხვადასხვა ტიპის ადამიანები განსხვავებული მონაცემებით ხასიათდებიან, ამდენად დიფერენციული უნდა იყოს მათდამი მიდგომა და მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები.

აგრესია არის ნევროტულობის და ფსიქიკური აშლილობის დროს ყველა შემთხვევაში შემხვედრი გამოხატულება, ამიტომ როცა ტიპოლოგიების ნევროტიზაციაზე ვსაუბრობთ, აგრესიის როლი ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული იქნება.

კვლევის მიზანი იყო გამოხატულ, ტიპურ ექსტრავერტ-ინტროვერტებთან აგრესიის ფორმებისა და ინტენსივობის კვლევა; ასევე ამავე ტიპოლოგიის მიხედვით სოციალური განწყობის კვლევა, რამდენად განსხვავებულია გარკვეული თემატიკის მიმართ მათი შეფასებები და ინტენსივობები.

ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევით მივიღეთ განსხვავებული მონაცემები როგორც ტიპოლოგიის, ასევე გენდერული ფაქტორის მიხედვით.

T. Merabishvili

Aggression, Social Attitude and Typology

Summary

Identification of human typological peculiarities has great practical meaning in every sphere of our life. As different types of people are characterized with different specifications, the treatment and claims should be different towards them.

Aggression is the specification in each neurotic and psychic disorder case, so its role is very important when we talk about typological neurotization.

The aim of the reasearch was searching aggression forms and intension among typical extraverts and introverts, as well as searching social set, how different their attitude measurement and intension is towards the concrete subject.

The experimental search showed us different datas according to as typological as gender factors.

თ. მერაბიშვილი

ენა და მეტყველება თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიათა ჭრილში

ყოველი ინდივიდი ენას იყენებს სწორედ თავისი განუმეორებელი თვითმყოფადობის გამოსახატად; ენა არის სუბიექტურის ობიექტურში გარდასახვის საშუალება, ამიტომ ენა უნდა განიხილებოდეს არა როგორც მკვდარი პროდუქტი, არამედ როგორც შემოქმედებითი პროცესი. ცნებები „ენა“ და „მეტყველება“ გამიჯნა ფერდინანდ დე სოსიურმა როდესაც გაყო ცნება „ენა“ (langue) და „მეტყველება“ (parole), როგორც ერთობლიობაში არსებული მრავალსახოვანი და ურთიერთსაპირისპირო „სამეტყველო მოვლენების“ ორი პოლარული ფორმა. სოსიურის გაგებით, ენა არის „აღნიშნულის“ და „აღმნიშვნელის“ ერთობლიობა, რომლის რეალიზაცია სამეტყველო ჯაჭვში წარმოადგენს მეტყველების არსს, ხოლო მეტყველება არის ენის მეშვეობით აზრის გამოხატვის საშუალება, ენობრივი პოტენციის რეალიზება. მეტყველებისთვის დამახასიათებელია კომბინაციის თავისუფლება. ყველა ლინგვისტური ერთეული არის ენისა და მეტყველების ერთეული: ერთი მხრივ ისინი მიმართულია ენისკენ, მეორე მხრივ – მეტყველებისკენ, მეტყველების ერთეულები არის ენის ერთეულების რეალიზაციის არსი ცნობილმა ამერიკელმა ლინგვისტმა ნ. ხომსკიმ წამოჭრა ენობრივი კომპეტენციისა და ენობრივი შესრულების (competence and performance) შეპირისპირების საკითხი, რომელიც წარმოადგენს ენისა და მეტყველების ოპოზიციის ანალოგს.

კვლევის ცენტრმა გადახრა დაიწყო სამეტყველო ქმედების მხარეს, ლაპარაკისა და გაგების პროცესის ანალიზისკენ, გამონათქვამების აგების, ტექსტებისა და დისკურსისკენ. ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზეც აქტუალურია ბუნებრივი ადამიანური ენის ადეკვატური დახასიათებისა და მისი ანალიზის მეთოდების, ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპის შემუშავება, რომელიც შეძლებს გააერთიანოს ენობრივი სისტემა და სამეტყველო ფუნქციონირება. უახლეს ლინგვისტიკაში არსებობს რამდენიმე ათეული მსხვილი გლობალური თეორია და ჰიპოთეზა, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ან თანამშრომლობენ, მაგრამ მათ აერთიანებთ მეცნიერული ძიება ამ გლობალური პრობლემის გადასაწყვეტად.

თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ინტერდისციპლინარულობა ენობრივი პროცესების გააზრებისას: ენა მეტისმეტად რთული ორგანიზმია. სამეცნიერო შრომებში ენა აღიარებულია ადამიანური არსის ერთ-ერთ ძირითად გამოვლინებად, რაც მას ორგანზომილებიანი ბუნების სამეცნიერო ობიექტად აქცევს. რჩება რა დაკვირვებისთვის ხელმისაწვდომი, ის შეიძლება აგრეთვე გაგებული იყოს როგორც „იდეალური“ ბუნების ობიექტი. მეტყველება არის არამარტო ლინგვისტების (ფსიქოლინგვისტების, სოციოლინგვისტების, ნეიროლინგვისტების, კოგნიტივისტების, ფონეტიკოსების, სტილისტიკის სპეციალისტების) შესწავლის ობიექტი. მას ასევე შეისწავლიან ფსიქოლოგები, ფიზიოლოგები, ლოგოპედები, კომუნიკაციის და ინფორმატიკის თეორიის სპეციალისტები უმაღლეს ნერვულ ქმედებაში, აკუსტიკაში. მეტყველების პრობლემები მოქცეულია ფილოსოფოსების, ლოგიკოსების, სოციოლოგების, ლიტერატურათმცოდნეების ყურადღების ფოკუსში. ლინგვისტიკის უახლეს ნაშრომებში ენა სულ უფრო ხშირად განხილულია როგორც ყოველგვარი კულტურის ფორმა, როგორც სოციალურისა და მენტალურის გამაერთიანებელი სივრცე, როგორც ფენომენი, რომელშიც უკვე ჩვენამდე აღბეჭდილია სამყაროს მრავალათასწლოვანი შეცნობა; სამყარო ასახულია ენაში; გარკვეული აზრით სამყარო და მისი ასახვა ენაში რაღაც ერთიანია. ენა გაიგება როგორც მსოფლიო უნივერსალია, რომელიც უერთდება რა სხვა უნივერსალიას – აზროვნებას, აყალიბებს ხალხებს შორის ურთიერთობის და გაგების უნიკალურ და სრულყოფილ ხერხს–მსოფლმხედველობას. ზუსტად ამიტომ მიჩნეულია, რომ ენა კულტურისადმი იმანენტურია; ის სოციალურია, რაც ხდის მას შედარებით დამოუკიდებელს ცალკეული ინდივიდის სამეტყველო აქტივობისგან – ენა ეძლევა ინდივიდს საზოგადოების მიერ. ენის როგორც ნიშანთა სისტემის, სიტყვიერი კოდის, შინაარსის მატერიალური გარსის განსაზღვრება ჭარბობს მის შინაარსობრივ გახსნას და მხოლოდ მეტყველებაში, ჰაიდეგერის ხატოვანი განსაზღვრებით, „ენა ხდება აზრის არტიკულირებული გახმოვანება“ .

ენისა და მეტყველების ერთობა რეალიზდება სამეტყველო ქმედებაში. მეტყველება გაიგება როგორც ინდივიდუალური ცხოვრების ფენომენი, ხოლო მისი ძირითადი სუბიექტი კონკრეტული ადამიანია.

სამეტყველო აქტი არის მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიკური მოვლენა. მაგრამ ენას, სიტყვას ამ აქტში შეაქვს კულტურული, სოციალური საწყისი: ენა აობიექტურებს აზრს. აზრი სიტყვის საშუალებით იდეალიზდება და თავისუფლდება უშუალო გრძნობითი აღქმის გავლენისგან. ენა იმიტომაც არის ხალხის პროგრესის პირობა, რომ იგი ცალკეული პირის აზრის ორგანოა. მეტყველება რეალიზდება არამხოლოდ როგორც სიგნიფიკაციის აქტი, არამედ როგორც ცხოვრებისეული მოვლენების თანმიმდევრობა. მეტყველებაში, მე-20 საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსის მ. მამარდაშვილის შენიშვნით, ხდება „შინაგანის ამობრუნება და გარეგანის ჩაბრუნება, ეს არის ადამიანის საკუთარ თავთან მიმართებაში შეზრდილი სფერო“ (Мамардашвили, 93). სამეტყველო ქმედება არის ერთიმეორის მონაცვლე ლაპარაკის, მოსმენის, გაგების, განზოგადების, გახსენების პროცესები, რომელშიც ენის სისტემიდან სამეტყველო ტექსტებზე ხდება გადასვლა. მეტყველების როგორც ფენომენის კვლევისას განისაზღვრება ისეთი ცნებები, როგორიცაა „სამეტყველო ქცევა“, „სამეტყველო ქმედება“, „სამეტყველო ექსპრესია“. თუმცა ფსიქიკური შინაარსი ინდივიდუალურ მეტყველებაში აღიარებულია იმდენად არსებითად და იმდენად შერწყმულად მის ექსპლიციტურ გეგმასთან, „რომ ფსიქოლოგიურად უფრო სწორი იქნება ვილაპარაკოთ მეტყველებაზე როგორც ცხოვრებაზე, ხოლო მისი მოდელირებისას გამოვიყენოთ მეტყველებისა და ენის განსხვავებისა და სასიცოცხლო ერთობის აღდგენის ხერხი“ (Звегинцев, 522).

ენა ერთვება მეტყველებაში არა როგორც მთლიანი სტრუქტურა, არამედ ფრაგმენტულად, ცალკეული მწყობრი ელემენტებით, რომლებიც ირჩევა შეტყობინების საჭიროების შესაბამისად და იღებს მეტყველებაში თავის განსაკუთრებულ, მოცემული ტექსტისთვის სპეციფიკურ წყობას სიტყვა (ენის ერთეული) გამოიყენება ინდივიდის მიერ, რათა სამეტყველო გზით გამოავლინოს თავისი ცოდნა და სუბიექტური დამოკიდებულება აღსანიშნავ რეალიის მიმართ, საკუთარი კავშირი სინამდვილის მოცემულ ფრაგმენტთან.

მეტყველება ინდივიდუალურია და ყოველ ჯერზე ის არის ენის, როგორც ცალკეული ინდივიდების ურთიერთობის საშუალების ახლებური გამოყენება. მეტყველება წყაროა ყველა იმ სუბიექტურისა, რაც ენის ობიექტურ სისტემაში აღწევს. ის არხია, რის საშუალებითაც ადამიანის პრაქტიკული გამოცდილება შედის ენაში.

ენისა და მეტყველების იდეების განვითარების შედეგად ლინგვისტიკაში ჩამოყალიბდა ამ ცნებების ოპოზიციებში წარმოდგენის ტრადიცია (მაგ. სქემა და უზუსი, კოდი და შეტყობინება, კომპეტენცია და გამოყენება და ა.შ.). მეცნიერთა მიერ მოყვანილი დიქოტომიური ფორმულები დაფუძნებულია ენათმცოდნეობის განვითარების შესაბამისი ეტაპის ზოგადმეცნიერულ პრინციპებზე, ხოლო ტერმინების ცნებითი შევსება ვარირებს ცალკეული სამეცნიერო სკოლის მიერ მათი გაგების შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ ამ შეფარდებით ცნებებში გამოიყოფა მათი გამაერთიანებელი მახასიათებლებიც, მაგალითად, სტატიკური და დინამიკური ასპექტები. თანამედროვე ენათმცოდნეობაში აღიარებულად ითვლება, რომ მეტყველების დინამიკური მხარე შეესაბამება შემოქმედებითს, მისი მახასიათებლების მთელი სისრულით (ფიზიკურის, ფსიქიკურისა და სოციალურის); მეტყველების სტატიკური მხარე შეესაბამება სამეტყველო ქმედებიდან გამოყოფილ და ამა თუ იმ ხერხით დაფიქსირებულ ტექსტს, დისკურსს. ქვემოთ მოყვანილია ჩვენ მიერ შედგენილი ცხრილი, სადაც სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ოპოზიციაში წარმოდგენილია ენისა და მეტყველების ძირითადი მახასიათებლები. ბუნებრივია, რომ ცხრილში შეყვანილ ოპოზიციებს აქვს შედარებითი ხასიათი. მთავარი კი არის შემდეგი: „ენისა და მეტყველების გამიჯვნა განისაზღვრება სხვადასხვანაირად, მაგრამ როგორც არ უნდა განისაზღვრებოდეს, „არც ერთს და არც მეორე რეალიას არ შეუძლია არც არსებობა და არც ფუნქციონირება...“ (Звегинцев, 88).

ცხრილი № 1

ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება	მეტყველება, როგორც ქმედება
იდეალური და მატერიალური ბუნების ობიექტი	მატერიალურია(მეტყველების იდეალურ მხარეზე როცა საუბრობენ, გულისხმო-ბენ შინაგან მეტყველებას)
სოციალურ-კულტურული საკუთრება.	ფუნქციური სისტემა. (ენობრივი სისტე-მის რეა-

(იგი არის ნიშანთა სისტემა, რეგუ-ლირდება ნორმებით)	ლიზაცია); უშვებს სამეტყველო მოქმედებისას შემთხვევითობის ელე-მენტებს, ანდა ნორმების განზრახ დარღვევას
სისტემის ნიშნები არის შემეცნების საშუალება („ყოველგვარი აზრი არის ნიშანი„: „Collected Papers of Charles S. Peirce“, I, § 538).	ნიშნები არის ურთიერთობის საშუალება („инструментальная функция знака„: Л. С. Выготский, 1960,160)
არამიზანმიმართული, მაგრამ ფუნქციონალური (კომუნიკაციური, კოგნიტიური, რეგულაციური და ენის სხვა ფუნქციები)	ინტენციონალური
აქვს დონებრივი ორგანიზაცია	სწორხაზოვანი; არსებობს ზეპირი და წერილო-ბითი ფორმით
არსებობის ცალკე აღებული პერიოდი სტაბილუ-რია	დინამიკური (შესაძლებელია იყოს სტატიკური, თუ სამეტყველო ნაკადიდან გამოყოფილი და დაფიქსირებულა მისი ფრაგმენტი[1].
ობიექტური მოცემულობა, სოციალურია	სუბიექტური, ინდივიდუალური
აფიქსირებს მოცემულ ლინგვოკულტუ-რაში ფორმირებულ სამყაროს ენობრივ სურათს	ასახავს ენობრივი ცნობიერების ცალ-კეული მა-ტარებლის ინდივიდუალურ გამოცდილებას
არ შეიძლება შეფასდეს ჭეშმარიტება/ტყუილის პოზიციიდან	შესაძლებელია შეფასდეს ჭეშმარიტება/ტყუი-ლის პოზიციიდან

კ. ბიულერმა ააწყო რა ენის ფუნქციონალური მოდელი, მიუთითა მის სამ ფუნქციაზე – ასახოს სამ-ყარო, გამოხატოს მოსაუბრის შინაგანი სამყარო და მსმენელისკენ აპელირება (Бюлер,35).მაშასადამე, ბი-ულერის მიხედვით ენის წამყვანი ფუნქციაა კომუნიკაციური ფუნქცია. ის რეალიზდება სამეტყველო აქ-ტში, რომელიც აერთიანებს კომუნიკაციის პირობებს, კომუნიკაციის ამოცანებს, რომლებიც ყოველგვარი სამეტყველო აქტის დეტერმინანტია.

უახლეს ლინგვისტიკაში ენა და მეტყველება განიხილება, როგორც ადამიანური ენის ერთიანი ფე-ნომენი: ენა მხოლოდ მაშინ არის ენა, როდესაც ის გამოიყენება მეტყველებაში, რომელიც ითხოვს აზრის აუცილებელ მონაწილეობას. ენა მხოლოდ მეტყველებით ახდენს თავისი კომუნიკაციური დანიშნულების რეალიზაციას. სწორედ ენა აძლევს ადამიანს საშუალებას, დაამყაროს კონტაქტი სხვა ადამიანთან, იმოქ-მედოს მასზე, გადასცეს ემოციები, აღწეროს და შეასრულოს სხვა ურთულესი ფუნქციები. ენა, კომუნიკა-ციური ფუნქციონალიზმის თეორიის თვალსაზრისით, შესწავლილი უნდა იქნას ადამიანურ კომუნიკაცია-ში თავისი როლის კუთხიდან და განიხილებოდეს როგორც კომუნიკაციის სისტემა, იმიტომ, რომ ენა არის ადამიანებს შორის სამეტყველო ურთიერთქმედების, მათი ფუნქციის შესრულების ინსტრუმენტი. თანა-მედროვე პრაგმატიკაში კვლევები მიმდინარეობს კატეგორია „სუბიექტის“ გამოყენებით, რომელიც ასე განიმარტება: 1) შემმეცნებელი და მოქმედი ადამიანი გარე სამყაროს როგორც შეცნობისა და გარდასახ-ვის ობიექტის საპირისპიროდ მდგარი; 2) ქვემდებარე – წინადადების სუბიექტი. ფართო გაგებით, ლინ-გვისტური ანალიზი არის გამონათქვამის აგების სუბიექტურ-პრედიკატული ანალიზი. მაგრამ გამოთ-ქმის, ნებისმიერი დისკურსის, ავტორი თვითონ არის შემოქმედების სუბიექტი. ამიტომ, როგორც წარმოგ-ვიდგენია, ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემის ერთ-ერთი აქცენტის სახით შეიძლება გავა-ანალიზოთ კონკრეტულ ენობრივ ნიშანსა და მოლაპარაკეს შორის პრაგმატული კავშირის სპეციფიკაც.

მეტყველება გასაგები უნდა იყოს ადრესატისათვის, ამასთან, მეტყველების აღქმის გასაღები არის მოსაუბრეთათვის საერთო ..ზეინდივიდუალური“ ენა. ასევე, ცოდნის საერთო ფონი და ირიბი აზრების გაგების წესების ფლობა. გარკვეულწილად, „გაგებისა და ლაპარაკის ინტერესები საპირისპიროა„(Л.В. Щерба, 37). ამიტომ სამეტყველო კომუნიკაციისას „ენა გამოდის როგორც თავისუფლების აუცილებელი ზღვარი“ (E. *Coseriu,* 195). ენის ფუნქცია, როგორც სამეცნიერო ცნება არის ენის არსის პრაქტიკული გა-მოვლენა, მისი დანიშნულების რეალიზაცია საზოგადოებრივ მოვლენათა სისტემაში. სამეტყველო ქმედე-

[1]ამის საფუძველზე, როგორც მითითებულია ლინგვისტურ-ენციკლოპედიურ ლექსიკონში, მეტყველების ლინგვისტიკა იყოფა ორ ურთიერთშემავსებელ დარგად: სამეტყველო ქმედების თეორია და სამეტყველო აქტები, რომლებიც აანალიზებს მეტყველების დი-ნამიკასა და ტექსტის ლინგვისტიკას, მიმართულს მეტყველების სტატიკურ ასპექტთან (ЛЭС, გვ. 415).

ბის დინამიკაში ენის ფუნქციის შესწავლა ენის არსის შეცნობის შესაძლებლობას აფართოებს. ენის მატარებელი კი ადამიანია, რომელიც ანტიკური დროიდან მოყოლებული აღიარებულია ყველა რეალიის საზომად.

მაშასადამე, ლინგვისტიკა შეისწავლის ორ სხვადასხვა მოვლენას – ენასა და მეტყველებას, მაგრამ ეს მოვლენები ურთიერთდაკავშირებულია და ურთიერთდამოკიდებულია. ენისა და მეტყველების ერთობაში რეალიზდება ენის, როგორც ადამიანური ფენომენის, ორმაგი ბუნება, რომელიც ადამიანურ საზოგადოებაში განსაზღვრულ ფუნქციებს ასრულებს და ამისთვის ფლობს შესაბამის საშუალებებს. თანამედროვე ლინგვისტიკას დიქოტომიაში ენა-მეტყველება შეაქვს მესამე ელემენტი –აზრი, რისი მონაწილეობის გარეშეც შეუძლებელია მეტყველება, როგორც ენის მატერიალიზება. ანთროპოლოგიური მიდგომით, რომელიც თანამედროვე ლინგვისტური კვლევებისთვისაა დამახასიათებელი, ენა და მეტყველება გაგებულია როგორც ერთიანი ადამიანური ფენომენი, რომელიც არსებობს სოციუმის კოლექტიურ ცნობიერებაში, საზოგადოების ყოველი წევრის ენობრივ კომპეტენციაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. გამყრელიძე თ., „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, თბ., 2003.
2. Звегинцев В. А., Предложение и его отношение к языку и речи, М, 1976.
3. Мамардашвили М.К., Лекции по античной философии, М.1997.
4. Щерба Л. В., Языковая система и речевая деятельность, М.1974.
5. Buhler Karl,Theory of Language, English Version,1990.
6. Coseriu E., Trends in Structural Semantics, 1981.

თ. მერაბიშვილი

ენა და მეტყველება თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიათა ჭრილში

რეზიუმე

სტატია ეძღვნება ენას, როგორც ყოველგვარი კულტურის ფორმას, როგორც სოციალურისა და მენტალურის გამაერთიანებელ სივრცეს, როგორც ფენომენს, რომელშიც უკვე ჩვენამდე აღბეჭდილია სამყაროს მრავალათასწლოვანი შეცნობა. სტატიაში ხასგასმულია, რომ უახლეს ლინგვისტიკაში ენა და მეტყველება განიხილება, როგორც ადამიანური ენის ერთიანი ფენომენი. ენა მხოლოდ მაშინ არის ენა, როდესაც მას შეუძლია შემოვიდეს მეტყველებაში, რომელიც ითხოვს აზრის აუცილებელ მონაწილეობას. ის მხოლოდ მეტყველებით ახდენს თავის კომუნიკაციურ დანიშნულებას. ენა, ეს არის გონებრივი თეზაურუსი, რომელიც ორგანიზებას უწევს ადამიანის ცოდნას სიტყვებისა და სხვა ვერბალური სიმბოლოების გამოყენებას, მათ მნიშვნელობისა და რეფერენციების შესახებ; ენისა და მეტყველების ერთობა რეალიზდება სამეტყველო ქმედებაში. მეტყველება გაიგება როგორც ინდივიდუალური ცხოვრების ფენომენი, ხოლო მისი ძირითადი სუბიექტი კონკრეტული ადამიანია. ენისა და მეტყველების იდეების განვითარების შედეგად ლინგვისტიკაში ჩამოყალიბდა ამ ცნებების ოპოზიციებში წარმოდგენის ტრადიცია

მთავარი კი არის ის, რომ ენისა და მეტყველების გამიჯვნა განისაზღვრება სხვადასხვანაირად, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, არც ერთს და არც მეორე რეალიას მარტო არც არსებობა და არც ფუნქციონირება შეუძლია.

T. Merabishvili

Language and Speech in the Light of Contemporary Linguistics

Summary

The article deals with a language as a universal cultural form, a space of uniting social and mental, as a phenomenon which reflects ancient cognition of the universe. The article emphasizes discussion of a language and speech as a unified reality. A language exists, when it can be implemented in speech that demands conceptual involvement. A language covers its usage due to speech, this is a cognitive thesaurus, organizing a human knowledge via lexical units and various verbal symbols. The unity of a language and speech is realized in a speech act. Speech is understood as a phenomenon of unique existence and its major agent – an individual. According to development of ideas of a language and speech, a tradition of their reality has been formed. Despite, various definitions none of the realities can exist or operate solely.

თ. ტუხაშვილი

თირკმლის დონორთა ფსიქოლოგიური ასპექტები: მოტივაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესი

„თირკმლის ტრანსპლანტაციის ჩვენება“ — ეს არის ე.წ. თირკმლის ქრონიკული უკმარისობის ბოლო სტადია, რაც გულისხმობს იმას, რომ არცერთი თირკმელი არ უნდა ფუნქციონირებდეს ადეკვატურად- თირკმლები დაკისრებულ ფუნქციებს ვერ უნდა ასრულებდნენ. ერთი რომელიმე თირკმლის უკმარისობა ან მისი უფუნქციობა არ არის თირკმლის ტრანსპლანტაციის ჩვენება, რადგან ერთი თირკმლის 25% საკმარისია იმისთვის, რომ უზრუნველყოს ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირება. ზოგადად, თირკმლის ტრანსპლანტაცია უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგს და ცხოვრების მაღალ ხარისხს.

ცოცხალი დონაციის უპირატესობა გვამურთან შედარებით, მდგომარეობს შემდეგში: უკეთესი დონორის შერჩევა, დონორთა ფსიქოლოგიური შეფასების შესაძლებლობა, დაგეგმილი ოპერაცია, ნაკლები პოსტოპერაციული გართულებები და უკეთესი შედეგის მიღება.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დონორთა ფსიქოლოგიურ შეფასებას, მათ შორის დონორთა მოტივაციასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რაც გარკვეულწილად გავლენას ახდენს დონორთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე ტრანსპლანტაციის შემდეგ. დღეისათვის მოწოდებულია დონორთა ფსიქოსოციალური გამოკვლევის რამდენიმე საერთაშორისო გაიდლაინი, რომელიც შეიცავს რეკომენდაციებს დონორთა გამოკვლევის მეთოდიკის შესახებ (Rodrigue JR, 234-240; Dew MA,… 1047-1054). თუმცა სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ დონორთა წინასწარი და პოსტ ოპერაციული გამოკვლევის უნიფიცირებული და სტანდარტიზებული სქემები ჯერ-ჯერობით შემუშავებული არ არის. შესაბამისად, კვლევის მეთოდები განსხვავებულია ქვეყნებსა და პროგრამებს შორის (Schroder NM, 135-140).

ზოგადად, ფსიქოსოციალური შეფასება უნდა მოიცავდეს: დონორის მოტივაციას, დონორის უნარის შეფასებას- მისცეს ინფორმირებული თანხმობა; დონორსა და მიმღებს შორის ურთიერთობას; დონორისა და მეუღლის შეთანხმებას; ემოციურ მდგომარეობას, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს დონაციაზე; ფინანსური სტიმულის როგორც მოტივაციის, არსებობას; ცოდნას ამ სახის ქირურგიული ჩარევის შესახებ; ფსიქიკური ჯანმრთელობის ისტორიასა და ამჟამინდელ სტატუსს (ფსიქიური დარღვევები, ნივთიერებათა ბოროტად გამოყენება, შემეცნების უნარი, სოციალური ისტორია და სხვ.) (Emma van Hardeveld, 58-65).

დონორთა მოტივაცია

„მოტივაციას ქმნის ის მოთხოვნილებები და სტიმულები, რომელიც ადამიანის მიერ არჩეულ ქცევის ფორმებს განსაზღვრავენ. არსებობს ადამიანის შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. შინაგანი მოტივაცია: რაიმე საქმიანობისადმი ლტოლვა საკუთარი მისწრაფების საფუძველზე მუშაობისაგან კმაყოფილების მიღების მიზნით. გარეგანი მოტივაცია: რაიმე საქმიანობისადმი ლტოლვა მხოლოდ გარედან ჯილდოს მიღების მიზნით“ (ახალაშვილი, 18).

ტრანსპლანტაციის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დონორთა მოტივაცია (Lennerling A,... 2004, 1600-1605; Lennerling A, 2003,1243-1247). ბევრი დონორი გამოთქვამს სურვილს მიმღების დახმარებაზე, რათა შეუმსუბუქოს მიმღებს ტანჯვა და ეს მიაჩნია ბუნებრივ რეაქციად. ზოგს მორალურ მოვალეობად მიაჩნია დახმარება — ანუ მათთვის ორგანოს გაცემა ვალდებულებაა. საუკეთესო ვარიანტში, დონორები გრძნობენ დიდ კმაყოფილებას და თვითშეფასების ამაღლებას, რადგან თვლიან, რომ გააკეთეს კეთილი საქმე. მეუღლის მოტივაცია შესაძლოა იყოს ცხოვრების თანამგზავრის გაუმჯობესებული ჯანმრთელობა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. მშობლისათვის მოტივაციაა დახმარების მორალური მოვალეობა-ვალდებულება. იშვიათად, მოტივაცია შეიძლება იყოს რელიგიური რწმენა ან დანაშაულის გრძნობა, რომელიც წარსულ ურთიერთობებეს ეხება. არის შემთხვევები, როდესაც დონორზე ხორციელდება ზეწოლა ოჯახის სხვა წევრებისაგან და შიშობენ, რომ, თუ არ გაიღებენ ორგანოს, ოჯახის წევრებთან დაეძაბებათ ურთიერთობა.

თუ თირკმლის გაცემა ხორციელდება ალტრუისტული მიზნით, დონორი ფასდება ფსიქიკური ჯანმრთელობისა და შესაძლო ზეწოლების გამოსავლენად, რის შემდეგაც ხდება ორგანოს მიღება ან უარყოფა (როდესაც ორგანოს გაცემა ხდება სრულიად უცხო პირისათვის, შემფასებელი კომისია ადგენს დონორის ვინაობას, მაგრამ იცავს ანონიმურობას. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, ფასდება დონორი, როგორც ფიზიოლოგიურად, ასევე ფსიქოლოგიურად. დონაციის ასეთ ფორმას ეწოდება ალტრუისტული შემოწირულობა).

არის შემთხვევები, როდესაც ოჯახის რომელიმე წევრი ქვეცნობიერად იდანაშაულებს თავს (თვითონ ჯანმრთელია, მისი ახლობელი კი არა) და დანაშაულის გრძნობა უბიძგებს ორგანოს გაცემისაკენ (Emma van Hardeveld, 815). ზოგჯერ რეციპიენტი თვითონ ირჩევს ოჯახის წევრს და დაჟინებით, მანიპულაციის გზით, თუმცა არაპირდაპირ, ითხოვს ორგანოს მიღებას. დონორის მოტივი, რომელიც მიზნად ისახავს შეუნარჩუნოს მიმღებს სიცოცხლე ან გაზარდოს მისი ცხოვრების ხარისხი, განიხილება, როგორც პოზიტიური. მოტივები კი, რომლებიც იწვევს ნეგატიურ ფსიქოსოციალურ შედეგს, უნდა შეფასდეს ყურადღებით. ესენია: დანაშაულის გრძნობა, ზეწოლა, იძულება, ვალდებულება ან სოციალური მოლოდინი, თვითშეფასების ამაღლება, აღიარების სურვილი, მიმღებთან კარგი ურთიერთობის აღდგენის სურვილი, მეორადი სარგებელი(სამხედრო სამსახურიდან თავის არიდება, ფინანსური ინტერესი მიმღებისაგან), უარის თქმის უუნარობა, გადამრჩენელის როლში ყოფნა, ფსიქოლოგიური პრობლემების ან ოჯახური კონფლიქტების გადაჭრის მიზნით ორგანოს გაცემა, რელიგიურობა. აღსანიშნავია, რომ „მერყევი დონორები ნაკლებად სასურველნი არიან ტრანსპლანტაციისათვის“.

სიმონსის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, აღმოჩნდა, რომ დონორთა 83%-ი „ეხმარება მიმღებს გადარჩენაში“, 78%-მა იგრძნო, რომ საკუთარი ცხოვრება გახადა უფრო მიმზიდველი, წარსული დანაშაულებრივი ქმედებების გამო შემოწირულობა(25%), უკმაყოფილების შიში მიმღების მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში(14%), ოჯახის მხრიდან ზეწოლა დახმარებაზე(43%). ბოლოდროინდელი კვლევები მეტყველებენ ალტრუისტული დონორობის დროს ჰუმანიტარული მოტივებით დახმარებაზე, როგორიცაა: მორალური ან რელიგიური ვალდებულება (Minz M, Udgiri N, Sharma A, ... 2005, 37; 2001, 3).

გადაწყვეტილების მიღების პროცესი

გადაწყვეტილების მიღების პროცესი ფსიქოლოგიურად რთულია. სკანდინავიურმა კვლევამ აჩვენა, რომ, მამაკაცების აზრით, დონაცია საგანგებო საჩუქარია, ქალები კი ფიქრობენ, რომ ის ოჯახური ვალდებულების შემადგენელი ნაწილია (Crouch RA, Elliott C., 275-287). ბევრი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების მიღება სპონტანურია, რომ, როგორც წესი, დონორები არ განიცდიან უარყოფით ემოციებს ოჯახურ ურთიერთობებში და კონფლიქტი დონორსა და ოჯახის წევრებს შორის იშვიათია (Schover LR, Streem SR, 157: 1596–1601). კვლევების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მშობელი დაუყოვნებლად იღებს გადაწყვეტილებას ორგანოს გაცემაზე შვილისათვის, ზოგიერთი მამა განიცდის ამბივალენტურ დამოკიდებულებას, რომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება (Heck G, Schweitzer J, ..716-721).

ცნობილია ისიც, რომ თირკმლის გაცემა არანათესავი, მაგრამ ემოციურად დაკავშირებული დონორისაგან (მეუღლე, მეგობარი, პარტნიორი და ა.შ.) ეფექტურია, ვიდრე გვამური დონაცია. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1987 წელს მეუღლისაგან დონაცია 2% იყო, მაგრამ 1997წლისათვის მათმა რიცხვმა 10%-ს მიაღწია. ა.შ.შ.-შს გადანერგვის ცენტრებში 1996 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა ემოციურად დაკავშირებული დონორების რიცხვი 60%-ი იყო, მათგან 40%-ი -მეუღლე, ხოლო 20%-- მეგობარი (Spital A, 374-347).

პიროვნების მიერ ორგანოს დონაციაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზი მნიშვნელოვანია მისი მოტივაციისა და შესაძლო კორუფციის გამოსავლენად. როდის და რა პირობებში შეიტყო დონორმა პაციენტისათვის ორგანოს გადანერგვის საჭიროების შესახებ? რამდენი ხანი იფიქრა მან ამ გადაწყვეტილებაზე? რამდენად აქტიური იყო იგი ტრანსპლანტაციის პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვებაში? ეს არის ჩამონათვალი იმ კითხვებისა, რომლებიც ახასიათებენ დონორის ინტერესს გადაწყვეტილების მიღებაში. დონორის შესაძლო ფინანსური პრობლემები ან მისი ფინანსური დამოკიდებულება რეციპიენტზე, ყურადღებით უნდა გაანალიზდეს, რათა გამოირიცხოს მისი მოსყიდვით ან ზეწოლით გადაწყვეტილების მიღების ფაქტი (Dew MA, Jacobs CL,....1047-1054; Abecassis M,...2919-2926).

საქართველოში ჩატარებული კვლევები

რამდენიმე წლის წინ საქართველოში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო თირკმლის დონორების ცხოვრების ხარისხის შესწავლა, მისი შედარება საერთო პოპულაციის მაჩვენებლებთან და რადიკალური ნეფრექტომიით ნაოპერაციებ პაციენტთა სიცოცხლის ხარისხთან. შეისწავლეს ალ. წულუკიძის სახ. ურولოგიის ეროვნულ ცენტრში 2005-2008 წლებში ნაოპერაციები დონორები და თირკმლის სიმსივნის მქონე პაციენტები. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თირკმლის დონორთა სიცოცხლის ხარისხი არ განსხვავდებოდა ჯანმრთელ, არანაოპერაციებ პირთა მაჩვენებლებისაგან და სარწმუნოდ აღემატებოდა თირკმლის სიმსივნის გამო ნაოპერაციებ პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის მაჩვენებლებს (Maglakelidze N, Pantsulaia T,....43, 373-375).

ჩვენ კვლევა ჩავატარეთ ალ. წულუკიძის სახელობის ურولოგიის ეროვნულ ცენტრში. 40 დონორიდან 26 იყო ქალი და 14 — მამაკაცი (ასაკი 18-68 წელი). ვინაიდან დონორთა პოსტ-ოპერაციულ მდგომარეობას ხშირად განსაზღვრავს დონორთა მოტივაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ასევე რეციპიენტზე ფინანსური დამოკიდებულების გამო ვალდებულების გრძნობით ორგანოს გაცემა, შევეცადეთ ნახევრად სტრუქტურიზებული, ღრმა ინტერვიუს საშუალებით დაგვედგინა ამ პარამეტრების გავლენა მათ პოსტ — ოპერაციულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ეს რეზულტატი შესაძლოა განვიხილოთ მხოლოდ მონაცემის კონტექსტში, რადგან კვლევა ჩატარდა ტრანსპლანტაციის შემდგომ- გახსენების ფორმატში: დონორს ვაძლევდით საშუალებას გაეხსენებინა გადანერგვის წინა პერიოდი და შეძლებისდაგვარად აღეწერა, რა მიზნით გააკეთა კონკრეტული არჩევანი, როგორ მიიღო გადაწყვეტილება (თავად გააკეთა არჩევანი თუ ვინმეს აზრი გაითვალისწინა).



როგორც ვხედავთ, დონორთა 62, 5%-ის მოტივაცია იყო ახლობლის გადარჩენა, 22.5% ორგანოს გაღებით ცდილობდა რეციპიენტისთვის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას, 2.5% ფიქრობდა, რომ ეს იყო ვალდებულება, ხოლო 12. 5% -მა პასუხისაგან თავი შეიკავა. დონორთაგან 65% -მა ორგანო გადაუნერგა შვილს, 12.5%-მა — ძმას.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ, როგორც უცხოეთში, უმეტეს შემთხვევაში, ქართველ დონორთა დიდი ნაწილიც ორგანოს გასცემს პოზიტიური მოტივებით, როგორიცაა: ახლობელის- ოჯახის წევრის გადარჩენის სურვილი და მისი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება; მცირე რიცხვს შეადგენენ დონორები, რომელთაც ვალდებულების გამო გაიღეს ორგანო (2.5%-ი), რაც სტანდარტულად ითვლება, რომ არის ნეგატიური მოტივი და პროცენტულად შეესაბამება საერთაშორისო კვლევის შედეგებს.



დონორთა უმრავლესობამ გადაწყვეტილება მიიღო დამოუკიდებლად 65%-ი; 15.%-მა-მეუღლესთან შეთანხმებით; 7.5% — მა ოჯახის წევრებთან (შვილებთან, დედასთან, მამასთან, და ა. შ.) ერთად; ხოლო 12.5%-მა თავი შეიკავა პასუხის გაცემაზე.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ დონორთა ნაწილი დაინტერესებულია დონაციის მოსალოდნელი შედეგებით, ისინი მოიძიებენ ინფორმაციას შესაძლო გართულებების შესახებ, რაც შესაძლებელია განვითარდეს პოსტ — ოპერაციულ პერიოდში ფიზიოლოგიური კუთხით. ჩვენი კვლევის ფარგლებში არ დაფიქსირდა ზეწოლის არცერთი ფაქტი ორგანოს გაცემასთან დაკავშირებით. იყო შემთხვევები, როდესაც გაუჭირდა დონორს გადაწყვეტილების მიღება და ეძებდა გამოსავალს პოზიტიური შედეგის მისაღებად ალტერნატიული საშუალებით. ეს დონორები იმ ჯგუფს წარმოადგენენ, რომელთაც გადაწყვეტილება მიიღეს მეუღლესთან ან ოჯახის წევრებთან შეთანმებით.

თუ დავეყრდნობით უცხოურ გამოცდილებას, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოშიც დონორთა უმრავლესობამ ორგანოს დონაციაზე არჩევანი გააკეთა დამოუკიდებლად, რაც კიდევ ერთხელ კავშირშია სიცოცხლის შენარჩუნებასთან და სხვისი სიცოცხლის გადარჩენით მიღებულ კმაყოფილებასთან.

დონორის არჩევანი ორგანოს დონაციაზე გადაწყვეტილების მიღების დროს, როგორც ვალდებულება ფინანსური მარჩენალის მიმართ, ჩვენი კვლევის დროს არ გამოვლინდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Rodrigue JR, Guenther RT. Psychosocial evaluation of the live donors. Curr Opin Organ Transplant. 2006;

2.Dew MA, Jacobs CL, Jowsey SG, Hanto R, Miller C, Delmonico FL. Guidelines for the psychosocial evaluation of living unrelated kidney donors in the United States. Am J Transplant. 2007;

3. Schroder NM et al. Consideration of psychosocial factors in the evaluation of living donors. Progress in Transplantation, Vol 18, No. 1, March 2008.

4.Emma van Hardeveld, Allison tong. Psychosocial care of living kidney donors; 2007

5. ნ. ახალაშვილი „ფსიქოლოგიის საფუძვლები“.სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის; თბილისი, 2015.

6. Lennerling A, Forsberg A, Meyer K, Nyberg G. Motives for becoming a living kidney donor. Nephrol Dial Transplant; 2004.

7.Lennerling A, Forsberg A, Nyberg G. Becoming a living kidney donor. Transplantation; 2003.

8. Evangelos Mazaris, Vassillos E Papalois .“Etikal Issues in Living Donor Kidney Transplantation.

9.Minz M, Udgiri N, Sharma A, et al. Prospective psychosocial evaluation of related kidney donors: Indian perspective. Transplant; 2005.

10. Crouch RA, Elliott C. Moral agency and the family: the case of living related organ transplantation. Camb Q Health Ethics 1999.

11. Schover LR, Streem SR, Bopri N, et al. The psychological impact of donating a kidney: long-term follow-up from a urology based center. J Urol 1997.

12..Heck G, Schweitzer J, Seidel-Wiesel M. Psychological effects of living related kidney transplantation: risks and chances. Clin Transplant; 2004.

13..Spital A. Do U.S. transplant centers encourage emotionally related kidney donation? Transplantation; 1996.

14.Abecassis M, Adams M, Adams P, et al. Consensus statement on the live organ donor. JAMA. 2000.

15. Maglakelidze N, Pantsulaia T, Managadze L, Chkhotua A. Assessment of health-related quality of life in living kidney donors.

თ. ტუხაშვილი

თირკმლის დონორთა ფსიქოლოგიური ასპექტები:
მოტივაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესი

რეზიუმე

ნაშრომი ეხება თირკმლის დონორთა ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევას, კერძოდ, დონორთა მოტივაციასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს. განხილულია მოტივაციის სახეები, რომელთაც განსაზღვრეს კონკრეტული პიროვნების ქცევა დონაციასთან მიმართებაში. ამასთან, წარმოჩენილია ჩვენი კვლევისა და სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული მონაცემების მსგავსება.

ნაშრომში განხილულია გადაწყვეტილების მიღების ტიპებიც, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია ტრანსპლანტაციის დროს, რადგან დონორთა პოსტ-ოპერაციული ფსიქო-ემოციური მდგომარეობა ხშირად დაკავშირებულია ამ ორ ფაქტორთან.

T. Tukhashvili

The Psychological Aspects of Kidney's Living Donor:
Motivation and Decision-making Process

Summary

The paper deals with the psychological aspects of kidney donors, in particular, donor motivation and decision-making process. Types of motivation are discussed, witch identified a specific individual's behavior with respect to the donation, in addition, the similarity of the data obtained in our study and in different countries. It discusses the types of decision-making, which is also important for transplant, because donors are often associated with post-operative psycho-emotional state of those two factors.

თ. ფანცულაია

ბიზნესის ეთიკური პრობლემები, ბიზნესისა და მორალის თანაფარდობა

საქმიანი ეთიკა, როგორც ზოგადად ეთიკა, ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთთანამშრომლობის პროცესში ყალიბდება. ის შეიძლება განვიხილოთ როგორც ზოგადი მორალის სპეციფიკური სახესხვაობა, რომელიც საქმიანობის სახითა და ტიპით არის განპირობებული. ე.ი. წარმოადგენს გამოყენებით დისციპლინას, რომელიც პროფესიულ მორალს შეისწავლის (კაფტანი, ჩერნიშოვა, 18). საქმიანი ეთიკა, როგორც სამეცნიერო კვლევის სფერო, გასული საუკუნის 70-ან წლებში აშშ-ში ჩაისახა. რა თქმა უნდა, ეთიკურმა პრობლემებმა ბიზნესის წარმოშობისთანავე იჩინეს თავი, მაგრამ ინდუსტრიალიზაციის საწყისს პერიოდში დომინირებად ძალას წარმოადგენდა ხელისუფლება და არა ეთიკა. თუმცა, იმავდროულად ყველა აცნობიერებდა, რომ ბიზნესმენს საზოგადოება შეცდომაში არ უნდა შეეყვანა. ე.ი. საზოგადოებისათვის წაყენებული ზოგადი მორალური ნორმები სავალდებულო იყო ბიზნესმენებისათვისაც, მაგრამ ეს მოთხოვნები თავად ბიზნესის ან წარმოების ნორმებად არ აღიქმებოდა. ამ ფენომენს რიჩარდ ტ. დე ჯონსი „ბიზნესის ამორალურობის მითს“ უწოდებს (დე ჯონსი, 10).

მითი ბიზნესის ამორალურობის შესახებ ასახავს პოპულარულ, ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას ბიზნესზე. ის მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ჭეშმარიტებას და სრულად არ წარმოაჩენს რეალურად არსებულ მდგომარეობას.

ბიზნესი ძირითადად დაინტერესებულია მოგებით. მოგება რომ მიიღოს, იგი აწარმოებს საქონელს ან სთავაზობს მომსახურებას, დაკავებულია ყიდვა-გაყიდვით. აღნიშნული მითის თანახმად, საწარმოები და ბიზნესში ჩართული ადამიანები მორალური პრინციპების დაცვით არ გამოირჩევიან. მაგრამ, ისინი არც არაეთიკური და არც არაზნეობრივები არიან; მათ უფრო იმორალურები შეგვიძლია ვუწოდოთ იმდენად, რამდენადაც თვლიან, რომ მორალური პრინციპები ბიზნესისათვის შეუსაბამოა. ისინი ბიზნესის მორალიზაციის წინააღმდეგი არიან. ამ მითის თანახმად, ეთიკის ენა ბიზნესის ენა არ არის. ბიზნესმენთა უმრავლესობა ბოროტად ან არაზნეობრივად არ იქცევა. ისინი უბრალოდ თვლიან, რომ მორალზე ზრუნვა ბიზნესის საქმე არ არის.

აღნიშნული მითის კიდევ ერთი საინტერესო ვარიანტი. რამდენადაც ბევრი ფირმა ზნეობრივი პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირებას არ ახდენს, ზოგიერთი მათგანი არაზნეობრივად იქცევა. საკმარისია გავიხსენოთ პრესაში გაჟღერებული ხმაურიანი სკანდალები – მოქრთამვის, ცრუ ინფორმაციის მიწოდების, „თეთრი საყელოების“ ბოროტად გამოყენების და სხვა შემთხვევები. აგრეთვე, ბიზნესი არ ზრუნავს ბუნების დაცვაზე, იმ დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაზე, რომლებიც მათ კუთვნილ ტერიტორიებზეა განლაგებული და ზოგადად მოსახლეობაზე. მითის მიხედვით, ფირმები არაზნეობრივად იქცევიან არა იმიტომ, რომ ბოროტების ჩადენის სურვილი აქვთ, არამედ მოგების მიღება სურთ და ამიტომ ყურადღებას არ აქცევენ თავისი საქმიანობის ზოგიერთ შედეგს.

მითი ბიზნესის ამორალურობის შესახებ ასახავს ბიზნესით დაკავებული ან სხვა პროფესიის ადამიანების დამოკიდებულებას არა მარტო არსებული ბიზნესისადმი, არამედ მათ წარმოდგენასაც, როგორი უნდათ ბიზნესი რომ იყოს. ბიზნესმენებისთვის, ისევე როგორც არაბიზნესმენებისთვისაც, ფირმის საქმიანობის შეფასება ფინანსური მაჩვენებლების ან მისი პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის საფუძველზე უფრო ადვილია, ვიდრე ღირებულებითი სისტემიდან გამომდინარე. ინვესტორებს სწორედ საბუღალტრო ბალანსი აინტერესებთ, რომელიც, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს კომპანიის მუშახელის მდგომარეობაზე. ხოლო ის, რაც უმრავლესობას აღელვებს, საბოლოო პროდუქტია.

სხვა მითების მსგავსად, მითი ბიზნესის ამორალურობის შესახებ ასახავს ფართოდ გავრცელებულ ჭეშმარიტებას. მაგრამ, იმავდროულად, რეალურად არსებულ მდგომარეობას სრულად არ წარმოაჩენს. ბიზნესის ეთიკა განიხილავს სწორედ იმას, რასაც დიდი ხნის მანძილზე იგნორირებას უკეთებდნენ და რაც ღია დისკუსიებისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების ობიექტი სულ ახლახან გახდა. სკანდალებს, რომლებიც დროგამოშვებით იჩენენ თავს (ბუნების დაცვის მწვავე პრობლემები, ენერგეტიკის საკითხები და სხვა), არ შეუქმნიათ მითი ბიზნესის მორალურობის შესახებ. მართალია, ამ კუთხით გარკვეული პროგრესი აღინიშნება (ბიზნესმა შექმნა ზნეობრივი კოდექსები, ვრცელდება საქმიანი ეთიკის სასწავლო პროგრამები), მაგრამ ადამიანების უმრავლესობას მაინც არ სჯერა, რომ ბიზნესმა თავისი საქმიანობის მთავარ და მნიშვნელოვან ელემენტად სწორედ ეთიკა მიიჩნია.

როგორი კავშირია ეთიკასა და ბიზნესს შორის სინამდვილეში? რა მოწმობს ამ კავშირის არსებობას? ბიზნესის ამორალურობის შესახებ არსებული მითის „გაქრობას“ სამი მოვლენა ადასტურებს: რეპორტაჟები სკანდალებზე და საზოგადოების რეაქცია მათზე; მასობრივი საზოგადოებრივი მოძრაობების, როგორიცაა ბუნებისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის და სხვა, ჩამოყალიბება; თავად ბიზნესის შეშფოთება, რაც ვლინდება მათ მიერ გამართულ კონფერენციებზე, აისახება ჟურნალებსა და საგაზეთო სტატიებში, ეთიკური ქცევის კოდექსებისა და საქმიანი ეთიკის სასწავლო პროგრამების შექმნაში.

რა სახით შეიძლება ადასტურებდეს რეპორტაჟები სკანდალებზე და მათზე საზოგადოების რეაქცია ბიზნესის ამორალურობის შესახებ არსებული მითის გაქრობას? თუ სიმართლეს შეესაბამება მოსაზრება, რომ ბიზნესი ამორალურია, რომ არავინ მოითხოვს მისგან ზნეობრივი პრინციპების დაცვას, რომ ყველას აზრით, მოგების გაზრდის მიზნით მას შეუძლია ყველა ხერხს მიმართოს, მაშინ ბიზნესის არაზნეობრიობა აურზაურს, სკანდალს, შოკსა და მძაფრ რეაქციას არ გამოიწვევდა. მექრთამეობის ფაქტები სენსაცია აღარ იქნებოდა. მომხმარებელთა ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის გაყიდვა და „თეთრი საყელოების“ ბოროტი მიზნებისათვის გამოყენება ყოველდღიური, მოსალოდნელი და უწყინარი შემთხვევა გახდებოდა. ის ფაქტი, რომ მსგავსი მოვლენები მართლა სენსაციაა, რომ ისინი მართლაც იწვევენ საზოგადოების მძაფრ რეაქციას, რომ ისინი რეალურად აყენებენ ზიანს კომპანიის იმიჯს და განაპირობებენ სკანდალებს, ადასტურებს იმას, რომ მითს ბიზნესის ამორალურობის შესახებ, ყველა უპირობოდ არ ეთანხმება.

ადრე დაფარული ფაქტები დღეს საჯარო განხილვის საგანი ხდება. ეს ცვლილებებზე მიგვანიშნებს. ჩვენ დროში სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი კომპანიებისაგან მორალური წესების დაცვას მოითხოვს. ბიზნესის საქმიანობაზე ადამიანების დღევანდელი რეაქცია გარკვეული დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს – მიუხედავად იმისა, რომ მითი ბიზნესის ამორალურობის შესახებ სინამდვილეს შეესაბამება, ბევრი მაინც თვლის, რომ ბიზნესის პრაქტიკა სხვაგვარი ანუ ზნეობრივი უნდა იყოს. ადამიანთა, სულ მცირე ორი ჯგუფი, გარემოს დამცველები და კონსიუმერისტები (მომხმარებელთა უფლებების დამცველები), ზუსტად აყალიბებს თავის მოთხოვნებს, ცდილობს აიძულოს საწარმოები შეცვალონ დამოკიდებულება და ძველი ღირებულებების (გაყიდვების მოცულობა და საბალანსო ანგარიში) გარდა, სხვა ღირებულებებიც აღიარონ. მათ მიერ წამოყენებული პრობლემები არ არის ჩამოყალიბებული დოლარის ენაზე. ისინი განსხვავებული ღირებულებებით საუბრობენ; მაგალითად, ცხოველებისა და მცენარეების ზოგიერთი სახეობების დაცვასა და შენარჩუნებაზე, ადამიანის უფლებაზე, მიიღოს უტყუარი ინფორმაცია მის მიერ შეძენილ სამკურნალო საშუალებებზე, საკვებსა და მოხმარების საგნებზე. ეს მოთხოვნები სრულიად ახალი ზნეობრივი შინაარსის მქონეა, რაც აიძულებს ფირმებსა და კომპანიებს, მათაც კი, რომლებიც უარყოფითად რეაგირებენ ბუნებისა და მომხმარებელთა ინტერესების დამცველთა მოძრაობებზე, მოუსმინონ ამ და სხვა სახის ჯგუფების მოთხოვნებს.

პრობლემა რომ მხოლოდ ბიზნესის ამორალურობის შესახებ მითზე დაიყვანებოდეს, „მწვანეებისა” და კონსიუმერისტების მოძრაობას აზრი არ ექნებოდა და ბიზნესის მხრიდან საპასუხო რეაგირებაც არ მოყვებოდა. ეს მოძრაობები მნიშვნელოვანია. ბიზნესი რეაგირებს მათ მოთხოვნებზე და სწორედ ამიტომ ჩვენს მიერ განსახილველი მითი, პრობლემის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს წარმოადგენს.

რეაგირების კიდევ ერთი ფორმაა ბიზნესის წარმომადგენელთა საბჭოს ორგანიზება, სადაც განიხილება შექმნილი ვითარება და ხდება განსხვავებული მოსაზრებების შეჯერება. ბიზნესმენები მართავენ კონფერენციებს, სიმპოზიუმებს. ყველაზე ხშირად ამ შეხვედრებზე მსჯელობენ ღირებულებათა სისტემაზე, ბიზნესის ეთიკის პრობლემებზე. შედეგად ჩამოყალიბდა სოციალური აუდიტორობის ინსტიტუტი, რომელიც გულისხმობს ფირმების სოციალური პოზიციის შემოწმებას. სამწუხაროდ, ბიზნესის სტრუქტურა არ ითვალისწინებს ზნეობრივ ღირებულებათა სისტემას. მენეჯერებს არც ბიზნესის სკოლებში ასწავლიდნენ ამ პრობლემებს. სამეურნეო საქმიანი გამოცდილება, თავის მხრივ, პრაქტიკულად ადასტურებდა წარმატებული ბიზნესისათვის მათ ნაკლებ მნიშვნელობას. აი, რატომ დადგა ფირმათა უმრავლესობა ახალი დილემის წინაშე. ისინი უკვე ხვდებოდნენ, რომ ბიზნესის დაგეგმვაში აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ ზნეობრივი პრინციპები და რეაგირება მოეხდინათ სოციალურ ღირებულებებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე. მაგრამ როგორ უნდა მოგვარებულიყო ეს პრობლემა, არ იცოდნენ. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ყველა ეს კონფერენცია, სიმპოზიუმი, ბიზნესის ეთიკის ახალი კოდექსები და კორპორატიული ეთიკის ე.წ. რწმუნებულთა სამსახურის შექმნა მოწმობს, რომ მითი ბიზნესის ამორალურობის შესახებ ნელ-ნელა იფანტება.

ბიზნესისა და მორალის თანაფარდობა. მიუხედავად იმისა, რომ მითი ბიზნესის ამორალურობის შესახებ ბიზნესსა და ზნეობას შორის კავშირს უგულველყოფდა, მათ შორის კავშირი ნამდვილად არსებობს. ამ კავშირის ზოგიერთი მომენტი იმდენად ცხადია ჩვენთვის, რომ თითქოს თავისთავად იგულისხმება და მათზე ყურადღებას არც ვამახვილებთ. თუმცა, აშკარაა თუ შეუმჩნებელი, ეს კავშირები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა და პრაქტიკის შემადგენელი ნაწილია. ამ კავშირის წინა პლანზე წამოწევა და მასზე ყურადღების გამახვილება, შესაძლებელი და აუცილებელიცაა. ეს დაგვეხმარება ნათლად წარმოვიდგინოთ, რა სახის კავშირია სინამდვილეში ბიზნესსა და მორალს შორის. ჩვენ ამ კავშირის ორ ასპექტს განვიხილავთ: „ბიზნესის ზნეობრივი საფუძვლები“ და „ბიზნესის საქმე – ბიზნესია“.

ბიზნესის ზნეობრივი საფუძვლები. ბიზნესი თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია. გვსურს თუ არა, ყველა ჩვენგანი ჩართულია ამ საქმიანობაში. ჩვენ სხვადასხვა სახისა და დანიშნულების საქონელს ვყიდულობთ. ყველას გვჭირდება ელექტროენერგია და საწვავი. მომსახურებასაც ვყიდულობთ. ყოველივე ამას ადამიანები გვთავაზობენ. მეწარმეები ქმნიან ჩვენთვის აუცილებელ და სასურველ ნაწარმს. სხვები ამ საქონელს მაღაზიებს აწვდიან, სადაც სხვა ადამიანები მომხმარებლებზე ყიდიან მას. ბიზნესი საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს, იგი საზოგადოებისა და მისი სიცოცხლისუნარიანობის შემადგენელი ნაწილია.

მორალი ადამიანთა ქცევის წესებისაგან შედგება. იგი ადგენს, რომელი საქციელია არასწორი და არაზნეობრივი და რომელი სწორი და ზნეობრივი. ადამიანის საქციელის ზნეობრივი პოზიციებიდან შეფასება შესაძლებელია. ზოგიერთი საქციელი, მაგალითად, მკვლელობა, არაზნეობრივია. სხვა, მაგალითად, მოყვასის თანადგომა, დახმარება – ზნეობრივი საქციელია. ისეთი ქცევები კი, როგორიცაა, მაგალითად, სკამზე წებოს წასმა ან ჭიკარტების დაყრა, მორალური განურჩევლობაა, აბსტრაქტული თვალსაზრისით მაინც. ასეთი საქციელი ზნეობრივ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში – როდესაც განზრახ არის ჩადენილი. ზნეობრივი თვალსაზრისით შესაძლებელია ნებისმიერი ქმედებისა თუ საქციელის განხილვა და შეფასება. აი, რატომ არის გაუგებარი იმ ადამიანების პოზიცია, რომლებიც ბიზნესსა და მორალს შორის კავშირს ვერ ხედავენ ან ერთმანეთს უპირისპირებენ მათ.

რამდენადაც ეკონომიკური საქმიანობა ადამიანთა საქმიანობის ერთ-ერთი სახეა, მისი შეფასება მორალის პოზიციებიდან ისევე შესაძლებელია, როგორც ადამიანური მოღვაწეობის ნებისმიერი სხვა სახის შეფასება. ბიზნესში, საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სახეების მსგავსად, თავიდანვე ჩადებულია ზნეობრივი საფუძვლები. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზნესი ვერ იარსებებდა. მაგალითად, მეწარმეები იმედოვნებენ, რომ მათ მიერ დაქირავებული მუშახელი არ იქურდებს; კონტრაქტის დამდები მხარე ვარაუდობს, რომ მეორე მხარე არ დაარღვევს კონტრაქტის პირობებს; მყიდველს იმედი აქვს, რომ შეძენილი საქონლის ხარისხი, რეკლამით მოწოდებულ ინფორმაციას შეესაბამება. ადამიანებს იმედი აქვთ, რომ მათი კოლეგები, როგორც წესი, არ იცრუებენ, დააფასებენ თანამშრომლებს, კეთილსინდისიერად შეასრულებენ სამსახურეობრივ მოვალეობებს. მათი ვარაუდი, უმეტეს შემთხვევაში, მართლდება. ბიზნესის ყველა მონაწილე – მყიდველი, გამყიდველი, მეწარმე, მენეჯერი, მუშა, მომხმარებელი – არაზნეობრივად ან ამორალურად რომ იქცეოდნენ, ბიზნესი შეფერხდებოდა. ზნეობრიობა საზოგადოებრივი საქმიანობის მექანიზმისათვის საპოხი და შემკვრელი მასალაა, მაშასადამე, ბიზნესისთვისაც. ამორალურობა მხოლოდ იმ დროს არის შესაძლებელი, როცა საზოგადოებაში შესაბამისი ზნეობრივი ატმოსფერო სუფევს. ადამიანთა უმრავლესობა გულმართალი და ერთმანეთის ერთგული რომ არ იყოს, სიცრუე მნიშვნელობას დაკარგავდა. ნდობის ბოროტად გამოყენება, ნდობის ატმოსფეროს არსებობას თხოულობს. როგორც წესი, საწარმოები თავის რეპუტაციას უფრთხილდებიან. სწორედ ამიტომ არ ვცხოვრობთ ჩვენ „მგლური“ ბიზნესის პირობებში. ასეთი სამყარო აუტანელი იქნებოდა.

რა თქმა უნდა, ბიზნესში, ისევე როგორც ცხოვრების სხვა სფეროებში, ადამიანები არაზნეობრივად იქცევიან. აღინიშნება მოტყუების, თაღლითობის, თვალისახვევის, ფინანსური ანგარიშებით მანიპულირების მრავალი შემთხვევა, მაგრამ იმის მტკიცებაც არ შეგვიძლია, რომ ადამიანები თავის სამეურნეო საქმიანობაში უფრო არაზნეობრივნი არიან, ვიდრე პირად ცხოვრებაში. ბიზნესის ინსტიტუტები ისევე მიდრეკილნი არიან უზნეობისაკენ, როგორც სახელმწიფო მართვის, ოჯახური, განათლების ინსტიტუტები; არც იმის დაბეჯითებით თქმა შეიძლება, რომ მსხვილი, დეპერსონიცირებული საწარმოები მეტად ან ნაკლებად უზნეონი არ არიან, ვიდრე ინდივიდუალურ საკუთრებაში მყოფი მცირე საწარმოები.

ბიზნესი საზოგადოების ნაწილია და ამიტომ ბიზნესში ჩართული ადამიანების საქმიანობა, მორალის წესებს ემორჩილება. ეს დებულება იმდენად ნათელია, რომ პრაქტიკულად ყველას ავიწყდება. ადამიანთა უმრავლესობას შეგნებული აქვს, რომ ტყუილი და ქურდობა ან მკვლელობა ბოროტებაა. მათთვის ადვილი წარმოსადგენია ბოროტება როგორც ბიზნესში, ისე მის გარეთაც. სწორედ იმიტომ, რომ ჩვეულებრივი ადამიანისათვის საჭირო არ არის შეხსენება, როგორი საქციელია მიუღებელი, ყალიბდება იმ სათანადო ატმოსფეროს ნაწილი, სადაც ბიზნესი ფუნქციონირებს. სხვა სიტყვებით, ეს არის გზავნილი, რომელსაც თავად ბიზნესის მონაწილეები ეთანხმებიან. მაშასადამე, თეზისი, რომლის თანახმადაც ბიზნესი და ზნეობრიობა შეუთავსებელია, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებ დამაჯერებელია.

ბიზნესის საქმე – ბიზნესია. ცნობილი მოარული გამონათქვამის თანახმად, „ბიზნესის ბიზნესი, ბიზნესია“. ბიზნესის საქმე სულაც არ არის სახელმწიფოს მართვა, არც ქველმოქმედება, არც სოციალური უზრუნველყოფა და, რაღა თქმა უნდა, არც მორალური პრინციპების დაცვა. რას ნიშნავს მოსაზრება – „ბიზნესის ბიზნესი, ბიზნესია“? კითხვაზე მეტნაკლებად სრული პასუხის მისაღებად, საკუთარი საზოგადოების ფარგლებს უნდა გავცდეთ. აღმოჩნდება, რომ სხვადასხვა საზოგადოებას განსხვავებულად ესმის თავად ბიზნესი და მისი ამოცანები. იაპონიის მსხვილი კორპორაციები თვლიან, რომ მათი ამოცანა მხოლოდ პროდუქციის გამოშვება არ არის. არანაკლები ყურადღება ექცევა ფირმის მუშახელზე ზრუნვას – მათ, ფაქტობრივად, სიცოცხლის ბოლომდე უნარჩუნებენ სამუშაო ადგილებს (გარანტირებული დასაქმება). მაშასადამე, იაპონიაში ბიზნესის მოვალეობის ორგანულ ნაწილს პატერნალიზმი წარმოადგენს, რაც განასხვავებს მას ამერიკული ბიზნესისაგან. ყოფილ საბჭოთა კავშირში საწარმოო საშუალებებზე, ე.ი. ფირმებსა და ქარხნებზე, კერძო საკუთრება კანონით აკრძალული იყო. ბიზნესი იქ სახელმწიფოებრივი და არა კერძო საქმე იყო. ამგვარად, სხვადასხვა საზოგადოებაში ბიზნესის შინაარსი განსხვავებულია. ბიზნესისა და მისი ფუნქციების განსაზღვრა საზოგადოებრივი კითხვაა და პასუხიც სოციალურ კონტექსტში უნდა ვეძებოთ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიზნესის მოვალეობა, თავდაპირველად, საკმაოდ მარტივად მოიაზრებოდა. ადამიანებს სურდათ, რომ გამოშვებული პროდუქციის დიდი არჩევანი ჰქონოდათ, რომ პროდუქცია მაღალი ხარისხისა და, შეძლებისდაგვარად, იაფი ყოფილიყო. მათ, ვისაც პროდუქციის გამოშვება სურდა და შეეძლო, კონკურენციის პირობებში მინიჭებული ჰქონდათ გარკვეული, არასრული თავისუფლება. პრობლემების გაჩენასთან ერთად, კანონი ადგენდა განსაზღვრულ წესებს. ის აწესრიგებდა შრომის პირობებს, ბავშვთა შრომას, უზრუნველყოფდა ბუნების დაცვას და სხვა. ბიზნესის მოვალეობის წრე განისაზღვრებოდა და ახლაც განისაზღვრება, თითოეული ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების საფუძველზე. ისევე როგორც საზოგადოებაში იცვლება წარმოდგენები, პრინციპული შეფასებები დასაშვებსა და დაუშვებელზე, ბიზნესშიც არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, მის მიერ გამოყენებული რომელი მეთოდია მიღებული და რომელი მიუღებელი. ბიზნესისათვის მინიჭებული მანდატიც მხოლოდ გარკვეული დონით განსაზღვრავს სოციალურად მიუღებელი მეთოდებისა და მისთვის დამახასიათებელი საქმიანობის საზღვრებს. მაგრამ ეს საზღვრები ბიზნესის (ან ვინც ბიზნესს წარმართავს) მიერ არ დგინდება. ბიზნესისათვის დადგენილი საზღვრები და საზოგადოების მხრიდან მისთვის წაყენებული მოთხოვნები, ხშირად, ზნეობრივი ხასიათისაა. ფირმას შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს ინდივიდის მორალურ მოთხოვნებს, მაგრამ მთელი საზოგადოების ზნეობრივ მოთხოვნებს, იგნორირებას ვერ გაუკეთებს, რადგან იგი ამ საზოგადოების შემადგენელი ნაწილია და, თუმცა ემსახურება მას, იმავდროულად მასზეა დამოკიდებული.

ის, რაც ბიზნესის მოვალეობას შეადგენს, თავისი არსით უკვე საზოგადოების მხრიდან გაკეთებულ და მის მიერ პრაქტიკაში რეალიზებულ ზნეობრივ არჩევანს წარმოადგენს. რამდენადაც ბიზნესი საზოგადოების ნაწილია, იგი სრული უფლებით მონაწილეობს საზოგადოების მხრიდან ბიზნესისათვის დადგენილი მოვალეობების განსაზღვრაში. ამ პროცესში მისი მონაწილეობის ეფექტურობისათვის, ბიზნესი მზად უნდა იყოს ჩაერთოს მორალურ პრინციპებზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ დისკუსიაში. აუცილებელია განისაზღვროს, რომელი სტრუქტურები ეხმარებიან მორალური პასუხისმგებლობის ამაღლებას და ზნეობრივი და სხვა ღირებულებების გათავისებას. ბიზნესის ეთიკური რეგულირება არამარტო ავსებს იურიდიულ მექანიზმებს, არამედ მრავალი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. კაფტანი ვ.ვ., ჩერნიშოვა ლ.ი., საქმიანი ეთიკა. სახელმძღვანელო. მოსკოვი, 2016.
2. სპივაკი ვ.ა., საქმიანი ეთიკა. სახელმძღვანელო და პრაქტიკუმი აკადემიური ბაკალავრიატისათვის. სანკტ-პეტერბურგი, 2015.
3. პოდოგრიგორა მ.გ., საქმიანი ეთიკა. ტაგანროგი, 2012.
4. რიჩარდ ტ.დე ჯონსი., ბიზნესმენის სამაგიდო წიგნი. საქმიანი ეთიკა. მოსკოვი, 2004.

თ. ფანცულაია

ბიზნესის ეთიკური პრობლემები ბიზნესისა და მორალის თანაფარდობა

რეზიუმე

ბიზნესი საზოგადოებრივი საქმიანობაა, საზოგადოება ადგენს მის მანდატსა და საქმიანობის საზღვრებს. დღეს ბიზნესის მანდატი ბევრად უფრო რთულია. უკვე ვაცნობიერებთ, რომ ბევრი ჩვენი ქმედება ღირებულებითი მოსაზრებებით არის განპირობებული. ბიზნესის ეთიკური რეგულირება არამარტო ავსებს იურიდიულ მექანიზმებს, არამედ მრავალი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

T. Pantsulaia

Business Ethical Problems Correlation of Business and Moral

Summary

Business presents to be a public activity; society defines it mandate and activity borders. Today, mandate of business is far more complicated. We already realize that some of our activities are not preconditioned by value reasons. Ethic regulation of business, not only provides for its legal functioning, but also presents to be an effective step for solving many economic and social problems.

ნ. ყუფარაძე

თანამედროვე ლიბერალური საზოგადოებისა და ქრისტიანული რელიგიის დამოკიდებულება არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირებისადმი

არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე (ე.წ. LGBT) პირთა თავისუფლებისა და თვითიდენტიფიკაციის პრობლემა თანამედროვე საზოგადოების ერთ–ერთ აქტუალურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. მიუხედავად იმ მორალურ–მსოფლმხედველობრივი ორიენტაციების პრინციპული ცვლილებებისა, რასაც უკანასკნელი პერიოდის მანძილზე ევროპულ კულტურაში ჰქონდა ადგილი, ჯერ კიდევ მრავლად შეინიშნება მათ მიმართ მძაფრი ნეგატიური დამოკიდებულება. საზოგადოების არცთუ მცირერიცხოვანი ნაწილი „სიწმინდეთა ამ წამბილწველებს“ სრული მიუღებლობითა და აგრესიით პასუხობს, რაც მათი სამოქალაქო და სოციალური უფლებების დარღვევის საფუძველს წარმოადგენს. ცნობილია, რომ ადამიანის სექსუალობის და სექსუალური თავისუფლების პრობლემა არ წარმოადგენს მხოლოდ სამედიცინო პრობლემას. ბევრი თანამედროვე მეცნიერი იზიარებს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ საზოგადოების სოციალურ, ეთიკურ, რელიგიურ ნორმებსა და ადამიანის სექსუალობას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს როგორც ადამიანის ფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ასევე მთელი კულტურის ხასიათსაც. ზ.ფროიდი თვლიდა, რომ „არ არსებობს უფრო მეტი საფრთხე კულტურისთვის, ვიდრე ადამიანთა სექსუალური მიდრეკილებების „თავისუფლებაა“. მორალი და ზნეობა ყოველთვის იდგა მათი „გათავისუფლების“ სადარაჯოზე, ასრულებდა რა გარკვეულ ფუნქციას კულტურის თვითრეგულაციის სისტემაში“ (Фрейд, 12).

თანამედროვე სექსოლოგიის ძირითადი პრინციპი – ინდივიდის „განსხვავებულობის“ აღიარების პრინციპია, რომელსაც ადამიანის სექსუალური ქცევის „ნორმატიული საზღვრების შეფარდებითობა“ განსაზღვრავს. ამ აღიარების შედეგია „სექსუალური დევიაციის“ ცნების დამკვიდრებაც, რაც სექსუალური ქცევის საზოგადოებაში გაბატონებული ნორმებიდან ნებისმიერი „გადახრის“ ნორმად აღიარებას გულისხმობს, მიუხედავად მისი გამოვლენის ხასიათისა (Силуянова, 6).

„სექსუალური დევიაციის“ კლასიფიკაციის თანახმად, ყველა სექსუალური დევიაცია იყოფა ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სექსუალური ქცევები, რომელთაც განსაზღვრავენ: ადამიანის ვნების ობიექტის მიხედვით (პედოფილია, ზოოფილია, გერონტოფილია, ფეტიშიზმი და სხვ.); ვნების რეალიზაციის ხასიათის მიხედვით (სადიზმი, მაზოხიზმი, ეგზგიბიციონიზმი, ვუაიერიზმი) და უბრალოდ „არატიპიური“ ვნებები (ტრანსსექსუალიზმი, ინცესტი, და სხვ.). ყველა მათგანი არაპათოლოგიურ სექსუალურ ქცევად განიხილება, განსხვავებით მეორე ჯგუფში გაერთიანებული სექსუალური ქცევებისაგან, რომელთაც მიეკუთვნება ყველა ზემოთჩამოთვლილი, მაგრამ პროგრესირებად და იმპულსურ ფორმებში (Имелинский, 293).

აქედან გამომდინარე, მტკიცდება ტენდენცია, რომ „სექსუალური დევიაციის“ კლასიფიკაცია წარმოადგენს არა ავადმყოფობათა, არამედ ადამიანის სექსუალური ქცევის სხვადასხვა შესაძლებლობათა ჩამონათვალს, სადაც სექსუალური პათოლოგიები მიჩნეულია ნორმად. სოციალური და მორალურ-ეთიკური ნორმები კი განიხილება როგორც ნეგატიური ფაქტორი, რომელიც ავიწროვებს ადამიანის „სექსუალურ დევიაციას“ და მისი სექსუალური დისფუნქციის მიზეზი ხდება (Имелинский, 265).

ცნობილია, რომ ევროპის ისტორიაში ადგილი ჰქონდა ორ, ე.წ. „სექსუალურ რევოლუციას“. ეს არის ორი უმნიშვნელოვანესი პერიოდი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ადამიანის სექსუალობისა და სექსუალური ურთიერთობებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების რადიკალური ცვლილება. პირველი მათგანი ემთხვევა რომის იმპერიის დაცემისა და ქრისტიანობის გავრცელების პერიოდს, ხოლო მეორე – XX საუკუნის II ნახევარს.

ზოგიერთი მეცნიერი სამართლიანად მიიჩნევს, რომ „სქესობრივი გარყვნილება და გაუკუღმართება „საყოველთაო ანთროპოლოგიურ მოვლენებს“ წარმოადგენს, ანუ ისეთს, რომელიც გვხვდება ყველა დროში, და ყველგან, მიუხედავად კულტურისა“, თუმცა ძველ საბერძნეთსა და რომში იგი განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩეოდა. „ეს იყო პერიოდი, როცა ადამიანის ღირსებად დიდი რაოდენობის

სექსუალური პარტნიორის არსებობა ითვლებოდა, ხოლო სათნოება და შეზღუდული სქესობრივი ცხოვრება მის სიმახინჯესა და არაკეთილგონიერებაზე მიუთითებდა“ (Блох, 256).

ანტიკური პერიოდის მკვლევრები არაერთგზის მისულან იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული კულტურის კრიზისი და აღსასრული მტკიცედ იყო დაკავშირებული საზოგადოების მორალურ-ზნეობრივ კრიზისთან და სულიერ დაკნინებასთან, რაც, თავის მხრივ, ადამიანთა უკიდურესი სექსუალური თავისუფლებით იყო განპირობებული. „ქრისტიანობა შემოვიდა რათა განეკურნა და განეწმინდა სულიერად და მორალურად გახრწნილი საზოგადოება, რომლისთვისაც სქესობრივი ცხოვრება გათანაბრებული იყო უბრალო საქმიანობასთან, ამასთან ერთადერთი შესაძლო საშუალებით – ასკეტიზმის დამკვიდრებით“ (Миллер, 271). ეს განწმენდა წარმოადგენს კიდეც პირველ სექსუალურ რევოლუციას ევროპის ისტორიასა და კულტურაში.

ქრისტიანობამ მოახდინა ადამიანის სექსუალობის შინაარსის პრინციპული ცვლილება. ქრისტიანული სწავლების თანახმად ადამიანის სექსუალობა ღვთის მიერ ბოძებული მადლია, რომელიც სრულ განხორციელებას პოულობს ქორწინებაში, ქორწინების მიზნების ურთიერთქმედების დროს, რომელთა შორისაა რეპროდუქციული ფუნქციის რეალიზაცია და სექსუალურ ლტოლვათა დაკმაყოფილება, რომელიც იქცევა უმანკოებად და უბიწოებად საეკლესიო ქორწინების წმინდა საიდუმლოში (О Вере…, 326).

„სექსუალური რევოლუცია“, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ანხორციელებდა ქრისტიანობა – მონოგამიისა და ასკეტიზმის, როგორც ადამიანის თავისუფლების ერთ-ერთი ფორმის, დამკვიდრებაში გამოიხატა.

ყოველივე ამის საფუძველზე ქრისტიანი ავტორიტეტები გვაფრთხილებენ: 1. ქორწინების გარეშე ყველა სექსუალურ ურთიერთობას ეწოდება მრუშობა და წარმოადგენს ცოდვას; 2. სექსუალური კავშირი ორ პირს შორის, როცა ერთ-ერთი მათგანი იმყოფება ქორწინებაში სხვასთან, მრუშობაა და წარმოადგენს ბოროტებას; 3. სქესობრივ კავშირს საფასურის გადახდით ეწოდება პროსტიტუცია და წარმოადგენს ცოდვას; 4. სქესობრივ კავშირს ახლო ნათესავებს შორის ეწოდება ინცესტი და წარმოადგენს ცოდვას; 5. სქესობრივ კავშირს ერთი სქესის ადამიანებს შორის ეწოდება ჰომოსექსუალიზმი და წარმოადგენს ცოდვას; 6. სქესობრივ კავშირს ადამიანსა და პირუტყვს შორის ეწოდება პირუტყვთმავლობა (ზოოფილია) და წარმოადგენს ცოდვას. მრავალი საუკუნის მანძილზე ბიბლიური მორალი მტკიცედ დგას ამ მანკიერებათა წინააღმდეგ და მოგვიწოდებს: „არანაირ ცხოველთან არ იქონიოთ კავშირი, ეს სიბილწეა... ვინც საქონელთან დაიჭერს კავშირს, უნდა მოკვდეს“ (1, ლევ. 18, 23, 20, 26). „არცერთი ამ სისაძაგლით არ გაიუწმინდეროთ თავი. „დაიცავით ჩემი წესები და სამართალი, არ ჩაიდინოთ ეს სისაძაგლეები“... (1, ლევ. 18, 26, 24).

მეორე „სექსუალურმა რევოლუციამ“, უფრო სწორად, კონტრევოლუციამ, რომელსაც ევროპული კულტურა განიცდის XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე: სექსუალური ლიბერალიზმის დამკვიდრება განაპირობა. მისი რეალური შედეგები კი დღეს ყველასთვის ნათელია: სქესობრივი ცხოვრების ადრეულ ასაკში დაწყება, სქესობრივი პარტნიორის მრავალრიცხოვნება, განქორწინებათა განუხრელი ზრდა, ვენერიული დაავადებების და აივ (შიდსის) ეპიდემია, ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზაცია, რელიგიური და მორალურ-ეთიკური ღირებულებებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, ნიჰილიზმი და მრავალი სხვა.

თანამედროვე სექსუალური ლიბერალიზმისათვის დამახასიათებელია სექსუალობის, არა როგორც მხოლოდ წარმართული გაგების იდეალიზაცია და რესტავრაცია (რომელიც ამართლებს სექსუალურ თავისუფლებას და „ეროტიკული კმაყოფილების“ მიღების ყველა ფორმის მიზანშეწონილებას), არამედ მისი ახლებური, როგორც ადამიანის „ჯანმრელობის შენარჩუნების“ საშუალების, გაგებაც.

მრავალი საუკუნის მანძილზე ჰომოსექსუალიზმი განიხილებოდა, როგორც უფრო მეტად გავრცელებული სქესობრივი გარყვნილება და გაუკუღმართება, და აქედან გამომდინარე – მიეკუთვნებოდა „პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების წინააღმდეგ“ მიმართულ სისხლის სამართლის დანაშაულთა რიგს. პრობლემის მედიკალიზაციის შედეგად ჰომოსექსუალიზმი, „სქესობრივი გაუკუღმართების“ სხვა ფორმებთან ერთად (ეროტომანია, ფეტიშიზმი, ტრანსვესტიზმი და სხვ.), აღიარებულ იქნა როგორც ავადმყოფობა (1965-1975 წლების ავადმყოფობათა საერთაშორისო კლასიფიკაციის IX გადასინჯვა); მოგვიანებით ანგლო–ამერიკულ კულტურაში მიმდინარე ღირებულებით – მსოფლმხედველობრივმა ძვრებმა განაპირობეს იმ ერთმნიშვნელოვანი ტენდენციის დამკვიდრება, რომლის თანახმადაც ჰომოსექსუალიზმი და „სქესობრივი გაუკუღმართების“ სხვა ფორმები განიხილება როგორც ნორმა, და საერთოდ მოხსნილია მისი თერაპიის საკითხი; ამის დასტურია 1993 წლის ავადმყოფობათა საერთაშორისო კლასი-

ფიკაციიდან (X გადასინჯვა) ტერმინის „სქესობრივი გაუკუღმართება“ ამოღება და მისი შეცვლა ისეთი ცნებებით, როგორიცაა „სქესობრივი უპირატესობის მინიჭება“ და „სექსუალური ორიენტაცია“ (Международная..., 212). ამის შედეგად, სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მუხლი ჰომოსექსუალიზმისთვის. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განისაზღვრა მხოლოდ სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედებებისთვის.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ე.წ. „არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას“ ადამიანის მორალური და ფიზიკური დეგრადაციის რეზულტატად მიიჩნევს და თვლის, რომ დღევანდელი დემოკრატიული ლიბერალიზმის პირობებში LGBT პირები არ არიან შეზღუდულები არც მორალურად, არც იურიდიულად და საფრთხეს უქმნიან საზოგადოებას მათი „განსხვავებული“ სექსუალური ცხოვრების წესის გავრცელების თვალსაზრისით დეკანოზი ვ.ზენკოვსკი აღნიშნავს: „ვშიშობ, რომ ეს მანკიერებანი უფრო მეტადაა გავრცელებული, ვიდრე ჩვენ გვგონია. ზრდასრული მამაკაცები, რომელნიც ამ ავადმყოფობით არიან შეპყრობილნი, ეძებენ ყმაწვილებს, რათა გამოიყენონ ისინი თავიანთი მოთხოვნილებებისთვის. ჩვენი ვალია დავიცვათ ჩვენი შვილები მათი მხრიდან თავდასხმებისაგან და ამ უბედურებას ავარიდოთ ისინი“ (Зенковский, 45).

ჰომოსექსუალიზმის (და სქესობრივი „გაუკუღმართების“ ნებისმიერი ფორმის) მიმართ კატეგორიულად უარყოფით პოზიციას ინარჩუნებს ქრისტიანული ეკლესია. იგი ამოდის იმ უცვლელი მრწამსისგან, რომ ქალის და მამაკაცის მხოლოდ ღვთით დადგენილი საქორწინო კავშირი შეიძლება დაუპირისპირდეს სექსუალობის ნებისმიერ გამოვლინებას. წმინდა წერილი გვაფრთხილებს: „არ დაწვე მამაკაცთან დედაკაცური წოლით, ეს სისაძაგლეა“, „ვინც მამაკაცთან დაწვება ისე, როგორც ქალთან წვებიან, სიბილწეს ჩაიდენენ ორივენი. (1, ლევ. 18, 22, 20, 13). პავლე მოციქული ყველაზე მეტად სათაკილო ვნებათა და გარყვნილებათა შორის, რომელიც ბილწავს ადამიანის სულს და სხეულს, ასახელებს ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს. „ქალებმა მათი ბუნების წესი არაბუნებითით შეცვალეს; ასევე კაცებმაც დაუტევეს ქალებთან ბუნებრივი ცხოვრების წესი ... (1, რომ. 1, 26, 27). „ნუ შეცდებით, ვერც მემრუშენი... ვერც მამათმავალნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს“ (1, 1კორ. 6, 9, 10).

სოდომის ცოდვით დამძიმებულებს მიმართავდა ღირსი მაქსიმე გრეკი: „შეჩვენებულებო, შეეცადეთ სასწრაფოდ დააღწიოთ თავი ამ უბილწეს და უმყრალეს განცხრომას... შეიძულეთ მთელი სულით ეს ბიწიერება, რათა არ მოიკვეთოთ და არ დაიღუპოთ სამარადჟამოდ“ (О Вере..., 326).

არსებობენ ადამიანები, რომლებშიც სექსუალურ ლტოლვათა გაუკუღმართება გამოიხატება საკუთარი თავის საწინააღმდეგო სქესის ადამიანად განცდაში (ტრანსვესტიზმი), რასაც შეიძლება თან სდევდეს ადამიანის დაუოკებელი სურვილი და მცდელობა ჩაიტაროს მკურნალობა იმ მიზნით, რომ საკუთარი სხეული გახადოს მის მიერვე ამორჩეული სქესის შესატყვისი (განსხვავებით, ჰომოსექსუალისტისაგან, რომელიც, როგორც წესი, არ უარყოფს თავის ბიოლოგიურ სქესს).

ავადმყოფობათა საერთაშორისო კლასიფიკაციის (IX გადასინჯვის) თანახმად, ტრანსვესტიზმი ჰომოსექსუალიზმთან ერთად სქესობრივი გარყვნილების ერთ-ერთ სახეობად იყო მიჩნეული და განიმარტებოდა, როგორც „უფრო ნათლად გამოხატული თანდაყოლილი ჰომოსექსუალიზმი“ ან „საწინააღმდეგო სქესისადმი მიკუთვნების გრძნობა“ (Международная.., 325). „ტრანსსექსუალიზმი“ არ წარმოადგენს ახალ სექსუალურ პათოლოგიას, არამედ კარგადაა ცნობილი მრავალი კულტურისთვის. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტრანსსექსუალიზმი მრავალი სახის რელიგიური ეგზალტირების საფუძველს წარმოადგენს, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა მთელი რიგი მისტიკურ-რელიგიური კულტების წარმოშობა. მათ შორისაა, მაგალითად: თვითმგმეველთა სექტა, საჭურისთა სექტა, „მოლოქის“ კულტი და სხვა, სადაც ძირითად რიტუალს მამაკაცთა კასტრაცია წარმოადგენს. ეს ადათი შეიძლება აიხსნას როგორც საკუთარი სქესის მიმართ არსებული ზიზღისაგან გათავისუფლების მცდელობა.

წარმართული კულტურებისაგან განსხვავებით, ქრისტიანობამ იმთავითვე მტკიცედ უარყოფითი პოზიცია გამოხატა „საკუთარი სქესის გამო წამებულთა“ მიმართ. ეკლესია გვაფრთხილებს, რომ ადამიანის მისწრაფებამ – უარი თქვას საკუთარ სქესზე– შეიძლება დამღუპველი შედეგი იქონიოს პიროვნების შემდგომ განვითარებაზე. სქესის შეცვლას ადამიანი უმეტეს შემთხვევაში მიჰყავს არა ფსიქოლოგიურ პრობლემის მოხსნამდე, არამედ მის გაღრმავებამდე და ღრმა სულიერი კრიზისის წარმოშობამდე. ეკლესიას არ შეუძლია დაეთანხმოს და გაამართლოს ადამიანის ამგვარი ჯანყი ღმერთის წინააღმდეგ და „ნამდვილად“ აღიაროს ხელოვნურად შეცვლილი სქესი (Основы..., 85).

ამასთან, აუცილებელია განვასხვავოთ ტრანსსექსუალისტთა ორი ტიპი. პირველ ტიპს მიეკუთვნებიან „მრუშობასა და სიძვაში“ მუდმივად მყოფი ადამიანები, რომლებიც გამოცდიან რა შეუღლების ყვე-

ლა „ბუნებრივ“ და „არაბუნებრივ“, მეთოდს, „სექსუალური გაუმაძღრობის“ მიზეზით ახდენენ სქესის შეცვლას (ქრისტიანული ეკლესია თვლის, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არა სამედიცინო პათოლოგიას, არამედ გარყვნილებას, რომელიც უნდა დაიგმოს, როგორც მრუშობის უმძიმესი ცოდვა). ხოლო ტრანსსექსუალისტთა მეორე ტიპს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომელთაც მედიცინისთვის უცნობი მიზეზით აღენიშნებათ საწინააღმდეგო სქესისათვის დამახასიათებელი ნიშნები (ხმა, თმები, სხეულის პროპორციების შეცვლა, სისხლში ჰორმონთა რაოდენობის ცვლილება და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საეკლესიო მოღვაწე ტრანსსექსუალისტთა მეორე ტიპს განიხილავს, როგორც მშობლების ცოდვიანი ქმედებისთვის (მაგალითად, ბიბლიური „არ იმრუშო!“ დარღვევისთვის) ღვთის მიერ მოვლენილ სასჯელს ან ფეხმძიმე ქალის სურვილის შედეგს – ჰყავდეს მხოლოდ „ამ“ სქესის შვილი და არავითარ შემთხვევაში „სხვა“ (Основы..., 326). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტრანსექსუალისტებს მოეთხოვებათ ერთმანეთისაგან განასხვავონ სასქესო ნიშან-თვისებების პათოლოგია საკუთარი ანატომიური სქესის არასწორად იდენტიფიცირებული კუთვნილებისაგან. ამ უკანასკნელთან ქირურგიული კორექცია მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ შემთხვევაში იგი წარმოადგენს სქესობრივი იდენტიფიკაციის პათოლოგიის მკურნალობას და არა ადამიანის სექსოპათოლოგიური ან რელიგიურ-სექტანტური ხასიათის ორიენტაციების პრაქტიკულ რეალიზებას.

ქრისტიანული ეკლესია მიიჩნევს, რომ თუ სქესის შეცვლა ადამიანის მონათვლამდე განხორციელდა, მაშინ იგი, ისევე როგორც მრავალი სხვა ცოდვილი, შეიძლება ეზიაროს ამ წმინდა საიდუმლოს, მაგრამ იგი უნდა მოინათლოს როგორც იმ სქესის მქონე, რა სქესითაც დაიბადა. ამასთან, ამგვარ ადამიანთა მონაწილეობა ზოგიერთ სხვა წმინდა საიდუმლოში (მაგალითად, მღვდელთმსახურად კურთხევა, საეკლესიო ქორწინებაში შესვლა) სასტიკად დაუშვებელია (Основы..., 85).

ეკლესია მამობრივ მზრუნველობას აღიარებს ყველა, მათ შორის LGBT პირისადმი, მაგრამ კატეგორიულად ეწინააღმდეგება თანამედროვე ლიბერალური საზოგადოების ყოველგვარ მცდელობას –ეს ცოდვიანი ტენდენცია წარმოაჩინოს, როგორც ნორმა, მით უმეტეს, როგორც სიამაყის საგანი და მისაბაძი მაგალითი. სწორედ ამიტომ გმობს ქრისტიანული ეკლესია სექსუალური თავისუფლების ნებისმიერ პროპაგანდას და იბრძვის თანამედროვე სექს-ბიზნესისა და მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანის განხორციელების წინააღმდეგ – მოხდეს საზოგადოებრივი ცნობიერების ორიენტაციის შეცვლა და სექსუალური ნორმატიული მოდელების გადაფასება. ეკლესია არ ზღუდავს არცერთი ადამიანის ძირითად უფლებებს სიცოცხლეზე, პირადი ღირსების პატივისცემაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე და სხვა, მაგრამ თვლის, რომ ის პირები, რომლებიც „არატრადიციული“ ცხოვრების წესის პროპაგანდას ეწევიან, არ შეიძლება მიღებულ იქნენ აღმზრდელობით, სასწავლო ან სხვა სახის სამუშაოზე ბავშვებთან და მოზარდებთან; აგრეთვე დაუშვებელია მათი დანიშვნა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ჯარში, გამოსასწორებელ დაწესებულებებში და ა.შ. (Основы..., 85).

მართლმადიდებელი ეკლესია გვასწავლის, რომ „სქესობრივი გაუკუღმართების“ ნებისმიერი გამოვლენა, როგორც ადამიანური ბუნების ცოდვით შერყვნის შედეგი, გადაილახება მხოლოდ დიდი სულიერი ძალისხმევით, რასაც ადამიანი განკურნებამდე და პიროვნულ სრულქმნილებამდე მიჰყავს. ამის მიღწევა შესაძლებელია წმინდა საიდუმლოებების აღსრულებით, საღმრთო წერილისა და წმინდა მამათა ნაწერების კითხვით, ასევე მორწმუნე ადამიანებთან ქრისტიანული ურთიერთობებით, რომლებიც ყოველთვის მზად არიან სულიერი მხარდაჭერისთვის და სხვ. (Основы..., 84).

ამრიგად, ქრისტიანული სწავლების თანახმად, „ღვთის ხატად და მსგავსად“ შექმნილ ადამიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ღვთითბოძებული თავისუფლება – ეს არის არა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისადმი ბრმა მორჩილება და კმაყოფილების მუდმივი განცდისაკენ სწრაფვა, არამედ საკუთარი თავის დაუფლება და გონივრული მართვა – „ვინაიდან უღელი ჩემი ამაოა და ტვირთი ჩემი მსუბუქი“ (1, მათ.11,30). ეს სახარებისეული ჭეშმარიტება სამუდამოდ იცავს ადამიანს ფიზიოლოგიური მონობისგან და მომაკვდინებელი ცოდვების და შეცდომების ჩადენისაგან.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბიბლია. თბილისი, საქართველოს საპატრიარქო. 1989.
2. მამულაშვილი ბ. ბიოეთიკა. თბილისი, 2014.
3. Блох И. История проституции. СПБ. 1994. с. 256-258.
4. Зенковский В. На пороге зрелости. М. 1991. с. 45-46.

5. Имелинский К. Сексология и сексопатология. М. 1986. с.11-293.
6. Миллер Г. Половая жизнь человечества. СПБ. 1909. с. 271.
7. Международная классификация болезней (10-й Пересмотр). Классификация психических и поведенческих расстройств. – ПСБ-1994.с.212.
8. О Вере и нравственности по учению Православной Церкви. М. 1991. с. 326.
9. Основы социальной концепции Православаной Церквы. Информационный бюллетень ОВЦС Московского Патриархата. М. 2000, №8. с.77-85.
10. Силуянова И. В., Сексуальный либерализм// Незав. газета.1995.25/X.с.6.
11. Фреид З. Введение в психоанализ. лекции. М. наука.1989. с. 12-203.

ნ. ყუფარაძე

თანამედროვე ლიბერალური საზოგადოებისა და ქრისტიანული რელიგიის დამოკიდებულება არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირებისადმი

რეზიუმე

გამოხატავს რა მამობრივ მზრუნველობას და პასუხისმგებლობას ნებისმიერი ადამიანისადმი, მათ შორის ე.წ. LGBT პირებისადმი, ქრისტიანული ეკლესია არ ზღუდავს მათ უფლებებს სიცოცხლეზე, პიროვნული ღირსების პატივისცემაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე და სხვა, მაგრამ კატეგორიულად ეწინააღმდეგება თანამედროვე ლიბერალური საზოგადოების ყოველგვარ მცდელობას წარმოაჩინოს არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია, როგორც პიროვნული თავისუფლების გამოხატულება და ნორმა, და არა პათოლოგია და მომაკვდინებელი ცოდვა, მით უმეტეს – როგორც სიამაყის საგანი და მისაბაძი მაგალითი.

N. Kuparadze

The Relationship of Modern Liberal Society & Christian Chursh to the Persons with Untraditional Sexual Orientation

Summary

Feeling its thoughtfulness and responsibility for the people (amongst the persons with untraditional sexual orientations) Christian Church doesn‘t ristrict their fundamental rights-life, respeting human dignity, participation in social life, and so on, but keeps its negative position to any attempt of modern liberal society to admite any sexual pathology (the heaviest sin) as the norm, despite its character and degree, or all the more, as the thing of pride and example of imitation.

მ. ცუხიშვილი

კალისტრატე ცინცაძე — 150

ქართველი ხალხი გასულ საუკუნეებში განსაკუთრებული და გამორჩეული ენთუზიაზმით, სიყვარულით და რწმენით ცდილობდა არ წაშლილიყო მეხსირებიდან ის სატკივარი და სადარდებელი რასაც ჰქვია ტაო-კლარჯეთი, რომელიც მოწყვეტილია დედა-სამშობლოს და რომელიც დღემდე ელის პატრონს და მზრუნველს.

ამ თვალსაზრისით XX საუკუნე მეტად მნიშვნელოვანი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა მეცნიერებმა, რომელთაც განათლებას, ცოდნას და სამშობლოს სიყვარულს უწუნებენ დღესაც, შეძლეს მთლიანად აღეწერათ და შეესწავლათ თურქეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს ისტორიული, მართლამდიდებლური და საკულტო დანიშნულების შენობა-ნაგებობანი, მათ შორის ის ეკლესია-მონასტრები, სადაც საუკუნეების მანძილზე არ შეწყვეტილა წირვა-ლოცვა, სადაც მიმდინარეობდა საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მისიონერული მოღვაწეობა, რაც ასე ფასდაუდებელი და ძვირფასია მთელი კაცობრიობისთვის. აი რას წერს ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი კალისტრატე:

„საქართველოს საკათალიკოზოს ზემო ქართლის ეპარქიებისათვის.

დღეს დემოკრატიული მსოფლიოს საზოგადოებრივი ყურადღება მიმართულია ძველ თუ ახალ მოძალადეთა მიერ ამა თუ იმ ერის გათიშულ, ჩამოშორებულ, თუ დაქსაქსულ ნაწილების შეერთებისაკენ, რათა სისხლით და ხორცით შეკავშირებულმა ადამიანებმა მოიყარონ თავი მშობლიურ მიწაწყალზე და შეერთებული ძალით ჩაებან მშვიდობიანობის და უშიშროების დამამყარებელ ერთა კრებულის ფერხულში.

ასეთ შეერთების მოლოდინშია ჩვენი სამშობლოს ის ნაწილი, რომელიც შეადგენდა საქართველოს საკათალიკოზოს ეკლესიის ეპარქიებს ალაშკერტისას, ანჩისას, ბანისას, დადაშენისას, ერუშეთისას, იშხნისას, კარისას, სატრაფელასის, ტბეთისას, წურწყაბისა და წყაროსთვისას, რაც უდრის ახლანდელი ოსმალეთის ოლქებს ათინისას, ალაშკერტისას, ართვინისას, არტაანისას, ბასიანისას, გუმბრისას, თორთომისას, ისპირისას, კისკომისას, ოლთისისა, რიზესას, ყარსისას, ყაღზევანისას და ხოფისას. ეს ის მხარეა სადაც დაირწა აკვანი ქართული კულტურული ცხოვრებისა და სადაც ყველაზე ადრე შეიგნეს საჭიროება და აუცილებლობა პოლიტიკურად გაერთიანება ცალ-ცალკე სამთავროებად დაყოფილი საქართველოსი, უმთავრესად კულტურულ-ეროვნული ეკლესიის წიაღში. ეს იმიტომ, რომ იმ დროს ერთადერთი კულტურულად წამყვანი დაწესებულება ეკლესია იყო. ნიჭიერ, განათლებულ და ენერგიულ დიდ მამულიშვილს, გრიგოლ ხანძთელს აუშენებია მონასტრები ხანძთას და შატბერდს, რომელთა გარშემო თავი მოუყრია მურვან ყრუს შემოსევასა და ჟამიანობას გადარჩენილ, ტყესა და კლდეებში გახიზნულ, მცირეოდენ მოსახლეობას. მათ შიდა ქართლიდანაც მიმატებია ხალხი და გაჩაღებულა მუშაობა: მონასტერთა ზღუდეში მეცნიერულ-მწიგნობრული, ხოლო მათ გარეშე სამეურნეო-აგრარული. ამ სახით ზემო ქართლში დაწყებულა ეკლესიურ-კულტურული ცხოვრება და სულ მოკლე ხანში ზემოხსენებული ეპარქიებიც დაარსებულა, რასაც ხელი შეუწყვია ხუროთმოძღვრების იმ სტილის წარმოშობისთვის, რომელმაც მოგვცა ოშკი, ხახული, სწორუპოვარი ბანა და მათი განშტოებანი – კუმურდო, ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, ალავერდი, და სხვანი. ზემო ქართლში განსწავლულან და უმოღვაწიათ ანჩისა და ხახულის ხატების ჭედური ხელოვნების შეუდარებელ ოსტატებს ბექა და ბეგკენ* ოპიზარებს და მათ მოწაფეებს. აქ განვითარდა და აყვავდა ქართული ენა, მწიგნობრობა და მეცნიერება, რომლის წარმომადგენლებია გიორგი მერჩულე და ბასილი ზარზმელი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელნი, გიორგი ხუცეს მონაზონი და ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი და მრავალი სხვანი;

ამ ქვეყანამ მისცა საქართველოს ის გვარეულობა, რომელიც ათი საუკუნის მანძილზე პატრონობდა ჩვენს ქვეყანას დავით კურაპალატის, ბაგრატ დიდის, დავით აღმაშენებლის, დედათა სქესის მშვენების წმ. თამარის და სხვათა სახით.

ამჟამად ეს შესანიშნავი მხარე ჩვენი ქვეყნისა ჩამორთმეულია საქართველოს და თუ რაიმე მოგვაგონებს იქ ქართველობას, ეს ტაძართა ნანგრევებია (რომელთაც უკანასკნელ ხანებში სისტემატურად სპობენ), ამ ნანგრევებთან წმინდა სანთლით ხელში მისრული მანდილოსანნი და ქრისტიანულ დიდ დღესასწაულებში სახლებისა და ოჯახის საზეიმოდ მორთვა-მოკაზმვაა.

* უნდა იყოს ბეშქენ (მ. ც.)

რამ მოსპო ქრისტეანობა, ან უკეთ: მართლმადიდებლობა, ან კიდევ უკეთ: ქართველობა (**ჩვენი ხალხის შეგნებით ქართველობა და მართლმადიდებლობა სინონინიმებია: ქართველ კათოლიკეს ჩვენში ფრანგს უწოდებენ, ქართველ მაჰმადიანს თათარს)?** საქმე შემდეგშია: შუა აზიიდან წამოსულნი უმიწაწყლო და ნახევრად ველურნი ოსმალნი მცირე აზიაში დამკვიდრდნენ და საქართველოს დაპყრობაც მოინდომეს. ჩვენი წინაპარნი მრავალთა წელთა განმავლობაში თავდადებით და გმირულად იბრძოდნენ, მაგრამ ერთზე რომ ასი მოდიოდა, რასაკვირველია, გამარჯვება უმრავლესობას დარჩა. 1578 წელს ოსმალები საბოლოოდ დამკვიდრდნენ ზემოხსენებულ ეპარქიათა ტერიტორიაზე და შეუდგნენ, საშუალებათა განურჩევლად, ქრისტიანობისა და ქართველობის აღმოფხვრას.

ჯერ ვითომ კანონიერ ზომებს მიმართეს: ჩვენი კანონით მიწა მარტო მხედრებს ეკუთვნისო, მხედრებად კი მხოლოდ მუსულმანი მიიღება, ამისთვის, ვისაც გსურთ დარჩეთ მიწის მფლობელებად, მიიღეთ მუსულმანობა, გახდით მხედრები და იცხოვრეთ თქვენს მამაპაპეულ მიწაწყალზეო.

თავისთავად ცხადია, არამცთუ მონასტერ-ეკლესიათა მესვეურთათვის, არამედ მორწმუნე თავად-აზნაურთათვისაც შეუძლებელი გახდა ამ კანონის დამორჩილება და ისინი გაძარცულ-გაღატაკებულნი იძულებული გახდენ გახიზნულიყვნენ შიდა ქართლსა და იმერეთში.

არა უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენეს უმიწაწყლო მდაბიო გლეხობა. მათ თავდაპირველად ნება მისცეს დარჩენილიყვნენ ქრისტიანებად, მაგრამ მრავალ გადასახადთან ერთად შეაწერეს სამარცხვინო „ურწმუნოთა" გადასახადიც, გარნა ეს მხოლოდ მოჩვენება იყო: რამდენიმე ხნის შემდეგ ოსმალთა ჯარი გარს შემოერტყმოდა ხოლმე „ურწმუნოთა" სოფლებს, მოსახლეობას მიერეკებოდა დიდ მდინარის ნაპირზე, დაასვენებდნენ იქ მაცხოვრის ან ღვთსმშობლის ხატს და უბრძანებდენ ხელშეკრულ ადამიანებს: თუ გინდათ სიცოცხლე, მიიღეთ მაჰმადიანობა, რის ნიშნად შეაფურთხეთ ამ ხატსა, თუ არა და გამოესალმეთ სიცოცხლესაო. წინადადების უარმყოფელს შეუბრალებლად თავს კვეთდნენ და აქაფებულ მდინარეში ჰყრიდნენ. სიკვდილის შიში ზოგიერთებს აიძულებდა შეესრულებიათ ბრძანება, მაგრამ მათ მაინც არ ენდობოდენ: ასახლებდნენ თურქეთის შორეულ პროვინციაში, ხოლო მაგივრად მოჰყავდათ თურქმენები და ქურთები.

ასე „გათათრდა" საქართველოს მესამედი, მაგრამ „გათათრებულ" ქართველთა გულში არასოდეს ჩამქრალა რწმენა, რომ ისინი ქართველები არიან და ბედი გაუღიმებთ. დროა, ქრისტეანულ საქართველოს გვერდით ამოუდგეს 400 წლის განმავლობაში მისგან ჩამოშორებული მკვდარი ძმა და მასთან ერთად შეუდგეს ადამიანის გამაფაქიზებელ და ამამამაღლებელ კულტურულ მუშაობას მშობლიური ენისა და მოპოვებულ წარმატებათა ნიადაგზე.

ოსმალეთის პრესის ზოგიერთი წარმომადგენელნი ავრცელებენ ხმას, ვითომაც მუსულმან ქართველთა გაერთიანება საქართველოსთან გამოიწვევს საბჭოთა ხელისუფლებისგან სარწმუნოების დევნას და შევიწროებას, ხოლო საქართველოს ეკლესიის მხრივ გაქრისტიანების ცდასო. ჩვენ აღთქმას ვდებთ ჩვენისა და ჩვენი მოადგილეების სახელით: გაბრიყვებით, მზაკვრობით და ცდუნებით არც ერთი მუსულმანი არ იქნება გაქრისტიანებული.

რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლებას, ის სარწმუნეობრივ საკითხში არ ერევა. ჩვენი კონსტიტუციით გარანტირებულია სვინდისისა და რწმენის თავისუფლება, ყველას შეუძლიან აღიაროს ის სარწმუნოება რომელიც მას უნდა, ანდა არც ერთი არ აღიაროს".

კალისტრატე,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი". (კალისტრატე ცინცაძე, ხეც)

* * *

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის კალისტრატეს (ცინცაძე) ხელნაწერი დოკუმენტი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და უაღრესად საჭიროდ ვცანით მისი გადმოწერა და გამოქვეყნება, მითუმეტეს მას აქტუალობა ჯერაც არ დაუკარგავს და იმაზე გაცილებით მნიშვნელოვანი და ფასეულია, ვიდრე იმ ეპოქაში, როდესაც მოღვაწეობდა ერის სულიერი მამამთავარი.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-50-იან წლებში, როდესაც კაცობრიობა შეძრა მეორე მსოფლიო ომმა და მისმა შედეგებმა (საუბარია გარდაცვლილ, დაკარგულ, დაინვალიდებულ მილიონობით ადამიანზე, განადგურებულ ქალაქებსა და ინფრასტრუქტურაზე), საქართველოს ეკლესიის მესაჭე არ კარგავს მთავარ ორიენტირს და ყველა შესაძლო გზას ეძებს იმ საკითხის დარეგულირებისთვის, რომელსაც ყველა თვალსაზრისით (საეკლესიო, სახელოვნებო, სალიტერატურო, პედაგოგიური, მისიონერული...) დღემდე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიაში.

სამწუხაროდ, კათოლიკოს-პატრიარქის ხელნაწერ ძვირფას დოკუმენტს არ უზის თარიღი, თუმცა ჩვენი ვარაუდით მისი დაწერის მიახლოებითი პერიოდი უნდა იყოს 1945 წლის ბოლო ან 1946 წლის დასაწყისი.

1920 წელს, ვერსალის ხელშეკრულების გათვალისწინებით, დაარსდა „ერთა ლიგა“, რომელმაც ორი ათეული წლის შემდეგ ვერ გაუძლო მსოფლიოს წინაშე მიმდინარე ახალ პოლიტიკურ გამოწვევებს და აუცილებელი გახდა ახალი, ე. წ. მძლავრი ანტინაცისტურ-ფაშისტური კოალიციის ჩამოყალიბება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) სახელწოდებით, რომლის შექმნის ინიციატორები იყვნენ სსრ კავშირი, აშშ და დიდი ბრიტანეთი.

გაეროს წესდება 6 თვის განმავლობაში „იხვეწებოდა” და საბოლოო რედაქცია დუმბარტონ-ოქსის (1944 წლის აგვისტო) და ყირიმის (1945 წლის თებერვალი) კონფერენციებზე გამოქვეყნდა, ხოლო საბოლოო ვარიანტს 50 სახელმწიფოს წარმომადგენელმა ხელი მოეწერა 1945 წლის 26 ივნისს სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე; წესდება ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს.

ყოველივე ეს ზედმიწევნით იცოდა საქართველოს ეკლესიის მამამთავარმა და იმთავითვე გაუჩნდა იმედი იმისა, რომ გაეროს მთავარი მესაძირკვლე სსრ კავშირისა და ერთ-ერთი დამფუძნებელი სახელმწიფოს თურქეთის მაღალი რანგის პოლიტიკური პირები მიაღწევდნენ შეთანხმებას ტაო-კლარჯეთის პრობლემის დადებითად გადაწყვეტის საქმეში და შესაბამისად ამისა, დაიწერა წინამდებარე მოკლე მიმოხილვა საქართველოს საკათალიკოზოს ზემო ქართლის ეპარქიების შესახებ, რომელიც იმავდროულად აწყობილია საბეჭდ მანქანაზე.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ დიდუბის ტაძარში მღვდელმსახურების პარალელურად მღვდელი კალისტრატე ცინცაძე ახალგაზრდა იოსებ ჯუღაშვილს უკითხავდა ლექციებს თბილისის სასულიერო სემინარიაში (1894-1896 წწ.), სადაც ჩამოყალიბდა მათ შორის მეგობრული ურთიერთობა, რამაც ასახვა ჰპოვა XX საუკუნის 30-40-იან წლებში, როდესაც კალისტრატე ცინცაძე გახლდათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. არსებობს არაერთი უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ თუ არა სტალინი საქართველოს სახელმწიფო დიდხანს (ან საერთოდაც) ვერ დაიბრუნებდა მენშევიკების დროს საქართველოდან გატანილ ეროვნულ საუნჯეს.

ასევე, უწმიდესისა და უნეტარესის კალისტრატეს დიდი მცდელობისა და ბრძოლის ნაყოფია ის, რომ 1943 წლის 28 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის სერგის მიერ ოფიციალური სტატუსით წარმოგზავნილი სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი ანტონი, რომელმაც მოლაპარაკება გამართა საქართველოს ეკლესიის მწყემსთავართან და შედეგმაც არ დააყოვნა, რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ოფიციალურად აღიარა და ფორმალურ-კანონიკურად ცნო საქართველოს ეკლესიის თავისთავადობა (ჟ. „სამი საუნჯე“, 2011).

სწორედ ამ განჩინებაზე დაყრდნობითა და (როგორც ჩანს) უშუალოდ სტალინის პიროვნების ფაქტორის გათვალისწინებით დაიწერა ეს ნაშრომიც (და არა წერილი), მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ ის ითარგმნა რუსულ ენაზე ან მიაღწია მოსკოვამდე, თუმცა ფაქტი ერთია, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე ლაკონურად, გულწრფელად და გულახდილად მოგვითხრობს ტაო-კლარჯეთის, იგივე ზემო ქართლის ტრაგიკული ბედის შესახებ და დამაჯერებლად აღწერს იმ რეალობას, რომელმაც განვითარება ჰპოვა 1578 წლამდე, ვიდრე საბოლოოდ არ დამკვიდრდნენ ოსმალები (თანამედროვე თურქები) ქართულ მიწა-წყალზე.

აქვე ვაქვეყნებთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის კალისტრატეს (ცინცაძე) მიერ ტაო-კლარჯეთის პრობლემასთან დაკავშირებით, ზუსტად 70 წლის წინ გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ მოწოდებას, რომელიც არის ერის სულიერი მამის და საჭეთმპყრობლის განსწავლულობის, სიმტკიცის, გმირობისა და მამაცობის უდიდესი გამოვლინება.

„პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ, მომცეთ საშუალება გაზეთ „კომუნისტში“ ამ მოწოდების გამოქვეყნებით ჩემი და მთელი ჩემი სამწყსოს ხმა შევუერთო ქართველი ერის სამართლიან მოთხოვნას, რომელიც წამოყენებული იყო თურქეთის მიმართ პატივცემული მეცნიერების – სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილში (“კომუნისტი” № 24 (7461) 14.12.1945 წ.).

14-ე საუკუნეში მაჰმადიანურმა ოსმალეთმა ქრისტიანული მსოფლიოს გულზე ფეხი დაადგა: სახელოვანი კონსტანტინეპოლი დაიპყრო და კულტურული ახლო აღმოსავლეთის სიამაყის – ბიზანტიის სახელმწიფოს არსებობა სამუდამოდ შეწყვიტა.

იუსტინიანე კეისრის დროის გენიალურ ქმნილებაზე – წმინდა სოფიის ტაძარზე, დაპყრობილ ქრისტეანთა სისხლით მოსვრილი ხელის ანაბეჭდი-გამომხატველი გამარჯვებული ხონთქარის მიერ

ქრისტიანული ტაძრის მიზგითად გადაქცევისა, მომასწავებელი რამ იყო ოსმალთა პოლიტიკისა მათ მიერ დაპყრობილ ქრისტიანულ ქვეყნებში.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ბნელი უკუნეთი ჩამოწვა, ჩვენს ქვეყანას ოსმალეთი გაუმეზობლდა. შეწყდა მრავალსაუკუნოვანი ცხოველი ურთიერთობა ქართველებისა დასავლეთის განათლებულ ხალხებთან.

ოსმალეთი ყოველთვის შორს იდგა მეზობლებთან მშვიდობიან კულტურული ურთიერთობისგან. ეს აგრესიული ბუნების სახელმწიფო ყველა მეზობელს თავს ესხმოდა და გლეჯდა, ვიდრე საამისო ღონე მოსდევდა.

ამ დროიდან მოკიდებული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ზავი არ ჰქონია. ოსმალეთი უჩვეულო სიჯიუტით ცდილობდა საქართველოს დაპყრობას ცეცხლითა და მახვილით, მაგრამ ქართველები შეუნელებელი მხნეობით თავს იცავდნენ.

300 წელი გრძელდებოდა უსწორო ბრძოლა.

მოძალადე მტაცებელმა განაზრახი ვერ შეისრულა, ქართველთა სიმტკიცე ვერ გასტეხა და საქართველო მთლიანად ხელთ ვერ იგდო. დამპყრობელს მწარედ მოაგონდება ბასიანი, ბათომი, გორი, ასპინძა, ზეკარი, ხრესილი, ჩხერის ციხე და არაერთი სხვა ადგილი-მოწმე ქართველთა მამაცური შებმისა და მომხდურის დამარცხება-უკუქცევისა.

მაგრამ, უზარმაზარ მტერთან ბრძოლაში მეტად დაზიანდა ქართველი ხალხი. ოსმალეთმა თანდათანობით მიიტაცა საქართველოს სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ვრცელი მიწა-წყალი: ჭანეთი, ბეიბურთ-გუმიშხანე, თორთუმი და სპერი, შავშეთ-კლრაჯეთი, ტაო-ბასიანი, კოლა-არტაანი და სამცხე.

არც ერთ დამპყრობელს შუა საუკუნეებში კულტურული ახლო აღმოსავლეთისთვის ისეთი ზიანი არ მიუყენებია, როგორც მას ოსმალეთმა მიაყენა. ბიზანტია-საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, სერბია, ალბანეთი, სომხეთი, საქართველო და მრავალი სხვა კულტურული ქვეყანა, ქრისტიანული და მაჰმადიანური, შეიქმნა მსხვერპლი ოსმალური მიმტაცებლობისა და მისი ბარბაროსული მოძალადეობისა.

შეუძლებელია სიტყვით გამოითქვას ის უსამართლობა, რომელიც გადაიტანა ხონთქრის საბრძანებელში მოყოლილმა ქართველობამ ოსმალო დამპყრობელთაგან. ფიზიკური ძალადობა, მორალური შეგინება ოსმალთა ბატონობის მთავარი იარაღი იყო. ოსმალეთმა შეუძლებელი გახადა მის მიერ მიტაცებული ქართული ოლქების შემდგომი განვითარება. ბარბაროსული თურქული ფეოდალიზმი სულშემხუთავ ძალად დააწვა შეუდარებლად უფრო წინმდგომ ქართულ საზოგადოებრივ წყობილებას დაპყრობილ ოლქებში. დამახასიათებელია, რომ ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ დაპყრობილთა მიერ შემოღებულ წესებს, ყოვლად უცხოს და შეუფერებელს ქართული ცხოვრებისთვის, უწოდა ოსმალობა, რომელიც უსამართლობის სინონიმად გადაიქცა.

წინსვლა შეჩერდა და ქვეყანა თანდათან უკან წავიდა. ქრისტიანობა, ეროვნული კანონები და ქართული ენა ცეცხლითა და მახვილით იდევნებოდა. ოდესმე აყვავებულს ქვეყანაში უკულტურობამ დაისადგურა. სასოებითა და სიყვარულით ნაგები ტაძრები, ხელოვნების შესანიშნავი ძეგლები, თანდათან დაიცალა, დაყრუდა. თანდათან გაქრა ანჩას თუ ხახულის ოპიზართა მიერ ნაჭედი წმინდა ხატები, წყაროსთავს მოხატული საღმრთო წიგნები, შატბერდს ნათქვამი სიბრძნე, ოშკს შეთხზული საგალობლები. მათი უმრავლესობა დაიღუპა, ნაწილიც სასოებით გადამალეს შევიწროებულმა მლოცველებმა, ნაწილიც თან წაიღეს გაჯოჯოხეთებული სამშობლოდან ლტოლვილებმა.

დამპყრობელთა ბარბაროსულმა მმართველობამ ხალხი გააღატაკა; მოსახლეობის რიცხვი კატასტროფულად შემცირდა, ქვეყანა გავერანდა. ოსმალური მმართველობის ჩამორჩენილობის მჭერმეტყველური ნიშანია, რომ მას შემდეგ, რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეს დამპყრობელი დაეპატრონა, იქ მოიშალა და მოისპო ოდესმე აყვავებული საქალაქო ცხოვრება, ინტენსიური სასოფლო მეურნეობა, ჩაქრა განათლების კერა, შეწყდა ყოველგვარი მშენებლობა. მთელს ამ ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც სავსეა ქართველობის დროის დიდებული არქიტექტურული ძეგლებით (რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ არ გაუნადგურებიათ ისტორიისა და მეცნიერების წინაშე პირშავ ბარბაროსებს), არც ერთი სასახლე, არც ერთი ტაძარი, არც ერთი ქარვასლა, არც ერთი ხიდი და სხვა რამ შენებულება, რამდენადმე ღირს შესანიშნავი, არ აგებულა ოსმალთა ბატონობის დროს. ხალხის სასიცოცხლო ძალების პარაზიტული გამოწოვით ოსმალურმა მმართველობამ დაპყრობილ ქართულ ქვეყნებში დაახშო განვითარებისა და შემოქმედების ყოველგვარი გზა. ზემოთქმულში დასარწმუნებლად საკმაოა ერთიმეორეს შევადაროთ დღევანდელი საქართველოს ორი ნაწილი: საქართველო ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი და საქართველო თავისუფალი. განუზომელია ჩამორჩენა სამხრეთ-დასავლეთ ნაწილისა და მწარე კაეშნის მომგვრელია ბედის უკუღმართობა: ისტორიულ საქართველოს დიდი კულტურული აღმავლობის ხანაში, IX-XII საუკუნეებში, და შემდეგ, ვიდრე ოს-

მალთა მიერ მიტაცებამდე, საქართველოს სწორედ ეს ნაწილი იყო ჭეშმარიტი აკვანი და საძირკველი მთელი ჩვენი ხალხის სულიერი თუ ნივთიერი კულტურისა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად საბჭოთა განუყრელ ძმურ კავშირში აღდგა თავისუფალი ქართველი ერი. გასაგებია, რომ საუკუნო ზრუნვის საგანი-მტრისგან ძალად მიტაცებული ქართული მიწა-წყლისა და დაჩაგრულ-შეგინებული ღვიძლი ძმების დედა-სამშობლოსთვის დაბრუნე- ბა-გარდაუვალ ამოცანად დაისვა მის წინაშე.

ქართული მართლმადიდებელთა ეკლესია ისტორიულად ყოველთვის ეროვნული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის მატარებელი და მქადაგებელი იყო. ჩვენი ეკლესია ამასთანავე სხვა სარწმუნოების მიმდევართა მიმართ ყოველთვის ლმობიერებითა და მოთმინებით განირჩეოდა. მით უმეტეს ეს ითქმის იმ ქართველის, ჩვენი ღვიძლი ძმების მიმართ, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ძალადობის შედეგად ისლამის სარწმუნოება მიიღეს.

ქართულ ეკლესიას არ ჰქონია და არც არასოდეს ექნება განზრახვა სამხრეთ საქართველოს რაიონებში ქრისტიანობის ძალად აღდგენაზე იფიქროს. ხოლო, რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლებას, ყველასთვის ცნობილია მისი დამოკიდებულება საწმუნოების საკითხისადმი: ჩვენი კონსტიტუციით გარანტირებულია სინდისისა და რწმენის თავისუფლება-ყველას შეუძლია ირწმუნოს და ილოცოს ისე, როგორც თვითონ სურს. დღეს ისტორიული უსამართლობის გასწორების ჟამია, თავისუფლებისმოყვარე ხალხებმა სამუდამოდ დაამარცხინეს მძლავრობა-მტაცებლობის კერა-ფაშისტური გერმანია და მისი მოკავშირენი.

ქართველმა ხალხმა თავდადებული ბრძოლით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბოროტ ძალთა განადგურების ამ საერთო საქმეში და უდავო უფლებაც მოიპოვა მოითხოვოს ისტორიული უსამართლობის გასწორება – საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული გაერთიანება.

თავისუფალ ერთა გაერთიანების წევრმა ოსმალეთმა საქართველოს უნდა დაუბრუნოს ქართული მიწა-წყალი: რაიონები – არატაანისა, ართვინისა, ოლთისისა, თორთუმისა, ისპირისა, ბაიბურთისა, გიუმიშხანესი და ლაზისტან-ჭანეთი ტრაპიზონისა და გირესუნის ჩათვლით.

მივმართავ გაერთიანებულ ერთა ხელმძღვანელებს, მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობას და მოვუწოდებ მათ მხარი დაუჭირონ ისტორიული სამართლიანობის აღდგენის ამ წმინდა საქმეს.

კალისტრატე,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
1946 წლის იანვრის 5“ (გაზ. „კომუნისტი“, 1946).

დამეთანხმებით, ადვილი არ იქნებოდა ერის სულიერი მამის ასეთი უაღრესად მნიშვნელოვანი წერილის მომზადება, მითუმეტეს, მას ეტყობა თუ როგორ ღელავდა და განიცდიდა წერის დროს. სტილი, რომლითაც გადმოცემულია წერილი, არის ისტორიულ-სარწმუნოებრივ ასპექტებში ღრმად განსწავლული და სამშობლო ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის გულწრფელობის უნიკალური გამოვლინება.

სხვათა შორის, თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან დღემდე გრძელდება მათ მიერ ასწლეულების წინ მიტაცებული ქართული ისტორიული პროვინციების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განადგურება, მაშინ როცა საქართველოში სამწუხაროდ თავისუფლად შენდება და მშვენდება მეჩეთები და მინარეთები.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს ორივე ნაშრომი (რაც წერილზე აღმატებულია) ერთსა და იმავე საკითხს ეხება, უბრალოდ, პირველი ქვეყნდება პირველად და უსათუოდ დაწერილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფორმირებამდე. მეორე ნაშრომში დეტალები დაზუსტებულია და ავტორი პირდაპირ მიმართავს დახმარების და სამართლიანობის აღდგენის თხოვნით გაეროს წევრი ქვეყნების ლიდერებს და პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებას , თუმცა რა რეაგირება და გამოხმაურება მოჰყვა ამ საკითხს, ჩვენთვის უცნობია.

ერთი რამ უდავოდ ცხადია, როდესაც 1949 წლის 4 აპრილს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების საფუძველზე ათი ევროპული და ორი ჩრდილოამერიკული დამფუძნებელი ქვეყნის მიერ დაარსდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია „ნატო” (NATO), დამფუძნებლების მთავარი საზრუნავი იყო წინ აღდგომოდნენ საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელებას ევროპის კონტინენტზე. მათ ვალდებულება აიღეს ერთობლივად დაეცვათ საკუთარი თავისუფლება და უსაფრთხოება, როგორც პოლიტიკურად, ისე სამხედრო ძალებით.

„ნატო„-ს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს წევრი ქვეყნების დაცვა აგრესიისგან და ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება ყველა სხვა წევრზე თავდასხმად, რაც დამფუძნებელი ხელშეკრულების 5 მუხლში არის განსაზღვრული: „ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდები-

ან, რომ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, ან რამდენიმე მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა მიიჩნევა თავდასხმა ყველას წინააღმდეგ და არსებულ შემთხვევაში, გაეროს წესების 51-ე მუხლის თანახმად ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ძალის გამოყენებით ისინი დახმარებას გაუწევენ საფრთხეში მყოფ მხარეს ან მხარეებს, რათა შეინარჩუნონ ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოება" (http: www. nato .int).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე (ცინცაძე) გარდაიცვალა 1952 წლის 2 თებერვალს, ხოლო თურქეთი NATO-ს წევრი ქვეყანა გახდა მის პირველივე გაფართოებულ სხდომაზე ანუ 1952 წლის 18 თებერვალს. სულაც არ არის გამორიცხული ის, რომ სწორედ პატრიარქ კალისტრატეს თხოვნითა და ფაქტორით ცდილობდა სსრ კავშირის ხელმძღვანელობა თურქეთის მიერ მიტაცებული მიწები დაბრუნებოდა დედასამშობლოს, თუმცა ე. წ. პროგრესულად მოაზროვნე მსოფლიომ მხარი დაუჭირა თურქეთს, რაც დღემდე გრძელდება.

აქვე უნდა ითქვას: რომ არა თურქეთის წინააღმდეგ მიმართული რუსეთის საომარი პოლიტიკა და შეიძლება სათავისო ინტერესებიც, აჭარას და გურიას ზუსტად ისეთივე ბედი ელოდა, როგორც ზემო ქართლის ქვეყანას, იგივე ტაო-კლარჯეთს (საუბარია 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის და ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილების შედეგებზე).

დასკვნის სახით ვიტყვით შემდეგს – ოსმალეთის, იგივე თურქეთის მზაკვრული პოლიტიკისა და აგრესიის წყალობით საქართველომ განიცადა ტერიტორიული რღვევა, რაც უკიდურესად მძიმედ აისახა მომდევნო საუკუნეების საქართველოს შემდგომ განვითარებაზე. ჩვენი წინაპრები ღირსეულად, შეუპოვრად, გაბედულად და სამართლიანად იბრძოდნენ პოლიტიკურად წელში მოხრილი სამშობლოს გადასარჩენად, თუმცა მარტო იყვნენ ამ ბრძოლაში. სწორედ ამ ბრძოლის გაგრძელებას წარმოადგენს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს (ცინცაძე) მრავალმხრივი სამეცნიერო, საზოგადოებრივი, პედაგოგიურ-აღმზრდელობითი, სასულიერო და 20 წლიანი მამამთავრული მოღვაწეობა, რომლის ერთ-ერთ ნათელ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს წინამდებარე შრომაში მოყვანილი ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა და ყველა თვალსაზრისით ფასეულია.

ჩვენმა გმირმა წინაპრებმა თავიანთი გასაკეთებელი და სათქმელი თქვეს, დანარჩენი შთამომავლობაზე და მის მიერ გადადგმულ სწორ ნაბიჯზე, სწორ არჩევანზე, ორიენტირებსა და სარწმუნეობრივ-პოლიტიკურ ალღოზეა დამოკიდებული.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი.
2. ჟ. „სამი საუნჯე", 2011.
3. გაზ. „კომუნისტი", 1946.
4. http://www.nato.int/

მ. ცუხიშვილი

კალისტრატე ცინცაძე – 150

რეზიუმე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ (1866-1952 წწ.) თავისი პატრიარქობის 20 წლის განმავლობაში უდიდესი და უმნიშვნელოვანესი მისია შეასრულა დედა ეკლესიის, დედასამშობლოსა და ქართველი ერის წინაშე. ის მამამთავრად იყო მაშინ, როდესაც საქართველოში მძვინვარებდა ათეიზმი, ბობოქრობდა ურწმუნოება და კარდაკარ დაძრწოდა სიკვდილი, რასაც მოჰყვა 1937-38 წლების რეპრესიები და მეორე მსოფლიო ომი (1937-1945 წწ.); ამ ყველაფრის განუყოფელი ნაწილი იყო საქართველო. ამის მიუხედავად, იყო პოზიტიური მოვლენები, მათ შორის რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა და მასთან ლოცვითი კავშირის აღდგენა, საქართველოში 1921 წელს გატანილი საუნჯის დაბრუნება და სხვა.

პატრიარქი იბრძოდა, რათა საქართველოს მშვიდობიანი გზით დაბრუნებოდა ტაო-კლარჯეთი და მასზე აღედგინა იურისდიქცია, თუმცა უშედეგოდ. სწორედ ამ ბრძოლის წერილობით დადასტუ-

რებას წარმოადგენს ნაშრომში მოყვანილი ორი დოკუმენტი, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და აქტუალობა.

M. Tsukhishvili

Kalistrate Tsintsadze – 150

Summary

Catholicos Patriarch of Georgia, His Holiness Kalistrate, (Tsintsadze 1866-1952) fulfilled the mos important mission for his country, church and Georgian nation during 20 years Holiness. When in Georgia was atheism, Lack of faith and death, he was the Patriarch. This was followed by repression and Second World War (1937-1945) and Georgia was part of these events. Nevertheless, there were positive developments, the autocephaly of Georgian church by Russia, Return the treasury in Georgia, taken in 1921 and etc. The patriarch was Peacefully Fought for the return of Tao klarjeti, to restore Jurisdiction, but in vain. Two documents in this work are the written confirmation of this fight, and are still relevant.

დ. ჩიკვილაძე

„პუბლიცისტი თავისი დროის შვილია“

ცოტა ხნის წინათ, ცნობილი ქართველი მწერლის — როდიონ ქორქიას ოჯახმა, მისმა შვილიშვილმა — გიორგი ქორქიამ გადმომცა ნიკო ნიკოლაძის ორი უცნობი ბროშურა — ერთი 1906 წელს თბილისში დაბეჭდილი სათაურით „Горе имеим сердца!“, მეორე 1910 წელს ფოთში დასტამბული სათაურით „Из архива Н. Я. Николадзе, Основные изъяны дворянских школ“. ეს ბროშურები დაწერილია რუსულ ენაზე და ნაკლებადაა ცნობილი ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეობის შემსწავლელ მეცნიერთათვის.

ამ შრომებში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ჟურნალისტის დანიშნულებასა და მოვალეობაზე ნ. ნიკოლაძის პროგრესულმა და საღმა მსჯელობამ, რაც მან მეოცე საუკუნის დასაწყისში ჟურნალიზმის ფაქტორზე გამოთქვა. ჩვენ ვთარგმნეთ ამ ბროშურების წინასიტყვაობებში გამოთქმული ნ. ნიკოლაძის პოზიცია, რასაც სიამოვნებით ვთავაზობთ მკითხველს.

პირველი ბროშურა „Горе имеим сердца!“ („სამწუხაროა, გული რომ გვაქვს!„) ნ. ნიკოლაძემ გაუგზავნა „ვოზროჟდენიეს“ რედაქციას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის გასაჭირისა და ამოცანების გამომზეურებას ისახავდა მიზნად, რათა „სიტყვიდან საქმეზე, უტოპიიდან მეცნიერებაზე გადასვლის პროცესი დაწყებულიყო“. ამით საფუძველი ჩაეყრებოდა ამ რეგიონის (სამხრეთ კავკასიის — დ. ჩ.) ინტერესებისა და მიზნების სინთეზს. წერილები პოლემიკური იყო, რომლის დაბეჭდვას „ვოზროჟდენიეს“ რედაქცია უკმაყოფილებით შეხვდა. პირველი წერილი დიდი დაგვიანებით დასტამბა, მეორე ბოლო ნომერში გამოაქვეყნა, ისიც მხოლოდ სტატიის დასაწყისი, იცოდა რა, რომ გამოცემა შეწყდებოდა, რითაც პოლემიკა ჩასახვისთანავე ჩაიფერფლა. პოლემიკას ნ. ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და თვლიდა, რომ პრობლემის გარკვევაში პოლემიკა ხშირად არსებითი იყო.

მეორე ბროშურის წინასიტყვაობაში ნ. ნიკოლაძე წერს, პუბლიცისტის ხვედრი შესაშური როდია, ის უდაბნოში თავისუფლების მთესველს ჰგავს, რომელიც „იძულებულია წვრილწვრილად დახარჯოს თავისი შრომისა და დაკვირვების მთელი მარაგი, მთელი ცოდნა გადაისროლოს ხან ტრიალ მინდორზე, ხან გაუვალ ტყეში, ხან ქვაღორღიან კლდეზე, ან მადლიან შავნიადაგიან გარემოში“. პუბლიცისტის შრომა შეუმჩნეველია, რასაც თვითონაც კი ვერ გრძნობს, თუმც მისი თანამედროვენი ხშირად მისი ჭკუის ნაჟურით აზროვნებენ, მომდევნო თაობა კი უფრო თავისუფლად სუნთქავს ამ პუბლიცისტის მიერ ჩადენილი გმირობის გამო. არადა, ეს „პუბლიცისტი თავისი დროის შვილია და ამ დროსთან ერთად უნდა გარდაიცვალოს“ მიუხედავად იმისა, რომ თავისი ქვეყნის ნათელი მომავლისათვის ბრძოლას შესწირა მთელი შეგნებული ცხოვრება. რაც უნდა ძლიერი, რაც უნდა ნაყოფიერი იყოს პუბლიცისტის მოღვაწეობა, მით უფრო მალე გაუდის მას დრო და ახლოვდება მასთან განშორების საათი. ნ. ნიკოლაძის აზრით, ასეთია პუბლიცისტის ბედი განათლებულ ქვეყნებში.

ყოველი თაობა წინა თაობაზე უფრო ნაყოფიერია მაშინ, როდესაც პირველი ნაბიჯებიდანვე სარგებლობს წინაპართა შრომებით, ეყრდნობა მათ მიერ დაგროვილ ცოდნას, მდიდრდება წინაპართა მემკვიდრეობით და თავის შემდგომ საქმიანობას მამების მიერ მიღწეულიდან იწყებს. ეს ხდება ცივილიზებულ საზოგადოებაში. უცოდინარ ველურებში კი ყოველი ახალი თაობა ასპარეზზე შიშველი, დედიშობილა გამოდის, ის არ იცნობს წინაპართა საქმიანობას, ამოცანებს და მიზნებს, მას მხოლოდ მამების და ბებიებისგან გადმოცემული მწირი ცნობების უღიმღამო მარაგი აქვს წარსულზე, ამიტომაც ამ ახალ თაობას არა აქვს მემკვიდრეობითი პროგრესი. ნ. ნიკოლაძეს აოცებს თანამედროვეთა მიერ ისტორიის გამოცდილების უგულვებელყოფა და არსებული პრესის უსუსურობა წინაპართა შრომების შეფასების საქმეში, ამ წინაპართა დამსახურების გააზრების მიმართ. მართალია, ნ. ნიკოლაძე გულგრილად ეკიდება თავის ლიტერატურულ — პუბლიცისტურ საქმიანობას, რადგანაც ვისთვისაც იწერებოდა ეს ნაწარმოებები, იმათთვის უაზრო შეიქმნაო, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა, რომ ვინმესთვის პროტესტის გარეშე მიეცა უფლება მისი მოღვაწეობა დაუმსახურებლად ამოესვარა ტალახში, ყველას ეძვირფასება თავისი კეთილი სახელიო.

ნ. ნიკოლაძე განმარტავს: შეიძლება გიყვარდეს შენი საქმიანობა, შენი გაწეული შრომა, თვლიდე მას უაღრესად საჭიროდ, მაგრამ მიატოვო კიდეც იმიტომ, რომ შენს თანამედროვეებს არ აინტერესებთ

იგი. თუ რატომ განუდგა მებრძოლ პუბლიცისტიკას, ნ. ნიკოლაძე შემდეგნაირად ხსნის: — მას სჯეროდა, რომ იმჟამინდელ ეპოქას უფრო ჭირდებოდა პოეტები, კრიტიკოსები, ისტორიკოსები, ლიტერატურული მოღვაწეები და არა პუბლიცისტები, რადგან ეს საზოგადოება ჯერ არ იყო მზად, მასში ჯერ არ მომწიფებულიყო სასიცოცხლო ინტერესების მქონე პარტიები, რომელთა იდეების გამომხატველნი და დამცველნი არიან პუბლიცისტები. მაგრამ ეს როდი ნიშნავს პუბლიცისტის რწმენის, შეხედულებათა თუ თვალსაზრისის უარყოფას, რაც ქარის მოტანილი როდია და არც სხვისი სიტყვების მითვისებით შექმნილა, თითოეულ ჟურნალისტს ეძვირფასება თავისი გაწეული შრომა, მით უფრო, როცა სხვები გულდასმით ამახინჯებენ მის ღვაწლს.

ნ. ნიკოლაძე საჭიროდ მიიჩნევს მეგობრების თხოვნის შესრულებას საკუთარი ნაწერების გამოქვეყნებაზე, რათა არ დამახინჯდეს მისი განვლილი პუბლიცისტური ცხოვრების არსი იმ ვითომ „მწერლების“ მიერ, ვინც არ კითხულობს და ისე მსჯელობს ნ. ნიკოლაძის სტატიებზე, რითაც ამახინჯებს მათ, ვერ წვდება შინაარსს, ისე აკრიტიკებს ამ თხზულებებს. განსხვავებით ახალი თაობა ინტერესით ეცნობოდა ნიკოს სტატიებს, ეკითხებოდა გულდასმით, თუ რას ეყრდნობოდა იგი ამა თუ იმ თვალსაზრისის შემუშავების დროს. ნ. ნიკოლაძის პასუხი იყო — „ძირითადად ვეყრდნობოდი ადგილობრივ ცხოვრებას და მის მოთხოვნებზე ჩემს <u>დამოუკიდებელ დაკვირვებებს“.</u>

„Новое обозрение“ -ში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში „На праздники“ ნ. ნიკოლაძე წერდა: „მართლა შეიძლება გვქონდეს ჩვენში პუბლიცისტიკა?“. პასუხი შემდეგია — თუ სიტყვაში „პუბლიცისტიკა“ იგულისხმება ის მოაზროვნეები, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების კანონების გააზრებას რომ ცდილობენ, რატომაც არა, მაგრამ პუბლიცისტები რუსეთში დღეს ამაზე არ იხარჯებიან. „არადა, პუბლიცისტიკა ხომ ერთადერთი ტრიბუნა და არენაა, რა უნდა იყოს უკეთესი?“, მაგრამ პრესაში გამოთქმული სატკივარი იმდენად კერძო ხასიათისაა, იმდენად მცირეს ესმის და ეძვირფასება პუბლიცისტთა ნაამაგარი, რომ ჩვენი პუბლიცისტებიდან არავის ხელეწიფება ამ პრობლემის გაერთიანება და შეჯამებულად გაცხადება საზოგადოებისათვის, რაც პუბლიცისტის ტალანტის და ჭკუა — გონების უქონლობით როდი აიხსნება. . . პუბლიცისტიკა ჩვენში ილუზიებით ცხოვრობსო (გაზ. „Новое обозрение“, 1891წ. 7 ივლისი).

კიდევ ერთი დაკვირვება იმჟამინდელ „კალმის ოსტატებზე„: “ უმეტესობა, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ვინც საზოგადო და სახელმწიფო საქმეებზე ფიქრობს, საკუთარი თავისთვის შემოსავალი ელანდება. ამიტომ ის პუბლიცისტები, ვინც საზოგადოებრივი ცხოვრების ამ საკითხებს აშუქებენ, ქვეყანას არ ჭირდება. საზოგადო და სახელმწიფო მოხელეების შესახებ ხალხს მარტო ჭორები აინტერესებს“. ჩვენ პუბლიცისტები კი არა, მამხილებელი პამფლეტისტები გამოგვადგება დღეს, — მიაჩნია ოფიციალურ წრეს. იმდროინდელ საზოგადოებას, ნ. ნიკოლაძის აზრით, არა პუბლიცისტები, არამედ მორალისტები უფრო ჭირდება, რადგან პუბლიცისტების პათოსი ამ საზოგადოებითვის გაუგებარია.

ამრიგად, ასზე მეტი წლის წინათ, როდესაც ჟურნალისტიკამცოდნეობა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო და ცნება „ჟურნალისტი“ ცნება „ლიტერატორისაგან“ არ განირჩეოდა, ნ. ნიკოლაძემ ჩამოაყალიბა პუბლიცისტის კრედო და ჟურნალისტიკის დანიშნულების მიზანი საზოგადოებრივი აზრის შექმნის საქმეში. საუკუნის წინათ გამოთქმული მისი თვალსაზრისი თანადროულია დღესაც.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Н. Николадзе, Горе имеим сердца!, ტფილისი, 1906წ.
2. Из архива Н. Я. Николадзе, Основные изъяны дворянских школ, ფოთი, 1910წ.
3. გაზეთი „Новое обозрение“, Н. Николадзе, „На праздники“, 1891წ, 7 ივლისი.

დ. ჩიკვილაძე

„პუბლიცისტი თავისი დროის შვილია„

რეზიუმე

ნიკო ნიკოლაძის ნაკლებად ცნობილ ორ რუსულ ენოვან ბროშურის წინასიტყვაობებში შეჯამებულია პუბლიცისტის მოვალეობისა და დანიშნულების ფაქტორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ურთულეს პროცესში. „პუბლიცისტი თავისი დროის შვილია და დროსთან ერთად უნდა გარდაიცვალოს“ – სწამს ავტორს.

D. Chikviladze

„Publicist is a son of his time~

Summary

In the prefaces of two less famous Russian language brochures by Niko Nikoladze the author sums up the roles and duties of the publicist in the most complex process of formation of public opinion. ‘Publicist is the son of his time and he has to pass away with the time’ – believes the author.

ჩვენი ავტორები:

ბესიკ ალადაშვილი — გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი (გთსუ), პროფესორი

გელა ალადაშვილი — გთსუ, პროფესორი

გიორგი ამირანაშვილი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

ნონა ახალაშვილი — გთსუ, პროფესორი; საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

რევაზ ბალანჩივაძე — გთსუ, პროფესორი

ნინო ბოჭორიშვილი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

ლანა გალდავა — ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, დოქტორანტი

დილავარდისა დავითულიანი — შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

ალექსანდრე დაუშვილი — ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, პროფესორი

დავით ვეკუა — გთსუ, პროფესორი

ამირან თავართქილაძე — გთსუ, პროფესორი

სოფიკო თევდორაძე — გთსუ, პროფესორი

მამუკა თორია — გთსუ, ასოცირებული პროფესორი

მილდრედ კალანდარიშვილი — გთსუ, ასოცირებული პროფესორი

ხათუნა კაჭარავა — გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

დავით კბილაძე — გთსუ, ასოცირებული პროფესორი

ანა კობიაშვილი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი

ნათია კოპალეიშვილი — შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

მაყვალა (ბაია) კოღუაშვილი — გთსუ, ასოცირებული პროფესორი

გურამ კუტალაძე — გთსუ, პროფესორი

ზურაბ ლაოშვილი — გთსუ, ასოცირებული პროფესორი

ნათელა ლაცაბიძე — გთსუ, ასოცირებული პროფესორი

გივი ლობჟანიძე — გთსუ, პროფესორი

ნინო ლომსაძე — გთსუ, პედაგოგი

გიორგი მათიაშვილი — გთსუ, პროფესორი

მანანა მარიდაშვილი — გთსუ, ასისტენტ პროფესორი

თამარ მერაბიშვილი — გთსუ, პედაგოგი

თამუნა მერაბიშვილი — საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, დოქტორანტი

მაია მიქელაძე — გთსუ, ასოცირებული პროფესორი

თალიკო ჟვანია — გთსუ, პროფესორი

დავით სუხიტაშვილი — გთსუ, პროფესორი

თეა სუხიტაშვილი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

ლაშა ტაბატაძე — გთსუ, ასისტენტ პროფესორი

თამარ ტუხაშვილი — საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, დოქტორანტი

თამარ ფანცულაია — გთსუ, ასოცირებული პროფესორი

შალვა ქურდაძე — გთსუ, პროფესორი

ნინო ყუფარაძე — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე შენგელია — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ლია შენგელია — საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, დოქტორანტი

რომან შენგელია — გთსუ, პროფესორი

ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე — გთსუ, პროფესორი

დალი ჩიკვილაძე — გთსუ, პროფესორი

არჩილ ცერცვაძე — თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

მამუკა ცუხიშვილი — განათლებისა და მეცნიერების საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი

ნინო ხუნაშვილი — ღია სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

OUR AUTHORS:

Besik Aladashvili –Guram Tavartkiladze Teaching University (GTTU), Professor
Gela Aladashvili – GTTU, Professor
Giorgi Amiranashvili – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctoral Student
Nona Akhalashvili – GTTU, Professor; ST Andrew the First-called Patriarchate University, Associate Professor
Revaz Balanchivadze – GTTU, Professor
Nino Bochorishvili – Georgian Thechnical University, Assistant Professor
Lana Galdava – Georgian Americal University, Doctoral Student
Dilavardisa Davituliani – Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University, Professor
Alexsandre Daushvili – Scientific Centre for Historical, Ethnological, Religious Studies and Propaganda, Professor
Davit Vekua – GTTU, Professor
Amiran Tavartkiladze – GTTU, Professor
Sopiko Tevdoradze – GTTU, Professor
Mamuka Toria – GTTU, Associate Professor
Mildred Kalandarishvili – GTTU, Associate Professor
Xatuna Kacharava – Grigol Robakidze University, Associate Professor; Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor
David Kbiladze – GTTU, Associate Professor
Ana Kobiashvili – Georgian Thechnical University, Professor
Natia Kopaleishvili – Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University, Assistant Professor
Makvala (Baia) Koguashvili – GTTU, Associate Professor
Guram Kutaladze – GTTU, Professor
Zurab Laoshvili – GTTU, Associate Professor
Natela Latsabidze – GTTU, Associate Professor
Givi Lobjanidze – GTTU, Professor
Nino Lomsadze – GTTU, Teacher
Giorgi Matiashvili – GTTU, Professor
Manana Maridashvili – GTTU, Assistant Professor
Tamar Merabishvili – GTTU, Teacher
Tamuna Merabishvili – ST Andrew the First-called Patriarchate University, Doctoral Student
Maia Mikeladze – GTTU, Associate Professor
Taliko Zhvania – GTTU, Professor
Davit Sukhitashvili – GTTU, Professor
Tea Sukhitashvili – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctoral Student
Lasha Tabatadze – GTTU, Assistant Professor
Tamar Tukhashvili – ST Andrew the First-called Patriarchate University, Doctoral Student
Tamar Pantsulaia – GTTU, Associate Professor
Shalva Kurdadze – GTTU, Professor
Nino Kuparadze – Tbilisi State Medical University, Associate Professor
Ekaterine Shengelia – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor
Lia Shengelia – ST Andrew the First-called Patriarchate University, Doctoral Student
Roman Shengelia – GTTU, Professor
Lali Chagelishvili – Agladze – GTTU, Professor
Dali Chikviladze- GTTU, Professor
Archil Tsertsvadze –Tbilisi Teaching University, Professor
Mamuka Tsukhishvili – International Institute of Education and Science, Professor
Nino Khunashvili – Tbilisi Open University, Professor

სამეცნიერო შრომათა კრებულში გამოსაქვეყნებელი ნაშრომისათვის
წაყენებული მოთხოვნები

- ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე როგორც ელექტრონული, ისე ამობეჭდილი სახით;
- ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (მოცულობა — არაუმეტეს 1000 სიმბოლო) ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ნაშრომი უნდა შესრულდეს Microsoft Word-ში, ქართულენოვანი ტექსტი — Sylfaen, ინგლისურენოვანი — Times New Roman შრიფტებით;
- შრიფტის ზომა -12, ინტერვალი -1,15;
- ფურცლის ზომა A4, ველები: ზედა — 2.0 სმ, ქვედა — 2.0 სმ, მარცხენა — 2.5 სმ, მარჯვენა — 2.0 სმ;
- ნაშრომის მოცულობა რეზიუმეს ჩათვლით არაუმეტეს 10 გვერდი;
- ნაშრომში დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის მითითებისას გამოიყენება APA ციტირების ფორმა;
- ნახატები, გრაფიკები, სქემები და სხვა თვალსაჩინოება შესრულებული უნდა იყოს .JPG, .TIFF ფორმატში; ფორმულები — Microsoft Equation — ში;
- ნაშრომს უნდა დაერთოს ავტორის სრული სამეცნიერო ხარისხი და წოდება, დაკავებული თანამდებობა და საკონტაქტო რეკვიზიტები: მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა.

./ ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი;

./ კრებულში გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილ ნაშრომს განიხილავს შესაბამისი კათედრა/მიმართულება და სათანადო რეკომენდაციით წარუდგენს სარედაქციო საბჭოს.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
მისამართი: 0101 — თბილისი, სამღერეთის N5
ტელ: /+99532/ 2661512; 577424277
ელ-ფოსტა: likascienses@gmail.com
ვებ-გვერდი: www.gttu.edu.ge

Guidelines for Preparation a Paper for Publication in Volume of Scientific Works
Paper style and format

- The paper should be submitted either in Georgian or English in form of soft copy as well as in form of hard copy;
- The paper should be accompanied by an abstract (not more than 1000 symbols) in Georgian and in English languages;
- File format should be Microsoft Word; Font _*Times New Roman* for English and *Sylfaen* for Georgian texts.
- Font size – 12, line spacing -1,15;
- Paper size A4, margins: top – 2.0 cm, bottom – 2.0 cm, left – 2.5 cm, right – 2.0 cm;
- The paper, including the abstract, should be not more than 10 pages;
- The paper should adhere to APA referencing and citation style;
- Paintings, graphics, schemes and other image files should be done in JPG, TIFF Format; formulas – in Microsoft Equation;
- The paper should provide the information on author's academic degree and title, occupied position and contact details: address, telephone number, e-mail.

./ The author is responsible for the authenticity of the material provided by him/her for publication.

./ The material will be reviewed and evaluated by corresponding department/direction and presented to the editorial board with appropriate recommendation.

For further information, please, contact us:

Guram Tavartkiladze Teaching University
Address: 5, Samgereti street, 0101, Tbilisi, Georgia
Tel: /+99532/ 2661512; 577424277
E-mail: likascienses@gmail.com web-
site: www.gttu.edu.ge

გამომცემლობა „**უნივერსალი**"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, w: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge